გიორგი ალიბეგაშვილი

ლიტერატურული კონტექსტი



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2014

წიგნში თანამედროვე სწავლების მეთოდიკის გათვალისწინებითა და ლიტერატურათმცოდნეობითი კუთხით განხილულია ქართველი და უცხოელი მწერლების ცალკეული მხატვრული ქმნილებები, რომლებიც ჟანრობრივ-თემატურადაა დალაგებული და დართული აქვს შესაბამისი კომენტარები, კითხვები და დავალებები. ნაწარმოებების შერჩევისას მთავარი აქცენტი ლიტერატურულ კონტექსტზე იმ მიზნით გაკეთდა, რათა წარმოჩენილიყო ქართული მწერლობის ადგილი და მნიშვნელობა მსოფლიო სიტყვიერების ისტორიაში.

წიგნს დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქცია აქვს; ის გამოადგება საშუალო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობებით დაინტერესებულ მკითხველებს.

რედაქტორი: † რევაზ სირაძე

© გ. ალიბეგაშვილი, 2014

გამომცემლობა „უნივერსალი", 2014
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-382-2

შინაარსი













პოეზია 11-14

გალაკტიონ ტაბიძე – შემოქმედებითი პორტრეტი ... 15-19
თხუთმეტი საუკუნე 20-21
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (რითმა, თემა, პოეზიის თხრობითი ფორმით გადმოცემა, ანალოგია). ენობრივი უნარები (ანტონიმები და სინონიმები) 22-24

ომარ ხაიამი – ბიოგრაფია 25-27
რობაიები 27-28
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (რობაი). კომენტარი მკითხველს (თარგმანთა შედარება) 29-32

ედგარ ალან პო – ბიოგრაფია 33-35
ყორანი 36-40
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (პოეზია, რითმა, შიდა რითმა, ალიტერაცია, ასონანსი,სიმბოლო,გამეორება). ლექსიკური უნარების განვითარება. წერითი უნარების განვითარება 41-43

ილია ჭავჭავაძე – ბიოგრაფია 44-47
ალაზანს 48
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი. კრიტიკული ფიქრი და კითხვა. ტექსტის ენობრივი გააზრება (სიტყვათა სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა). ფიქრი და წერა 49-51

რობერტ ბერნსი – შემოქმედებითი პორტრეტი..... 52-54
გული მთებისკენ მიიწევს 55
ფიქრი და დისკუსია. კომენტარი მკითხველს. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (გამეორება). ენობრივი უნარები (აბსოლუტური და რელატიური სინონიმები) 56-58

ვაჟა-ფშაველა – შემოქმედებითი პორტრეტი..... 59-60
საზამთრო სიმღერა 61
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (გაპირიონება) 62-63



შოთა ნიშნიანიძე – ბიოგრაფია 64
ლეკვები 64-65
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი
ანალიზი (პაუზა, რითმა, არქაიზმი) 65-67

ბესიკ ხარანაული – ბიოგრაფია 68
ლექსები 68-69
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი
ანალიზი (თაფლის უფალი ლექსი).
იახტა (ლექსის წერა) 69-71

* *

შინაარსობრივი შეჯამება. კომბინაციური გამყოფები
(შედარება, კულტურათა კონტრასტულობა თარგმნა).
თქვენ ხართ პოეტი. თქვენ ხართ კრიტიკოსი 72-74

მოიხრობა 75

ო. ჰენრი – ბიოგრაფია 76
მოგვთა სანუქრები 77-83
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი
ანალიზი (იუმორის გააზრება, სიუჟეტის მიხვედრა,
დახასიათების ანალიზი, თხრობის ანალიზი,
მოულოდნელი დასასრულის შეფასება). ლექსიკური
უნარების განვითარება. წერითი უნარების
განვითარება. უნარების განვითარება სწავლა-ცოდნის
პროცესში 84-88

რიუნოსკე აკუტაგავა – ბიოგრაფია 89-90
ხანქმონის დანაშაული 91-99
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი
ანალიზი (მთხრობელის თვალთახედვა, ავტორის
მიზნის განსაზღვრა). უნობრივი ანალიზი (სიტუაციის
ნაწილების განსაზღვრა). წერა და ფიქრი (მოტივაციის
განსაზღვრა). გრამატიკული უნარები (პირდაპირი,
ირიბი და არასაკუთრივი პირდაპირი ნათქვამი) 100-103

ჯემალ ქარჩხაძე – ბიოგრაფია 104
რაჭაო-ლეჩხუმი 105-126
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი
ანალიზი (გარემო, მინიშნება, რეალისტური თხრობა,

მოთხრობის გააზრება). ენობრივი უნარები (სიტყვათა კონტექსტური მნიშვნელობა). წერითი უნარების განვითარება (პოლიდიანის ანალიზი. შავი ნაშრომი, წერა რედაქტირება, ხიმბოლიოთა ანალიზი, მეტყველებისა და მოსმენის უნარების განვითარება) 123-130

* * *


შინაარსობრივი შეჯამება. თქვენ ხართ მწერალი. თქვენ ხართ კრიტიკოსი 130-132



რომანი 133-134

მიგელ დე სერვანტეს საავტორო – ბიოგრაფია 135-136
დონ კიხოტი – თავი I 137-143
თავი VII 143-145
თავი VIII 146-149
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (პერსონაჟის ხასიათის ჩვენება, სტილის რაობა). მწერლის შეფასება 150-153

გურამ დოჩანაშვილი – ბიოგრაფია 154
სამოსელი პირველი – დომენიკოს თავგადასავალი 155
ნაწყვეტი რომანიდან 156-163
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (პერსონაჟი). ენობრივი გააზრება (ლოლიტოგიზმები). წერა და ფიქრი (თვალსაზრისის წარმოდგენა) 164-166



ჩინგიზ აიტმატოვი – ბიოგრაფია 167-168
და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე
თავი VI (ანა-ბეიმით) 169-186
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (სიუჟეტისა და თემის გააზრება). კრიტიკული ფიქრი და კითხვა (მიზნისა და შეღწევის გააზრება). ენობრივი უნარები (აღწერითის გარჩობის გამოსახატველი ხმები). ფიქრი და წერა 187-190

* * *

შინაარსობრივი შეჯამება. თემატური წერა. ხელზე შეშალება. თქვენ ხართ მწერალი. თქვენ ხართ კრიტიკოსი 191-196

ეპიკური პოემა 197



ჰომეროსი – ბიოგრაფია 198-200
ოდისეფსის ამბავი 201-202
„ოდისეას" მთავარი პერსონაჟები 202-203
კლასიკური ეპოსის კითხვა 204-205
ოდისეა – სიმღერა მეზვიდმეტე 205-217
სიმღერა მეთვრამეტე 213-219
ჰომეროსი და ისტორია (შლიმანის გათხრები) 219-220
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (თხრობითი პოეზია, წერილის დაწერა, წერა ხასიათებზე) 221-223
სიმღერა მეცხრამეტე 223-234
სიმღერა მეოცე 234-235
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (ლიტერატურული წინასწარეწყება, კომპოზიცია). გამრავალფეროვნება (სცენის დადგმა) ... 236-238
სიმღერა ოცდამეერთე 238-247
სიმღერა ოცდამეორე 247-255
სიმღერა ოცდამესამე 255-257
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (დასარისხება, კომპოზიცია). თხზულების წერა. კომენტარი მკითხველს. თარგმანთა შესადარებელი ნიმუშები 258-263



ვერგილიუსი – ბიოგრაფია 264-266
ენეიდა – წიგნი მეორე 267-282
კომენტარი მკითხველს (ვერგილიუსის ლათინურის უცერადობა) 282-283
ენეიდა – გაგრძელება 283-294
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (მეტაფორა). ლექსიკური უნარები (კონტექსტი). საზეპირო სავარჯიშოები (სინონიმირება). გამრავალფეროვნება (ტროას დაცემის გადადება) 295-297



შოთა რუსთაველი – ხალხური ბიოგრაფია 298
ვეფხისტყაოსანი – ავთანდილისაგან პის ქმისა ძებნად წასვლა 299-306
ამბავი ავთანდილისა, ასმათის რომ ეუბნების ქვაბშიგან .. 306-313
შეკრა ტარიელისა და ავთანდილისა 313-317
ფიქრი და დისკუსია. წერა და საზეპირო უნარები (წერითი დავალება, მოყურებლის თეატრი, წარმოსახვა).

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (შაირი). გრამატიკული უნარები (პუნქტუაცია – მძიმე შურწყმულ წინადადებებში, ორთოგრაფია – საზოგადო სახელების მართლწერა) 318-322
ტარიელისაგან ხატაეთს წასვლა და დიდი ომი 322-328
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (ალიტერაცია). გრამატიკული უნარები (პუნქტუაცია – ნართული. ორთოგრაფია – საკუთარ სახელთა მართლწერა) 329-331
ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა 332-336
ხვარაზმშას შვილის ინდოეთს მოსლვა საქორწილოდ და ტარიელისაგან მისი მოკვლა 336-338
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურული დისპუტი 339-342
თათბირი ნურადინ-ფრიდონისა 342-343
თათბირი ავთანდილისა 343
თათბირი ტარიელისა 343-347
ფიქრი და დისკუსია. კომენტარი მკითხველს. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (აფორიზმი). გრამატიკული უნარები (პუნქტუაცია – მიმართვა. ორთოგრაფია – სათაურის მართლწერა). კომენტარი მკითხველს 349-353

* *

შინაარსობრივი შეკამება. კომპოზიციური გამორება. თქვენ სართ შწერალი. თქვენ სართ კრიტიკოსი 353-356

შუა საუკუნეების მწერლობა 357-358

დავით ფსალმუნთმგალობელი – ბიოგრაფია 359-360
ბიბლიური პოეზიის კითხვა 360-362
დავითი – ფსალმუნი 8 362-363
ფსალმუნი 22 363
ფსალმუნი 18 363-364
ფსალმუნი 89 364-365
ფსალმუნი 136 365
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (მეტაფორა) 366-367





გიორგი მერჩულე – ბიოგრაფია 368-369
წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება 370-378
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (ჰაგიოგრაფია, ხასიათის ანალიზი). წერითი უნარების განვითარება (დახასიათება). ენობრივი უნარების განვითარება (სტილი, ტაეტოლოგია) 379-384
წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება – გაგრძელება 384-392
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (ლიტერატურული პორტრეტი, უარყოფითი ხასიათი). წერითი უნარების განვითარება (ხასიათები). ენობრივი უნარები (ატროფია) 393-398



ძმა უგოლინო – ბიოგრაფია 399
ჟუაეილნი ფრანჩესკო ასიზელისა 400-409
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (ასკეტური იდეალები, სულიერი ნათელი). ენობრივი უნარები (არქაიზმები) 410-413
ჟუაეილნი ფრანჩესკო ასიზელისა – გაგრძელება 414-419
ფიქრი და დისკუსია. საზეიმო უნარები (კლასიფიკაცია). ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (არქეტიპი). თხზულების წერა (დახასიათება, წარმოსახვა) 420-422



შინაარსობრივი შეჯამება. კომპოზიციური გამეორება. თქვენ ხართ მწერალი. თქვენ ხართ კრიტიკოსი 423-426



დრამა 427-429

კოლიკარპე კაკაბაძე – ბიოგრაფია 430
ყვარყვარე თუთაბერის ამბავი 431
ყვარყვარე თუთაბერი – მოქმედება მეოთხე 431-442
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (ანტაგონისტი და პროტაგონისტი). წერითი უნარების განვითარება (თხზულების წერა, მსახიობთა შერჩევა) 443-444

ბერტოლტ ბრეხტი – 445
კავკასიური ცარცის წრე – გრუშე ვაჩნაძის თავგადასავალი 446
მოქმედება მესუთე 447-460

კომენტარი მკითხველს 461
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (კონფლიქტის გაძლერკვევა, ხასიათის გააზრება). სასცენო მითითებების ანალიზი. წერითი უნარების განვითარება (შინაგანი მონოლოგი).
მკითხველის ოპერი 462-464

* * *

შემაჯამებელი გამეორება. პიესის გარემოს დეტალები. პერსონაჟები ხედებიან ერთმანეთს. დიალოგის წერა.
თქვენ ხართ მწერალი. თქვენ ხართ კრიტიკოსი 465-468



არამხატვრული ლიტერატურა 469-470

კონსტანტინე გამსახურდია – ბიოგრაფია 471-473
როგორ ვწერ? 474-481
ფიქრი და დისკუსია. ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი (გამოცდილებითი ესეს გააზრება, ესეს კრიტიკული შეფასება). ხაუბარი და მოსმენა (დებატები). ფიქრი და წერა (ესეს ძირითადი დებულებების შეჯამება). ენობრივი უნარები (უცხო სიტყვები) 482-485



აკაკი ბაქრაძე – ბიოგრაფია 486
არსებობის მარადისობის რღვევა ანუ შვილის მკვლელი მამა 486-503
ფიქრი და დისკუსია. კრიტიკული ფიქრი და აზროვნება (აქტორის მიზნის გააზრება, მთავარი აზრის განმტკიცება. წერა და ფიქრი) 503-505



რეჟაზ სირაძე – ბიოგრაფია 506
ქართული ნუქურთმა და მზე 506-508
კომენტარი მკითხველს 509
ფიქრი და დისკუსია. კრიტიკული ფიქრი და აზროვნება (კონტრასტის ხერხის გამოყენება). სწავლისა და კვლევის უნარების განვითარება (ინტერპრეტაციის გააზრება, თვალსაზრისის განმტკიცება, პირადი დაკვირვების გაღრმავება). საუბრისა და მსმენის უნარების განვითარება (შეპირისპირებითი დისკუსია) .. 510-513

* * *

შინაარსობრივი შეჯამება. კომპოზიციური შეჯამება.
თქვენ ხართ მწერალი. თქვენ ხართ კრიტიკოსი. 513-516



როგორ დაიწეროთ სასწავლო პროექტი 517

უმბერტო ეკო – ბიოგრაფია 517-518
კომენტარი მკითხველის 518
როგორ დაიწეროთ სადიპლომო შრომა 519-528
ფიქრი და დისკუსია 529
როგორ შეკარჩიოთ, დაგეგმოთ, დაწეროთ, გააფორმოთ
და წარმოადგინოთ სასწავლო პროექტი 530-531

წინასიტყვა

ხშირად მოგვისმენია და თავადაც გვითქვამს, რომ ქართულ მწერლობას მსოფლიო ლიტერატურაში ღირსეული ადგილი უკავია, რომ ის არაფრით ჩამოუვარდება ისეთი დიდი ქვეყნების სიტყვიერ კულტურას, როგორებიცაა საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, რუსეთი და სხვ.; რომ არაერთი მხატვრული ნიშნით ის უნიკალურია, ზოგჯერ კი კონკრეტული ჟანრული მიმართულებით (მაგალითად, ჰიმნოგრაფია-პაგიოგრაფიის, ეპიკური პოემის, იგავ-არაკების) აღემატება იმავე ჟანრის გამორჩეულ უცხოურ ლიტერატურულ ქმნილებებს. რასაკვირველია, ამგვარი მოსაზრებების გამოთქმისას უმჯობესი ზომიერების დაცვა და სხვადასხვა ნაწარმოების მკითხველის სამსჯავროზე გამოტანაა. წიგნის მიზანიც სწორედ ეს არის, რის გამოც მასში წარმოდგენილია არა მხოლოდ კონკრეტულ ნაწარმოებთა და ავტორთა შემოქმედების შეფასება და განხილვა, არამედ სააზროვნო კონტექსტი კითხვების დასმით, ეთქვათ, ასეთი ფორმით: „ქალის დამსჯელი მოწონებას არ იმსახურებს,"— წერს ევრიპიდესი „ენეიდაში" და დავალებაც ლიტერატურული სინთეზირებისათვის წიგნში წარმოდგენილი ჰომეროსის „ოდისეას" და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ნაწყვეტების მიხედვითაა მოცემული—იმსჯელეთ, როგორი მოპყრობა ჩანს ქალების მიმართ, ერთი მხრივ, ოდისევსისა და, მეორე მხრივ, ტარიელისგან.

სხვა მაგალითი: გააანალიზეთ ბუნების თემა დამხმარე სახელმძღვანელოში შეტანილი ორი პოეტის—რობერტ ბერნსისა და ვაჟა-ფშაველას ლექსების მიხედვით.

ისიც უნდა ითქვას, რომ ნაშრომის შექმნისას გამოყენებულია და ზოგიერთ შემთხვევაში გადმოღებული სხვადასხვა უცხოური სახელმძღვანელოს მეთოდური დავალებები და ლიტერატურული ანალიზის მოდელები (მაგალითად, ასეთი ხასიათისა: თქვენ ხართ კრიტიკოსი; თქვენ ხართ მწერალი; თქვენ ხართ მთარგმნელი და ა. შ. შესაბამისი დამხმარე კითხვარებით), თუმცა, რა თქმა უნდა, ისინი ქართული მწერლობის კონტექსტშია წარმოდგენილი. ჩართულია, აგრეთვე, ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინების განმარტებანი კონკრეტულ ნაწარმოებში გამოყენებულ მხატვრულ ხერხთა მიხედვით და, გარკვეულწილად, ენობრივი სავარჯიშოებიც.


წიგნის სათაური „ლიტერატურული კონტექსტი" ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეირჩა და მკითხველის აღქმის გასაადვილებლად მასში ქრესტომათიული ნაწილიც შევიდა: აქაა მოყვანილი ლექსის თუ მოთხრობის სრული ვერსია, პოემის ან რომანის ის ნაწყვეტი, რომელზეც ყურადღების გამახვილებას კონტექსტი ითხოვდა.

ავტორს გაცნობიერებული აქვს ლიტერატურულ საკითხთა ამ კუთხით დასმისა და შესწავლის სიახლე და სირთულე, ამიტომ მადლიერებით მიიღებს ყველა არგუმენტირებულ შენიშვნას და რჩევას.

პ ო ე ზ ი ა









პოეზია ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, რომელიც თავისებურად იყენებს ენობრივ შესაძლებლობებს. პოეტები სიტყვებს დიდი სიფრთხილით არჩევენ იმისათვის, რათა თავიანთი იდეები და ემოციები გამოხატონ. ისინი, აგრეთვე, ისეთ ლიტერატურულ საშუალებებს იყენებენ, როგორებიცაა რითმა, რიტმი და პოეტური მეტყველების სხვა ელემენტები.

პოეზია უშორესი საუკუნეებიდან იღებს სათავეს. პირველი ლექსები ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მათში აღწერილი იყო ამაღელვებელი ამბები, ან ისინი გამოიყენებოდა სიმღერებად, ლოცვებად თუ საგალობლებად.

საუკუნეთა მანძილზე მრავალი კულტურის ხალხი სწორედ ამ მიზნით ქმნიდა პოეზიას. ძველმა ბერძნებმა და რომაელებმა შეთხზეს ეპიკური პოემები, რომლებშიც აღწერეს გულადი გმირების დაუჯერებელი თავგადასავლები. მოგვიანებით შოთა რუსთაველმა დაწერა თავისი ეპიკური პოემა და გადმოსცა საოცარი ამბავი სიყვარულისა, მეგობრობისა, სამშობლოს ერთგულებისა და რწმენისა, რომლის გარეშეც სიკეთისათვის ბრძოლა შეუძლებელია. უილიამ შექსპირმა თავის პიესებს სალექსო ფორმა მისცა და ისინი აუდიტორიის თავშესაქცევად გამოიყენა. შემდგომ, საუკუნეების განმავლობაში, პოეტური ნაწარმოებები კიდევ მრავალი მიზნით თუ მიზეზით იქმნებოდა.

დღესდღეობით პოეზია ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. თანამედროვე პოეტები ლექსს უმთავრესად გარე სამყაროზე თავიანთი იდეებისა და გრძნობების გამოსახატავად ქმნიან. მათ სურთ, მკითხველს საკუთარი ფიქრი და წუხილი, სიხ-

არული და ტკივილი გაუზიარონ. ამის გამო თანამედროვე პოეზია განსაკუთრებულად პირადული და შინაგანი გრძნობების გამომხატველი ფორმა შეიძლება იყოს.

პოეზიის ელემენტები.

ფორმა. ლექსში სიტყვები გარკვეული წესრიგით, სტრიქონებადაა დალაგებული. ეს სტრიქონები დაჯგუფებულია სტროფებად. ასე რომ, პოეტები გამიზნულად ისე განალაგებენ სტრიქონებს, რომ ლექსს ეძლევა გარკვეული ფორმა შინაარსობრივ მნიშვნელობაზე აქცენტის გასაძლიერებლად.

რითმა. პოეტები ხშირად იყენებენ რითმულ სიტყვებს – ერთსა და იმავე ბგერებზე დამთავრებულ ლექსიკურ ერთეულებს. როდესაც ეს სიტყვები სტრიქონების ბოლოშია, ამგვარ რითმას ბოლორითმა ეწოდება, ხოლო თუ სტრიქონის შიგნითაა – შიდარითმა. რითმის ეს სახეობა ლექსის რიტმსა და მუსიკალობას განსაკუთრებით აძლიერებს.

რიტმი. ლექსში ენობრივი ერთეულების პერიოდულ და გამიზნულ მონაცვლეობას რიტმი ეწოდება. ზოგიერთ ლექსში რიტმი ანუ ტაქტი თანაბარი და რეგულარულია. ურიტმო პოეზიას თავისუფალი პოეზია ეწოდება. მასში ლექსის ნებისმიერი სტრიქონი განსხვავებული პოეტური ხერხით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. თავისუფალი ლექსის წერისას პოეტი არ იყენებს რითმას.

ბგერები. პოეზიაში გარითმულ სიტყვათა ბგერები იმდენადვე საყურადღებო შეიძლება იყოს, რამდენადაც ამ სიტყვათა მნიშვნელობა. ამ მხრივ განსაკუთრებით შემდეგი მხატვრული ხერხები გამოიყენება: ალიტერაცია, ასონანსი და კონსონანსი.

1. ალიტერაცია. ესაა ერთი და იმავე ან მსგავსი თანხმოვანი ბგერების გამეორება, რაც ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე. ბგერათა ამგვარი მუსიკალური ორგანიზაციის ფორმა ქმნის ლექსის კეთილხმოვანებას, აძლიერებს პოეტური ნაწარმოების შინაარსობრივ მხარეს და გამომსახველობით ემოციურ ძალას ამძაფრებს. მაგალითად:

ფრთოსან ფიქრთა ფეიქარი
ქნარზე ქროლვით ქეჯანს ქსოვდა,
ზურმუხტ ზრახვით ვეირთთა ზარი
შავი შიშის შრიალს შობდა...

(ალექსანდრე აბაშელი)

2. ასონანსი. ხმოვანი ბგერების გამეორებას სალექსო სტრიქონში ასონანსი ეწოდება. იგი აძლიერებს ლექსის მუსიკალობასა და შინაარსის სიცხადეს, ამასთანავე, ლექსში შიდარიტმულ ნაკადს წარმოადგენს. მაგალითად:

მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია...

(შოთა რუსთაველი)

3. კონსონანსი. ესაა არაზუსტი ანუ არაიდენტური რითმა, რომელშიც ერთი და იგივე ან მსგავსი თანხმოვნებია, ხოლო ხმოვნები – განსხვაებული. კონსონანსიც,მსგავსად ალიტერაციისა და ასონანსისა, ლექსს მუსიკალობასა და რიტმს ანიჭებს და, ამასთანავე, მნიშვნელოვან სიტყვებს უსვამს ხაზს. მაგალითად:

მე ხომ სხვა ვარ, დღე ცისმარე
მახვილს ეფერავდი...
შენ კი გქონდა დღეთ სიზმარი
ფერად-ფერადი.
(გალაკტიონ ტაბიძე)

ფიგურალური ენა. შემოქმედი სიტყვებს ხშირად ფიგურალურად იყენებს, რათა ნაცნობ საგნებს ახლებური იერსახე შესძინოს. ამგვარ ხერხს ისინი მაშინაც მიმართავენ, როდესაც მათი იდეები და გრძნობები მკითხველისთვის უცნობია. ასეთი ფიგურალური საშუალებებია: შედარება, მეტაფორა, პერსონიფიკაცია და ჰიპერბოლა.

1. შედარება. შედარებისათვის დამახასიათებელია საგნის, მოვლენის ემოციური წარმოსახვა სხვა საგნის, მოვლენის რომელიმე თვისების ხაზგასმით. ამ დროს გამოიყენება მაკავშირებელი ან სხვა სიტყვები (როგორც, ვითარცა, ვით, ებრ, მსგავსი, ისე, თითქოს, ვითომც და სხვ.). მაგალითად:

სიყმაწვილეში მე ვჭკნებოდი როგორც ყოთოლი...
(გალაკტიონ ტაბიძე)

2 მეტაფორა. ესაა ენობრივ-მხატვრული წარმოსახვის ძირითადი სახეობა, რომელსაც შემოკლებულ შედარებასაც უწოდებენ. მეტაფორაში საგნებისა და მოვლენების ნიშან-თვისებათა დაკავშირება შემოქმედის ინდივიდუალობით განისაზღვრება. საგნებსა და მოვლენებს მიწერილი აქვთ ისეთი თვისება, რომელიც მათ არ ახასიათებთ, მაგრამ პოეტურად დასაშვებია. ამდენად, მეტაფორა რამდენადმე გამოცანის შინაარსს ატარებს. მეტაფორულ სტრიქონში თითქმის ყველა სიტყვის შინაარსი ამოსაცნობია. მაგალითად:

ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა...
(შოთა რუსთაველი)

3. პერსონიფიკაცია. იგივე გაპიროვნება მეტაფორის კერძო სახეობაა. თუ მეტაფორა გულისხმობს გადატანით წარმოსახვას განურჩევლად იმისა, სულიერია ეს საგანი თუ უსულო, ადამიანია თუ საერთოდ ცოცხალი არსება, გაპიროვნება ეწოდება მხოლოდ ადამიანის თვისებების გადატანას საგნებზე, მოვლენებზე, ცხოველებზე, ე. ი. საგანთა და მოვლენათა ადამიანური თვისებებით გამოხატვას. გაპიროვნებისას უსულო საგანი

წარმოდგენილია როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს. მაგალითად:

მთანი თავჩაჩქნიანები
ფიქრს მისცემიან მწარესა...
(ვაჟა-ფშაველა)

4. ჰიპერბოლა. საგნისა თუ მოვლენის გაზვიადებულად წარმოდგენის მხატვრულ ხერხს ჰიპერბოლა ეწოდება. ჰიპერბოლის შინაარსი პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგება: ყურადღება გამახვილებულია ასახული ობიექტის არსებით ნიშანზე, ადამიანის, მისი ქცევა-მოქმედების ან რომელიმე თვისების, ფიზიკური მხარის წარმოდგენაზე. მაგალითად:

შიგან ასრე გაეერიე, გნოლის ჯოგსა ეითა ქორი,
კაცი კაცსა შემოესტყორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი,
კაცი ჩემგან განატყორცნი ბრუნავს ეითა ტანაჯორი,
ერთობ სრულად ამოეწყვიტე წინა კერძო რაზმი ორი.
(შოთა რუსთაველი)

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლექსის გასაანალიზებლად უნდა დაეიცვათ შემდეგი მითითებები: ნაწარმოები წაეიკითხოთ ხმამაღლა და დაკვირვებით მოუსმინოთ ბგერებს, რომლებიც სიტყვებს ქმნიან; დაეუფიქრდეთ, როგორაა ერთმანეთთან შეწყობილი ლექსის სიტყვათა მნიშვნელობები და ბგერები; კიდევ რამდენჯერმე გადაეიკითხოთ ლექსი და შეეეცადოთ, წარმოეიდგინოთ პოეტის მიერ აღწერილი საგნები და გამოხატული გრძნობები; გაეიაზროთ ამ სიტყვებზე ჩვენი რეაქცია; დაეუკვირდეთ ლექსის ფორმას, არის თუ არა იგი პოეტის მიერ საგანგებოდ შერჩეული; ეიფიქროთ იმაზე, თუ მკითხველისთვის რის გაზიარებას ცდილობს პოეტი — ზოგჯერ ლექსში აეტორის უფაქიზესი ფიქრები და გრძნობებია გამოხატული, სხეა შემთხვევაში კი ხელთ გვაქვს გარკვეული ინფორმაცია, გამოცდილების გაზიარება ან სალაღობო ლექსის სტრიქონები.



გალაკტიონ ტაბიძე – შემოქმედებითი პორტრეტი



(გურამ ასათიანის, რეზი თვარაძის, ბესარიონ ჯორბენაძის, თამაზ ჩხენკელის, თამაზ ჭილაძის, ვახტანგ ჯავახაძისა და თეიმურაზ დოიაშვილის ნაშრომების მიხედვით)

კორტასარი წერს: რომანმა ქულებით უნდა გაიმარჯვოს, მოთხრობამ კი – ნოკაუტით. ანალოგიით თუ ვიმსჯელებთ, ასეა პოეზიაშიც: პოემამ, რომელიც „ხორციელ" სახეებს მოითხოვს, ქულებით უნდა მოიგოს, ხოლო ლირიკულმა ლექსმა - ნოკაუტით.

ეპიკური მატერიალური სახეები გალაკტიონისათვის მიუღებელი აღმოჩნდა; მისთვის მთავარი იყო ცალკეული დეტალების, შტრიხების, მოულოდნელი ასოციაციების, მხატერული სახეების მიგნება და ჩვეულებრივი საგნების ახლებური კუთხით წარმოჩენა, წარმოსახვითი ვიზუალური აღქმის გაძლიერება.

ამიტომაც წერდა:

სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს

უფრო მეტს, ვიდრე დიდი მსჯელობა...

ქართულ პოეზიაში გალაკტიონმა პირველმა დაიწყო ახალი ფერებისა და ნახევარტონების ძიება და უნატიფესი და სულშიჩამწვდომი სიღრმე შესთავაზა მკითხველს ადამიანის თითქოს თავიდან აღმოჩენილი შინაგანი სამყაროს გასაცნობად. გალაკტიონი იყო უტყუარი, აბსოლუტური სმენის პოეტი. მის მუსიკალურ გენიას ყოველივე–გარეშე თუ შინაგანი, ნამდვილად ხილული თუ ოცნების თვალით დანა-

სული–პოეტური მელოდიების ენაზე გადაჰქონდა. მისთვის ლირიკა არის ხან ეჭვი და სევდა, უმწეობით გამოწვეული, ხან კი გამარჯვების სიხარული, და ამავდროულად:

უფრო მძლავრი,
უფრო მდიდარი,
ის შინაარსით
ისევე, რაც
ფილოსოფია,
ხმითა შერჩევით
კი მუსიკის
პანგთან მყოფია.

ასე რომ, გალაკტიონისთვის ლირიკა არსებითად გაიაზრებოდა როგორც ადამიანის გონისა და სულის უმაღლეს მიღწევათა სინთეზი: ლირიკა არსით ფილოსოფიაა, ფორმით–მუსიკა. სხვაგვარადაც რომ ეთქვათ: პოეზია არა მხოლოდ შინაარსია, არამედ ამ შინაარსის შესაბამისი გამოხატვაც, რაც, უპირველეს ყოვლისა, სიტყვიერი სამოსია–„აზრის და ხმის შეხამება".

უნიკალურია გალაკტიონის პოეტური ხილვები და ენის ალღო; მართალია, ეს უკანასკნელი არასოდეს ყოფილა მისთვის თვითმიზანი, მაგრამ, იმავდროულად, იგი ერთადერთი საშუალებაა, რითაც მიიღწევა სულიერი აღზევების გამოცხადება. ამიტომაცაა, რომ გალაკტიონმა, რომელმაც ზედმიწევნით ამოიცნო ეპოქის სულისკვეთება, შეძლო, ენისთვის გამოხატვის შესაბამისი ფორმა მოეძებნა.

გალაკტიონის პოეტური გენია ორ საწყისს ემყარება– კლასიკურსა და ხალხურს. პირველი დამოკიდებულების წარმოსაჩენად მისიეე ჩანაწერი გამოდგება, „ლურჯა ცხენებთან" დაკავშირებით რომ ჩაინიშნა: „ბარათაშვილი ეყრდნობა მხოლოდ შინაგან რიტმს. აქ ბარათაშვილი შორდება სავსებით რუსთაველს. ორი მერანია: მერანი ავთანდილის, მერანი ბარათაშვილის, ისინი სხვადასხვანი არიან. საჭირო იყო მათი შეერთება... და ეს მოვახერხე მე. ჩემი მერანი შეთავსებაა ამ ორი სხვადასხვაობის: რუსთაველის რითმის დაცვა, ბარათაშვილის რიტმის გამოყენება, აზრის გაღრმავება. აი „ლურჯა ცხენები".

აქ ჩანს გალაკტიონის დამოკიდებულებაც პოეზიისადმი: ის ცდილობდა არა მხოლოდ ახალი ხერხების შემოტანას და დამკვიდრებას, არამედ ტრადიციების ახალ სიმაღლეზე აყვანასა და გაღრმავებას. ამიტომაც წერდა ერთგან: „პოეტები სვამდნენ

საუკეთესო ღვინოს, წარსულისგან გადარჩენილს, მაგრამ თვალყურს ადევნებდნენ თაიანთ თაეს, რომ ღვინო არ მოჰკიდებოდათ".

რაც შეეხება ხალხურ პოეზიას: ის მართლაც გამოირჩევა ბუნებრიობით; მას'ში, როგორც წესი:

არ ხდება **ძალდატანება** (შეგნებულად გაურბის ყოველგვარ **მძიმე გამოთქმას**);

გამოირჩევა **სილაღით** (ხედმიწევნით შეგუებულია თვით ენის **რიტმულობასთან**);**სისადავით** (უაღრესად პოეტური ხატებიც აზრობრივად **ნათელია**); **მუსიკალობით** (ადეკვატურია ხალხის წიაღ'შიეე შექმნილ სიმღერათა **მელოდიურობასთან**).

მართლაც, გალაქტიონისათვის ეს ოთხი კომპონენტი უმთავრესი იყო და, აქედან გამომდინარე, რითმსა და რიტმს იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ორივე ეს ელემენტი მისთვის ლექსის მუსიკალობის განმსაზღვრელი და ჭეშმარიტი პოეზიის მიზანი იყო. ამიტომაც წერდა: „მუსიკა უპირველეს როლს თამაშობსო ლექსში".

ამითაცაა განპირობებული გალაქტიონის პოეტურ ხელოვნებაში თითქმის სრულყოფილი სახით განხორციელებული ე.წ. **სუგესტიის–პოეტური ჩაგონების,** განწყობილების გადადების პრინციპი, რომელიც სიმბოლისტური პოეტიკის მთავარ ხერხს წარმოადგენდა. მისი პოეზიიდან თითქმის მთლიანად განდევნილია მსჯელობის, რიტორიკის, სწორხაზოვანი განზოგადების ელემენტები. მათ ადგილს ახალი, „წმინდა პოეტური" საშუალებები იკავებენ. მთავარი ხდება მიღმა სამყაროს ბუნდოვანების სიტყვათა **ნაწყვეტებით, დაწყვეტილი** მუსიკალური ფრაზებით განჭვრეტა. **„სიტყვა ნაწყვეტში"** იგულისხმება ლექსის ინტონაციური და მელოდიური ნიუანსები და თვით ცალკეული ლექსიკური ერთეულის თავისებური გააზრება. სახეზეა რითმა, რომელიც ასრულებს არა მხოლოდ თავის ფუნქციას, არამედ საგანთა შორის ფარულ, იდუმალ კავშირზეც მიუთითებს. ამით სტრიქონებსაც ერთგვარი დაძაბული ბგერადობა ენიჭებათ.

პოეტური ნაწარმოების ყველა ეს კომპონენტი გარკვეულ ურთიერთშეთანხმებაში იმყოფება. ისინი ბადებენ ერთიან ჟღერადობას, რათა მასში შესატყვისი ემოციური განწყობა აღძრან.

მუსიკა, რომელიც გათავისუფლებულია ცნებებისგან, მსჯელობისგან, გალაკტიონს, მსგავსად ფრანგი სიმბოლისტებისა, წარმოუდგენია წმინდა ემოციური თვითგამოხატვის იდეალურ ფორმად. აქედან გამომდინარე, პოეზიაშიც უნდა გამოძებნილიყო ადეკვატური საშუალებები, ახალი ხერხები, მეტყველების სპეციფიკური მანერა, რომელიც ადამიანის სულის „საიდუმლო მუსიკას" გადმოცემდა. შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონის ლირიკაში საერთოდ მუსიკას, ლექსის მელოდიურ გააზრებას და ინსტრუმენტირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს:

ათოვდა ზამთრის ბაღებს,
მიჰქონდათ შავი კუბო
და შლიდა ბაირაღებს
თმაგაწეწილი ქარი.
გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუბო,
მიჰქონდათ კიდევ კუბო —
ყორნების საუბარი —
დარეკე! დაუბარე!
ათოვდა ზამთრის ბაღებს.

თოელის სითეთრეში იჭრება კონტრასტული შავი ფერი— მთავარი ფერი ლექსისა, შექმნილი -ა- ხმოვნის მრავალჯერ გამეორებით („ა-შავია", - არტურ რემბო).

გალაკტიონისათვის მუსიკა იყო სიტყვაც, რითმაც, რიტმიც და ყველა მათგანი ცალ-ცალკე, თავისთავად. თანადროულად მუსიკალური ულერადობა და ფრესკული ფერები ენიჭება პოეტურ სიტყვას, როგორც ადამიანის ხატოვანი აზროვნების უმაღლეს გამოვლინებას. სიტყვა ხდება მუსიკალური ბგერა და ფერი ერთსა და იმავე დროს. ასეთია ეს სტროფიც:

დედაო ღვთისავ! მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ეარდი,
ჩემი ცხოერების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე, — ფრესკულ-მუსიკალურ-პოეტური.

ჩვეულებრივ ესაა ხოლმე მსუბუქი აკვარელით შესრულებული, უაღრესად დახვეწილი ფერწერა. სურათი დანახულია ახალი,

უნეულო თვალით. იმასაც მიუთითებენ, რომ გალაკტიონისათვის ლექსი აზრის გამოსახატავი ფორმა კი არ იყოო, არამედ ის პირდაპირ ლექსით აზროვნებდა ისევე, როგორც მხატვარი – ფერით და მოქანდაკე – თიხით.

სხვაგან პოეტის განწყობილების ცვალებადობა საგნებს წამისწამ ახლებური იერით გვიხატავს და ზოგჯერ ბუნების ერთგვაროვან მოელენებშიც კი შუქისა და საღებავების ურიცხვ სახეცვლილებას, ურთიერთგადასვლას, ჰარმონიულ შეზავებასა და კონტრასტებს წარმოაჩენს.

ასე, მაგალითად, თოვლი, რომელიც გალაკტიონის ლირიკაში ხან იისფერია, ხან ლურჯი, ხან დაღლილი თითებივით მკრთალი, ხან ზამბახისფერი, ხან ბროლივით გამჭვირვალე, ხან მარმარილოსავით ციები და თეთრი, ხან ვარდისფერი, ხან სულაც შავი, ხან კიდევ:

დაათრობს მთვარე **თოვლიან ალვებს**
ივლისისფერი ყინვის თასებით!
სითეთრე შენის მაღალ მწვერვალებს,
ვით სასძლოს ფარჩა და ალმასები...

სხვა მაგალითები:

მე ძლიერ მიყვარს **იისფერ თოვლის**
ქალწულებივით ხიდიდან ფენა

ან:

თოვლი, ფიფქი და აპრილი,
ვარდისფერი თოვლი...

ან:

იქ **შავი თოვლივით** დამათოვს
ჭვარტლი და ბურუსი თავანის...

და კიდევ:

ელვის ბილიკზე მიდის ფეხები
და მეცემიან **თოვლის ვარდები...**

სხვადასხვა ლექსის ამ სტრიქონებში განსხვავებული ფერებითაა შემოსილი ერთი და იგივე საგანი, კერძოდ, თოვლი; მაგრამ, ამავე დროს, პოეტს სხვადასხვა საგანში ერთი და იგივე ფერი შეეძლო დაენახა:

ყვაოდა **ლურჯი იასამანით**
შემობურული სვეტიცხოველი...

ან:

ცაზე აცურდნენ **ლურჯი ტიგები...**

ან:

თოეს! ასეთი დღის ხარებამ **ლურჯი**

და დაღალული **სიზმრით** დამთოვა...

ან:

ლურჯი ტრიალით ბრუნაენ მთები

და ირყეოდა **ლაჟვარდი ბროლი...**

ან:

ცაო, ლურჯდება ზოლი...

და კიდევ:

ლურჯდება ჰაერი,

ენთება ღამე...

გალაკტიონის პოეტურ სამყაროსთან დაკავშირებით სხვაც მრავალი საკითხი წამოიჭრება: როგორ გრძნობს, როგორ ხედავს იგი სინამდვილეს, როგორია მისთვის ობიექტური რეალობა და სუბიექტური სიზმარ-ცხადი? პასუხიც შესატყვისი, მიმანიშნებელი და სუბიექტური, უნდა მოიძებნოს: გალაკტიონისათვის ტყე მართლა „ტაძარია", „შორეული ცის სილაჟვარდე" მისი სულის მარადიული ცხოვრების ჭეშმარიტი სამყოფელია, ვიოლინოს გენიალურ დამკვრელს, ფანტასტიკური ხუროთმოძღვრის მსგავსად, მართლა შეუძლია სასახლეები ააგოს ჰაერში, ღამე კი სხვა არა არის რა, თუ არა შაი, ავისმეტყველი დროშა, რომელსაც შეუცნობელი ბუნება ფენს ადამიანთა შესაძრწუნებლად; ხოლო ზღვა თვითონ პოეზიაა, ამაღლებული და დაწმენდილი, მაგიური ძალის მომცველი და ამგზნებელი, ისევე როგორც ლოცვა ან ფიცი. ზღვის მარადი სახეცვლილება ხშირად ეთანხმება პოეტისეულ განწყობებს — მისი მშვენიერება, ღელვა თუ საოცარი სიწყნარე:

ზღვა იყო წყნარი.
თითქო ფენობა ზურმუხტის რტოთა,
ცის დასაელამდე უსიზმროდ მდგარი,
უსმენდა ჩანგებს და მოელოდა...
შორს, ძალიან შორს მოსჩანდა ქარი,
მე შენ გკოცნიდი და გული თრთოდა...
ზღვა იყო წყნარი.

რაც შეეხება გალაკტიონის ენას, პოეტურ ენას: სიტყვაში იგი თავისი „სულის თრთოლვას" გრძნობდა და მისთვის ლექსი სხვა

არაფერი იყო, თუ არა სულიერი მღელვარების ვარიაციათა თაე-
მოყრა, გადმოცემული ხელშესახები მწუხარებითა და მღელვარებით,

ნერვიული უკიდეგანო შფოთვით; ხშირად შემოქმედი ინტუიციურად ამოიცნობდა ბგერათა ისეთ კონტექსტებს, ისეთ სიტყვათშეხამებებს, სადაც ნებისმიერი ბგერა იძენს ახალი, მხოლოდ შემოქმედებითი ლოგიკით ამოხსნის დანიშნულებას – იყოს გარკვეული პოეტური საზრისის გამომხატველი:

რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს,
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს.

ბგერების მონაცელეობა თვალშისაცემია:

ებ-ობ – რტოებში ავობს
ებ-ბე – რტოებში ბებერი
ერ-არ – ბებერი ქარი

ან კიდევ: ქარი ქანაობს ქარად,
წყნარად, წარსულო, წყნარად..

აქ ალიტერაციაა აგებული კონტრასტის პრინციპზე:

ყრუ ფშვინვიერი ქ, ერთი მხრივ, და ყრუმკვეთრი წ, მეორე მხრივ, მსგავსად ლურჯი და მწვანე თითქოსდა შეუთავსებელი ფერთა შეხამებისა.

სხვაგან უფრო მსგავს ბგერათა (შ-ჩ) ალიტერაციაზეა აქცენტი გაკეთებული:

მთვარეში შავი შრიალებს ჩალა,
შავი ლეჩაქი დაეცა შარებს,
დამშვიდდი, სძინავს ალაზნის კარებს,
მთვარეში შავი შრიალებს ჩალა.

ან: ბ-მ-ს ალიტერაცია:

ბობრი ბელაედა კახამბალს, ჟოლას,
ბირკვილს ბატები ქარმა მორეკა,
ცა წამოიწყებს მსხვილ წვიმის სროლას
და აბლაბუდას კრებს ბობირიკა.

გალაკტიონი ცვლიდა ლექსის მარცვალთა რაოდენობას:

დედაო ღვთისაე, დედოფალო, წმინდა მარიამ,
როგორც მზის ნათელს მოკლებული სილაში ვარდი,

ჩემი ცხოვრება მარტოობა და სიზმარია,

ჩემთვის მკედარია შორეული ცის სილაჟვარდე.

საბოლოოდ მივიღეთ:

დედაო ღვთისაე, მზეო მარიამ,

როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,

ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია

და შორეული ცის სილაჟვარდე...

ფაქტობრივად აქაა ორი ურთიერთდამოუკიდებელი პოეტური ქმნილება ურთიერთდამოუკიდებელიეე მუსიკალური განწყობით.

თუ კიდევ უფრო ღრმად ჩავიხედავთ ლექსის ქმნადობის პროცესში, დავინახავთ, რომ პოეტი ცვლიდა ლექსის სტრუქტურას - ეძებდა, აზუსტებდა, თუ სხვადასხვა ფორმით როგორ შეიძლება გამოიხატოს ერთი და იგივე პოეტური საზრისი:

აი, ჩემს თვალწინ ძველი სიონი,

გულდახურული, დინჯი, ზვიადი,

შორს მიუმართავს მზერა დიადი,

აღმოსავლეთით ქრიან სიონი,

მიწა ზურმუხტის, ზეცა იისა,

ღმერთო, მკელელი მას გადაარიდე,

გადაუსახე იმედს ჯვარედი

ოქროთი მქრონი ბიზანტიისა,

გამოუელინე ერს ანგელოსი,

საუკეთესო მიეცი მშვიდი,

რომ დაშთეს მისი დიდება დიდი,

დიდება დიდი საქართველოსი.

საბოლოო ვერსია ასეთია:

ძველი სიონი,

დინჯი, ზვიადი,

ჰქრიან სიონი,

ზეცა იისა

გადაარიდე

იმედს ჯვარედი

ბიზანტიისა.

ის ანგელოსი

აწ არ არს მშვიდი
ოდესმე დიდი საქართველოსი.

კონკრეტულმა სახეებმა აბსტრაქტულობა შეიძინეს, მძიმე მინორი შეიცვალა ლაღი მაჟორით, ნელი მდინარება–სწრაფი დინებით, ლექსის ფორმაც უფრო არტისტული გახდა.

გალაკტიონის პოეტურ სამყაროზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, რადგან მისი პოეზია ამშვენიერებს ჩვენს სულსა და გონებას. ეს საუბარი ადვილიცაა და ძნელიც. ადვილი იმიტომ, რომ ყველას ჰყავს თავისი გალაკტიონი, თითოეულ ჩვენგანს თავისებურად ესმის მისი ლექსები, პოეზიის მელოდიურობა და მუსიკალობა, სხვადასხვა ასოციაცია, მხატვრული სახეები, წარმოსახული იმიერსამყარო, მზესა და მიწაში არეული ფერები; ძნელი კი იმის გამოა, რომ რთულია ამ დიდი ფიქრითა და ტკივილით მოძებნილ პოეტურ ხილეათა წვდომა და უფრო მეტად კი–სიტყვიერი ქსოვილის ემოციების გადმოცემა. ამიტომაც შეუძლებელია არ გაითვალისწინო ცალკეულ ავტორთა დაკვირვებები, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და პოეტის მხატვრული სიტყვის იდუმალების ამოხსნის მცდელობა. აქ ერთი მკვლევრის, ერთი მკითხველის აზრის გამოთქმა არაა საკმარისი. ამ სირთულის გამო გალაკტიონის პოეტურ სამყაროზე დაკვირვების გადმოცემისას მეტი ადგილი სუბიექტურ დამოკიდებულებას ექნებოდა თუნდაც იმის გამო, რომ ადამიანის ბუნებრივი სწრაფვაა, თავისი ფიქრი თუ აზრი საზოგადოებრივი გახადოს; მსჯელობას კი ვახტანგ ჯავახაძის სიტყვებით დავასრულებთ, დიდ პოეტზე რომ დაწერა: „როგორც პატარა ბავშვი ეებერთელა მონასტერს, ისე ვუელიდი გარშემო, და რაკი მონასტერს კარი ვერ ვუპოვნე, ფეხისწვერებზე ვდგებოდი, რათა მაღალი სარკმლიდან მაინც მომეკრა თვალი, რა ხდებოდა კედლებს იქით... ერთ მშვენიერ დღეს კი ამ ტაძარში აღმოვჩნდი და ეკლესიაში პირველად შესული ბიჭივით დავიბენი. როდესაც დაემშვიდდი და თვალი კედლებსა და თაღებს შევაჩვიე, გავოცდი: კელავ ტაძრის წინ ვიდექი, ტაძარში ტაძარი დამხვდა. და ეს ტაძარი მეტი იდუმალებით იყო მოცული, რადგან არც კარი გააჩნდა, არც სარკმელი და შიგ ფეხი არავის დაედგა... “

ასეთი ტაძარი არის დღესაც გალაკტიონი.

რუსთაველი და მშვიდი?

დამშვიდება და ვაჟა?

რას იტყოდა თავის თავზე პოეტი, რომელსაც ლექსის გარდა სხვა ცხოვრება არ ჰქონია?!...

გალაკტიონ ტაბიძე

15 საუკუნე

შენი სიბერე,
სიახლე ორბის[1],
15 საუკუნე
ელოდა წინამორბედს,

15 საუკუნე
გიკლავდა დღეისს,
ქალაქო ფენიქსო[2],
ყრუ ღამეები
ვარფოლომეის[3].

15 საუკუნე –
ჯვარზე გაკრული
თითქო განგებით,
ჯალალ-ედინებით[4],
თემურლენგებით[5].

15 საუკუნე ხსოვნას
აზარებს ზღვა
არაბების. სკვითი,
ბერძენი ცვლიდნენ
ხაზარებს.

---

[1] ორბი – ქრისტიანული სიმბოლიკით, იმავე სახისმეტყველებით, განახლების სიმბოლო. ფსალმუნში ეკითხულობთ: „განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი“ (ფს. 102.5.)

[2] ფენიქსი – ძველი ხალხის მითოლოგიაში: ფრინველი, რომელიც სიკვდილის მოახლოებისას თავს იწვავს და კვლავ აღდგება თავისი ფერფლიდან, ცოცხლდება. იხმარება როგორც მუდმივი განახლებისა და აღორძინების სიმბოლო.


[3] ვარფოლომეის ღამე – იგივე ბართლომეს ღამე – ჰუგენოტების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც მოაწყვეს კათოლიკეებმა პარიზში წმ. ბართლომეს ღამეს, 1572 წლის 24 აგვისტოს.

[4] ჯალალ-ედინი – ხორეზმშაჰი ჯალალ ად-დინი 1225 წელს შემოიჭრა საქართველოში, თბილისი აიღო და მეტეხის ხიდთან 100 000 ქართველი აწამა.

[5] თემურლენგი – გათურქებულ მონღოლთა ტომის ბელადი. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ფეხში დაუჭრიათ და დაკოჭლებულა. ამის გამო მეტსახელად „ლენგი“ ანუ „კოჭლი“ შეარქვეს.

შენც ოცდაათჯერ
გადასცდი იმ ფონს,
სწვავდი ხიდეებს,
ცვლიდი რუბიკონს[6].

შენს სისხლიან თასს
ცლიდა შაჰ-აბას[7]
და ვერ დაცალა.
აწ აღსადგენად
მოვა სხვა ძალა.



გალაკტიონ ტაბიძის ნახატი. 1928 წ.

[6] რუბიკონი – რუბიკონის გადალახვა – ურყევი გადაწყვეტილების მიღება, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, მდინარის სახელწოდების მიხედვით, რომელიც 49 წ. (ძვ. წ. აღ.) იულიუს კეისარმა გადალახა თავისი ჯარით – მუხედავად სენატის აკრძალვისა და დაიწყო სამოქალაქო ომი.

[7] შაჰ-აბასი – ირანის მეფე XVII საუკუნეში, საქართველოს დაუძინებელი მტერი.

ფიქრი და დისკუსია

გაიაზრეთ

1. საქართველოს ისტორიულად ცნობილ რომელ დაუძინებელ მტრებს ასახელებს პოეტი?

2. 15-საუკუნოვანი მძიმე წარსულისა და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ რას ელის აეტორი?

გააანალიზეთ

3. თქვენი აზრით, რატომ არის აქცენტი გაკეთებული მაინცდამაინც 15-საუკუნოვან პერიოდზე?

4. რატომ უწოდებს გალაკტიონი თბილისს „ქალაქ ფენიქსს"?

5. რატომაა 15-საუკუნოვანი ქალაქი „ჯვარზე გაკრული თითქო განგებით"?

6. როგორ გესმით ლექსის სტრიქონები „სწვავდი ხიდებს, ცელიდი რუბიკონს"? რა ხასიათის გადაწყვეტილებები შეიძლება იგულისხმებოდეს მათში? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

7. რა აკავშირებს ერთმანეთთან ლექსის პირველ და ბოლო სტროფებს?

განაზოგადეთ

8. რატომ ადარებს გალაკტიონი ქალაქის სიბერესა და ორბის სიახლეს ერთმანეთს?

9. რითი შეიძლება უკავშირდებოდეს ქალაქს „ყრუ ღამეები ვარფოლომეის"?

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

რითმა

როგორც ითქვა, რითმა სალექსო სტრიქონებში ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების კანონზომიერი გამეორებაა. ზოგჯერ ბგერების ასეთი შეწყობა-შეთანხმება სტრიქონებს შიგნითაა მოცემული. რითმაში შეიძლება მეორდებოდეს ცალკეული ბგერები, სიტყვები ან სიტყვათა ჯგუფები, იშვიათ შემთხვევაში კი – სალექსო სტრიქონები. ბგერითი გამეორებით რითმა გამოყოფს სიტყვას და ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას. რითმის ინტონაციური დანიშნულება ხელს უწყობს ლოგიკურ მახვილს, რის შედეგადაც მეტყველების ნაკადში გარითმული სიტყვა გამოიყოფა და იქცევს ყურადღებას. პოეზიაში რითმა რიტმულობას, კეთილხმოვანებას,

მუსიკალობას ქმნის, ლიტერატურის თეორიაში ცნობილია რითმის უამრავი სახეობა.

ქვემოთ მოცემულია რითმის რამდენიმე ძირითადი ფორმა, რომელიც წარმოდგენილ ლექსშიცაა გამოყენებული.

გარეგანი რითმა, რომლის სახეებია:

ა) მოსაზღვრე ანუ პარალელური რითმა სქემით aa. მაგალითად:

მწყემსო კეთილო, შენს წმინდა სამწყსოს a
შემოვაეედრებ ჩემსა სამეფოს... a
(ნიკოლოზ ბარათაშვილი)

ბ) რკალური რითმა სქემით abba ან abca. მაგალითად:

ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია, a
იგი ელვარებს, საბოლოოდ დაშრება ვიდრე, b
მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე, b
რომლის გარეშეც უკედავებაც არაფერია. a
(გალაკტიონ ტაბიძე)

გ) არაზუსტი, ანუ არაიდენტური რითმა, როდესაც ზოგიერთი ბგერა ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად:

მწუხარებაე, როგორც გველი a
ხშირად გულში გამიარ, b
ეს მძინარე მთა და ველი, a
იყოს მრავალჟამიერ. b'
(გალაკტიონ ტაბიძე)

დავალება

დაუკვირდით გალაკტიონის წარმოდგენილ ლექსს, რომელიც პირობითად ექვს სტროფადაა მოცემული, გამოყავით გარითმული სიტყვების დაბოლოებები და მიუთითეთ, როგორი სახის რითმებს იყენებს პოეტი თავისი სათქმელის ხაზგასასმელად; რაზე ამახვილებს ყურადღებას თქვენ მიერ გამოყოფილი სიტყვები.

თემა

თემა ლიტერატურული ნაწარმოების დედააზრია, რომელიც მის შინაარსს აწესრიგებს და იდეურ-ემოციურ მთლიანობად აქცევს. თემა შეიძლება პირდაპირ იყოს გადმოცემული, მაგრამ უფრო ხშირად ის მინიშნებულია.

1. რა არის გალაკტიონის ლექსის მთავარი თემა?
2. რა შემთხვევაშია ამ თემაზე პირდაპირ საუბარი და რა შემთხვევაში — მინიშნებით?

პოეზიის თხრობითი ფორმით გადმოცემა

გალაკტიონის ლექსში ერთგვარად შეჯამებულია 15-საუკუნოვანი ქალაქის მძიმე ბრძოლებგამოვლილი ისტორია – მასში ცოტაა ნათქვამი, მაგრამ ბევრია ნაგულისხმევი. დაწერეთ არაუმეტეს სამაბზაციანი თხზულება, რომელშიც აღწერთ, თუ რის მოლოდინში იყო ქალაქი, რა ელობებოდა წინ საუკუნეების მანძილზე, რა არჩევანის გაკეთება უხდებოდა, რისი რწმენით საზრდოობდა. შეგიძლიათ, გამოიყენოთ სხვადასხვა ხასიათის სპეციალური ლიტერატურა.

ანალოგია

შედარებას ორ სხვადასხვა საგანს ან მოვლენას შორის იმ მიზნით, რათა ნათელი მოეფინოს ერთ-ერთს, ანალოგია ეწოდება. მისი დანიშნულება რომელიმე საგნის ან მოვლენის შესახებ მეტი გარკვეულობისა და სიცხადის გამოხატვაა.

წარმოდგენილ ლექსში რამდენიმე ისტორიული ანალოგიაა მოცემული. გამოყავით ისინი და აღნიშნეთ, რამდენად უწყობენ ხელს ეს ანალოგიები სათქმელის ნათელყოფას.

ენობრივი უნარები

ანტონიმები და სინონიმები

გალაკტიონის ლექსიდან ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე სიტყვა, რომელსაც უნდა მიუწეროთ სამიდან ერთ-ერთი – სინონიმური ან ანტონიმური სიტყვა. თუ რომელი უნდა შეარჩიოთ, ამაზე მიანიშნებს პირველი წყვილი: მაგალითად:

წარსული – აწმყო; სიბერე – ...

ა) ნამყო, ბ) ახალგაზრდობა, გ) სიმძიმე.

სამი ვარიანტიდან უნდა შეარჩიოთ სიტყვა „ახალგაზრდობა“, რადგან პირველ წყვილში ანტონიმებია მოცემული: წარსული – აწმყო.

1. მომავალი – აწმყო; წინამორბედი – ...

ა) მყობადი, ბ) შთამომაელობა, გ) წინაპარი.

2. ბრმა – ესინათლო; ყრუ –

ა) სმენაწართმეული, ბ) ხელი, გ) უგუნური.

3. ღმერთი – უფალი; განგება – ...

ა) ბუნება, ბ) ბედისწერა, გ) შემოგარენი.

4. შენდობა – მიტევება; ხსოვნა – ...

ა) გამოთხოვება, ბ) თაყვანისცემა, გ) მოგონება.

5. ტყე – უდაბნო; ფონი –

ა) ზღვა, ბ) ჩქერი, გ) ნაკადული.

ბიოგრაფია

ომარ ხაიამი

(1048–1131 წ.წ.)





დიდი სპარსელი პოეტი და მოაზროვნე, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი და ექიმი ომარ ხაიამი დაიბადა ხელოსნის ოჯახში ხორასანის მახლობლად ქალაქ ნიშაბურში, რომელიც XI საუკუნეში აღმოსავლური სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. მკვლევრები საკუთარ სახელ „ხაიამში“ ერთგვარ ინფორმაციას კითხულობენ: ესაა არაბული სიტყვა, რაც „კარვის მკერავს“ ნიშნავს, თუმცა გაურკვეველია, თავად იყო ამ ხელობისა, თუ თავისი წინაპრებისაგან მიიღო „გვარად“.

მსოფლიო მწერლობამ ომარ ხაიამი მხოლოდ XIX ს-ის შუა წლებში აღმოაჩინა ინგლისელ ედუარდ ფიტცჯერალდის თარგმანთა მეშვეობით – ეს პიროვნება ინგლისურენოვანი სამყაროს ერთ-ერთ უპირველეს პოეტადაა მიჩნეული ომარ ხაიამის „წყალობით“. არგენტინელი მწერალი ლუის ბორხესი ერთ მცირე მოცულობის ესეში ასე წერს: ედუარდ ფიტცჯერალდის პიროვნებაში ერთ მშვენიერ დღეს ომარ ხაიამის სული „ჩასახლდა“ და ინგლისურად აამეტყველაო. ეს, ალბათ, ყველაზე მართალი, ყველაზე ჭეშმარიტი მისტიკური მოსაზრებაა მათ შორის, რაც კაცობრიობის ისტორიაში მრავალად შეუქმნიათ სპირიტიზმით შოაზროვნეებს. ფიტცჯერალდმა, რომელზეც ვერავინ იტყვის, იცოდა თუ არა სპარსული ენა იმ დონეზე, რომ რობაიები ინგლისურ ენაზე გადმოელო, თარგმნის პარადოქსულ ხერხს მიმართა: იმისათვის, რომ დაუახლოვდე დედანს, უნდა დაშორდე მას. ამიტომ მისი თარგმანები თავისუფალი ხასიათისაა და ამგვარ აზრს ტოვებს მკითხველში: ომარ ხაიამი ინგლისელი რომ ყოფილიყო, სწორედ ასე დაწერდა.

ომარ ხაიამის მამა არცთუ მდიდარი კაცი იყო, მაგრამ შვილის მედრესეში[1] აღზრდა მაინც შეძლო. იქ მას ძირითადად საღვთო წიგნს, ყურანს[2] და, ნაწილობრივ, მეცნიერების სხვადასხვა დარგს ასწავლიდნენ. ლექციები არაბულ ენაზე იკითხებოდა, არაბულადვე იწერებოდა ყველა მეცნიერული შრომა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ომარ ხაიამმა მათემატიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, გეოლოგია, ასტრონომია, მედიცინა და მუსიკა დამოუკიდებლად შეისწავლა. იმ დროს არაბულ ენაზე თითქმის ყველა ბერძენი მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის შრომები იყო თარგმნილი; წინა და შუა აზიის მუსლიმანებმა ინდურ მათემატიკასა და ასტრონომიასაც მიაღწიეს და ამ ორი ნაკადის შერწყმამ წარმოშვა ნიჭიერი მათემატიკოსების თაობები, რომელთა შორის ომარ ხაიამს ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს.

ჯამთა სიაეის, ომიანობისა და არეულ-დარეულობის გამო ოცდაერთი წლისა სამარყანდში გადასახლდა, სადაც რამდენიმე მათემატიკური ნაშრომი გამოაქვეყნა. ამ ხანებში იგი მწარედ უჩიეის ბედს, უსახსრობას, ადამიანთა გაუტანლობას. 1074 წელს ისპაჰანში კეთილმოწყობილი ობსერვატორია გაიხსნა, სადაც მრავალი ცნობილი მეცნიერი მიიწვიეს, მათ შორის — ომარ ხაიამიც. მოგვიანებით, აესიტყვაობისა და მოშურნეების ბეზღების გამო, დერეიშის[3] მოსასხამში გაეხეია და წმინდა ადგილების მოსახილველად გაეშურა. ომარ ხაიამმა მექა და ბაღდადი მოინახულა. უკანდაბრუნებულმა მშობლიურ მხარეს მიაშურა და ხორასნის კარის ექიმი გახდა. აქ დაიწყო მან რელიგიური ტრაქტატებისა და, ამავე დროს, რობაიების წერა. თეოლოგიურ ნაშრომებში სწორედ იმას ამტკიცებდა, რასაც ლექსებში უარყოფდა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ომარ ხაიამმა მშობლიურ ქალაქში დაჰყო და, ეტყობა, ცხოვრებამ იმდენად ხელმომჭირნე, იმდენად სიტყვაძუნწი გახადა, რომ თანამედროვენი მისი ხასიათის უხიაგობას ჩიეიან, თუმცა რით უნდა ყოფილიყო კმაყოფილი მარტოხელა სული, რომელსაც არც ღვაწლი დაუფასდა და ვერც ხსნის ის გზა იპოვა, რომლისკენაც ახალგაზრდობიდანვე ისწრაფოდა?! ცხოვრება გაუფერულდა, გაუგემურდა, გაქრა ყველა ის წვრილმანი, რითაც კაცი თავს ირთობს, უფრო სწორად, იტყუებს და დარჩა გაშიშვლებული, მძიმე ტვირთად ქცეული სიმართლე, რომლის არც ყველასთვის გამჟღავნება შეიძლებოდა და არც დამალვა.

ყველაფერი ის, რისი თქმაც თეოლოგიურ და ფილოსოფიურ ტრაქტატებში არ შეიძლებოდა, რაც აწვალებდა და აეჭვებდა, რაც მის

---

[1] მედრესე — მუსულმანთა რელიგიურ-საგანმანათლებლო სასწავლებელი.

[2] ყურანი — მუსულმანთა საღვთო წიგნი, რომლის ავტორობაც ალაჰის, დმერთის მოციქულს — მუჰამედს მიეწერება.

[3] დერეიში — მოხეტიალე მომლოცველი, წუთისოფლის უარმყოფი.

ღრმა ფიქრებთან და პირად განცდებთან იყო დაკავშირებული, ომარ ხაიამმა დიდი პოეტური სიცხადით გამოხატა რობაიებში. პოეზია იყო ის წალკოტი, რომელსაც გაჭირვების ჟამს აფარებდა თავს.

ომარ ხაიამი გარდაიცვალა 1131 წლის დეკემბერს ქალაქ ნიშაბურში. როგორც მემატიანენი გვაუწყებენ, პოეტმა სული დალია დის ოჯახში, რადგან ცოლი არასდროს ჰყოლია, მემკვიდრე არ დარჩენია.

ომარ ხაიამი

რობაიები

(თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა)

1

არარაიდან წმინდა ვიშვით, ბილწად ვიქეციით,
ლაღნი მოვედით, ვინ დავმწუხრდით, ვინ წავიქეციით,
აღგვეცსო გულნი ცეცხლითა და თვალნი ცრემლითა,
ქარს გავატანეთ ცხოერება და მიწად ვიქეციით.

(ბიბლიის თანახმად, ღმერთმა ადამიანი მიწის მტვერიდან შექმნა და საცხოვრებლად მიუჩინა ედემში გაშენებული ბაღი. პირველი ცოდვის შემდეგ ადამიანმა დაკარგა ედემი და მოკედავი შეიქნა.)

2

რომ შემძლებოდა და დამეთრგუნა წერა და ბედი,
სურვილისამებრ იმ დაფაზე ახლად დაეწერდი,
მე ამ ქვეყნიდან აღმოვფხვრიდი დარდსა და ვარამს,
და ნებიერი თავს მეშვიდე ცამდე აეწევდი.

(გარკვეული წარმოდგენით, თითოეული ადამიანის ცხოვრების გზა მისი გაჩენისთანავე ბედისწერის დაფაზეა დაწერილი. ღვთისმეტყველების თანახმად, ზეციური სამყარო შვიდ ცად იყოფა.)

3

მარადისობას ვერ შევიცნობთ მძიმე წიგნებით,
ვერ გავიხარებთ ამოუხსნელ გზათა მიგნებით,
ჩვენ მარტოოდენ ფარდის მიღმა ემსჯელობთ და ვდავობთ,
და ოდეს ფარდა აიხსნება, აღარ ვიქნებით.

(ერთ-ერთი კომენტარის თანახმად, ფარდაში სიმბოლურად ადამიანის ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ არსებობას შორის გამყოფი ზღვარი იგულისხმება.)

4

ბაგით დაეწვდი დოქის ბაგეს, ბაგე გადაეიბადაგე,
დღეგრძელობას ვეძიებდი, ჟამთა სრბოლით დაეიდაგე,
დოქმა მითხრა საიდუმლოდ: მომაგებე ბაგეს ბაგე,
ქვეყნად განა კიდევ მოხვალ, დალიეო, რას ქადაგებ.

(აქ ბადაგი ღვინის სინონიმადაა ნახმარი. მთარგმნელი ლექსის მუსიკალური ღერადობისთვის იყენებს ამ სიტყვას.)

5

ღვინის ხელადას არაეისთვის მოაქვს ზარალი,
ჩქარა დამისხი, შენც დალიე, ცდის დრო არ არი,
მოვასწროთ მანამ, სანამ ჩვენი მიწის მტვერიდან
დოქს გააკეთებს ეს საწუთრო, გზად მიმაეალი.

(აქაც მინიშნებაა ღეთის მიერ ადამიანის მიწის მტვრიდან შექმნაზე და სიკვდილის შემდეგ ჭურჭლის ფორმად – დოქად მოვლინებაზე.)

6

მზე, მუდმივ რომ ცაზე ბრწყინავს, სიყვარული ის არის,
ნაკურთხ ველზე ჩიტი ფრინავს, სიყვარული ის არის,
ბულბულების მოთქმა-გმინვა განა სიყვარულია,
რომ კედები და არა გმინავ, სიყვარული ის არის.

(ამ რობაიში დარღვეულია ბულბულის, როგორც სიყვარულისთვის მგალობელი ფრინველის, ტრადიციული აღმოსაელური სახე და სიყვარულზე პოეტის შეხედულებაა გადმოცემული.)

7

ჩამოთავდა ყრმობის წიგნი ისე, როგორც წყალი,
აფსუს ნორჩი გაზაფხული, სიჭაბუკით მთერალი,
ან ის მტრედი რაღა იქნა, ბალღობა რომ ერქვა,
აფსუს, ისე გამიფრინდა, ვერც მოეკარი თვალი.

(პოეტი ყურადღებას ცხოერების წყალიეით მსწრაფლწარმაელობაზე ამახეილებს.)

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. პირველი რობაი: რატომაა ადამიანი არარადან წმინდად ნაშობი? რატომ იქცა იგი ბილწად და მიწად?

2. მეორე რობაი: რატომ სურს ავტორს დარდისა და ვარამის ამ ქვეყნიდან ალმოფხვრა?

3. მესამე რობაი: პოეტის აზრით, შეიძლება თუ არა ადამიანმა მარადისობა შეიცნოს?

4. მეოთხე რობაი: რას ეძებდა ავტორი ბადაგის სმაში?

5. მეხუთე რობაი: რატომ არ მოაქვს ღვინის ხელადას არავისთვის ზარალი?

6. მეექვსე რობაი: რა არის და რა არა, პოეტის აზრით, ჭეშმარიტი სიყვარული?

7. მეშვიდე რობაი: რასაა შედარებული ადამიანის ბალღობა, სიყრმე?

გააანალიზეთ

8. რა საერთოა პირველ სამ რობაის შორის ადამიანის ამქვეყნიური ყოფნისა და მისი წარმავლობის გააზრების კუთხით?

9. რა დანიშნულება აქვს ადამიანისთვის ღვინოს და რაში ეხმარება იგი მას?

10. როგორ უკავშირდება მეშვიდე რობაი პირველს და რა განწყობას გადმოცემს?

11. რატომ გმინავდა მექოთნის ფეხქვეშ მიწა და რისი სიმბოლოებია, ერთი მხრივ, მექოთნე და, მეორე მხრივ, მიწა?

განაზოგადეთ

12. შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგ'ში პოემის გმირებზე წერს: „გარდახდეს, გაელეს სოფელი, – ნახეთ სიმუხთლე ჟამისა! – ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა“. ომარ ხაიამი თავის რობაიში ამბობს: „ან ის მტრედი რაღა იქნა, ბალღობა რომ ერქვა, აფსუს, ისე გამიფრინდა, ვერც მოვკარი თვალი“. რაზეა ამ ორი შემოქმედის პოეტურ სტრიქონებ'ში საუბარი და როგორაა გააზრებული ადამიანის არსებობა, წუთისოფელი?

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

რობაი

რობაი ოთხსტრიქონიანი ლექსია, რომელიც გარითმვის გარკვეულ წესსა და თავისებურ კომპოზიციას მოითხოვს. ეს ფორმა ხალხური წარმოშობისაა და სპარსულ-ტაჯიკურ კლასიკურ პოეზიაშიც, განსაკუთრებით კი XI საუკუნიდან, თითქმის ყველა პოეტთან გეხვდება (რობაიათი რობაის მრავლობითი რიცხვის ფორმაა და ამ ჟანრის ლექსთა კრებულის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარება). რობაის სტანდარტული რითმული სქემაა ააბა.

თავისი შემოქმედებისათვის ომარ ხაიამმა რობაის ფორმა არჩია. მისი რობაიები ხასიათდება სისადავით, უაღრესი ლაკონურობითა და აზროვნული სისავსით. რობაის რითმა ხან მაჯამერია, ანუ სტრიქონები ერთნაირი ბგერწერისა და სხვადასხვა შინაარსის სიტყვებით ბოლოედება, ხან მხოლოდ სამი სტრიქონია გარითმული. რობაის პირველ ორ ტაეპში მოცემულია წანამძღვარები, ხოლო მომდევნოებში – დასკვნები და მორალური ან ეთიკური სენტენციები.

1. წარმოდგენილი რობაიებიდან რომლებშია დაცული რობაის სტანდარტული რითმული სქემა – აააბა?

2. როგორი რითმული სქემითაა ნათარგმნი მოცემული რობაიებიდან ერთ-ერთი მათგანი?

3. მოკლედ ჩამოაყალიბეთ, მოყვანილი რობაიების თანმიმდევრობით თუ როგორაა ადამიანის ცხოვრება წარმოდგენილი, რა პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებული.

კომენტარი მკითხველს

ომარ ხაიამის რობაიების ქართული თარგმანები.

ომარ ხაიამი საქართველოში ევროპიდან გაიცნეს. არადა, შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურა მჭიდროდ უკავშირდებოდა სპარსულ პოეზიას. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ საქართველოშიც ნაკლებ წყალობდნენ ლირიკას. გავიხსენოთ შოთა რუსთაველის მიერ „ეეფხისტყაოსნის“ პროლოგში გამოთქმული მოსაზრება, რომ მოშაირედ ვერ ჩაითვლება „ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი“ ლექსების მთქმელი პოეტი. შუა საუკუნეების ქართული სინამდვილე ნაკლებად იცნობდა ისეთ მგოსნებს, როგორებიც იყვნენ თუნდაც საადი, ჰაფეზი, ჯამი და სხვები. ჩვენში ეპიკური ჟანრი უფრო იყო მიღებული.

ომარ ხაიამის რობაიების თარგმნა საქართველოში XX საუკუნეში დაიწყეს და იმთავითვე მკითხველისთვის დიდ აღმოჩენად იქცა. ხაიამის ლექსებში გამოთქმული ფილოსოფიური შეხედულებები თუ ღვინისა და სიყვარულის კულტი შეეთვისა ამ ქვეყნის ამაოებაზე ქართველი კაცის მსოფლმხედველობას, მისწრაფებებს, სიცოცხლის წყურვილს, ერთგვარი

ბოჰემური ცხოვრების წესს, ოღონდ წრფელი სიყვარულითა და ჭეშმარიტი ქართული მოლხენით გაჯერებული შინაარსით. ძნელად საგულვებელია სხვა ისეთი უცხოელი პოეტი, რომელსაც ქართველი მთარგმნელების ესოდენ დიდი ყურადღება დაემსახურებინოს: ამბაკო ჭელიძე, მაგალი თოდუა, თამაზ ჩხენ- კელი, ვახუშტი კოტეტიშვილი, გიგლა სარიშვილი, ნომადი ბართაია, ალექსანდრე ელერდაშვილი. შთაბეჭდილება კი ამ თარგმანების წაკითხვის შემდეგ ასე- თი რჩება: ხაიამი ქართველი რომ ყოფილიყო, ასე დაწერდა:

ა. ჭელიძე (1936 წ.)
რადგან არ არის, რაც რამ არის, ხელთ გარდა ქარის,
რადგანაც არის, რაც რამ არის, გახრწნილ-წამხდარის,
მიხვდი, რომ იგი, რაც კი არის, ქვეყნად არ არის,
შეიგნე, არსად რაც არ არის, ქვეყნად ის არის.

ვ.კოტეტიშვილი (1963 წ.)
ქვეყნად რაიმე, ქარის გარდა, არ არსებულა,
რადგან ყოველი დაქცეულა, არ აესებ'ულა,
არარსებული არსებულად ჩათვალე, ძმაო,
არსებული კი მიიჩნიე არარსებულად.

ალ.ელერდაშვილი (2005 წ.)
რადგან ქარია ყველაფერი, რაც კი რამ არის,
რადგან ყველაფერს ელის ხვედრი მტვრის და სამარის,
შენ მარადიულს წამიერად შეავლე თვალი
და ჩათვალე, რომ წამიერიც მარადჟამ არის.

ვ.კოტეტიშვილი (1963 წ.)
გუშინ ბაზარში ჩავიარე და მეცა ელდა,
მექოთნე ვინმე მიწას ფეხით უხეშად ზელდა,
გმინავდა მიწა: მეც შენსავით კაცი ვიყავი,
ფრთხილად, შენც მიწად გარდაგაქცევს სიმრავლე წელთა.

მ.თოდუა (2001 წ.)
ერთ ჩემს ნაცნობ მექოთნესთან
ვიყავ გუშინ დილას,
ჯერე მიწა მოთხარა და
მერე ფეხით ზილა.

უცებ ფეხქვეშ აუყვირდა
მიწა: „ჰეი, ძმაო,
მეც შენსავით კაცი ვიყავ
ერთ დროს, ცოტა ფრთხილად!“

გააანალიზეთ

აქ წარმოდგენილია ომარ ხაიამის ორი რობაის თარგმანი: პირველი შესრულებული სამი, ხოლო მეორე ორი მთარგმნელის მიერ.

1. რომელი ავტორის თარგმანი არ იცავს პირველი რობაის სტანდარტულ რითმულ სქემას – ააბა?

2. პირველი რობაის ბოლო ტაეპი ავტორებს ასე აქვთ გადმოტანილი: „შეიგნე, არსად რაც არ არის, ქვეყნად ის არის“ (ა.ჭელიძე); „არსებული კი მიიჩნიე არარსებულად“ (ე.კოტეტიშვილი); „და ჩათვალე, რომ წამიერიც მარადჟამ არის“ (ალ.ელერდაშვილი). როგორ გესმით ამ სტრიქონის შინაარსი და რომელი უფრო გასაგებად გადმოცემს წინა ტაეპში ჩამოყალიბებული წანამძღვრების დასკვნას?

3. შეეცადეთ შექმნათ პირველი რობაის თარგმანების გამოყენებით თქვენეული ვერსია.

4. რამდენად შეესაბამება მეორე რობაის თარგმანები რობაის სტანდარტულ რითმულ სქემას – ააბა?

5. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ, რომ ტექსტის თარგმნისას მხოლოდ შინაარსობრივი სიზუსტეა დაცული, ხოლო სპეციფიკური სალექსო ფორმა არაა გათვალისწინებული?

დაავალებთ

1.დაწერეთ ესე – რა არის დღეს ომარ ხაიამის პოეზიაში აქტუალური?
2. ენახოთ, როგორ ჟღერს პოეტის ერთ-ერთი რობაი სპარსულად :

ომარ ხაიამი

ინქუზე, ჩუ მან აშეყეზარი ბუდ ასთ,
დარ ბანდე სარე ზოლფე ნეგარი ბუდ ასთ.
ინ დასთე, ქე დარ გარდანე უ მიბინი,
დასთისთ, ქე დარ გარდანე იარი ბუდ ასთ.

თარგმანები:

ეს სურა, ისე ვით მე, ოდესღაც მწველი სიყვარულით
განმსჭვალული მიჯნური იყო;

იგი ტურფა თავის ზილფისკენ მორჩილებით გადახრილიყო.
ხელი, რომელსაც ხედავ სურის ყელზე ასე ნაზად მოხვეულს,–
საყვარელი არსების ყელს არაერთხელ მოჰხვევია იგი.
(იუსტინე აბულაძე)

ეს დოქი ერთხელ ტრფობას იყო ჩემებრ ჩვეული,
ხუჭუჭი თმისთვის იყო მუდამ გონდაბნეული,
იმისი ხელი, დოქის ყელზე ახლა რომ ხედავ,
ასევე იყო სატრფოს ყელზე შემოხვეული.
(ამბაკო ჭელიძე)

ეს დოქი, ალბათ, სიყვარულით დამწვარა ერთ დროს,
ეს თავი, ალბათ, მას საყვარლის გულ-მკერდზე ედო,
ეს ხელი, ალბათ, მას მიჯნურის წელზე ეხვია,
ვაიმე, ასეთ ბედისწერას ვით უნდა ენდო.
(მაგალი თოდუა)

ერთ დროს ეს ჩემი ხელადა ალბათ ჩემსავით ღელავდა,
მზეთუნახავის ნაწნავი ბორკაედა ქცეულს ხელადა,
ხელი დოინჯად რომ უდევს, ასე არ ჰქონდა ძველადა,
მიჯნურის წელზე ეხვია ლაღად და უდარდელადა.
(ვახუშტი კოტეტიშვილი)


იუსტინე აბულაძის მიერ შესრულებულია პწკარედული თარგმანი. გამოიყენეთ ამბაკო ჭელიძის, მაგალი თოდუას და ვახუშტი კოტეტიშვილის პოეტური თარგმანებიც და შექმენით თქვენეული ვერსია, რომელშიც დაცული იქნება რობაის სტანდარტული რითმული სქემა.

ბიოგრფია

ედგარ ალან პო

(1809–1849 წ.წ.)





ამერიკელი მწერალი ედგარ ალან პო დაიბადა მსახიობთა ოჯახში ქალაქ ბოსტონში (მასაჩუსეტსის შტატი) 1809 წლის 19 იანვარს. მომავალი მწერლის მამა ჯგზო-უკეღოდ დაიკარგა, დედაც მალე გარდაეცვალა. აღსაზრდელად წაიყვანა მდიდარმა ვაჭარმა ალანმა და საკუთარი გვარიც მისცა. ბავშვობა რიჩმონდში გაატარა. 6 წლისა რომ შესრულდა, ოჯახი ინგლისში გაემგზავრა, სადაც ხუთი წელიწადი დაჰყო. ედგარი კერძო სკოლაში მიაბარეს.

ჩვიდმეტი წლისა ვირჯინიის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა; აქ დასრულდა მისი სიმაწვილის ბედნიერი დღეები. მამობილი დიდ სიძუნწეს იჩენდა. დაიწყო თამაში, ცოტა ფული რომ ეშოვნა, წააგო და კელავ ითამაშა ამოსაგებად, კელავ წააგო, კელავ ითამაშა. სასმელს მიეძალა და იგრძნო, რომ ეს დაღუპავდა. რეალური სამყარო მისთვის აუტანელი შეიქნა და ამიტომაც გაურბოდა მას. შეშლილობა ჩასაფრებოდა პოს და მან იცოდა ეს. ერთხელ უთქვამს, – მტრებმა ჩემი შეშლილობა სმას დააბრალეს და არა სმა შეშლილობასო.

როცა მამობილმა შვიტყო, რომ მისმა შვილობილმა ვალები დაიდო, უნივერსიტეტიდან გამოიყვანა. სამი თვის შემდეგ პომ მიატოვა მამობილის სახლი და ბოსტონში გაემგზავრა. აქ გამოაქვეყნა თავისი პირველი პოეტური კრებული, რასაც არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია. პო ნებაყოფლობით წავიდა ჯარში, სადაც ოთხი წელი დაჰყო. შემდეგ ბალტიმორში დასახლდა, სადაც მეორე კრებული გამოაქვეყნა. სწავლა სამხედრო აკადემიაში განაგრძო, რომელიც 1831 წელს მიატოვა. ცოტა მოგვიანებით ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად. წერდა მოთხრობებს, იყო თავისუფალი ჟურნალისტი. მისი

უდიდესი სურვილი იყო, ჰქონოდა საკუთარი ჟურნალი, მაგრამ საჭირო თანხა ვერსად გამოძებნა. ამ ხანებში იგი დასაბამს აძლევს დეტექტიურ მოთხრობას და ქმნის რამდენიმე შედევრს.

ნიუ-იორკში პო ხის სახლში ცხოვრობდა, რომელიც, სამწუხაროდ, დაინგრა, თორემ ერთ-ერთი უპოპულარესი სახლი იქნებოდა ამერიკაში. აქ დაწერა „ყორანი“, რომელიც გამოქვეყნდა 1845 წლის დასაწყისში; ლექსმა მკითხველის დიდი ყურადღება მიიპყრო.

ამ წლიდან იწყება პოეტის თანდათანობითი დაცემა. მცირედ შემორჩენილი შემოქმედებითი ენერგია, რაც კი ჰქონდა, დახარჯა და კელავ სასმელს მიეძალა. 1848 წელს მცირე ხნით რიჩმონდს ეწვია. გადმოცემით, აქ გამუდმებით სვამდა. ერთადერთი, რაც მწერალს არასოდეს დავიწყებია, იყო გაუნელებელი სურვილი, ჟურნალი ჰქონოდა. 1849 წელს კელავ რიჩმონდს მიაშურა, რათა საამისო თანხები ეშოვნა. ლექციებს კითხულობდა რიჩმონდში, ნორფოლკში. 27 სექტემბერს ბალტიმორისკენ გაემგზავრა. რა მოხდა იმ დღეებში, არავინ უწყის: პო ერთ ადგილას იპოვეს დაგდებული, ჭუჭყიანი, უგონო, სხვის ტანსაცმელში ჩაცმული. 7 ოქტომბერს წამოიყვირა, „ღმერთო, უშველე ჩემს ტანჯულ სულს!“ დაბოლოს, გაექცა იმ ქვეყანას, რომელსაც მუდამ გაურბოდა.

შარლატანი, პლაგიატი, მატყუარა, ეგოისტი, მოწუწუნე ბავშვი, ტრაბახა, გამოუსწორებელი ლოთი – ასე ახასიათებდნენ ედგარ პოს თანამედროვენი, მაგრამ მან მაინც შეძლო ის, რის გაკეთებასაც მანამდე ორიოდე ამერიკელი მწერალი ამაოდ ცდილობდა: მან დაცალა ქვეცნობიერის მარაგი და გაათავისუფლა უცნაური და საშინელი ხედები, რომლებიც იშვიათად თუ ჩნდებოდნენ ნაბეჭდ გვერდებზე. პოს შემოქმედებაში ფანტასტიკური, ჩვეულებრივი, რეალური სამყაროს კანონებსაა დაქვემდებარებული. ლექსების ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი ტაეპთა სიმწყობრე, სიმეტრია, პროპორციულობა და ჰარმონიაა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება რიტმსა და მელოდიურობას, რომლის დროსაც დახვეწილი ოსტატობითაა წარმოდგენილი ცხოვრების უაზრობის მძაფრი შეგრძნება, ადამიანური სევდის თემა.

საქართველოში პოს შემოქმედებას ადრიდანვე იცნობდნენ. ქართულად მისი მოთხრობა „შაივი ჭირის მასკა“ 1886 წელს გამოქვეყნდა (ირ. რეჟიშვილის თარგმანი). არაერთხელ ითარგმნა მისი ლექსი „ყორანი“ (პირველად თარგმნა ვაჟა-ფშაველამ 1906 წელს; შემდეგ სხვებმაც: ა.შანშიაშვილმა, კ.ჭიჭინაძემ, ფ.ბერიძემ, გ.ნიშნიანიძემ). 20-იან წლებში გალაკტიონ ტაბიძემ ედგარ პოს რამდენიმე ლექსი მიუძღვნა („საუბარი ედგარზე“,„ედგარი მესამედ“ და სხვ.). მის არაერთ ლექსს აქვს ეპიგრაფად პოს სტრიქონები წამძღვარებული.

დიდია პოეტის გაელენა ფრანგულ სიმბოლიზმზე, ისევე როგორც ფრანგი სიმბოლისტების დამსახურება პოს წინაშე მისი შემოქმედების სწორად ახსნისა და ფართო პოპულარიზაციისათვის. მაგრამ პოს შინაგან სულიერ სამყაროსა და ტკივილს მაინც ყველაზე უკეთ სიცოცხლის ბოლო წლებში მისივე ნათქვამი გამოხატავს: სასმელით ტკბობისადმი ლტოლვის გამო კი არ დავიღუპე ცხოვრება, რეპუტაცია და გონება, არამედ ეს იყო უიმედო ცდა, გაექცეოდი მტანჯველ მოგონებებს, დაუძლეველი მარტოობის შეგრძნებას და გაურკვეველი ბედისწერის წინაშე ძრწოლას.

ადამიანს, რომელსაც სურდა სევდას გაქცეოდა, ეწვია ბოროტად მზირალი ყორანი. რა ავბედითი მნიშვნელობა ენიჭება ლექსის დასასრულს ყორნის მიერ წარმოთქმულ ერთადერთ სიტყვას „აღარასდროს“?

ედგარ ალან პო

ყორანი

(თარგმნა ეანო ყვაელაშვილმა)

1.

ერთხელ, როცა იდგა ჟამი უკუნეთი შუაღამის,
მიეიწყებულ სიბრძნის წიგნთა კითხვამ სევდა არ მაკმარა;
ჩათვლემის პირს მყოფმა, ვგონებ, ანაზდად ხმა გაეიგონე, –
კაკუნის ხმა კარზე დუნე შემომესმა ჩუმად, წყნარად;
„სტუმარია, ალბათ, ეინმე, – ვთქვი, – მოსული აქ, ჩემს კარად;
მხოლოდ ეს და სხვა არარა“.

2.

აჰ, მე მახსოვს როგორც გუშინ, დეკემბერი იყო ქუში,
და ფარდაგზე ბუხრის შუქი მოცახცახე ლანდებს ქმნიდა;
არ მეღირსა გათენება, ეერც წიგნებში ვპოეე შეება, –
აღძრულ სევდის განქარეება იმ ქალწულის დაკარგეიდან, –
ეისაც, სხივმფენს, ანგელოზნი უწოდებენ ლინორს[1], წმინდანს, –
ბნელეთს წასულს ამ ქეყნიდან.

3.

მეწამული ფარდის რხეევამ, ამ იდუმალ ღამისთეევამ
უჩეულოდ ამაღელვა; დაეყეი რა შიშს და ვარამს,
რომ დამეცხრო ძგერა გულის, ვთქვი: „გეიანად აქ მოსული
სტუმარია მარტოსული, შემოსვლას მთხოვს, ბნელი ზარავს, –
თაეშესაფარს ითხოვს, ცდილობს განერიდოს ღამის წკვარამს, –
მხოლოდ ეს და არა სხვა რამ“.

4.

ეიწყე სულით გამხნეეება, ეჭვმაც თაეი მიმანება;
„სერ თუ მადამ, – შეეეედრე, – მომიტეეთ! – სამწუხაროდ,

---

[1] ლინორი – ქალის სახელია, იგიეე ლენორა, ელეონორა.

მომერია დაღლილს ძილი, კაკუნი კი თქვენი ფრთხილი
იყო ჩუმი, ძალმიხდილი, – და იმისთვის არ დამძრახოთ, –
რომ თქვენი ხმა ძლივს გაიგე“; გაეხსენ კარი მაშინ ფართოდ:
იქ წყვდიადი დამხვდა მარტო.

5.

წყვდიადს ეჭვრეტდი დაჟინებით, შეპყრობილი შიშით, გზნებით;
არნახულმა ზმანებებმა გამიტაცეს უტკბილესმა;
სიჩუმე კი არ დაირღვა, ნიშნადაც კი არა ითქვა;
მხოლოდ „ლინორ“? – ერთი სიტყვა, – ძლივს ჩურჩულით შემომესმა, –

6.

ეს მე ვთქვი და დამიბრუნა უკან ექომ უჩუმესმა
სხვა არარა, – მხოლოდ ეს ხმა.
როს მოვბრუნდი, მქონდა სული ერთიანად ანთებული;
მალე მესმა ისევ ის ხმა, – ამჯერად კი უფრო ცხადად;
ვთქვი: „კაკუნი მეორდება, ნეტავ სარკმელს ვინ აწყდება?
უნდა ენახო, იქ რა ხდება, – საიდუმლოს აეხსნა ფარდა,
რომ დამშვიდდეს ჩემი გული, უნდა ვნახო, რომ ჩემს კართან
არარაა, ქარის გარდა“.

7.

როს დარაბა გაეხსენ სრულად, გოგმან-გოგმან, დიდებულად,
შემობრძანდა მუნ ყორანი – გარდასულ დღეთ მონაბერი;
მცირე რიდიც კი არ აჩნდა, არ ისურვა წამით დაცდა,
ის მაშინვე აფრინდა და ლორდის, ლედის მსგავს იერით, კარის
თავზე მდგარ ათინას[2] ქანდაკს დაჯდა ვით ცერბერი[3],
დაჯდა და სხვა არაფერი.

8.

შავი ფრთოსნის ამგვარ ხლებამ ჩემს კაეშანს მისცა შეება;
იყო იგი დინჯი, ზრდილი, – თანაც მეტად მკაცრი ამ დროს;

---

[2] ათინა – სიბრძნის, ხელოვნების, ხელოსნობის, მიწათმოქმედების, წმინდა გონების, შეგნებული ნებისყოფის, მეცნიერებათა, სამართლის, ომისა და მშვიდობიანი შრომის მარად უბიწო ქალღმერთი, ზეცის უსაყვარლესი ასული. „თვალმოცისმციმე ათენა“ დასაბამიდან უნისლო ცის სპეტაკ ღვთაებად ითელებოდა.

[3] ცერბერი – იგივე კერბერი, ჰადესის ძაღლი, ქვესკნელის საზარელი გუშაგი, მრავალთავიანი ქოფაკი, სპილენძისხმიანი და ველური– თავები დუქიანი გველეშაპისა ჰქონდა, კისერზე გველები ეგრიხებოდა, კუდის მაგიერადაც გველი ება.

„ქოჩორშეჭრილს ჰგავხარ ვითომ, – ეთქვი, – თუმც მხდალი არ ხარ თვითონ, –
ძველთაძველო, ავბედითო! – მოარულო ღამის დარდო, –
რას გეძახდნენ შენ სახელად, – ბლუტონის[4] იმ ბნელ სამყაროს?“
მან დამჩხავლა: „აღარასდროს!“

9.

პირქუშ ყორნის ამ პასუხმა გამაოცა და მომნუსხა;
გაეიფიქრე, – ამ პასუხით ვინ რა უნდა მოიაზროს?
ნუთუ თქვენ არ მეთანხმებით, არსად არვინ ხვდება გზნებით
ფრინველს, მოსულს ღამის გზებით, – რომ ჭირს ჭირი მოგისართოს;
ქანდაკზე მჯდარ ყორნის ხილვა კაცმა ვით არ შეიცხადოს, –
მას თუ ჰქვია „აღარასდროს“.

10.

ყორანმა კი, მარტოდ მჯდომმა, სხვა რამის თქმა არ ინდომა;
თითქოს მან ამ ერთ სიტყვაში მთელი თვისი სული ჩადო;
იჯდა ასე გარინდებით, არ შეაკრთო შავი ფრთები;
ჩურჩულით ვთქვი: „მეგობრები გამიფრინდნენ იმ ძველ, კარგ დროს,
იმედივით ხვალ ხომ ისიც მიმატოვებს მარტოდმარტოს?“
მან მომიგო: „აღარასდროს!“

11.

ეს პასუხი ზუსტი გახლდათ, – ამიტომაც დაერჩი სახტად;
„უდაოა“, – ვთქვი, – ამ სიტყვით ის იღებდა სულის საზრდოს
უბედური ბატონიდან, ვინც მსახვრალი ბედის მხრიდან
ხშირ-ხშირ დარტყმებს ქედს უხრიდა; მერე კი ჟამს სამწუხაროს
დამარხული იმედის წილ გლოვის ჰანგად ამ საბრალოს
შერჩა სიტყვა: „აღარასდროს“.

12.

ყორანმა კი, როგორც ადრე, მწარე ფიქრი გამიბადრა;
მივდგი მის წინ და მივენდე რბილ სავარძელს სანეტაროს;
ჩავეფლე რა ხავერდ-ხალში, გაეუყარე თვალი თვალში,
ფიქრი ფიქრებს მიჰყვა კვალში, – საოცნებო – საარაკოს,
და მიკვირდა, – ნუთუ რა სურს, ყორანმა რომ განაცხადოს
ამ ჩხავილით „აღარასდროს“.

---

[4] ბლუტონი – იგივე პლუტონი, იგულისხმება ჰადესი, ქვესკნელის ღმერთი, ზევსისა და პოსეიდონის ძმა.

13.

კვლავე თავსატეხს ჩაეულრმავდი, ხმა-კრინტს უკვე აღარ ეძრავდი;
ვიგრძენ, მზერა ცეცხლოვანი ყორანმა რომ გულს დამასო;
მომეძალა ფიქრთა ზვავი, ბალი'შს მყუდროდ მიედე თავი,
და ჭალ-შუქი მომნუსხავი მახსენებდა, – ჩემსა სატრფოს
ამ იისფერ ხავერდზე რომ დავანება მოენატროს, –
ეულარ შეძლებს, ეულარასდროს!

14.

უხილავმა საკმეველმა მაშინ თითქოს იწყო კმევა;
სერაფიმთა[5] ნაბიჯების ხმაც გაისმა ნოხზე ამ დროს.
„შე ბედ'შავო! – თავს შევძახე, – ნულარ დაგდევს სივაგლახე,
განი'შორე სატრფოს სახე! – დავიწყების სასმისს ამოს
ღმერთი გიძღვნის და შენც შესვი, – რომ აწ ხსოვნამ აღარ გზაფროს!"
მან დამჩხავლა: „აღარასდროს!"

15.

ვთქვი: „უთუოდ ხარ მისანი, ეშმა იყო, გინდ ფრთოსანი!
რა მაცდურმა, რა გრიგალმა გადმოგაგდო ამ სამყაროს?
ნაღველიანო, თუმც მედგარო, ამ უდაბურ ნაპირს მდგარო,
და სულეთის ბინადარო, – გთხოვ, მითხარი, ნუ მხდი სასოს:
ამბობენ, რომ გალაალში ბალსამონი[6] აღარ არსო?"
მან დამჩხავლა: „აღარასდროს!"

16.

ისევ ვუთხარ: „ხარ მისანი, ეშმა იყო, გინდ ფრთოსანი!"
ზეცასა და ღმერთს გაეედრებ, – ჩვენთვის ასე სათაყვანოს, –
მიპასუხე, ჩემი სულის, სევდით ასე გათანგული,
შორ ედემ'ში[7] გადარგული, ხომ ჩაეკვრის სანეტაროს,
შუქმნათ ქალწულს, წმინდა ლინორს, – რომ სულს სული შეეზარდოს?"
მან დამჩხავლა: „აღარასდროს!"

---

[5] სერაფიმი – ბიბლიის მიხედვით, ერთ-ერთი ციური ქმნილება, ანგელოზი, რომელიც უფალთან არის ზეცაში.

[6] გალაალში ბალსამონი – დამამშვიდებელი ნაღები, დამზადებული გალაალში, პალესტინის რეგიონში; ტანჯვისგან შემსუბუქება.

[7] ედემი – ღმერთის მიერ შექმნილი ბაღი, სადაც, ბიბლიის მიხედვით, უფალმა ცოდვამდელ ადამსა და ევას მიუჩინა ადგილი.

17.

„დე, ამ სიტყვით, – მე აღმომხდა, – განშორება ჩვენი მოხდეს!
დაუბრუნდი ქარიშხალს და ბნელით მოცულ შენს სამყაროს!
და სიცრუის აქ დასტურად შენს შავ ბუმბულს ნუ დასტოვებ!
ნუღარ მირღვევ სიმარტოვეს, – მოშორდი ჩემს საბინადროს!
მკერდს ნისკარტი ამარიდე, – ვინძლო გული აღარ მღადროს!“
მან დამჩხაველა: „აღარასდროს!“

18.

და ყორანი აღარ იძვრის, ისევ იქ ზის, ისევ იქ ზის,
ფერმკრთალ ქანდაკს ჩუმად მჯდარი აღარ არხევს ბუმბულ-სამოსს;
და მწველ თვალთა მიმზერს წყვილი, ეით დემონი წარწყმედილი,
და მან ჭაღქვეშ შავი ჩრდილი მოლივლივე ზოლად გასდო,
და იმ ჩრდილით ჩემი სული რაც არ უნდა შეეცადოს, –
ვერ აღსდგება, ვეღარასდროს!

ფიქრი და დისკუსია

გაიაზრეთ და გააანალიზეთ

1. რის დაგიწყებას ცდილობს ავტორი?

2. როგორ გამოხატავს პოეტი პირველ რეაქციას ყორნის მიმართ? როგორ იცვლება ეს რეაქცია?

3. ყორნის მიერ ნათქვამი ერთადერთი სიტყვაა „აღარასდროს“. რა ეფექტს ახდენს ეს სიტყვა ავტორზე?

4. წაიკითხეთ X სტროფი – რატომ ეუბნება ავტორი ყორანს, დატოვოს იგი? რატომ რჩება ავტორი მწუხარე ლექსის დასასრულს?

5. როგორ ფიქრობთ, ლექსში ედგარ პოს პოეტური ხილვაა გადმოცემული თუ პოეტური ხედვა? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

1. პოეზიის გააზრება. უილიამ ვორდსვორსის თანახმად, საუკეთესო პოეტი, პოეზია არის „სპონტანური, პირთამდე სავსე ძლიერი გრძნობებით“. რა ძლიერი გრძნობებია გადმოცემული „ყორანში“?

2. ბოლო რითმის აღქმა. ედგარ ალან პოს „ყორანს“ აქვს აშკარა ბგერობრიული მიმზიდველობა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ბოლო რითმების გამოყენება. ბოლო რითმას ადგილი აქვს ლექსის სტრიქონის დასასრულს. გადახედეთ სხვადასხვა სტროფს ან სტრიქონთა ჯგუფს და მოძებნეთ, რომელი სტრიქონები შეიცავენ ბოლო რითმას? რომელი სტრიქონები არ შეიცავენ ბოლო რითმას?

3. დაკვირვება შიდა რითმაზე. ბოლო რითმის გარდა, „ყორანში“ შიდა რითმებიცაა. შიდა რითმა არის რითმა სტრიქონში. მაგალითად, პირველი სტროფის მესამე სტრიქონში „ეგონებ“ და „გავიგონე“ რითმაა. მიუთითეთ, კიდევ რომელი სტრიქონები შეიცავენ შიდა რითმებს?

4. ალიტერაცია და კონსონანსი. ედგარ ალან პო იყენებს ისეთ ბგერით ჟღერადობას, როგორიცაა ალიტერაცია და კონსონანსი. ალიტერაცია ერთი და იმავე ან მსგავსი თანხმოვანი ბგერების გამეორებაა სალექსო სტრიქონების დასაწყისში. მაგალითად, ფრაზაში „სულის საზრდოს“ -ს- თანხმოვანია გამეორებული. კონსონანსი არის გამეორება თანხმოვანი ბგერებისა სიტყვათა შუაში ან ბოლოში. ალიტერაციაც და კონსონანსიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მნიშვნელოვან სიტყვებზე ყურადღების მისაქცევად ან ბგერათა ჟღერადობისათვის განსაკუთრებული

მნიშვნელობის მისანიჭებლად. იპოვეთ ბგერათა აგებულების ორიეე სახეობის მაგალითები ქვემოთ მოცემულ სტრიქონებში:

ა) მეწამული ფარდის რხევამ, ამ იდუმალ ღამისთევამ;

ბ) კაკუნის ხმა კარზე დუნე შემომესმა ჩუმად, წყნარად;

გ) ყორანმა კი, მარტოდ მჯდომმა, სხეა რამის თქმა არ ინდომა.

ლექსში იპოვეთ ალიტერაციის კიდეე ორი სხეა მაგალითი.

5. ასონანსის აღქმა. ხმოვან ბგერათა გამეორება სალექსო სტრიქონში ცნობილია ასონანსის სახელწოდებით. ასონანსი აძლიერებს ლექსის მუსიკალობას, შინაარსის სიცხადეს. მაგალითად, გამეორება ი ბგერისა ფრაზაში „მიეიწყებულ სიბრძნის წიგნთა კითხვა"; ბგერა ი ხელს უწყობს შეიქმნას განმარტოების სურვილის განწყობილება. იპოვეთ ასონანსის ორი მაგალითი „ყორანში".

6. სიმბოლოს გააზრება. სიმბოლო არის პირობითი ნიშანი, სინამდვილისა და შესაძლებლის მისანიშნებლად ნახმარი სიტყვა. მაგალითად, თეთრი ფერი შეიძლება წარმოადგენდეს სიკეთეს ან სიწმინდეს. ედგარ ალან პო ყორანს სიმბოლოდ იყენებს. თქვენი აზრით, რისი სიმბოლოა ყორანი, ყორნის ახრდილი?

7. გამეორების ანალიზი. როდესაც მხატერულ ნაწარმოებში სიტყვა ან სიტყეათა ჯგუფია გამეორებული, ეს ნიშნავს, რომ მწერალი იყენებს გამეორებას. პოეტები მიმართაეენ გამეორებას იმისთვის, რათა ხაზი გაუსვან მნიშვნელოვანი აზრის სხვა აზრებთან კაეშირს, ან შექმნან ბგერითი ეფერადობის ეფექტი. იპოეეთ ორი მაგალითი სიტყვის გამეორებისა. ახსენით თითოეული მათგანის მიზანი.

ლექსიკური უნარების განვითარება

კონტექსტური კავშირის მიმოხილეა. ჩამოთელილი სიტყვები „ყორნიდანაა" აღებული. დაწერეთ თითოეულის მნიშვნელობა. მოუძებნეთ მათ სინონიმები, ჩაანაცვლეთ ისინი წინადადებაში და ისე გადმოწერეთ: შეება, გარინდებით, ზაფრისაგან, ჩხავილი, ბალსამონი.

წერითი უნარების განვითარება

1. ინტერპრეტაციის ახსნა. როგორ ფიქრობთ, ეინაა პასუხისმგებელი ყორნის სეედიანი შეტყობინებისა „აღარასდროს"? შეგიძლიათ იფიქროთ, რომ, ერთი მხრივ, ფრინეელია დამნაშაეე ამ მწუხარე გზაენილის გამო, მეორე მხრივ, პასუხისმგებელი შეიძლება იყოს ადამიანი, რადგან იგი სეამს კითხვებს, იცის რა, რომ პასუხი იქნება „აღარასდროს".

ერთ აბზაცში ჩამოაყალიბეთ თქვენი ინტერპრეტაცია ან თეალთახედვა და დაასაბუთეთ იგი.

წინასწარი მონახაზი. ხელახლა წაიკითხეთ „ყორანი“. გააკეთეთ დასკვნა იმის შესახებ, თუ ვინაა პასუხისმგებელი მწუხარე შეტყობინებაზე „აღარასდროს“. ჩაინიშნეთ მიზეზები, რატომ ფიქრობთ ასე. მოკლედ ჩაიწერეთ პასაჟები ან ციტატები, რომლებიც ამყარებენ თქვენს თვალსაზრისს. შენიშვნები ლოგიკური თანმიმდევრობით დაალაგეთ.

წერა. ნათლად ჩამოაყალიბეთ ლექსის თქვენეული ინტერპრეტაცია. გახსოვდეთ, რომ თქვენი თვალთახედვა უნდა გაამყაროთ სპეციფიკური მაგალითებითა და ციტატებით. დააბოლოვეთ წინადადებებით, რომელთაც დასკვნის სახე ექნებათ.

რედაქტირება. სთხოვეთ სხვას, წაიკითხოს თქვენი ნაშრომი და მიგითითოთ, თუკი მასში რაიმე ბუნდოვანია. თუკი ასეა, შეიტანეთ აუცილებელი ცელილებები აზრის ნათლად გადმოსაცემად.

2. პაროდიის დაწერა. პაროდია ლიტერატურული ნაშრომის იმიტაციაა. მისი მიზანი შეიძლება იყოს იუმორი, კრიტიკა ან შესხმა-შექება. დაწერეთ „ყორნის“ პაროდია. თქვენი პაროდია სასურველია იყოს სამი სტროფი მაინც.



ილია ჭავჭავაძე

(1837–1907 წ.წ.)
(აკაკი ბაქრაძის ნაშრომის მიხედვით)



ილია ჭავჭავაძის ცხოვრება, მთელი მისი შემოქმედება, საზოგადოებრივი მოღვაწეობა საქართველოსთანაა დაკავშირებული. სიყრმიდანვე ბედმა არგუნა, ყოფილიყო შემსწრე თავისი ერის ტკივილისა. არც პირადი საწუხარი მოჰკლებია. 1848 წელს გარდაეცვალა დედა, მარიამ ბებურიშვილი, რომელმაც ილიას წიგნი და ცოდნა შეაყვარა. მოუსვენარი დრო იყო მა'შინ. დაღესტნის მთებში დიდი ომი მიმდინარეობდა. ყვარელი არსებითად ფრონტისპირა სოფელი იყო. ზოგჯერ დაღესტნელები მასაც ესხმოდნენ თავს. ერთი ასეთი შემოჭრა 1850 წლის ივლისშიაც მომხდარა. ლეკთა 500-კაციანი რაზმი დილით 5 საათზე ყვარელში შემოვარდნილა. მოულოდნელობით გაოგნებული სოფელი ჯერ შეშინებულა და დაბნეულა, მაგრამ მერე, ილიას მამის, გრიგოლ ჭავჭავაძის მეთაურობით ყვარლელები გონს მოსულან, მტერს გამკლავებიან და სოფლიდან გაურეკავთ.

ცოლის ნაადრევმა სიკვდილმა, სიღარიბემ, სხვადასხვა ყოფითმა დაჟამ გრიგოლ ჭავჭავაძე მოტეხა. 1852 წელს იგი გარდაიცვალა. თითქოს საგანგებოდ უდარაჯებსო, სიკვდილი არ ეშვებოდა ჭავჭავაძეების ოჯახს. ორი წელიწადიც არ იქნებოდა გასული მამის მიცვალებიდან, რომ თავდამსხმელ ლეკებთან ბრძოლაში დაიღუპა ილიას უფროსი ძმა კოტე. მოურჩენელი ტკივილით იყო სავსე ილიას ყმაწვილკაცობა. მისი და და-ძმების ერთადერთი ნუგეში მამიდა მაკრინე იყო, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ობლებს უდედმამობა და სიდუხჭირე არ ეგრძნოთ.

როცა ილია თბილისში პირველად ჩამოიყვანეს, ქალაქი კარგაევდა აზიურ იერს და ევროპულ სახეს იძენდა. უკვე დაერქმიათ თბილისის ქუჩებისა და მოედ-

ნებისათვის სახელები. იმ პროსპექტის მშენებლობაც დაწყებული იყო, ახლა რუსთაველის სახელი რომ ეწოდება და მაშინ გოლოვინსკის ეძახდნენ. ქალაქი ნელ-ნელა ტოვებდა ძველ უბნებს და ახალში იკიდებდა ფეხს. თბილისის გიმნაზიაში ილია 1852 წელს შევიდა. აქ მას მაინცდამაინც თავგამეტებულად არ უსწავლია. მართალია, ბევრს კითხულობდა, მაგრამ არა სახელმძღვანელოებს. ეს დამახასიათებელია ყოველი ნიჭიერი ყმაწვილისათვის. მათი მაძიებელი და ცნობისმოყვარე გონება ვერ ეთვისება სქოლასტიკურ ასროვნებას. ისინი ეძიებენ ახალს, უჩვეულოს, უცხოს. ქალაქში გარკვეული კულტურული გამოცოცხლების მიუხედავად (აიგო და გაიხსნა საოპერო თეატრი, რომელიც საუკეთესო ნაგებობა ყოფილა რუსეთის იმპერიაში; ამოქმედდა ქართული თეატრიც; გამოსვლას იწყებს ქართული ჟურნალი „ცისკარი"), ილიამ 1883 წელს მაინც უარყოფითად შეაფასა ეს პერიოდი: „...დრო მე-40 და 50 წელთა, დრო მიძინებისა და ჩვენის გონებრივისა და ეროვნულის მიძინებისა, მოქანცულობისა. მწერლობაც ამგვარის მიმძინარებულის ხასიათისა გახლდათ მაშინ. იგი ზედმიწევნილის სინამდვილით გეიხატავს მაშინდებურს ჩვენს არარაობას, ჩვენს სილატაკეს აზრისას თუ ცხოვრებისას... მაშინ რომ ქართველისათვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, სიცოცხლეზედ ეფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ, – მაგის გარდა კიდევაო? – კიდევ სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ. – რას ეძახით სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლეო? – ისეო – გეტყოდნენ, რომ გაელა-გამოველა შეგეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკბობა, მზის ცქერაო და ჩვენის ჭიის გახარებაო... ერთის სიტყვით, ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატერა ჰქონდა, მხოლოდ იმაზე ჰფიქრობდა, რომ უნდა გავფთხილდე, თორემ სულს ხომ აღარა ეჩივი, ხორციითაც არ დავიღუპოო"...

ამ დროს და ამ ხალხმა ვერაფერი მისცა ილიას. სულ სხვა იყო მისი მოთხოვნილება. სულ სხვა მიზანს ისახავდა იგი. სულ სხვა ამოცანა უნდა გადაეწყვიტა:

ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

1857 წელს ილია პეტერბურგში ჩავიდა და ჩაირიცხა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, როგორც საკუთარ ხარჯზე მყოფი სტუდენტი. აქ მან საფუძვლიანი და მრავალმხრივი განათლება მიიღო, რაც გამოიყენა კიდეც პრაქტიკულ საქმიანობაში. ილიას პეტერბურგის პავა სწყენდა, რის გამოც დასნეულდა. თითქოს ავადმყოფობა არ კმაროდა, ილიას სხვა უბედურებაც დაატყდა თავს: 1860 წლის მაისში პეტერბურგში გარდაეცვალა ძმა – თემური.

ილია პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველი სტუდენტობის თავკაცად ითვლებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იმდროინდელ საერთო სტუდენ-

ტურ შფოთსა და ჯანყში ნაკლებად მონაწილეობდა. მისი მრწამსი ქართველი ახალგაზრდობის ცოდნისა და ენერგიის საკუთარი ქვეყნის სამსახურში ჩაყენება იყო.

60-იანი წლების დასაწყისში ილია ისე ბრუნდება საქართველოში, რომ სწავლის სრული კურსი ვერ დაამთავრა. მას უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა სამოქმედო პროგრამა, რომელიც ასე შეიძლება იქნეს წარმოდგენილი: ქართველი ერის დაცემული ვინაობის აღდგენა, ყველა ძალის ამ მიზნით გაერთიანება, ახალგაზრდობისათვის განათლების მიცემა.

1863 წელს დიდი ძალისხმევით ილიამ „საქართველოს მოამბის" პირველი ნომერი გამოუშვა. იმავე წელს ცოლად შეირთო საგურამოელი თავადის, თადეოზ გურამიშვილის ასული ოლღა. სხვადასხვა გარემოებათა გამო, ერთი წლის შემდეგ, მიყრუებულ დუშეთში გადავიდა მომრიგებელ მოსამართლედ, რადგან არსებობის სხვა წყარო არ ჰქონდა. ყოფითი საქმეების ძიება-გარჩევაში მიიზლაზნებოდა დღეები, მაგრამ თანდათან ახლოვდებოდა დრო, როცა მეგობრებმა უხმეს, რათა ეკისრა აუცილებელი და საჭირო საქვეყნო საქმეების მეთაურობა.

წარმოიშვა საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა, რომელიც დიმიტრი ყიფიანს მოუვიდა აზრად, თუმცა საქმე გაჭანჭყლდა. 1872-1874 წლებში ილიამ ამ მიზნით მოსკოვსა და პეტერბურგში მისულა-მოსვლას შეალია დრო და, როგორც იქნა, 1875 წელს ჩატარდა თბილისის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთა კრება და ბანკმა არსებობა დაიწყო, რაც მიწების შენარჩუნების აუცილებელი პირობა იყო.

1879 წელს ილიას უშუალო მონაწილეობითა და ძალისხმევით დაფუძნდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. 1885 წლიდან ვიდრე სიკვდილამდე ილია იყო მისი თავკაცი.

ამ პერიოდში ილია ახერხებდა მხატვრული ნაწარმოებების შექმნას თუ სხვადასხვა თხზულებათა თარგმნას, მაგრამ 80-იანი წლების მიწურულიდან თანდათანობით თავი გაანება პოეზიასა და პროზას, ძირითადი დრო პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივ სამსახურს დაუთმო. მისი ენერგია ძველებურად ამოუწურავი იყო, ადრინდებურად იბრძოდა და იღვწოდა. ერისა და ქვეყნის ამგვარი სამსახური უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა. თვლიდა, რომ არსებითი, რაც წყობილსიტყვაობათა და სადაგსიტყვაობით უნდა ეთქვა, უკვე თქვა.

როცა ილია ჭავჭავაძის ლირიკას თავიდან ბოლომდე გადავავლებთ თვალს, პირველი შეხედვით მოულოდნელი სურათი დაიხატება: მისი ჭაბუკობის პერიოდის ლექსები სავსეა უიმედო, სასოწარკვეთილი, სევდიანი განწყობილებით. მერე ეს იცვლება სატირული, მამხილებელი, მოურიდებელი დამოკიდებულებით, დაბოლოს, მთავრდება დინჯი, დაჯერებული, მტკიცე რწმენით. ჩვეულებრივ, ადამიანი აღტაცებული და იმედით

საესე იწყებს შემოქმედებით ცხოვრებას. მერე თანდათან იფერფლება ანთებული ცეცხლი, სიციე და სუსხი მატულობს. მოახლოებული სიბერე და სიკვდილი კი საბოლოოდ ნერგავს უსასოობის გრძნობას და ყველაფერს არარსებობის დამთრგუნველი აჩრდილი ეუფლება. ილიასთან კი პირიქით არის. ასაკმა და დრომ მხნეობა და იმედი უფრო განუმტკიცა, ეიდრე შიში და უიმედობა.

ილია ბუნებით აქტიური ადამიანი იყო, მისი ზღვა ენერგიის სასოწარკვეთის ჩარჩოში მოქცევა არაეითარ ძალას არ შეეძლო, თუმცა სინამდეილე, რომელშიც აღიზარდა და მოღვაწეობა დაიწყო, უპერსპექტივობის გარდა, სხვა გრძნობას ეერ გაუჩენდა. მრავალწლიან მონობას ქართეელი ხალხის სიმტკიცე გაეტეხა. იგი ქმაყოფილი იყო, რომ ფიზიკურად არსებობდა. რუსეთის იმპერიისგან თავდახსნის ყეელა ცდა (1804 წლის მთიულეთის ამბოხი, 1812 წლის ჯანყი გურიაში, 1832 წლის შეთქმულება) მარცხით იყო დამთავრებული. ასეთ სიტუაციაში ბუნებრივად უნდა გაჩენილიყო უსასრულო სეედის განწყობილება, მაგრამ პირიქით მოხდა. ამის საფუძეელი ილიას სამყაროში იდო.

თანდათანობით მკაფიოდ და ცხადად გამოიკეეთა, რომ ილია ძლიერი პიროენების მოტრფიალე იყო. მაგრამ რა ზნეობრივი იდეალი უნდა იყოს ძლიერი პიროვნების საზრდო? ადამიანს ორი გზა აქეს – ღეთიური და ეშმაური. ორიეე გზას ძლიერი პიროვნება ადგას, სუსტი არც ღეთიურის მიმდეარია და არც ეშმაურის, იგი არაფრობაა, რომელიც ესოდენ სძულდა ილიას. თუ ძლიერი პიროენება ღეთიურ გზას დაადგება, ქეეყანას ააშენებს, თუ – ეშმაურს, ქეეყანას დააქცეს. ამიტომ აქეს ზნეობრივ იდეალს განმსაზღერელი მნიშენელობა. ზნეობრივი იდეალი კი ილიასთეის საქმით მეტყეელი სულია, რომლის მამოძრაებელი ძალაც სიყეარულია. ასე რომ, ილიას ლირიკის გმირი ზნესრული ადამიანია ანუ საქმით მეტყეელი სული, რომელსაც სიყეარული უნათებს გზას ღეთაებრივის სამსახურში და რომელიც კატეგორიულად უარყოფს არაფრობას, როგორც ეშმაურის მოკავშირესა და საფუძეელს.

აწმყოს გარდაქმნას, მომავლის მომზადებას, ზნესრული იდეალის ძებნასა და მოლოდინს შეეწირა ილიას სიცოცხლე, მაგრამ როცა იგი წიწამურის ეელზე განგმირული დაეცა, თაეისი ცხოერების ძირითადი კითხეის – „მამულო საყეარელო, შენ როსღა აყეავდები“ – პასუხი მიღებული არ ჰქონდა.

სიჭაბუკისა ყვავილი
დამიჭკნო ჟამთა დენამა,
ნდომა მომაკლო, დამიგდო
სასაპყროდ გული რბენამა.

საბა ორბელიანი

მდინარევ, ჩემის მშობლიურ მთის ცრემლით შემდგარო!
აწ შენს კიდეზედ ვდგევარ, დაგცქერ მე, მეგობარო!
დაგცქერ ჭმუნვითა და შენს წყალში ვეძებ ჩემს წარსულს,
დროთა ბრუნვისგან შენ ზვირთთ შორის დამარხულს, დანთქმულს.
რაც კი არს ჩემ-წინ, მომაგონებს მას, რაც დაეკარგე
და რის წუხილიც უნუგეშოდ გულში ღრმად ჩაერგე!..
აგერ ის მუხა, რომლის ჩრდილ-ქვეშ ვისხედით ერთად
მე და ის, ვინცა აღმიჩნდა მე ცხოვრების ღმერთად. მუნით დაგცქერდით:
შენ გრგვინავდი აღელვებული,
ვით შენ ჰღელავდი – ისეც ჩვენში ჰღელავდა გული;
ორნიე გავსცქერდით დაუდგრომელ ზვირთთა დენასა,
მაგრამ მასში ჩვენ არ ვეძებდით შედარებასა.
რად გვინდოდა ჩვენ მომავალი, როს აწმყო ტკბილი
ისე შვენოდა, ვით უმანკო დილის ღიმილი?
მაგრამ წარიელტო წუთის შვება ჩვენის გულისა,
გაჰქრა სიბრმაენე აღტაცებულ სიყვარულისა!..
წამერთო ყველა· და წარვიდა ბედიც მღიმარი,
წარვიდა, ვითა მაშინდელი ზვირთი მდინარი...
შენც გამოცელილხარ, ალაზანო, მუხაც გამხმარა...
მეც უდროო-დროდ გამერია თმებში ჭაღარა...
სად არს ის ღმერთა, იგი გრძნობა, ის სიყვარული?
ყველა წარსულა, რად არ მიდის ხსოვნა ბედკრული!

ფიქრი და დისკუსია გაიაზრეთ

1. როგორი გრძნობით დასცქერის ავტორი მდინარე ალაზანს?

2. რა მოგონებებს უღვიძებს ილიას ალაზნის წყლის დინება?

3. რატომ არ ეძებდნენ პოეტი და მისი „ცხოვრების ღმერთი“ მდინარის დაუდგრომელ ზვირთებთან რაიმე შედარებას?

4. რით დასრულდა ასეთი უზრუნველობა, რა მოიტანა დრომ?

გააანალიზეთ

5. როგორ ფიქრობთ, რატომ უწოდებს მწერალი მდინარე ალაზანს „მშობლიური მთის ცრემლით შემდგარს“, ნასაზრდოებს? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

6. რაზე მიანიშნებს ალაზნის პირას მდგარი მუხის გახმობა?

7. რატომაა სიყვარული ბრმა?

განაზოგადეთ

8. როგორ უკავშირდება ერთმანეთს ეპიგრაფად წამძღვარებული სულხან-საბა ორბელიანის სტრიქონებში გადმოცემული შინაარსი და ლექსში გამოხატული ავტორისეული გრძნობები?

9. როგორ მიემართება ერთმანეთს „აღტაცებული სიყვარულის“ სიბრმავე და ცხოვრებისეული რეალობა, რომელიც წყლის დინებით, წარმავლობით გამოიხატება?

10. რა რჩება ადამიანში განელილი სიყვარულიდან და რატომ?

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

ლირიკული გმირი

ლირიკული ლექსი უსიუჟეტო ან მკრთალსიუჟეტიანი პოეტური ნაწარმოებია, რომელშიც გადმოცემულია შემოქმედის ცალკეული განცდა, გრძნობა, აზრი, განწყობილება, ოღონდ ეს ნაფიქრი და ემოციები არა მხოლოდ პირადული ასპექტით, არამედ განზოგადებულად, მსოფლმხედველობრივადაა ჩამოყალიბებული. ამგვარი ლექსის გმირი, უპირველესად, თავად ავტორია. საგულისხმოა ისიც, თუ როგორ გამოხატავს პოეტი კონკრეტულ განცდას და როგორი ესთეტიკური ღირებულება აქვს მის მიერ განცდილს.

1. რა მიუთითებს იმაზე, რომ ლექსის ლირიკული გმირი თავად პოეტია?

2. ლექსში ჩანს ჩაელილი სიყვარულისადმი ავტორის განზოგადებული მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულება, სევდიანი განწყობილება. როგორი შეპირისპირება და ხედეაა გამჟღავნებული ამ ლექსში?

კრიტიკული ფიქრი და კითხვა

დასკვნების გამოტანა

ლირიკული პოეზიის თქვენეული ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შეგიძლიათ გამოხატოთ საკუთარი დამოკიდებულება ადამიანის ულამაზესი გრძნობის — სიყვარულისა და ყოველიევეს წარმავლობის შესახებ.

ქვემოთ წარმოდგენილია დასკვნები, რომელთა გათვალისწინებითაც შეგიძლიათ ჩამოწეროთ თქვენი მოსაზრებები:

1. კონკრეტული საგანი ან ბუნებრივი მოელენა ხშირად ინახავს ადამიანის წარსულს.
2. აღელვებული მდინარე შეყვარებულების აღელვებულ გულებს ჰგავს.
3. შეყვარებული მხოლოდ აწმყოთი ტკბება, მომავლისკენ არ იყურება.
4. ადამიანის ბედი წარმავალია.
5. ხსოვნა, მოგონება ყოველთვის რჩება, იგი ადამიანის მუდმიეი თანმდევია.

ტექსტის ენობრივი გააზრება

სიტყვათა სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა

მრავალ სიტყვას ერთ მნიშვნელობაზე მეტი გააზრება აქვს. დაუკვირდით ილია ჭავჭავაძის ლექსიდან გამოყოფილ სიტყვებს და მიუთითეთ, თუ რომელი მნიშვნელობით იყენებს მათ ავტორი:

1. შემდგარი

ა) ზედ დამდგარი; ბ) შეჩერებული, გაჩერებული; გ) შედგენილი.

2. კიდე

ა) ნაპირი; ბ) ნათესაობითი ბრუნეის თანდებული; გ) ხელახლა, ისევ, კვლავ.

3. ბრუნვა

ა) რისამე ირგელიე ან თავის ღერძის გარშემო მოძრაობა; ბ) ცვალებადობა; გ) სახელის ფორმა.

4. დამარხული

ა) მიწას მიბარებული, დაკრძალული; ბ) შენახული, დაცემული; გ) საქეყნოდ შერცხვენილი.

ფიქრი და წერა

წერა ავტორის შესახებ

ილია ჭავჭავაძის ეს ლექსი 1859 წელსაა დაწერილი, როდესაც იგი 22 წლისა იყო. კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე, ზოგადად, შემოქმედთა შესახებ შენიშნავს: „ჩვეულებრივ, ადამიანი აღტაცებული და იმედით სავსე იწყებს შემოქმედებით ცხოვრებას. მერე თანდათან იფერფლება ანთებული ცეცხლი, სიცივე და სუსხი მატულობს“...

წერილობით გადმოეცით, თუ როგორაა ეს თვალსაზრისი გამოხატული ჭაბუკი პოეტის ლექსში. რით ახსნით მის ამგვარ სევდიან განწყობილებას?

ბიოგრაფია



რობერტ ბერნსი

(1759–1796 წ.წ.)



შოტლანდიის ეროვნული პოეტი რობერტ ბერნსი დაიბადა 1759 წლის 25 იანვარს ქალაქ ეირის მახლობლად ღარიბი ფერმერის ოჯახში. ბავშვობიდანვე მძიმე შრომაში ჩაება. გუთნის მანჭს სეირიანად ვერც კი სწვდებოდა, რომ კვალს მიჰყვებოდა და, მეზობელი გუთნისდედების წაბაძვით. დაბოხებულ ხმაზე აქეზებდა და ამხნევებდა ცხენებს.

რობერტ ბერნსს მძიმე სიყრმე ჰქონდა. მამამისს შვიდი შვილი ჰყავდა და არაადამიანური მუშაობით ჯანგატეხილს სიბერემაც მალე უყელა; ამიტომ ოჯახის მთელი ტვირთი უფროს ვაჟიშვილს, მომავალ პოეტს დააწვა. ბერნსი მწარედ იგონებდა სიყმაწვილეს: შორიდან ვინმე მწერალს იქნებ რომანტიკულიც მოენათნოს ჩემი ბავშვობა, მაგრამ მე კი სული მხდებოდაო.

საღამოობით დაღლილი მამა ჭრაქის სინათლეზე წერა-კითხვას და მარტივ ანგარიშს ასწავლიდა შვილებს. დედას შოტლანდიური სიმღერები და ხალხური ლექსები უყვარდა და პატარა დამაშვრალ ბერნსს ტკბილად ჩაძინებოდა ხოლმე დედის სიმღერაში. განათლებული და ჭკვიანი გლეხი ყოფილა პოეტის მამა. წიგნების კითხვა უყვარდა. ყოველნაირად ცდილობდა, შვილებისთვის განათლება მიეცა, თუმცა კი ეს მრავალშვილიანი ღარიბი კაცისათვის მეტისმეტად საძნელო იყო; მაინც მოახერხა და ორი ვაჟი, მომავალი პოეტი და მისი მომდევნო ძმა, სკოლაში მიაბარა. ერთ დღეს ერთი ძმა მიდიოდა ხოლმე სკოლაში, მეორე დღეს – მეორე, მონაცვლეობით, რადგან საკლასო სიაში ორივე ძმა ერთ მოწაფედ ირიცხებოდა და, როცა ერთი სწავლობდა, მეორე ყანაში მუშაობდა. ბედად, სკოლაში ერთი კარგი მასწავლებელი შეხვდა, თავადაც ახალგაზრდა კაცი, რომელმაც მომავალ პოეტს ლიტერატურა შეაყვარა.

ბერნსის პოეტური შემოქმედება და სამიჯნურო თავგადასავლები ერთდროულად ჩაისახა. თხუთმეტი წლისას ყანის მოზიარე გლეხის გოგონა შეუყვარდა და პირველი ლექსიც მას მიუძღვნა. ასე დაიწყო ჩემთვის სიყვარული და პოეზიაო, – მოგვიანებით წერს იგი; – როცა პირველი სიყვარული განვიცადე, რითმაცა და მელოდიაც ჩემი გულის გამოძახილად იქცნენ, – და იქვე დასძენს: ეჭვი არ მეპარება, უშუალო კავშირი არსებობს სიყვარულს, მუსიკასა და ლექსებს შორისო.

პირველი წიგნის გამოცემა ასევე სამიჯნურო შემთხვევამ დააჩქარა. ეს მოხდა 1876 წელს, როცა პოეტი 27 წლის იყო. ბერნსი შეხვდა ქალს, რომელიც მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. ეს იყო იშვიათი ხმისა და მუსიკალური სმენის პატრონი ლამაზი გოგონა, ჯინი არმორი. გადმოცემით, ჯინმა უამრავი ძველებური შოტლანდიური სიმღერა იცოდა და ბერნსი იმ სიმღერების მელოდიებზე თხზაედა თავის ახალ ლექსებს.

პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ ბერნსმა შოტლანდიის დედაქალაქში, ედინბურგში გადაწყვიტა გამგზავრება. იქ იმ დროს ლიტერატურული ცხოვრება დუღდა. ედინბურგში იყვნენ ცნობილი შოტლანდიელი მწერლები, მეცნიერები, ლიტერატურით დაინტერესებული პიროვნებები. სწორედ ამითვე უნდა აიხსნას, რომ პროვინციის პატარა ქალაქში მცირე ტირაჟით – 600 ცალად გამოსული კრებული შეუმჩნეველი არ დარჩენილა ედინბურგში. ახალგაზრდა ბერნსზე დედაქალაქშიც ალაპარაკდნენ. მისი შემოქმედებით იმდროინდელი ცნობილი შოტლანდიელი მწერლები დაინტერესდნენ და ახალგაზრდა პროვინციელი პოეტი დედაქალაქში მიიწვიეს. ბერნსი სულ მალე ედინბურგის ცხოვრების ცენტრში აღმოჩნდა. ყველას გასაკვირად, იგი განათლებული და ერუდირებული ჭაბუკი გამოდგა, სასიამოვნო მოსაუბრე და თანამეინახე, რომელსაც დახვეწილი მანერები და ნატიფი გემოვნება აღმოაჩნდა. სულ მალე იგი დიდი სალონების სასურველი სტუმარი შეიქნა. დიდებულთა ოჯახებმა სავალდებულოდ გაიხადეს ახალგაზრდა პოეტის საღამოებზე მიწვევა. ეს თითქოს მოდად იქცა.

ბერნსი თავის ლექსებს დინჯად და უბრალოდ კითხულობდა – არავითარი დეკლამაცია და ხელოვნურობა! მაგრამ ამ დროს საოცარი ძალა იგრძნობოდა მის ხმაში. კითხულობდა ლექსებს და ფანჯარაში იყურებოდა, სიერცეს გასცქეროდა, მსმენელებს ერთხელაც არ მოხედავდა..

მოგვიანებით ფეხდაფეხ მოიარა შოტლანდიის ჯერ სამხრეთი, მერე კი ჩრდილოეთიც. იქ იგი ცოცხლად ისმენდა ძველ შოტლანდიურ სიმღერებს, იწერდა მდიდარ ფოლკლორს, მოინახულა მრავალი ისტორიული ადგილი, რომლებიც თავისი ხალხის ძველ დიდებასა და დამოუკიდებლობისათვის გმირულ ბრძოლებთან იყო დაკავშირებული. ედინბურგში დაბრუნდა მტკიცე გადაწყვეტილებით – გამგზავრებულიყო მშობლი-

ურ სოფელში თავის მეუღლესთან და შვილებთან. პოეტმა კელაე გლეხის პაჭიჭები ამოიცვა და გუთანს ჩასჭიდა ხელი. თანდათანობით ცხოვრების პირობები დაუმძიმდა, ვალებშიც ჩავარდა. ზოგმა მოვალემ სასამართლოშიც კი აღძრა საქმე. საქეყნო სახელმა და დიდებამ ოდნავადაც ვერ შეუმსუბუქა ცხოვრება..

პოეტი მხურვალედ გამოეხმაურა საფრანგეთის დიდ რევოლუციას, რის გამოც ინგლისის მთავრობამ ბერნსის ფარული დევნა დაიწყო, რადგან მის გადასახლებას მოერიდნენ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტი დასნეულდა; ექიმებმაც მისი გადარჩენის იმედი გადაიწყვიტეს, მეგობრებიც ხედავდნენ, რომ პოეტის დღეები დათვლილი იყო; მაგრამ ფიზიკური დაუძლურების მიუხედავად, სულიერი სიმხნევე ბოლომდე შეინარჩუნა. გარდაიცვალა 1796 წლის იანვარში.

მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ ბერნსის ლექსიკის სიმდიდრეზე. შექსპირისა და მილტონის შემდეგ ინგლისურ ლიტერატურაში ყველაზე მდიდარი ლექსიკა ბერნსსა ჰქონია. პოეტი გაბედულად იყენებს შოტლანდიურ დიალექტს, ხალხურ გამოთქმებს, ბევრ ისეთ სიტყვას, რომელსაც მანამდე უფლება არ ჰქონდა,პოეზია დაემშვენებინა. ლექსიკის ასეთი სიმდიდრის მიუხედავად, არის რამდენიმე სიტყვა, რასაც რობერტ ბერნსი ძალიან ხშირად იმეორებს, მაგრამ ეს სულაც არ მოასწავებს მისი ლექსიკისა და პოეტური თემატიკის სიღარიბეს. ეს სიტყვებია: პატიოსნება, ნამუსი, ღირსება, კაცური კაცობა... ეს ისეთი ცნებებია, რომლებსაც პოეტი ადამიანის უმაღლეს სიწმინდედ თვლიდა და უმღეროდა. ამ კუთხით ბერნსი, როგორც ერისშვილი და პოეტი, განუყოფელია.

რობერტ ბერნსი

გული მთებისკენ მიიწევს

(თარგმნა გიგი გაჩეჩილაძემ)

1

გული მთებისკენ მიიწევს,
სტოვებს დაბლობის პირებს.
გული მთებისკენ მიიწევს,
დაედევნება ირემს,
დაედევნება მთის ირემს,
უნდა კვალდაკვალ მიჰყვეს,
გული მთებისკენ მიიწევს,
სადაც კი უნდა ვიყვე.

2

მშვიდობა მაღალ მთიანეთს,
და ჩრდილოეთის კარებს,
დიდი გმირობის სამშობლოს,
სახელოვანთა მხარეს.
სადაც კი უნდა ვიარო
უცხო ქვეყნების კარად,
თან მდევს მაღალი ქედების
მე სიყვარული მარად.

3

მშვიდობა მთებს და მყინვარებს,
მთების თოვლიან წვერებს,
მშვიდობა ხეებს, მშვიდობა
მწვანით დაფენილ სერებს,
მშვიდობა ტეერებს, კლდეებზე
გადმოკიდებულს ლაღად,
მშვიდობა მაღალ ჩანჩქერებს
და აჩქარებულ ნაკადთ.

4

გული მთებისკენ მიიწევს,
სტოვებს დაბლობის პირებს,
გული მთებისკენ მიიწევს,
დაედევნება ირემს,
დაედევნება მთის ირემს,
უნდა კვალდაკვალ მიჰყვეს,
გული მთებისკენ მიიწევს,
სადაც არ უნდა ვიყვე.

ფიქრი და დისკუსია

გაიხსენეთ

1. აღწერეთ ამ ლექსში წარმოდგენილი ბუნების სურათი.
2. რომელი ორი სტროფია სრულად გამეორებული?
3. რას ეთხოვება ბერნსი მეორე სტროფში?
4. პოეტისათვის რომელი მიმზიდველი ადგილებია ჩამოთვლილი ლექსის მესამე სტროფში?

გააანალიზეთ

5. რას გულისხმობს ბერნსი სიტყვებში: „გული მთებისკენ მიიწევს, სადაც არ უნდა ვიყვე“?

განაზოგადეთ

6. როგორ შეიგრძნობს პოეტი მთებს?
7. ბერნსი ამბობს: „სადაც არ უნდა ვიყვე“. რას გულისხმობს პოეტი სიტყვაში „სადაც“, როგორ ადგილს, გარემოს წარმოიდგენთ მასში?
8. წერილში „სად არის პოეზია“ ვაჟა წერს: „ეხედავთ კარგად, ბუნებას რომ თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი სად ექნება? მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს, მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრით აღემატება... ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებით და ნაკლით“.

როგორ მიესადაგება ეს სიტყვები რობერტ ბერნსის შემოქმედებას? იმსჯელეთ ამ საკითხზე.

9. „მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა“.

— ამბობს ვაჟა. ადამიანისა და ბუნების როგორი ურთიერთმიმართება ჩანს ვაჟასთან და როგორი რობერტ ბერნსთან?

კომენტარი მკითხველს

ბერნსი და მისი ხალხი

ლიტერატურული პარალელებისა და შედარებების მოყვარულნი რობერტ ბერნსის ხსენებაზე უსათუოდ ვაჟა-ფშაველასაც გაიხსენებენ ხოლმე და მაშინვე შეეცდებიან, მსგავსება მონახონ ამ ორ დიდ პოეტს შორის. ასეთი შედარების ერთგვარი საფუძველი მართლაც არსებობს; და არა იმდენად ის, რომ ორივე პოეტი მთის შვილია, არც ის არის მთავარი, რომ ორივეს განუყრელი თანამგზავრი სიღატაკე იყო და მთელი სიცოცხლის მანძილზე ცალ ხელში გუთანი ეჭირათ, ხოლო მეორეში – კალამი; დღენიადაგ ლუკმა პურისათვის ბრძოლა უხდებოდათ და მათი გაუტეხელი სული ერთი წუთითაც არ დამორჩილებია ბედს... შეიძლებოდა კიდევ ბევრი მსგავსების ჩამოთვლა, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. ყველაზე არსებითი ის არის, რომ ორივე პოეტის შემოქმედებას ერთი წყარო კვებავდა და ორივეს ქნარი ერთსა და იმავე თემას ემსახურებოდა.

ხალხი იყო რობერტ ბერნსის შთაგონების წყარო, ხალხისგან ჰქონდა მას შესისხლხორცებული არა მარტო თავისი ლექსებისა და ბალადების რიტმი, მოტივები, მსუბუქი იუმორი, სილაღე და უშუალობა, არამედ მთელი მსოფლმხედველობა, სამშობლოს დაუცხრომელი სიყვარული, მტრის სიძულვილი, პატიოსნება, კაცური კაცობა, ოპტიმიზმი და თავისუფლებისათვის თავდადება. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად დაასახელებთ პოეტს, რომელსაც ბერნსისოდენი მიეღოს ხალხისაგან და მისებრვე გაათკაცებული მიეზღოს მშობელი ხალხისთვის.

ეახტანგ ჭელიძე

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

გამეორება

გამეორება სიტყვებისა და ფრაზების გარკვეული წესრიგით გამოყენების მხატვრული ხერხია. იგი აზრს უსვამს ხაზს და აძლიერებს ემოციებს. ამასთანავე, ესაა განსაზღვრული პოეტური საშუალება, რომლითაც შემოქმედი ლექსის ჟღერადობას ქმნის. გამეორების სტილისტიკური ხერხით ბერნსი თხზავს სტრიქონს „გული მთებისკენ მიიწევს“, რომელიც სიმღერის ჰანგივით ჟღერს; ის, აგრეთვე, გამოკვეთს პოეტის იდეას. ბერნსი ლექსში არა მხოლოდ ერთ მთლიან სტროფს იმეორებს, არამედ გარკვეულ სიტყვებს, ფრაზებსა და რითმასაც. მაგალითად, სიტყვა „მთა“ ათჯერაა ნახმარი (ქართულ თარგმანში, ხოლო დედანში – რვაჯერ).

1. რომელი სიტყვები და ფრაზებია ამ ლექსში გამეორებული?

2. რა ეფექტი იქმნება ამ გამეორებით?

3. რომელი ფრაზა მეორდება ლექსში უფრო ხშირად?

როგორ ფიქრობთ, რატომ იმეორებს ასე ინტენსიურად პოეტი ამ ფრაზას?

დავალება

ვ. ჭელიძე ჩამოთვლის რამდენიმე მსგავსებას რობერტ ბერნსისა და ვაჟა-ფშაველას შორის და დასძენს, რომ შეიძლებოდა კიდევ ბევრი მსგავსების ჩამოთვლა, მაგრამ ეს 'მორს წაგვიყვანს.

მოიფიქრეთ, კიდევ რა მსგავსება შეიძლება მოიძებნოს ამ ორ პოეტს შორის და დაწერეთ ესე: რობერტ ბერნსი და ვაჟა-ფშაველა.

ენობრივი უნარები

აბსოლუტური და რელატიური სინონიმები

როგორც ცნობილია, სინონიმები განსხვავებული ბგერითი შედგენილობისა და მსგავსი ან იდენტური მნი'შვნელობის მქონე სიტყვებს ეწოდება. სინონიმებ'ში განარ'ჩევენ აბსოლუტურ (ზუსტ) და რელატიურ (არაზუსტ) სინონიმებს. ზუსტი სინონიმები იდენტური შინაარსისაა: ისინი, ჩვეულებრივ, ერთ საგანს მიემართებიან. მაგალითად: ბაგე — ტ'უჩი, დარდი — სევდა, კომში — ბია, უამრავი — ურიცხვი, ბებია — დიდედა. არაზუსტი სინონიმები შინაარსით მსგავსია, თუმცა არა იდენტური. მაგალითად: ლამაზი, ტურფა, მშვენიერი, კეკლ'უცი, მომხიბლავი.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე სიტყვა, რომლებიც რობერტ ბერნსის ლექსში სინონიმებად შეიძლება გამოიყენოთ: ტრფიალი, ფეხდაფეხ, ქარაფები, მიიღტვის, წოწოლა, ტყეები, სახელგანთქმული, გორა, ვაკე.

ტექსტ'ში მოძებნეთ ჩასანაცვლებელი სიტყვები, შეიტანეთ მათი სინონიმები და გაარკვიეთ, რომელია ზუსტი და რომელი არაზუსტი.

შემოქმედებითი პორტრეტი

ვაჟა-ფშაველა

(1861–1915 წ.წ.)

(გურამ ასათიანისა და მამუკა წიკლაურის წერილების მიხედვით)





არიან მწერლები, რომლებიც ლიტერატურიდან მოდიან ხალხთან, ლიტერატურის მიერ გარკვეულ პერიოდში შემუშავებული პრობლემატიკის, სახეების, მსატვრული წარმოდგენებისა და ფორმების, გამოხატვის სპეციფიკური საშუალებების სფეროდან იწყებენ მოძრაობას და ამ გზით უახლოვდებიან ხალხის ინტერესებს, ხალხის სულს, ლიტერატურაში აღმოცენებული იდეები და სახეები შეაქვთ ხალხში და მათი მეშვეობით ამყარებენ კონტაქტს მის სულთან.

ვაჟასთან ამ მხრივ საპირისპირო სურათია: იგი ხალხური პირველწყაროდან, ხალხური შემოქმედების წიაღიდან მიდის ლიტერატურამდე, ლიტერატურულ განზოგადებამდე.

მისი საყრდენი ნიადაგი ყოველთვის ხალხურია.

მწერლის შემოქმედების ასეთი მყარი და მთლიანი სალხური წარმომავლობა თითქმის უნიკალურია მთელ ქართულ მწერლობაში.

ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ილიას პირველ ძახილზე მოვიდა. ის მოვიდა, როგორც ერის უკვდავი ძარღვის ნაწილი, ძარღვისა, რომელიც თურმე ისევ ცოცხლობდა მაღალი ციხეების ნანგრევებში და ერისკაცების სულში.

ვაჟა-ფშაველა საომრად მოვიდა. მან, როგორც მისმა დიდმა თანამებრძოლებმა, იცოდა, რომ ეს ბრძოლა არაა სახელისათვის, დიდებისათვის, ნადავლისათვის. მან იცოდა, რომ ეს ბრძოლა სამშობლოსათვისაა. სამშობლოსათვის ბრძოლაში კი ჯილდო არ არსებობს. ეს ბრძოლა გულის მოწოდებით, მარადიული ადგილის დედის მოწოდებით იწყება.

განსაკუთრებულია ბუნების, მისი მოვლენების, მისი შვილების, სულიერი თუ უსულო საგნების განსახოვნება ვაჟას შემოქმედებაში, რადგან „თვით ბუნება

გვაძლევს საზომს სიკარგისა და ვარგისობისას“. სხვაგან პოეტი წერს: „ვხედავთ კარგად, ბუნებას რომ თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი სად ექნება? მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს, მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრით აღემატება... ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებით და ნაკლით“. იქვე უმატებს: „ყველაფერი, რასაც ბუნებრიობა ეტყობა... უსათუოდ პოეზიაა. ყველაფერს თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს, მიზეზი, გარემოება. მწერალს ეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბუნებრივს კანონს არ უმტყუნოს, წესიერება ბუნებისა დაიცვას – ისე უნდა გადმოგვცეს სურათი, რომ არა ვსთქვათ – ეს ყოველად შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგიაო“...

ვაჟას პოეზიის განუმეორებელი ხიბლი და ელფერი გამომჟღავნდა თითქმის ყოველ ჟანრში, მის მიერ შექმნილ ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში. ვაჟა იყო ჭეშმარიტი ნოვატორი, ახლის მაძიებელი და აღმომჩენი, მიუხედავად მისი შემოქმედების განუყოფელი კავშირისა ქართული კლასიკური ლიტერატურისა და ხალხური პოეზიის ტრადიციებთან.

ვაჟასთვის ქვეყანა აკაშკაშებულია დაულეველ ფერთა სიუხვით. მის ლექსებში მეორედაა გაცოცხლებული ყვავილები, ბალახები, ხეები, ჩიტები და ღრუბლებს სავსებით შენარჩუნებული აქვთ თავიანთი საღებავების პირველქმნილი სიხალასე. ვაჟა ერთნაირი აღტაცებით შეჰხარის ყოველიეს, რაც სიცოცხლის ნიშნით აღბეჭდილა, რადგან თვით სიცოცხლე, ბუნება მთელი თავისი ნაირფერობით მას მაღალი გონიერებისა და სიკეთის განსახიერებად წარმოუდგება.

1915 წლის ივლისს, თბილისის ცხელ ზაფხულს, წმიდა ნინოს სახელობის ლაზარეთში იწვა ვაჟა-ფშაველა – ბრძოლით დაღლილი, ავი ძალებისგან დაკბენილი, მოწამლული ისრებით დაჭრილი, სალაშქრო ცხენიდან ჩამოუსვლელი, მეომრის ცხოვრებით გატანჯული კაცი. ჯერ არ გამშრალიყო წიწამურის ველზე დაღვრილი სისხლი, არც არასოდეს აშრება.

ილია ჭავჭავაძის ძმა, შვილი, თანამებრძოლი, დიდი პოეტი ვაჟა-ფშაველა თავისი სიცოცხლის დასასრულთან მიმდგარიყო და მომავალზე ფიქრობდა,ილიას მიერ დაწყებული ლაშქრობის გაგრძელებაზე ფიქრობდა – ვინ მოდის, ვინ ჩაიბარებს დროშას, ვინ დადგება ტყვიის სამიზნეზე...

თანამედროვეთა შორის მხოლოდ ვაჟა იყო დაჯილდოებული ნათელხილვის იმ გრძნეული ნიჭით, რომელსაც ცხოვრების ტლანქ, შეულამაზებელ, მიწიერ ფორმებში ღვთიური მადლისა და მშვენიერების განჭვრეტა ძალუძს. თითქოს თავისი მაღალი მთებიდან კიდევ ერთხელ გადმოდგება პოეტი, ისარივით ისვრის შეკითხვას და შეგვახსენებს:

კარგ ყმად ვინა ესთქვათ, ეაჟებო...

მეც ეგეთი ვარ, როგორც შენ,
ზამთარო, თეთრი, ჭალარა,
როგორც შენ, აგრეეე მეცა
თოვლმა, ყინ'ულმა დამფარა.
ზაფხულის დრონი წავიდნენ –
ჭექა-ქ'უხილის, წვიმისა,
გაყინ'ულს გულში ჩამქრალა
ცეცხლი, აღარა ღვიძისა.
ყველა მიფრთხება, მიმირბის,
რადგან ეშინისთ ყინვისა,
მნდომელი აღარვინაა
ჩემთან მოსვლის და ხილვისა.
მაგრამ რა გიჭირს, შენ მაინც
მალე ზაფხულად იქცევი,
მოხუცებული ძალზედა
ყმაწვილად გადაიქცევი.
ვერ მოვესწრობი მე მაგ დროს,
ღმერთს სხვა სწადიან ჩემთვისა,
ერთს წამში ამომაშხამებს,
რაც ვილაღობე დღემდისა.
ამ ჭირს, რაც ჭირი დღესა მჭირს,
სხვა უარესი ერთვისა,
ათასს ჭირს ველი უარესს,
განა მსხვერპლი ვარ ერთისა!
მიწაში მელის მგზავრობა
მაძიებელსა ღმერთისა.

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. რას ადარებს თავის თავს პოეტი?
2. რამ დაფარა, ერთი მხრივ, ზამთარი და, მეორე მხრივ, მგოსანი?
3. ბუნების კანონის მიხედვით, რად გადაიქცევა ზამთარი?
4. რას ელის ადამიანი წუთისოფლისგან?

გააანალიზეთ

5. რის გამო ადარებს პოეტი თავის თავს ბუნების ერთ-ერთ მოვლენას?
6. რატომ უპირისპირდება ლექსში თოვლი, ყინული ჭექა-ქუხილსა და წვიმას?
7. რა მიზეზით გაურბის მგოსანთან შეხვედრას, მის ხილვას ყველა და რა იგულისხმება ამ მიზეზში?

განაზოგადეთ

8. როგორ გესმით პოეტის წუხილი „გაყინულს გულში ჩამქრალა ცეცხლი, აღარა ღვივისა“...?
9. რა კავშირშია ერთმანეთთან ბუნების დროთა მონაცვლეობა და ადამიანის ცხოვრება?
10. რა მიზანი უნდა ამოძრაებდეს ადამიანს თავისი სიცოცხლის გზაზე?
11. რა შეიძლება გავიაზროთ ადამიანის ცხოვრების ზაფხულად? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი
გაპიროვნება

როგორც ვიცით, გაპიროვნება, იგივე პერსონიფიკაცია, მხატვრული გამოსახვის ხერხია, რომლისთვისაც დამახასიათებელია უსულო საგნებისადმი, მოვლენებისადმი, ცხოველებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა.

1. როგორაა წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას ლექსში „საზამთრო სიმღერა“ თოვლიან-ყინულიანი ზამთარი?
2. როგორ გაიაზრება ზამთრის დასასრული? რით განსხვავდება წელიწადის დროის სიბერე ადამიანის მხცოვანებისაგან?

3. გეხმარებათ თუ არა გაპიროვნების მხატვრული ხერხი ამ ლექსის უკეთ აღქმაში, წარმოსახვითი სურათის, ხედვითი ხატის შექმნაში?

4. ადამიანის კიდევ რა თვისებები შეიძლება დაუკავშირდეს ზამთარს?

პერსონიფიკაციას ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში ჩვენც საკმაოდ ხშირად ვიყენებთ. მაგალითად, არცთუ იშვიათად გესმენია, ან გვითქვამს: მხიარული ნაკადული, ენაჭარტალა ჩხიკვი დ სხვ. აგრეთვე, სიყვარულიეით ბრმა, იასაჯით მორცხვი ან ზღვასავით ბობოქარი და მძვინვარე – ამ შემთხვევაში გაპიროვნება შედარების ფორმითაა წარმოდგენილი.

დავალება

1. მოიფიქრეთ პერსონიფიკაციის სხვა მაგალითები, რომლებიც ყოველდღიურ მეტყველებაში შეიძლება გამოიყენებოდეს.

2. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე სიტყვა. დაკვირვებით შეარჩიეთ ის ერთეულები, რომლებიც გარკვეული ასპექტით ადამიანის თვისებებს შეიძლება დაუკავშირდეს.


მაგალითად, სიტყვა „მთა“ – მთა-კაცი ან მთასავით კაცი.

თაფლი	წიწაკა	კიბე	ზონარი
მაგიდა	კოლოფი	ქორი	კლდე

ამ ჩამონათვალში კი მოცემულია ადამიანისათვის დამახასიათებელი ის თვისებები, რომლებიც უსულო საგნებს შეიძლება დაუკავშირდეს. ყურადღებით შეარჩიეთ ისინი.

მაგალითად, სიტყვა „ქვითინი“ – <u>ოცნება</u> ტანჯულის ქვეყნის <u>ქვითინებს</u> მოისმა წვერზედა“ (ვაჟა).

დაზეპირება	კითხვა	ნაღველი	მხიარულება
ტირილი	ფიქრი	ლოცვა	კვლევა





ბიოგრაფია

შოთა ნიშნიანიძე

(1929–1999 წწ.)



პოეტი შოთა ნიშნიანიძე დაიბადა 1929 წელს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1953 წ.). 1960 წელს გაიარა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უმაღლესი კურსები.

ლექსების პირველი კრებული 1956 წელს გამოსცა. სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობა „მერანის“ მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგედ, მწერალთა კავშირის ლიტერატურულ კონსულტანტად, ალმანახ „საუნჯის“ მთავარ რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად და თავმჯდომარედ. ავტორია მრავალი პოეტური კრებულისა.

შოთა ნიშნიანიძე

ლეგენდა

თქვეს ერთხელ სამთა ანგელოსთა: – როგორ დაებადოთ
კაცი ყველაზე ბედნიერი და უბედურიც,
რა დაეწყველოთ, ან ისეთი რა დაეანათლოთ,
ათასჯერ ბედის თქვას მადლობაც და საყვედურიც?

პირველად თეთრმა ანგელოსმა წარსდგა ნაბიჯი:
დაებადოთ კაცი მდიდარიო, მაგრამ მახინჯი.
წითელმა: ის სჯობს, ყრმა ოცნებებს ნუღარ მიეცეს,
ულამაზესი იყოს, მაგრამ უღარიბესიც.

ბოლოს კი შაეი ანგელოსი წამოიმართა
და შაეი სიტყვა განუცხადა ცათა ბინადართ:

სასჯელი გინდათ? მაშინ დიდი კაცი დავბადოთ,
სახელ-დიდებით შესწედებოდეს ცათა კაბადონს.
ოღონდ ღაებადოთ სულთა მედროშე,
უთუოდ მგოსნად
და უთუოდ –
საქართველოში...

იმ ღამეს ჭყვიშთან ვერ დიოდა წყნარად რიონი,
თურმე იმ ღამით დაიბადა გალაკტიონი.

ფიქრი და დისკუსია გაიაზრეთ

1. რა განსრახვით შეიკრიბა სამი ანგელოსი? რა სურვილი ამოძრავებდათ მათ?

2. როგორი გადაწყვეტილება მიიღო თითოეულმა მათგანმა?

3. ვინ დაიბადა იმ ღამით?

გააანალიზეთ

4. რატომ შეიძლება იყოს შემოქმედებითი ნიჭი ანგელოსთაგან დანათლებული?

5. რა შეიძლება იყოს ადამიანისათვის ეროდროულად ბედნიერებაცა და უბედურებაც?

6. რატომაა შაჲი ანგელოსის მიერ ნათქვამი სიტყვა შაჲი?

7. როგორ ფიქრობთ,რატომ უწოდა ავტორმა თავის ლექსს „ლეგენდა“?

განაზოგადეთ

8. არის თუ არა შემოქმედებითი ნიჭი ზეციური წყალობა?

9. თქვენი აზრით, მგოსნობა, პოეტური გენია ადამიანისათვის მადლია, თუ – მძიმე ხვედრი, წყევლა, სასჯელი?

10. იმსჯელეთ, რა არის ადამიანისათვის ყველაზე მთავარი: სიმდიდრე, სილამაზე თუ შემოქმედებითი ნიჭი?

11. რის გამო შეიძლება ერთდროულად ბედის მადლობელიც იყოთ და მაყვედრებელიც?

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

პაუზა

პაუზა სტილისტიკური ხერხია, რომელიც პოეზიაში გარკვეული მხატერული ამოცანით გამოიყენება – მეტყველების შეწყვეტისას დაისმება მრავალწერტილი; მასში ამოიკითხება აზრის დასრულების მოლოდინი, ემოციური შესვენება რაღაც არსებითის, მნიშვნელოვანის გამოხატეის წინ. ამ დროს პაუზას არსებითი ფუნქცია ეკისრება აზრისა და განცდის გადმოსაცემად. ლექსში პაუზა ხშირად სიტყვაზე მეტის მთქმელია; ამ დროს მკითხველს თითქოს საშუალება ეძლევა საკუთარი ვარაუდის, აზრობრივი და ემოციური დამოკიდებულების გამოვლენისა.

1. ლექსის რომელ მონაკვეთში გვთავაზობს აეტორი პაუზას?

2. რა პოეტური დანიშნულება აქვს ამ მხატერულ ხერხს მოცემულ ლექსში?

3, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ აეტორის მიერ პაუზის გამოყენება?

რითმა

როგორც ვიცით, რითმა ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების კანონზომიერი გამეორებაა. ლიტერატურის თეორიაში ცნობილი რითმის უამრავი სახეობიდან შოთა ნიშნიანიძის ლექსში რამდენიმე მათგანია გამოყენებული, კერძოდ: ჯვარედინი დაბოლოებით, რომლის სქემაა აბაბ; მოსაზღვრე ანუ პარალელური რითმა (წყვილადი რითმა) სქემით – აა და არაზუსტი, როდესაც მხოლოდ ზოგიერთი ბოლო რითმის ბგერა ემთხვევა ერთმანეთს.

1. დაუკვირდით ლექსის სტროფულ განაწილებასა და რითმებს და მიუთითეთ თითოეულის სახეობა.

2. გამოყენებული რითმული ფორმებიდან რომლის ბოლო ბგერები ემთხვევა ერთმანეთს და რომლისა მხოლოდ ნაწილობრივ?

ენობრივი უნარები

არქაიზმი

არქაიზმი ხმარებიდან გასული სიტყვა ან შესიტყვების ფორმაა. ლიტერატურაში იგი ხშირად კონკრეტული მხატერული მიზნით გამოიყენება – მწერალი არქაულ სიტყვებსა და ნორმებს კოლორიტის დაცვის მიზნით ხმარობს, მეტყველების არქაულ ფორმებს სტილისტიკურ ხერხად იყენებს და ამით პოეტური გამოსახვის ეფექტს აღწევს. ამ დროს შემოქმედთა სახელოსნოში არცთუ იშვიათად ცოცხლდება ხოლმე ძველი,

არქაული სიტყვები და კელავ უბრუნდება ცოცხალ სამეტყველო ენას. ამის მაგალითია ნართანიანი ფორმები.

1. დაუკვირდით შოთა ნიშნიანიძის ლექსს და მონიშნეთ ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფორმები.

2. როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს პოეტი არქაიზმებს? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

დავალება

დაწერეთ ესე, რომელშიც თქვენს დამოკიდებულებას გამოხატავთ მოცემულ სტრიქონებზე: „...დავბადოთ სულთა მედროშე, უთუოდ მგოსნად და უთუოდ – საქართველოში“...

ბიოგრაფია



ბესიკ ხარანაული

(დაიბადა 1939 წ.)



პოეტი ბესიკ ხარანაული დაიბადა თიანეთში 1939 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნიერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1962 წ.). იყო გამომცმლობა „ლიტერატურა და ხელოვნების“ უმცროსი რედაქტორი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ რედაქტორი, ჟურნ. „მნათობის“ რედაქციის განყოფილების გამგე, რედაქტორის მოადგილე, გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი. გამოქვეყნებულია მისი ლექსების 20-მდე კრებული და ერთი რომანი.

ბესიკ
ხარანაული

ლექსები

ლექსები გულის მარაოა,
რომლითაც ცეცხლს ვინელებთ და
დარდებს გადვიყრით.
მათ გამოჩენას
თან მოჰყვება
მკრთალი ნიაღი
და ჩვენს დახუთულ სულს
ფურცლებად შეაშრიალებს.
მაგრამ ცეცხლს რამე გაგვირელებს,
როცა ზურგს უკან
ცხელი სუნთქვა გეესმის ცხოერების?

რა შეუძლიათ ლექსებს?
მათი სუსტი ფრთების იმედით
მივაღწევთ განა გაღმა ნაპირს,
რათა იმედით

შემოესხდეთ ტოტზე,
და განსაცდელს გამოეუხედოთ.
სულის შებერეით,
ჭრილობაზე ნაზი ამბორით
რას გეიშველიან,
ტკივილისგან როდესაც ეკივით!
რა შეუძლიათ ლექსებს?
აბა, ხანჯლებად ვინ ჩაბღუჯა
ისინი ხელში
და ან ფარად ვინ მოიხმარა!

ფიქრი და დისკუსია გაიაზრეთ

1. პოეტის წარმოსახვით, რა არის ადამიანის გულის ცეცხლის გამნელებელი და დარდების გამფანტველი?
2. რისი ცხელი სუნთქვა ესმის ადამიანს ზურგს უკან?
3. რის გამო კივის ხოლმე ზოგჯერ კაცი?

გააანალიზეთ

4. რატომ შეიძლება იყოს პოეზია გულის მარაო?
5. როგორ შეიძლება მოჰყვეს ლექსებს მკრთალი ნიავი და რა ძალუძს მას?
6. შეუძლია თუ არა პოეზიას ადამიანის საიმედოდ დაცვა?
7. რას ნიშნავს გაღმა ნაპირი, სადაც ტოტზე იმედით შემოსხდომაა შესაძლებელი?

განაზოგადეთ

8. როგორ მხატვრულ სახედ შეიძლება გაეიაზროთ ადამიანის სულის დახუთვა და მისი ფურცლებად შეშრიალება?
9. რა შეიძლება იყოს კაცის ჭრილობა და ტკივილი?
10. როგორ გესმით მარაოს მკრთალი ნიავი და ცხოვრების ცხელი სუნთქვა?
11. რატომაა ლექსები, პოეზია ერთდროულად ხანჯალიცა და ფარიც?
12. როგორ გესმით პოეტისა და პოეზიის დანიშნულება? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

თავისუფალი ლექსი

ლექსს, რომელსაც არ გააჩნია რითმა, რეგულარული რიტმი ან სტრიქონებში მარცვალთა თანაბარი რაოდენობა, ურითმო, თავისუფალი ეწოდება. პოეტურ ეფექტს იგი აღწევს ბგერათა გამეორებითა და დახვეწილი რიტმული ინტონაციით. რადგან თავისუფალ ლექსს არ აქვს რეგულარული რიტმი და განსაზღვრული რითმული სქემა, ამიტომ მასში აქცენტირებულია წარმოსახვა, ფიგურალური ენა და ხშირად სხვადასხვა ხერხი სტრიქონთა დაყოფისა მთავარი აზრის ხაზგასასმელად. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ თავისუფალი ლექსი მუსიკალობას ბგერათა ისეთი გააზრებული განაწილებით გადმოცემს, როგორიცაა გამეორება, ასონანსი, კონსონანსი და ალიტერაცია, რითაც რიტმული ეფექტი მიიღწევა. მაგალითად, წარმოდგენილი ლექსის პირველ ნაწილში სახეზეა ალიტერაცია (ცეცხლი/ცხელი/ცხოვრება), ასონანსი (რომლითაც/ვინელებთ/ გადვიყრით/ და კონსონანსი (ლექსები/გული-/რომლითაც/-ვინელებთ).

დაუკვირდით ბესიკ ხარანაულის ლექსის სტრიქონების ზომას, რიტმს და შეაფასეთ, თუ რით განსხვავდება იგი თქვენ მიერ აღრე ნასწავლი ლექსების ფორმისაგან:

1. არის თუ არა სტრიქონთა სიგრძე თანაბარი?
2. არის თუ არა რიტმი რეგულარული ან არარეგულარული?
3. ქმნიან თუ არა სტრიქონები რითმას?
4. რა მხატვრული ხერხებია გამოყენებული ლექსში რიტმის მისაღწევად? დაუკვირდით ერთი და იმავე ბგერების განაწილებას.
5. რომელი სიტყვები ან სტრიქონები მეორდება ლექსში?
6. რომელი ხმოვნები მეორდება უფრო ხშირად ქვემომოყვანილ ორ სტრიქონში:

და ჩვენს დახუთულ სულს
ფურცლებად შეაშრიალებს...

7. რომელი თანხმოვნები მეორდება ამავე სტრიქონებში?
8. რა მხატვრული ხერხებია გამოყენებული ლექსის მეორე ნაწილში? თქვენი დაკვირვება გაამყარეთ კონკრეტული მაგალითების მოყვანით.

წარმოიდგინეთ, რომ ბესიკ ხარანაულმა ამ ლექსის სტროფულ ფორმად აირჩია მოსაზღვრე ანუ პარალელური რითმა, რომლის სქემაა აა (წყვილადი რითმა) — სტრიქონთა თანაბარი სიგრძით, მარცვალთა თანაბარივე რაოდენობით, რეგულარული რიტმითა და რითმების დაბოლოებით. ვთქვათ, ეს ლექსი ასე იწყება:

მარაო არის გულის ლექსები,
მისგან ნელდება დარდის ცეცხლები,
გამოაქროლებს მკრთალსა ნიაესა

და გაეიგონებთ სულის შრიალსა...

როგორ ფიქრობთ, რა დაიკარგა ორიგინალთან მიმართებით ამგვარი დასაწყისით?

თხზვა

ლექსის წერა

თავისუფალი ლექსის შექმნის მხატვრული ხერხების გათვალისწინებითა და გამოყენებით დაწერეთ კონკრეტული შინაარსის ლექსი ან პაროდია (იუმორისტული იმიტაცია სერიოზულ თემაზე), რომელშიც წარმოადგენთ თქვენს ცხოვრებისეულ დაკვირვებას ან მიღებულ შთაბეჭდილებას. ლექსის წერისას შეიძლება გამოიყენოთ საკუთარი სასიამოვნო მნიშვნელოვანი შეხედულებები, მოგონებები, ხოლო პაროდიაში აღწეროთ მხოლოდ იუმორისტული ყოფითი შემთხვევა.

დავალება

დაწერეთ ორი-სამი აბზაცი პოეზიისადმი თქვენ დამოკიდებულებაზე. შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ბესიკ ხარანაულის (ან სხვა ავტორების) თვალთახედვა პოეტისა და პოეზიის მხატვრული დანიშნულების, მიზნის შესახებ.

შინაარსობრივი შეჯამება

დახარისხება

1. სახელმძღვანელო'ში წარმოდგენილი რომელი ლექსების თემაა იდენტური ან მსგავსი?

2. რომელ პოეტურ ნიმუშებში მიმართავენ ავტორები ანალოგიის მხატვრულ ხერხს? მოიყვანეთ ამის დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითი.

3. კიდევ რა მსგავს მხატვრულ საშუალებებს იყენებენ წარმოდგენილი პოეტები თავიანთ ლექსებში? (რითმა, რიტმი, ალიტერაცია, ასონანსი, კონსონანსი, შედარება, მეტაფორა, პერსონიფიკაცია და სხვ.).

განზოგადება

4. გააანალიზეთ ბუნების როლი რ. ბერნსის, ი. ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ლექსების მიხედვით.

5. რომელ ლექსებში ჩანს ავტორთა ფილოსოფიური შეხედულებები? რა შინაარსისაა ისინი და რით ემსგავსებიან, ან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?

სინთეზირება

6. როგორ შეიძლება აისახოს ედგარ პოს ლექსში ყორნის მიერ წარმოთქმული ერთადერთი სიტყვა „აღარასდროს" ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ლექსებში?

კომპოზიციური გამეორება

პოეზიის ანალიზი

ომარ ხაიამის მე'შვიდე რობაიში ვკითხულობთ:
ჩამოთავდა ყრმობის წიგნი ისე, როგორც წყალი,
აფსუს ნორჩი გაზაფხული, სიჭაბუკით მთვრალი,
ან ის მტრედი რაღა იქნა, ბალღობა რომ ერქვა,
აფსუს ისე გამიფრინდა, ვერ მოვკარი თვალი.
გაფრენილ სიჭაბუკზე კი ვაჟა ასე წერს:
ზაფხულის დრონი წავიდნენ,
ჭექა-ქუხილის, წყიმისა,
გაყინულს გულში ჩამქრალა
ცეცხლი, აღარა ღვივისა...

როგორ გამოხატავს ეს ორი პოეტი წუთისოფლის სწრაფწარმავლობას? ფიგურალური ენის რა საშუალებებს იყენებენ ისინი?

კულტურათა კონტრასტულობა

ჩანს თუ არა სხვადასხვა ლიტერატურათა რაიმე განმასხვაევებელი ნიშნები სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ზოგიერთ ლექსში? თქვენი თვალთახედვა დაასაბუთეთ.

თარგმნა

შეეცადეთ თარგმნოთ ბესიკ ხარანაულის ლექსი იმ ენაზე, რომელსაც ფლობთ. თაყდაპირველად სიტყვასიტყვით გადმოეცით ლექსის შინაარსი თქვენთვის სასურველ ენაზე, ანუ შექმენით პწკარედი; შემდეგ შეძლებისდაგვარად შეუთანადეთ ორიგინალს სტრიქონთა ზომა და შეიტანეთ რიტმი. შეამოწმეთ, თარგმანის ე. წ. შავ ვარიანტში შეძელით თუ არა ალიტერაციის, ასონანსის ან კონსონანსის გათვალისწინება. შემდეგ ხმამაღლა წაიკითხეთ და დაუკვირდით, აქვს თუ არა თქვენს თარგმანს მუსიკალობა?

თქვენ ხართ პოეტი

1. დაწერეთ თაეისუფალი ლექსი, რომელშიც მიმდინარე მოვლენებს ასახავთ. გამოიყენეთ რომელიმე საგაზეთო სტატია ასეთი ამბის შერჩევის მიზნით.

წინასწარი მონახაზი. აირჩიეთ თქვენთვის საინტერესო შემთხვევა. ჩამოწერეთ ის მოელენები, რომლებსაც ლექსში შეეხებით. დაალაგეთ ისინი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

წერა. ჩაინიშნეთ პირველი ვარიანტი თაეისუფალი ლექსისა. გამოიყენეთ ფიგურალური ენა და რიტმი, რათა მოვლენები ცოცხლად აღწეროთ.

შემოწმება. დაუკეირდით, რომ ამბაეი ქრონოლოგიური თანმიმდეერობით იყოს გადმოცემული? აჩვენებთ თუ არა, რატომ მიიპყრო თქვენი ყურადღება ამ მოელენამ და გააძლიერა წარმოსახვა? შეიცავს თუ არა ლექსი რიტმს?

2. დაწერეთ ლექსი, რომელშიც წარმოაჩენთ მეგობარს, ოჯახის წევრს ან თქვენთვის საინტერესო პიროენებას. გამოიყენეთ ფიგურალური ენა და წარმოსახვა.

წინასწარი მონახაზი. ჩამოწერეთ ლექსის სუბიექტის აღწერილობა. ყურადღება გაამახვილეთ ამ პიროვნების წარდგინებაზე, მის პიროვნულ სახასიათო თვისებებსა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობებზე.

წერა. შერჩეული პიროვნების წარმოსაჩენად დაწერეთ მოკლე ლექსი ფიგურალური ენისა და წარმოსახვის გამოყენებით. შეეცადეთ, თქვენს ნაწარმოებს მუსიკალობა შესძინოთ.

შემოწმება. დარწმუნდით, რომ შექმენით შერჩეული პიროვნების ნათელი პორტრეტი. ლექსი ხმამაღლა წაიკითხეთ, რათა ყური მიადევნოთ მის მუსიკალობას.

თქვენ ხართ კრიტიკოსი

1. გააანალიზეთ მსგავსება და განსხვავება ლირიკულ და თავისუფალ ლექსებს შორის. გაარკვიეთ, თუ რატომ ირჩევს პოეტი ორიდან ერთ-ერთს.

წინასწარი მონახაზი. დაუკვირდით წაკითხულ თავისუფალ ლექსსა და ლირიკულ პოეტურ ნიმუშს. ჩაინიშნეთ მსგავსება-განსხვავებანი თითოეულის შესახებ.

წერა. ერთი აბზაცი დაუთმეთ მსგავსებათა შედარებას და მეორე – განსხვავებებისას. გამოიყენეთ მაგალითები წაკითხული ლექსებიდან ამის საილუსტრაციოდ. დაწერეთ შესავალი და დასკვნა, რომელშიც განმარტავთ იმ მიზეზებს, თუ რატომ ამჯობინებს პოეტი ერთ-ერთ მათგანს.

შემოწმება. დაუკვირდით, რომ დასკვნაში თქვენი აზრები ლოგიკურად იყოს ჩამოყალიბებული. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, რათა არ გაეპაროს სტილისტური, გრამატიკული და პუნქტუაციური შეცდომები.

2. წარმოიდგინეთ, რომ ლექსის წაკითხვა გთხოვეს წვეულებაზე ვილაც საპატივცემულო პიროვნების სამსახურიდან გაცილების დღეს. თქვენ უნდა შეარჩიოთ შესაბამისი ხასიათის ლექსი. დაწერეთ წერილი, რომელშიც განმარტავთ, თუ რატომ აირჩიეთ კონკრეტული პოეტური ნიმუში.

წინასწარი მონახაზი. ჩაინიშნეთ: როგორ ლექსზე შეაჩერებთ არჩევანს – სერიოზულზე თუ იუმორისტულზე? რა არის თქვენი გადაწყვეტილების მიზეზი?

წერა. დაწერეთ განმარტებითი წერილი. ჩამოაყალიბეთ თქვენი არჩევანი ნათლად და გაამყარეთ იგი ლოგიკური არგუმენტებით, რომლებიც დამყარებული იქნება პოეზიის შეფასების თქვენ საკუთარ ცოდნაზე.

შემოწმება. დარწმუნდით, რომ წერილში ცხადადაა გადმოცემული თქვენი არჩევანის მიზეზები. ყურადღებით გადაიკითხეთ ტექსტი, რათა არ გამოგრჩეთ სტილისტური, გრამატიკული, პუნქტუაციური თუ მექანიკური შეცდომები.

მოთხრობა







მოთხრობა საშუალო ფორმის პროზაული ნაწარმოებია. რომანის მსგავსად, თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იგი შეიძლება იყოს ისტორიული, საყოფაცხოვრებო, სოციალური, დიდაქტიკური, სათავგადასავლო, დეტექტიური და სხვა შინაარსისა. მოთხრობას შუალედური ადგილი უჭირავს რომანსა და ნოველას შორის. რომანისგან განსხვავებით, მოთხრობას ჩვეულებრივ უფრო მარტივი სიუჟეტი აქვს; მასში ერთი ან ორი მოვლენაა სრულად ასახული, სხვები კი მხოლოდ ცალმხრივად ან ზოგადადაა წარმოდგენილი. ამავე დროს მოთხრობაში მწერლის ყურადღება ერთ ან ორ პერსონაჟზეა გამახვილებული, სხვანი კი მეორეხარისხოვანნი არიან. ამის გამო მისი სიუჟეტი არაა მრავალფეროვანი, არამედ ერთხაზოვანია. რომანთან შედარებით მოთხრობაში უფრო შეკუმშულადაა ნაჩვენები გმირის სულის მოძრაობა.

მოთხრობისგან განსხვავებით, ნოველაში იშვიათია, ან საერთოდ არ არის ლირიკული საწყისები. მასში პერსონაჟის ხასიათი იხსნება გადამწყვეტ ეპიზოდში და არა მრავალი ინციდენტის ჩვენების გზით. მოთხრობის მსგავსად, ნოველაც შეკუმშულად კონსტრუირებული თხზულებაა. ორივეს აქვს სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც, მოულენები გარკვეული დაპირისპირების შედეგადაა განვითარებული; ორივეში მოცემულია მთავარი ხასიათები და სხვა, მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, დაბოლოს, წარმოდგენილია გარემო, სადაც მითითებულია, თუ სად და როდის ხდება მოქმედება. მოთხრობისა და ნოველის მიზანია, მოახდინოს ძლიერი შთაბეჭდილება მკითხველის გონებასა და გრძნობებზე. ყველა სიტყვა და მოვლენა სწორედ ამ ეფექტის შექმნას უნდა ემსახურებოდეს.

ბიოგრია
ო.ჰენრი
(1862–1910 წწ.)



ამერიკელი მწერალი ო. ჰენრი (უილიამ სიდნეი პორტერი) დაიბადა 1862 წელს ირდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ გრინსბოროში. აღზარდა დედამ. 1882 წელს გაემგზავრა ტეხასის შტატში, სადაც ორი წელი კოვბოებს შორის ცხოვრობდა.

1884 წელს დასახლდა ტეხასის დედაქალაქ ოსტინში. გამოცემდა ყოველკვირეულ გაზეთს „როლინგ სტოუნ“. 1896 წელს ფულის მითვისების ბრალდება წაუყენეს, რის გამოც ცენტრალურ ამერიკაში გადაიხვეწა და ყალბი გვარით ცხოვრობდა. 1898 წელს ცოლის ავადმყოფობის გამო ა'შ-ში დაბრუნდა, სადაც დააპატიმრეს და ხუთი წელი მიუსაჯეს. იჯდა ოჰაიოს შტატის კოლუმბუსის ციხეში. აქ წერდა ნოველებს და ფარულად აგზავნიდა სხვადასხვა გამომცემლობაში, რომლებიც მათ ო. ჰენრის ფსევდონიმით აქვეყნებდნენ. გაათავისუფლეს 1901 წელს, რის შემდეგაც ნიუ-იორკში დასახლდა.

იგი ერიდებოდა მწერლებთან კონტაქტს და განმარტოებით ცხოვრობდა. შემოქმედის კრედო საზოგადოების ყოველი წევრის, მდიდრისა თუ ღატაკის, სულიერ სწრაფვათა ჩვენება იყო, რომელთა სრულყოფაც ზნეობრივი დახვეწით წარმოედგინა.

ო. ჰენრის კალამს ორას სამოცდაათზე მეტი ნოველა და ერთადერთი რომანი ეკუთვნის.

ოჰენრი
მოგვთა[1] საჩუქრები

(თარგმნა ზურაბ ცერცვაძემ)

ადამიანები ხშირად გასცემენ და იღებენ საჩუქრებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ჰგავთ. არის თუ არა ყველაზე ჭკვიანი ძღვენი დიდ თანხად ღირებული?

ერთი დოლარი და ოთხმოცდაშვიდი ცენტი. სულ ეს იყო. აქედან სამოცი ცენტი ბაყალებთან და ყასბებთან ნაყიდი საქონლის ზუსტ საფასურზე ატეხილი დაჟის შედეგად რუდუნებით შეგროვილი ერთპენიანი მონეტებისგან შემდგარი წვრილი ფული იყო. დელამ სამჯერ გადათვალა ეს ფული – ერთი დოლარი და ოთხმოცდაშვიდი ცენტი. მეორე დღეს კი ქრისტეშობის დღესასწაული იყო. ამ ფულით იგი ვერაფერს იყიდდა.

დელა თავის დანჯღრეულ ტახტზე დაეგდო და მწარედ აქვითინდა. მძიმე წუთებში ადამიანი სულიერი მდგომარეობის სამ ეტაპს გაივლის: ჯერ სასოწარკვეთილება იპყრობს, მერე მშვიდდება, შემდეგ კი ელიმება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი საბოლოოდ შეეგუა თავის მდგომარეობას. ამ ეტაპებიდან მთავარია მეორე – დამშვიდება.

ვიდრე ჩვენი გმირი დამშვიდდებოდეს, ე. ი. პირველიდან მეორე ეტაპზე გადავიდოდეს, თვალი შეავალოთ ოთახს, რომელშიც იგი ცხოვრობდა. ოთახი მას აეჯთან ერთად პქონდა დაქირავებული რვა დოლარად თვეში. ოთახი არ იყო მათხოვრული ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, მაგრამ დიდადაც არ განსხვავდებოდა.


ქვემოთ, ვესტიბიულში შემოსასვლელ კარზე დამაგრებული იყო საფოსტო ყუთი, რომელშიც დიდი ხანია, აღარავინ აგდებდა წერილებს; კარის ზემო ნაწილში ელექტროზარის ღილაკი მიემაგრებინათ, რომლითაც ვერც ერთი მოკვდავი ვერ დარეკავდა ზარს. ღილაკსა და საფოსტო ყუთს შორის კი მიკრული იყო დაფა წარწერით: „მ-რ ჯეიმს დელინგენ იანგი“.

---

[1] მოგვები – სახარებისეული სამი ბრძენი, ვინც ყრმა იესოს ძღვენი მიართვა.

სიტყვა „დელინგენი“ ლამაზი ხელნაწერის სტილით იყო შესრულებული. დაფა კეთილდღეობის დროს იყო გაკეთებული, როდესაც ოჯახს შემოსავალი კვირაში ოცდაათი დოლარი ჰქონდა. ახლა კი, როცა შემოსავალი კვირაში მხოლოდ ოც დოლარს შეადგენდა, სიტყვა „დელინგენის“ ასოებმა დაკარგა ბრწყინვალება და იქნებ საკმარისიც კი იყო, რომ მხოლოდ ასო „დ“ ყოფილიყო ამოტვიფრული. მაგრამ ყოველთვის, როცა კი დელინგენ იანგი სახლ'ში ბრუნდებოდა, ოთახში შესვლისას მას ეგებებოდა მუუღლე დელა შეძახილით „ჯიმ“ და ნაზად მოხვევდა სოლმე მკლავებს კისერზე.

დელამ ტირილით გული იჯერა და ცრემლიანი ლოყები ჩერით შეიმშრალა. იგი ფანჯარასთან იდგა და უაზროდ შეჰყურებდა ნაცრისფერ კატას, ეზო'ში ნაცრისფერ კედელთან რომ სეირნობდა. ხვალ



გოგონა თმას იყარცხნის, 1909 წ.
უილიამ მაკგრეგორ პაქსტონი.
კერძო კოლექციიდან.

ქრისტეშობის დღე იყო, მას კი მხოლოდ ერთი დოლარი და ოთხმოცდაშვიდი ცენტი ჰქონდა ჯიმისთვის საჩუქრის საყიდლად. ის ყოველთვიურად ზოგავდა ფულს და მხოლოდ ამ თანხის დაგროვება მოახერხა, რადგან რეალური ფასები ყოველთვის უფრო დიდი იყო, ვიდრე ის ანგარიშობდა. ჯიმისთვის კი აუცილებლად უნდა ეყიდა საჩუქარი. ჯიმი — მისი ჯიმი. ადრე რამდენი სასიამოვნო წუთები გაუტარებია იმაზე ფიქრით, როგორი საჩუქარი ეყიდა მისთვის. საჩუქარი ლამაზი, გამორჩეული და ჯიმის შესაფერისი უნდა ყოფილიყო.

ფანჯრებს შორის კედელში სარკე იყო ჩამაგრებული. გინახავთ ოდესმე ფანჯრებს შორის სარკე რვადოლარიან ოთახში? საკმაოდ გამხდარი და მოძრავი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ ამ ვიწრო სარკეში მოეხერხებინა თავისი გარეგნობის დათვალიერება. დელა გამხდარი იყო და ამას ახერხებდა.

უცებ დელა მოსცილდა ფანჯარას და გაჩერდა სარკის წინ. თვალები გაუბრწყინდა, შემდეგ გაფითრდა. სწრაფად ჩამოუშვა თმა. ახლა დელა იმაზე ფიქრობდა, რომ მის ოჯახში ორი ძვირფასი ნივთი იყო, ერთი — ჯიმის ოქროს საათი, რომელიც ადრე ჯიმის მამის, უფრო ადრე კი პაპის საკუთრება იყო, მეორე კი — მისი თმა.

მოპირდაპირე სახლში მის უდიდებულესობას საბიას[2] დედოფალს რომ ეცხოვრა, დელა თავს რომ დაიბანდა, თმას გასაშრობად ფანჯარაზე გადმოაფენდა, რათა ამ თმის სილამაზეს დაეჩრდილა დედოფლის გარეგნობა. სოლო სოლომონ მეფეს[3] ამაღე სახლში შეეცარად რომ ემსახურა და მთელი თავისი განძი სახლის სარდაფში ჰქონოდა შენახული, ჯიმი ყოველთვის, როცა კი ამ სახლს ჩაუელიდა, ამოიღებდა თავის საათს, რათა დაენახა, შურისგან როგორ დაიგლეჯდა წვერს სოლომონი.

დელას ჩამოშვებული ტალღისებური თმა წაბლისფერ ჩანჩქერს მოგაგონებდათ. თმა მუხლებს ქვემოთ მთაერდებოდა და თითქმის მთლიანად ფარავდა მის სხეულს. დელამ სწრაფად აიკეცა თმა. იგი ერთხანს ყოყმანობდა და გაუნძრეველად იდგა. რამდენიმე კურცხალი მისი ცრემლისა გაცვეთილ წითელ ხალიჩას დაეცა.

---

[2] საბიას დედოფალი — საბია ბიბლიაში ხალხისა და ქვეყნის სახელწოდებაა. იგი იყო ეთიოპიის მახლობლად მდებარე უმდიდრესი სამეფო. მისი დედოფალი სოლომონ ბრძენთან მიეიდა, რათა გამოცანებით გამოეცადა იგი. ყველა კითხვაზე გასცა პასუხი სოლომონმა და დაინახა საბიას დედოფალმა მისი მთელი სიბრძნე, — ეკითხულობთ ბიბლიაში (III მეფეთა 10.3-4).

[3] სოლომონ მეფე — დავით წინასწარმეტყველის მეათე შვილი, რომელიც მამის შემდეგ ავიდა ტახტზე. ბიბლიაში იგი ბრძენად და უმდიდრეს ხელისუფლადაა მოხსენიებული. აეტორია ძველი აღთქმის რამდენიმე წიგნისა.

ბოლოს დელამ, რომელსაც თვალებზე ცრემლები ჯერ არ შეშრობოდა, ჩაიცვა თავისი ძველი ყავისფერი ჟაკეტი, დაიხურა ძველი ყავისფერი ქუდი, ხელის სწრაფი მოძრაობით გაისწორა ქვედატანის მაქმანი, გაიჯახუნა კარი, ჩაირბინა კიბეები და ქუჩაში გავიდა.

ერთ შენობასთან გაჩერდა და წაიკითხა წარწერა: „მადამ სოფრონი. თმისაგან დამზადებული ნაკეთობანი“. იმწამსვე ავარდა ზემო სართულზე, ძლივს დაიცხრო მღელვარება და ოთახში შეიდა. მის წინ სქელი, მეტის-მეტად თეთრი, ციცი და მკაცრი გამომეტყველების ქალბატონი სოფრონი იდგა.

– ხომ არ შეისყიდით ჩემს თმას? – შეეკითხა დელა.

– შევისყიდი, – მიუგო ქალბატონმა, – მოიხადეთ ქუდი და მაჩვენეთ!

დელამ მოიხადა ქუდი... და წაბლისფერი ჩანჩქერი გადმოიფრქვა ქვემოთ.

– ოც დოლარად ვიყიდი, – თქვა ქალბატონმა და გამოცდილის ხელით ასწია თმა.

– მომეცით ახლავე, – უთხრა მას დელამ.

მომდევნო ორმა საათმა ვარდისფერი ფრთებით გაიფრინა (მაპატიეთ გადაჭარბებული მეტაფორისათვის). დელა დაეხეტებოდა მაღაზიებში ჯიმისათვის საჩუქრის საყიდლად.

ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო. საჩუქარი ზედგამოჭრილი იყო ჯიმისათვის, თითქოს სპეციალურად მისთვის დაემზადებინათ. სხვა მაღაზიებში მსგავსი რამ ვერ აღმოაჩინა. ეს იყო პლატინისგან დამზადებული, სადა და დახვეწილი სტილით შესრულებული ჯიბის საათის ძეწკვი. მისი ღირსება ის იყო, რომ მასში ხაზგასმული იყო მხოლოდ შინაარსი და არ შეიცავდა ყალბ, ზიზილ-პიპილო ორნამენტებს. ასეთი უნდა იყოს ხელოვნების ყველა ჭეშმარიტი ნიმუში! ძეწკვი სწორედ ისეთივე მაღალი ხარისხისა იყო, როგორც ჯიმის საათი. დელამ როგორც კი ეს ძეწკვი დაინახა, გაიფიქრა, ეს მხოლოდ ჯიმის უნდა ეკუთვნოდესო. ძეწკვი რაღაცნაირად ჯიმის ჰგავდა, რადგან მასშიც, ისევე როგორც ჯიმიში, შერწყმული იყო ღირსება და სისადავე. დელამ ამ ძეწკვში ოცდაერთი დოლარი გადაიხადა და სახლში მხოლოდ ოთხმოცდაშვიდი ცენტით ბრუნდებოდა. ჯიმი ამ ძეწკვით ნებისმიერ საზოგადოებაში შეძლებდა, ამაყად ამოელო ჯიბიდან საათი და გაეგო დრო. ახლა კი ამ ჯიბის საათს, ნაცელად ძეწკვისა, ძველი ტყავის ზონარი ჰქონდა გამობმული, ამიტომ, როცა დროის გაგება სურდა, ჯიმი სხვებისთვის შეუმჩნეველად ამოიღებდა ხოლმე საათს.

დელა შინ დამშვიდებული დაბრუნდა და იმ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტაზე დაიწყო ფიქრი, როგორ აღედგინა ის სილამაზე, კეთილშობილებისა და სიყვარულისთვის მსხვერპლად რომ გაიღო. აიღო თმების დასახუჭუჭებელი მაშა, დადო გაზქურაზე და აანთო გაზქურა.

ორმოცი წუთის შემდეგ მისი თავი ხშირი კულულებით დაიფარა. ახლა იგი გაკეთილიდან გაპარულ მოსწავლე ბიჭუნას ჰგავდა. დელა დიდხანს კრიტიკულად და გულმოდგინედ აკვირდებოდა თავის თავს სარკეში.

„როგორც კი შემომხედავს ჯიმი, ან მომკლავს, ან მეტყვის, კონიაილენდის გუნდის მომღერალ გოგონას ჰგავხარო. მაგრამ რა უნდა მექნა ერთი დოლარით და ოთხმოცდაშვიდი ცენტით?“ – ფიქრობდა იგი.

შვიდი საათისათვის ყავა უკვე მოდუღებული ჰქონდა, გაზქურაზე გახურებული ტაფა კი მზად იყო კატლეტების შესაწვავად.

ჯიმი არასდროს იგვიანებდა. დელამ ხელში დაიკავა ნაყიდი ძეწკვი და დაჯდა მაგიდის კუთხეში, შემოსასვლელ კართან ახლოს. ერთი წუთის შემდეგ კიბეებიდან ნაბიჯების ხმა მოესმა. იგი გაფითრდა. დელას ჩვეულებად ჰქონდა, უხმოდ გასაუბრებოდა თავის თავს უბრალო, ყოველდღიური საკითხების გამოც კი. ხოლო ახლა ჩურჩულით წარმოთქვა: „ღმერთო, შთააგონე მას, რომ წინანდებურად ლამაზი ვარ“.

კარი გაიღო და ოთახში ჯიმი შემოვიდა. იგი იმედგაცრუებული და დაღონებული ჩანდა. საბრალო ჭაბუკი! მხოლოდ ოცდაორი წლისა იყო და უკვე ოჯახის რჩენის სიმძიმე აწვა კისერზე. არ ჰქონდა ხელთათმანები, პალტოც საკმაოდ დასძველებოდა.

ჯიმი კართან შეჩერდა და მწყრის სუნნაკრავი სეტერიევით[4] გაირინდა. ისეთი გამომეტყველებით მიაჩერდა დელას, რომ ქალმა ვერ შეძლო მისი ამოკითხვა. ეს გამომეტყველება არ გამოხატავდა არც გაბრაზებას, არც განცვიფრებას, არც გაკიცხვას, არც თავზარდაცემას და არც სხვა რამ ისეთს, რაც ასეთ ვითარებაში შეიძლება დაეუფლოს კაცს. იგი დაჟინებით მისჩერებოდა ცოლს ამ რაღაც განსაკუთრებული, გამოუცნობი გამომეტყველებით.

დელა სასწრაფოდ მოსცილდა მაგიდას და მასთან მივიდა.

– ჯიმ, ძვირფასო, – უთხრა ტირილით, – ასე ნუ მიყურებ! თმა შევიჭერი და გაეყიდე იმიტომ, რომ არ შემეძლო, შენთვის საშობაო საჩუქარი არ მომერთმია. თმა ისევ გამეზრდება, განა ასე არაა?! ვალდებული ვიყავი, ეს გამეკეთებინა. მომილოცე შობა, ჯიმ! მოდი, ბედნიერად გავატაროთ ეს დღე. შენ არც კი იცი, რა ლამაზი, რა დიდებული საჩუქარი მოგიმზადე.

– ესე იგი, თმა შეიჭერი, არა? – იკითხა ჯიმიმ ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ვერა და ვერ შეეძლო დაეჯერებინა ეს ამბავი.

– შევიჭერი და გაეყიდე. განა აღარ მოგწონვარ ისე, როგორც ყოველთვის მოგწონდი? მე ხომ ისევ ის დელა ვარ.

ჯიმმა უცნაურად მოავლო თვალი ოთახს.

– ესე იგი შენი თმა აღარ არსებობს? – უაზროდ იკითხა მან.

---

[4] სეტერი – მეზებარი ძაღლი

– ნუ კითხულობ თმას, ხომ გითხარი, შეეიჭერი და გაეყიდე-მეთქი. დღეს შობის წინა დღეა, მომეალერსე! ეს ხომ შენი გულისათვის გავაკეთე. იქნებ თმის დათვლაც კი შეიძლებოდეს, – განაგრძო მან სერიოზული და ნაზი ტონით, – მაგრამ ვერავინ წარმოიდგენს, როგორ მიყვარხარ. ეს სიყვარული უსაზღვროა. ჯიმ, დავაწყო კატლეტები ტაფაზე?

ჯიმი უცებ გამოფხიზლდა და გადაეხვია დელას.

მოდით, ათიოდ წამით ყურადღება გადავიტანოთ სხვა საგანზე და დავსვათ ასეთი კითხვა: რომელი უფრო მეტია – რვა დოლარი ერთ კვირაში, თუ მილიონი წელიწადში? მათემატიკოსი ან ფილოსოფოსი ამ კითხვას არასწორად უპასუხებს. მოგვებმა მოიტანეს ძვირფასი საჩუქრები... ამ ბუნდოვან კითხვას მოგვიანებით გავცემთ პასუხს.

ჯიმმა ამოიღო შეკრულა პალტოს ჯიბიდან და მაგიდაზე დააგდო.

– სწორად გამიგე, დელა, – თქვა მან, – ვერც თმის შეჭრა, შეკრეჭა და ვერც სხვა რამ ვერ შეასუსტებს ჩემს სიყვარულს შენდამი, მაგრამ გახსენი ეს შეკრულა და მიხედები, რატომ მოვიქეცი ასე უცნაურად.

დელამ ხელების მსუბუქი მოძრაობით სწრაფად შემოხსნა შეკრულას ზონარი და... აღტაცების შეძახილი აღმოხდა, შემდეგ კი სინანულის ამოკვნესა და ქვითინი. ქალის სულიერი მდგომარეობის ასეთმა სწრაფმა ცვალებადობამ საჭირო გახადა მის დასაწყნარებლად ყველა იმ დამამშვიდებელი საშუალების გამოყენება, რაც კი სახლის პატრონს გააჩნდა.

მაგიდაზე იდო ძვირფასი სავარცხლების კომპლექტი – საყვარცხლები გვერდზე და უკან გადავარცხნილ თმაზე დასამაგრებლად. ეს სავარცხლები დელას ადრე ნანახი ჰქონდა ბროდვეის ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაში და დიდხანს ტკბებოდა მათი ცქერით. სავარცხლები ლამაზი იყო, დამზადებული იყო ნატურალური კუს ბაკანისგან და ძვირფასი თვლებით იყო შემკული. ისინი ძალიან მოუხდებოდა დელას ნაწნავებს. დელამ იცოდა, რომ სავარცხლები ძალიან ძვირი ღირდა. როგორ უნდოდა, მისი ყოფილიყო და გული ეტანჯებოდა, რომ ეს აუსრულებელი ოცნება იყო. და, აი, ახლა, როცა ეს სავარცხლები მისი იყო, აღარ არსებობდა ნაწნავები, სავარცხლებს რომ უნდა დაემშვენებინა.

მაგრამ მან მაინც გულში ჩაიკრა სავარცხლები. ბოლოს, როგორც იქნა, ცრემლიანი თვალებით ამოიხედა მაღლა და თქვა:

– თმა სწრაფად მეზრდება, ჯიმ!

უეცრად დელა დაშანთულ კატასავით წამოხტა ადგილიდან და წამოიძახა:

– ოჰ, ღმერთო ჩემო!

ჯიმის ხომ ჯერ არ ენახა მისი საჩუქარი. დელამ სწრაფად გაუწოდა მუჭაში ჩაბღუჯული საჩუქარი და გაშალა, რომ ჯიმის ხელისგულზე მოქცეული დაენახა. მქრქალი ძვირფასი ლითონი დელას უსაზღვროდ

მოსიყვარულე სულის ანარეკლი უნდა ყოფილიყო.

— ხომ შესანიშნავია, ჯიმ! მთელი ქალაქი მოვიარე მის საპოვნელად. მომეცი შენი საათი. მინდა ვნახო, როგორ მოუხდება.

იმის ნაცელად, რომ შეესრულებინა ეს თხოვნა, ჯიმი მოწყვეტით დაეშვა ტახტზე, ხელები თავს უკან შემოიწყო და გაიღიმა.

— დელა, — თქვა მან, — მოდი, შევინახოთ ჩვენი საშობაო საჩუქრები. ისინი მეტისმეტად ძვირფასია ჩვენთვის. მე საათი გავყიდე, გავყიდე იმისათვის, რომ შენთვის ეს სავარცხლები მეყიდა. ახლა კი დააწყე კატლეტები შესაწვავად.

მოგვები, რომლებმაც ახლადშობილ ქრისტეს საჩუქრები უძღვნეს, ბრძენი ადამიანები იყვნენ. სწორედ მათ დაუდეს სათავე საჩუქრის მიძღვნის ჩვეულებას ქრისტეშობის დღეს. და რადგან ისინი ბრძენნი იყვნენ, მათ საჩუქრებსაც ბრძნული შინაარსი ჰქონდა: ადამიანმა თავის ახლობელს საჩუქარი უნდა უძღვნას არა იმ მიზნით, რომ იგი გაამდიდროს და თვითონაც მდიდარი დარჩეს. საჩუქრის არსი სულ სხვაა.

იმის გასარკვევად, თუ როგორი უნდა იყოს საჩუქარი, გიამბეთ თავგადასავალი უგუნური ახალგაზრდა ცოლ-ქმრისა, რომელმაც იმ მიზნით, რომ შინაარსი მიენიჭებინათ საჩუქრებისთვის, მსხვერპლად გაიღეს ყველაზე საუკეთესო, რაც კი გააჩნდათ. ჭეშმარიტად ბრძენია ყველა ის, ვინც ასე გასცემს და ღებულობს საჩუქრებს. ისინი მოგვები არიან.

ფიქრი და დისკუსია

გაიაზრეთ და გააანალიზეთ

1. წერილობით აღწერეთ დელასა და ჯიმის ცხოვრების გზა. გამოიყენეთ მოთხრობის დეტალები და ფრაზები.
2. როგორ დაახასიათებდით დელასა და ჯიმის ურთიერთობას? მოთხრობაში იპოვეთ დეტალები, რომლებიც გაამყარებენ თქვენს პასუხს.
3. რა არის დელასა და ჯიმის ყველაზე ფასეული საკუთრება?
4. როგორ იშოვეს ჯიმიმ და დელამ ერთმანეთის საჩუქრებისთვის თანხა?
5. ო. ჰენრი დელასა და ჯიმს უწოდებს „უგუნურ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, რომელმაც იმ მიზნით, რომ შინაარსი მიენიჭებინათ საჩუქრებისთვის, მსხვერპლად გაიღეს ყველაზე საუკეთესო, რაც კი გააჩნდათ“. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს „უგუნურად“ მიიჩნევეთ თუ — „ბრძნად“? ახსენით, რატომ.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

1. იგავის გააზრება. მოთხრობას, რომელიც გადმოცემს დარიგებას ადამიანის ბუნების შესახებ, იგავი ეწოდება, ხოლო რასაც გვარიგებს — მორალი. მწერალი ზოგჯერ არ წერს მორალს. მას სურს, რომ მკითხველმა იფიქროს იმ მოვლენებზე, რომლებიც ნაწარმოებშია აღწერილი და თავად მიხვდეს მორალს. შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ „მოგვთა საჩუქრები“ იგავად? რა არის ამ მოთხრობის მორალი?

2. სიუჟეტის წვდომა. მოვლენათა თანმიმდევრობას მოთხრობაში სიუჟეტი ეწოდება. მრავალ თხზულებაში სიუჟეტი ერთსა და იმავე ძირითად გეგმას მისდევს. ამ გეგმის ელემენტებია: პროლოგი, ექსპოზიცია, კულმინაცია, კვანძის გახსნა, ეპილოგი.


პროლოგი: ესაა ნაწარმოების შესავალი ნაწილი. პროლოგში მოცემულია ხასიათები, გარემო და კონფლიქტი.

ექსპოზიცია: მასში აღწერილია სიტუაციის დაძაბვა ან დამატებითი სირთულეები, აგრეთვე, ხასიათები, რომელთაც უნდა გავეცნოთ.

კულმინაცია: მოქმედების განვითარების უმაღლესი წერტილია კულმინაცია, რომლის შემდეგაც წინააღმდეგობა ვერ გართულდება. იგი ხშირად მნიშვნელოვან მოვლენას, გადაწყვეტილებას ან რაიმეს გამოაშკარავებას შეიცავს.

კვანძის გახსნა: მოქმედებას, რომელსაც ადგილი აქვს კულმინაციის შემდეგ, კვანძის გახსნა ეწოდება. ლოგიკურად იგი წინ უსწრებს დასასრულს.

ეპილოგი: სიუჟეტის ბოლო ნაწილს ეპილოგი ეწოდება. კვანძის გახსნის შემდეგ დასასრული ერთიანდება და ნაწარმოები მთავრდება. ქვემოთ მოცემულია სიუჟეტის დიაგრამის მონახაზი. გადაიტანეთ იგი რვეულში. განალაგეთ ო. ჰენრის მოთხრობის მოვლენები სქემის სწორ პოზიციებზე. გაითვალისწინეთ, რომ თითოეულ ადგილას ერთ მოვლენაზე მეტის მოთავსება შეიძლება:



3. დახასიათების ანალიზი. ხშირად ავტორი სიტუაციის აღწერით და არა პირდაპირ გვიხსნის გმირის ხასიათს. ამ ტექნიკის გამოყენებით, ანუ მხოლოდ პერსონაჟის სიტყვებითა და ქმედებებით, მკითხველი იგებს მისი ხასიათის შესახებ. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე წინადადება დელას შესახებ. ხასიათის რა თვისებები მჟღავნდება თითოეულ მათგანში?

ა) ამ ფულით იგი ვერაფერს იყიდდა. დელა თავის დანჯღრეულ ტახტზე დაეგდო და მწარედ აქვითინდა;

ბ) ადრე რამდენი სასიამოვნო წუთები გაუტარებია იმაზე ფიქრით, როგორი საჩუქარი ეყიდა მისთვის;

გ) დელას ჩვეულებად ჰქონდა, უხმოდ გასაუბრებოდა თავის თავს უბრალო, ყოველდღიური საკითხების გამოც კი. ხოლო ახლა ჩურჩულით - წარმოთქვა: „ღმერთო, შთააგონე მას, რომ წინანდებურად ლამაზი ვარ“.

4. თხრობის ანალიზი. „მოგვთა საჩუქრებში“ ავტორი ან პერსონაჟი, რომელიც ამბავს ყვება, ხშირად პირდაპირ ესაუბრება მკითხველს. მაგალითად, მწერალი ამბობს, „მე თქვენ გიამბეთ თაეგადასავალი უგუნური ახალგაზრდა ცოლ-ქმრისა“...

იპოვეთ სხვა მაგალითიც, სადაც მთხრობელი ესაუბრება მკითხველს. როგორ ფიქრობთ, რატომ აირჩია ო. ჰენრიმ ნაწარმოების გადმოცემის ამგვარი ხერხი?

5. მოულოდნელი დასასრულის შეფასება. ო. ჰენრი მრავალი კრიტიკოსის მიერ „მოულოდნელი დასასრულის ოსტატადაა“ მიჩნეული. ყურადღებით წაკითხვა აჩვენებს, რომ ო. ჰენრი „მოგვთა საჩუქრების“ დასასრულზე მინიშნებით საუბრობს. იპოვეთ სპეციფიკური პასაჟები, რომლებშიც ეს ჩანს.

ლექსიკური უნარების განვითარება

სინონიმთა განხილვა. ხშირად სინონიმები წინადადების კონტექსტში უცნობი სიტყვების გასარკვევადაა მოცემული.. სინონიმი ის სიტყვაა, რომელსაც იგივე ან დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სხვა სიტყვას.

ქვემოთ მოცემული წინადადებები „მოგეთა საჩუქრებიდანაა“. იპოვეთ თითოეული გახაზული სიტყვის სინონიმი. წინადადების სხვა მონაკვეთს შეუძლია მოგაწოდოთ მისი განმარტება. ამოიწერეთ გახაზული სიტყვა, მოუძებნეთ სინონიმი და რომელიმე სხვა განმარტება, რომელიც გამოიყენეთ სიტყვის მნიშვნელობის გასარკვევად.

1. ეს იყო პლატინისგან დამზადებული, სადა და დახვეწილი სტილით შესრულებული ჯიბის საათის ძეწკვი. მისი ღირსება ის იყო, რომ მასში ხაზგასმული იყო მხოლოდ შინაარსი...

2. დელა შინ დამშვიდებული დაბრუნდა და იმ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტაზე დაიწყო ფიქრი, როგორ აღედგინა ის სილამაზე, კეთილშობილებისა და სიყვარულისათვის მსხვერპლად რომ გაიღო.

3. დელა დიდხანს კრიტიკულად და გულმოდგინედ აკვირდებოდა თავის თავს სარკეში.

4. კარი გაიღო და ოთახში ჯიმი შემოვიდა. იგი იმედგაცრუებული და დაღონებული ჩანდა.

5. დელამ ხელების მსუბუქი მოძრაობით სწრაფად შემოხსნა შეკრულას ზონარი და... აღტაცების შეძახილი აღმოხდა, შემდეგ კი სინანულის ამოკვნესა და ქვითინი.

წერითი უნარების განვითარება

1. თემის გააზრება. „მოგეთა საჩუქრები“ არ არის უბრალოდ მოთხრობა საჩუქრის მიცემაზე. მთავარი იდეა, რომელიც ო. ჰენრის სურს მიიტანოს მკითხველამდე, სიყვარული და ხელმოკლეობაა. დაწერეთ თხზულება, რომელშიც განიხილავთ ამ მოთხრობის თემას.

2. თვალსაზრისის შეცვლა. „მოგეთა საჩუქრებში“ მოვლენები წარმოდგენილია დელას განცდების მიხედვით. მკითხველი ხედავს არა ჯიმის, არამედ ქალის ქმედებებს.

აღწერეთ ჯიმის ის დღე, როდესაც მან მიიღო გადაწყვეტილება, დელასთვის საჩუქარი ეყიდა. თქვენ შეგიძლიათ, ჩააყენოთ იგი ნებისმიერ სიტუაციაში, მაგრამ ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოთხრობაში მოცემულ ინფორმაციას.

3. წინასწარი მონახაზი. ჩამოწერეთ ჯიმის ქმედებები დღის მანძილზე, მოკლედ ჩაინიშნეთ, თუ რას ფიქრობდა იგი იმ დროს.

დაალაგეთ ქმედებანი და ქრონოლოგიურად გაიაზრეთ თანმიმდევრობა, რომლის მიხედვითაც ისინი ხდება.

შეადარეთ თქვენი ჩამონათვალი მოთხრობას. გახსოვდეთ, რომ რასაც ჯიმი თქვენი ნაწერის მიხედვით აკეთებს, უნდა თანხვედებოდეს მოთხრობაში გადმოცემულ მოვლენებს.

4. წერა. დაიწყეთ თქვენი ნაშრომი მსჯელობით, რომელიც წარმოადგენს ჯიმის და შემოჰყავს იგი გარემოცეაში. თქვენ შეგიძლიათ, დაიწყოთ მისი საცხოვრებელი ბინიდან. შემდეგ აღწერეთ მისი დღე. ახსენით, რას აკეთებს და რას ფიქრობს იგი.

დაასრულეთ წინადადებებით, რომლებშიც გადმოცემულია, როგორ აღებს ჯიმი კარს და ხედავს დელას. დაბოლოება იგივე უნდა იყოს, რაც მოთხრობაშია.

5. შემოწმება. შეამოწმეთ თქვენი თხზულება შემდეგი მითითებების მიხედვით:

დარწმუნდით, რომ თქვენ მიერ აღწერილი მოვლენები თანმიმდევრობითაა დალაგებული;

შეამოწმეთ, რომ შესავალი და დამაბოლოებელი წინადადებები ეფექტური იყოს;

კორექტურა წაიკითხეთ ყურადღებით, რათა არ გამოგრჩეთ გრამატიკული და მექანიკური შეცდომები;

მოამზადეთ ნაშრომის საბოლოო ვარიანტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა შესწორება.

უნარების განვითარება სწავლა-ძიების პროცესში

ალუზიების კვლევა. თუ გაიხსენებთ, ო. ჰენრი მიმართავს ალუზიას, როდესაც მოგვეებს ასახელებს. ალუზია ფრანგული სიტყვაა და მინიშნებას გამოხატავს. იგი მიუთითებს რომელიმე ისტორიულ ან ლიტერატურულ გმირზე, ლიტერატურულ ან ყოფით ფაქტებზე და ნაწარმოების პერსონაჟის ხასიათის ან რომელიმე ეპიზოდის სიღრმისეული თუ შედარებითი გააზრებისთვისაა მოყვანილი. ასევე ალუზიას იყენებს ო. ჰენრი, როდესაც საბიას დედოფალსა და სოლომონ მეფეს მოიხსენიებს. სათანადო ლიტერატურის დახმარებით კიდევ უფრო დააზუსტეთ, ვინ იყვნენ ისინი.

როგორ უწყობს ხელს ამ ალუზიათა მიხვედრა მოთხრობის წვდომას? რა დამატებით იდეებს გეთავაზობს ო. ჰენრი მოვლენებისა და ხასიათების შესახებ?


დავალება

ო. ჰენრი წერს: „ეს იყო პლატინისგან დამზადებული, სადა და დახვეწილი სტილით შესრულებული ჯიბის საათის ძეწკვი. მისი ღირსება ის იყო, რომ მასში ხაზგასმული იყო მხოლოდ შინაარსი და არ შეიცავდა ყალბ, ზიზილ-პიპილო ორნამენტებს. ასეთი უნდა იყოს ხელოვნების ყველა ჭეშმარიტი ნიმუში!“

როგორ გესმით მოთხრობიდან მოყვანილი ეს მოსაზრება?

იზიარებთ თუ არა მწერლის თვალსაზრისს, რომ ხელოვნების ყველა ჭეშმარიტ ნიმუშში მთავარია შინაარსი და არა გარეგნული მხარე? თუ არ იზიარებთ, იმსჯელეთ, რატომ?

თქვენი თვალთახედვა წერილობითაც გადმოეცით.



ბიოგრაფია

რიუნოსკე აკუტაგავა

(1892–1927 წ.წ.)





ნობელის პრემიის ლაურეატი იაპონელი მწერალი რიუნოსკე აკუტაგავა რძით მოვაჭრის ოჯახში დაიბადა. დედა აკუტაგავას საგვარეულოდან იყო, სადაც იზრდებოდა მომავალი შემოქმედი. აქედან მიიღო გვარიც.

როდესაც რიუნოსკე გაჩნდა, მამამისი ორმოცდაორი წლისა იყო, ხოლო დედა – ოცდაცამეტის. იაპონური ცრურწმენით, ოცდაათს გადაცილებულ მშობლებს თუ შვილი შეეძინებოდათ, ეს უკეთურებას მოასწავებდა. ამიტომ რიუნოსკეს დედ-მამამ იგი მიგდებულ ბავშვად გამოაცხადა და დეიდასთან მიიყვანა აღსაზრდელად, რომელსაც შვილი არ ჰყავდა.

1910 წელს აკუტაგავამ წარჩინებით დაამთავრა ტოკიოს მუნიციპალური საშუალო სკოლა და გადაწყვიტა, ინგლისური მწერლობა შეესწავლა, ამიტომ შეეიდა პირველი კოლეჯის ლიტერატურის განყოფილებაზე, რომელიც 1913 წელს დაამთავრა და მალევე ტოკიოს საიმპერატორო უნივერსიტეტის ინგლისურ განყოფილებაზე ჩაირიცხა. საუნივერსიტეტო სწავლებამ იმედები გაუცრუა. იგი ჟურნალის გამოცემას შეუდგა. თანამოაზრეებთან ერთად სწორედ მაშინ გაილაშქრა ნატურალიზმის წინააღმდეგ და ლიტერატურა ჭეშმარიტ ხელოვნებას გაუთანაბრა.

მწერლის შემოქმედების დასაწყისი 1915 წელთანაა დაკავშირებული, როდესაც დაწერა მოთხრობები: „რაშიომონის კარიბჭე“ და „ცხვირი“, რომლებმაც ახალგაზრდა ავტორს მაშინვე დიდი აღიარება მოუტანეს.

მრავალი კრიტიკოსი ამ ნაწარმოებების შექმნას იმ პერიოდს უკავშირებს, როდესაც აკუტაგავა ტრაგიკული სასიყვარულო ისტორიის გამო სულიერ დეპრესიაში იყო, ცდილობდა გაქცეოდა სინამდვილეს და წინაპართა სამყაროში გადასულიყო.

1916 წელს რიუნოსკე ამთავრებს უნივერსიტეტს და ინგლისური ენის მასწავლებლად იწყებს მუშაობას სამხედრო-საზღვაო სკოლაში. იქიდან იგი მომავალ მეუღლეს ასე სწერს: „დაეინახავ თუ არა მოწაფეების სახეებს, მაშინვე სევდა მიპყრობს; მაგრამ, სამაგიეროდ, მყისიერად გამოვცოცხლდები, როდესაც წინ ქაღალდი, წიგნები, კალამი და კარგი თამბაქო მიწყვია“. მიუხედავად ამისა, მწერლის ცხოვრებაში ეს იყო ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი — ცხრა თვის მანძილზე აკუტაგავამ დაახლოებით ოცი ნოველა, ესე და სტატია შექმნა. იგი წერდა: „ძველი და თანამედროვე სამყაროს ადამიანების სულს ბევრი რამ აქვთ საერთო, ამაშია საქმე“. ამიტომაც აკუტაგავა გარდასულ საგმირო საქმეებში ყოველთვის მოქმედებების, აზრების, ფსიქოლოგიის ანალოგებს ეძებდა თანამედროვე ადამიანების საქციელთან და მორალთან მიმართებით.

აკუტაგავას კრიტიკოსები მწერლის შემოქმედებას სამ პერიოდად ყოფენ: XII ს., როდესაც იაპონიის ძველი დედაქალაქი კიოტო უბედურმა გაჭირვებამ მოიცვა; XVI ს-ის დასასრული, როდესაც ქვეყანაში ქრისტიანობა გავრცელდა და მეიძის ეპოქა — განმანათლებლობის ხანა.

აკუტაგავა აღწერდა და გადმოცემდა თითოეულ ამ ეპოქას და იგი გახდა შეუდარებელი წარმომჩენი ისტორიული ხასიათებისა, პირობითობის, თუნდაც ფსიქოლოგიური კონფლიქტის, რომლებიც საოცარ რეალურობას ანიჭებს მონათხრობს. მწერალს თითქმის ყოველთვის პერსონაჟის მორალური სახე, შინაგანი სამყარო აინტერესებს და მისგან ზნეობრივ სრულყოფილებას მოითხოვს. ეს, ერთი შეხედვით, ძნელად გასააზრებელია მკითხველისათვის, მაგრამ, სინამდვილეში, ცხოვრებისეულია, შეგიძლია, პირადად განიცადო, მიუხედავად ყოფისა და კულტურის სხვადასხვაობისა.

აკუტაგავას მოღვაწეობის ბოლო პერიოდი 1921-1927 წლებია. ამ დროს იგი ქმნიდა თავისუფალ, თანამედროვე ადამიანთა სახეებს, შეულამაზებლად, როგორებიც სინამდვილეში იყვნენ. მისთვის მნიშვნელოვანი იყო პიროვნების იმ შინაგან სამყაროზე ყურადღების გამახვილება, რომელიც გმირების სულიერი მდგომარეობით იყო განპირობებული.

აკუტაგავამ, ახალი იაპონური ლიტერატურის უკანასკნელმა კლასიკოსმა, თავი მოიკლა 1927 წლის 24 იულისს 35 წლის ასაკში. მისი თვითმკვლელობის მიზეზი ვერავინ გაიგო. 1935 წელს მეგობარმა და გამომცემელმა კიკუტი კანმა დააწესა რიუნოსკე აკუტაგავას სახელობის პრემია, რომელიც ყოველწლიურად ენიჭებათ ახალგაზრდა მწერლებს.

რიუნოსკე აკუტაგავა

სანემონის დანაშაული

(თარგმნა ზურაბ კიკნაძემ)

სად გადის ზღვარი ადამიანის სამართლიანობასა და დანაშაულის გრძნობას შორის? გაძლეთ თუ არა ეს მოთხრობა ამ პრობლემაზე დაფიქრების საშუალებას?

ეს მოხდა ბუნსეის[1] მეოთხე წელს, ტირისდენის[2] თვეში. კაგას მფლობელის, თავად ხარუნაგას ვასალმა, ქეშიკმა[3] ხოსოი სანემონმა მოკლა ჭაბუკი კაძუმა, კინუგასა ტახეის, მისივე რანგის ქეშიკის, უმცროსი ვაჟი. მაგრამ ორთაბრძოლაში როდი მოუკლავს. — შემოაკედა. ერთხელ, როცა სანემონი მგოსანთა შეკრებიდან ბრუნდებოდა, ძაღლის ჟამისას[4] საჯირითო მოედანს ჩაუარა და სწორედ ამ დროს ხმალამოწვდილი კაძუმა დაეცა თავს, მაგრამ მისივე ხელით დაიღუპა.

ამბავი ესე მისწვდა თავადის ყურს და ხარუნაგამ უბრძანა სანემონს, მის წინაშე გამოცხადებულიყო. არც არავის გაპკეირვებია ეს ბრძანება.

ჯერ ერთი, — ბრძენკაცად იცნობდნენ ხარუნაგას. ყველა მნიშვნელოვან საქმეს თავად გადაწყვეტა ხოლმე. ვასალებს არ ანდობდა. ვიდრე ძირამდე არ ჩასდევდა ფესვს საქმისას, ვიდრე თავად არ განსჯიდა ჯერისამებრ, ვერ მოისვენებდა... განა ამას არ ადასტურებს ამბავი მისი ორი ბაზიერისა? ერთი რომ დააჯილდოვა, მეორე რომ დასაჯა? ამა ამბიდანაც ხომ ჩანს, რა კაცი ბრძანდებოდა ხარუნაგა, კაგას

[1] ბუნსეის მეოთხე წელი — ბუნსეის წლებია 1918-1830, ხოლო ბუნსეის მეოთხე წელია — 1821.

[2] ტირისდენი — დეკემბერი.

[3] ქეშიკი — მცველი. ამ ქეშიკთა მოვალეობა იყო, დაეცვათ ცხენზე ამხედრებული თავადი ლაშქრობისას. ამიტომაც ისინი ბრძოლის ჩინებული ოსტატები უნდა ყოფილიყვნენ.

[4] დროის ძველი იაპონური აღრიცხვის მიხედვით, დღე-ღამე დაყოფილი იყო 12 ნაწილად. თითოეული 2 საათს მოიცავდა. დროის ამ მონაკვეთებს ზოდიაქოს ცხოველთა სახელები ერქვათ. ძაღლის საათი გრძელდებოდა საღამოს 7-დან 9 საათამდე.

პატრონი. ამიტომაც არ იყო ზედმეტი ამის გახსენება.

ერთხელ ერთმა ბაზიერმა, მძლეველი ფრინველების თვალთვალი რომ ევალებოდა, აცნობა, – იტიკავას სოფლის ყანებში წითელნისკარტა წეროების გუნდი დაეშვაო. მისი ბრწყინვალება დიდად გაახარა ამ ცნობამ. ხვალისათვის მოითავეს მზადებანი და დილაადრიან გაემართნენ იტიკავას სანახებისკენ. ბაზთაგან უკეთესი შევარდენი, ფუძი-ცუკასა წაიყვანეს თან, თვითონ სეგუნმა რომ უწყალობა თავადს. თანაც ორი, დიდი და პატარა შევარდენი წაიყოლიეს. ფუძი-ცუკასას ჩვეულებრივ სამურაი აიმოტო კიძაემონი ბაზიერობდა, იმ დღეს კი თავად მისმა ბრწყინვალებამ მოინება, საკუთარი ხელით ეტარებინა შევარდენი. რაღაც ხიფათად ამასწინანდელი წვიმებისაგან ყანებზე გამავალი ბილიკი მოლიპულიყო, და მის ბრწყინვალებას უცაბედად ფეხი დაუსხლტა, შევარდენი მოსწყდა მის ხელს. შეინავარდა და იმავ წამს აფრინდა წითელნისკარტა წეროების გუნდი, ცაში გაუჩინარდა. ამის დანახვისას კიძაემონმა, ბრაზისაგან გონდაკარგულმა, ერთი მაგრად შეუძახა:

– რა ჰქენი, ბრიყვო! – მაგრამ იმავ წამს გონს მოეგო, იაზრა, რომ მის წინაშე მისი ბრწყინვალება იდგა, მუხლებში ჩაუვარდა თავადს, ცივმა ოფლმა დაასხა. ასე ელოდა თავადის მოქნეულ სმალს. მისმა ბრწყინვალებამ კი მხოლოდ გაიღიმა და ბრძანა:

– ჩემი ბრალია! მომიტევე, დამნაშაეე ვარ!

ციხე-კოშკში დაბრუნებისას კიძაემონის ერთგული სამსახურითა და გულწრფელობით ნაამებმა თავადმა ახლად გატეხილი ყამირი მიწა უწ-



სამურაების დეკორატიული ფიგურები

ყალობა, ასი კოდი ბრინჯის მოსაელიანი, და თანაც ბაზიერთუხუცესად დაადგინა.

იმხანად ფუძი-ცუკასას, შევარდენს, ვინმე სამურაი, სახელად იანასა სეიხატი მიუსინეს. და მოხდა ისე, რომ შევარდენს რაღაც სენი შეეყარა. გამოიძახა მისმა ბრწყინვალებამ სეიხატი და ეკითხება:

— როგორაა ფუძი-ცუკასა, ჩემი შევარდენი?

ამ დროისათვის შევარდენი უკვე გამოჯანსაღებულიყო და სეიხატიმაც უპასუხა:

— საღადაა! იმდენად საღად, რომ კაცის დაკაწვრაც არ გაუჭირდება.

ეტყობა, არ ეთნო მის ბრწყინვალებას ასეთგვარი ტრაბახი, ამიტომაც ბრძანა:

— კეთილი, მაშ, გვაჩვენე კიდეც, როგორ დაეცემა კაცს.

რა ღონე ჰქონდა, იმ დღიდან სეიხატი დაადება ხოლმე თავზე თავის შვილს სეიტაროს თევზს ან ნანადირევის ნამუსრევს, ან სხვა საქნიერს რასმე და მთელი დღეობით წვრთნიდა ფუძი-ცუკასას ისე, რომ შევარდენი თანდათან შეაჩვია კაცის თავზე დაჯდომას. მაშინ ბევრი აღარ უფიქრია სეიხატის და ბაზიერთუხუცესის პირით შეუთვალა თავადს: მზად ვარ, გისვენო შევარდნით კაცზე ნადირობაო, — რაზეც მისმა ბრწყინვალებამ ბრძანა:

— დიდად სასეიროა! ხვალვე ყველანი ერთად გაეემართებით სამხრეთის ასპარეზზე. დაე, შევარდენმა შეიპყროს უფროსი სამურაი, ობა ძიუგენი, ჩაის სმის წესებს რომ განაგებს.

დილაადრიან, სისხამზე, მიადგა მისი ბრწყინვალება სამხრეთის ასპარეზს. ბრძანა, შუაგულ მინდორში დაეყენებინათ ობა ძიუგენი. ასეც მოიქცნენ და თავადმაც შესძახა:

— გაუშვი შევარდენი, სეიხატი!

— ამწუთას, თქვენო ბრწყინვალებავ! — და სეიხატიმ გაუშვა შევარდენი. ისარიეით გაეარდა ფრთოსანი, „ერთის“ იეროგლიფიეით სწორი ხაზი გააელო ჰაერში და ობა ძიუგენს დააცხრა თავზე.

— მოხვდა! — დასცა ყიჟინა სეიხატიმ, მოკლე სატევარი იშიშელა (ფრინველთა გულ-ღვიძლის ამოსართმევად რომ ხმარობენ მონადირენი) და ობა ძიუგენს მიეარდა, რათა იქვე დაეკლა, მაგრამ ამ დროს გაისმა თავადის ხმა:

— რას სჩადი, სეიხატი!

გონს როდი მოეგო სეიხატი, წარმატებით გაბრუებული ცდილობდა, მახვილი ეძგერებინა ობა ძიუგენისთვის, თან ბურტყუნებდა:

— რაკი შევარდენმა მოინადირა ნადირი, ხომ უნდა ამოვართვა გულ-ღვიძლი.

მაშინ რისხვამ აიტანა მისი ბრწყინვალება და ბრძანა:

— თოფი! — მიართვეს თოფი და იმავ წამს მოცელილივით დაეცა სეიხატი. უებრო მსროლელი გახლდათ თავადი...

ეს ერთი. მეორე ის იყო, რომ თავადი ხარუნაგა დიდი ხანია, რაც გულისყურით აკვირდებოდა სანემონს. ერთხელ მოხდა ასეთი ამბავი: მოჯანყეთა დაშოშმინებისას თავში დაჭრეს სანემონი და კიდევ ერთი სამურაი. ეს სამურაი წარბებს შუა იყო დაჭრილი, სანემონს კი მარცხენა საფეთქლის ცისფერი ძარღვი შესიებოდა. ხარუნაგამ მოიხმო ორთავენი და გაკვირვებით იკითხა:

— სასწაული არაა? — მერე: — გტკივათ? — რაზეც იმ სამურაიმ მიუგო:

— სულაც არ მტკივა. ბედზე გადაერჩი!

ხოლო სანემონმა პირქუში სახით ჩაიბურტყუნა:

— არ მტკივაო? მხოლოდ მკვდარს თუ არ ეტკინება ასეთი ჭრილობა.

მას შემდეგ დარწმუნდა ხარუნაგა, რომ სანემონი პატიოსანი და გულმართალი კაცი იყო, სიცრუე არ ამოვიდოდა მისი პირიდან. „სხვისა რა მოგახსენოთ, ამ კაცს კი ვენდობი“, — გაიფიქრა მაშინ თავადმა.

ასეთი კაცი იყო ხარუნაგა, კაგას მფლობელი. ამიტომაც ასე გადაწყვიტა: მოულოდნელი მკვლელობის გამოსაკვლევად პირადად დაეკითხა სანემონი.

თავადთან ხლების ბრძანება რომ მიიღო, გულჩათხრობილი წარდგა მის წინაშე სანემონი. გარნა დამნაშავე და მონანიე კაცის სახე არ ჰქონდა. დაძაბუნდა ხმელი პირისახე, მღელვარებისაგან გაქვავებოდა, რაღაც შინაგან შეუპოვრობას შეეპყრო.

— ამბობენ, კაძუმა მოულოდნელად დაგცემია თავს, სანემონ, — უქარაგმოდ დაიწყო თავადმა. — ალბათ გმტრობდა. რას გერჩოდა?

— მტრობის საბაბი ვერ გამიხსენებია.

მცირე ხანს დააყოვნა ხარუნაგამ და ისე ჰკითხა, თითქოს ცდილობდა, კარგად მიეხვედრებინა სანემონისთვის შეკითხვის აზრი:

— კარგად გაიხსენე, იქნებ მიგიძღვოდა რაიმე ბრალი?

— არ მახსენდება... თუმცა კი მაქვს ერთი ვარაუდი... შესაძლოა, ერთი რამის გამო გამინაწყენდა...

— მაინც რის გამო?

— ოთხი დღის უკან მოხდა ეს შემთხვევა. ფარიკაობის სკოლაში ყოველწლიური ასპარეზობა იყო გამართული. თქვენი ბრწყინვალების მასწავლებლის, იამამოტი კოძაემონის ნაცვლად დამადგინეს მსაჯად. თუმცა ყოველთვის წვრთნადაუმთავრებელი სამურაების ორთაბრძოლას ემსაჯობდი ხოლმე. კაძუმას მსაჯობაც მე დამეკალა ამჯერად.

— ვინ იყო მისი მეტოქე?

— სამურაი, სახელად ტამონი, თქვენი ბრწყინვალების ვასალის, ხირატა კიდაის ვაჟიშვილი და მემკვიდრე.

— და კაძუმა დამარცხდა ორთაბრძოლაში?

— დამარცხდა, თქვენო ბრწყინვალებავ. ორგზის შეეხო ტამონი კაძუმას მაჯას და ერთხელ თავს მისას. ამან ვერც ერთხელ ვერ უჩხელიტა მოწინააღმდეგეს. სამივე წრეში სასტიკი მარცხი იწვნია კაძუმამ. მსაჯზე თუ დაიბოღმა, ჩემზე მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალებავ.

— ხომ არ იფიქრა კაძუმამ, მიკერძოებით სჯიდაო მსაჯი? ამას ვარაუდობ?

— ასე ვეარაუდობ, თქვენო ბრწყინვალებავ. მაგრამ მე არასოდეს მჩვევია ასეთი რამ. არც რაიმე საბაბი მქონია ოდესმე, ვინმესთვის მიმენიჭებინოს უპირატესობა. მაინც ეფიქრობ, კაძუმა დაეჭვდა ჩემს სამართლიანობა'ში.

— მანამდე ხომ არ წალაპარაკებიხართ ერთმანეთს? ცილობა ხომ არ ჩამოვარდნილა თქვენ შორის? აბა, გაიხსენე?..

— არა, არასდროს შევცილებივართ ერთმანეთს, ოღონდ... — აქ ენა დაება სანემონს, ყოყმანისგან როდი ჩანდა, უზუსტეს სიტყვებს ეძებდა, რათა უკეთესად გამოეთქვა აზრი.

— ოღონდ ერთხელ... ასპარეზობის წინადღით კაძუმამ ჩემდა მოულოდნელად პატიება მთხოვა, უკმეხად მოგექციო ამას წინათ. ვერაფერი გავიხსენე და ვკითხე, რას გულისხმობ-მეთქი. კაძუმას არაფერი უპასუხნია: ერთი კი გაილიმა დარცხვენილმა. მაშინ ვუთხარი, არაფერ'ში გადანაშაულებ, შენთვის არაფერი მაქვს საპატიებელი-მეთქი. მომეჩვენა, რომ დამ- იჯერა კაძუმამ, რაკი უკვე მშვიდად ჩაილაპარაკა, „მომჩვენებია... გთხოვ, გულიდან გადაიგდო ეს საუბარი...“ ახლა კი მაგონდება, რომ ამის თქმი- სას კელავ გაეღიმა კაძუმას, მაგრამ მორცხვად როდი, რაღაც ავი ნაპერ- წკალი გაუკრთა თვალებში...

— მაინც რას გულისხმობდა?

— ვერაფერს მივმხვდარვარ. რაღაც უმნიშვნელო რამ კი უნდა ყოფილიყო... ეს არის და ეს. სხვა რამ ცილობა არ გექონია...

ერთხანს ორთავენი დუმდნენ.

— რა ზნის კაცი იყო კაძუმა? ეჭვიანობა ხომ არ შეგიმჩნევია მისთვის?

— არა, არ შემიმჩნევია... კეთილი ზნისა იყო, გულგაშლილი... გრძნობების გამჟღავნებისა არა რცხვენოდა. ფიცხი კი იყო... — დადუმდა ამ სიტყვებზე სანემონი. მერე ამოხვნეშით ჩაილაპარაკა: — ეს კია, რომ... ტამონთან ორთაბრძოლა მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

— ძალზე მნიშვნელოვანი ? რატომ?

— კაძუმას გაელილი ჰქონდა წინასწარი გამოცდები. ამ ბოლოს რომ გაემარჯვა, მისი წერთნა დასრულებულად ჩაითვლებოდა. თუმცა ტამონ-

საც ასე ჰქონდა საქმე. ორთავენი – ტამონიცა და კაძუმაც – ჭაბუკ სამურაებს შორის ყველაზე ნიჭიერი მოფარიკავეები იყვნენ.

ხარუნაგა ფიქრს მიეცა ანაზდად, თითქოს რაღაც ახალი აზრი გაუჩნდაო. იმ საბედისწერო ღამის გამო გამოკითხვა დაუწყო ეასალს.

– ნამდვილად გიდარაჯებდა საჯირითო მოედანთან კაძუმა?

– ასე გამოდის. იმ სუსხიან საღამოს მარტომ ჩაეუარე მოედანს. მოსასხამი არ მქონდა თან და ქოლგის გაშლა მომიხდა. ანაზდად გაძლიერდა ქარი, თოვლმა ირიბად დაიწყო ცვენა და მეც მარცხნივ გადავხარე ქოლგა. სწორედ ამ დროს დამეცა კაძუმა და ამიტომაც ამცდა მისი მახვილი. მხოლოდ ქოლგას მოხვდა და გაფატრა.

– ისე მოგიქნია მახვილი, რომ არც კი შეგეხმიანა?

– ასე გამოდის.

– იცანი? რა იფიქრე?

– გაფიქრებაც ვერ მოვასწარი. მეყსეულად მარცხნივ ვუგანე და იმავ წამს გამიმეორა დარტყმა. ერთ მტკაველზე გამიფატრა ხალათის სახელო. კვლავ განზე გავხტი, მახვილი ვიშიშვლე და ვაძგერე. მკერდი გამიფატრავს მისთვის. რაღაც წამოიყვირა...

– მაინც რა?

– არ მახსოვს. ისე, უბრალოდ წამოიყვირა რაღაც გამძვინვარებულმა... მაშინლა მივხვდი, კაძუმა რომ იყო.

– შენ ამბობ, ხმაზე ეიცანიო?

– არა, ამას არ ვამბობ!

– მაშ, როგორლა მიხვდი, კაძუმა რომ იყო?

დუმდა სანემონი, არაფერი უპასუხნია თავადისთვის. მაშინ ხარუნაგამ მეტი დაჟინებით გაუმეორა კითხვა. მაგრამ სანემონი კვლავ დუმდა, თავი დაეხარა და თავის ხამლებს ჩაშტერებოდა: ჰგავდა, არც კი აპირებდა ხმის ამოღებას.

– აბა, სანემონ! – ერთბაშად გადასხვაფერდა თავადი, მრისხანე და დიდებული იერი მიეცა. მსგავსი წამიერი ფერისცვალებანი სჩვეოდა ხარუნაგას. თავი არც აუწევია, ისე განახვნა სანემონმა ჯიუტად მოკუმული ბაგენი. მაგრამ მისთა ბაგეთაგან აღმომხდარი სიტყვები პირდაპირი პასუხი არ იყო პატრონის შეკითხვაზე. ხარუნაგას გასაოცრად, ეს იყო დანაშაულის თვინიერი აღიარება.

– დიახ, მძიმე ბრალი მაწევს, ტყუილუბრალოდ დაეღუპე სამურაი, თქვენი ბრწყინვალების ძვირფას სამსახურში მდგარი.

მოიღრუბლა პატრონი. მიუმხედარობა ეწერა სახეზე. მაგრამ მზერა, სანემონისკენ მიმართული, კვლავ მრისხანე და დიდებული იყო.

– სრული უფლება ჰქონდა კაძუმას, ეძულებოდი, – განაგრძო ყმამ, – უსამართლოდ ესჯიდი მათ ორთაბრძოლას.

კიდეე უფრო მოიღრუბლა ხარუნაგა.

– წელან პირუთვნელობა ახსენე შენი, ირწმუნებოდი, ფიქრადაც არ მომსელია, ვინმესთვის უპირატესობა მიმენიჭებინაო.

– მერწმუნეთ. მართალი ვთქვი წელან. მზადა ვარ, იგივე გავიმეორო... – დიდის ძალისხმევით არჩევდა სიტყვებს სანემონი, თითქოს მთელი გულისნადების გაცხადება სურსო. – აი, სად იყო უსამართლობა: მართლაც არ მქონია განზრახული, ხელი შემეწყო ტამონის გამარჯვებისა და კაძუმას დამარცხებისათვის. ჭეშმარიტად ასეა ეს, როგორც წელან მოვახსენე თქვენს ბრწყინვალებას. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ეს ჯერ კიდეე არაა იმის დასტური, თითქოს პირუთვნელად მოვიქეცი. შეგნებულად მეტ იმედებს ვამყარებდი კაძუმაზე. ტამონის ხელოვნება მანკიერია, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისაკენ მიისწრაფის, ოღონდ გაიმარჯვოს, არაფერს არ დაგიდევს, სიმდაბლისაც არ შერცხვება. კაძუმა სხვაა – მისი ხელოვნება ამაღლებულია, კეთილშობილური. იგი ჭეშმარიტი ხელოვანია, ალალმართალი და პირდაპირი, მუდამ რომ მზადაა, პირისპირ შეხვდეს მოწინააღმდეგეს. იმასაც კი ეფიქრობდი, რომ ორი-სამი წლის შემდეგ ტამონი აღარ ივარგებდა კაძუმას მეტოქედ...

– მაშ, რად მიუსაჯე დამარცხება კაძუმას?

– საქმეც ეგაა... სიმართლე გითხრათ, კაძუმას გამარჯვება მწადდა და არა ტამონისა. მაგრამ არ მაეიწყებოდა, რომ მსაჯი ვიყავე, ხოლო მსაჯმა გულიდან უნდა გადაიგდოს პირადი თანაგრძნობანი. როცა მარაომომარჯვებული დგახარ მოასპარეზეთა შორის, მხოლოდ ზეციურ კანონებს უნდა მისდევდე და არა გულისთქმას. ასეთია ჩემი რწმენა. ამიტომაც იმ ორთაბრძოლის დროს მარტოოდენ უზენაეს სამართალზე ვფიქრობდი. ოღონდ, წელანაც მოგახსენებდით, გულის სიღრმეში მაინც მწადდა კაძუმას გამარჯვება. გულისხმიერი სასწორი მის სასარგებლოდ დაიწონა. და მოხდა ისე, რომ პინების გასაწონასწორებლად ტამონის პინაში ერთი მცირე საწონი ჩავაგდე... გეიანღა მიეხედი, ზედმეტი რომ მომიეიდა; ძალზე ლმობიერად მოვექეც ტამონს, ხოლო კაძუმას მიმართ მეტისმეტი სისასტიკე გამოვიჩინე.

სანემონი კელავ დადუმდა. თავადიც დუმდა ამბის მოლოდინში.

– აი, დგანან ერთმანეთის პირისპირ, დაძაბულან, თვალს არ აშორებენ ერთურთის ხმლის წვერს. არც ერთი არ იწყებს ბრძოლას... უცებ წამი მოიხელთა ტამონმა და შეეცადა, ხმლის წვერით შეხებოდა კაძუმას თავს. კაძუმამ ბრწყინვალედ მოიგერია დარტყმა, საბრძოლო ყიჟინა დასცა და იმავე წამს მაჯაში მოახვედრა ტამონს ხმალი. სწორედ ამ წუთიდან ვიწყე უსამართლო სჯა. რა თქმა უნდა, გამარჯვებად ჩავთვალე კაძუმას დარტყმა. მაგრამ გულში გავიელე თუ არა, „მარჯი-მეთქი“, – მაშინვე ეჭვმა გამკრა, „მეტისმეტად სუსტი ხომ არ იყო-მეთქი დარტყმა?..“ ამ ყოყმანმა

შეარყია ჩემი სიმტკიცე: და არ აღემართე მარაო კაძუმას თავზე, თუმცა ამგვარად კი უნდა მოექცეულიყავ. მოწინააღმდეგენი ერთხანს კელავ გაუნძრეველად იდგნენ ერთმანეთის პირისპირ და ზვერავდნენ ერთურთს. ამჯერად კაძუმა გახტა წინ, ტამონის მაჯა ამოიღო მიზანში. მაგრამ ტამონმა მოიგერია დარტყმა, იერიშზე გადავიდა მეესეულად და კაძუმას ხელს შეახო ხმლის წვერი. ეს დარტყმა კიდევ უფრო სუსტი, გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე წელანდელი, კაძუმასეული, ყოველ შემთხვევაში, უფრო მარჯვე დარტყმად ვერ ჩაითვლებოდა ტამონისეული დარტყმა. მაგრამ იმავ წამს აღემართე მარაო ტამონის თავზე. ამრიგად, პირველ შეტაკებაში გამარჯვება ტამონს ხვდა წილად. „ეს რა ჩავიდინე-მეთქი", – გამიელვა თავში შიშნეულმა ფიქრმა, მაგრამ მაშინვე რაღაც სხვა სმამაც ჩამჩურჩულა: „არა, მსაჯი არ შეცდებოდა. და თუ ახლა მეჩვენება, რომ შეცდომა დაეუშვი, ეს მხოლოდ იმის გამოა, რომ ზედმეტად ეწყალობ კაძუმას..."

– შემდეგ რა მოხდა? – წყენანარევი ხმით იკითხა ხარუნაგამ, რაკი სანემონი კელავ დადუმდა.

– მეტოქენი კელავ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. შეტაკება ამჯერად დიდხანს გაგრძელდა. ანაზდეულად ხმალი გადაუვარდინა ტამონს კაძუმამ და ყელში მოარტყა ხმლის წვერი. ეს იყო ელვისებური დარტყმა, ძლიერი და ზუსტი.

მაგრამ წამსაც არ გაუელია, რომ ახლა კაძუმას თავს შეეხო ტამონის ხმალი. მე მათ შორის აღემართე მარაო, რათა ფრე გამომეცხადებინა. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ არც კი ეიყავ სწორი... ალბათ გამიძნელდა გამოცნობა, ვინ სჩხვერა პირველმა... თუმცა არა, ყელს უფრო ადრე მოხვდა ხმალი, ვიდრე მეორე ხმალი თავს მოხვდებოდა. ასე მომივიდა, რა ექნა. ფრეს გამოცხადების შემდეგ მეტოქენი მესამეგზის შეემზადნენ შესარკინებლად, კელავ დადგნენ წესისამებრ და ზვერავდნენ ერთმანეთს. ახლაც პირველმა კაძუმამ დაიწყო ბრძოლა, ამჯერად მიზანში მოწინააღმდეგის ყელი ამოიღო. წინ გახტა, მაგრამ ძალზე მაღლა მოუვიდა ხმლის აწევა და ტამონს შეეძლო, მისწედნოდა მის მკერდს... ამის შემდეგ კიდევ ათი წუთი მძვინვარებდა ორთაბრძოლა. საბოლოოდ ტამონის ხმალი მისწვდა კაძუმას თავს...

– როგორი იყო დარტყმა?

– ბრწყინვალე და უზუსტესი. ახლა კი ყველა ცხადად დაინახავდა ტამონის უპირატესობას. ამ ხელმოცარეამ გააცოფა კაძუმა, ასერიგად აღელვებულს რომ ვხედავდი, კიდევ უფრო მომინდა მისი გამარჯვება. მომინდა და კიდევ უფრო მომეძალა ყოყმანი. ეერა და ვერ გაებედე, კაძუმას თავზეით ამეწია მარაო. მეტოქენი კელავ შეებნენ ერთმანეთს და უცებ კაძუმა – ვერც კი მივხვდი, რას აპირებდა – შეეცადა, ახლოს მიდგომოდა ტამონს. ვერ მივხვდი-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ კაძუმა

ჩვეულებრივ არ იყენებდა ახლოდგომის ილეთს. სუნთქვა შემეკრა. მოსახდენი მოხდა: ტამონმა მკერდი გამოაჩინა და იმავ წამს მისი ხმლის წვერი ელვის სისწრაფით შეეხო კაძუმას თავს... მესამედ მომიხდა მარაოს აწევა ტამონის თავზე... აი, სად ეულალატე პირუთვნელობას, შესაძლოა, ერთადერთი ზედმეტი ბუმბული დავაწონე ჩემი სულის სასწორის პინას... და ესეც საკმარისი გახდა, რომ წონასწორობა დარღვეულიყო: კაძუმამ წააგო მისთვის ეგზომ მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა. ამიტომაც მეჩვენება ახლა, რომ იგი სამართლიანად გაწყრა ჩემზე...

– ამან ხომ არ მიგახვედრა, რომ იმღამინდელი თავდამსხმელი კაძუმა იყო?

– დარწმუნებული არა ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერს ვიხსენებ, თანდათან ვრწმუნდები, რომ დანაშაულის გრძნობა ბუდობდა ჩემში, სადღაც, სულის ფსკერზე... სწორედ დანაშაულის გრძნობამ მიმახვედრა, რომ კაძუმა იყო, ვინც თავს დამესხა.


– ნანობ, რომ შემოგაკედა?

– ვნანობ, თქვენო ბრწყინვალებავ. რაც მთავარია, ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ასე სასტიკად მოეუსპე სიცოცხლე სამურაის, თქვენი ბრწყინვალების მოყმეს... – სიტყვა გაწყვიტა სანემონმა და ჩაკიდა ბრალეული თავი. დეკემბრის სუსხის მიუხედავად, ოფლს მოეცვარა მისი შუბლი. თავადმა ხარუნაგამ კი, რომელიც ამასობაში კარგ გუნებაზე დამდგარიყო, რამდენჯერმე დაუქნია თავი, თითქოს საკუთარ აზრებს დასცაო დასტური:

– კეთილი... კეთილი... გატყობ, რა ცეცხლი გიკიდია. იქნებ არც კი მოიქცეო კარგად, მაგრამ რას იზამ, ხსნა არ არის... ამიერიდან კი ეცადე, რომ, – შუაზე გაწყვიტა უცებ სათქმელი ხარუნაგამ და სწრაფი მზერა ესროლა ქმას. – როცა მახვილი ჩაეცი, ხომ იცოდი უკვე, რომ შენ წინაშე კაძუმა იყო? რატომ მოკალი?

პასუხად ჯიქურ ასწია თავი სანემონმა. მისი თვალები, ალმასებივით რომ კიაფობდნენ შავგვრემან სახეზე, წინანდელი შეუდრეკლობით ენთნენ.

– მოვალე ვიყავ, მომეკლა! სანემონი თქვენი ბრწყინვალების მსახურია. ამას გარდა, სამურაიც ხომ გახლავთ იგი. რაც უნდა მებრალებოდეს ახლა კაძუმა, ავაზაკს ვერ შევიბრალებდი!



რ. აკუტაგავას ერთერთი წიგნის ილუსტრაცია

ფიქრი და დისკუსია

გაიაზრეთ

1. რომელი ორი შემთხვევის აღწერით ახერხებს ავტორი მკითხველის დარწმუნებას თავადი ხარუნაგას გონიერებაში?

2. რა ინციდენტმა განუმტკიცა აზრი თავად ხარუნაგას სანემონის პატიოსნებასა და გულმართლობაში?

3. რამდენად სამართლიანად სჯიდა სანემონი მეტოქეთა ორთაბრძოლას?

4. როგორ ახასიათებს იგი მორკინალ სამურაებს?

5. ისარგებლეთ ტექსტით და დასვით სამი შეკითხვა სანემონის დაკითხვის ეპიზოდიდან.

გააანალიზეთ

6. რას თელიდა სანემონი მოკლული სამურაის შესაძლო წყენის მიზეზად? რატომ?

7. რამ მიახვედრა სანემონი, რომ ღამით თავს დამარცხებული სამურაი დაესხა?

8. გაარკვიეთ, რა არის მოთხრობაში ისეთი, რაც მარტო იაპონიაში შეიძლება მოხდეს?

9. იმსჯელეთ, როგორი გარემო დახატა მწერალმა მოთხრობაში და რა გაელენას ახდენს ეს გარემო ადამიანებზე? როგორია ერთ გარემოში გაზრდილი ორი პერსონაჟი, ეთქვათ, სანემონი და შეევარდნის ერთ-ერთი ბაზიერი იანასა სეიხატი?

განაზოგადეთ

10. რამდენად სამართლიანად თელით სანემორის მიერ ხარუნაგას წინაშე გამოთქმულ აზრს: „ – მოვალე ვიყავ, მომეკლა! სანემონი თქვენი ბრწყინვალების მსახურია. ამას გარდა, სამურაიც ხომ გახლავთ იგი. რაც უნდა მებრალებოდეს ახლა კაძუმა, ავაზაკს ვერ შევიბრალებდი“.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი
მთხრობელის თვალთახედვა

ნაწარმოების შინაარსს შეიძლება გადმოცემდეს ავტორი ან რომელიმე პერსონაჟი. თუ თხრობა პირველი პირის მიერაა შემოთავაზებული და გამოიყენება ნაცვალსახელი მე (ან ჩვენ), ესაა პირველი პირისგან გამოთქმული თვალთახედვა; ამ შემთხვევაში მთხრობელი აღწერს მხ-

ოლოდ იმას, რაც იცის, ან რასაც აკეირდება, და გამოხატაეს საკუთარ პოზიციას. თუ ამბაეს ყეება მთხრობელი, რომელიც ნაწარმოების პერსონაჟი არ არის და იყენებს ნაცვალსახელს ის (ან ისინი), ესაა მესამე პირის მიერ გადმოცემული თვალთახედვა, რომელიც, თავის მხრივ, ორ სახეობად იყოფა: შეზღუდულად და ყველაფერში გარკვეულად.

შეზღუდულია მესამე პირის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, თუკი იგი მოვლენებს მხოლოდ ერთი პერსონაჟის მიერ განცდილად წარმოადგენს; ამის საპირისპიროდ, მესამე პირში მთხრობელმა შეიძლება აღწეროს ყველა პერსონაჟის ფიქრი და გრძნობები, ტექსტში განეითარებული ნებისმიერი მოვლენა და მაშინ ესაა ყველაფერში გარკვეული, ყოვლისმცოდნე თვალთახედვით თხრობის ლიტერატურული ხერხი.

1. რომელ პირშია გადმოცემული „სანემონის დანაშაულში“ მთხრობელის თვალთახედვა?

2. რამდენი პერსონაჟია მოთხრობაში წარმოდგენილი და როგორ ფიქრობთ, შინაარსი შეზღუდული თვალთახედვითაა გადმოცემული, თუ – ყველაფერში გარკვეულის?

ავტორის მიზნის განსაზღვრა

აეტორს თხრობის გადმოსაცემად შეუძლია აირჩიოს რომელიმე თვალთახედვა. მიზეზი იმისა, რომ აეტორი გადმოცემის კონკრეტულ ფორმას იყენებს განსაზღერული მოთხრობისათვის, შეიძლება დამოკიდებული იყოს მსჯელობის მრავალფეროვნებაზე, მაგალითად, ისეთზე, როგორიცაა, თუ რა სურს აეტორს, რომ მკითხველმა იცოდეს ხასიათების შესახებ, ან როგორ გეგმაეს იგი სიუჟეტის განეითარებას.

რიუნოსკე აკუტაგაეა მკითხველს უტოეებს განსასჯელად თავის დამოკიდებულებას ადამიანის სამართლიანობისა და ფარული გრძნობებისა თუ აზრების მიმართ.

იმსჯელეთ აეტორის მიზნის შესახებ – არის თუ არა აღწერილი ამბაეი რეალური ან გამოგონილი, და რამდენად მიესადაგება თანამედროვე ადამიანის სულიერ სამყაროს. იპოეეთ მოთხრობიდან თქვენი თვალსაზრისის დამადასტურებელი მაგალითები.

ენობრივი ანალიზი

სიტყვათა ნაწილების განსაზღერა

სიტყვა შეიძლება შედგებოდეს სხვადასხვა ნაწილისაგან. სიტყვის ფუძე არის ბაზა, რომელსაც, შესაძლოა, მიემატოს პრეფიქსები ან სუფიქსები. პრეფიქსები, იგივე წინსაროები, არის მარცელები, რომლებიც სიტყვებს

დასაწყისში ემატება ახალი სიტყვების შესაქმნელად, ხოლო სუფიქსები, იგივე ბოლოსართები – სიტყვების დასასრულს.

მაგალითად, სიტყვა უზუსტესი შექმნილია ფუძე-სიტყვისაგან ზუსტი დამატებული წინსართით უ – და ბოლოსართით – ეს. ზოგჯერ ფუძე-სიტყვის მართლწერა იცვლება სართების დამატებისას.

დაყავით ქვემომოყვანილი სიტყვები ნაწილებად. შემდეგ განსაზღვრეთ თითოეული სიტყვის მნიშვნელობა; გამოყავით სიტყვა, რომლის მართლწერაცაა შეცვლილი.

1. უსამართლო
2. დამარცხება
3. გაგრძელდა
4. ამჯერად

ტექსტში მონახეთ ათი პრეფიქს-სუფიქსიანი სიტყვა, განმარტეთ მათი მნიშვნელობანი და დაშალეთ.

წერა და ფიქრი

მოტივაციის განსაზღვრა

წარმოიდგინეთ, რომ მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟის, კერძოდ, სანემონის მიერ მოკლული სამურაის – კაძუმას ადგილზე ხართ. აღწერეთ თქვენი ფიქრები მეტოქესთან ორთაბრძოლისას, წყენა თუ რისხვა სანემონის მიკერძოებული მსაჯობის გამო და მასზე თავდასხმის მოტივი.

თქვენი მონათხრობი გადმოეცით პირველ ან მესამე პირში.

გრამატიკული უნარები

პირდაპირი, ირიბი და არასაკუთრივი პირდაპირი ნათქვამი

ავტორის ან პერსონაჟის მიერ ამბის თხრობა, ნათქვამი სხვათა სიტყვის ნაწილაკების გამოყენებით შეიძლება გადმოვცეთ. სხვათა სიტყვის ნაწილაკებია: -მეთქი, -თქო და –ო; პირველი ორი სიტყვისგან დეფისით გამოიყოფა, ხოლო – ო – არა. სხვათა ნათქვამის ნაწილაკები, ჩვეულებრივ, თხრობის შესაბამის მონაკვეთში ერთხელ გამოიყენება და დაერთვის სხვისი (პირდაპირი, ირიბი და არასაკუთრივი პირდაპირი) სიტყვის ბოლო სინტაქსურ ერთეულს, უმჯობესია – შემასმენელს.

– -მეთქი დაერთვის I პირის ნათქვამს, ანუ როცა I პირი თავისსავე ნათქვამ სიტყვებს იმოწმებს:

ეს რა ჩავიდინე-მეთქი, – გამიელვა თავში (და არა ჩავიდინე-თქო).

– -თქო ნაწილაკი ისეთ ნათქვამს დაერთვის, რომელიც II პირმა უნდა გადმოცეს: გადაეცი, ეს რა ჩავიდინე-თქო.

– -ო გამოიყენება III პირის ნათქვამის გადმოსაცემად: სანემონმა თქვა, ეს რა ჩაიდინეო.

სხვა შემთხვევაში, თუკი არ ეხმარობთ სხვათა სიტყვის ნაწილაკებს, შესაბამისი ტექსტი ბრჭყალებით შეიძლება მოვიყვანოთ.

დავალებები

1. გადმოეცით ტექსტის მოკლე შინაარსი პირდაპირი, ირიბი ან არასაკუთრივი პირდაპირი თხრობით სხვათა სიტყვის ნაწილაკების გამოყენებით.

2. მოამზადეთ საპრეზენტაციო თემა: ორთაბრძოლა იაპონიასა და საქართველოში.


3. იმსჯელეთ იაპონელთა ყოფა-ცხოვრებასა და გარემოზე. როგორ შეიცელებოდა ტექსტი, იგი სხვა სოციალური, კულტურული ან ისტორიული კონტექსტის ამსახველი რომ ყოფილიყო? სიუჟეტი გადაიტანეთ რომელიმე სხვა ქვეყანაში, თუნდაც საქართველოში, და შექმენით მოთხრობის თქვენეული ვარიანტი.

ბიოგრაფია




ჯემალ ქარჩხაძე

(1936–1998 წწ.)



მწერალი ჯემალ ქარჩხაძე დაიბადა 1936 წელს ს. უხუთში (ვანის რაიონი). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1960 წ.). მუშაობდა თბილისის თოჯინების თეატრში. პირველი მოთხრობა „აბზიანიძეების ოჯახი" 1962 წელს გამოაქვეყნა. ავტორია მოთხრობების რამდენიმე კრებულისა. მისი ნაწარმოებების პერსონაჟებს ზნეობრივი მაქსიმალიზმი და უკომპრომისობა ახასიათებთ, გაჯერებულნი არიან სიკეთის კეთების წყურვილით.



სტამბულის ხედი

ჯემალ ქარჩხაძე

რაჰათ-ლუხუმი

მოხუც სულეიმანს სტამბოლის გარეუბანში გადაეყარე.

სხვისა არ ვიცი და მე კი, რამდენჯერაც მოგზაურობიდან შინ დავრუნებულვარ, ყველაზე ტკბილ მოგონებად მუდამ უცხო ქალაქების შუკებსა და ქუჩაბანდებში ხეტიალი გამომყოლია. ამიტომ იმ დღესაც, დამთაერდა თუ არა დარბაზობა სულთნის დიდ ეზოსთან, ჰერცოგს დავეთხოვე და მყისვე სახეტიალოდ გავეშურე. ძველ მესას[1] რომ გაეცდი, გეზი დასავლეთით ავიღე, გადავწყვიტე, ის ადგილები მენახა, სადაც, გადმოცემის თანახმად, ბიზანტიელებმა ჯერ კიდევ მეოთხე კონსტანტინოსის დროს გააშენეს საუცხოო ბაღები და ვენახები.

ალაღბეჟდზე მიედიოდი და იმ პატარა, დამრეც, მწვანეში ჩაფლულ ქუჩაზეც შემთხვევით აღმოვჩნდი.

როგორც კი შევუხვიე, მაშინვე დავინახე მოხუცი თურქი, რომელიც გარინდებული იჯდა მზის გულზე, გზის პირას, ღობეზე მიმაგრებულ დაბალ, ეიწრო მერხზე: გაძვალტყაეებული და დანაოჭებული ხელები მუხლებზე ეწყო, ოდნავ წინ წახრილიყო და თვალები მიელულა; ვერ გაიგებდით, ფიქრებს მისცემოდა თუ თელემდა. ფეხებთან სახელდახელო ყუთი ედგა და შიგ რაჰათ-ლუხუმის მოგრძო, ოთხკუთხა ნაჭრები ეწყო. სიბერეს (და სიბერეზე მეტად ალბათ თრიაქის[2] უზომოდ ხმარებას) ისე გაელია, ისე ჩამოეძნო და გამოეშრო, შორიდან პატარა და ჩია მომეჩვენა, თუმცა მერე, კარგად რომ დაეკვირდი, მიეხვდი, რიმ გვარიანად მაღალი კაცი ყოფილა. შავგვრემანი სახე, რომელსაც უკვე ავადმყოფური სიყვითლე შეჰპარვოდა, ღრმა და ხშირი ნაოჭებით ჰქონდა დაღარული, ყურიმალის ძვლები ისე ამოშვეროდა, თხელი, სიფრიფანა კანი ძლივსღა უფარავდა. თავზე წითელი ჩალმა ეხურა, გრძელი, ჭაღარა, ბოლოწაწვეტებული წვერი ჩაეარდნილ მკერდზე ეფინა. ღრმად ჩამსხდარ, წვრილსა და ციე თვალებს მძიმედ გადმოფარებული ქუთუთოების ქვეშ სახელდახლოდ მცირე ნაპრალიღა დარჩენოდა. იჯდა ასე ეიწრო მერხზე, გამომხმარი, გამოფიტული და

[1] მესა – კათოლიკურ ეკლესიაში ღეთისმსახურება, წირვა. მართლმადიდებლურ ეკლესიაში შეესაბამება ლიტურგია. აქ მესაში კათოლიკური ტაძარი იგულისხმება.

[2] თრიაქი – იგივეა, რაც ოპიუმი.

უცხოდ, არაამქვეყნიურად გარინდებული, თითქოს სულს პატრონი სახლიდან გაეგდო და ქუჩის პირას რაჰათ-ლუხუმის გამყიდველად გაემწესებინა, რათა მარტო დარჩენილიყო და ისეთ საფიქრალზე ეფიქრა, რასაც სხეულთან უკვე აღარაფერი ესაქმებოდა.

სტამბოლში, ამ დიდ, ჭრელსა და ხმაურიან ქალაქში, სადაც მოგზაურის თვალს ათასი რამ ახარებს და ატკბობს, თრიაქისაგან გამომშრალი ბერიკაცები, რომელთაც ყოველ ქუჩაზე თუ არა, ყოველ მეორე ქუჩაზე მაინც წააწყდები, დიდი ეერაფერი სანახაობაა. მეც ერთი შევაყოლე თვალი რაჰათ-ლუხუმის მოხუც გამყიდველს და, მისი ხმა რომ არ გამეგონა და მისი სიტყვებისთვის არ მომეკრა ყური, რომლებიც ასე უცნაურად ჩამრჩა გულში, ყურადღებას არ მივაქცევდი და, ისე გავემგზავრებოდი სტამბოლიდან, ამ ქუჩისკენ პირს აღარ ვიზამდი.

ტუჩებს რომ აცმაცუნებდა, ეს შორიდანვე შევნიშნე, მაგრამ ამის გამო ცნობისწადილი არ აღმძვრია, რადგან კარგად ვიცი, რომ მოხუცებს სჩევიათ ხმამაღალი ფიქრი (პაპაჩემმაც ასე იცოდა).

ამასობაში ახლო მივედი და იმ ადგილიდან, სადაც პირველად მოწვდა ყურს მისი ხმა, ვიდრე იმ ადგილამდე, საცა ეს ხმა ისევ მიწყდა, მკაფიოდ გავიგონე (თურქების ენა მაშინ უკვე კარგად ვიცოდი) სიტყვები: „...უპატრონოდ არ დაყრის თავის შვილებს. ალაჰი ურიცხვ ლაშქარს გამოგზავნის და ქვეყნიერების ვრცელ ფართობზე შანთით ამოწვავს იმ ადგილს, სადაც შენი ტურფა მიწა-წყალია ამოქარგული! ო, ცბიერებისა და მზაკვრობის ბუდევ! ფერფლი და ნაცარი დარჩება...“

ეს სიტყვები ჯერ თითქოს შორიახლო მომდევდნენ. ქუჩა რომ ჩავათავე, მაშინღა წამომეწივნენ და ისეთი ხმაურით შემოცვივდნენ გონებაში, რომ შევკრთი და შევწერდი. ეის ემუქრებოდა ასე გაბოროტებით ეს კაცი, რომელიც ოთხმოცდაათს გადაცილებული თუ არა, მიტანებული მაინც უნდა ყოფილიყო და ალბათ უკვე იმ ქვეყნისად უფრო ითვლებოდა, ვიდრე ამ ქვეყნისად? ასე მწარედ რა ჩაჰყვა სულში, რომ ღრმა სიბერეშიც კი, როცა კაცი ღეთის სიახლოვეს უნდა გრძნობდე და მასთან შეყრის მოლოდინმა ყველა ამქვეყნიური ამაოება, ავიცა და კარგიც, უნდა დაგავიწყოს, ჯავრი ვერ მოენელებინა?

ერთი დაპირება გზის გაგრძელება დავაპირე, მაგრამ გულმა არ მომითმინა, მივტრიალდი და უკან წავედი. ამჯერად უფრო ნელა მივაბიჯებდი იმ იმედით, რომ მეტს გავიგონებდი და ეგებ გამეგო კიდეც, ასეთი რა ბალღამი უტრიალებდა გულში.

მალე შევნიშნე, რომ მოხუცი აღარ ლაპარაკობდა. ტუჩების ცმაცუნი შეეწყვიტა, უკვე სრულიად გაშეშებული და გახევებული იჯდა და ისე ღრმად ჩაძირულიყო უცხო გარინდებაში, რომ დასჭირვებოდა, ალბათ,

თვითონვე გაუჭირდებოდა საკუთარი თავის მოძებნა, მაგრამ სწორედ იმ წამს, რა წამსაც გავუსწორდი და წინ უნდა ჩამეელო, მოულოდნელად ცივი, გამკიეანი ხმით დასძახა:

— იყიდეთ რაჰათ-ლუხუმი! მთელი სტამბოლი რომ მოიაროთ, ასეთ გემრიელ რაჰათ-ლუხუმს ვერსად ნახავთ! იყიდეთ რაჰათ-ლუხუმი!

და ისევ ისე, ერთბაშად და მოწყვეტით, გაჩუმდა.

ამ ხმის გაგონებაზე ისე შეკრთი, წამით მომეჩვენა, თითქოს მკვდარმა დაილაპარაკა, რომელსაც უეცრად მოაგონდა, რომ სიცოცხლეში რაღაც დარჩა სათქმელი. ასე იყო თუ ისე, მოხუცი არ შერხეულა, ძარღვი არ შეტოკებია და ისე წარმოთქვა ეს სიტყვები, ალბათ თვითონაც არ გაუგია.

მე შევხედე და ერთხანს შევიცადე, მაგრამ რა დავინახე, იმქვეყნიური სიღრმიდან ამოსვლას აღარ აპირებდა, გამოლაპარაკება ვერ გავბედე, უკანვე გავტრიალდი, სხვა ქუჩაში შევუხვიე და ჩემი გზა განვაგრძე.

იმედი მქონდა, სტამბოლის დიდებული სანახების წყალობით მოხუცის უცნაური სიტყვები მალე გულიდან გადამეარდებოდა. ჩემდა გასაკვირად პირიქით მოხდა: რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ფიქრები მით უფრო მჭიდროდ იყრიდნენ თავს რაჰათ-ლუხუმის გამყიდველის ირგვლივ. რა უკეთური ძალა ტანჯავდა ასე საბრალო ბერიკაცს? რომელი მიწა-წყალი უნდოდა ამოეწვა ქვეყნიერების ერცელ ფარდაგზე? რა ბოლმა და ნაღველი ჰქონდა ასეთი, რომ ამქვეყნად ვერ მოეშორებინა და იმქვეყნად მიმაყალს თან მიჰყვებოდა?

ეს კითხვები ისე მაწვალებდა და მაფორიაქებდა, რომ ვერ მოვისვენე და მეორე დღეს, მზის ჩასვლის ჟამს, კვლავ იმ ქუჩას მივადექი.

მოხუცი იქ დამხვდა, საცა დავტოვე. იჯდა გაშეშებული, გარინდებული, ფიქრებში ჩაძირული. მე ნაბიჯი შევანელე და გამოლაპარაკების საბაბს დავუწყე ძებნა. ბედად, ახლო რომ მივედი, ტუჩები ააცმაცუნა და მალე წუწუნს მოჰყვა:

— შენ ახლა ალაჰის კალთაში გიდევს თავი, ომან ფაშავ, ჩემო არწივო, მაგრამ მოხუც სულეიმანს რა პასუხს აძლევ?! მე, ვინც სახელმწიფო საქმეებს უნდა ვწყვეტდე, სტამბოლის ქუჩებში რაჰათ-ლუხუმს ვყიდი, ისინი კი, ვინც რაჰათ-ლუხუმის გამყიდველადაც არ ვარგიან, სასახლეში სხედან და სახელმწიფო საქმეებს წყვეტენ...

ესა თქვა და გაჩუმდა.

მაშინ მე მორიდებით შევეხმიანე:

— მიუტევე კადნიერება უცხო ქვეყნიდან მოსულ მოგზაურს. ჩემდა უნებურად ყური მოვკარი შენს მწუხარე სიტყვებს და დაუძლეველმა ცნობისწადილმა შემიპყრო; ჩანს, ომან ფაშას ამბავი ფრიად საგულისხმო და ღირსსაცნობი უნდა იყოს.

მოხუცი არ შერხეულა. ეიფიქრე, ჩემი ნათქვამი ვერ გაიგონა-მეთქი, და ის იყო, თავიდან უნდა დამეწყო, რომ უცებ ნაღელიანად და სინანულით თქვა:

— ხედავ, ჩემო დიდებულო ომან ფაშავ: შორეული ქვეყნებიდან ეცხო გვარ-ტომის ხალხი მოდის შენი ამბის გასაგებად... — აქ ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე თავი ნელა ასწია, ჯერ ჩემს და'შნას დააცქერდა, მერე მანტიას ისე ააყოლ-დააყოლა მუშტრის თვალი, თითქოს რაღაცას ანგარიშობსო, ბოლოს ციებ მზერა სახეზე მომაბჯინა და უცებ დაპკივლა:

— იყიდეთ რაჰათ-ლ'ეხუმი! მთელი სტამბოლი რომ მოიარაოთ, ასეთ გემრიელ რაჰათ-ლუხუმს ვერსად ნახაეთ! იყიდეთ რაჰათ-ლუხუმი!

მიყურებდა და მიმქრალ თვალებში მოლოდინი ედგა. მე აღმოსავლეთის ქვეყნებში ბევრი მიმოგზაურია და ადეილად მივხვდი, რომ ომან ფაშას ამბის საფასურად რაჰათ-ლუხ'უმის ყიდვა მომიწევდა. ტკბილეულის მოყვარული საერთოდ არა ვარ, მით უმეტეს მისი ხელით მოწოდებული არაფრად მეპიტნავებოდა, მაგრამ ახლა ამაზე იყო დამოკიდებული ჩემი ცნობისწადილის დაკმაყოფილება, ამიტომ სწრაფად გავიკარი ხელი ჯიბეზე და რაჰათ-ლუხუმი გამოვართვი.

მთელი სტამბოლი რომ მოგეელოთ, ამაზე უგემურ რაჰათ-ლუხუმს ვერსად ნახავდით. ერთი კი შევ'შინდი, მოხუცს არ შეემჩნია, რა სიზ'ლით ვჭამდი მის ნაქებ ნუგბარს, და ცალი თვალით ქურდულად გაეხედე, მაგრამ მას ჩემთვის აღარ ეცალა: ფული კარგად, დაკვირვებით გასინჯა, მერე ხვანჯარი[3] გაიწია და შარვლის ქვეშ ჩაიტენა. ამას რომ მორჩა, ხელები მუხლებზე დაიწყო, მილულული თვალები შორს, ჩემთვის უხილავ რომელიღაც წერტილს მიაპყრო და გაირინდა. მანამ იჯდა ასე გარინდებული, სანამ დანაოჭებულ სახეზე სიცოცხლის უკანასკნელი ნი'შანი არ წაე'შალა. როდესაც მთლიანად ჩაიძირა სადღაც, არარსებობის უფსკრულ'ში, და მეგონა, მეც დავავიწყდი და რაჰათ-ლუხუმიც-მეთქი, უცებ დაბალ ხმაზე მოთქმით თუ წამღერებით დაიწყო:



სტამბულის ერთ-ერთი ძველი უბანი

— ო, ბრწყინვალე და დიდებულო ომან ფაშავ, მოხუცი სულეიმანის იმედო და სასოებავ! ო, ლომისა და მზის ნაშიერო! შენი მხარ-ბეჭი ფართო იყო, როგორც ქაფადაღის

[3] ხვანჯარი — შარვლის სათაურში გასაყრელი ზონარი.

მთა, შენი ტანი ჩამქრალი იყო, როგორც თაფლის სანთელი, შენი თვალები კაშკაშა იყო, როგორც საფხულის მზე! შენი მშვენიერი პირისახის დანახვაზე ტურფა ხათუნები[4] ჩუმად ოხრავდნენ! მე შენ არწიევად და შეყვარდნად გსრდიდი, რათა ღრუბლების თავზე გეფრინა. ო, მამაცო და ლომგულო! შენი მოკეთილი თავი მკედარ მზეს ჰგავდა, ბრძენო და გმირო! შენ მთვარე ტახტად უნდა გდგმოდა, ვარსკვლავთა ჯარი ფეხქვეშ ხალიჩად გეფინოდა და მზე ჩირაღდნად გნთებოდა, ო, ომან ფაშავ!..

აქ მოხუცი გაჩუმდა და ერთხანს ჩუმად იყო, მერე ნელ-ნელა გამოერკვა, სახეზე კვლავ დაუბრუნდა სიცოცხლის მცირედი ნიშანი, თვალებშიც ძველებური სიცივე ჩაუდგა, მძიმედ ასწია თავი. ერთი გაკვირვებით ამათვალჩამათვალიერა, თითქოს ცდილობდა გაეხსნებინა, ვინ ვიყავი და აქ რა მინდოდა, ბოლოს ისევ სივრცეს ჩააცქერდა, წელანდელივით ჩაიძირა სადღაც, უხილავ სიღრმეში, და ახლა უკვე წყნარი, ბუნებრივი ხმით განაგრძო:

— მეშვიდე წელიწადში იდგა, როდესაც მის მასწავლებლად მიმიწვიეს. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ უკვე ბევრი რამ მენახა და ბევრი რამ ვიცოდი. თავიდან საბრძოლო ხელოვნება მიტაცებდა და მალე მამაცი და თავზეხელაღებული მეომრის სახელი დავიგდე. ბრძოლა რომ მომბეზრდა, ხან ყურანის[5] შესწავლას მივყავი ხელი, ხან სიბრძნისმეტყველებას ჩავუღრმავდი; ერთხანს ლექსებსაც ვთხზავდი და სასახლის მგოსნებს ვეჯიბრებოდი. მაგრამ ბოლომდე არცერთ საქმეს არ მივყოლილვარ. დაუდგრომელი გული მქონდა, ყველაფერი მალე მყირჭდებოდა და ერთ ადგილას დიდხანს ვერ ძლებდი. თავად არ ვიცოდი, რა მინდოდა. ომან ფაშას მასწავლებლად რომ მიმიწვიეს, ჯერ უარის თქმა დავაპირე, მაგრამ მერე დავთანხმდი. ვიფიქრე, როცა მომბეზრდება, ავდგები და ამასაც მივატოვებ-მეთქი. აბა, მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ თურმე ალაჰის ნებით ჩემი ცხოვრების თავმიზანს მივდგომოდი, სწორედ ის მეპოვა, რასაც მთელი სიცოცხლე შეუცნობლად ვეძებდი! ომან ფაშა საკვირველი ყმაწვილი გამოდგა. მარდი იყო, მოქნილი, შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა და მკვირცხლი გონება. ჯერ კიდევ ბალღი ისე დააგელვებდა უბელო რაშს, როგორც ზღაპრული ჭაბუკი, ხმალს გაწაფული მეომარივით ატრიალებდა, ყურანის ცოდნით სწავლულები განცვიფრებაში მოჰყავდა. ყველაფერი უხვად ჰქონდა მომადლებული — ჭკუა-გონებაც, ძალღონეც, სილამაზეც. ერთი სიტყვით, ალაჰის ბრწყინვალე მზის ქვეშ საუკეთესო შეგირდმა საუკეთესო ოსტატი იპოვა. და მე კადნიერი მიზანი ამოვიჭერი გულში: გადავწყვიტე, ისე გამეზარდა, მთელ ოსმალეთში მისი მჯობნი არავინ ყოფილიყო და, თუ ალაჰიც ინებებდა, თავის დროზე

---

[4] ხათუნი — ქალბატონი.

[5] ყურანი — მუსულმანთა საღვთო წიგნი, რომელიც მაჰმადის, ღვთის მოციქულის, მოძღვრებას შეიცავს.

სულთნის ტახტი ჩაეგდო ხელთ. ომან ფაშა სულთნად იყო დაბადებული, მაგრამ ამისათვის ოსტატად სულეიმანი უნდა შეხვედროდა, ხოლო სულეიმანი სულთნის აღმზრდელად იყო დაბადებული, მაგრამ ამისთვის შეგირდად ომან ფაშა უნდა შეხვედროდა. რაკი ამ შეხვედრას დიდმა ალაჰმა დასტური მისცა, ჩემს სიცოცხლეს ამის შემდეგ სხვა მიზანი არა ჰქონია. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ერწმუნდებოდი ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში და თანდათან ნათლად ვხედავდი ჩვენს მომავალს: ის, მზე და ლომი, დიდი და ბრწყინვალე სახელმწიფოს ტახტზე იჯდა, მე კი, მისი გამზრდელი და მთავარი მრჩეველი, მხარმარჯვნივ ვედექი... ოცი წლისა რომ შეიქნა, მისი განსწავლულობის, სიბრძნის, გონიერებისა და ჭაბუკისთვის ესოდენ ნაადრევი სიდინჯისა და წინდახედულობის ამბავი სასახლეში უკვე ცნობილი იყო. მისი თვალტანადობა, პირმშვენიერება, მომხიბლაობა, თავდაჭერილობა და სიტყვა-პასუხი მთელ სტამბოლს პირზე ეკერა. მალე ძალგულოვნება და სიჩაუქეც დაამტკიცა: მას შემდეგ, რაც რამდენიმე ბრძოლა გადაიხადა და სახელიც გაითქვა, სულთნის წინაშე წარვადგინე გამოსაცდელად და დიდი აღლუმის დროს, რომელიც სულთნის დაბადების დღეს მიეძღვნა, ქვეყნის საუკეთესო მხედართა და მეომართა ასპარეზობაზე ყველა სახელგანთქმული ვაჟკაცი დაჯაბნა. სულთანი დიდად ნაამები დარჩა. გამარჯვებული ომან ფაშა შვილიერთ მიიღო და გურჯისტანიდან თავის დროზე დავლად წამოღებული ოქროსტარიანი ხანჯალი უბოძა. ო, რა დიდებული სანახაობა იყავი, სწორუპოვარო ომან ფაშავ, როდესაც სულთნის წინ მუხლმოყრილმა ნაჩუქარი ხანჯალი ბაგეებთან მიიტანე და ეამბორე!.. იმ დღეს ჩემმა არწივმა ფრთები ისე გაიქნია, რომ ცხადი შეიქნა, ასაფრენად უკვე მზად იყო. მაგრამ დიდი სიფრთხილეც სწორედ ამ დროსაა საჭირო. მართალია, სულთანმა შვილიერთ მიიღო და მიეალერსა, მაგრამ ამან სასახლის დიდებულთა უგუნურ შურს კიდევ მეტი ცეცხლი შეუნთო, არწივი კი ჯერ იმდენად მოღონიერებული არ იყო, მტრებისა და მოშურნეების თვალწინ შიგ სატახტო ქალაქის შუაგულში აფრენილიყო. ახლა ყველაფერს ისა სჯობდა, სადმე, ქვეყნის განაპირა მხარეში წავსულიყავით, სადაც თავის გამოჩენა უფრო იოლია, და როცა დიდების შარავანდედით დაბრუნდებოდა, კარისკაცების შური და მტრობაც შიშად და მოწიწებად იქცეოდა. ბევრი ვიფიქრეთ და არჩევანი გურჯისტანის ვილაიეთზე[6] შევაჩერეთ. იქ, ყიზილბაშებთან[7] მეტოქეობაში, ჭკუაც უკეთ გამოჩნდებოდა და მკლავიც. ოღონდ ყოველივე ისე მოვაწყეთ, თხოვნა არ დაგეჭირვებოდა, რომ გეთხოვა, დიდე-

---

[6] ვილაიეთი — მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული მუსლიმურ აღმოსავლეთში, დაახლოებით ოლქს ეტოლება.

[7] ყიზილბაში — „წითელი თავი". სპარსელი დამპყრობლის მეტსახელი (XVI-XVIII სს.)

ბულებს ეგებ ეჭვი აეღოთ და საქმე უკუღმა შეეტრიალებინათ. ჩვენ ჭკუა ვიხმარეთ და სწორედ ის დიდებულები გამოვიყვანეთ, რომლებსაც ომან ფაშა ყველაზე მეტად სძულდათ. მოხერხებულად ჩავაწვეთეთ ყურში, რომ ომან ფაშას აღზევება მათს სიძლიერეს დიდ ხიფათს უქმნიდა და ერჩიენათ, სანამ დრო იყო, თავიდან მოეშორებინათ და საღმე შორს, ეთქვათ, ახალციხეში, გადაეკარგათ. ხერხმა იოლად გაჭრა და ამგვარად განზრახვა ჩვენივე მტრების ხელით შევისრულეთ. ომან ფაშა ახალციხეში დაინიშნა ჯარის უფროსად... – აქ მოხუცმა თავი ჩაჰკიდა, – ეეპეპეჰე, ჩემო ბრწყინვალე და დიდებულო ომან ფაშაე! შენ კი ალაჰის კალთაში გიდევს თავი, მაგრამ საბრალო სულეიმანს რა პასუხს აძლევ?! მე, ვინც სახელმწიფო საქმეებს უნდა ვწყვეტდე, სტამბოლის ქუჩებში რაჰათ-ლუხუმს ვყიდი, ისინი კი, ვინც რაჰათ-ლუხუმის გამყიდველადაც არ ვარგიან, სახელმწიფო საქმეებს წყვეტენ... – მოხუცი გაჩუმდა. მე ვიდექი და მოთმინებით ველოდი. ბოლოს, როგორც იქნა, განაგრძო, – ახალციხეში მართლაც სულ მალე დიდი სახელი მოიხვეჭა. განსაკუთრებით მეომრებს უყვარდათ, ისე უყვარდათ, მისი გულისთვის თუნდაც ცეცხლში გადაცვივდებოდნენ. ყველაფერი რიგზე მიდიოდა. ახლა საჭირო იყო, ერთი დიდი ბრძოლა გადაგვეხადა და ისე მოგვეგო, რომ მთელი სტამბოლი აგველაპარაკებინა. ომან ფაშა არ ჩქარობდა და ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა. მალე ეს შემთხვევაც მოგვეცა. დაჭრა გადამწყვეტმა ჟამმა. ო, რა კარგად გექონდა მთელი გეგმა დაწყობილი და მოფიქრებული! თუ ალაჰი არ გადაგვიდგებოდა, სხვა ვერაფერი შეგვიშლიდა ხელს: ლუარსაბ-ხანს[8] დატყვევებულს მიეგვრიდით დიდ სულთანს, მთელ გურჯისტანს, ვიდრე კახეთამდე, ოსმალეთის ხელდებულად ვაქცევდით და პირშიჩალაგამოვლებულ ირანის შაჰს სიმწრისაგან სულ წვერს ვაგლეჯინებდით. მაშინ გამარჯვებული არწივიც ისეთ კამარას შეკრავდა, მისი მტრები და მოშურნეები კურდღლებივით სოროებში მიიმალებოდნენ. მაგრამ ვაი, რომ ჩვენს სანუკვარ იმედს აღსრულება არ ეწერა... ეჰ, ალი მირზა, როგორ გაცუდდა შენი მისნობა!.. – აქ მოხუცი ისევ გაჩუმდა და დიდი ხნით ჩაიძირა ფიქრებში. მერე, როდის-როდის, განაგრძო, – ათასი წელი რომ ვიცოცხლო, ათასი წელი ჩემთან ერთად იცოცხლებს ის საშინელი სანახაობა, რომელსაც მას შემდეგ მუდამდღე ეხედავ და ვერსად დავმალეივარ... პირველი ბრძოლა გურჯებმა ვიწრო ხეობაში გაგვიმართეს. თუმცა იმ ბრძოლას ბრძოლა არც ეთქმოდა, თამაში უფრო იყო, რადგან გურჯები ცოტანი იყვნენ და მხოლოდ იმას ცდილობდნენ, დაეყოვნებინეთ და დრო მოეგოთ, რათა ლუარსაბ-ხანს ლაშქრის შეყრა მოესწრო. მართა-

[8] ლუარსაბ ხანი – ქართლის მეფე (1606–1614 წწ.), წამებული, გიორგი სააკაძის სიძე.

ლია, იმ უგზო-უკვლო ხეტიალის შემდეგ დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს-ღა ვიდექით, მაგრამ ასეთ მცირერიცხოვან მოწინააღმდეგეს მაინც იოლად ვეყოფოდით და ესეც არ იყოს, ბრძოლის დროს კაცს დაღლა სწრაფად გაივწყდება. აბა, მაშინ რა ვიცოდით, რომ თურმე ალაჰმა ხელი აგვაღო და ბედისწერა ფეხდაფეხ მოგვდევდა!.. ფიცხელი ბრძოლა ატყდა, ჩანს, გურჯებს ჩვენს შესაკავებლად სულ დარჩენული მეომრები გამოეგზავნათ. გუნდ-გუნდად ეიბრძოდით. მე ბრძოლაში გაველრთე და არ გამიგია, როგორ დავშორდი ომან ფაშას. ესეც, ეტყობა, ალაჰის ნება იყო და ბედისწერის განჩინება, თორემ აკი დათქმული მქონდა, ჩემს გაზრდილს გვერდიდან არასოდეს მოვცილდებოდი! ახლაც არ ვიცი, ასე როგორ გამიტაცა ბრძოლამ, რომ აღთქმა დავარღვიე. ოი, ბედკრულო სულეიმან! დავარღვიე თუ არა აღთქმა, მოსახდენიც მაშინვე მოხდა: ბრძოლაში გართულს უეცრად რაღაც საზარელი, ეელური კივილი შემომესმა, რომელიც დღესაც ყურებში მიდგას: „ჰაიტ! ტა-ტა-ტა-ტა-ტა!“ ისეთი ხმა იყო, ძარღვებში სისხლი გამეყინა და ხმალი ჰაერში გამიშვშდა. წამიც და ჩემი მოპირდაპირე დამასწრებდა. ნეტა დაესწრო! ნეტა ნაწილ-ნაწილ ავეკუწე! მაშინ ხომ ჩემი უბედური თეალები აღარ იხილავდნენ იმას, რაც იხილეს!.. სწრაფადვე მოვეგე გონს, მოწინააღმდეგეს ხმალი მხარში დავეკარი და, ცხენიდან რომ გადმოვარდა, იმ მხარეს მივიხედე, საიდანაც ის შემაძრწუნებელი ხმა მომესმა... ო, მუხთალო წუთისოფელო! ო, ბედისწერის მსახვრალო ხელო!.. მივიხედე და ეხედავ, ჩემი არწივი შუბით მკერდგანგმირული მიწაზე გდია, ზედ ერთი ვეება, გაბურძგნული გურჯი დადგომია, ცალი ხელი წვერში ჩაუვლია, მეორეში ხანჯალი უჭირავს და ყელს ღადრავს... გონს რომ მოვეგე, უკვე ცხენზე იჯდა და ომან ფაშას თავი ხელში ეჭირა. აქ სხვებმაც დაინახეს და ისინი, ვინც უფრო ახლო იყვნენ, ხმალამოწვდილები მისკენ გაქანდნენ. ხიფათი რომ იგრძნო, გურჯმა ომან ფაშას თავი უეცრად პირისკენ წაიღო. ო, ალაჰ! იდიდოს შენი სახელი! მეგონა, შეჭმას უპირებს-მეთქი. გაოგნებული შევეცქეროდი. გურჯმა კი ომან ფაშას თავი წვერით კბილებშუა მოიქცია, ხელი გაითავისუფლა, ხმალი იშიშვლა და ცხენი ადგილს მოწყვიტა. ომან ფაშას თავი მის ბანჯგვლიან მკერდზე უსასოოდ კონწიალობდა. თითქოს რაღაც უმძიმეს კითხვაზე მწარე დასტურს იძლეოდა. სანამ რამეს მოვისაზრებდი, გურჯმა დაბნეულ მეომრებს შორის ცხენდაცხენ გაიკაფა გზა და მალე თვალს მიეფარა... – მოხუცმა თავი ჩაჰკიდა და შეძრწუნებით ჩაიბუტბუტა, – შორიდან ორთაეიან ურჩხულს ჰგავდა... – აქ გაჩუმდა და დიდხანს ჩუმად იყო. ვიდექი და ველოდი. მოხუცი, როგორც იქნა, გამოერკვა, ერთი შემოხედვა შემომხედა კიდეც ჩაბუტბუტული თვალებით, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია.

მე ერთხანს კიდევ შევეცქეროდი მოლოდინით და ბოლოს, რაკი დუმილს განაგრძობდა, ეკითხე:

— მერე? მერე რაღა მოხდა, სულეიმან ეფენდი[9] ?

მოხუცმა ოდნავ ასწია თავი და მოჭუტული თვალები შორეულ სივრცეს მიაპყრო.

— რაღა უნდა მომხდარიყო... — თქვა წყნარად და მწარე ნაღველით, — მზე ჩაქრა და ქვეყნიერება სიბნელეში გაეხვია... სარდლობა ისმაილ ფაშამ ითავა, მაგრამ აბა ისმაილ ფაშა ომან ფაშას მაგიერობას როგორ გასწევდა!.. აკი ვერც გასწია. გადამწყვეტ ბრძოლაში, მდინარის პირას, რომელიც ჩვენი მდინარეა, რადგან ჩვენი მიწიდან მიედინება[10], ლუარსაბხანმა და სააკაძემ[11] ისეთი დღე დაგვაყარეს[12], ახალციხეში რამდენიმე კაცილა დავბრუნდით... ეჰ, სული ტკბილია, თორემ დაბრუნებას სიკვდილი მიჯობდა. აბა, მას შემდეგ ჩემს ცხოვრებას განა კიდევ ცხოვრება ჰქვია?!

მოხუცი კვლავ გაჩუმდა. ამჯერად დუმილი ჩვეულებრივზე მეტ ხანს გაგრძელდა. ბოლოს, რა შეავატყვე, ხმის ამოღებას აღარ აპირებდა, გავბედე და, უხერხულობა რომ გამეფანტა და ჩემი თავიც შემეხსენებინა, ვთქვი:

— საკვირველი კია, ასეთ ვაჟკაცს იმ გურჯმა როგორ აჯობა...

მოხუცმა ცერად გამომხედა და მინავლულ თვალებში წამით თითქოს ზიზღი გაუკრთა. მერე მზერა ისევ ამარიდა, სივრცეს ჩააცქერდა და გაირინდა. მეგონა, კვლავ ფიქრებში ჩაიძირა-მეთქი, მაგრამ უცებ შემციენულივით გააკანკალა და გამოერკვა.

— ის ჯოჯოხეთი, რომელიც, ახლაც არ ვიცი, მართლა გადაგვხდა თუ მოგველანდა, ჯერ კიდევ თვალწინ გვედგა. ყველაზე მეტად ომან ფაშა იყო გაოგნებული. დროდადრო გახვედებოდა, ლაპარაკს შუა სიტყვაზე შეწყვეტდა და თვალი გაუშტერდებოდა. ახლა დანამდვილებით ვიცი, იმ წყეული მღვდლის უცნაურ ღიმილს ხედავდა, ტანჯულსა და ნეტარს. ერთხელ ყურიც მოკარი, ამგვარად გახვეებულმა როგორ ჩაილაპარაკა: „აკი ყველანიო, ალი მირზავ? მაშ, ეს რა იყო?..“ ასეთ დროს ბავშვიც კი აჯობებდა. ჩანს, ბრძოლაშიც ეგრე მოუვიდა. აკი ვამბობ, იმ წყეული მღვდლის სული ბედისწერასავით მოგვდევდა ფეხდაფეხ... თორემ ისე ერთი გურჯი რას მიქვია, გურჯების მთელი გუნდი ვერ გაუმკლავდებოდა.

აღმოსავლეთში კაცს თავშეკავება გმართებს. სულწასულობა თუ შეგატყვეს, ძვირად დაგისვამენ. მაგრამ ეს სიბრძნე მაშინ გულიდან გადამვარდა, ცნობისწადილი ვეღარ დავიოკე და მოუთმენლად ეკითხე:

— ასეთი რა შეგემთხვათ, სულეიმან ეფენდი? ან ის მღვდელი ვინ იყო?

---

[9] ეფენდი — ბატონი.

[10] „ჩვენი მდინარეა, რადგან ჩვენი მიწიდან მიედინება“ — იგულისხმება მტკვარი.

[11] სააკაძე — გიორგი სააკაძე, თბილისის მოურავი, მხედართმთავარი. 1629 წელს მოკლეს ოსმალეთში.

[12] „ისეთი დღე დაგვაყარეს“ — იგულისხმება ქართველთა და ოსმალთა ბრძოლა ტაშისკართან 1609 წელს.

მოხუცმა მწარე სინანულით გადაიქნია თავი.

– შორეული ქვეყნებიდან მოსული უცხო გვარ-ტომის ხალხი მღვდლის ამბავსაც კითხულობს, ომან ფაშავ, ჩემო არწიეო... თუმც რა გასაკვირია: განა ის წყეული მღვდელი შენი ბედისწერა არ იყო?! ალაჰის ნება, ალაჰის რისხვა და ალაჰის მახვილი... – და უცებ დაჰკივლა, – იყიდეთ რაჰათ-ლუხუმი! მთელი სტამბოლი რომ მოიაროთ, ასეთ გემრიელ რაჰათ-ლუხუმს ვერსად ნახავთ! იყიდეთ რაჰათ-ლუხუმი!

აქ პირველად გამკრა ეჭვმა, ეგებ ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ სავაჭრო ხრიკია, რაჰათ-ლუხუმის ვასასაღებლად მოგონილი, და ვინ იცის, ცბიერი მოხუცი გულში ჩემს მიამიტობაზე იცინის-მეთქი. არადა, მე აქ სტამბოლში, ჰერცოგს სწორედ სავაჭრო საქმეთა მრჩეველად ვახლდი! მაგრამ, ტყუილი იყო თუ მართალი, ომან ფაშას თავგადასავალმა უკვე ისე გამიტაცა, რომ უკან დახვევა აღარ შემეძლო. ამიტომ კიდევ ერთი ულუფა ვიყიდე და ძალისძალად შევჭამე. მოხუცმა ფული წელანდელიეით ყურადღებით გასინჯა, შარვალში ჩაიტენა, მერე ხელები მუხლებზე დაიწყო, გაშეშდა, გაირინდა და, საბოლოოდ რომ ჩაიძირა სადღაც, თვალუწვდენელ სიღრმეში, წელანდელიეით მოთქმითა თუ წამღერებით ალაპარაკდა:

– ო, წყეულო მიწავ, ცბიერებისა და მზაკვრობის ბუდევ! ალაჰი უპატრონოდ არ დაყრის თავის შვილებს. ალაჰი ურიცხვ ლაშქარს გამოგზავნის და ქვეყნიერების ერცელ ფარდაგზე შანთით ამოწვავს იმ ადგილს, სადაც შენი ტურფა მიწა-წყალია ამოქარგული. ო, ბოროტებისა და უკეთურობის აკვანო! ცეცხლის ენები გადაბუგავს შენს სამყოფელს! სისხლის მდინარეში დაიხრჩობი! ფერფლი და ნაცარი დარჩება შენი ქალაქებიდან და დაბებიდან! – ეს რომ თქვა, მოხუცი გაჩუმდა. ერთხანს ჩუმად იყო და მერე წყნარად განაგრძო, – ომან ფაშა ახალციხეში ჯარს წვრთნიდა და ბედს ელოდა. ხოლო ბრძენი სწორედ ის არის, ვისაც ლოდინი შეუძლია. მართლაც, ერთ დღეს ამბავი მოგვეიდა, ლუარსაბ-ხანს მცირე ამალით თავის საზაფხულო სამყოფელში დაედო ბინა, რომელიღაც სოფელში, რომლის სახელი მაშინ ვიცოდი, მაგრამ მერე დამავიწყდა. ჩვენ ეს ამბავი კარგად შევამოწმეთ და, რა დაერწმუნდით, ყველაფერი მართლა ასე იყო, საიდუმლოდ შევუდექით ლაშქრობის სამზადისს. თუ საზღვარს სწრაფად და უჩუმრად გადაველახავდით, ადვილად შეგვეძლო მოულოდნელად დავცემოდით ლუარსაბ-ხანს და ტყვედ ჩაგვეგდო თავის ამალიანად, რომელთა შორის სააკაძეც იყო. მაშინ სააკაძეს არ ვიცნობდით და ერთი უბრალო დიდებულთაგანი გვეგონა, სხვათა მსგავსი და ფარდი. თურმე რა გველეშაპი და ტარტაროზი გაგეიშვია ხელიდან! მაგრამ ალაჰმა ინება, რომ ის სისხლის ზღვა, რაც მისი მუხანათობითა და ავკაცობით დაიღვარა, დაულერელი არ დარჩენილიყო... მე და ომან ფაშა გურჯისტანში ნამყოფი არ ვიყავით და იქაურობას ნაკლებად ვიცნობ-

დით. მართალია, ახალციხეში მრავალი გურჯი ცხოვრობდა, მაგრამ ესენი უმეტესად ქლესა მონები იყვნენ, ხოლო მონების მიხედვით რომ მთელ ხალხზე იმსჯელო, უეჭველად მოტყუვდები. ჩვენი ვარაუდით, როდესაც ლუარსაბ-ხანს შეეპყრობდით, ქართლის გამგებლობას სულთანი ომან ფაშას მისცემდა. უცხო ქვეყანა რომ მართო, დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გმართებს. მონების ცნობა აქ არას გარგია, მონა ყველგან ერთნაირია. ხალხის ზნე და ადათი უნდა შეისწავლო, უნდა მიუხედე, რა გულისთქმა აქვს, რა სწადია და რას გიმალავს; უნდა გამოიცნო, რა მანქანებით მოუქონო თავი და როგორ ჩაუნერგო შიში და სიყვარული. იმ დროს ახალციხეში მრავალი დიდებული იყო, გურჯისტანს რომ კარგად იცნობდა, მაგრამ მე და ომან ფაშამ ალი-მირზასთან დათათბირება ვამჯობინეთ. ალი-მირზას მრავალი წელი დაეყო გურჯისტანში და კიდევაც დიდხანს აპირებდა დარჩენას, მაგრამ ქართლის მაშინდელმა მპყრობელმა, სვიმონ-ხანმა[8], რაღაცაზე აითვალწუნა, აუხირდა, ბოლოს, საბაბი რომ ჰქონოდა, მსტოვრობა დასწამა, დაასაჭურისებინა და თავისი სამფლობელოდან გამოაძევა. მას შემდეგ ახალციხეში ცხოვრობდა და მთელ სამაჰმადიანოში გამოჩენილი ბრძენისა და მისნის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ჩვენი სტუმრობა დიდად ეამა და შესაფერი პატივითაც მიგვიღო. როდესაც შეიტყო, გურჯისტანში ლაშქრობას ვაპირებდით, თვალები ნეტარებით მილულა და სასოებით, თითქოს ლოცვას ამბობსო, ჩაიმღერა: „გურჯისტანი ტკბილია, როგორც იქაური ყურძნის მარცვალი. ნელ-ნელა უნდა დააჭირო კბილი და ისე გასრისო, რომ სისხლის ყოველ წვეთს გემო ჩაატანო...“ ომან ფაშამ ჩვენი გეგმა წვრილად უამბო და უთხრა, თუ რა რჩევა და თათბირი გვჭირდებოდა მისგან, ხოლო მე, საუბარი რომ პირდაპირ საჭირო საგნისკენ წარმემართა, ეკითხე, ამბობენ, გურჯებში მრავალი მოღალატის პოვნა შეიძლება, და თუ მართალია-მეთქი. ამაზე ალი-მირზამ გაიღიმა და მომიგო, ბუნებით ყველა გურჯი მოღალატეა, ოღონდ ეგ არის, ზოგს ეძლევა ღალატის საშუალება და ზოგს არაო, – მერე დაუმატა, – მაგრამ მოღალატესთან საქმის დაჭერას სიბრძნე სჭირდება, რადგან, ვინც მოყვარეს უღალატებს, ის მტერსაც უღალატებს, შენი მტრის მოღალატე ან უნდა მოკლა ან ძალიან დიდი ჯამაგირი გაუჩინო. ბრძენი იყო ალი-მირზა, თანაც გურჯებსა და გურჯისტანს, ჩანს, მართლა კარგად იცნობდა. შურიანები არიანო, გვითხრა, ერთიმეორის სიკეთე მოსვენებას უკარგავთ და, ვინც მათს ამ თვისებას ბრძნულად გამოიყენებს, როცა დასჭირდება, ერთმანეთს იოლად გადაჰკიდებსო. გურჯი უნდა აქოო, დაგვარიგა, თავი ისე უნდა მოაჩვენო, ვითომ შენ იმის ფერხთა მტვრად არა ღირხარო, გურჯი გულუბრყვილოა, თანაც გადა-

[8] სვიმონ-ხანი – ქართლის მეფე სვიმონ I (1558–1601 წწ.)

მთიელის ნათქვამს ყოველთვის უფრო იოლად იჯერებს, ვიდრე თავისიანისას, ამიტომ სწრაფად მოეწონდა და შეუყვარდები, ხოლო რაკი შენ შეუყვარდები, საკუთარი ძმა შესძულდება, რადგან ერთი გურჯის გულში ორი სიყვარული ვერ ეტევაო. გურჯების უგუნურობა ყველაზე უკეთ მათს ამპარტავნობაში ჩანსო; თავიანთ ურიცხვ ნაკლს ისე სასოებით მალავენ, თითქოს ერთი რამ ძვირფასი საგანძური იყოს; ყველაფერი შეიძლება გაპატიონ, მაგრამ მათი ნაკლი თუ შეამჩნიე, ამას არამც და არამც არ გაპატიებენ, ამიტომ თავი ისე დაიჭირეთ, ვითომ გურჯისთანა სრულქმნილი თქვენს დღეში არავინ გენახოთ; ამით ორ რამეს მიაღწევთ — მორჩილებაშიც გეყოლებათ და თავის უთვალავ ნაკლსაც ვერასოდეს მოიშორებსო. ოქრო წაიღეთ გურჯისტანშიო, გვირჩია, ბევრი ოქრო წაიღეთ, გურჯი ოქროს დახარბდება და მონად გაგიხდება, ხოლო რაკი მონად გაგიხდება, არც ოქროს დაკარგავ, რადგან შენი მონის ოქრო იგივე შენი ოქროა. გახსოვდეთ, მაძღარი გურჯი კარგი გურჯია, მაძღარ გურჯს ბრძოლა არ უყვარს, მაძღარ გურჯს მხართეძოზე წოლა და სლოკინი უყვარსო. მე სულთნის ლაშქარში მრავალი გურჯი მენახა, რომელთაც ომებში დიდად გაეთქვათ სახელი, ამიტომ ეკითხე, ბრძოლა როგორი იციან-მეთქი. ბრძოლა კარგი იციანო, მომიგო ალი-მირზამ, მაგრამ ისეთი არა, როგორც ღალატი, ღალატის ხელოვნებაში მაგათ ბადალი არა ჰყავთო, ისე კი, სხვის ლაშქარში უფრო მონდომებით იბრძვიან, ვინაიდან უცხოთა წინაშე თავის გამოჩენა უყვართო. ბოლოს მე და ომან ფაშამ სიტყვა იმაზე ჩამოვუგდეთ, რაც ყველაზე მეტად გვაფიქრებდა: ლუარსაბ-ხანს, ეჭვი არაა, საზღვარზე მეთვალყურე ლაშქარი ეყოლებოდა დაყენებული, რომელიც, შეგვნიშნავდა თუ არა, მეფესთან მყისვე მაცნეს აფრენდა. ჩვენ ამ ლაშქრისა არც ადგილსამყოფელი ვიცოდით და არც რიცხვმრაველობა, ამიტომ იმედს სისწრაფეზე ვამყარებდით. საზღვრამდე შეძლებისდაგვარად უჩუმრად უნდა გვეველო, ისე რომ, როცა შეგვიშნავდნენ და მაცნეს გაგზავნიდნენ, ეს მაცნე იმდენად ვერ დაწინაურებულიყო, რომ ლუარსაბ-ხანს ლაშქრის შეყრა მოესწრო. ალი-მირზამ ჩვენი გეგმა არ მოიწონა. მაცნეს სულაც არ გაგზავნიანო, გვითხრა, მთა-მთა კოცონებს დაანთებენ და თვალის დახამხამებაში აცნობებენ თქვენს გამოჩენას, ამიტომ ისა სჯობს, როგორმე მენაპირე ლაშქრის ადგილსამყოფელი დაადგინოთო. გვასწავლა კიდეც, თუ როგორ უნდა დაგვედგინა: ლაშქრობის ამბავი, ასე საიდუმლოდ რომ ინახავთ, სანდო მსტოვრებს გაუმხილეო, რათა იმათ საეჭვო გურჯებს ჩააწვეთონ ყურში, ოღონდ თვალიც ადევნონ, რომ მეტი არ მოუვიდეთ, და თუ სამ დღეში ლუარსაბ-ხანის მენაპირე გუნდის ადგილსამყოფელი ვერ შეიტყვეთ, მაშ მე ალი-მირზა არ ვყოფილვარ და გურჯისტანი არ მცნობიაო. ხოლო ადგილსამყოფელს რა გაიგებთ, ნაშუაღამევს წაადექით თავს; გურჯი არხეინია და უზრუნველი, მუდამ

ღვთის იმედზეა და თავისი გასაკეთებელიც ღმერთს უნდა გააკეთებინოს. ღამე ღეინოს დალეეენ და, თუ ხეირიანად იელით და ალაჰის ნებაც იქნება, მთერალებსა და მძინარეებს ამოხოცავეთო. ალი-მირზას რჩევა ჭკუაში დაგვიჯდა, საიდუმლო სამზადისს მცირე რამ ჭუჭრუტანა დაეუტანეთ და საიმედო მსტოვრების მეშვეობით უაღრესად ფრთხილად გავავრცელეთ ხმა, რომ სალაშქროდ ქართლს მივდიოდით. მართლაც მესამე საღამოს ერთი გურჯი გეეწვია და ომან ფაშას ნახვა ითხოვა. შესახედავად მშვენიერი ვაჟკაცი იყო, მაღალი, წარმოსადეგი, ლამაზი, მხარბეჭიანი. კეხიანი ცხვირი ჰქონდა, აზიდული წარბები და გრძელი ულვაშები. ამაყად შემოვიდა, დარდიმანდულად, ბეჭების რხევით. თავი ღირსებით დაუკრა ომან ფაშას, ფრიად საიდუმლო სალაპარაკო მაქვსო, უთხრა და თვალით ჩემზე ანიშნა. ომან ფაშა ისე შეხედა, როგორც საპატიო სტუმარს, მაგრამ ისიც უთხრა, სულეიმანი ჩემი მარჯვენა ხელია და მისგან დამალული არაფერი მაქვსო. გურჯს ეს მაინცდამაინც არ მოეწონა და მთელი საუბრის განმავლობაში დროდადრო ამრეზით გადმომხედავდა ხოლმე. სათქმელი კი პირდაპირ დაიწყო, მიუკიბავ-მოუკიბავად. მე ეერავინ ვერაფერს გამომაპარებს, ეიცი, ქართლს მიდიხართ სალაშქროდ. მე და ომან ფაშამ თავი მოვიკატუნეთ, ვითომ გურჯის ნათქვამი დიდად გაგვიკვირდა. გურჯმა რომ ეს შენიშნა, ეამა, გაიღიმა კიდეც და კმაყოფილმა დაგვიწყო დამშვიდება, ნუ გეშინიათ, არავისთვის მითქვამს და არც ვაპირებ ვინმეს ვუთხრა, პირიქით, აქ იმისთვის მოვედი, რომ სამსახური გაგიწიოთ. ლუარსაბ მეფე მე თქვენზე ნაკლებ არ მეჯავრება, ადგილ-მამული წამართვა და, რომ არ გამომესწრო, თავსაც გამაგდებინებდა, ასე რომ, მეგობრად მიგულეთ, მაგრამ ერთი კი იცოდეთ, ეს საქმე არც ისე იოლია, თქვენ რომ გგონიათ, ლუარსაბი ახლა ღონიერია,და თუ მოულოდნელად არ დაეცით, ეერაფერს დააკლებთ. პირველ რიგში, მენაპირე ლაშქარი უნდა მოუსპოთ, ისე უნდა მოუსპოთ, რომ მეფეს ამბავი არ მიუვიდეს, მენაპირე ლაშქრის ადგილსამყოფელი კი ამჟამად ახალციხეში ჩემ გარდა არავინ იცისო. და გაჩუმდა. ომან ფაშამ ოქროთი საესე ქისა აიღო, ხელში შეათამაშა, და, ეს თუ იკმარებსო, ჰკითხა. გურჯი შეეცადა, სიხარული დაემალა, მაგრამ ისე ეერ დამალა, როგორც ეწადა. თუმცა თავი მაინც ყოჩაღად დაიჭირა. ჩემი მიზანი შურისძიებაა და არა ოქროს შოვნაო, თქვა, ლუარსაბ მეფის წყალობით რომ შიშველ-ტიტველი და ცარიელ-ტარიელი არ გადმოვხვეწილიყავი ახალციხეში, მაგ ოქროს ხელსაც არ ვახლებდიო. მერე წვრილად, გასაგებად აგვიხსნა მენაპირე ლაშქრის ადგილსამყოფელი. როცა დაამთავრა, წამოდგა და ხელი ქისისკენ გაიწოდა. ომან ფაშა ჩემი გაზრდილი იყო! ქისა ზურგსუკან დამალა, თავი გაიქნია და ღიმილით უთხრა, ჯილდოს საზღვარზე მიიღებ, როცა მენაპირე ჯართან მიგვიყვანო. გურჯს თვალებში რისხვა გაუკრთა, მაგრამ

თავი შეიკავა და ესღა თქვა, გეტყობა, ქართველი კარგად ვერ გცნობია, თორემ ისიც გეცოდინებოდა, რომ ქართველის სიტყვა კლდესავით მტკიცეაო. მაინც ასე სჯობსო, მიუგო ომან ფაშამ და იმ გურჯსაც სხვა რა დარჩენოდა, დათანხმდა, თავი ციცი ღირსებით დაუკრა და ბეჭების უკმაყოფილო რხევით გავიდა. სალაშქროდ რომ ავიყარეთ და ახალციხიდან გავედით, მაშინ ომან ფაშას ის გურჯი გვერდიდან არ მოუშორებია. ამჯერადაც ალი-მირზას რჩევას მიედიეთ და გურჯების ბანაკს ნაშუაღამევს მივადექით. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ალი-მირზამ იწინასწარმეტყველა: ღვინით დამთვრალ გურჯებს ღრმა ძილით ეძინათ და, სანამ გამოუხიზლდებოდნენ და მიხვდებოდნენ, რა რისხვა დაატყდათ თავს, საქმე უკვე მოთავებული გვქონდა. არავინ წაგვსელია, უკლებლივ გავულიტეთ ყველანი, ჩვენ კი სულ სამი კაცი მოგვიკლეს და ორიც მსუბუქად დაგვიჭრეს. დილამდე იქ დავრჩით. მეორე დღეს კიდევ ბევრი გვქონდა სავალი და ლაშქარს დასვენება სჭირდებოდა. ჩვენ – ომან ფაშა, მე და სხვა დიდებულები – გურჯების მეთაურთა კარავში დავბანაკდით. დილაუთენია ომან ფაშას ის ჩვენი გურჯი ეწვია. შემოვიდა მაღალი, ტანადი, ულვაშებაპრეხილი, დინჯად დაგვიკრა თავი და ომან ფაშას ნიშნისმოგებით უთხრა, ახლა ხომ დარწმუნდი, რომ ქართველის სიტყვა სანდოაო. არც აქამდე მეპარებოდა ეჭვიო, თავაზიანად მიუგო ომან ფაშამ. აბა, მაშ მე ამას იქით აღარ გჭირდები და ახალციხეში დაბრუნდებიო, თქვა გურჯმა. ომან ფაშამ ქისა გაუწოდა. გურჯმა ქისა ჩამოართვა, კიდევ ერთხელ დაგვიკრა თავი ყველას დინჯად და ღირსებით, შეტრიალდა და წელში ამაყად გამართული, მხრების რხევით წავიდა. ახლა მხრებს უფრო ათამაშებდა, ეიდრე არხევდა. მანამდეც შემიმჩნევია, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, ამის შემდეგ კი საგანგებოდ ვაკვირდებოდი და დავრწმუნდი, რომ, როცა გურჯი მხრებს ასე არხევს და ათამაშებს, ეს იმის ნიშანია, რომ სინდისი სუფთა არა აქვს. ომან ფაშა ყოველგვარ იარაღს კარგად ხმარობდა, მაგრამ განსაკუთრებით დანის ტყორცნა ემარჯვებოდა. უყვარდა კიდეც. გურჯი სწორედ კარვის გასასვლელამდე იყო მისული. ერთი შეკრთა და უცბად გაშეშდა. მხრების თამაშიც წამსვე შეწყვიტა, ოდნავ აიზიდა, თითქოს ფეხის წვერებზე უნდა შედგესო, მცირე ხანს ასე იყო გახევებული, გეგონებოდათ, რაღაცაზე დაფიქრდაო. მერე ნელა შემოტრიალდა და განცვიფრებული მზერა ომან ფაშას მიაპყრო. ამ დროს მუხლებმაც უმტყუნეს. თითქოს პირქვე უნდა დამხობილიყო, მაგრამ უეცრად უკან გადაქანდა და მოწვეტით დაეცა ზურგზე. ბეჭებში გარჭობილი დანა მკერდში გამოუვიდა. „ჭეშმარიტად ბრძენია ალი-მირზა“, თქვა ომან ფაშამ, მცველებს უხმო და გვამი გაატანინა, ქისა კი თავის თანაშემწეს გადასცა და უბრძანა, ლაშქრისთვის დაერიგებინა. – სულეიმანი გაჩუმდა. მე ველოდი, თან ეცდილობდი, მოუთ-

მენლობა არ დამტყობოდა, მოხუცი დიდხანს დუმდა და იმის გაფიქრებაზე, რომ ერთი ულუფა რაჰათ-ლუხუმის შეჭმა კიდევ მომიწევდა, ტანში გამაჟრჟოლა. ცოტა ხნის შემდეგ ხაეილი დაიწყო. ეტყობოდა, ყელში თუ ფილტვებში ჰაერის მოძრაობას რაღაც აბრკოლებდა და ყოველ ჩასუნთქვაზე და ამოსუნთქვაზე გაბმული, საწყალობელი, გულისგამაწვრილებელი ხმა ამოსდიოდა. იმ დროს, როდესაც მომეჩვენა, ჩაეძინა-მეთქი, და იმედი საბოლოოდ გადამიწყდა, მოხუცი ისევ ალაპარაკდა. ოღონდ ახლა ხმა შეეცვალა, რაღაც უცხო გაუხდა, ციცი და შორეული, თითქოს მისი დაწყებული ამბავი ვიღაც სხვამ განაგრძო, – ორჯერ მოგეცა ნიშანი ყოელადძლიერმა ალაჰმა. პირველი ნიშანი იმ ღამეს მოგეცა, მენაპირე ლაშქარი რომ გაეწყვიტეთ, მაგრამ გამარჯვებამ ისე დაგვათრო და გაგეაბრუა, ვერ შევიტყვეთ. თუ გულისყური მუდამ გამახვილებული არა გაქვს, ზეგარდმო ნიშანი ძნელი შესამჩნევია. ახალციხიდან ომან ფაშამ ორი მეგზური იახლა, რომლებიც ლუარსაბ-ხანის სამფლობელოს ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ. ერთი ქართლში ნაცხოვრები სპარსი იყო, მეორე კი ახალციხელი გურჯი. მენაპირე ლაშქართან ბრძოლაში, როდესაც სამი კაცი მოგეიკლეს, ამ სამიდან ერთი სწორედ ის სპარსი მეგზური იყო. რაკი მეორე მეგზურიც გეყავდა, მაშინ ამ ამბისთვის ყურადღება არ მიგეიქცევია და ალაჰის ნიშანი არ დაგეინახავს. ადრიანად ავიყარეთ და გზა განვაგრძეთ. ორი სოფელი ისე გაეიარეთ, ძეხორციელი არ შეგეხვედრია, ჩანს, მაცხოვრებლებმა შორიდანვე შეგეამჩნიეს და, როგორც ჩვეოდათ, დიდიან-პატარიანად ტყეში გაიხიზნენ. დაელაც ბევრი ვერაფერი ჩავიგდეთ ხელთ. მეორე სოფელს რომ გაეცდით, ალაჰმა კიდევ ერთი ნიშანი მოგეცა: გურჯი მეგზურიც დაიღუპა. ვიწრო თავდაღმართში, კლდიან და ქვიან ადგილას, მეგზურის ცხენს მოულოდნელად ფეხი აუსხლტა, წაიფორხილა, თავი ვეღარ შეიმაგრა, მოწყვეტით დაეცა და მხედარი ქვეშ მოიყოლა. ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში მოხდა. როცა რამდენიმე კაცი ჩამოქვეითდა და ცხენი რის ვაი-ვაგლახით გვერდზე გადაათრია, მეგზური უკვე მკვდარი ეგდო. ჩვენ ყველანი ლუარსაბ-ხანის მალე შეპყრობის იმედით ვიყავით დაბრმავებულები და დაყრუებულები, თორემ ეს მეორე ნიშანი იმდენად ცხადი და მკაფიო იყო, ბავშვიც კი მიხვდებოდა. ეჰ, ვინც ალაჰს ყურს არ უგდებს, არ შეიძლება თავი არ წააგოს... ომან ფაშამ ლაშქარი შეაყენა, დიდებულები მიგეიხმო და რჩევა გვკითხა. გადაეწყვიტეთ, ჯერჯერობით გზა გაგეეგრძელებინა, როცა გაშლილ ადგილს მივადგებოდით, სადაც შეუმჩეველად გავლა არ მოხერხდებოდა, იქ ლაშქარი გაგეჩერებინა, რამდენიმე კაცი უჩუმრად დაგეწვინაურებინა, პირველსავე სოფელს დავცემოდით და ახალი მეგზური გაგეეჩინა. ის იყო, თათბირს მოერჩით და ომან ფაშას ლაშქრისთვის დაძერის ნიშანი უნდა მიეცა, ქვემოთ, ცოტა მოშორებით, სადაც მოსახვევი იწყებო-

და, ფლოქვების ხმა მოგვესმა. ომან ფაშამ სიჩუმე ბრძანა. რაღაც უამური რომ ვიგრძენი, მაშინვე მივხვდი, მაგრამ რისგან იყო, ვერ გაეიგე და, სუმდა საუბედუროდ, არც შემიწუხებია თავი, რომ გამეგო, მხოლოდ მერე, ეაგლახ, გვიანღა მომაგონდა, რომ ხმა უცნაური მეჩვენა, მოგუდული, უცხო, შორეული, თითქოს სადღაც ვიღაცის ვეება გული გამალებით სცემდა. მცირე ხნის შემდეგ მოსახვევში ჯორზე ამხედრებული მღვდელი გამოჩნდა. თავი ჩაეკიდა და ისე ჩაფლულიყო ფიქრებში, სანამ ჩვენს დანახვაზე ჯორი მოწყვეტით არ შედგა, არაფერი გაუგია. ჯორი რომ შედგა, მაშინვე აიღო თავი. ოცდათხუთმეტი წლისა თუ იქნებოდა, მრგვალი პირისახე ჰქონდა, ქერა თმა-წვერი და თაფლისფერი თვალები. ამოდენა ლაშქარი რომ დაინახა, ფერი დაკარგა, წამით შეტრიალება და გაქცევა დააპირა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ვერსად წაგვეიდოდა, და გადაიფიქრა. იჯდა ჯორზე გახევებული, კანკალებდა და უაზროდ შემოგვცქეროდა. ჩვენ ჩვენი სიბრმავითა და სიბრიყვით ამ მღვდლის გამოჩენა მივიღეთ ალაჰის ნიშნად: მართლაცდა, წუთის წინ მეგზური დავკარგეთ და ვერც კი მოვასწარით საგონებელს მივცემოდით, რომ ახალი მეგზური თავისი ფეხით გვეახლა. სხვა რაღა გეინდოდა? „ალაჰი დიდია და მწყალობელი, – თქვა ომან ფაშამ, – აქ მომგვარეთ ეგ გურჯი!“ ორი მებრძოლი წამსვე ჩამოქვეითდა, მღვდელი ჯორიდან ჩამოსვეს და ომან ფაშას წინ დაუყენეს. მღვდელი შიშისაგან წამხდარი იყო და თვალებს დაფეთებული აცეცებდა. ომან ფაშამ გაუღიმა და უთხრა: „შენი თავი ალაჰმა გამომიგზავნა, გურჯო“. როდესაც გურჯთა ენის მცოდნემ ომან ფაშას სიტყვები მის ენაზე უთხრა მღვდელს, იმან ჯერ ომან ფაშას შეხედა, წამსვე ისევ აარიდა თვალი, აკანკალებული ხელი ასწია და პირჯვარი გამოისახა. „ნუ გეშინია, არას გერჩი, – დაყვავებით უთხრა ომან ფაშამ, – ოღონდ, რასაც გიბრძანებ, ის უნდა შეასრულო“. მღვდელი ისე იყო გონებაარეული, ომან ფაშას დაპირება, ეტყობა, ვერც კი გაიგო. „ხომ იცი, ლუარსაბხანი სად იმყოფება?“ – ჰკითხა ომან ფაშამ. მღვდელი, როგორც იქნა, გონს მოეგო, თვალებში აზრის ნატამალი გაუკრთა, მიხვდა, რას ეკითხებოდნენ, და უარის ნიშნად თავი გაიქნია, არ ვიციო. მაშინ ომან ფაშამ ის სოფელი უხსენა, რომლის სახელი მაშინ ვიცოდი და მერე დამაეიწყდა, და ჰკითხა, ეს სოფელი ხომ იცი სადააო. მღვდელმა ჯერ ომან ფაშას შეხედა, მერე მუ შემომხედა, მერე სხვა დიდებულებს მოაელო თვალი, თითქოს რაღაცის გაგებას ლამობსო. ბოლოს თავი დაიქნია, ვიციო. „ძალიან კარგი, – თქვა ომან ფაშამ და ბრძანა, – მოჰგვარეთ ჯორი! – ბრძანება რომ შეასრულეს, ისევ მღვდელს მიუბრუნდა, – აბა, შეჯექი ჯორზე, გაგეიძეხ და პირდაპირ მაგ სოფელში მიგვიყვანე!“ მღვდელი ახლა ისე აღარ კანკალებდა, მაგრამ ჩუმად იყო და მაშინ ვერ მივხვდით, ყოყმანობდა, თუ სხვა რამეს ფიქრობდა. მღვდლის სიჩუმეზე ომან ფაშა, ცოტა არ იყოს, გაწყრა და ხმაში სუსხი გამოურია: „ვერ

გაიგე, გურჯო, რა გითხარი?! – მერე ისევ დაუწია ხმას და ტკბილად განაგრძო, – თუ გაგეიძვები და ლუარსაბ-ხანთან მიგვიყვან, სიცოცხლეს გაჩუქებ და სართად ერთ ქისა ოქროსაც დაგიმატებ, თუ არა და დაუყოვნებლივ მოკვდები, ლუარსაბ-ხანის ადგილსამყოფელს კი უშენოდაც იოლად მივაგნებთ“. როდესაც ეს სიტყვები გურჯთა ენაზე უთარგმნეს, მღვდელმა ომან ფაშას შეხედა და თვალებში წამით რაღაც ნაპერწკალი გაუკრთა. მე ეს ნაპერწკალი ოქროს ხსენებას მივაწერე და გულში გამეცინა. მღვდელმა კი, უკვე თითქმის სრულიად დამშვიდებულმა, ომან ფაშას შემდეგი უთხრა: „მე მაშინ მოვკვდები, როცა უფალი ჩემი ღმერთი იესო ქრისტე ინებებს“, – და კვლავ პირჯვარი გამოისახა. ჩემი ვარაუდით, მღვდელი ეაჭრობას აპირებდა, რათა, რაც შეიძლება, მეტი ოქრო დაეცინცლა ჩვენთვის, მაგრამ მისმა ყბედობამ ომან ფაშა რისხვით ააცსო. სწრაფად გადაიხარა ცხენიდან, მღვდელს წვერში წააცლო ხელი, თაკი აუწია, თვალებში ჩახედა და კბილთა ღრჭენით უთხრა: „ახლა მე ვარ შენი ღმერთი და შენი სული ჩემს ხელთაა!“ ამ სიტყვებით მისი წვერი ერთი მძლავრად შეანჯღრია, მერე თაკი კიდევ უფრო მაღლა აუწია, და როცა მღვდელს ყელის ძარღვები დაეჭიმა, თვალები გადმოეკარკლა და სუნთქვა შეეკრა. მაშინღა გაუშვა. „აბა, შეჯექი ჯორზე და გაგეიძეს“. მღვდელს ხველება აუვარდა და ტკივილისაგან ერთხანს ხმა ვეღარ ამოიღო, ბოლოს, როგორც იქნა, ყელი ჩაიწმინდა და თქვა: „მეფის ღალატს მე ჩემი ნებით ვერ გაებედავ. უნდა ვილოცო და ჩემს მაცხოვარ იესო ქრისტეს დავეკითხო. თუ დასტურს მომცემს, გაგიძღვებით, თუ უარს მეტყვის, ვერ გაგიძღვებით“. მე ვიცოდი, რომ მრისხანების ჟამს ომან ფაშას შეიძლებოდა გონება ამღვრეოდა და ისეთი რამ ჩაედინა, რაც მერე სანანებელი გაგეხდებოდა, ამიტომ სწრაფად ამოვუდექი გვერდით



ტყე თრიალეთის ერთ-ერთ ხეობაში

და სწორედ იმ წამს, რა წამსაც დანა იძრო, ვუთხარი: „ნუ აჩქარდები, დიდო სარდალო. დაე, ილოცოს და დაეკითხოს თავის იესო ქრისტეს. მაგას ლოცვა იმისთვის სჭირდება, რომ ღალატი ღმერთს გადააბრალოს და ოქრო ისე იშოვოს, სინდისმა არ შეაწუხოს“. ომან ფაშას, როგორც ჩვეოდა, სიბრაზემ უცბადვე გაუარა და მღვდელს მიუბრუნდა: „ნება მომიცია, გურჯო. ილოცე და დაეკითხე შენს ღმერთს. ისიც უთხარი, ომან ფაშას ასე სწადია-თქო, უფრო იოლად გამოსტყუებ დასტურს!“ ამ სიტყვებმა ლაშქარში მხიარული სიცილი გამოიწვია. ეჰ, მაშინ ჯერ კიდევ ვიყავით ოხუნჯობის გუნებაზე... მღვდელი რამდენიმე ნაბიჯზე გაგუშორდა, პირი აღმოსავლეთით ქნა, დაიჩოქა, თვალები მაღლა აღაპყრო და გაუგებარ ბუტბუტს მოჰყვა. ვიწრო ხეობაში ვიდექით, ქვიან, ოღრო-ჩოღრო გზაზე. შუადღე იყო და უმოწყალოდ ცხელოდა. გზას ორსავ მხარეს კლდოვანი ბექობი მისდევდა, რომლის თავზე მაღალი, ხშირი ტყე იწყებოდა. სიჩუმე იდგა და ირგვლივ არაფერი მოძრაობდა, მხოლოდ ხვლიკი თუ გაისრიალებდა დროდადრო მზისგან გახურებულ ბექობზე. მღვდელმა ბუტბუტი მალე შეწყვიტა, მაგრამ კიდევ დიდხანს იდგა მუხლებზე, გაშეშებული და ზეცისკენ თვალებაპყრობილი, ბოლოს წამოდგა და მოტრიალდა. სახე უელავდა და თვალებიდან თითქოს სხივებს აფრქვევდა. მე ეს მაინცდამაინც არ გამკვირვებია. მართალია, ამ დამფრთხალი ქრისტიანი მღვდლისაგან ცოტა მოულოდნელი კი მეჩვენა, მაგრამ, საერთოდ, ვიცი, ჩემ თავზეც გამომიცდია და სხვებისთვისაც შემიმჩნევია, რომ ღრმა და გულწრფელი ლოცვის დროს, როცა თვალის მაგიერ სულით იხედები, კაცს ასეთი რამ ზოგჯერ გემართება. მღვდელი ომან ფაშასკენ წამოვიდა. ახლა სავსებით დამშვიდებული იყო და შიშისა აღარაფერი ეტყობოდა. მივიდა ომან ფაშასთან და უთხრა: „უფალმა ჩემმა ღმერთმა იესო ქრისტემ, კურთხეულ იყოს მისი სახელი, შენი მორჩილება და სამსახური მიბრძანა“. „საუცხოო ღმერთი გყოლია, გურჯო. მაშ, დროს ნუღარ დაკარგავთ, შეჯექი ჯორზე და გაგვიძეხ, – და მერე, მღვდელი რომ ჯორზე ამხედრდა, ჰკითხა, – შორია მაგ სოფლამდე?“ „მოკლე გზით თუ წავალთ, დაღამებამდე მივაღწევთ, – მიუგო მღვდელმა, – ოღონდ საცალი ძნელია“. „ალაჰის ლაშქარს გზის სიძნელე ვერ შეაშინებს, – უთხრა ომან ფაშამ, – მოკლე გზით გაგვიძეხ!“ საცალი მართლა ძნელი გამოდგა, სულ კლდე-ღრეებით, დაბურული ტყეებითა და დახრამული, ვიწრო ხეობებით ვიარეთ. მღვდელი წინ მიგვიძღვოდა, ჩვენ უკან მიგვყვებოდით. საშუალო ტანის კაცი იყო. ოდნავ წახრილი იჯდა ჯორზე, თავი ჩაეკიდა და ეტყობოდა, ღრმა საფიქრალს მისცემოდა. უკან არც ერთხელ არ მოუხედავს. მიდიოდა უხმოდ და, რაზე ფიქრობდა, არავინ იცის. ეჰ, წუთისოფლის სიმუხთლეე!.. აბა, მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ბედისწერა მიგვიძღვოდა სიკვდილის გზაზე და ეს ამოდენა ლაშქარი უდრტვინველი მორჩილებით მივდევდით

უკან... მხოლოდ ერთხელ აიღო თავი. მაღალი ბუჩქების ტევრში მიედიოდით. არც მანამ და არც მერე სხვაგან ისეთი ბუჩქები არსად შემხვედრია და რა ჰქვია, არ ვიცი. დიდრონი ყვავილები ჰქონდა, თეთრი და სქელფურცლიანი. მღვდელმა თავი აიღო, გადაიხარა, ერთი ყვავილი მოწყვიტა, ცოტა ხანს უცქირა და უბეში ჩაიდო. რად უნდოდა, არ ვიცი. მერე ისევ ჩაჰკიდა თავი და გზა განაგრძო. დიდხანს ვიარეთ, ხალხიც დაიღალა და ცხენებიც, მაგრამ დასვენება არც გვიფიქრია. იმის იმედით, რომ მალე მიზანს მივაღწევდით, სადაც გამარჯვებაც გველოდა, სასმელ-საჭმელიც და განცხრომაც, დაღლილობას იოლად ვიტანდით. მზე უკვე ჩადიოდა, როცა იმ დაწყვეტილ ადგილს მივაღწიეთ. ვიწრო ხეობას გაეცდით, ფერდობს შევუყევით და ერთ ვეება, შიშველსა და ციცაბო, მომწვანო-მონაცრისფრო კლდეს მივადექით, რომელიც დიდ მანძილზე იყო გადაჭიმული და ქონგურებივით ჩაკბეჩილი წვერით ბოლოვდებოდა. კლდეს ორსავე მხარეს დაბურული, გაუვალი ტყე ერტყა. ჩამავალი მზის სხივებში გახვეული კლდე უცხოდ ბრწყინავდა. წინ გასასვლელი არსად ჩანდა, მაგრამ ბედისწერის ხელი მაშინ ჯერ კიდევ არ დამინახავს, ვიფიქრე, ტყე-ტყე იქნება სადმე ბილიკი და ვერ ვამჩნევ-მეთქი. მღვდელმა ფერდობი აათვალა, ჯორი ზედ კლდის ძირას შეაყენა, ჩამოხდა და ჩვენკენ მოტრიალდა. ჩვენც შევედექით. ლაშქარიც შედგა. კლდე რაღაც უცხო ბრჭყვიალებით ირეკლავდა დაცემულ სხივებს, სხვადასხვა ფერის ათინათი თვალისმომჭრელად ირეოდა ერთმანეთში და ო, ალაჰ! წამით მომეჩვენა, თითქოს მზის მეწამულ შუქში გახვეული მღვდელი თავადაც მზესავით აფრქვევდა სხივებს. მე თვალი დავხუჭე და თავი გავიქნიე, რათა ეს უცნაური და შიშისმომგვრელი ხილვა მომეშორებინა. ამ დროს მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა და წყნარი, ნაღვლიანი ხმით თქვა: „მოვედით“. ომან ფაშამ, რომელიც აქამდე ცოტა გაკვირვებული შესცქეროდა მღვდელს, ახლა კითხვის თვალი გურჯთა ენის მცოდნეს მიაპყრო. როცა გაიგო, რა თქვა მღვდელმა, ისევ მიუბრუნდა. „მოვედით? – ჰკითხა და ჯერ ერთ მხარეს შეათვალიერა ტყე, მერე მეორე მხარეს. ბოლოს კლდეს ააყოლა თვალი, თითქოს გადაღმა გადახედვას ლამობსო, და თითით ჰაერში რკალი მოავლო, – „აქ არის სოფელი?“ „არა“, – ისევ წყნარად და ნაღვლიანად თქვა მღვდელმა. სახე მშვიდი და უძრავი ჰქონდა. „არა? – განცვიფრებით გაიმეორა ომან ფაშამ, – მაშ სად მოვედით? სოფელი სადაა?“ „სოფელი შორსაა, – მიუგო მღვდელმა, – უფალმა ჩემმა ღმერთმა იესო ქრისტემ, კურთხეულ იყოს მისი სახელი, – ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი, – აქ მიბრძანა შენი მოყვანა“. წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ომან ფაშამ ელვის უსწრაფესად ისკუპა ცხენიდან, ორი ნახტომით გაჩნდა მღვდელთან და საკინძეში ჩააელო ხელი. „რას ამბობ, გურჯო?!“ – ძლივს გამოცრა მოკუმული ტუჩებიდან. მღვდელი

ჩუმად გასცქეროდა სივრცეს. მაშინ ომან ფაშამ მძლავრად შეანჯღრია. ხოლო იმ დროს, როცა მე კელაე მკაფიოდ დავინახე, თუ როგორ აფრქვევდა სხივებს მღვდლის მზესავით მოელვარე სახე, და თვალი დავხუჭე, რათა ეს საშინელი ხილვა წელანდელივით მომეშორებინა, გეერდით ისმაილ ფაშას შემკრთალი ხმა მომესმა: „დიდება ალაჰს! თვალი მატყუებს, თუ ეს გურჯი“..! ისმაილ ფაშას სიტყვა არ დაუსრულებია, ისე გაჩუმდა, თითქოს ხმა ჩაუწყდაო. თვალი რომ გავახილე და მისკენ მივიხედე, დავინახე, რომ განცვიფრებითა და შეძრწუნებით მისჩერებოდა მღვდელს. ომან ფაშა კი მღვდელს მთელი ძალით ანჯღრევდა და უკვე ყვირილით ეკითხებოდა:

„სოფელი სად არის, გურჯო?!“ მღვდელი ხმას არ იღებდა. მაშინ ომან ფაშა ყელში ეცა, ორივე ხელი წაუჭირა, მერე ისევ გაუშვა და უცრად მუხლებზე დაეცა. „მითხარი გურჯო, სად არის სოფელი. ხომ ხედავ, მუხლმოყრილი გემუდარები! ომან ფაშა, გურჯო, მუხლმოყრილი გემუ- დარება! ოღონდ სოფელი გვაჩვენე, თუ გინდა, ნუ წამოგვყვები, ისე გვას- წავლე, სად არის, ოღონდ გვასწავლე და რაც გინდა, მთხოვე...“ მზე ჩადიოდა და მიწა თანდათან ჩრდილში ეხვეოდა. ფერდობს ჩრდილი ეფინა, ლაშქარი ჩრდილში იდგა, ჩვენც ჩრდილში ვიდექით, ომან ფაშაც ჩრდილში იდგა მუხლებზე. სხივები მაღლა-მაღლა მიიწევდა და მღვდელსაც ნელ-ნელა ჩრდილი ეფინებოდა, მზე ახლა მხოლოდ მის პირისახესა და წაბლისფერ თმა-წვერს ანათებდა. „მუხლებს დაგიკოცნი, გურჯო, – ეევ- დრებოდა ომან ფაშა, – ოღონდ აქედან გაგვიყვანე!“ მღვდელი დუმდა. „გურჯო... – კიდევ ერთხელ სასოებით თქვა ომან ფაშამ და უცრად საშინლად დაიღრიალა, – გურჯო!“ ზეზე წამოვარდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეანჯღრია, მერე ფრჩხილებით ჩააფრინდა ლოყებში და ხორცი ჩამოაფლითა. მღვდლის ლოყებზე სისხლის ნაკადულებმა იწყეს დენა. „გაგვიძღები თუ არა?! გვასწავლი თუ არა გზას?!“ მღვდელი არც იძვრო- და და არც ხმას იღებდა. ომან ფაშა კი უკვე გონდაკარგული იყო. ჯერ ცერა თითი აბეერა და ცალი თვალი ამოუგდო, მერე ყელში კბილებით ჩააფრინდა და ძიძგნა დაუწყო, თან უაზროდ იმეორებდა: „გაგვიძღები თუ არა– გვასწავლი თუ არა გზას“... წყეულ მღვდელს კრინტი არ დაუძრავს და ერთი კვნესა არ დასცდენია. მხოლოდ მაშინ, როცა ფეხზე დგომა ვეღარ შეიძლო და ძალაწართმეული მუხლებზე დავარდა, მისუს- ტებული, ძლივსგასაგონი ხმით თქვა: „გმადლობ, უფალო...“ მერე წამოდგომა დააპირა, წამოიწია კიდევ, მაგრამ ძალა არ ეყო, გეერდზე გადაიხარა და მარცხენა მხარით დაეცა ძირს. ომან ფაშა, როგორც გააფთრებული ნადი- რი, ზედ დაემხო. ამ დროს მზეც ჩავიდა და ბინდმა დაიწყო ჩამოწოლა. მღვდელი და ომან ფაშა ახლა უკვე ჩრდილებადღა ჩანდნენ. მღვდლის ჩრდილი უძრავად იწვა, ომან ფაშას ჩრდილი კი დაჩოქილი ტრიალებდა მის ირგვლივ და გამეტებით ძიძგნიდა. ხან დანით, ხან კბილებით, ხან

ფრჩხილებით. ცოტაც და ბინდმა ყოველივე დაფარა. უკვე აღარაფერი ჩანდა და მხოლოდ ომან ფაშას ქშენა და მძიმე-მძიმე სუნთქვა ისმოდა. მერე, როცა ესეც მიწყდა, უეცრად იელვა და არემარე დღესავით განათდა. ო, ალაჰ! ახლაც არ ვიცი, რა იყო მაშინ ნამდვილი და რა მოლანდება. ელვამ დაკვესა და, თითქოს დაავიწყდა, რომ ისევ უნდა ჩამქრალიყო, ერთხანს ენთო ცაზე. მღვდელი, მკვდარი, დაფლეთილი, დასახიჩრებული, ერთიანად ალუფხული, მოკუნტული ეგდო ძირს. ომან ფაშა თავზე ადგა, გაბოროტებული თვალებით დასცქეროდა და მთელი სხეული უცახცახებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ელვა ჩაქრა და კვლავ სიბნელე ჩამოწვა. ცოტა ხნის შემდეგ ნაბიჯების ხმა გაისმა და გავარჩიე კიდეც ჩვენკენ მომავალი ომან ფაშას ჩრდილი. ომან ფაშა ჩემთან მოვიდა, ხელები მხრებზე დამაწყო, მთელი სიმძიმით ჩამომაწვა, სახე მკერდზე მომადო და ათრთოლებული, ცრემლიანი ხმით მითხრა: „ათა[14] სულეიმან, — როცა სასოწარკვეთაში ჩავარდებოდა, სულ მთლად უმწეო ხდებოდა და ბალღივით სჭირდებოდა დაყვავება და ნუგეშის ცემა. ასეთ დროს ყოველთვის ათა სულეიმანს მეძახდა ხოლმე. — ათა სულეიმან, აკი ალი-მირზამ, იმ ბებერმა ქოფაკმა, ყველანაირ?-“ „დაწყნარდი, შვილო ჩემო, — ეუთხარი მე, — შენი უძლეველი ლაშქარი შენთანაა და ჯერ კიდევ ყველაფერი წინა გაქვს“. ამ დროს ჭექა-ქუხილი ატყდა, ზედიზედ იელვა და კოისპირული წვიმა წამოვიდა. პირველ გაელვებაზე კლდის მხარეს, ო, ალაჰ, ცის კაბადონზე ის გურჯი მღვდელი დავინახე. მუხლმოყრილი იდგა, თვალები მაღლა აეპყრო და სახეზე ტანჯვისა და ნეტარების უცხო ღიმილი ეფინა. კვლავ რომ იელვა, კლდეს თვალი ავარიდე, სხვა მხარეს გავიხედე და ახლა სხვა მხარეს დავინახე იგივე სურათი. განუწყვეტლივ ელავდა და ცის ოთხივ მხრიდან გურჯი მღვდლის ტანჯული და ნეტარი ღიმილი დაგვცქეროდა. არ ვიცი, სხვებიც ამჩნევდნენ თუ არა ამ უცნაურ და გულისშემძვრელ სანახაობას, ჩემთვის კი ნათელი შეიქნა, რომ ჩვენ თავზე ბედისწერის მახვილი იყო აღმართული. ალაჰი გვირისხდებოდა, ვინაიდან მის მიერ ორგზის მოცემული ნიშანი ვერ გამოვიცანით. ახლა, თუკი ხსნა ჯერ კიდევ იყო, იმაში იყო, რომ ლაშქრობაზე ხელი აგვეღო და დაუყოვნებლივ ახალციხეში დავბრუნებულიყავით. მაგრამ ომან ფაშამ ჩემი რჩევა შორს დაიჭირა. ეგებ ვერც მე ვურჩიე ბეჯითად. მართლაცდა, ვინ იცის, რა სჯობდა: ვიღაც ბანჯგვლიანი გურჯის ხელით მომკვდარიყო და მისი მშვენიერი თავი ლუარსაბ-ხანს სპარსეთის შაჰისთვის მიერთმია, თუ დამარცხებული და სირცხვილნაჭამი დაბრუნებულიყო ახალციხეში, როგორც ფრთებდაჭრილი არწივი, რომელსაც ცის ლაჟვარდებში აფრენა აღარ უწერია?.. ეჰეი, ომან ფაშავ, ჩემო იმედო და

[14] ათა — თურქულად „მამას“ ნიშნავს.

ნუგეშო, როგორ წაეაგეთ თაეი!.. ვინ იცის, თავისი ქეეყნის ერთგული ერთადერთი გურჯი ბოგინობდა მთელ იმ არემარეზე და მაინცდამაინც ჩვენ გადავაწყდით!.. მომყევით, ომახიანად დასჭექა ომან ფა'შამ და გაბორიტებული და დიდებული ფიცხლად მოახტა ცხენს... მიყდიოდით უკუნ ღამეში. ღვთის რისხვასაეით ქუხდა და ელავდა. ცა ლამის მიწაზე ჩამოსულიყო. მიყდიოდით და უკან, როგორც საკუთარი ჩრდილი, ფეხდაფეხ მოგვდეედა ბედისწერა – იმ წყეული მღვდლის სული, რომელიც ვერ მოვკალით... ვაი შენს მოხუც სულეიმანს, ომან ფაშაე, ჩემო არწივო!.. შენი მოკეეთილი თაეი რომ ეიხილე, რომელიც მკვდარ მზეს ჰგავდა, ჩემი მზეც მა'შინ ჩაესვენა და მოკვდა... ეჰეჰე, რა ამაო ყოფილხარ, საწუთროე, რა ცრუ და მუხთალი!.. კიდეე ხომ არ იყიდი რაჰათ-ლუხუმს, უცხოელო?

დღესაც არ ეიცი, ნამდვილად მოხდა ეს ამბავი, თუ ცბიერმა მოხუცმა ყველაფერი მართლა რაჰათ-ლუხუმის გასასაღებლად მოიგონა.

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. მოკლედ აღწერეთ ის ადგილი, საიდანაც მოთხრობაში გადმოცემული ამბავი იწყება. სად იმყოფება მთხრობელი? რა ანიჭებს მას სიამოვნებას?

2. სად გადაეყარა იგი მოხუც თურქ სულეიმანს?

3. აღწერეთ მოხუცი თურქის გარეგნობა. რამ მიიპყრო მთხრობელის ყურადღება?

4. რა მიზნით დაბრუნდა მეორე დღეს მთხრობელი სულეიმანთან? რატომ სთავაზობდა მოხუცი მგზაერს რაჰათ-ლუხუმს?

5. აღწერეთ ომან ფაშასა და სულეიმანის ურთიერთობა და დაახასიათეთ აღზრდილი.

გააანალიზეთ

6. რატომ შეჩერდა ომან ფაშასა და მისი აღმზრდელის არჩევანი ახალციხეში სამსახურზე?

7. რის გამო თელის მოხუცი თურქი საქართველოს ამ კუთხეს „წუეულ შიწად, ცბიერებისა და მზაკერობის ბუდედ?“

8. როგორ ახასიათებს მოხუცი ქართველებს? ტექსტიდან მოიყვანეთ ამის დამადასტურებელი მაგალითები.

განაზოგადეთ

9. „რაჰათ-ლუხუმში“ მოცემულია რამდენიმე იდეა და თვალთახედვა, ვინ არის მოღალატე და ვინ გმირი? როგორია ამ ცნებათა თქვენეული დეფინიცია? არის თუ არა ეს განმარტებანი მოთხრობაში წარმოდგენილი პერსონაჟების ხასიათების შესატყვისი? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

გაიხსენეთ სხვა ნაწარმოები, რომელშიც ქართველები განსხვაებულად არიან წარმოდგენილნი.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

1. გარემო

გარემო მოთხრობაში განეითარებული მოვლენების დრო და ადგილია. ზოგი ნაწარმოები უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდის გარემოზე, ზოგი კი – ნაკლებს. „რაჰათ-ლუხუმში“ გარემო მნიშვნელოვანია და

მთხრობელი მხატვრულად აღწერს მოვლენათა განვითარების ადგილს, დროს, კულტურულ-სოციალურ თუ ისტორიულ გარემოს.

1) როდის ვითარდება თხზულებაში გადმოცემული ამბები?

2) მოთხრობიდან მოიყვანეთ ორი მაგალითი, რომლებიც მასში აღწერილ ისტორიულ პერიოდს აზუსტებს.

3) რომელ საზოგადოებრივ წრეში ხდება ნაწარმოებში გადმოცემული მოვლენები?

4) როგორ ფიქრობთ, კონკრეტული გარემო ხომ არ ხდის მოთხრობას ეფექტურს? რატომ? როგორ შეიცვლებოდა ტექსტი, მასში სხვა სოციალური, კულტურული ან ისტორიული კონტექსტი რომ ასახულიყო. იმსჯელეთ ამ საკითხზე.

2. მინიშნება

ზოგჯერ ნაწარმოებში მოცემულია გარკვეული მინიშნებები, რომ ამბის გადმოცემისას რაღაც უნდა მოხდეს. „რაჰათ-ლუხუმში“ მოხუცი თურქი სულეიმანი სწორედ ამგვარ მოსალოდნელ მოვლენებზე მიანიშნებს, რაც მკითხველის ცნობისწადილს აღძრავს, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს თხრობა.

თხზულებაში მოიძიეთ ადგილები, რომლებიც შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე გვაძლევს მინიშნებებს. იმსჯელეთ მათზე.

3. რეალისტური თხრობა

ამბის გადმოცემას, რომელიც ადამიანებსა და მოვლენებს ისე წარმოადგენს, როგორც სინამდვილეშია, რეალისტური თხრობა ეწოდება. ჯემალ ქარჩხაძე ვერ შეესწრებოდა იმ ამბებს, რომლებიც მოთხრობაშია აღწერილი, მაგრამ იგი ახერხებს, შექმნას ძალზედ რეალური სურათი ისტორიული გარემოსი და ფაქტისა. წაიკითხეთ ტექსტის ის ეპიზოდი, რომელშიც გადმოცემულია ომან ფაშასა და მღვდლის შეხვედრა და იმსჯელეთ, რა არის მასში შესაძლებელი და რეალისტური. თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

4. მოთხრობის გააზრება

მოთხრობა „რაჰათ-ლუხუმი“ მკითხველს აფიქრებს იმაზე, რომ გმირობა და თავდადება არც ადვილია და არც იოლად გასაგები. მაგალითად, მღვდლის თავგანწირვა თურქი სულეიმანისთვის ბედისწერა და ალაჰის მიერ ორგზის მოცემული ნიშნის გაუთვალისწინებლობაა...

1) რაზე დაგვაფიქრა მოთხრობამ? იმსჯელეთ.

2) შეესაბამება თუ არა მოთხრობის სათაური ნაწარმოებში დასმულ პრობლემას?

ენობრივი უნარები

სიტყვათა კონტექსტური მნიშვნელობა

სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. კონტექსტი, სიტყვის ან ფრაზის კონკრეტული ერთობლიობა, შეიძლება დაგეხმაროს იმის მიხვედრაში, თუ რომელ მნიშვნელობას გულისხმობს მათში ავტორი. მოიყვანეთ ერთი მნიშვნელობა, რომელიც ქვემოთ მოყვანილი ხაზგასმული სიტყვების შეცვლით ყველაზე მეტად შეესაბამება კონტექსტს:

ა) მოხუცი თურქი ტუჩებს რომ აცმაცუნებდა, ეს შორიდანვე შევნიშნე, მაგრამ ამის გამო ცნობისწადილი არ აღმძვრია.

ბ) ომან ფაშას თავდაჭერილობა და სიტყვა-პასუხი მთელ სტამბოლს პირზე ეკერა. მალე ქალაქულოვნება და სიწაუკეც დაამტკიცა.

გ) მღვდელი შიშისაგან წამხდარი იყო და თვალებს დაფეთებული აცეცებდა.

დ) დღესაც არ ვიცი, ნამდვილად მოხდა ეს ამბავი, თუ ცბიერმა მოხუცმა ყველაფერი მართლა რაჰათ-ლუხუმის გასასაღებლად მოიგონა.

წერითი უნარების განვითარება

1. მოლოდინის ანალიზი: მოლოდინი მინიშნებით განპირობებული სიტუაციის შეგრძნებაა, როდესაც მკითხველმა არ იცის მოთხრობის დასასრული. ერთი ან მეტი აბზაცის მაგალითზე იმსჯელეთ, როდის ქმნის ჯემალ ქარჩხაძე მოლოდინის განცდას „რაჰათ-ლუხუმში?“

2. შავი ნაშრომი: ხელახლა გადაიკითხეთ მოთხრობა. მონიშნეთ პასაჟები, რომლებიც განსაკუთრებულადაა აღბეჭდილი მოლოდინით. მოიძიეთ მინიშნებები, რომლებსაც ავტორი მოლოდინის განწყობილების შესაქმნელად იყენებს. რა ხერხებს მიმართავს იგი, რათა დასასრული დროში გადაწიოს? მოიხმეთ რამდენიმე მაგალითი. დაალაგეთ თქვენი შენიშვნები ლოგიკური თანმიმდევრობით. შეგიძლიათ, მსჯელობა დეტალური შინაარსის ან ქრონოლოგიის მიხედვით წარმართოთ.

წერა. თემა ისეთი წინადადებით დაიწყეთ, რომელიც მოთხრობაში ძირითად ცნობას გადმოცემს მოლოდინის შესახებ, ან დაწერეთ მთავარი პასაჟი იმაზე, თუ როგორ აყალიბებს მწერალი მოლოდინის განცდას. შემდეგ იმსჯელეთ თითოეულ ხერხზე, რომლებსაც ჯემალ ქარჩხაძე მიმართავს და გამოიყენეთ შესაბამისი მაგალითები მათ საილუსტრაციოდ. დაწერეთ დასკვნა, რომელშიც შეაჯამებთ თქვენს მთავარ მოსაზრებებს.

რედაქტირება. ხმამაღლა წაიკითხეთ თქვენი ნაშრომი. არის თუ არა თქვენ მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ნათელი? დაცულია თუ არა ლოგიკური თანმიმდევრობა? მოყვანილი გაქვთ თუ არა მოთხრო-

ბიდან შესაბამისი მაგალითები? შეიტანეთ ცვლილებები, თუკი ეს აუცილებელია.

სიმბოლოთა ანალიზი. სიმბოლო საგნის მისანიშნებლად ნახმარი პირობითი ნიშანია. „რაჰათ-ლუხუმში“ მოცემულია რამდენიმე სიმბოლო, რომლებიც სხვადასხვა საგანზე მიანიშნებენ. მწერალი გვთავაზობს გარკვეულ სიმბოლოებს რომელიმე პერსონაჟის თვისების ხაზგასასმელად. დაწერეთ ერთი ან ორი აბზაცი, რომელშიც წარმოაჩენთ, თუ რა სიმბოლოებს იყენებს მწერალი მთელი მოთხრობის მანძილზე. აირჩიეთ რომელიმე პერსონაჟი, მოიძიეთ ის სიმბოლოები, რომლებიც შეესაბამება მის სახე-ხასიათს და შეეცადეთ, განმარტოთ ამ სიმბოლოთა მნიშვნელობა.

მეტყველებისა და მოსმენის უნარების განვითარება. მეწყვილესთან ერთად წარმოადგინეთ პასაჟი „რაჰათ-ლუხიმიდან“. დააკვირდით, თქვენი პარტნიორი შერჩეული პასაჟის ხმამაღლა წაკითხვისას თუ ცდილობს, ხმის ეფექტით, ტონალობით ამაღელვებელი განწყობილება შექმნას?

შინაარსობრივი შეჯამება

წერილის წერა

მთავარი მიზეზი ქართული მწერლობის უცხოურ ლიტერატურასთან კონტექსტში შესწავლისა იმ ხალხის მსოფლმხედველობისა და ინტერესების გააზრებაა, რომლებიც სხვა კულტურათა წარმომადგენლები არიან. მისწერეთ წიგნის გამომცემელს წერილი, რომელშიც განიხილავთ, თუ რა ისწავლეთ ამ თავში უცხოელების შესახებ და შეაფასეთ, რა იყო თქვენთვის სიახლე ლიტერატურული და ტერმინოლოგიური თვალსაზრისით.

მსჯელობა ადამიანის ღირსების შესახებ

სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მოთხრობებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა: ისტორიული გარემო, თხრობის მანერა, სიუჟეტი, მოტივაცია და სხვ. ამავე დროს, არის გარკვეული თემატური მსგავსებებიც. ერთ-ერთი მათგანია ადამიანის ღირსების გააზრება და შეფასება.

დაწერეთ ხუთაბზაციანი თხზულება, რომელშიც განიხილავთ, თუ როგორაა წარმოდგენილი სამ მოთხრობაში („მოგვეთა საჩუქრები“, „სანემონის დანაშაული“ და „რაჰათ-ლუხუმი“) ადამიანის ეს თვისება. პირველ აბზაცში ზოგადად გადმოეცით, თუ როგორ გესმით ადამიანის ღირსება; შემდეგ თითო-თითო აბზაცი დაუთმეთ ამ სამ ნაწარმოებში მოცემულ თვალთახედვას; დაბოლოს, მეხუთე აბზაცში შეაჯამეთ წინა ოთხში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი.

გარემოს დეტალების განხილვა

წიგნში შეტანილი თითოეული მოთხრობის გარემო (დრო და ადგილი) სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი საკმაოდ მრავალფეროვანი დეტალებითაა წარმოდგენილი. დაწერეთ ხუთაბზაციანი თხზულება, რომელშიც განიხილავთ ამ დეტალების დანიშნულებასა და მათ ეფექტურობას. შეგიძლიათ შეადაროთ და დაუპირისპიროთ მოცემული სამი მოთხრობიდან ორის გარემოს მონაცემები, მაგალითად, „სანემონის დანაშაულისა“ და „რაჰათ-ლუხუმის“.

მოთხრობების შედარება და დაპირისპირება

ამ თავში მოცემული მოთხრობები ერთმანეთისგან სხვადასხვა მხატერული ელემენტით განსხვავდება. დაწერეთ ხუთაბზაციანი თხზულება, რომელშიც შეადარებთ და დაუპირისპირებთ სამ მოთხრობას იმ კუთხით, თუ თითოეულისთვის რომელი მხატერული დეტალია დამახასიათებელი: სიუჟეტი, გარემო, დახასიათება, თვალსაზრისი, თემა და სტილი. საკუთარი დაკვირვებით სხვა შესადარებელი დეტალიც შეგიძლიათ გამოყოთ. ასევე შეგიძლიათ, ალტერნატიულად თქვენ მიერ შერჩეული ორი მოთხრობის მწერლისეული სტილი შეადაროთ ერთმანეთს.

თქვენ ხართ მწერალი

1. მოთხრობა გულისყურით დაგეგმილი ნაწარმოებია. დაწერეთ მისი გეგმა შემდეგი მითითებების მიხედვით. გაითვალისწინეთ გარემო (დრო და ადგილი), სიუჟეტი და ხასიათები.

წინასწარი მონახაზი. ჩაინიშნეთ, თუ რა გსურთ აღწეროთ მოთხრობაში. მოკლედ ჩაიწერეთ, როგორი წარმოგიდგენიათ ხასიათები, გარემო და სიუჟეტი. შემდეგ აირჩიეთ ორი ხასიათი, ერთი გარემო და ერთი სიუჟეტი.

წერა. მოხაზეთ გეგმა, რომელშიც შეიტანთ მოთხრობის ელემენტებს. მიუჩინეთ შესაბამისი ადგილები სიუჟეტური განვითარების მონაკვეთებს და, თუ შესაძლებელია, ხაზი გაუსვით თემას.

შემოწმება. დაკვირვებით შეამოწმეთ თქვენი მონახაზი გრამატიკულად და სტილისტურად. დარწმუნდით, რომ ყველა მხატერული ელემენტი თავის ადგილზეა და თითოეული მათგანი უკავშირდება ერთმანეთს, რაც ხელს უწყობს თემის გადმოცემასა და გაშლას.

2. მოთხრობების პერსონაჟებმა ერთმანეთს შეიძლება მისწერონ. აირჩიეთ ორი გმირი ორი სხვადასხვა მოთხრობიდან და დაწერეთ მოკლე წერილები, რომლებიც ერთმანეთისთვის შეიძლება გაეგზავნათ.

წინასწარი მონახაზი. იფიქრეთ თქვენ მიერ შერჩეული ორი ხასიათის შესახებ. ჩაინიშნეთ, თუ რა შეიძლება მოხდეს მათი შეხვედრის შემთხვევაში. შემდეგ მოხაზეთ თქვენი მცირე მოთხრობის სიუჟეტი.

წერა. დაწერეთ სამ-სამი მოკლე წერილი, რომლებსაც თქვენ მიერ შერჩეული პერსონაჟები გაუგზავნიან ერთმანეთს. გაითვალისწინეთ, რომ ეს წერილები მიჰყვება თქვენ მიერ შეთხზულ სიუჟეტს და უზრუნველყოფს პერსონაჟთა ხასიათების სიღრმისეულ წვდომას.

თქვენ ხართ კრიტიკოსი

1. დიაგრამა რაიმეს გრაფიკული გამოხატვაა. დიაგრამულად გამოსახეთ ის ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობს მოთხრობის თემის გადმოცემას.

2. წინასწარი მონახაზი. აირჩიეთ ერთ-ერთი მოთხრობა. ჩაინიშნეთ მისი ერთ-ერთი თემა და ის ეპიზოდები, რომლებიც ავტორს ამ თემის გადმოცემაში ეხმარება.

წერა. შეარჩიეთ თემა, რომელიც, თქვენი აზრით, მოთხრობაში ყველაზე უფროა გამოკვეთილი. წრიული დიაგრამის ცენტრში ჩაწერეთ ეს თემა და გარშემო მიუწერეთ ის სპეციფიკური დეტალები, რომლებიც თემის შექმნას უწყობენ ხელს.


შემოწმება. დარწმუნდით, რომ ყველა აუცილებელი დეტალი გაითვალისწინებული გაქვთ.

2. შესავალთან ერთად ექსპოზიცია საკმაო ინფორმაციას აწვდის მკითხველებს იმისათვის, რაათა მიხვდნენ, თუ რა მოხდება მოთხრობის დასაწყისიდან. დაწერეთ მოკლე თხზულება, რომელშიც განიხილავთ მოთხრობის ექსპოზიციის ეფექტურობას.

წინასწარი მონახაზი. ჩამოწერეთ მოვლენები, ადგილები, პერსონაჟები, რომლებიც გამოყენებულია მოთხრობის ექსპოზიციაში ან გარემოში.

წერა. გადაწყვიტეთ, არის თუ არა თქვენ მიერ არჩეული მოთხრობის ექსპოზიცია ეფექტური. დაწერეთ მოკლე თხზულება საკუთარი დასკვნის მხარდასაჭერად.

შემოწმება. დარწმუნდით, რომ ეს მსჯელობა თქვენი თვალსაზრისის ადეკვატურია.









რომანი ყველაზე დიდი მოცულობის თხრობითი ნაწარმოებია. როგორც მოზრდილ თხზულებას, მას ხშირად რთული სიუჟეტი აქვს, აგრეთვე, მრავალი მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟი და მოქმედების რამდენიმე ადგილი. რომანი უამრავი სხვადასხვა ასპექტით შეიძლება დაგვეუფდეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ ისტორიულ ეპოქაში დაიწერა, თუ რომელ საგნებსა და თემებს ეხება, თუ როგორი მხატვრული საშუალებებია მასში გამოყენებული, ან რომელი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენელია ავტორი. ყველაზე პოპულარული სახეობები რომანისა არის ისტორიული, მისტერიული, სამეცნიერო, სათავგადასავლო, დეტექტიური რომანი ანუ ტრილერი და სხვ.

ზოგჯერ რომანის სიუჟეტი დამყარებულია რეალური ადამიანების ცხოერებაზე, რეალურ ადგილებსა და მოვლენებზე, თუმცა მწერალი ამ რეალისტურ ელემენტებს ახალ ფორმებს ანიჭებს და გადააქვს წარმოსახვით სამყაროში ან გამოგონილ კონტექსტში. რომანის ყურადღების ცენტრში ინდივიდუალური პიროვნებაა წარმოდგენილი ყველა მისი მიმართებით გარე სამყაროსთან. ამდენად, ამ პერსონაჟის ჩამოყალიბებისა და თვითგამორკვევის გვერდით ყოველთვის ჩანს საზოგადოებაც. ამ ასპექტით ინდივიდის ცხოერება და საზოგადოებრივი ყოფა მოცემულია როგორც ორი დამოუკიდებელი სამყარო, რომლებიც ურთიერთკავშირშია. რომანის სიუჟეტური კვანძის შეკერაც გმირის ზნეობრივი და ბუნებრივი საწყისების, ბუნებისა და საზოგადოებრივ-ეთიკური ნორმების ურთიერთმიმართების საფუძველზეა აგებული. აქედან გამომდინარე, რომანის ფორმა იტევს ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობის ნებისმიერ კონკრეტულ-ისტორიულ შინაარსს.

რომანი ინდივიდის ხასიათის ჩვენებასთან ერთად ფართოდ წარმოაჩენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს – კულტურულს, სოციალურს, ეთიკურს, ეკონომიკურს, პოლიტიკურს, ეროვნულს, ხალხის ზნე-ჩვეულებებს, წარსულსა და აწმყოს. მასში განსაკუთრებული სიმკვეთრით იხატება შემოქმედის პოზიცია, წარმოსახული მოვლენებისადმი ავტორის სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება, რაც გამოხატულებას პოვებს ე. წ. ლირიკულ წიაღსვლებში, სატირასა და იუმორში. ამდენად, რომანის მხატვრულ ქსოვილში წარმოდგენილია კომიკური, ტრაგიკული, ამაღლებული თუ მახინჯი მოვლენებიც, ე. ი. რომანი სინამდვილის დადებითი მოვლენების გამოხატვასთან ერთად ცხოვრების უარყოფით მხარეებსაც აჩვენებს და ხშირად მთელი ეპოქის სურათს წარმოსახავს, ხასიათების ფორმირებისა და განვითარების პროცესს განასახიერებს და ეპიზოდების სისტემას ემყარება.

ბიოგრაფია

მიგელ დე სერვანტეს საავედრა



(1547–1616 წ.წ)



რენესანსი გაიან შეიძლა ესპანეთში და სწორედ ამ პერიოდში დაწერა ყველა დროისა და სალხის ერთ-ერთმა უდიდესმა მწერალმა მიგელ დე სერვანტეს საავედრამ „დონ კიხოტი“. ეს წიგნი ხშირად მსოფლიოს საუკეთესო რომანად სახელდება. მისი გავლენა თანამედროვე რომანზე ევრასდროს დაფასდება და ხუთი საუკუნის შემდეგაც კი ამ თხზულების კომპოზიცია ინტერპრეტირდება. რაც იმას მიანიშნებს, რომ „დონ კიხოტი“ ცოცხალი და კიდევ უფრო კლასიკური ნაწარმოებია, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

სერვანტესი დაიბადა 1547 წლის 29 სექტემბერს ესპანეთის პატარა ქალაქ ალკალა დე ენარესში; სწავლობდა სალამანკას უნივერსიტეტში; მოგვიანებით, 1571 წელს, მონაწილეობა მიიღო ლეპანტოს ცნობილ ბრძოლაში თურქების წინააღმდეგ. შეტაკებისას დაკარგა მარცხენა ხელი; 1575 წლის 20 სექტემბერს ალჟირელმა მეკობრეებმა დაატყვევეს. საშინელ მონობაში გაატარა 5 წელი, ბევრჯერ სცადა გაპარვა. მაგრამ ამაოდ. ბოლოს დიდი ვაიაგლახით გამოისყიდეს მშობლებმა და 1580 წლის მიწურულს სრულიად ღატაკი და ჯანმრთელობაშერყეული დაბრუნდა სამშობლოში.

სერვანტესმა ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება მწერლობით სცადა, მაგრამ წარუმატებლად, რის შემდეგაც მადრიდიდან სევილიაში გადასახლდა და სურსათ-სანოვაგის ამკრეფი სახელმწიფო მოხელე გახდა. ესპანეთის ერცელ სახელმწიფოში, რომელიც იმ დროს დედამიწის ნახევარს ფლობდა, არ გამოინახა მისთვის ამაზე უკეთესი საარსებო წყარო.

წლების მანძილზე სერვანტესი ულუკმაპუროდ დაეხეტებოდა, ღამეებს ჯურღმულებში, საეჭვო ხალხის ბუნაგებში ათევდა, სადაც ბუზებივით ირეოდნენ ჯიბგირები, შულერები, სუტენორები, პოლიციელთა მაძებრები, ინკვიზიციის ჯაშუშები და სხვადასხვა ჯურის გარეწრები. მოიარა მთელი ესპანეთი: ხედებოდა ვაჭრებს, გლეხებს, მწყემსებს, მეფუნდუკეებს, ხედავდა ნამდვილ, არარომანტიკულ ესპანეთს, სურდა დაეწერა რამე, დრო კი აღარ ჰქონდა. ანგარიში კარგად არ იცოდა, ეკარგებოდა საანგარიშო წიგნაკები, ანდა ციფრების ნაცელად მათ ლექსებით ავსებდა. რამდენჯერმე საკუთარი ხელფასით დაფარა დანაკლისი. ისევ წერდა, მაგრამ მსოფლიო მწერლის დიდებული სახელი მხოლოდ „დონ კიხოტმა“ გაუთქვა.

საპყრობილეში ხანგრძლივი ყოფნისას მოიფიქრა და დაიწყო ამ უდიდესი რომანის წერა, რომელიც 1605 წლის იანვარში გამოვიდა. წიგნის გამოჩენამ უდიდესი პოპულარობა, თუმცა კი მცირე შემოსავალი მოუტანა. თხზულებისგან მოგვრილი ამგვარი აღტაცება წინა საუკუნეებში არცერთ წიგნს არ გამოუწვევია. მცირე ხანში ყველა სასახლე, დუქანი, ტრაქტირი, სასტუმრო, ფუნდუკი თუ სადალაქო დონ კიხოტისა და მისი საჭურველმტვირთველი სანჩო პანსას თავგადასავლებისა და ფათურაკების აღწერამ დაამშვენა. მანამდე არავის ენახა ამის მსგავსი რამ.

„დონ კიხოტის“ მეორე ნაწილი 1615 წელს გამოქვეყნდა. ერთი წლით ადრე კი ვინმე ალონსო დე აველანედამ გამოსცა საკუთარი ყალბი გაგრძელება „დონ კიხოტისა“, რომლის წინასიტყვაობაშიც გამრუდებულად წარმოადგინა სერვანტესის ავტორობა...

მწერალი ნიკა აგიაშვილი იგონებს: რუსთაველის პროსპექტზე, ცნობილ თელების ხეივანში, წიგნებით სავსე ფარდულთან დგას ერთი ჭაღარა გამყიდველი და ჯარჯარად შემოსეულ მყიდველებს გამალებით სთავაზობს და ურჩევს ნაირნაირ წიგნებს.

— აბა, ჰე, ინებეთ, იყიდეთ და შეიძინეთ... უკვე გავაიაფეთ, სისხლის ცრემლებით დაწერილი წიგნია... ბევრი აღარ დარჩა, მოასწარით... სისხლის ცრემლებით დაწერილი, სისხლის ცრემლებით, — ცოცხლად გაიძახის იგი და თან გაფაციცებით აწვდის ხელ'ში ახალგაზრდებს კარგა მოზრდილ შავყდიან წიგნს, გაკრულად მოხაზული წითელი ასოებით რომ აწერია — „დონ კიხოტი“.

იმ გამყიდველს, მისდა უნებურად, როგორც იტყვიან, ენა უყივის. მართლაც რომ სისხლის ცრემლებით, საშინელი სიღატაკისა და სიდუხჭირის ჟამსაა დაწერილი და შეთხზული ეს ყველაზე ხალისიანი, ყველაზე მხიარული და სევდიანი რომანი. ამაზე მშვენიერი და შმაგიანი თხზულება ჯერ არავის დაუწერია...

მიგელ დე სერვანტეს საავედრა

დონ კიხოტი

(თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ)

(ნაწყვეტი რომანიდან)

თავი I

სადაც მოთხრობილია სახელოვანი იდალგოს დონ კიხოტ ლამანჩელის ზნე-ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების ამბავი

ლამანჩის[1] ერთ სოფელში, რომლის სახელის გახსენებაც არა მსურს, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ერთი იმ იდალგოთაგანი[2], რომელთა მთელ ავლადიდებას შეადგენს მამაპაპური შუბი, ძველი ფარი, ჯაგლაგი ცხენი და მარდი მწევარი. უფრო ხშირად ძროხის ხორცის ოლასა[3] ჭამდა, ვიდრე ცხერისას, ვახშმად სალპიკონს[4] შეექცეოდა, შაბათობით – ერბოკვერცხს, პარასკეობით – ოსპის შეჭამანდს, კვირა დღეს კი დამატებით მტრედის ტაბაკასაც გეახლებოდათ, – ყოველივე ამას ხმარდებოდა მისი შემოსავლის სამი მეოთხედი, დანარჩენი კი ტანისამოსზე ეხარჯებოდა: სადღესასწაულოდ წმინდა მაუდის ქურთუკს, ხავერდის შარვალსა და ხავერდისავე წაღებს იცვამდა, საყოველდღიუროდ კი ნახევრად წმინდა ტილოს ტანსაცმელს ატარებდა. მასთან ცხოვრობდნენ ორმოცი წელს გადაბიჯებული სახლის მნე ქალი, გაუთხოვარი დისწული, რომელსაც ჯერ ოცი წელიც არ შესრულებოდა, და ერთი მსახური, ციბრუტიევით რომ ტრიალებდა შინ თუ გარეთ და ისევე მარჯვედ კაზმავდა ჯაგლაგს, როგორც სასხლავს ხმარობდა ბაღში. ჩვენი იდალგო ორმოცდაათს უკაკუნებდა; ტანად ბრგე იყო, თუმცაღა ხორცმჭლე და პირხმელი გახლდათ; დილაადრიან ადგომა უყვარდა და ნადირობის დიდი ტრფია-

---

[1] ლამანჩა – სამხრეთ ესპანეთის, ახალი კასტილიის ოლქი. Mancha არაბული სიტყვაა და ნიშნავს მწირ, გამომშრალ მიწას. სერვანტესს არ სურდა, რომ რომელიმე სოფელი ყოფილიყო დონ კიხოტისად მიჩნეული.

[2] იდალგო – ესპანელი წვრილი აზნაური.

[3] ოლა – სიტყვასიტყვით „ქოთანი", ცხელი კერძი ხორცითა და მწვანილით. ესპანური ნაციონალური საჭმელი.

[4] სალპიკონი – ხახვით, მარილით, ზეთით, ძმრითა და პილპილით შეზავებული ხორცი.

ლი ბრძანდებოდა. ამბობენ, მეტსახელად კიხადა[5] თუ კესადა ერქვაო (ამ საკითხში მისი ცხოვრების აღმწერნი ერთმანეთს არ ეთანხმებიან), მაგრამ სარწმუნო ცნობების მიხედვით. სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ უფრო კიხანა უნდა რქმეოდა. თუმცა, ჩვენი მოთხრობისათვის ამას არცთუ ისე დიდი მნიშვნელობა აქვს; მთავარია, ამბის თხრობისას იოტის ოდენადაც არ გადავცდეთ ჭეშმარიტებას.

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ზემოხსენებული იდალგო მოცლილობის ჟამს (ხოლო ის თითქმის მთელ წელიწადს მოცლილი იყო) ერთთავად სარაინდო რომანებს კითხულობდა და თანაც ისეთი გატაცებითა და თავდავიწყებით, რომ მამულის მოვლასა და ნადირობაზეც კი აიღო ხელი. მისი ცნობისმოყვარეობა და დამთხვეულობა ბოლოს იმ ზომამდის მივიდა, რომ რამდენიმე კოდი პურის ყანა გაყიდა, რათა საკითხავად სარაინდო რომანები შეეძინა და ამრიგად შინ იმდენ წიგნს მოუყარა თავი, რამდენის შოვნაც კი შეეძლო. ამ წიგნებს შორის ყველაზე მეტად სახელგანთქმული ფელისიანო დე სილვას[6] თხზულება მოსწონდა, ვინაიდან მისი სტილის ბრწყინვალება და მაღალფარდოვანი სიტყვების რახარუხი ნამდვილ მარგალიტებად ეჩვენებოდა, მით უმეტეს, როცა სამიჯნურო მიმოწერასა თუ ხმალში გამოწვევის ამბებს კითხულობდა, სადაც ხშირად შავით თეთრზე ეწერა შემდეგი: „თქვენი კეთილგონიერების არაკეთილგონიერულობა ჩემი კეთილგონიერული აზრების მიმართ იმდენად მიბნელებს გონებას, რომ საუსებით გონიერულად ვთელი, უგონოდ ვგმო თქვენი მშვენიერება“. ან კიდევ: „ცანი მაღალნი, ეარსკვლავთა მეოხებით თქვენი ღვთაებრიობის ღვთაებრივად განმამტკიცებელნი, იმ ღირსებათა ღირსად გქმნიან თქვენ, რისი ღირსიცაა თქვენი დიდებულება“.

საბრალო კაბალიერო[7] ამ აბდაუბდაზე იმტვრეოდა თავს და ღამეებს თეთრად ათენებდა, ეგება წაკითხულის არსს ჩასწვდომოდა და მისი აზრი გაეგო, თუმცა თვით არისტოტელეც, განზრახ ამ მიზნითაც რომ აღმდგარიყო მკვდრეთით, ვერაფერს გახდებოდა და ვერც რას გაუგებდა მას. იგივე ითქმის იმ ურიცხვი ჭრილობის მიმართ, მტრებს რომ აყენებდა, ან თვითონვე ღებულობდა დონ ბელიანისი[8] რადგან იდალგოს ეგონა, რაგინდ დახელოვნებულნიც არ უნდა ყოფილიყვნენ მისი მკურნალი ექიმები, რაინდს მთელი სახე და ტანი მაინც ნახმლეებითა და ნაჭდევებით აჭრელებული ექნებოდაო,. მიუხედავად ამისა, მაინც დიდად აქებდა აჯ-

[5] კიხადა თუ კესადა – კიხადა „ყბას“ ნიშნავს ესპანურად, ხოლო კესადა – „ხაჭაპურს“.

[6] ფელისიანო დე სილვა – XVI საუკუნის ესპანელი მწერალი, აეტორი რაინდული რომანებისა „ლისუარტე ბერძენი“, „ამადის ბერძენი“ და სხვ.

[7] კაბალიერო – მხედარი, მეომარი, რაინდი, შეძლებული აზნაური, წარჩინებული.

[8] დონ ბელიანისი – რაინდული რომანის „ბელიანის ბერძენის“ გმირი.

ტორს, რომელიც წიგნის დასასრულს ჰპირდებოდა მკითხველს, რომ უთუოდ გააგრძელებდა ამ დაუსრულებელ ამბავს, და რამდენჯერ აღძერია იმის სურვილი, რომ კალამი აეღო ხელ'ში და აეტორის მაგივრად თვითონვე დაეწერა გაგრძელება. ეჭვს გარე'შეა, ასედაც მოიქცეოდა და წარმატებითაც გაართმევდა თაეს ამ ამოცანას, სხეა, უფრო მნიშვნელოვანსა და გადაუდებელ განზრახვას რომ არ შეეშალა ხელი. იდალგო ხშირად ეკამათებოდა თავისი სოფლის მღვდელს (მღვდელი განათლებული კაცი იყო და სწავლულის ხარისხი სიგუენსა'ში[9] ჰქონდა მიღებული) იმაზე, თუ რომელი რაინდი სჯობდა: პალმერინ ინგლისელი თუ ამადის გალელი[10]. მაგრამ ოსტატი ნიკოლასი, იმავე სოფლის დალაქი, ამტკიცებდა, რაინდ ფებუსთან[11] ვერცერთი ვერ მიეაო, და თუ ვინმესთან მაინც შეიძლება ამ უკანასკნელის შედარება, ისევ დონ გალაორთან, ამადის გალელის ძმასთან, რადგანაც, ყოველი სიკეთით შემკული, ძმასავით მანჭია და მოწუწუნე როდია და ვაჟკაცობითაც მას არ დაუვარდებაო.



სერვანტესის,
დონ კიხოტისა და სანჩო პანსას
ქანდაკებები მადრიდში

---

[9] სერვანტესის დროის სიგუენსის უნივერსიტეტი (დაარსდა 1427 წელს) ყველაზე ჩამორჩენილად ითვლებოდა.

[10] პორტუგალიელი მწერლის, მორაის კაბრალის რომანის – „პალმერინ ინგლისელის“ (1544 წ.) მთავარი გმირი. ამადის გალელი მონტალეოს (სარაგოსა, 1508 წ.) ამაეე სათაურის რაინდული რომანის მთავარი პერსონაჟი.

[11] რაინდი ფებუსი – შუა საუკუნეების პოპულარული სარაინდო რომანის „ფებუსის რაინდის“ მთავარი გმირი.

ერთის სიტყვით, ჩვენი იდალგო ისე გაიტაცა კითხვამ, რომ მზის ამოსელიდან ჩასვლამდის და ჩასვლიდან ამოსვლამდის ერთთავად წიგნებს ჩაჰკირკიტებდა, ხოლო ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ უძილობითა თუ ბევრი კითხვით სულ მთლად გამოთაყვანდა და ჭკუაზე შეცდა. ერთავად ის ელანდებოდა, რაც წიგნებში ამოეკითხა: გრძნეულებანი, შეხლა-შემოხლანი, სისხლის ღვრანი, ხმალში გამოწვევანი, წყლულებანი, არშიყობანი, მიჯნურობანი, ათასნაირი გულისყრანი და შლეგობანი. ისე ღრმად ჩაებეჭდა თავში ის აზრი, თითქოს მთელი ეს მონაჩმახ-მონაჭორი, რასაც წიგნებში კითხულობდა, სრული ჭეშმარიტება იყო, რომ ამ ქვეყნად უფრო ჭეშმარიტი აღარა ეგონა რა. ამბობდა, სიდ რუი დიასი[12] დიდებული რაინდი იყოო, მაგრამ ცეცხლისმფრქვეველი ხმლის რაინდს მაინც ვერ შეედრებოდა, ერთი მოქნევით ორი მძვინვარე, უსარმაზარი გოლიათი შუაზე რომ გაკვეთაო. უფრო მეტ პატივს მიაგებდა ბერნარდო დელ კარპიოს[13], რადგანაც მან რონსევალის ხეობაში იმავე ხერხით მოკლა მოჯადოებული როლანდი, რომლითაც ჰერკულესმა დედამიწის ძე – ანტეოსი მოაშთო. დიდად აქებდა გოლიათ მორგანტეს[14], რომელიც თუმცა ქედმაღალ და ამპარტავან გიგანტთა მოდგმას ეკუთვნოდა, მაინც ძალზე თავაზიანი და კარგად აღზრდილი იყო. მაგრამ არავის არ სწყალობდა ისე, როგორც რეინალდო მონტალბანელს[15], მეტადრე მაშინ, როცა ის, თავისი ციხე-დარბაზიდან გაჭრილი, განურჩევლად ძარცვავდა გამვლელ-გამომვლელს, ან კიდევ ზღვის გაღმა მაჰმადის კერპს იტაცებდა, რომელიც, ავტორის სიტყვით, ბაჯაღლო ოქროსი ყოფილა. ხოლო იმაში, რომ მაგრად მიებეგება მოღალატე განელონი, ალბათ, თავის მნე ქალს მისცემდა და დისწულსაც ზედ მიაყოლებდა.

ბოლოს, სრულიად ჭკუანაღრძობს თავში ისეთი უცნაური აზრი მოუვიდა, რომლის მსგავსიც ქვეყნად არც ერთ მლეგს არ მოსვლია: კერძოდ, სახელის მოსახვეჭად და სამშობლოს განსადიდებლად საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნია, მოგზაური რაინდი გამხდარიყო, ცხენზე ამხე-

---

[12] სიდ რუი დიასი – ძველი ესპანური ეპოსის პოპულარული გმირი (XI ს.), რომელმაც თავი მაურებთან ბრძოლაში ისახელა.

[13] ბერნარდო დელ კარპიო – შუა საუკუნეების ესპანური ეპოსის გმირი. როგორც „როლანდის სიმღერაშია“ მითითებული, როლანდი დაიღუპა მამინაცვალ განელონის გამცემლობით. მან ურჩია მთავრებს, თავს დასხმოდნენ რონსევალის ხეობაში ესპანეთიდან მომავალ ფრანგთა ჯარების არიერგარდს, რომელსაც როლანდი სარდლობდა.

[14] გოლიათი მორგანტე – იტალიელი მწერლის, ლუიჯი პულჩის სახუმარო პოემის, „მორგანტე უფროსის“ (1483 წ.) გმირი.

[15] რეინალდო მონტალბანელი – იტალიის გამოჩენილი პოეტის, ლოდოვიკო არიოსტოს (1474–1533 წ.წ.) ცნობილი პოემის, „შმაგი როლანდის“ მოქმედი პირი.

დრებ'ულს იარაღი აესხა და ფათურაკების საძებნად კიდით-კიდემდე დაეელო მთელი ქვეყანა, ერთის სიტყვით, აღესრულებინა ყოველივე ის, რასაც მის მიერ წაკითხულ წიგნებში სჩადიოდნენ მოგზაური რაინდები: ძირფესვიანად აღმოეფხვრა ყოველგვარი უსამართლობა და ათასნაირ განსაცდელსა თუ გაჭირვებასთან ჭიდილ'ში სამარადისო სახელი და დიდება მოეხვეჭა. საბრალოს უკვე ოცნება'ში ეხატებოდა, რომ მისი გმირული ღვაწლის სანაცვლოდ, სულ მცირე, ტრაპიზონის[16] სამეფო გვირგვინს მაინც დაადგამდნენ თავ'ზე. ესოდენ საამო ფიქრებით გატაცებული და სიხარ'ულით ფრთა'შესხმული დონ კიხოტი თავისი განზრახვის აღსასრულებლად გაეშ'ურა. უწინარეს ყოვლისა, მამაპაპისეული იარაღის წმენდას შეუდგა, ოდესღაც კუთხეში მიყრილს ჟანგი რომ მოჰკიდებოდა და ობი მოსდებოდა. როცა გულმოდგინედ გაწმინდა და გააპრიალა, ანაზდე'ულად შენიშნა, რომ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი რაღაც აკლდა: ზარადიანი ზურ'ის ნაცვლად ხელთ შერჩა უბრალო ჩაჩქანი. მაგრამ გერგილიანობამ აქაც უშველა: მუყაოსაგან ნახევარზურ'ი გააკეთა, ჩაჩქანს მიამაგრა და ნამდვილი ზურ'ის მსგავსი რაღაც შეაკოწიწა. თუმცა, რა დასამალია და, ჩვენს იდალგოს მოუნდა გამოეცადა მისი სიმტკიცე და გაეგო, გაუძლებდა თუ არა დარტყმას. ამ მიზნით ხმალი ი'შიშველა, ერთიორჯერ ღონივრად დაჰკრა და მთელი კეირის ნამუშევარი პირველივე დარტყმით ერთ წამ'ში გაანადგურა. მაინცდამაინც დიდად არ ესიამოვნა, რომ ზარადი ასე ადვილად ექცა ნაკუწებად, და შემდგომში თავიდან რომ აეცილებინა ასეთი საფრთხე, ზარადის ხელმეორედ კეთებას შეუდგა, შიგნიდან რკინის ფირფიტები დაატანა და, ბოლოს და ბოლოს, მისი სიმტკიცით კმაყოფილი დარჩა. თაეისი ნახელაეის ხელმეორედ გამოცდა აღარ ისურვა, სავსებით საიმედოდ მიიჩნია და დაასკვნა, ზარადი თუ ეთქმის, ამას ეთქმისო.

ახლა ჯერი ჯაგლაგზე მიდგა, და თუმცა, საბრალოს უფრო მეტი სენი სჭირდა, ვიდრე კუარტოა რეალ'ში[17], და გონელას[18] ცხენზედაც გაცილებით უბადრუკი იყო, რომელიც tantum pellis et ossa fuit[19], იდალგოს მაინც ალექსანდრეს ბუცეფალსა[20] და სიდის ბაბიეკზე[21] უკეთეს ბედაურად

---

[16] ტრაპიზონი — შუა საუკუნეების იმპერია (1204–1461 წ.წ.) მცირე აზიაში.

[17] რეალი — ესპანური წერილი ფული (ერთი რეალი რვა კუარტოს უდრიდა).

[18] გონელა — ფერარის ჰერცოგ ბორსოს (XVI ს.) ცნობილი ხუმარა, გმირი მრავალი პოპულარული ანეკდოტისა, რომლებიც შემდეგ წიგნად დაიბეჭდა („გონელას ოხუნჯობანი").

[19] tantum pellis et ossa fuit — ცარიელი ძვალი და ტყავი იყო.

[20] ბუცეფალი — ალექსანდრე მაკედონელის ცხენის სახელი.

[21] ბაბიეკი — სიდის ცხენის სახელი.

მოეჩვენა. მთელი ოთხი დღე იმაზე იმტერეედა თავს, თუ რა დაერქმია მისთვის, რადგანაც, მისი აზრით, არ ეგებოდა, რომ ესოდენ დიდებული რაინდის ცხენს, თავადაც ესოდენ დიდებულს, სახელიც საკადრისი არა ჰქონოდა. ამიტომაც გადაწყვიტა, მისთვის ისეთი სახელი შეერჩია, რომელიც თავისთავად ცხადყოფდა, თუ რა იყო იგი მანამდე, სანამ მოგზაური რაინდის ცხენი გახდებოდა; რადგანაც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ თუ პატრონი შეიცვლიდა მდგომარეობას, ცხენსაც უნდა შეცვლოდა სახელი და ახალი, უფრო ღირსეული და კეთილხმოვანი, პატრონის ახალი წოდებისა და მდგომარეობის შესაფერისი სახელი დარქმეოდა. დიდხანს იგონებდა სხვადასხვა სახელს, მეხსიერებაში იქექებოდა, წარმოსახვას ძალას ატანდა, იწონებდა, იწუნებდა, აერცობდა, ამოკლებდა, წინაუკმო აბრუნებდა, აწარმოებდა და, ბოლოს, როსინანტზე[22] შეჩერდა, რადგანაც ეს სახელი, მისი აზრით, ყველაზე ღირსეული და კეთილხმოვანი, თავისთავად მოწმობდა, რომ უწინ ეს ცხენი ერთი უბრალო ჯაგლაგი იყო, დღეს კი ყველა ჯაგლაგზე უწინარესი და უპირველესი ჯაგლაგი გახდა.

თავის ცხენს ესოდენ ღირსეული სახელი რომ შეურჩია, ახლა თავისთვის დაიწყო სახელის ძებნა, ამაზე ფიქრში გაატარა კიდევ რვა დღე, და ბოლოს ისიც გამონახა: დონ კიხოტი[23] დაირქვა. ალბათ, ამან მისცა საბაბი ამ მართალი ამბის აღმწერთ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დაბეჯითებით ემტკიცებინათ, რომ ჩვენს იდალგოს ნამდვილად კიხადა ერქვა და არა კესადა, რასაც ზოგიერთნი ვარაუდობენ. მაგრამ როცა გაახსენდა, რომ ძლევამოსილი ამადისი არ დასჯერდა, მარტოოდენ ამადისად წოდებულიყო და თავისი სამშობლოსა და სამეფოს სადიდებლად თავის სახელს გალელიც მიუმატა, – ჩვენმა კეთილმა კაბალიერომაც, როგორც ჭეშმარიტ რაინდს შეშვენის, გადაწყვიტა, საკუთარი სახელისათვის სამშობლოს სახელიც მიემატებინა და დონ კიხოტ ლამანჩელი დაერქვა, რაც, მისი აზრით, ყველასათვის გასაგებს გახდიდა მის ვინაობასა და სადაურობას, ხოლო ამით სამშობლოსაც განადიდებდა.

და რაკი იარაღი გაწმინდა, ზარადიანი ჩაჩქანი შეაკოწიწა, ჯაგლაგს სახელი გამოუგონა და თვითონაც ახალი სახელით მოინათლა, სხვა რაღა დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ გასამიჯნურებელი გულისსწორი გამოეძებნა, ვინაიდან რაღა უმიჯნურო მოგზაური რაინდი და რაღა უნაყოფო და უფოთლო ხე, ან კიდევ უსულო სხეული.

– თუ ჩემი ცოდვების სასჯელად, ანდა ჩემსავე საბედნიეროდ, – ეუბნებოდა თავის თავს, – სადმე ერთ იმ ბუმბერაზთაგანს გადავეყარე, რომელთ-

---

[22] თავისი ცხენის სახელი დონ კიხოტმა შეადგინა ორი სიტყვისაგან: როსინჯაგლაგი და ანტეს-წინათ, უწინ.

[23] დინ კიხოტი ესპანურ ენაზე მღედლის შესამოსელს (ენქერს) ნიშნავს, ხოლო „კიხოტე“ ესპანურადვე ბარძაყის საფარველი აბჯარია.

აც ასე ხშირად ხედებიან მოგზაური რაინდები, და პირველსავე შეტაკებაში განეგმირე, ან შუა გაეკვეთე იგი, ან კიდევ დავამარცხე და ვაიძულე, შეწყალება მთხოვოს, განა უმჯობესი არ იქნება, საიმდროისოდ ჩემი ფიქრთამპყრობელი მყავდეს, რომ ძლეული ძღვნად გაეუგზავნო? შესელისთანავე დაემხობა ჩემი უტკბესი ქალბატონის წინაშე, და საწყალობელი და საბრალისი ხმით მოახსენებს: „სენიორა! მე გახლავართ ბუმბერაზი კარაკული-ამბრო, კუნძულ მალინდრანიის მფლობელი; პირისპირ შებმისას დამამარცხა სახელოვანმა რაინდმა დონ კიხოტ ლამანჩელმა,ვის ქებასაც ენა ვერ იტყვის! აწ მისი ბრძანებით ვეახელ თქვენს მოწყალებას, რათა ფეხქვეშ ჩაგივარდეთ და თქვენს უსენაეს მსჯავრს დაველოდო!“

ოჰ, რა ნეტარებას განიცდიდა ჩვენი კეთილი რაინდი ამ სიტყვების წარმოთქმისას, მით უმეტეს, როცა იმ არსებასაც მიაგნო, ვისთვისაც შეეძლო, თავისი ქალბატონი ეწოდებინა. როგორც ამბობენ, მახლობელ სოფელში ერთი ფრიად ეშხიანი გლეხის გოგო ცხოვრობდა, რომელსაც ის ერთხანს ეტრფოდა კიდეც, თუმცა თვით ქალს, რა თქმა უნდა, ეს ამბავი არც გაუგია და, ცხადია, არც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა რაინდს. ქალს სახელად ალდონსა ლორენსო ერქვა. სწორედ ის დასახა იდალგომ თავის ფიქრთა მპყრობელად და ახლა მის სახელს დაუწყო ძებნა. ისეთ სახელს ურჩევდა, მისივე საკუთარი სახელის თანაფარდი რომ ყოფილიყო და, ამასთან, ვინმე დიდებულისა თუ წარჩინებულის ქალადაც წარმოეჩინა იგი. ბოლოს, დულსინეა[24] ტობოსელი უწოდა მას, რადგანაც ქალი ტობოსის მკვიდრი იყო. ეს სახელიც ისევე ტკბილხმოვანი, საუცხოო და ღირსეული მოეჩვენა, როგორც მის მიერ ადრე გამოგონილი სხვა სახელები.

თავი VII

ამბავი ჩვენი გულკეთილი რაინდის
დონ კიხოტ ლამანჩელის გამგზავრებისა

დონ კიხოტი საიდუმლოდ ურიგდებოდა ერთ თავის მეზობელს; ეს იყო პატიოსანი და წესიერი კაცი (თუკი შეიძლება წესიერი ეწოდოს ღატაკს), მაგრამ ჭკუაზე კი, ცოტა არ იყოს, მწყრალად ბრძანდებოდა. იმდენი ეჩიჩინა, იმდენი რამ აღუთქვა და ისეთი იმედები ჩაუსახა, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაითანხმა გლეხკაცი, საჭურველმტვირთველად გაჰყოლოდა. სხვათა შორის, რაინდი ურჩევდა, სამერმისოდ ნუღარ გადადებ ამ საქმეს, რადგანაც ადვილი შესაძლებელია, ბედმა გამიღიმოს და სულ მალე იმნაირ ფათერაკს გადავაწყდე, რომ ერთი მოზრდილი კუნძული

[24] დულსინეა – წარმოებულია ზედს. სახელიდან „დულსე“ – ტკბილი, ნაზი.

დაეიპყრო და იმის გუბერნატორად დაგნიშნოო. ამნაირი და ამის მსგავსი მრავალი სხვა დაპირებითაც ისეთი თავბრუ დაახვია და აცთუნა სანჩო პანსა (ასე ეძახდნენ ჩვენს გლეხკაცს), რომ მან ცოლ-შვილის მიტოვებასა და საჭურველმტვირთველად გაყოლაზე თანხმობა განუცხადა.

ამის შემდეგ ფულის შოვნაზედაც უნდა ეფიქრა: ზოგი რამ გაყიდა, ზოგიც დააგირავა, რაღა თქმა უნდა, თითქმის მუქთად, და, როგორც იქნა, საკმაო თანხას მოუყარა თავი. გარდა ამისა, ერთი მეგობრისაგან მრგვალი ფარი ითხოვა, რის ვაივაგლახით შეაკეთა მეჯორის მიერ დამსხვრეული ჩაჩქანი და თავის საჭურველმტვირთველს გამგზავრების დღე და საათი დაუნიშნა, რათა სანჩოს დროულად მოემარაგებინა ყველაფერი, რაც გზაში დასჭირდებოდა; თანაც, საგანგებოდ გააფრთხილა, რაც მთავარია, სამგზავრო ჩანთა არ დაგავიწყდესო. სანჩო შეჰპირდა, რომ ყველაფერს წამოიღებდა, მაგრამ იქვე დასძინა, ჩემი მშვენიერი ვირიც თან უნდა წამოვიყვანო, ვინაიდან ფეხით მოსიარულედ ღმერთს არ ვუქნივარო. ვირის ხსენებაზე დონ კიხოტი, ცოტა არ იყოს, სახტად დარჩა; ბევრი იფიქრა და თავი იმტვრია, ცდილობდა გაეხსენებინა, რომელიმე მოგზაურ რაინდს ოდესმე მაინც თუ ჰყოლია ვიროსანი საჭურველმტვირთველი, და თუმცა ამისი მსგავსი ვერაფერი გაიხსენა, სანჩოს მაინც ნება დართო, თავისი ვირი წამოეყვანა, იმ იმედით, რომ, პირველი შეხვედრისთანავე ვინმე თავხედსა და უტიფარ რაინდს ცხენს წაართმევდა და ამ გაცილებით უფრო ღირსეულ ოთხფეხს თავის საჭურველმტვირთველს უბოძებდა.

არც სუფთა სამოსი თუ სხვა სახმარ-საქმარი დაეწყებია, როგორც მეფუნდუკემ ურჩია. როცა მთელ ამ სამზადისს მორჩა, არც დიასახლისსა და დისწულს დამშვიდობებია და არც სანჩო გამოსთხოვებია თავის ცოლ-შვილს, – ერთ ღამეს ჩუმად გაიპარა სახლიდან და სანჩოც თან გაიყოლა. ისე ჩქარა მიდიოდნენ, რომ გამთენიისას უკვე სამშვიდობოს დაიგულეს თავი და აღარაფრის შიში აღარა ჰქონდათ. მდევარიც რომ შეეყარათ, მაინც ეელარ დაეწეოდნენ.

სანჩო პანსა პატრიარქივით გადამჯდარიყო ვირზე, ცალ გვერდზე ჩანთა და ტიკჭორა მოეგდო და ოცნებით უკვე ბატონის მიერ აღთქმული კუნძულის მმართველად წარმოედგინა თავი. დონ კიხოტმა იგივე გზა აირჩია, რაც პირველი მგზავრობისას, ესე იგი, მონტიელის ველს დაადგა, მხოლოდ ახლა გაცილებით უფრო მხნედ გრძნობდა თავს, ვინაიდან ამ დილაადრიან ახლად ამოწვერილი მზის სხივები ალმაცერად ეცემოდა და სულს აღარ უხუთავდა ჩვენს მგზავრებს.

სანჩო პანსამ თავის ბატონს მიმართა:

– აბა, თქვენ იცით, ჩემო მწყალობელო, ბატონო მოგზაურო რაინდო! ხომ გახსოვთ, კუნძულს რომ დამპირდით? ჰოდა, ეგ თქვენი დაპირება არ დაიეიწყოთ. მე კი, რამხელაც უნდა იყოს, მენდეთ, როგორმე მოვუვლი.

რაზედაც დონ კიხოტმა მიუგო:

– უნდა მოგახსენო, ჩემო მეგობარო სანჩო პანსა, რომ ძველად მოგზაურ რაინდებს ასე სჩვეოდათ: კუნძულებსა თუ სამეფოებს რომ დაიპყრობდნენ, მათ მმართველებად თავიანთ საჭურველმტვირთველებს ნიშნავდნენ. მე კი განზრახული მაქვს, არამცთუ ვუღალატო ამ საუცხოო ჩვეულებას, არამედ ყველას გადავაჭარბო. რადგან უწინდელი რაინდები ზოგჯერ, თუმცა რას ვამბობ? – ზოგჯერ კი არა, ყოველთვის იმას უცდიდნენ, თუ როდის დაბერდებოდნენ მათი საჭურველმტვირთველნი, და მხოლოდ მათ სამსახურში გატარებული ურიცხვი მშფოთვარე დღისა თუ კიდევ უფრო მშფოთვარე ღამის შემდეგ თუ აღირსებდნენ რაიმე ხარისხს, ეთქვათ, გრაფისას, ან დიდი-დიდი, ჰა, მარკიზისას, და ერთ უბადრუკ მამულს, ანდა მიყრუებულ კუთხე-კუნჭულს უწყალობებდნენ სამფლობელოდ. მე კი, თუ ღმერთმა ინება და ორიენი ცოცხლები დავრჩით, იმედი მაქვს, სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში ისეთი სამეფო დავიპყრო, რომ თავისი ყმადნაფიცი ქვეყნებიც ჰყავდეს, და რომელიც მოგეწონება, იმის გვირგვინს დაგადგამ თავზე. ეს ამბავი ნუ გაგაკვირვებს: მოგზაურ რაინდებს ყოველი ფეხის ნაბიჯზე იმდენი საოცრება ელიო, იმდენი უსეულო რამ გადახდებათ თავს, რომ მე ჩირადაც არ მიღირს, არამცთუ დანაპირები შეგისრულო, არამედ გაცილებით მეტიც გიწყალობო.

– ასე რომ, – დაასკვნა სანჩომ, – მე თუ რაღაც სასწაულის წყალობით მეფობა მეღირსა, ჩემი ოჯახობა – ხუანა გუტიერესი, სულ მცირე, დედოფალი ხომ მაინც გახდება და ჩემი ღლაპებიც უფლისწულობას გაიკრავენ.

– მერედა, ვის ეპარება ეჭვი? – იკითხა დონ კიხოტმა.

– ვისა და – მე, – მიუგო სანჩომ, – რადგან ღმერთმა სამეფო გვირგვინების წვიმაც რომ მოგვიელინოს ციდან, მაშინაც კი მეეჭვება, რომ რომელიმე მათგანი ჩემს მარი გუტიერესს თავზე მოერგოს. მეტი არაა ჩემი მტერი! დედოფლობისა რა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, და გრაფის ცოლობა, ჰა და ჰა, შეიძლება კიდევ შეეშნო, თუკი, რასაკვირველია, ღმერთიც თავის შემწეობას არ მოაკლებდა.

– ჰოდა, შენც ღმერთს მიანდე ეგ საქმე, სანჩო, – უთხრა დონ კიტოხმა, – ის მოგცემთ, რაც მოსაცემია. მაგრამ გახსოვდეს, თავი მაღლა გეჭიროს და კუნძულის მმართველობაზე ნაკლებს ნურას დიდებით დასჯერდები.

– არხეინად ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემო, – მიუგო სანჩომ, – ჰაიჰაი, რომ არ დავჯერდები, მით უმეტეს, თუ თქვენისთანა დიდებული და ყოვლისშემძლე პატრონი მეყოლება. ისეთ ტვირთს არც ამკიდებთ მხარზე, რომ წაღება ვერ შევძლო.

თავი VIII

ძლევამოსილი დონ კიხოტის შესანიშნავი გამარჯვება, მოპოვებული დღემდე არნახულსა და თავზარდამცემ ბრძოლაში ქარის წისქვილებთან, აგრეთვე, სხვა ღირსსახსოვარი ამბავი

ამ დროს ჩვენმა მოგზაურებმა მინდორში მდგარი ოცდაათი თუ ორმოციოდე ქარის წისქვილი დაინახეს. შენიშნა თუ არა ისინი, დონ კიხოტი თავის საჭურველმტვირთველს მიუბრუნდა და უთხრა:

– ბედის წყალობაც ამას ჰქვია! უკეთესს რას ვინატრებდით? აბა, ერთი იქით გაიხედე, ჩემო მეგობარო სანჩო პანსა, იმ საშინელი გოლიათების ხროვას თუ ხედავ? გადავწყვიტე, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევება და მუსრი გავავლო ყველას; ხოლო ნადავლი, ამ ბრძოლაში რომ მოვიპოვებთ, საფუძვლად დაედება ჩვენს მომავალ კეთილდღეობას. ეს ომი საღმრთო ომია, ვინაიდან მიწის პირისაგან ამ უკეთური თესლის აღხოცვა ღვთის სამსახურად შეგვერაცხება.

– რომელ გოლიათებზე ბრძანებთ? – ჰკითხა სანჩო პანსამ.

– რომელზე და, აგერ იქ რომ დგანან, – მიუგო პატრონმა, – ხელავ, რამსიგრძე მკლავები აქვთ? თითო ორი მილი მაინც იქნება.

– რას ბრძანებთ, თქვენო მოწყალებაო, – შეიცხადა სანჩომ, – ეგენი გოლიათები კი არა, ქარის წისქვილებია, ხოლო რაც თქვენ მკლავებად გეჩვენებათ, მათი ფრთებია, ქარის ძალით დოლაბებს რომ ატრიალებენ.

– როგორ გეტყობა, რომ ფათერაკების არა გაგეგება რა, – უთხრა დონ კიხოტმა, – გეუბნები, გოლიათები არიან-მეთქი! თუ გეშინია, განზე გადექი და ილოცე, მე კი მაგ ურჯულოებს საშინელსა და უთანასწორო ბრძოლას გავუმართავ.



დონ კიხოტი და სანჩო პანსა. ძველი ესპანური გრავიურა

ამ სიტყვებით როსინანტს დეზი ჰკრა და ქარის წისქვილებისაკენ გაექანა. სანჩო ყვირილით იჭახჭებოდა, რას სჩადით, ბატონო, გოლიათებს კი არა, ქარის წისქვილებს უპირებთ შებმასო, მაგრამ ვერა შეასმინა რა, რაინდი იმდენად დარწმუნებული იყო, ჩემს წინაშე რამდენილად გოლიათები დგანანო, რომ აღარც თავისი საჭურველმტვირთველის ხმა ესმოდა და, თუმცა საკმაოდ მიუახლოვდა წისქვილებს, ვეღარც ამ უკანასკნელთ ხედავდა; თვალებზე ლიბრგადაკრული მრისხანე ყიჟინით მიჰქროდა მტრისკენ:

— სად გარბიხართ, თქვე ლაჩარნო, წუნკალნო, ბილწნო?! ნუთუ ერთმა რაინდმა ასე შეგაშინათ?!

ამ დროს ქარმა დაქროლა და წისქვილის უზარმაზარი ფრთები დაატრიალა; ამის დანახვაზე დონ კიხოტმა შეჰყვირა:

— იქნიეთ, იქნიეთ ეგ მკლავები! უფრო მეტი მკლავიც რომ გქონდეთ, ვიღრე გიგანტ ბრიარეოსს[25], შურისგებას მაინც ვერსად წაუხვალთ!

ესა თქვა, თანაც მთელი არსებით ქალბატონს თვისას დულსინეას შეავედრა თავი და ამ საშინელი განსაცდელის ჟამს შეწევნა სთხოვა, მერე ფარი იფარა, შუბის ტარი მკერდს მიიბჯინა, როსინანტი გაქუსლა და პირველივე წისქვილის ფრთას შუბი აბგერა. მაგრამ ამ დროს ქარმა იმძლავრა და ფრთამ ისე გაშმაგებით იწყო ტრიალი, რომ შუბი ნამსხვრევებად იქცია და რაინდიც თავისი ცხენითურთ შორს მოისროლა. ეს საცოდაობა რომ დაინახა, სანჩომ ვირი დააოთხა და თავის პატრონს ჭენებით მიეჭრა მისაშველებლად. დახედა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ რაინდის საქმე შავად იყო: თავისი ცხენითურთ ისე დასკდომოდა მიწას, რომ განძრევის თავი აღარა ჰქონდა.

— უფალო, შეგვიწყალე! — შეჰყვირა სანჩომ, — ხომ გეუბნებოდით, რას სჩადით, თქვენო მოწყალებავ, გოლიათები კი არა, ქარის წისქვილები არიანმეთქი? ამას რომ ვერ მიხვდეს, კაცს ნამდვილად ქარი უნდა უქროდეს თავში.

— ღმერთს ნუ სცოდავ, ჩემო მეგობარო სანჩო, — თქვა დონ კიხოტმა, — უნდა მოგახსენო, რომ საომარ ვითარებასავით ცვალებადი ამ ქვეყნად არა არის რა. ეგეც არ იყოს, მე ეფიქრობ, და, როგორც ჩანს, საფუძველიცა მაქვს, ასე ვიფიქრო, რომ იმ ჯადოქარმა ფრესტონმა, რომელმაც მთელი ოთახი თავის წიგნებიანად მომტაცა, ეს გოლიათები ქარის წისქვილებად აქცია, რათა გამარჯვების გეირგვინი ხელიდან გამოეტაცა ჩემთვის. აი, ასე საშინლად ვძულვარ, მაგრამ მოვა დრო და მისი გრძნეულება წინ ვეღარ აღუდგება ჩემს მახვილს.

— ყველაფერი ღვთის ხელთაა, — მიუგო სანჩომ.

---

[25] ბრიარეოსი — ანტიკურ მითოლოგიაში ორმოცდაათთავიანი და ასხელიანი გიგანტი.

შემდეგ თავისი ბატონი წამოაყენა და რის ვაი-ვაგლახით როსინანტზე შესვა, თუმცა საბრალო ჯაგლაგი თვითონაც ძლივს იდგა ფეხზე. წისქვილებად ქცეულ გოლიათებზე საუბრით რაინდი და მისი საჭურველმტვირთველი პუერტო ლაპისეს გზას დაადგნენ, რადგანაც დონ კიხოტი ამტკიცებდა, ამ გზაზე ისეთი ხალხმრავლობაა, რომ შეიძლება ათასნაირ ფათერაკს გადაეყაროს კაცი და მათი ხელიდან გაშვება არ იქნებაო. მხოლოდ ეგაა, ძალიან წუხდა, რომ შუბი დაემტვრა; თავისი გულისტკივილი საჭურველმტვირთველსაც გაუზიარა და ბოლოს უთხრა:

– სადღაც წამიკითხავს, რომ ერთმა ესპანელმა რაინდმა, სახელად დიეგო პერეს დე ვარგასმა, ბრძოლაში ხმალი რომ გაუტყდა, მუხის ეენება ტოტი მოტეხა, მერე მისდგა და იმდენი ურტყა, სულ კუდით ქვა ასროლინა მტერს; იმდენი მაერი გაულიტა, თან ისე მარჯვედ იქნეედა იმ მუხის კომბალს, რომ მისი შემყურენი ერთმანეთს ეუბნებოდნენ თურმე: ამ ომში თუ ვინმე ვარგა, ესა ვარგაო; ამიტომაც მეტსახელად ვარგას – ვარგი შეარქვეს და მისი შთამომავალნი დღესაც ამ სახელით იწოდებიან. ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ სადაც კი წავაწყდები მუხას, გინდა ნედლი იყოს, გინდ ხმელი, მეც ერთ უშველებელ ტოტს ჩამოვატეხ, სწორედ ისეთს, ჩემი წარმოდგენით, ვარგასს რომ უნდა სჭეროდა, და იმედი მაქვს, მასავით შეიარაღებული იმნაირ სასწაულებს მოვახდენ, რომ შენ, სანჩო, უბედნიერეს კაცად ჩათვლი თავს, რაკიღა ესოდენ გმირული ღვაწლის მოწმე და თვითმხილველი გახდი; დიახ, ისეთ უმაგალითო საქმეს გიჩვენებ, რომ მომავალში ძნელად თუ ირწმუნებს ვინმე.

– ღმერთმა ინებოს, – მიუგო სანჩომ, – ყველაფერი მჯერა, რასაც თქვენი მოწყალება ბრძანებს. მაგრამ ცოტა მაინც გასწორდით, თორემ ისე მოლრეცილად ზიხართ უნაგირზე, რომ გადაეარდნას ბევრი აღარაფერი გიკლიათ. ალბათ, რომ დაეცით, მაშინ იტკინეთ რამე.

– მართალი ხარ, – თქვა დონ კიხოტმა, – მაგრამ თუ ტკივილს არ ეუჩივი, მხოლოდ იმიტომ, რომ მოგზაურ რაინდებს ეკრძალებათ წყლულების გამო წუწუნი; მათი ვალია, უდრტვინველად ითმენდნენ ტკივილს, თუნდაც მთელი მუცელი – გამოფატრული, შიგნეული კი გარეთ გადმოყრილი ჰქონდეთ.

– თუ ასეა, რა მეთქმის, – მიუგო სანჩომ – მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რამდენად უფრო მეამებოდა და გულზეც მომეშვებოდა, თქვენო მოწყალებავ, რომ გეეცნესათ და გეეგლახათ, როდესაც რაიმე გტკიეათ. მე კი, ღმერთმა ნუ ქნას, ფრჩხილიც რომ წამომტკივდეს, ისეთ კენესასა და ვაი-ვიშს მოვრთავ, რომ ეელარაფერი გამაჩერებს, თუკი რაინდთა საჭურველმტვირთველებსაც აკრძალული არა აქვთ გმინვა.

თავისი საჭურველმტვირთველის გულუბრყვილობაზე დონ კიხოტმა სიცილი ეელარ შეიკავა და სანჩოს უთხრა: თუ, ეთქვათ და, რამე გეტკინა,

შეგიძლია, შენი ნებით, ან შენდა უნებურადაც, იმდენი იკენეს-იგმინო, რამდენიც მოგეპრიანება და როდესაც მოგეპრიანება, ვინაიდან სარაინდო წესდებაში ამის საწინააღმდეგოდ არაფერი სწერიაო. სანჩომ თავის პატრონს შეახსენა, დროა წავიხემსოთო. დონ კიხოტმა მიუგო, ჯერ არა მშია, შენ კი, როცა მოგეხასიათება, მაშინ შეგიძლია შენაყრდეო. ეს ნებართვა რომ მიიღო, სანჩომ ნებიერად მოიკალათა თავის სახედარზე და ჩანთიდან საგზალი ამოიღო. კუდში მისდევდა პატრონს, მადიანად ილუკმებოდა და დროდადრო ისე სიამოვნებით მოიყუდებდა თავის ტიკჭორას, რომ მალაგის ყველაზე ყოჩაღ მიკიტანსაც შეშურდებოდა. ასე, ჩაქჩაქითა და ღვინის ნება-ნება წრუპვით მიმავალს, დონ კიხოტის დაპირება სულ დაავიწყდა. თეით ყველაზე საშინელი ფათერაკების ძიებაც ახლა უკვე სახიფათოდ კი არა, ძალზე სასიამოვნო და სასეირო საქმედ ეჩვენებოდა.

ფიქრი და დისკუსია

გაიხსენეთ

1. საიდან დაებადა აზრად დონ კიხოტს, გამხდარიყო მოგზაური რაინდი?

2. რატომ სწამდა მას, რომ რაინდის მოვალეობები უნდა ეკისრა?

3. როგორ შეიძლება ქარის წისქვილები გოლიათების ხროვის მსგავსნი ყოფილიყვნენ და მათსავით აღმართულიყვნენ დონ კიხოტის წინაშე?

4. როგორ აღაქმევინებს დონ კიხოტს საკუთარი სიშლეგე სამყაროს? მოიყვანეთ მაგალითები.

გააანალიზეთ

5. იმისათვის, რათა მოგზაური რაინდი გამხდარიყო, დონ კიხოტს უნდა მოეპოვებინა სხვადასხვა სამხედრო აღჭურვილობა, უფრო მეტად კი – მისი შემცველელი. ახსენით, როგორაა პაროდირებული მის მიერ შერჩეული რაინდის საჭურველი, აბჯარი, ცხენი, საჭურველმტვირთველი და სატრფო?

6. „დონ კიხოტში“ წარმოდგენილი იუმორი ზოგჯერ შეფარულია, ზოგჯერ – აშკარა. თქვენი აზრით, რომელია უფრო სიცილისმომგვრელი? რატომ?

7. ლიტერატურაში კონტრასტი ესაა მხატვრული ხერხი, რომლის დროსაც ხასიათის განსხვავებული შტრიხების საშუალებით ნაჩვენები და გამოკვეთილია სხვა ხასიათის თვისებები. სანჩო პანსას როგორი კონტრასტული ხასიათია მოცემული დონ კიხოტისგან განსხვავებით?

განაზოგადეთ

8. როგორ შეიძლება გამომჟღავნდეს დონ კიხოტის „სიშლეგე“ დღევანდელ ღღეს?

9. ზოგიერთი ლიტერატორი ფიქრობს, რომ სერვანტესმა დონ კიხოტისა და სანჩო პანსას ხასიათების შექმნა იუმორისტულად დაიწყო, მაგრამ შემდგომ მათ მიმართ შეცვალა დამოკიდებულება. განმარტეთ, ემხრობით თუ არა ამ თვალსაზრისს?

10. „დონ კიხოტი“ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წიგნია. როგორ ფიქრობთ, რა საფუძველი აქვს ამგვარ შეფასებას?

ლექსიკური უნარები

„დონ კიხოტი“ შუა საუკუნეების რომანია, რის გამოც მასში მოცემულია რაინდობის დამახასიათებელი ადრეული ლექსიკა. ზოგიერთი სიტყვა ამ თაგადასაელიდან შეიძლება არ იყოს ნაცნობი, ისევე როგორც თარგმანში. ქვემოთ წარმოდგენილია სხვადასხვა სიტყვა, რომლებიც დღესაც იხმარება. მოძებნეთ ლექსიკონში იმ სიტყვების მნიშვნელობები, რომლებიც არ იცით და ჩასვით შესაბამისი წინადადების გამოტოვებულ ადგილას. გაითვალისწინეთ, რომ ყველა სიტყვა არ დაგჭირდებათ:

ტიკჭორა	სახმარ-საქმარი	მოაშთო
არამცთუ	ზუჩი	ჯაგლაგი
ჩაჩქანი	მეოხებით	ეგებოდა
შეწევნა	ნაჭდევები	აღხოცვა

1. ჰერკულესმა დედამიწის ძე – ანტეოსი
2. ზარადიანი ... ნაცვლად ხელთ შერჩა უბრალო
3. მისი აზრით, არ , რომ ესოდენ დიდებული რაინდის ცხენს, თავადაც ესოდენ დიდებულს, სახელიც საკადრისი არა ჰქონოდა.
4. არც სუფთა სამოსი თუ სხვა დაეთწყებია.
5. მე კი განწირახული მაქვს, ეუღალატო ამ საუცხოო ჩვეულებას, არამედ ყველას გადავაჭარბო.
6. მიწის პირისგან ამ უკეთური თესლის სთხოვა.
7. ამ საშინელი განსაცდელის ჟამს სთხოვა.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი საასზროენო უნარები

შეფასება ესაა დასკვნა, რომელიც გარკვეულ სტანდარტს ემყარება. მაგალითად, ფსიქიატრი მკურნალობს ავადმყოფს და წერს მისი ქმედებების შეფასებას, დამყარებულს ყველა იმ ადამიანის საქციელის ცოდნაზე, რომლებთანაც მას ურთიერთობა აქვს.

1. თქვენი დასკვნით, დონ კიხოტი შლეგია თუ იდეალისტი?
2. როგორ შეაფასებდით სანჩო პანსას ხასიათს, არის იგი მიამიტი, გამჭრიახი თუ ოხუნჯი? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

სტილის რაობა

სტილი მხატვრული ხერხია, რომლის საშუალებითაც მწერალი განსახოვნების ენობრივ ფორმებს თავისი იდეების გამოსახატავად იყენებს.

სტილი, შემოქმედებითი ხელწერა, განისაზღვრება ავტორის მიერ შერჩეული სიტყვებით, წინადადებების სტრუქტურითა და მოწესრიგებით, ტონითა და ბგერობრივი ეფექტებით, წარმოსახვისა და განსახოვნების ენობრივი ხერხების სიმტკიცის ხარისხით.

ლიტერატურაში სტილი ზოგადად მწერლის შემოქმედებით სახეს გამოხატავს. ავტორს სხვადასხვა სტილით წერა შეუძლია, ისეეე როგორც ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ხელწერის შექმნა და განვითარება. ამისათვის სასურველია, ფხიზლად, ყურადღებით მოვხაზოთ გეგმა, რამდენიმეგზის გადავაველოთ მას თვალი, ზოგჯერ კი განვაახლოთ იგი. შესაძლებელია, გადავამოწმოთ ცნობილ მწერალთა თხზულებები, რათა თვალი გავადევნოთ, თუ რა ქმნის მათ სტილს შთამბეჭდავს. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრები საკუთარი ხელწერით გადმოვცეთ. ამისათვის საჭიროა:

1. საკუთარი „ხმის“ პოვნა; ამაში იგულისხმება ბუნებრივად წერა, აზრების გარკვეულ და გასაგებ წინადადებებად ჩამოყალიბება ისე, რომ მკითხველს არ მობეზრდეს დამძიმებული და გადატვირთული აბზაცები.

2. მკითხველისათვის ანგარიშის გაწევა, რომლის დროსაც უნდა განსხვავდეს ჩვეულებრივი სამეტყველო სტილი საზოგადოებასთან საურთიერთოსაგან, რაც გულისხმობს მკითხველის ცოდნის გათვალისწინებას.

3. პატიოსნება და კეთილსინდისიერება, ანუ ეწეროთ იმის შესახებ, რისაც ნამდვილად გვჯერა. შესაძლებელია, თავდაპირველად უინტერესოდ გვეჩვენოს თემა, მაგრამ საჭიროა მოთმინება, რათა მივაგნოთ განსაკუთრებულ ან თავისებურ თვალსაზრისს და გამოვკვეთოთ იგი.

4. შთამბეჭდავად და გასაგებად წერა, ლექსიკით გამდიდრებული წინადადებების ჩამოყალიბება, რომლის დროსაც თავიდან უნდა ავიცილოთ გამეორებები.

5. მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თხზულების ეფექტური დასაწყისი. მაგალითად, ფრანც კაფკას ერთ-ერთი ნაწარმოები „მეტამორფოზა“ ასე იწყება: „ერთ დილით, როგორც კი გრეგორი სამსამ გაიღვიძა, აღმოაჩინა, რომ თავის საწოლში გიგანტურ მწერად გადაქცეულიყო“. რა თქმა უნდა, მსგავსი შესავალი სავალდებულო არაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება ნაწარმოების ასე დაწყება.

6. ყოველთვის უნდა გქონდეთ ნაშრომის განახლებისა და დახვეწის, „გაჩალხვის“ მცდელობა.

7. მოკლე, კომპაქტური, სადა წინადადებები განსაკუთრებით დამარწმუნებულია მკითხველისათვის. ისინი მათ არ ღლიან, არ ხდებიან მომაბეზრებლები.

8. ნებისმიერი მწერლისთვის ეფექტურ სტილს შემოქმედებითი სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელობა აქვს. ამიტომ დასაშვებია ექსპერიმენტის ჩატარება საკუთარი ხელწერის საბოლოო მიგნებამდე.

აქედან გამომდინარე, ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს:

— მიიქცევს თუ არა ნაშრომის დასაწყისი მკითხველის ყურადღებას;

— არის თუ არა თქვენი ენობრივი ხერხები პირდაპირი და გასაგები;

— არის თუ არა შერჩეული ტონი თაეახიანი, თაეისებური და არა დოგმატური;

— არის თუ არა აზრი გარკვეით და შთამბეჭდავად გადმოცემული.

დავალებები

1. მოყვანილი სტილის რაობის განსაზღვრებიდან გამომდინარე, რას თელით სერვანტესის შემოქმედებითი ხელწერის თავისებურებად?

დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრისი ტექსტიდან მოყვანილი შესაბამისი მაგალითებით.

2. დაეუშვათ, რომ დონ კიხოტი თავად არის მკითხველი ამ რომანისა. როგორ ფიქრობთ, რას შეცვლიდა? ანუ დაწერეთ: დონ კიხოტის თვალით დანახული დონ კიხოტი.

მწერლის შეფასება

აბა, კარგად დაუკვირდით ლამანჩელ აზნაურს დონ კიხოტს, შეადარეთ თვით ბუნებასთან, რამდენს მსგავსებას ჰნახავთ მათ შორის. რა არის თვით ბუნება, თუ არა იგივე დონ კიხოტი, რომელიც თავდაუზოგავად ჰღელავს, იბრძვის, მიისწრაფვის ერთხელ არჩეულ, აჩემებულ გზაზე თავდაუზოგავად? აზრი მაღალი აქვს, ფიქრი კეთილი, მაგრამ მაინც შეცდომაც ბევრში მოსდის, უნაკლო არც იგია.

ვაჟა-ფშაველა

ბიოგრაფია



გურამ დოჩანაშვილი

(დაიბადა 1939 წ.)



გურამ დოჩანაშვილი დაიბადა 1939 წლის 26 მარტს თბილისში. 1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერ- სიტეტი. 1975 წელს ჟურნალ „მნათობის“ პროზის განყოფილების გამგე, ხოლო 1985 წლიდან კინოსტუ- დია „ქართული ფილმის“ მთავარი რედაქტორი იყო. მისი პირველი მოთხრობები დაიბეჭდა ჟურნალ

„ცისკარში“ 1961 წელს, ხოლო პირველი წიგნი – „მთის გადაღმა“ 1966 წელს გამოქვეყნდა.

ავტორია ლიტერატურულ თხზულებათა კრებულებისა, რომლებიც სხვადასხვა წელს გამოიცა, ხოლო ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1976 წელს სათაურით „მოთხრობები“.

გურამ დოჩანაშვილის პირველი რომანი „სამოსელი პირველი“ (გამოქვეყნდა 1975 წ.) მკითხველმა ინტერესით მიიღო და მწერალს პოპულარობა მოუტანა.

თავად ავტორი მხატვრული ნაწარმოების ღირსებას ასე აფასებს: „როგორც ერთ-ერთი ჩემი მოქმედი გმირი ამბობს: „ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ადამიანი უნდა გახდეს უკეთესი, ვიდრე იყო“; ეს შეეხება ხელოვნების ნებისმიერი ჟანრის ქმნილებას.

გურამ დოჩანაშვილი

სამოსელი პირველი

(ნაწყვეტი რომანიდან)

დომენიკოს თავგადასავალი

ალალ-მართალ სოფლელ ბიჭზე, დომენიკოზე, დიდად იმოქმედებს იდუმალებით მოსილი კაცის – ლტოლვილის ნაამბობი. დომენიკო ტოვებს მშობლიურ სახლ-კარს, მამას, იღებს სამემკვიდრეო წილს, 6000 დრაჰკანს და მიდის შორეულ ლამაზ-ქალაქში. იქ, დიდი და უცნაური დროსტარებისა და მხიარულების შემდეგ, ცოლად მოჰყავს უმშვენიერესი ანა-მარია, რომელიც უბედურ შემთხვევას შეეწირა. დამწუხრებულმა დომენიკომ სიკვდილი ისურვა, მაგრამ სხვისი ხელიდან. ამიტომ ავაზაკთა და კაცისმკვლელთა ქალაქში – კამორაში გადაწყვეტა გამგზავრება. წასელის წინ მას ალექსანდრო ესტუმრა, რომელიც ლამაზ-ქალაქში ახირებულ კაცად და, ცოტა არ იყოს, გიჟადაც იყო ცნობილი თავისი უცნაური ხასიათისა და სიმართლის პირში „აყრანტალებურად" თქმის გამო. იგი დომენიკოს შეჰპირდა, რომ ავაზაკთა ქალაქში უჩინარ მხსნელად და მფარველად თავის ძმას მიუჩენდა, რომლის სახელიც არ გაუმხილა. კამორაში და შემდეგ სიკეთისა და თავისუფლების თეთრ ქალაქ კანუდოსში ყოფნისას დომენიკომ თანდათან, მრავალ ადამიანთან ურთიერთობისას, შეიმეცნა, თუ რაა თავდადება, მეგობრობა, სიკეთე, ბოროტება, გულწრფელობა, პატიოსნება. კამორელი ავაზაკებისა და კაცისმკვლელების მიერ მათთან დაპირისპირებულ კანუდოსელთა ამოხოცვისა და კანუდოსის დანგრევისა და გადაწვის შემდეგ გადარჩენილ დომენიკოს ბრძოლის ველიდან ყველაზე სასტიკი, საზარელი და დაუნდობელი კამორელი მიჩინიო გამოიყვანს. მიჩინიოსთან საუბრისას დომენიკო რწმუნდება, რომ „დედამიწას სიყვარული ატრიალებს" და რომ ადამიანები, არც კი ვიცით ისე, ერთმანეთზე უხილავი ქსელით არიან გადაბმულნი.

* * *

მთლად უცხო ბილიკს დასდგომოდა დომენიკო, მგზავრი.

სასტიკმა მზერამ მაინც აიძულა წამოდგომა და ცხვარიეით მორჩილად გადაიარა ახრჩოლებული კანუდოსი, და გზად არავინ დასცინოდა – ამ შემთხვევაში მისი პატრონის, მიჩინიოსი, რიგითებსაც ერიდებოდათ და ოფიცრიონსაც, კეფაში ჩასობოდა მრისხანე მზერა და ნაქალაქარს რომ გასცდნენ, ოდნავ უბიძგა მიჩინიომ, უცნობ ბილიკზე დააყენა. ერთხანს ვეღარაფერს გრძნობდა მგზავრი. იმდენი გვამი შემოხვდა გზაზე, თითქოს გამხნევდა, ეჩვეულებრივა... მაგრამ მცირე ხნით – სხვა იყო მაინც, საკუთარი თავი... დაქცეულ სახლებს როგორც კი გასცდა, დაინახა ბუჩქი, ხე, შემჭკნარი ბალახი და ძაან მოუნდა ბეჩავს სიცოცხლე... ამან კვლავ დასცა, ძალუმი შიშით მეხდამტყდარი, იმ მზიანი დღით მრუმე ბურუსში მიაბიჯებდა და, თავჩაქინდრულმა, შიშველი ფეხი, საკუთარი ბურუსიდან წამით რომ გამოარჩია, ძალიან შეკრთა – აღარ უნდოდა თავისი სხეულის დანახვა, კარგად იცოდა, სიმწრით რომ მოეკრუნჩხებოდა პატარა ხანში და მაღლა აიხედა... რაღაც ღრუბელი კი დაინახა. ლაქასა[1] ჰგავდა... მცირედ გამხნევდა, ხაესს მოეჭიდა – რა იქნებოდა, ალექსანდროს ძმა საიდანმე რომ გამომტყვრალიყო, მიჩინიოსთვის ესროლა დანა, მისთვის, მგზავრისთვის, ცხენი მიეცა; სულაც რად უნდოდა ცხენი, ისე ირბენდა...

ირგვლივ აღარავინ ჭაჭანებდა ალბათ, თვალსაწიერზე არავინ ჩანდა, და უკანაც რომ სცადა მიხედვა, მაშინვე ზურგში ღონივრად უბიძგეს. მთლად ჩაიფერფლა, გული მოუკვდა – რა ალექსანდრო, ანდა რისი ძმა, ის, ალბათ, სულაც ბრძოლაში მოკლეს... უკაცრიელ ველზე მარტოკანი იყვნენ, ისევ ბურუსი რამ ჩამოაწვა, მახინჯი, მრუმე და მაღალი ცისკენ აღაპყრო სახე. იმ ღრუბლისკენ, მაგრამ გადაწეული ყელისა შეეშინდა და წინ გაიხედა. გამოქვაბული მოჩანდა რაღაც, დიდ, გოროზ კლდეს დათხრილ თვალად აჩნდა.

შეშინდა, შედგა იქ, სიბნელეში, უფრო საზარელი იქნებოდა ალბათ სიკვდილი. ისევ აქ ერჩია, ამ შეჩვეული დიდი მზის გულზე; იმას ნატრობდა, ოღონდაც ზურგში ჩაეცათ დანა, მაგრამ მოესმა:

– შემოტრიალდი!

უცხო ხმა იყო; გახარებული, სწრაფად შებრუნდა და მაშინვე ელდა ეცა. ყოველნაირი იმედი გადაუწყდა – ისევ ის კაცი, უაგუნსოების[2] უფროსი, პირისპირ მარტოდმარტო ედგა. იმ ბასრ თვალებში ვერ შეხედავდა. თავი დახარა.

---

[1] ლაქა – დომენიკოს მოგზაურობისას ყველგან დაჰყვება ეს ლაქა,რომელიც სიმბოლურად მის მფარველობაზე, გადარჩენის იმედზე მიანიშნებს.

[2] უაგუნსოები – ყველაზე საზარელი, სისხლისმსმელი კამორელები, რომლებისაც თანაქალაქელებსაც ეშინოდათ. მათ მხოლოდ მიჩინიო იმორჩილებდა.

— ყური დამიგდე, დომენიკო, — თქვა მიჩინიომ და მხარზე დაადო ხელი, — მე ალექსანდროს უფროსი ძმა ვარ...

გამოქვაბულის სიღრმე'ში, წყვდიადში იდგნენ, და მიჩინიოს, გადამრჩენელს,ჩამუქებულ ლანდად ალიქვამდა მხოლოდ; ქვისასა ჰგავდა,მყარად, ამაყად, საოცრად მძიმედ შემართულიყო, დომენიკოს კი, ზღვაგანცდაგამოვლილს, გამოლეოდა არაქათი, მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ იმდენი რამის გაგება სურდა... აფორიაქდა, და მხსნელს სადღაც, მკერდთან, მადლიერად შეაცქერდა: — ისე, წესით კი უნდა გამომეცანით... თქვენ გარდა, ღამით, კამორაში, სხვა ეინ გაბედაყდა სიარულს.

— ვერ მიხვდებოდი, — თქვა მიჩინიომ, მაინც სიმკაცრე ეტყობოდა ხმაში, — რადგან მე ასე მსურდა. რომ მიმხედარიყავ, გათამამდებოდი, და არ ივარგებდა ეს. ახლა კი, რაიმე ხინჯი რომ არ ჩაგრჩეს, რაც გინდა, მკითხე, ბევრი დრო არ გვაქვს.

— არ გეწყინებათ?

— არა.

— სიკეთე თუ ხართ... — გაუბედავად წამოიწყო დომენიკომ, და სიბნელის იმედით, აიმ ოდნავ აბეუტებულ თვალებში შეაცქერდა! — ხალხს როგორღა ჰკლავთ...

— მაინც რომელი დაგენანა? — მშვიდად დაეკითხა მიჩინიო.

— აი, ვთქვათ... თუნდაც.. — მართლა ვერავინ გაიხსენა, გაოცდა, — არავისა ჰკლავთ?

— არა.

— და მაშინ... და რომ იძახიან, ცალკე გაჰყავს და საშინელი წამებით კლავსო...

— ცალკე ისინი გამყავს, ვისაც სიკვდილი უჩემოდ მართლა ვერ ასცდებოდა, და რადგან ყველას ვერ გავწვდები, მხოლოდ იმათ ვარჩევ, ეინც ნაკლებადაა სიკვდილის ღირსი. მოკვლის სიამეს ეითომც მე დავიჩემებ, მოშორებით გამყავს და მერე ეუშვებ ხოლმე. ქვეყნად მიდიან, — და წყნარად უთხრა,— შენი ლტოლვილიც ერთ-ერთი იყო. შენც, სხვათა შორის.

— ჩემი ლტოლვილი... საიდან იცით! — აირია დომენიკო.

— ის სულ სხვა მხარეს გავაქციე, შენ ამ გამოქვაბულით წახვალ. კარგი კი იყო, ერთი დრაჰკანი[3] მაინც დაგეტოვებინა სოფლად, მაგრამ რას იზამ, რაც მოხდა, მოხდა. დიდხანს ივლი და, არ შეგეშინდეს, ბნელში იმედი არ გადაიწურო, — მიუახლოვდა და მძიმე აბგა კისერზე ჩამოჰკიდა, მაინც შეეშინდა მისი ხელებისა დომენიკოს, ოდნავ მოიბუზა, — ბევრი პურია, გამოიზოგე. წყალი კი მრავლად შეგხვდება გზაში, ხანდახან მუხ-

[3] დრაჰკანი — ფულის ერთეული. მიჩინიოს აზრით, დომენიკოს თავისი სამემკვიდრეო წილიდან, ექვსი ათასი დრაჰკანიდან, ერთი მაინც რომ დაეტოვებინა მშობლიურ სოფელში, სახლში დაბრუნების მორალური უფლება ექნებოდა.

ლამდეც კი ჩააბიჯებ. და სინათლეს რომ დაინახავ, გამოქვაბულიდან ფეხი არ გადგა, სანამ კარგად არ დაღამდება. მერეღა გადი და დიდ საღორეს დაინახავ იქეე; თუ უმთვარობა იქნება, სუნითაც მიხვდები. ჩაუარე და სადმე მოშორებით დაიძინე. დილაადრიან კი, ჭყეირილი როცა გაგაღვიძებს, იქითა მხრიდან მოადექი. ღორების პატრონს, ეიცი, მწყემსი სჭირდება.

– მე კი მეგონა... – თქვა დომენიკომ, თავი დახარა, – სოფლად მიშვებდით. მაღალ სოფელში... ძალიან მინდა.

– კი, გავიშვებდი, ის ერთადერთი დრაჰკანი რომ დაგეტოვებინა, რომ მიგესვლებოდეს, – გაუმკაცრდა ხმა, – რა პირით ახვალ, გინდაც იქითკენ გაგიშვა.

– ჰო, – დაიჩურჩულა დომენიკომ. თავდახრილი იდგა.

– ერთ-ერთი გზა ეგა გაქვს, ღორების მწყემსად უნდა დაბერდე.

– და... მეორე? – მცირე იმედი აუკიაფდა.

– მეორე უკან, ნანგრევებისკენ. ვითომ გამექეცი.

– აჰ, არა, არა, – შეკრთა დომენიკო.

– ეგებ, გერჩიოს კიდეც, ნუ აჩქარდები. იმ კაცის ხელში შიმშილით კუჭი ამოგიხმება, იცოდე. და ის საჭმელიც გენატრებოდეს იქნება, ღორებს რომ დაუყრი.

– რატომ...

– გაიცნობ, ნახავ.

– ვინაა, ეგეთი...

– გაიცნობ-მეთქი, – და შემპარავად დაეკითხა, – გერჩია სოფლად?

– დიახ, ძალიან... როგორ არა, კი!

– ერთი დრაჰკანი რად არ დატოვე!.. – და საზარელი ნაღვერდლები აუმოძრავდა, კვლავაც ჩაღუნა მგზავრმა, საბრალომ, თავი – ისევ მოესმა დაუნდობელი:

– რამდენი გქონდა!

– ექვსი... – მთლად დასაცოდავდა დომენიკო, მოიბუზა, – ათასი...

შეებრალა მიჩინიოს, თუ რა იყო, სულ სხვა რამ ჰკითხა...

ისევ მიენდო დომენიკო და უცხო ალერსით ხმაში – მერე ეის, თავად მიჩინიოს! – ჰკითხა:

– სიკეთე თუ ხართ, იქ, იმ ქალაქში... – რა გაძლებინებთ...

– ჩამოვსხდეთ, გეტყვი...

უზარმაზარ ფანჯრებდაგმანულ ეტლში აღმოვჩნდი მაშინ, სხვა ქალაქისკენ მიდიოდა, – განაგრძობდა მიჩინიო, გამოქვაბულში, გრილად მოჭიქულ წყვდიადში ისხდნენ, – ოცნი ემგზავრობდით, და სუყველანი გამორჩეული ავაზაკები იყვნენ, ვიღაცა ერთის გარდა, იმას არ ეიცნობდი, თავისთვის იჯდა კუთხეში, წყნარად. ნიღაბი მხოლოდ მე მეკეთა, და

საგანგებო დავალებაზე მიმავალი ეგებონე ყველას, არავინ უწყოდა, რომელი კამორელი ვიყავ, მერიდებოდნენ. ვიწრო ჭრილიდან შევცქეროდი მათ, ავაზაკებს. კარგად ვიცოდი ყოველი მათგანის ასავალ-დასავალი და სურვილისაგან მაკრიალებდა – მე ხომ სწორედ იმიტომ მიველდი კამორაში, ასე მეგონა, თუკი სიკეთის მთესველი ვარ, ბოროტება უნდა მოვსპო-მეთქი და იმ დიდი ეტლის უფსკრულში გადაჩეხა მყარად მჭირდა გადაწყვეტილი. ხანდახან იმ ვცნობასაც შევაელებდი თავს – რაღაც ძალიან უცნაური იერსახისა იყო, დაფიქრებული; ვერც შეატყობდი, გულში რა ედო. მხოლოდ ის მგზაერი არ ვიცოდი, დანარჩენების მოსასპობად კი კაცი უკეთეს დროს ვერ ინატრებდა. და მეეტლემ წინასწარ დათქმულ ადგილას რომ შეაჩერა ეტლი, მძიმედ გადმოველი, კარი მიეხურე და ვითომ ფულის მისაცემად დინჯად მივუახლოვდი მეეტლეს, მერე ვისკუპე, გადმოვაგდე და კოჭაზე ჯერაც დამჯდარი არ ვიყავ, ცხენებს რომ გადავუჯირე წართმეული შოლტი, ეტლში მსხდომთ არაფერი გაეგიათ. მივჭენაობდით, ოთხმეტი ცხენის სადაველ მეპყრა ხელთ, კარგად ვიცოდი – უფსკრულს როგორც კი მივუახლოვდებოდით, განზე ჩაქროლების ნაცვლად სწორედ იქითკენ გავაჭენებდი ცხენებს, ერთსაც ღონივრად დავიქნეველ შოლტს და მე კი უნებლიეთ გადმოეხტებოდი. მოუთმენლობისაგან ავწრიალდი, ზეზე დგომელა მიველრეკებოდი ცხენებს, ერთი სული მქონდა, სანამ იქამდე მივაღწეველ, ასე მეგონა, მართალი ვიყავ; სულო ცოდვილო – ვზეიმობდი წინასწარ კიდეც, მაგრამ უეცრად ის კაცი გამახსენდა, აის უცნობი და ხასიათი წამიხდა; რაღაცნაირად, შევიბოჭე, სულ მისი სახე მიტიტიებდა, გამოუცნობი. „დიდი ამბავი", – გავიფიქრე, მინდოდა, თავი მემართლებინა, – ვინც გინდა იყოს, სამაგიეროდ თვრამეტ ავაზაკს მოვაცილებ ქვეყანას და ამით რამდენ კაცს გადავარჩენ-მეთქი... მაგრამ ის კაცი, თავისთავად,



დავალება: სიტყვა და ფრესკა

„სამოსელი პირველის" გამჭოლ თემად მწერალი იყენებს სახარებისეული იუდის სიუკეტს უძღებ. იმაზე დაკარგულ შვილზე (ლუკა 15. 11 – 32). ამ გვერდზე წარმოდგენილია ფრესკა უძღებ ძეზე. გაიცანით იგავს, დაუკვირდით, როგორაა იგი ასახული ფრესკაზე და დომენიკოს თაეგადასავალში. თქვენი თვალსაზრისი ორ–სამაბზაციან თხზულებაში გადმოეცით.

ისევე როგორც ყველანი ჩვენ, დომენიკო, თავისი თავისთვის ერთი, ერთადერთი იყო, და როგორც ყოველს, იმასაც მარტოკინად ჰქონდა უძვირფასესი რამ ქვეყანაზე – საკუთარი თავი, მხოლოდ მისეულ, მთელ სამყაროს რომ იტევდა და მისი ქვეყანა მხოლოდ მისით ცოცხლობდა, მხოლოდ... და იმ კაცისთვის რა იყო, აბა, ის თვრამეტი ავაზაკი, რა? – არაფერი, თუკი სიცოცხლე წაერთმეოდა... თან, არც ვიცოდი, ავაზაკი იყო თუ არა, გინდაც ყოფილიყო, „რა უფლება მაქვს!“ – შეეუწყერი თავს და კელავ შეეყოყმანდი; მერე ისიც კი გაეიფიქრე, ეტლს თავადაც რომ გადაეყოლოდი, იმ კაცისადმი დანაშაული თითქოსდა ამით გამომესყიდა; მაშინვე მივხედი, ესეც რომ არ იქნებოდა სწორი – იმ კაცისათვის მეც სულერთი ვიყავი, რა მე და რაღა ის ავაზაკები, ძაან არ ვენდომებოდი? თუ მოკედებდა... და ღონივრად მოვზიდე სადავე, გავაჩერე ეტლი, მეწინავე ცხენისკენ გავიქეცი, სწრაფად გამოვხსენი, მოვახტი და უკანეე, კამორასკენ გავაჭენე. ამასობაში ეტლიდან გამოცვივდნენ, რაღანაირი ლანძღვა-გინება არ დამადეენეს, დაწეეით რაღას დამეწეოდნენ, განაგრძობდნენ ალბათ მერე გზას, ამას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარი ისაა, რომ ავაზაკთაგან დღესაც არავის ეცოდინება, იმ კაცმა მისდაუნებურად ყველანი სიკედილს რომ გადაარჩინა.

და დომენიკოს თუმცა კრინტი არ დაუძრაეს, მიჩინიომ მაინც იკითხა:

– რატომ გიამბე? თუ გინდა, გეტყვი...

– დიახ...

– ერთი იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი, სუყველანი, ადამიანები, უხილავი ქსელით ერთმანეთზე გადაბმულნი ვართ – არც ვიცით, ისე. შენც, მაგალითად, ვერასოდეს წარმოიდგენდი, მანუელო კოსტამ დიდი ზეს[4] გარდა შენც რომ სიკედილს გადაგარჩინა.

– მე არა, არა, – თავი გაიქნია სიბნელეში დომენიკომ. – მე კანუდოსიდან არც გამოვსულვარ და მხოლოდ...

– მე, როგორც ერთ-ერთი ეგრეთ წოდებული ღირსეული კამორელთაგანი, – გააწყვეტინა მიჩინიომ, – იმის წამებას ვესწრებოდი და, მანუელოს საქციელით აღფრთოვანებულს, ერთთავად სული მიკაწკაწებდა, გადამერჩინა, და როგორმენაირად შეეძლებდი კიდეც, მაგრამ იმჯერად ისეთ ძვირფას ტყვეს, ვითომც საიდუმლო ხერელი რომ იცოდა, ცალკე არ გამაყვანინებდნენ და სხვაგვარად კი, გავიყიდებოდი. მეც უნდა გადავკარგულიყავი.

– მერე რა... – წამოიძახა დომენიკომ, – დიდი ამბავი... გადაკარგულიყავით, თუკი შეგეძლოთ მისი დახსნა... ის ხომ მანდ...

---

[4] მანუელო კოსტა და დიდი ზე მორეირა – კანუდოსელი ხუთი გმირიდან ორი გამორჩეული მათგანი.

– მერე შენ ეელარ გადაგარჩენდი, დომენიკო, – კელავ გააწყვეტინა მიჩინიომ, – შენი თავი მებარა. მანუელომ კი, როგორც ხედავ, შენც დაგდო მადლი.

შუბლზე ხელი მოისვა დაბნეულმა მგზავრმა.

– მაგრამ იმ ეტლის ამბავი მხოლოდ ამისთვის არ მიამბნია, კარგად დამიგდე ახლა ყური. იმ ღამით ბევრი ვიფიქრე, ძალიან ბევრი, რაღაც-ნაირად, ღრმა და მაღალი ფიქრი იყო; განთიადისას, ერთ რამეს მიეხვდი!

– რას...

– რომ დედამიწას სიყვარული ატრიალებს, დომენიკო.

მთლად გაიტრუნა წყვდიადში მგზავრი.

– ასე რომ არა, დაიქცეოდა, – მკაფიოდ გაისმოდა ბნელში, – ამღენი ცოდვა დაამძიმებდა, დომენიკო, ეელარ შეძლებდა ბრუნვას, ზოგ-ზოგებისადმი სიყვარული რომ არა. მე ვინ ვიყავი მაშინ, სულ ერთი ბღუჯა ხალხი მებარა, რაღაც ცხრამეტი კაცი, და ჩემისთანა ღარიბ-ღატაკსაც კი გაუჩნდა სადარდებელი; მთლად უცხო კაცმა ავაზაკები გადამირჩინა, დედამიწას კი, სხვებთან ერთად მანუელოს და ზე მორეირას, ჟოაო აბადოს[5] და მასიმო[6] რომ უენებლად გაუშვა, იმ ბერიკაციც[7] პატრონს, სწორედ რომ მხოლოდ სიყვარული ატრიალებს, იცოდე.

– და ამიტომაც სწორედ ისინი დაიღუპნენ, არა? – გამწარდა დომენიკო.

– დაიზრდებიან.

– ვინ...

– სხვები.

– როდის...

– დაიზრდებიან, როცა იქნება. ისიც იცოდე, დომენიკო, ძალიან დიდი განსხვავება არა აქვს იმას, ადრე მოკვდები თუ შედარებით გვიან, რადგანაც ბოლო – მაინც ეგ არის. მთავარია, თუ როგორ მოკვდები. და რის ჩადენას მოასწრებ.

– ახლებს, რა დაზრდით...

არა სჯეროდა მაინც დომენიკოს, და აქ სუნთქვა შეეკრა, მაშინვე იგრძნო, როგორი დაუნდობელი სიჯიუტით შესცქეროდა მიჩინიო. რაღაცა იგრძნო, ჯერ აუხსნელი... ადამიანი რომ გამოძერწა? აჰ, არა, არა...

– ზეზე აეგდე, – მოესმა უცებ და წყვილ კიაფს თვალი ააყოლა – ფეხზე წამოდგა მიჩინიო.

– რა... მე მითხარით?

– აეგდე-მეთქი.

---

[5] ჟოაო აბადო – კანუდოსელი ხუთი გმირიდან ერთ-ერთი.

[6] მასიმო – ერთ-ერთი კამორელი ავაზაკი.

[7] ბერიკაცი, იგივე მოხუცი სანტოსი – კანუდოსელი ხუთი გმირიდან ერთ-ერთი.

და ისევ შიშით, ძრწოლადაელილი იდგა.

– მე კი, ესეც იცოდე, იმიტომ გამოვიყურები ყველაზე სასტიკ კაცად მთელ კამორაში, მინდა ვიფიქრო, ეგებ სხვებსაც ნიღაბი აქვთ-მეთქი. ასე რომ არა, გამიძნელდებოდა. შენ კი, უნიღბოვე, ჯერ ისევ მხოლოდ ცომი ხარ, ცომი... – და შეებრალა, – ერთი დრაჰკანი რად არ დატოვე...

– მე მინდოდა და...

– ენა ჩაიგდე! ერთი დრაჰკანი მაღალ სოფელში რომ დაგეტოვებინა, ეგება კაცი გამხდარიყავი – უცებ იმედი შეერია სიძულვილნარევ ხმაში, – კარგად მისმინე – მუდამ არსებობს გამოსავალი, ღორებშიაც კი.

წყეული კიაფი თვალებსა სჭრიდა, ისევ თავი დახარა მგზავრმა.

– ისიც იცოდე, ვერანაირ ტყუილს ვერ მოიგონებ, სადმე სხვაგან რომ არ არსებობდეს, თუნდაც, ის საიდუმლო ხერელი[8], არავინ რომ არ იცოდა, თვით მენდეს მასიელმაც[9] კი...

– რა... არსებობდა?

– იმ ხვრელში დგახარ. ფრთხილად იარე, კედელს ხელის ფათურით გაჰყევ. პური გეყოფა, ნუ გამოიზოგავ. გზად წაძინება არც გაიფიქრო, თორემ სამუდამოდ იმ სიბნელეში ჩარჩები, მხარი გეცელება. მღვიძარე იყავ. გამიგე?

– კარგით...

– იქ ვერავინ გიპოვის, შენი დარდი კამორელებს არ ექნებათ, რადგან მთელი ქალაქი აიწევება – გუშინდელს აქეთ, დიდი მარშალი[10] თავის მისაღებ ოთახში ალბათ ყელგამოჭრილი გდია.

– თქვენ... სუნთქვა შეეკრა დომენიკოს, – ნამდვილად იცით?

– წესით კი ასე უნდა იყოს და... როგორ გგონია, დონ დიეგო[11] მართლა გაგექცეოდათ, რაიმე საქმე რომ არ ჰქონოდა?

– კი... არა!

– სწორედ მაგიტომ გაიქცეოდა, ასე რომ, მსხვილმან-მსხვილმანი ავაზაკებიც იღუპებიან ვისიმე ხელით... და მაგ საქმეში მეც ვურევივარ. ცოდო კი იყო – ბევრი ქონება დააგროვა, მეტი უნდოდა. რას იზამ, ასეა... შენც, ვაჟბატონო, ერთი, ერთადერთი დრაჰკანი მაინც რომ დაგეტოვებინა... ვითომ სიძუნწით მოგვიდა ეს? არა მგონია, ალბათ უფრო სისულელით იყო... – ოდნავ დაუცხრა ანალეერდლებული მზერა და, მერე ისევ აუკიაფდა, – ვიდრემდე წახვალ, ერთსაც გკითხავ – თვალი ხომ არ გეწვის...

---

[8] საიდუმლო ხერელი – გზა, რომლის მიგნებითაც კამორელებს იმედი ჰქონდათ, რომ განდგომილ კანუდოსელებამდე მიაღწევდნენ.

[9] მენდეს მასიელი – კანუდოსელთა მეთაური, ქალაქის დამაარსებელი, წინასწარმეტყველი.

[10] დიდი მარშალი ბეტანკური – ავაზაკ კამორელთა თავკაცი.

[11] დონ დიეგო – მეხუთე დიდი კანუდოსელი გმირი.

ეწეოდა.

– არა.

– ნუ გეშინია, ოთო-ექიმისა[12] არ იყოს, არც მე მიგაწუბებ სილას. მაგრამ იმან თუ თავისი გულჩვილობით არ გაკადრა ეს, მე სხვა რამ საჩუქარი მაქვს გაშვებულთათვის შემონახული, უფრო საგრძნობი. შებრუნდი.

შეტრიალდა და მაშინვე ღონიერად აეწვა მხარი, დაიგმინა კიდეც; ბეჭიდან ხორცი ამოეფლითა, რაღაც კაშკაშა ტკივილი იყო, მცირედი ელვა დასცემოდეს თითქოს, მერე მოთბო, მძიმე სისოელე რომ გამოეჟონა, იგრძნო, ზურგზე დაუცურდა, მუხლამდე ჩაეღვარა...

– აეგ მცირედი ჭრილობაა, – გაისმა ბნელში, – მოკვლით არ მოგკლავს, სამაგიეროდ, მუდმივ სახსოერად გექნება ჩემგან. აჰა, ეს ტილო მიიჭირე... გზად დაასველე ხოლმე და ცივი კარგია, სისხლს შეაჩერებს. ახლა კი, წადი.

აქ დომენიკომ ვეღარ მოითმინა, განზე მიაბრუნა თავი, და მხარუკუღმა დაუღრიალა:


– ადამიანის სიკვდილს რაღად მაყურებინეთ!

მაშინვე მშვიდად უპასუხეს:

– ადამიანი რომ გყვარებოდა.

მთლად მოიბუზა შეკუმშული მანამდეც მგზავრი. და გზას გაუდგა – მარცხენა მხარზე მარჯვენა ხელისგულით ტილო მიედო, ნიკაპს მორკალული იდაყვი უგრძელებდა, განზე გაშვერილი მარცხენათი კი გამოქვაბულის პირქუშ კედლებს ფათურით მიუყვებოდა, სხეულზე წყნარად ეხლებოდა კისერზე თასმით ჩამოკიდებული პური... სად მიდიოდა! წინ რა ელოდა! და სიბნელეში თეთრი ფრინველივით მსუბუქად მიეწია, იმდენად ჩასწვდა მიჩინიოს უცნაურად გამოცელილი, მჭახე ალერსით გაჟღენთილი ხმა:

– მშვიდობით იყავე, დომენიკო. კეთილად გეცლოს...



[12] ოთო ექიმი – დომენიკოს მფარველი, კამორელთათვის მიღებული მკურნალი.

ფიქრი და დისკუსია

გაიხსენეთ

1. რისი იმედი ჰქონდა ჩაფერფლილი კანუდოსიდან მიჩინიოს მიერ გამოყვანილ დომენიკოს?

2. რატომ არ სურდა მიჩინიოს, დომენიკო მიმხედარიყო, რომ იგი ალექსანდროს უფროსი ძმა იყო?

3. როგორ ექცეოდა საზარელი მიჩინიო იმათ, ვინც ნაკლებად იყო სიკვდილის ღირსი?

4. გადმოეცით მიჩინიოს თაეგადასავალი ეტლით მგზავრობისას.

გააანალიზეთ

5. რატომ მივიდა სიკეთის მოსეველი მიჩინიო მაინცდამაინც ავაზაკთა ქალაქში? რამდენად სწორად მიგაჩნიათ ასეთი საქციელი, როგორ შეაფასებთ მის ამ ნაბიჯს?

6. ხელახლა წაიკითხეთ დომენიკოსა და მიჩინიოს საუბარი, როდესაც ამ უკანასკნელმა ჭაბუკი გადაარჩინა. როგორ ფიქრობთ, რატომ სთავაზობს მრისხანე მიჩინიო დომენიკოს ორ გზას — მეღორეობას ან უკან, კანუდოსის ნანგრევებისკენ დაბრუნებას?

7. მიჩინიოსთან განშორებისას დომენიკომ განზე მიაბრუნა თავი და მხარუკულმა დაუღრიალა: — ადამიანის სიკვდილს რაღად მაყურებინეთ! საზარელმა კამორელმა მშვიდად მიუგო: — ადამიანი რომ გყვარებოდა!

როგორ გესმით მიჩინიოს ნათქვამი? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

განაზოგადეთ

8. სიკეთისა და ბოროტების ჭიდილის ჩვენება ლიტერატურაში მარადიული თემაა. გადმოეცით თქვენი თვალსაზრისი, თუ როგორია, ერთი მხრივ, დონ კიხოტის სწრაფვა ბოროტების დამარცხებისაკენ და, მეორე მხრივ, მიჩინიოს მიერ არჩეული გზა უკეთურების ამოძირკვისა.

9. როგორ გესმით მიჩინიოს ნათქვამი — დედამიწას სიყვარული ატრილებს, ასე რომ არა, დაიქცეოდა, ამდენი ცოდვა დაამძიმებდა, ეელარ შეძლებდა ბრუნვას?

10. როგორ წარმოგიდგენიათ ბოროტებასთან ბრძოლა? ძალმომრეობით უნდა მოისპოს იგი, თუ — ზნეობრივი ზემოქმედებით?

11. მოიძიეთ სახარებისეული პარალელები და იმსჯელეთ მათზე.

გაუცხოება

გაუცხოება მხატვრული ხერხია, რომელსაც მწერალი გარკვეული მიზნით მიმართავს. ამ დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაუცხოებული სიუჟეტი, პერსონაჟები, საკუთარი ან გეოგრაფიული სახელები და ა. შ. მიზეზი ამგვარი ლიტერატურული ხერხის გამოყენებისა სხვადასხვაა – სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივი. მთავარი ისაა, რომ ავტორს სურს გადატანით, ქვეტექსტურად ჩააფიქროს მკითხველი მთავარ სათქმელზე. გაუცხოების მხატვრული ხერხის გამოყენების კლასიკური ნიმუშია შოთა რუსთაველის „ეეუხისტყაოსანი“, სადაც მოქმედება უცხო ქვეყნებშია გადატანილი, რათა არ წარმოჩნდეს გამჭვირვალე ანალოგიები ქვეყნის საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების ამა თუ იმ რეალიასთან. ასევეა გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველიც“. საბჭო- თა ეპოქაში შექმნილი ამ რომანის წარმოდგენილი ნაწყვეტიდან მკითხველი იგებს, თუ ბოროტების მცირე იმპერიაში – კამორაში როგორ ემსახურება სიკეთეს ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი მიჩინიო. გარდა ამისა, რომანში საკუთარი სახელებიც გაუცხოებულადაა წარმოდგენილი – ისინი ძირითადად იტალიურ-ესპანური წარმოშობისაა. ყველა ეს მხატვრული ელემენტი კი ერთობლივად ხილული თუ უხილავი ძაფებით მწერლის მთავარ სათქმელთან მინიშნებებით ამყარებს კავშირს – ესაა ადამიანის უმთავრესი სულიერი ფასეულობები: დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვა.

ენობრივი გააზრება

ნეოლოგიზმები

ნეოლოგიზმი ბერძნული ტერმინია და ნიშნავს ახალ სიტყვას. მხატვრულ ენაში მწერალი საკმაოდ ხშირად ქმნის ნეოლოგიზმებს, რომლებიც განსახოვნების ძლიერ და შთამბეჭდავ საშუალებებად იქცევიან. ისინი მხატვრული სახის თავისებურ, ზუსტ დახასიათებას უწყობენ ხელს. მწერლის მიერ შემოთავაზებულ ნეოლოგიზმებს ძირითადად ორი დანიშნულება აკისრიათ: ა) ნეოლოგიზმები, რომლებიც გარკვეული მხატვრული კონტექსტისათვის შეიქმნა და მის გარეშე აზრი ეკარგება; ბ) ნეოლოგიზმები, რომლებიც მხატვრული ლიტერატურიდან შევიდნენ ხალხის მეტყველებაში და შეინარჩუნეს ხატოვანება.

გ. დოჩანაშვილი ხშირად ქმნის ნეოლოგიზმებს. ამის დასტურია მისი რომანის ტექსტიც და კონკრეტულად ეს მონაკვეთი.

მოცემულ ნაწყვეტში მოიძიეთ ნეოლოგიზმები. მოიფიქრეთ, რა დანიშ-

ნულება აქვთ მათ: არიან თუ არა ისინი მხოლოდ მხატერული კონტექსტისთვის შექმნილნი? (ნიმუში: დომენიკოს კი, ზღვაგანცდაგამოელილს, გამოლეოდა არაქათი).

ქვემომოყვანილი სიტყვებიდან და ფრაზებიდან აწარმოეთ ნეოლოგიზმები და ჩასვით თქვენ მიერ მოფიქრებულ წინადადებებში: ბერუსი, მთასავით ზვინი, სული მიწაკწაკებდა, ბევრი.

შეეცადეთ, რომ სიტყვები ენის ნორმების დაცვით შეადგინოთ.

წერა და ფიქრი

თვალსაზრისის წარმოდგენა

ა) ხელახლა წაიკითხეთ მიჩინიოს ეტლით მგზავრობის ეპიზოდი. წარმოიდგინეთ თქვენი თავი მის ადგილას და გადმოეცით პირველ პირში, თუ როგორ მოიქცეოდით ანალოგიურ შემთხვევაში. თქვენი თვალსაზრისი გააცანით აუდიტორიას და დასაბუთებულად იმსჯელეთ მასზე.

ბ) დაახასიათეთ მიჩინიო, მისი ორსახოვნება, დომენიკოსადმი დამოკიდებულება კონკრეტულ ეპიზოდში.

ბიოგრაფია

ჩინგიზ აითმათოვი

(1928-2008 წ.წ.)





ყირგიზი მწერალი ჩინგიზ აითმათოვი დაიბადა 1928 წლის 12 დეკემბერს ყირგიზეთის ტალასკის ოლქის სოფელ შეკერში. მისი მამა სახელმწიფო მოღვაწე იყო – შეეწირა საბჭოთა რეპრესიებს 1937 წელს. მომავალი მწერალი ბავშვობიდანვე, თოთხმეტი წლის ასაკიდან ჩაება ფიზიკურ შრომაში. 1948 წელს ჩაირიცხა ქ.ფრუნზეს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში. დაამთავრა 1953 წელს. მისი პირველი მოთხრობები სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში 1952 წლიდან იბეჭდებოდა. 1956 წელს ჩაირიცხა უმაღლეს ლიტერატურულ კურსზე მოსკოვში, რომელიც 1958 წელს დაამთავრა. ამ პერიოდიდან იწყება ჩ.აითმათოვის შემოქმედების გაცნობა ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. იგი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მწერალთა თაობას მიეკუთვნება.

ჩ.აითმათოვი დიდხანს და ჯიუტად ეძებდა ლიტერატურულ თემატიკას, თავისი გმირების ხასიათებს, თხრობის საკუთარ მანერას. მისი პერსონაჟები გულწრფელნი, უშუალონი და პირდაპირები არიან, ხოლო ამბის გადმოცემის სტილი ამაღელვებელი, გარკვეულწილად ამაღლებული, დაძაბული და ხშირად აღმსარებლურია. ჩ.აითმათოვის მოთხრობებსა და რომანებში დასმულია რთული ყოფითი პრობლემები, რომლებშიც გამოხატულია დრამატული სიტუაციები, ამაღელვებელი გარემოებები, სადაც ვხედავთ პატიოსან, გულწრფელ, ძლიერ ადამიანებს, არანაკლებ მედგარ მოწინააღმდეგეებს რომ უპირისპირდებიან.

რომანი „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე“ 1980 წელს გამოქვეყნდა და მალევე ითარგმნა ქართულ ენაზე. ამ ნაწარმოებში სხვადასხვა თემასთან ერთად გადმოცემულია პოეტური ლეგენდა მანქურთის ტრაგიკული ისტორიისა, რაც ხდება

რომანის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის სიმბოლური გასაღები. ავტორის სამწერლობო სტილს განსაზღვრავს მრავალფეროვან ეპიზოდებში, ცხოვრებისეულ პლასტებში მთელი სამყაროს საჭირბოროტო საკითხების განჭვრეტა. ამას იგი ფოლკლორული ელემენტების, ხალხური ლეგენდების, სხვადასხვა ეპიკური თქმულებების წინ წამოწევით ახერხებს, რომლებიც ზოგჯერ სიმბოლოებად ან ალეგორიებად, ხანაც ფსიქოლოგიურ პარალელებად აღიქმებიან. ისინი ნაწარმოებებს მრავალპლანიანობას, სიღრმეს, მრავალფეროვანი აღქმის შესაძლებლობას ანიჭებენ.

ჩ.აითმათოვის ეს რომანი მართლაც გულის სისხლით დაწერილი წიგნია. მწერალმა შეძლო დამაჯერებლად ეჩვენებინა უბრალო ადამიანის სულიერი სამყარო, საესე მწუხარებითა და სიხარულით, რთული ყოფითი პრობლემებითა და მომაელის რწმენით, გამარჯვებითა და დამარცხებით.

ჩ.აითმათოვი იყო უურნალ „საზღვარგარეთის ლიტერატურის“ მთავარი რედაქტორი. იგი ორენოვანი შემოქმედი გახლდათ, წერდა ყირგიზულ და რუსულ ენებზე. იყო ყირგიზეთის ელჩი ბენელუქსის ქვეყნებში. ცხოვრობდა ბელგიაში.

და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე

(თარგმნა რუსულიდან ქუბულაძემ)
(ნაწყვეტი რომანიდან)

თავი VI

ანა-ბეიითი

ანა-ბეიითს თავისი ისტორია ჰქონდა. გადმოცემა იუწყებოდა, რომ წინა საუკუნეებში საროზექის დამპყრობი ჟუანჟუანები სასტიკად და დაუნდობლად ექცეოდნენ თურმე ტყვედ ჩავარდნილ მეომრებს. ბედნიერი იყო ის ტყვე, ვისაც მეზობელ მხარეში გაყიდდნენ მონად, ვინაიდან გაყიდულ მონას მაინც შეეძლო ადრე თუ გვიან გაქცევა და სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ ვაი მას, ვისაც ჟუანჟუანები მონად დაიტოვებდნენ. საშინელი წამებით – თავზე შირის ჩამოცმით – მეხსიერებას ართმევდნენ მონას. მეტწილად ასეთი ხვედრი ტყვედ ჩავარდნილ ჭაბუკებს ელოდა. ჯერ პირწმინდად გადახოტრიდნენ თავს, ღერი რაა, ღერს არ დაუტოვებდნენ თავზე. იმ დროისათვის, როცა თმის პარსვა მოთავდებოდა, გამოცდილი ჟუანჟუანელი ყასბები იქვე ახლოს უზარმაზარ აქლემს დაკლავდნენ, გაატყაეებდნენ და, პირველ ყოვლისა, ყველაზე მკერივი ქედის ნაწილს გამოაცლიდნენ. მერე დაჭრიდნენ კისრის ტყავს და ცხლად დაადებდნენ ტყვეს გადაპარსულ თავზე. ტყავი მყისვე მიეკერებოდა სალბუნის დარად, როგორც თანამედროვე საცურაო ქუდი. ამას ერქვა შირის ჩამოცმა. ვისაც კი შირს ჩამოაცვამდნენ, ის ან კვდებოდა, წამებას ვერ უძლებდა, ან სამუდამოდ კარგავდა მეხსიერებას, აღარ ახსოვდა თავისი წარსული და იქცეოდა მონა მანქურთად. ერთი აქლემის კისრის ტყავიდან ხუთი-ექვსი შირი გამოდიოდა. შირის ჩამოცმის შემდეგ განწირულს კისერზე ფიცრის ბორკილს დაადებდნენ, რომ თავი მიწისთვის არ ეხალა. მერე საცხოვრებელი ადგილიდან კარგა შორს გაიყვანდნენ, რათა გულისმომკვლელ ბღავილს ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ შეეწუხებინა, და ხელფეხშებორკილთ შუა მინდორზე, თაკარა მზეზე დაყრიდნენ სასმელ-საჭმლის გარეშე. წამება რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. მხოლოდ მზირთა მოზრდილი გუნდი დარაჯობდა გარკვეულ ადგილებში მისასვლელ გზებს, ტყვეთა თეისტომებს რომ მათი გამოხსნა არ ეცადათ. მაგრამ ასეთი ცდა იშვიათი იყო. – გაშლილ ტრამალში შეუმჩნეველად ვერავინ გაიჭაჭანებ-

და. ხოლო თუ ხმა მოვიდოდა, მაეანი და მაეანი ჟუანჟუანებმა მანქურთად აქციესო, ახლო ნათესაებიც კი აღარ ცდილობდნენ მის გადარჩენასა თუ გამოხსნას, ვინაიდან ეს უკვე კაცი კი არა, ფიტული იყო. მხოლოდ ერთი ნაიმანელი დედა, ვისი ხსოვნაც თქმულებამ ნაიმან-ანას სახელით შემოინახა, არ შეურიგდა თავისი შვილის ასეთ ბედს. ასე იუწყებოდა საროზქული ლეგენდა. მისი წყალობით დაერქვა სასაფლაოსაც ანა-ბეიითი — დედის სამარხი.

მზისგულზე დაყრილი ტყვეებიდან მეტი წილი აუტანელი ტკივილებისაგან იხოცებოდა, ხუთი-ექვსი კაციდან ერთი ან ორი მანქურთი თუ გადარჩებოდა ცოცხლად. იხოცებოდნენ არა იმდენად შიმშილისა თუ უწყლობის გამო, რამდენადაც გაუსაძლისი არაადამიანური ტანჯვისაგან. აქლემის მოუქნელი ტყავი, თაკარა მზეზე თანდათან დაპატარავებული, რკინის სალტესავით ეჭირებოდა მონას თავზე. გადაპარსული თმა იზრდებოდა, აზიური თმის სწორი, ჯაგარა ღერები ზოგჯერ შირს ეხორცებოდა, მეტწილად კი უკანვე, თავის კანში ჩადიოდა, რაც კიდევ უარესი წამება იყო, და მონას საბოლოოდ უბინდავდა გონებას. მეხუთე დღესღა მიაკითხავდნენ ჟუანჟუანები ტყვეებს, აბა ვინ დარჩა ცოცხალიო. თუ წამებულთაგან ერთს მაინც ედგა სული, მაშასადამე, მიზანი მიღწეული იყო. ცოცხლად დარჩენილს წყალს დაალევინებდნენ, ბორკილს ახსნიდნენ და შემდეგ კარგი მოვლით ფეხზედაც დააყენებდნენ. ეს უკვე მეხსიერებადაკარგული მონა მანქურთი იყო, ათ საღსალამათ მონაზე უფრო ძვირად ფასებული, დაწესებულიც იყო — თუ შინაური ბრძოლებისა და შეტაკებისას ვინმეს მონა მანქურთი შემოაკვდებოდა, ასეთი ზარალისათვის სამჯერ მეტი გამოსასყიდი უნდა გაეღო, ვინემ მისივე თვისტომის მოკვლის გამო.

მანქურთმა არ იცოდა, ვინ იყო, ვისი გვარისა და ტომისა, არ იცოდა თავისი სახელი, არ ახსოვდა თავისი ბავშვობა, დედ-მამა, — ერთი სიტყვით, ადამიანადაც არ გრძნობდა თავს. პატრონის თვალში მანქურთს მეტი წონა და ღირსება ჰქონდა, რაღაი საკუთარი „მეობა“ დაჰკარგვოდა. იგი უენო პირუტყვს უდრიდა და იმ პირუტყვივით მორჩილი და უენებელი იყო. გაქცევის სურვილი ფიქრადაც არ მოუვიდოდა. პატრონისათვის კი ყველაზე საშიში მონის ამბოხია, რადგან ყოველი მონა პოტენციური მეამბოხეა. მანქურთი ერთადერთი გამონაკლისი იყო, მის გულს ამბოხისა თუ ურჩობის სურვილი არასოდეს ეკარებოდა, ასეთი ვნებანი არ აწუხებდა, ამიტომაც არ სჭირდებოდა არც მზირი და არც ყარაული, არც შიში გქონდა გულში, რაღაც ზრახვას მალავსო. ერთგული ძაღლივით მანქურთი მხოლოდ პატრონს სცნობდა, სხვებს არ იკარებდა. მთელი მისი ფიქრი და აზრი მუცლის ამოყორევას მოეცვა. სხვა არაფერი ანაღელებდა. სამაგიეროდ, ყველაფერს ბრმად, ბეჯითად, სიტყვასიტყვით ასრულებდა. მან-

ქურთს ებარა ყველაზე ბინძური, მძიმე საქმეები, ყველაზე გამაბეზრებელი სამუშაოები, ჩლუნგ მოთმინებას რომ მოითხოვდა. მხოლოდ ის თუ გაუძლებდა მარტოობას საროზექის უკაცრიელ, მიყრუებულ და თვალუწვდენელ ველებში, როცა აქლემებს ედგა დღედაღამ დარაჯად, ის ერთი სწვევდა ამ სიშორეზე მრავალი მუშის მაგიერობას. ოღონდ საჭმელს ნუ მოაკლებდი და ზამთარ-ზაფხულ შეუნაცვლებლივ გააკეთებდა თავის საქმეს, არც მარტოობა შეაწუხებდა და არც სხვა რაიმე გასაჭირი. პატრონის ბრძანება მანქურთისთვის კანონი იყო, ოღონდაც საჭმელი და ძონძები ჰქონოდა, სიცივით რომ არ გაყინულიყო, სხვა არაფერს დაგიდევდათ...

ბევრად ადვილია, ტყვეს წააცალო თავი, ან სხვა რამ ზიანი მიაყენო დასაშინებლად, ვინემ ადამიანს მეხსიერება, გონება დაუკარგო, ის ამოძირკვო მისი სულიდან, რაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თან დაჰყვება, რაიც მისი ერთადერთი შენაძენია, სხვათათვის მიუწვდომელი და მასთან ერთად გამქრალი; მაგრამ მომთაბარე ჟუანჟუანებს მათმა საშინელმა წარსულმა ყველაზე დაუნდობელი, ყველაზე ულმობელი ბარბაროსობა ჩააგონა, ადამიანის ყველაზე სანუკვარის ხელყოფა აკისრებინა. მათ შეძლეს, მონებისათვის ცოცხალი მეხსიერება წაერთმიათ, რაიც ადამიანის ბუნებისათვის ნებისმიერ დასაშვებ თუ დაუშვებელ ბოროტებათა შორის ყველაზე დიდი ბოროტებაა. ტყუილად კი არ მოთქვამდა სასოწარკვეთილი ნაიმან-ანა თავის მანქურთად ქცეულ შვილზე.

„როცა მეხსიერება წარგტაცეს, შვილო, კაკლის სამტვრევი მარწუხივით თავის ქალაზე ნელინელ აქლემის გამხმარი ტყავი შემოგიჭირეს, როცა უხილავი სალტე თავზე ისე ჩამოგაცვეს, შიშის ზარ-წყალით საცსე თვალები ლამის ბუდიდან გადმოგცვენოდა, როცა საროზექის უკვამლო ცეცხლზე იხრაკებოდი და წყურვილი გკლავდა, ცამ კი შენთვის წვეთი წყალი არ გაიმეტა – ხომ არ შეგძულდა მზე, ყოლის სიცოცხლის მიმნიჭებელი, ხომ არ იქცა იგი შენთვის ბრმა და ყველაზე შავ მნათობად ამ ქვეყანაზე ყველა სხვა მნათობთა შორის?

როცა ტკივილებით გაწამებული შემზარავი ღრიალით ძრავდი უდაბნოს, როცა მთელი დღეები და ღამეები ბორგავდი და ღმერთს შეჰღაღადებდი, ცარიელ ზეცას შეელას შესთხოვდი, როცა გატანჯული სხეულიდან ამონთხეულ ნარწყევში იხრჩობოდი, ბილწ განავალში იკლაკნებოდი, სიმყრალეში სული გხდებოდა, გონი გეკარგებოდა, ბუზები გჭამდა – ხომ არ დაწყევლე ღმერთი უკანასკნელად მოკრებილი ძალით, ღმერთი, რომელმაც მის მიერვე დატოვებულ ქვეყანაზე ჩვენ გაგვაჩინა?

როცა ბინდი ეფინებოდა წამებით სამუდამოდ დასახიჩრებულ შენს გონებას, როცა ძალით გაგიგლიჯეს ის ჯაჭვი, მეხსიერებას წარსულთან რომ აკავშირებდა, და სამარადისოდ დაგიკარგეს ხსოვნა, როცა გაშმაგებულ ბორგვაში გაეიწყდებოდა დედის თვალები, წყაროს ჩუხჩუხი იმ

გორასთან, სადაც ზაფხულის დღეებში თამაშობდი, როცა სახელი შენი და სახელი მამაშენისა დაიეიწყა შენმა განადგურებულმა მეხსიერებამ, როცა იმ ადამიანთა სახეები, რომელთა შორის იზრდებოდი, დაეიწყების ნისლმა დაფარა, ბნელმა მოიცვა იმ ასულის სახელიც, მორცხვად რომ გიღიმოდა, – უგონობის უფსკრულში შთავარდნილმა ნუთუ არ დაწყევლე და შეაჩვენე დედაშენი საზარი კრულვით, რად ჩაგსახა თავის საშოში და რად გაგაჩინა ქვეყანაზე ამა დღისათვის?.."

ეს გადმოცემა იმ დროებიდან მოდიოდა, როცა მომთაბარე აზიის სამხრეთი საზღვრებიდან გამოდევნილმა ჟუანჟუანებმა ჩრდილოეთს მიაშურეს, საროზექში კარგა ხნით გაბატონდნენ და სამფლობელოთა და მონათა შესაძენად გაუთავებელი ომები გააჩაღეს. პირეელ ხანებში, უეცარი შემოსევის წყალობით, საროზექის მიმდებარე მიწებზე უამრავი ტყვე იგდეს ხელთ, მათ რიცხვში ქალებიც და ბავშვებიც და ყველანი მონებად გარეკეს, მაგრამ უცხოთა შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლა თანდათან გახურდა, დაიწყო გამძვინვარებული შეტაკებანი. ჟუანჟუანები არ აპირებდნენ საროზექიდან წასვლას, პირიქით, ესწრაფოდნენ, მესაქონლეობისათვის ამ ვრცელ, ხალვათ ტრამალიან მხარეში მტკიცედ მოეკიდათ ფეხი. ადგილობრივი ტომები კი ვერა და ვერ შერიგებოდნენ მათ პარპაშს და თავის უფლებად და მოვალეობად მიაჩნდათ, ადრე თუ გვიან განედევნათ დამპყრობელნი. შეკატებისას გამარჯვების სასწორი ხან ერთ და ხან მეორე მხარეს იხრებოდა. მაგრამ ეს დამაოსებელი, ქანცისგამწყვეტი ბრძოლებიც დროდადრო მინაელდებოდა ხოლმე.

სწორედ ერთი ასეთი ჩაცხრომის ჟამს ნაიმანთა მიწა-წყალზე ჩამოსული მექარავნე ვაჭრები ჩაის სმისას მოჰყვნენ, როგორ გაიარეს საროზექის ტრამალები ისე, რომ ჟუანჟუანების მხრიდან სასმელ ჭებთან დაბრკოლებას არ წასწყდომიან. ისიც ახსენეს. საროზექში ერთი ჯეელი მწყემსი ვნახეთ, აქლემების დიდ ჯოგს ედგაო. გამოველაპარაკეთ, ის კი თურმე მანქურთი ყოფილაო. ერთი შეხედვით, ამ ჯანიან ჭაბუკზე ეერც იფიქრებდი, მის თავს თუ ასეთი უბედურება იყოო. თავის დროზე სხვებზე ნაკლები ბიჭი არ იქნებოდა, ჭკუაც უჭრიდა ალბათ და ენაც, ხნითაც სულ ყმაწვილი ჩანდა, ულვაში ახლად აბიბინებოდა. შესახედავადაც კაი თეალადი იყო. მაგრამ დაელაპარაკები – გეგონება, გუშინ დაიბადა ამქვეყნად, არ ახსოვს საწყალს არც თავისი, არც დედისა და მამის სახელები, არც ის, რა უყვეს ჟუანჟუანებმა; არც ის, სადაურია და რომელი მხრიდან, რასაც ჰკითხავ, დუმს, მხოლოდ „კი" ან „არაო" გეტყვის, ხელი კი სულ ქუდზე უჭირავს, თავზე მჭიდროდ რომ ჩამოცმიაო. სულო ცოდვილო, სახიჩარსაც დასცინის ხოლმე ხალხი, ჰოდა, კიდევაც გაიცინეს. ზოგ მანქურთს თურმე აქლემის ტყავი თავზე სამუდამოდ ეხორცებაო. ასეთ მანქურთს ყველაზე დიდ თავზარს მაშინ დასცემ, თუ დაექადნები: ქუდს

მოგაგლეჯო... ურა ცხენივით აყრის ტლინკებს, თავზე კი ხელს არ მიგაკარებინებს. ასეთები არც დღე, არც ღამე ქუდს არ იხდიან, ქუდითვე სძინავთ... მაგრამ სულელი დაუძახე შენ, განაგრძეს სტუმრებმა, თავისი საქმე კი არ ეშლება – ვიდრე იმ ადგილს საკმაო მანძილზე არ გაშორდნენ მექარავენენი, სადაც მისი აქლემების ჯოგი ბორიალობდა, თვალი არ მოუშორებია მანქურთს. დამშვიდობებისას ერთი მეხრე თურმე გაეხუმრა:

– ჩვენ დიდი გზა უნდა გავიაროთ. ვის გადაეცეთ შენი მოკითხვა, რომელ ტურფას რომელ მხარეში? თქვი, ნუ მალავ, გესმის? იქნებ ხელმანდილს გაგვატან მასთან?

კარგა ხანს მდუმარედ შეჰყურებდა მანქურთი მეხრეს, მერე ჩაილაპარაკა:

– მე ყოველდღე შევცქერი მთვარეს, ის კი მე შემომცქერის, მაგრამ ერთმანეთისა არ გვესმის... იქ ვიღაცა ზის...

ამ საუბრისას იურტაში[1] ერთი ქალი ტრიალებდა, ვაჭრებს ჩაის უსხამდა. ეს ქალი ნაიმან-ანა იყო. საროზექელ ლეგენდას იგი ამ სახელით შემორჩა.

ნაიმან-ანას არა გაუმჟღავნებია რა ჩამოსულ მგზავრებთან, კაციშვილმა ვერ შეამჩნია, რარიგ შეაკრთო ამ ამბავმა, რაზომ ეცვალა ანაზდად ფერი. კი უნდოდა, უფრო წერილად გამოეკითხა ვაჭრებისათვის იმ ჭაბუკი მანქურთის ამბავი, მაგრამ გულმა არ უქნა – ვაითუ იმაზე მეტი გავიგო, რაცა თქვესო. ამიტომაც გაჩუმდა, გულში ჩაიხშო შიში, ვით დაჭრილი ჩიტის წივილი... ამასობაში საუბარმა სულ სხვა საგანზე გადაინაცვლა, ვის რაში ენაღვლებოდა უბედური მანქურთი, ცოდვა-ბრალს ამქვეყნად რა გამოლევს. ნაიმან-ანა კი კვლავ ებრძოდა შიშს, იოკებდა ხელების კანკალს, თითქოსდა მართლა მოეგუდა თავის გულში აწივლებული ჩიტი. ოღონდაც უფრო დაბლა ჩამოიწია შავი მანდილი, დიდი ხანია, გათეთრებულ თმას რომ უფარავდა.

ვაჭართა ქარავანი მალე გაუდგა თავის გზას. ის ღამე თეთრად გაათენა ნაიმან-ანამ და მიხვდა, მოსვენებას მანამ ვერ პოვებს, ვიდრე იმ მწყემს მანქურთს არ მოძებნის საროზექში და არ დარწმუნდება, მისი ვაჟი რომ არაა. ამ საზარელმა, ამ საშინელმა ფიქრმა კვლავ გააღვიძა დედის გულში დიდი ხნის ჩაბუდებული ყრუ ეჭვი, მისი შვილი რომ ომის ველზე დაეცა... ამ წამებას, ამ განურინებელ შიშსა და ტკივილს, ამ მოუშუშებელ ეჭვს ერჩივნა, მეორედაც გამოეტირა შვილი.

მისი ბიჭი ჟუანჟუანებთან ერთ-ერთ ბრძოლაში მოკლეს საროზექის მხარეში. ქმარი, ნაიმანთა შორის სახელმოხვეჭილი კაცი, ერთი წლით

---

[1] იურტა – იგივე იურთი – ქეჩაშემოკრული კარავი, გუმბათოვანი ან წაკვეთილი კონუსის მოყვანილობისა.

ადრე დაელუპა. მამის სისხლის ასაღებად პირველსავე ლაშქარს გაჰყვა მისი ვაჟი. ნაიმანთა ადათის მიხედვით, მოკლულის ცხედარს ომის ველზე არ ტოვებდნენ ნათესავები, თან ჩამოჰქონდათ, ეს კი შეუძლებელი აღმოჩნდა იმ დიდ ბრძოლაში. ბევრს დაენახა თავისი თვალით, როგორ შეება მისი ვაჟი მტერს, როგორ გადმოემხო მერე ცხენის ფაფარს, ომის ყიჟინითა და ხმაურით დამფრთხალმა ფიცხმა ტაიჭმა როგორ გაიტაცა იგი შორს. ჭაბუკი ცხენიდან გადმოვარდა, მაგრამ ფეხი უსანგ'ში გაეჩხირა. ჰოდა, სულ მთლად დაფეთებულ ტაიჭს მიწაზე თრევა-თრევით გაუქანებია მისი უსულო სხეული, თითქოსდა ჯიბრზე, მტრის მხარეზე. მიუხედავად ხელჩართული სისხლისმღერელი ბრძოლისა, ორი ნაიმანი უკან დადევნებია, რომ აწყვეტილი ცხენი დროზე შეეჩერებინათ და დაღუპულის ცხედარი წამოეღოთ. მაგრამ ხევში ჩასაფრებული ჟუანჟუანების რაზმიდან რამდენიმე კიკინიანმა მხედარმა ყიჟინით ყველა გზა გადაუჭრა მათ, ერთი ნაიმანი ისრით განგმირეს, მეორემ, მძიმედ დაჭრილმა, ცხენი მოატრიალა და, თავისიანების მწკრივს რომ მოაღწია, იქ მოადინა ზღართანი მიწაზე. ამ შემთხვევამ დროზე აღმოაჩენინა ნაიმანებს, რომ ხევში ჟუანჟუანთა რაზმი იყო ჩასაფრებული და გადამწყვეტ წუთს ფლანგიდან უპირებდა დარტყმას. ნაიმანებმა საჩქაროდ დაიხიეს უკან, რათა გადაჯგუფება მოეხდინათ და ისევ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. ცხადია, აღარავის გახსენებია, რა დაემართა მათ ჭაბუკ მხედარს, ნაიმან-ანას ვაჟს... ის დაჭრილი ნაიმანი, თავისიანებთან რომ მოასწრო ცხენით მოჭენება, ყვებოდა მერე: როცა კვალდაკვალ დაეედევნეთ ცხენს, ჭაბუკის გვამს რომ მიათრევდა, იგი მალე მიეფარა თვალს გაურკვეველი მიმართულებითო...

რამდენიმე დღე ზედიზედ მიდიოდნენ ცხენოსანი ნაიმანები გვამის საძებრად, მაგრამ ვერც მის ცხედარს, ვერც ტაიჭსა და ვერც იარაღს ვერსად მიაგნეს. მისი დაღუპვა საეჭვოდ უკვე აღარავის მიაჩნდა. თუნდაც დაჭრილი ყოფილიყო, ამ ხანში ან უწყლობა მოკლავდა ტრამალზე, ან სისხლისგან დაიცლებოდა. იგლოვეს, ივიშვიშეს ნაიმანებმა. ჭაბუკი ნათესავი რომ უკაცრიელ საროზეკში დაუმარხავი დარჩათ, ეს ყველასათვის დიდი სირცხვილი იყო. იურტაში შეყრილი ნაიმან-ანას ნათესავი დედაკაცები მოთქვამდნენ და ქმრებსა და ძმებს ასე საყვედურობდნენ:

— ორბებმა დაკორტნეს იგი, ტურებმა დაიტაცეს მისი ძვლები, რა სინდისით გხურაეთ ამის შემდეგ ვაჟკაცის ქუდი!..

და მიეწყო ერთმანეთს გამოცარიელებული დღეები ამ გამოცარიელებულ წუთისოფელ'ში. იცოდა ნაიმან-ანამ, რომ ადამიანები ომში იღუპებიან, მაგრამ იმაზე ფიქრმა, მისი ვაჟი ომის ველზე უპატრონოდ გდია, მიწას ვერ მიაბარეს, სიმშვიდე და მოსვენება დაუკარგა, დღედაღამ გაუთავე-

ბლიე აწამებდა, ან ვისთვის ეთქვა, ვისთვის შეეჩიელა დარდის შესამსუბუქებლად, ვინ ჰყავდა სხვა, თუ არა ღმერთი...

ამაზე რომ არ ეფიქრა, თავისი თვალით უნდა დარწმუნებულიყო დედა, მისი ვაჟი რომ მართლა მკვდარია. ღვთის ნებას განა ვინმე შესდგებია? ყველაზე მეტად ის უმღვრეოდა ტვინს, ვაჟის ცხენიც რომ უგზოუკვლოდ დაიკარგა., ცხენი ხომ არ მოკლეს, ცხენი შეშინებული გაიქცა. ჯოგის ცხენი ადრე თუ გვიან უკან, მშობლიურ მხარეში უნდა მობრუნებულიყო და პატრონის ცხედარიც თან მოეთრია უზანგით. ხომ მეხი, ხომ ელდა იქნებოდა მისთვის, მაგრამ იკივლებდა, იწივლებდა, ცრემლს დააფრქვევდა შვილის ცხედარს, სახეს დაიხოკაედა, ივიშვიშებდა თავის კრულსა და უბედურ ბედზე, ივიშვიშებდა ისე, ცაზე ღმერთიც კი შეძრწუნებულიყო, თუკი ნართაულისა რაიმე გაეგებოდა. სამაგიეროდ, ეჭვი არ ჩარჩებოდა დედას გულში, სიკვდილს აუღელვებლად, ციები შეგნებით დაელოდებოდა, არ ინდომებდა ფიქრშიც კი, თუნდაც წამით მობღაუჭებოდა ამ წუთისოფელს. მაგრამ მისი ვაჟის ნეშტი ვერა და ვერ იპოვეს, არც მისი ტაიჭი დაბრუნებულა. ეჭვებმა გატანჯა დედა. თუმცაღა თვისტომებმა თანდათან დავიწყებას მისცეს ეს ამბავი, დრო ხომ ყველა ტკივილს აყუჩებს და ყველაფერს ავიწყებს ადამიანს... მხოლოდ დედა ვერ დამშვიდდა, დედამ ვერ დავიწყა, მისი ფიქრები სულ ამ ამბავს დასტრიალებდა, რა დაემართა ტაიჭს, სად დარჩა აკაზმულობა, საჭურველი, რომ ამით მაინც ნაწილობრივ გამოერკვია, რა მოუვიდა მის ბიჭს. ხომ შეიძლება, უუანჟუანებს ჩაეგდოთ ხელში ტაიჭი სოროზექში, როცა ცხენს არაქათი გამოელია, კარგად აკაზმული ტაიჭიც ხომ კარგი დაელაა. როგორ მოექცნენ მაშინ მის ვაჟს, ვისაც ცხენი უნაგირით მოათრევდა – მიწას მიაბარეს, თუ ტრამალში დააგდეს ნადირთ საჯიჯგნად? ვაითუ, ცოცხალი იყო, ვაითუ, სული ედგა კიდევ რაღაც სასწაულით? მოკლეს და ტანჯვა-წამებისაგან იხსნეს, თუ ტრიალ მინდორში ამოხდა სული უპატრონოდ? ან იქნებ?.. ან ვაითუ?..

აღარ და აღარ ილეოდა ეჭვები. ხოლო როცა მგზავრმა ვაჭრებმა ჩაის სმისას ახსენეს, სოროზექში ერთი მანქურთი ენახეთო, რა იცოდნენ, თუ როგორი ცეცხლი დაანთეს ნაიმან-ანას დატანჯულ გულში, შეშინებულმა წინათგრძნობამ როგორ გაუწურა გული. ჭაბუკი ხომ შეიძლება მისი უგზოუკვლოდ დაკარგული ვაჟი ყოფილიყო! ეს ფიქრი უფრო და უფრო დაჟინებით, უფრო და უფრო ძლიერ ეუფლებოდა მის სულსა და გულს. დედა მიხვდა, რომ მოსვენება არ ექნება, ვიდრე იმ მანქურთს არ მოძებნის და არ დარწმუნდება, რომ მისი შვილი არაა.

ნაიმანებს საზაფხულო სადგომები იმხანად მთების ძირას ედგათ, სადაც კბოდოვანზე პატარა ნაკადულები მოჩუხჩუხებდა. მთელი ღამე უსმენდა ნაკადულების რაკრაკს ნაიმან-ანა, რას ეუბნებოდა წყალი, ეს-

ოდენ არათანხმიერი მისი შეძრული სულისა? გულს დამშვიდება სურდა, ყურს – გაძლომა მოჩუხჩუხე წყლის ხმებით, ვიდრე უდაბურ, მდუმარე საროზექის გზას დაადგებოდა. დედამ იცოდა, რარიგ საშიშია საროზექში მარტო მგზავრობა, მაგრამ არ სურდა, ვინმესთვის გაენდო თავისი ზრახვა. მაინც ვერაფინ გაუგებდა. ყველაზე ახლობლებიც არ მოუწონებდნენ ამ განზრახვას. ვის გაუგია დიდი ხნის მოკლული ვაჟის საძებრად წასელა? ხოლო თუ რაღაც განგებით ცოცხალი დარჩა და მანქურთად იქცა, მით უფრო არა აქვს აზრი მის მოძებნას, ტყვილუბრალოდ გულის გახეთქვას, ვინაიდან მანქურთი მხოლოდ გარეგნული გარსია, მხოლოდ ფიტული იმისა, რაც ადრე კაცი იყო...

წასელის წინა ღამეს დედა რამდენჯერმე გამოვიდა იურტიდან. დიდხანს გაჰყურებდა მიდამოს, უსმენდა ღამეულ ხმებს. რათა გულისყური, ფიქრები მოეკრიბა. ნაშუაღამევის მთვარე კარგა მაღალზე იდგა ულრუბლო ცაში და დედამიწას რძისფერ შუქს აღერიდა. ფერდობების ძირას მიმოფანტული იურტები მორაკრაკე ნაკადულების ნაპირებზე ღამის საოვედ დაფრენილი დიდრონი ფრინველების გუნდი გეგონებოდა. აულის[2] ახლოს, სადაც ცხერის ბაკები იყო, და შორს, ხევებში, სადაც ცხენების რემები ბალახობდნენ, ძაღლის ყეფა და ადამიანთა გაურკვეველი ხმები ისმოდა. მაგრამ ყველაზე მეტად ნაიმან-ანას გულზე ეფონა მომღერალი გოგოები, გადაძახ-გადმოძახება, აულის მახლობლად, ბაკებთან რომ ფხიზლობდნენ. ოდესღაც თვითონაც უმღერია ეს ღამის სიმღერები... მას აქეთ, რაც პატარძალი ჩამოიყვანეს, ყოველ საფხულს ამ მხარეში იდგა ხოლმე მათი ალაჩოები[3]. მთელმა მისმა ცხოვრებამ ამ მიდამოებში გაიარა. მაშინაც, როცა ოჯახში ბევრნი იყვნენ და ერთბაშად ოთხ იურტას დგამდნენ – ერთს სამზადისად, ერთს – სასტუმროდ, ორს კი – საცხოვრებლად – და მერეც, როცა ჟუანჟუანების შემოსევის შემდეგ სულ მარტო დარჩა...

ახლა ისიც ტოვებდა თავის ეულ იურტას... გუშინღამიდან გაემზადა უკვე სამგზაუროდ, მოიმარაგა საჭმელი და უფრო მეტი წყალი... ორი თულუხით[4] მიჰქონდა წყალი, იქნებ საროზექში უცბად ვერ მიეგნო ჭისათვის.. წუხელვე დააბა იურტას ახლოს ჯამა[5] აქლემი აქმაია, მისი იმედი და თანამგზავრი. ვერც გაბედავდა ამ უკაცრიელ საროზექში მგზავრობას, აქმაიას ღონისა და სიმარდის იმედი რომ არ ჰქონოდა. იმ წელს ბერწად იყო აქმაია, ორჯერ მშობიარობის შემდეგ ისვენებდა და მშვენივრად გამოიყურებოდა. უკეთეს მეგზურს ვერც ინატრებდი. ლართხა [6]

---

[2] აული – კავკასიის მთიელთა და შუა აზიის ხალხთა სოფელი.

[3] ალაჩოები – დროებით გამართული სადგომი, კარავი.


[4] თულუხი – წყლის საზიდავი კასრი. დიდი თუნგი.

[5] ჯამა – ერთკუზიანი უცხმარდი აქლემი.

[6] ლართხა – მოხდენილი.

ტანი, ღონიერი გრძელი ფეხები, გაკაჟებული ფეხისგულები სიმძიმის თრევასა და სიბერეს რომ ჯერ არ გაეცვითა, მკერივი კუზი, დაკუნთულ კისერზე ლამაზად დადგმული ხმელი კოხტა თავი, პეპლის ფრთებივით გამოყვანილი ნესტოები, პაერს რომ ხარბად ისრუტავდა სიარულისას. ეს თეთრი ჯამა აქლემი დიდი ფასი ღირდა, მთელ ჯოგს იყიდდა. მისთანა ფეხმარდ მოწიფულ ჯამაში ათ ახალ მოზარდს მოგცემდნენ, ოღონდაც მისი შთამომაელობა ჰყოლოდათ. ამ დიდებულ სანაშენო ჯამას გარდა სიმდიდრე აღარ დარჩა ნაიმან-ანას, დანარჩენი ხელის მტევრიით გაქრა, წაიღა. ორმოცისა თუ წლისთავის აშებმა[7] – დაღუპულთა სულის მოსახსენებელმა აღაპებმა[8] – ჩანთქა ყველაფერი. ამ ცოტა ხნის წინ უკანასკნელი აღაპი გადაუხადა თავის ბიჭს, ეის საძებრადაც მიჰყავდა ახლა წინათგრძნობას, უსაზღვრო კაეშანსა და მწუხარებას. უამრაეი ხალხი პყავდა იმ აღაპზე, ახლომახლო მიდამოებიდან ყველა ნაიმანი დაესწრო.

გამთენიისას უკვე გამოვიდა სამგზავროდ მომზადებული ნაიმან-ანა იურტიდან. ზღურბლს რომ გადმოაბიჯა, შედგა, კარს მიეყრდნო, გამგზაერებამდე ჩაფიქრებით მოაელო თვალი მძინარე აულს. ჯერ ისევ მოქნილი ტანი ჰქონდა ნაიმან-ანას, ჯერ კიდევ შერჩენოდა ადრინდელი სილამაზე. წელსე სარტყელი ერტყა, როგორც შორ გზაზე მიმავალს შეენოდა, ეცვა ჩექმები, შარვალი, კაბის ზემოდან უსახელო ახალუხი, მხრებზე თავისუფლად ჩამოშეებული მოსასხამი. თავზე თეთრი მანდილი წაეკრა, მანდილის წვერები უკან, კეფაზე გაესკვნა. ასე გადაწყეიტა იმ თეთრად გათენებულ ღამეების ხანს – თუ იმედი აქვს შვილის ცოცხლად ნახვისა, ძაძა რად უნდა, ხოლო იმედი თუ გაუცრუვდა, მერეც მოასწრებს სამუდამო შაეი მარდილის მოხვევას. დილის ბინდბუნდში აღარ უჩანდა დედას



საროზექის უდაბნო

[7] აშები – რელიგიური სულთა მოსახსენიებელი.

[8] აღაპი – იგივე ქელეხი.

გაჭაღარავებული თმა და ღრმა მწუხარების დაღი – ნაოჭების ღარი ნაღელიან სახეზე. თვალები დაენამა იმ წუთს და ღრმად ამოიოხრა. განა ოდესმე იფიქრებდა, ამასაც რომ მოესწრებოდა. მაგრამ თავს მოერია, გამხნევდა. „აშვადან ლა ილა ალა“, – წაიჩურჩულა ლოცვის პირველი სტროფი (არ არს ალაჰი თვინიერ ალაჰისა) და მერე მტკიცედ გაემართა ჯამა აქლემისაკენ, მუხლებზე წამოაჩოქა, ჩვეულებრივ ახლაც შეიღრინა აქმაიამ, ხმადაბლა დაიბღავლა რამდენჯერმე, მერე დინჯად დაწვა მკერდით მიწაზე. სწრაფად გადაჰკიდა უნაგირზე ხურჯინი ნაიმან-ანამ, თვითონაც შეაჯდა აქლემს, ადექიო, უბრძანა და აქლემიც წამოდგა, ფეხები გამართა, თავისი პატრონი მაღლა აიტაცა. მიხვდა აქმაია – შორი გზა უწევდა...

არავინ იცოდა აულში ნაიმან-ანას გამგზავრების ამბავი, გარდა მისი ნათესავი მსახური ქალისა, წამდაუწუმ რომ ამთქნარებდა. მხოლოდ მან გააცილა ნაიმან-ანა. წუხელვე უთხრა მას ნაიმან-ანამ, რომ თავის თორქუნებთან – ნათესავებთან – მიემგზავრება სტუმრად, ხოლო იქიდან, თუ მლოცველები ნახა, მათთან ერთად წავა ყივჩაღთა მიწაზე წმინდა იასავის[9] ტაძარში სალოცავად...

ადრიანად გაემგზავრა, რომ კითხვებით არავის გაებეზრებინა, აულს გაშორდა და საროზექისკენ აიღო გეზი ნაიმან-ანამ, შორს, უმოძრაო სიცარიელეში ბნდუდ[10] რომ მოჩანდა...

უკვე რამდენიმე დღეა, ერთფეროვანი ზუზუნ-ზუზუნითა და ოდნავ გასაგონი ფლარტუნით მიჩინდრიკებდა თეთრი ჯამა აქმაია დიდი საროზექის ხევხუვებსა თუ სწორეზე, პატრონი კი მაინც მიდენიდა და მიერეკებოდა მას უდაბნოს გახურებულ მიწაზე. მხოლოდ ღამით შეჩერდებოდნენ ხოლმე ჭასთან; ჭები ამ მხარეში იშვიათი იყო. დილიდან კი ისევ და ისევ მიეშურებოდნენ საროზექის უთვალავ ველებში დაკარგული აქლემების დიდი ჯოგის საძებრად. აქ, საროზექის ამ მიდამოებში, მრავალ კილომეტრზე გაჭიმული მალაყუმდიჩაფის მოწითალო ქვიშიან ხრამთან შეხვედრიათ ამას წინათ იმ მგზავრ ვაჭრებს მწყემსი მანქურთი, ვისაც ახლა ნაიმან-ანა დაეძებდა. აგერ უკვე მეორე დღეა, მალაყუმდიჩაფის ირგვლივ დაწრიალებდა. აკვირდებოდა შორეთს, ხან იქით გაუხვევდა, ხან აქეთ, თუმცა ჟუანჟუანებთან შეფეთებისა კი ეშინოდა, მაგრამ ყველგან ტრამალი იყო, ტრამალი და მაცდური მირაჟები. ერთხელ მართლაც მოტყუვდა, კარგა ხანი იარა მიხვეულ-მოხვეული გზით იმ მეჩეთ-

---

[9] წმინდა იასავი – იგივე ესავი, ბიბლიური მამამთავრის, ისააკის ძე, უფროსი ტყუპისცალი იაკობისა, რომელსაც უმცროსმა ძმამ პირმშოობა წარსტაცა. ესავის მეორე სახელი ედომი იყო და იგი ედომელთა მამამთავრად ითვლებოდა.

[10] ბნდუდ – ბუნდოვნად.

ებიან და ციხეგალაენიან ქალაქამდე. იქნებ იქ ჰყავდათ წაყვანილი მისი ბიჭი მონების ბაზარზე გასაყიდად? მაშინ უკან შემოისვამდა თავის შვილს აქმაიაზე და აბა ეცადა ვისმე მათი დაწევა... ძნელი, ძნელი ყოფილა უდაბნოში მგზავრობა, მიტომაც მოელანდა ასე.

არაა, არაა იოლი საროზექში ადამიანის პოვნა, რაღა კაცი და რაღა ქვიშის მარცვალი აქა, მაგრამ თუ დიდ ჯოგს უდგას საძოვარზე, კარგა დიდ ადგილზე გაშლილს, ადრე თუ გვიან ერთ პირუტყვს მაინც მოჰკრავ თვალს საძოვრის კიდეზე. მერე სხვებს დაინახავ, ჯოგთან კი მწყემსსაც აღმოაჩენ. ამ იმედით იყო სწორედ ნაიმან-ანა.

მაგრამ ჯერხნობით არსაით არაფერი ჩანდა. უკვე შიშიც შეეპარა, ვაითუ სხვა ადგილზე გადარეკეს ჯოგი, უფრო მეტიც – ვაითუ ეს აქლემები ჟუანჟუანებმა ყველა ერთად ხივაში ან ბუხარაში წალალეს გასაყიდად. დაბრუნდება კი მაშინ მწყემსი იმ გადაკარგული მიწებიდან?.. ნაიმან-ანა დარდითა და ეჭვებით გულგამოჭმული წამოვიდა აულიდან, იმასღა ნატრობდა, ოღონდაც ცოცხალი ვნახო ჩემი ბიჭი და გინდაც მანქურთი თუ რაც უნდა იყოს, გინდაც არ ახსოვდეს არაფერი, არ ჰქონდეს გონი, ოღონდ პირში სული ედგასო... განა ეს ცოტაა! მაგრამ რაც უფრო შეღრმავდა საროზექში და იმ ადგილებს მიუახლოვდა, სადაც ამ ცოტა ხნის წინ ქარავნით ჩაელილ ვაჭრებს ენახათ მწყემსი, დედას უფრო და უფრო ზარავდა ის ფიქრი, ვაითუ, ჭკუით სახიჩარი ენახო შვილიო. ეს შიში უწურავდა და უმძიმებდა გულს. და მაშინ ღმერთს ევედრიდა, ოღონდ მისი შვილი ნუ იქნება, ოღონდაც სხვა ვილაც უბედური იყოს, ხმასაც არ ამოიღებს, უსიტყვოდ შეურიგდება იმ აზრს, რომ მისი ბიჭი ცოცხლებში არ წერია და არც შეიძლება ეწეროს, ხოლო თუ მიდის, მხოლოდ იმიტომ, მანქურთს შეხედოს, დარწმუნდეს, რომ მისი იჭვი მცდარია, და მაშინვე უკანვე გამობრუნდეს. გულს აღარ გამოუჭამს დარდი, თავის დარჩენილ წუთისოფელს ისე გალევს, როგორც განგება ინებებს... მაგრამ მერე ისევ და ისევ აიტანდა დარდი, ისევ და ისევ იმორჩილებდა სურვილი, საროზექში სხვა კი არა, სწორედ თავისი შვილი ენახა, რა შემზარავიც არ უნდა ყოფილიყო მისთვის ეს ამბავი...

ამ გრძნობათა ჭიდილში იყო, როცა ანაზდად, დამრეცი გორის გადაღმისას, აქლემების მრავალრიცხოვანი ჯოგი დაინახა. ასობით აქლემი თავისუფლად ძოვდა განიერ ველზე, ნაპატიები, მურა ფერის პირუტყვები დაბალ ჯაგებსა და ეკლიანებს მოდებოდნენ, ნეკერს აკვნეტდნენ ბუჩქებს, ნაიმან-ანამ ქუსლი ჰკრა და სწრაფად გააქანა იქით აქმაია. ჯერ ლამის დაახრჩო სიხარულმა, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც იპოვა ჯოგი. მერე კი შიშმა აიტანა, თავით ფეხებამდე აკანკალდა, ისე შეზარა ფიქრმა, რომ ახლა მანქურთად ქცეულ თავის შვილს ნახავდა. მერე ისევ სიხარულმა ძლია და უკვე თვითონაც აღარ იცოდა, რა ხდებოდა მის თავს.

ჯოგი აქ იყო, მაგრამ მწყემსი რომ არ ჩანდა? ალბათ სადმე აქ იქნება, საძოერის მეორე თავში მართლაც კაცი იდგა. ვინ იყო, შორიდან ვერ გაარჩევდი. კომბალი და უკან მდგარი საპალნიანი საჯდომი აქლემის სადავე ეჭირა, ჩამოფხატული ქუდიდან მშვიდად გასცქეროდა მოახლოებულ ქალს.

რომ მიუახლოვდა და შვილი იცნო ნაიმან-ანამ, აღარც ახსოვს, როგორ ჩამოცურდა აქლემის ზურგიდან. მგონი, კიდეც დაეცა, მაგრამ ტკივილი ვის ახსოვდა!

– ჩემო შვილო, ჩემო სისხლო და ხორცო! მე კი ირგელიე დაგეძებ! – ისე გაექანა შვილისკენ, თითქოს უსიერი ტყე აშორებდა მისგან, – მე დედაშენი ვარ!

მაგრამ იმწამსვე მიხვდა ყველაფერს და მწარედ, საზარლად აქვითინდა, სულ ფეხები ურტყა მიწას, აკანკალებული, მოღრეცილი ტუჩები დაიჭიმა, თავს რომ მორეოდა, მაგრამ ვერ მოერია. არ წავიქცეო, გულგრილად აყუდებულ შვილს მოეჭიდა, მწუხარებით ზარდაცემული ტიროდა და ტიროდა, ეს უბედურება დიდი ხანია, ელოდა და, ჰა, დაატყდა კიდეც თავს, გათელა და მიწაში ჩაიტანა. მტირალი მისჩერებოდა შვილს, სველი თმის ბღუჯებიდან, აკანკალებული თითებიდან უჭერეტდა, გზის მტვერს რომ უდღლაბნიდა სახეზე, აცქერდებოდა ნაცნობ ნაკეთებს და ცდილობდა, შვილის მზერა დაეჭირა. იმედი მაინც უბუჟტავდა, იქნებ მიცნოსო – განა რა უნდა საკუთარი დედის ცნობას?!

მაგრამ მის ნახვას შვილზე არა გაელენა არ მოუხდენია, თითქოს ეს ქალი სულ აქ იყო და ყოველდღე მოდიოდა მასთან. ისიც კი არ ჰკითხა, ვინა ხარ, ან რა გატირებსო. რამდენიმე ხნის შემდეგ მწყემსმა ქალის ხელი მოიცილა და წავიდა, თან გაიყოლა თავისი განუყრელი საპალნიანი საჯდომი აქლემი. წავიდა ჯოგის მეორე მხარეს იმის სანახავად, შორს ხომ არ გაიქცნენ თამაშით გატაცებული ახალმოზარდი აქლემებიო.

ნაიმან-ანა კი ისევ იქ დარჩა, ჩაცუცქდა, სახეზე ხელები მიიფარა. ასე იჯდა ერთხანს თავაუღებლივ. მერე მოიკრიბა ძალა და შვილისკენ გასწია ნაძალადევი სიმშვიდით. მანქურთმა შვილმა კი, ვითომ აქაც არაფერიო, უაზროდ, უნდილად შეხედა მჭიდროდ ჩამოფხატული ქუდიდან და თითქოს მკრთალმა ღიმილმა გადაურბინა გალეულ, მზისა და ქარისგან გარუჯულ, გატლანქებულ თავ-პირზე. თუმცა თვალები კი, ამქვეყნად ყველაფრისადმი უხალისოდ მზირალი თვალები, კელავინდებურად გულგრილი, გაუცხოებული დარჩა.

– დაჯე აქ, ვილაპარაკოთ, – მძიმე ოხერით უთხრა ნაიმან-ანამ.

ორივენი მიწაზე დასხდნენ.

– მიცანი თუ არა? – ჰკითხა დედამ.

მანქურთმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

– რა გქვია?

– მანქურთი, – უპასუხა შეილმა.

– ახლა გქვია ასე, ძველად კი რა გერქვა? აბა გაიხსენე შენი ნამდვილი სახელი.

მანქურთი დუმდა, დაძაბეისაგან ცხვირის კეხზე ოფლის მსხვილი წვეთები დაასხდა, თვალები დაებინდა, თითქოს რალაც აუცილებლად შიგ. ხედავდა დედა, გახსენებას ცდილობდა მისი შვილი, მაგრამ წინ ალბათ ყრუ კედელი აემართა და ვერ დაეძლია იგი.

– მამაშენს რა ერქვა? შენ თვითონ ვინა ხარ, სადაური, ვისი შვილი? ის მაინც თუ იცი, სად დაიბადე?

არა, არაფერი ახსოვდა. არაფერი იცოდა მანქურთმა.

– ეს რა გიყვეს! – წაიჩურჩულა დედამ და ისევ აუკანკალდა უნებურად ტუჩები. ბრაზმა, რისხვამ და მწუხარებამ ლამის დაახრჩო, ისევ აუტყდა ქვითინი, ვერა და ვერ დაიოკა. დედის ტანჯვა ახლოს არ გაჰკარებია მანქურთის გულს.

– შეიძლება მიწა მოსტაცო, სიმდიდრე, სიცოცხლეც კი წაართვა ადამიანს, – ამოილაპარაკა დედამ ხმამაღლა, – მაგრამ ვის მოაფიქრდა, ვინ გაბედა, მეხსიერება დაუკარგოს ადამიანს?! ჰოი, ღმერთო, თუ სადმე ხარ, ასეთი რამ რად ჩააგონე ადამიანს?! განა ისედაც ცოტა ცოდვა და ბოროტება ტრიალებს წუთისოფელში?

მაშინ თქვა სწორედ, მანქურთი შეილის შემყურემ, ის განთქმული გლოვის ხარი მზეზე, ღმერთზე, თავის თავზე, ახლაც რომ ყვება მცოდნე ხალხი, როცა კი საროზექის ისტორიაზე ჩამოვარდება სიტყვა...

მაშინ დაიწყო ის თავისი ტირილი, ახლაც რომ იხსენებენ მცოდნეები:

– მენ ბოთასი ოლგენ ბოზ მაია, თულიბინ ქელიფ ისქეგენ... [11].

მაშინ აღმოხდა სულიდან მოთქმა, ხანგრძლივი უნუგეშო გოდება დუმილით მოცულ უკიდეგანო საროზექში... მაგრამ არა გაჰკარებია რა მისი მანქურთი შეილის გულს. მაშინ გადაწყვეტა ნაიმან-ანამ, აღარაფერი ეკითხა, ჩაგონებითღა ეცადა გაეგო მის შეილს, ვინც იყო იგი.

– შენი სახელი ჯოლამანია; გესმის, შენ ჯოლამანი ხარ. მამაშენს კი დონენბაი ერქვა. ნუთუ არ გახსოვს მამაშენი? აკი მან გასწავლა მშვიდლ-ისრის სროლა ბავშვობაში, მე კი დედა ვარ შენი, ხოლო შენ – ჩემი შეილი. შენ ნაიმანების ტომისა ხარ, გაიგე? შენ ნაიმანი ხარ...

მანქურთი უგულისყუროდ ისმენდა დედის ამ სიტყვებს, თითქოს ლაპარაკი მასზე არ იყო. ალბათ ასევე მოუსმენდა კუტკალიის[12] ტკაცანს ჯოყარში[13].

---

[11] მე ცრემლით გალტობილი დედა აქლემი ვარ, მოსული ყნოსვად ჩალით დატენილი ჩემი კოზაკის ტყავისა.

[12] კუტკალია – კალიის ერთ-ერთი სახეობა; მინდერის მავნებელი.

[13] ჯოყარი – იგივე, რაც კაჭკაჭი; გამხმარი ღერო მალალი მსხვილღეროიანი ბალახისა.

მაშინ ჰკითხა ნაიმან-ანამ თავის მანქურთ შვილს:

– მანამდე რა იყო, ვინემ აქ მოხვედი?

– არაფერი არ იყო.

– დღე იყო თუ ღამე?

– არაფერი არ იყო.

– ვის გინდა ხოლმე ელაპარაკო?

– მთვარეს. მაგრამ ჩვენ არ გვესმის ერთმანეთის... იქ ვიღაცა ზის.

– კიდევ რა გინდა?

– ჩემი პატრონისთანა კიკინა მჭონდეს.

– აბა მაჩვენე, რა გიყვეს თავზე, – შვილისკენ გადაიხარა ნაიმან-ანა.

მანქურთი უკან გახტა. ქუდზე იტაცა ხელი, დედისთვის აღარ შეუხედავს, მიხვდა ნაიმან-ანა, რომ შვილთან თავზე სიტყვა არ უნდა დასცდეს.

ამ დროს შორით ვიღაც კაცი გამოჩნდა, აქლემზე შემჯდარი მათკენ მოემართებოდა.

– ეგ ვინაა? – ჰკითხა ნაიმან-ანამ.

– ჩემთვის საჭმელი მოაქვს ხოლმე, – მიუგო შვილმა.

ნაიმან-ანა შეშფოთდა – უნდა მალე მიმალულიყო, ვიდრე ეს უდროო დროს გამომტყვრალი ჟუანჟუანი დაინახავდა. მან წამოაჩოქა თავისი ჯამა მიწაზე და უნაგირზე შეჯდა.

– შენ არაფერი უთხრა, მე მალე მოვალ, – დაარიგა შვილი ნაიმან-ანამ.

შვილმა არაფერი უპასუხა. მისთვის სულ ერთი იყო.

მიხვდა ნაიმან-ანა, რომ აქლემზე შემჯდარს არ უნდა გაეარა ჯოგში, მაგრამ რაღა დროს იყო, ჯოგისკენ მომავალი ჟუანჟუანი ალბათ შეამჩნევდა ჯამაზე შემჯდარ ქალს. ფეხით უნდა წასულიყო, ძოვით გართულ პირუტყვებს უნდა ამოფარებოდა.

კარგა მანძილზე გაშორდა იმ ადგილს ნაიმან-ანა, ღრმა ხევში ჩავიდა, რომლის კიდეებზე აბზინდა[14] ამოსულიყო. აქ ჩამოქვეითდა, აქმაია ხეობის ფსკერზე დააწვინა. აქედან დაუწყო თვალთვალი. ჰო, ასეც იყო. იმ ჟუანჟუანმა მაინც მოჰკრა თვალი. რამდენიმე ხნის შემდეგ ისიც გამოჩნდა, აქლემს ჩორთით მოერეკებოდა. შუბითა და ისრებით იყო აღჭურვილი. გაოცებული ჩანდა, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, ვერ გაეგო, სად გაქრა თეთრ აქლემზე შემჯდარი მხედარი, შორიდან რომ დალანდა, არ იცოდა, საით წასულიყო. ჯერ იქით მხარეს გააქანა აქლემი, მერე აქეთ. დაბოლოს, სულ ახლოს ჩაუარა ხეობას. კიდევ კარგი, ნაიმან-ანამ მოისაზრა, აქმაიას მანდილით აუკრა პირი, უცბად არ დაიბღაველოსო. აბზინდის ნაყარიდან ნაიმან-ანამ კარგად გაარჩია ის ჟუანჟუანი. ბანჯგვალა

---

[14] აბზინდა – სამკურნალო ბალახი, მონაცრისფრო, ბუსუსიანი, ფოთლებდანაკეთული.

აქლემზე იჯდა, აქეთ-იქით იხედებოდა, გაფიქრებული სახე ჰქონდა, დაძაბული, თაეზე შაეი ნაივით ქუდი ეხურა. ბოლოებაწკეპილი, ზურგზე შაეი პრიალა კიკინა უკონწიალებდა, წყვილად დაწნული. უზანგებზე შემდგარიყო ჟუანჟუანი, შუბი მოემარჯვებინა, თაეს აქეთ-იქით ატრიალებდა, თეალებს აბრიალებდა. ერთი იმ დუშმანთაგანი იყო, ვინაც საროზქი დაიპყრო. ბევრი ნაიმანი წაასხა მონად და მის ოჯახს ამდენი უბედურება დაატეხა. მაგრამ რა უნდა გაეწყო უიარაღო ქალს ამ მძვინვარე ჟუანჟუანელი მეომრის წინააღმდეგ; ან ისეთი რა გადახდა ცხოვრებაში, ისეთი რა შეემთხვა ამ ხალხს, ესოდენ ეელური, ესოდენ უწყალო სისასტიკე რომ აკისრებინათ — მონას მეხსიერება სამუდამოდ ამოუძირკვონ...

იქაურობა რომ მოირბინა ჟუანჟუანმა, ისეე ჯოგისკენ გამოაბრუნა აქლემი.

მოსაღამოვდა. მზე ჩაესვენა, მაგრამ დაფიონი[15] კიდევ დიდხანს გიზგიზებდა ტრამალის თაეზე. მერე ერთბაშად დაბნელდა და უკუნი ღამე დადგა.

მარტოდმარტომ გაატარა ის ღამე ნაიმან-ანამ ტრამალში, თავისი ბედშაეი მანქურთი შვილის შორიახლო, ვერ გაბედა მასთან დაბრუნება იმის შიშით, წელანდელი ჟუანჟუანი იქნება, ამაღამ ჯოგთან დარჩაო.

მაშინ გადაწყვიტა, არამც და არამც არ დაეტოვებინა მონობაში შვილი, ყველაფერი ელონა, ოღონდ თან წაეყვანა. დაე, მანქურთი იყოს, დაე, არაფერი გაეგებოდეს, მაინც თავის სახლში, თავისიანებში იქნება, ჟუანჟუანებს მწყემსად არ ედგება ამ უდაბურ საროზქში. ამას უკარნახებდა დედის გული. ის ვერ შეურიგდება იმას, რასაც სხვები ურიგდებიან, თავის სისხლსა და ხორცს მონობაში ვერ დააგდებს. იქნებ მშობლიურ მხარეში დაუბრუნდეს გონი, იქნებ იქ გაიხსენოს სიყრმე...

დილით ისეე შეჯდა აქმაიაზე ნაიმან-ანა. ბევრი იარა შორი გზებით და ისე მიუახლოვდა ჯოგს, რომელიც იმ ღამით კარგა მანძილზე წასულიყო. დიდხანს აკვირდებოდა შორიდან, ჟუანჟანებიდან იქ ხომ არავინ არისო. როცა დარწმუნდა, არავინ იყო, სახელით უხმო თავის შვილს:

— ჟოლამან! ჟოლამან! გამარჯობა შენი!

ეაჟმა მოიხედა და დედამაც სიხარულით შეკივლა, მაგრამ მაშინვე მიხედა, მხოლოდ ხმაზე მოხედა შვილმა.

კელავაც შეეცადა ნაიმან-ანა, შვილისთვის გაეხსენებინა წარსული, გაეღვიძებინა წართმეული მეხსიერება.

— გაიხსენე, რა გქვია, გაიხსენე შენი სახელი! — ვედრებით ჩასჩიჩინებდა ვაჟს. — განა არ იცი, მამაშენი რომ დონენბაი იყო? შენ კი ჟოლამანი[16] ხარ და არა მანქურთი. ასე იმიტომ დაგარქვით, რომ გზაში დაიბადე.

---

[15] დაფიონი — ცის კიდური ალისფრად შეღებილი.

[16] ჟოლამანი ორი სიტყვისგან წარმოდგება: „ჟოლ“ — გზა, „ამან“ — ჯანმრთელობა. ნიშნავს: ჯანი არ მოგკლებოდეს გზაში.

როცა ნაიმანები დიდი სადგომებისაკენ მიეშურებოდნენ. შენ რომ დაიბადე, იმ ადგილას სამი დღე სულ ნადიმი გექონდა.

დედა უყვებოდა და უყვებოდა შვილს მის წარსულზე, არ ჩერდებოდა, იმედი ჰქონდა – ეგებ ანაზდად რაღაც გაუკრთესო ჩამქრალ მეხსიერებაში, მაგრამ მის მანქურთ შვილზე არაფერი ჭრიდა, დედა ყრუდ დაკეტილ კარს ეხეთქებოდა და მაინც თავისას იმეორებდა:

– აბა, გაიხსენე რა გქვია? მამაშენი დონენბაი იყო!

მერე ასვა, აჭამა შვილს თავისი საგზლიდან და იავნანაც უმღერა.

მანქურთს ძალიან მოეწონა სიმღერა, სიამოვნებით მოუსმინა. თითქოს გაუცოცხლდა, გაუთბა ყინული, ნახშირად ქცეული სახე. მაშინ ჩაგონება დაუწყო დედამ: დატოვე აქაურობა, ჟუანჟუანები, მე წამომყევი შენს მშობლიურ მხარეში. მანქურთს ვერ გაეგო, როგორ შეიძლება ადგეს და წავიდეს სადღაც – ჯოგს რა უყოს? არა, პატრონმა დაავალა, ჯოგს წამით არ მოსცილდეო. ასე თქვა პატრონმა. ამიტომ ჯოგს ვერამც და ვერამც ვერ მოშორდება.

ბევრი, ბევრი ეცადა ნაიმან-ანა, განადგურებული მეხსიერების დახშულ კარში შეეღწია.

– გაიხსენე, ვისი შვილი ხარ? რა გქვია? მამაშენი დონენბაია! – ჩასჩიჩინებდა ისევ და ისევ.

ისე გაუშრინდა დრო ამ ამაო, ფუჭ წადილ'ში, მაშინღა გამოურკვა ნაიმან-ანა, როცა ჯოგის ბოლოში კელავე გამოჩნდა აქლემიანი ჟუანჟუანი, ამჯერად უფრო ახლოს მოსულიყო და აქლემსაც გამალებით მორეკავდა. ნაიმან-ანა მყისვე შეაჯდა აქმაიას და იქაურობას გაეცალა. მაგრამ მეორე ბოლოდან ახლა სხვა აქლემიანმა ჟუანჟუანმა უყელა გზა. მაშინ კი ჰკრა ქუსლი ნაიმან-ანამ თავის აქმაიას და გააქანა იგი წინ, ჟუანჟუანები კი ყვირილითა და შუბების ქნევით დაედევნენ. მაგრამ ვინ იყო აქმაიას დამწვევი, თანდათან უკან მოიტოვა მდევრები, რომლებსაც ბანჯგვალა აქლემები უმოწყალოდ აჯიყჯიყებდნენ. თეთრმა ჯამამ უხშირა სუნთქვას, ჰაერი ბლომად დაიგუბა და სწრაფად გაჰქროლა, გაჰქროლა და ნაიმან-ანა სიკვდილს გაარიდა.

რა იცოდა ნაიმან-ანამ, რომ უკან დაბრუნებულმა, გაბოროტებულმა ჟუანჟუანებმა მანქურთი ცემეს. მაგრამ გინდ ცემე და გინდ არა, რა ჭკუა მოეკითხება მანქურთს.

– ასე თქვა, დედაშენი ვარო, – ამასღა გაიძახოდა.

– სადაური დედაშენი ეგ არი! დედა სადა გყავს! არ იცი, რისთვის მოვიდა? არ იცი? ქუდი უნდა წაგაძროს და თავი წაგაცალოს! – აშინებდნენ ისინი საწყალ მანქურთს.

მანქურთი გაყვითლდა, ნახშირივით სახე გაუნაცრდა, თავი მხრებში ჩარგო, ხელები ქუდზე იტაცა და ნადირიყით დააცეცა თვალები.

– შენ ნუ გეშინია! აჰა, დაიჭი! – უფროსმა ჟუანჟუანმა მშვილდ-ისარი ჩაუდო ხელში.

– აბა ესროლე! – უმცროსმა ქუდი მაღლა ააგდო, ისარმა ქუდი გახვრიტა. – აბა უყურე, მკლავს მაინც შერჩენია მეხსიერება! – განცვიფრდა ქუდის პატრონი...

ბუდიდან დამფრთხალი ჩიტივით ირგვლივ უცქიდა ნაიმან-ანა იმ არემარეს. არ იცოდა, რა ექნა, ან ჟუანჟუანები რას განიზრახავდნენ. გადარეკავენ მთელ ჯოგს სხვა ადგილას, დიდი ურდოს ახლოს, და მის ბიჭს თან წაიყვანენ, სადაც ნაიმან-ანა ვეღარ მიჰვა, თუ ნაიმან-ანას დასაჭერად ჩაუსაფრდებიან? ამ ფიქრებით დაბნეული დედა მოფარებული გზებით მიიწევდა წინ და, რომ დაინახა, იმ ორმა ჟუანჟუანმა ჯოგი დატოვა და გზას გაუდგნენ გვერდიგვერდ, უკანმოუხედავად, სიხარულით ცას ეწია. დიდხანს გასცქეროდა იმ ორს ნაიმან-ანა, და, როცა თვალს მოეფარნენ, შვილთან მობრუნება გადაწყვიტა. არა, თავს მოიკლავს და ახლა თან წაიყვანს თავის შვილს. როგორიც არ უნდა იყოს – რა მისი ბრალია, ასე უკუღმართად რომ წაუვიდა ბედი, ასე უწყალოდ რომ დააბეჩავეს მტრებმა, დედა მაინც არ დატოვებს მონობაში თავის შვილს. დაე, თავისი თვალით ნახონ ნაიმანებმა, როგორ ასახიჩრებენ, ამცირებენ და გონს ართმევენ მომხვდური გადამთიელნი ტყვე ჯიგიტებს[17], ნახონ და აღშფოთებულებმა იარაღზე იკრან ხელი. განა მიწაზეა საქმე, მიწა ყველას ეყოფა, მაგრამ ჟუანჟუანებს ეს არაკაცობა შორმა მუზობლებმაც კი არ უნდა აპატიონ.

ამ გადაწყვეტილებით მიდიოდა ნაიმან-ანა თავისი შვილისკენ და სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაერწმუნებინა, როგორ დაეყოლიებინა, ამ საღამოსვე გაქცეულიყვნენ...

უკვე ბნელდებოდა. წითელი ბინდბუნდი მოჰყვებოდა ხეებსა და ველებს. დიდ საროზექზე კიდევ ერთი ღამე ეშვებოდა, კიდევ ერთი ღამე გარდასულ თუ მომავალ ურიცხვ ღამეთა შორის. თეთრ ჯამას მჩატედ, ლაღად მიპყავდა თავისი პატრონი დიდი ჯოგისკენ. ჩამავალი მზის სხივებზე მკაფიოდ ჩანდა ნაიმან-ანა აქლემის კუზებშუა. ფერი გაკრთობოდა ნაიმან-ანას, შეწუხებული მიდიოდა, ფხიზლად, გოროზად იყურებოდა აქეთ-იქით. ჭაღარა თმა, ნაოჭებით დაღარული, დაფიქრებული სახე, თვალებში კი საროზექის ამ ბინდბუნდივით განურინებელი ტკივილი... აგერ, მიაღწია კიდეც ჯოგს, საძოვარზე მიმობნეულ პირუტყვებში გაიარა, აქეთ-იქით მიმოიხედა, მაგრამ შვილს ვერსად ჰკრა თვალი, საჯდომი საპალნიანი აქლემი რატომღაც თავისუფლად ძოვდა, სადაც მიწაზე მისთრევდა... მაგრამ თვითონ კი არ ჩანდა. ხომ არაფერი დაემართა?

– ჟოლამან! შვილო ჟოლამან, სადა ხარ? – დაუძახა ნაიმან-ანამ.

---

[17] ჯიგიტი – რაინდი, მოყმე.

არაეინ გამოჩენილა, არავინ გაეხმიანა.

– ჟოლამან! სად ხარ? ეს მე ვარ, დედაშენი! სადა ხარ?

აქეთ-იქით მიმოიხედა შეშფოთებულმა დედამ, ის კი ვერ შეამჩნია, რომ მისი მანქურთი შვილი, აქლემის ჩრდილს მოფარებული, უკვე ჩამუხლულიყო და მშვილდზე მოჭიმულ ისარს უმიზნებდა, მზის ათინათი უშლიდა და მარჯვე წამს ელოდა.

– ჟოლამან! ჟოლამან, შვილო! – ეძახდა ნაიმან-ანა შეშინებული, ხომ არაფერი დაემართაო. უნაგირზე შებრუნდა. – არ ისროლო! – ესღა მოასწრო ეყვირა და ის იყო, თეთრ აქმაიას ქუსლი ჰკრა შვილისკენ მისაბრუნებლად, რომ ისარმა გაიზუზუნა და მარცხენა ბეჭში, მკლავს ქვემოთ ჩაესო.

ეს იყო სასიკეთილოდ ნასროლი ისარი. ნაიმან-ანა გადმოიხარა, აქლემის ყელს მოეჭიდა და ნელ-ნელა ჩამოცურდა ძირს. მანამდე კი თავიდან მანდილი წასძვრა, ჰაერში ფრინველად იქცა და ძახილ-ძახილით გაფრინდა: „გაიხსენე, ვისი ხარ? რა გქვია? მამაშენი დონენბაია! დონენბაია! დონენბაია!“

ამბობენ, მას აქეთ დაფრინავს ღამღამობით დონენბაი ჩიტიო. მგზავრს რომ დაინახავს, ახლოს მიჰყვება და გასძახის: „გაიხსენე, ვისი ხარ? რა გქვია? მამაშენი დონენბაია! დონენბაი! დონენბაი!..“

ადგილს, სადაც ნაიმან-ანა დამარხეს საროზექში, ანა-ბეიითი – დედის სამარხი დაერქვა...

თეთრ ჯამა აქმაიას მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დარჩა. მისი ჯიშის დედა აქლემები მასავით თეთრთავა იბადებოდნენ და იმ არემარეში განთქმულნი იყვნენ...

ფიქრი და დისკუსია
გაიხსენეთ

1. აღწერეთ საროზექის ისტორია და დამპყრობი ჟუანჟუანების სასტიკი მოპყრობა დატყვევებული ჭაბუკების მიმართ.

2. ვინ იყო ნაიმან-ანა და რა გადახდა თაეს მის ოჯახს?

3. საიდან შეიტყო ნაიმან-ანამ მანქურთის შესახებ და როგორ მოიქცა დაეჭვებული დედა?

4. როგორ ა'შინებდნენ ჟუანჟუანები მანქურთ მონას?

5. როგორ ცდილობდა ნაიმან-ანა შვილისთვის წართმეული მეხსიერების გაღვიძებას?

გააანალიზეთ

6. როგორ აფასებთ ნაიმან-ანას გადაწყვეტილებას შვილის საძებნელად წასვლის შესახებ?

7. ჩ.აითმათოვი ნაიმან-ანას დაკარგული შვილის გამო გოდების აღწერისას რამდენჯერმე იმეორებს სიტყვას „როცა". როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს აეტორი ასეთი სიხშირით ამ სიტყვას? რა მხატვრული დანიშნულება აქვს მას?

8. როგორ აფასებთ ნაიმან-ანას მტკიცე სურვილს, არამც და არამც არ დაეტოვებინა მონობაში ვაჟიშვილი?

9. რატომაა ადამიანისათვის მეხსიერების დაკარგვა დასაშვებ თუ დაუშვებელ ბოროტებათა შორის ყველაზე დიდი უკეთურება?

განაზოგადეთ

10. პოულობთ თუ არა მსგავსებას დონ კიხოტის მოგზაურ რაინდად გახდომის სურვილსა და ნაიმან-ანას მიერ შვილის საძებნელად წასვლის გადაწყვეტილებას შორის? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმის შემთხვევაშიც.

11. რას ემყარება, ერთი მხრივ, დონ კიხოტისა და, მეორე მხრივ, ნაიმან-ანას რწმენა?

12. რამდენად ეხმაურება მანქურთთა ისტორია თანამედროვეობას? როგორ შეიძლება გავიაზროთ დღევანდელობაში თავისუფლებადაკარგული და მეხსიერებაწართმებული ადამიანის სახე?

გაიხსენეთ და დაუკავშირეთ

1. რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავთ ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივსა და ჩინგიზ აითმათოვის ნაიმან-ანას შორის?

2. შეადარეთ ერთმანეთს გიორგის – ოთარაანთ ქვრივის ვაჟის და ჟოლამანის – ნაიმან-ანას ვაჟის ცხოვრების გზა.

დავალება

წაიკითხეთ ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“ და იმსჯელეთ, რა გზებითა და საშუალებებით ებრძვის მტერი ტრადიციას, მეხსიერებას...

შეადარეთ „ელგუჯაში“ დასმული პრობლემა „ანა-ბეიით'ში“ დასმულ პრობლემას.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი
სიუჟეტისა და თემის გააზრება

როგორც ვიცით, სიუჟეტი ნაწარმოებში აღწერილი მოვლენებისა და შემთხვევების თანმიმდევრობაა, რომელიც ლიტერატურულ თხზულებას აყალიბებს და ჩვეულებრივ შეიცავს კონფლიქტს, კულმინაციასა და კვანძის გახსნას. კულმინაცია ან'უ თხზულების ყველაზე საინტერესო ეპიზოდი ნაწარმოების ბოლოს „დაბლა ეშვება“, იხსნება. მას მოჰყვება კვანძის გახსნა ან სიუჟეტის დაბოლოება, ეპილოგი.

თემა არის მთავარი იდეა ან'უ დედააზრი იმ მოვლენებისა, რომლებიც ნაწარმოებშია აღწერილი. რომან'ში რამდენიმე თემა შეიძლება იყოს მოცემული. სიუჟეტის ანალიზისას შეიძლება უკეთ მივხვდეთ თხზულების თემებს.

უნდა შეინიშნოს, რომ ჩ.აითმათოვი თავის რომანში „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე“ ჩართ'ულ ანა-ბეიითის ისტორიას თქმულებას, ლეგენდას უწოდებს. ამ ორ ტერმინს შორის დიდი სხვაობა არ შეინიშნება: ლეგენდა ესაა ერცლად გადმოცემული ამბავი წარსულის შესახებ, რომელსაც სინამდვილე'ში შეიძლება ჰქონდა, ან არ ჰქონდა ადგილი. ქართ'ული კულტურიდან ამის მაგალითია ხალხური ლეგენდა ხოგაის მინდის შესახებ, რომელიც სხვადასხვა მწერლის მიერაა გააზრებული და გადმოცემული (ფოლკლორ'ული ყერსიების გარდა, ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელი“, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ხოგაის მინდი“). ლეგენდა'ში ხშირად არეკლილია ხალხის ინდივიდუალურობა და კულტურული ფასეულობები. მას'ში უმთავრესად უფრო მეტია ისტორიული სიმართლე და ნაკლებია ხაზგასმა ზებუნებრივ მოვლენებზე, რაც მითისთვისაა დამახასიათებელი.

თქმულება კი ხალხური სიტყვიერებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ჟანრია, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირი გზით გადაეცემა და გვხვდება პროზაული, პოეტური, ლექსნარევი პროზის სახით. თქმულება, ისევე როგორც ლეგენდა, სხვადასხვა ხასიათისაა: საისტორიო, საგმირო, სოციალური, სასიყვარულო ან საყოფაცხოვრებო.

1. ჩამოთვალეთ მთავარი მოვლენები, რომლებიც კრავენ „ანა-ბეიითის“ სიუჟეტს.

2. რა არის ამ ლეგენდაში მთავარი კონფლიქტი?

3. როგორაა კონფლიქტი გადაწყვეტილი?

4. რომელი ეპიზოდი მიგაჩნიათ რომანის ამ მონაკვეთის კულმინაციად?

5. რა ფიქრები „აწუხებდა“ მანქურთს დედასთან შეხვედრისას? რა გრძნობებს იწვევს თქვენში მისი საუბარი ნაიმან-ანასთან და მისი საქციელი?

6. სასიკვდილოდ დაჭრილი ნაიმან-ანას მანდილი ფრინველად იქცა და ძახილ-ძახილით ცაში აიჭრა: „გაიხსენე, ვისი ხარ? რა გქვია? მამაშენი დონენბაია! დონენბაია! დონენბაია!“ როგორ იყენებს მწერალი ამ შეძახილს ნაწარმოების თემის გასახსნელად?

7. თქვენი აზრით, რა არის „ანა-ბეიითის“ მთავარი თემა? რომელი მიგაჩნიათ მეორეხარისხოვან თემებად?

კრიტიკული ფიქრი და კითხვა მიზეზისა და შედეგის გააზრება

მიზეზისა და შედეგის შესახებ წერა ნიშნავს მცდელობას, აეხსნათ ნაწარმოებში აღწერილი ამბების ურთიერთკავშირი. მიზეზი რაიმე შემთხვევის გამომწვევი მოვლენაა, ხოლო შედეგი კი – დასასრული ამ მიზეზისა.

იმისათვის, რათა გავიგოთ, თუ რა არის შედეგი, უნდა დავსვათ კითხვა „რა მოხდა“? ხოლო მიზეზის გასარკვევად – „რატომ მოხდა?“

1. რა არის შემდეგი მოვლენების გამომწვევი მიზეზები?

ა) ნაიმან-ანამ გადაწყვიტა შვილის საძებნელად წასვლა;

ბ) მანქურთი საკუთარ დედას მოსაკლავად ჩაუსაფრდა.

2. რა არის შემდეგი მოვლენების შედეგები?

ა) ჟუანჟუანებმა ნაიმან-ანას ვაჟი მანქურთად აქციეს;

ბ) მანქურთმა დედა ისრით განგმირა.

ენობრივი უნარები
ადამიანის გრძნობის გამომხატველი ზმნები

ამგვარი ზმნები მკითხველს ეხმარება დაინახოს, გაიგონოს და შეიგრძნოს, თუ რას აკეთებენ და განიცდიან ნაწარმოების პერსონაჟები. მაგალითად, „ანა-ბეიითში“ ვკითხულობთ: „ნაიმან-ანას არა გაუმჟღავნებია რა ჩამოსულ მგზავრებთან, კაციშვილმა ვერ შეამჩნია, რარიგ შეაკრთო ამ ამბავმა, რაზომ ეცვალა ანაზდად ფერი. კი უნდოდა, უფრო წერილად გამოეკითხა ვაჭრებისათვის იმ ჭაბუკი მანქურთის ამბავი, მაგრამ გულმა არ უქნა – ვაითუ, იმაზე მეტი გაიგო, რაც თქვესო. ამიტომაც გაჩუმდა, გულში ჩაიხშო შიში, ვით დაჭრილი ჩიტის წიკვილი“... ასეთი ზმნები მოთხრობაში გადმოცემულ მოქმედებას ცოცხლად წარმოადგენენ.

ქვემომოყვანილი ფრაზები, ადამიანის ქცევისა და გრძნობების გამომხატველი ზმნებით, „ანა-ბეიითიდანაა“. ტექსტში მოძებნეთ შესაბამისი წინადადებები:

1. თვთრად გაათენა;
2. სახეს დაიხოკავდა;
3. უსმენდა ღამეულ ხმებს;
4. მოღრეცილი ტუჩები დაიჭიმა.

ფიქრი და წერა

ჩამოაყალიბეთ თქვენი თვალსაზრისი, რა არის ამ ლეგენდის მთავარი თემა; აღწერეთ დედის განცდები მანქურთის შესახებ ცნობის შეტყობიდან მასთან შეხვედრამდე და მიუთითეთ, რა კავშირი მყარდება თქმულების ძირითად ამბავსა და ფრინველად ქცეულ მანდილს შორის.

გამოთქვით თვალსაზრისი: რატომ ამახვილებს ჩ.აითმათოვი ყურადღებას თვთრ ჯამა აქლემ აქმაიას მრავალრიცხოვან შთამომაელობაზე?

შინაარსობრივი შეჯამება

საანალიზო უნარები
კლასიფიკაცია

1. წარმოდგენილი რომანების ნაწყვეტების მონაცემთა გათვალისწინებით შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

ავტორი			
ენა (რომელზეც დაიწერა თხზულება)			
მთავარი პერსონაჟები			
მთავარი პერსონაჟების სახასიათო ნიშნები			

2. წარმოდგენილი რომანების მთავარ პერსონაჟებს გეერდით მიუწერეთ მათი ხასიათის გამომხატველი არსებითი გამონათქვამები (წინადადება, წინადადებები ან მთელი აბზაცი).

განზოგადება და სინთეზირება

1. რა იდეა აერთიანებს შემოთავაზებულ სამ რომანს?
2. როგორი დამოკიდებულება აქვთ ავტორებს თავიანთი პერსონაჟების მიმართ და რა საერთოა მათ შორის?
3. რა მსგავსება და განსხვავებაა თითოეულ თხზულებაში აღწერილ გარემოთა შორის?
4. რა გამაერთიანებელ სათაურს მოიფიქრებდით წარმოდგენილი სამი რომანისათვის?

დაკვირვება

1. თქვენ მიერ წაკითხული ნაწარმოებებიდან რომლის პერსონაჟებს ახასიათებთ:
ა) დონკიხოტური ჩვევები და მისწრაფებები?
ბ) მიჩინიოსაეით ჭეშმარიტების მაძიებლობა?
გ) ნაიმან-ანასაეით თავდადებულობა და ტრაგიზმი?

2. როგორ ფიქრობთ, რომელი უფრო დააინტერესებს მკითხველს წარმოდგენილი რომანებიდან? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

თემატური კითხვა

მოცემული რომანების მთავარი პერსონაჟები დარწმუნებულნი არიან თავიანთ სიმართლესა და ძალაში. დაწერეთ სამ-ხუთაბზაციანი თხზულება, რომელშიც განიხილავთ მათ დამოკიდებულებას აღნიშნული კუთხით.

სტილზე მუშაობა

„დონ კიხოტში“ მოყვანილია ორი ნაწყვეტი ფელისიანო დე სილვას თხზულებიდან, რომლის „სტილის ბრწყინვალება და მაღალფარდოვანი სიტყვების რახა-რუხი ნამდვილ მარგალიტებად ეჩვენებოდა“ მოგზაურ რაინდს:

1. თქვენი კეთილგონიერების არაკეთილგონივრულობა ჩემი კეთილ-გონივრული აზრების მიმართ იმდენად მიბნელებს გონებას, რომ საესებით გონივრულად ვთვლი, უგონოდ ეგმო თქვენი მშვენიერება.

2. ცანი მაღალნი, ვარსკვლავთა მეოხებით თქვენი ღვთაებრიობის ღვთაებრივად განმამტკიცებელნი, იმ ღირსებათა ღირსად გქმნიან თქვენ, რისი ღირსიცაა თქვენი დიდებულება.

გაიაზრეთ თითოეული წინადადების შინაარსი და სტილისტურად გა-მართეთ ისე, რომ მათში ნახმარი ცალკეული სიტყვები გამოიყენოთ.



თქვენ ხართ მწერალი

1. წარმოიდგინეთ, რომ მოცემული რომანების ერთ-ერთ პერსონაჟს გადაეყარეთ. რომელთან შეხვედრას ისურვებდით? რაზე შეეკამათებოდით მას? რას პკითხავდით? დაწერეთ დიალოგი თქვენსა და მას შორის.

წინასწარი მონახაზი. ჩამოწერეთ თქვენ მიერ შერჩეული რომანის პერსონაჟთა სია. შემოხაზეთ იმ გმირის სახელი, რომელთან შეხვედრაც ისურვეთ. ჩაინიშნეთ, თუ რის შესახებ გინდათ ისაუბროთ.

წერა. დაწერეთ თქვენი დიალოგი ამ პერსონაჟთან. შეეცადეთ, საუბარი ერთი თემის ირგვლივ წარმართოთ. გამოიყენეთ სათანადო ლექსიკა, რომელიც არჩეული რომანის პერსონაჟის მეტყველებას შეეფერება.

შემოწმება. დარწმუნდით, რომ დიალოგი დამაჯერებელი და საინტერესოა. გამოიყენეთ თუ არა თანამოსაუბრის პასუხებისას ციტატები ნაწარმოებიდან?

2. ვთქვათ, ხართ მსოფლიო სახელის მქონე დამდგმელი რეჟისორი და იღებთ მოცემული რომანებიდან რომელიმეს. წარმოდგენილი ნაწყვეტებიდან შეარჩიეთ, თქვენი აზრით, ყველაზე ძლიერი ერთი ეპიზოდი და აღწერეთ, თუ როგორ გადაიღებდით ამ სცენას – ბუნებრივ გარემოში თუ დეკორატიულ სტუდიაში.

წინასწარი მონახაზი. გადაიკითხეთ ნაწყვეტი, რათა გადასაღებად სასურველი სცენა შეარჩიოთ. გაიაზრეთ, თუ ეფექტურად როგორ შეძლებთ მის გადაღებას და მოკლედ ჩაიწერეთ შენიშვნები გარემოს შესახებ.

წერა. გამოიყენეთ თქვენი წინასწარი მონახაზი და შენიშვნები, რათა აღწეროთ სტუდია ან ბუნებრივი გარემო. დარწმუნდით, რომ შესაბამისობაშია იმ სცენას განმარტავთ, რომლის გადაღებასაც აპირებთ.

შემოწმება. დარწმუნდით, რომ განმარტეთ ის, თუ რის გადაღებას აპირებთ და როგორ დაგეგმეთ მისი განხორციელება; გამოიყენეთ თუ არა ნაწარმოებიდან მართლაც შთამბეჭდავი დეტალები?

3. დაწერეთ წარმოდგენილი რომანების ეპიზოდებიდან ერთ-ერთის დასასრული, რომელშიც მოცემული იქნება ორიგინალისგან განსხვავებული დაბოლოება.

წინასწარი მონახაზი. გადმოეცით სქემა, თუ რა ხდება და ვინ მონაწილეობს ამ ეპიზოდში.

წერა. დაუწერეთ შერჩეულ ეპიზოდს თქვენეული დაბოლოება. გამოიყენეთ წინასწარ მონახაზში გაკეთებული ჩანაწერები, რომლებიც მისანიშნებლად შექმენით. დარწმუნდით, რომ ეს დასასრული განსხვავდება შერჩეული ეპიზოდის დაბოლოებისგან.

შემოწმება. მართალია, თქვენეული დასასრული ახლებურია, მაგრამ ის თხზულების წინარე მოვლენებიდან უნდა გამომდინარეობდეს. დაუკვირდით, ასეა თუ არა ეს. თუ არაა, შეიტანეთ ცვლილებები.

დავალება:

აღწერეთ სურათში წარმოდგენილი უდაბნოს პეიზაჟი



უდაბნოს პეიზაჟი

თქვენ ხართ კრიტიკოსი

1. დაწერეთ თხზულება, რომელშიც შეადარებთ და დაუპირისპირებთ ერთმანეთს ორი რომანის ორ პერსონაჟს.

წინასწარი მონახაზი. მოამზადეთ ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ორ პერსონაჟს შორის მსგავსება-განსხვავებანი.

წერა. ჩაინიშნეთ თქვენი თხზულების პირველი მონახაზი. დაიწყეთ იმით, თუ რით ემსგავსებიან გმირები ერომანეთს, ხოლო შემდეგ, თუ რით განსხვავდებიან ერთურთისაგან. საბოლოოდ, განმარტეთ, რა ეფექტს ახდენს პერსონაჟთა ხასიათების მსგავსება-განსხვავებანი მათ ურთიერთობაზე.

შემოწმება. შემოწმებისას დარწმუნდით, რომ მსგავსება-განსხვავებათა ჩვენებისას ნაწარმოებებიდან შესაბამისი დეტალები საკმაოდ გამოიყენეთ.

2. ვთქვათ, ხართ ლიტერატურული სალონის ან წიგნის კლუბის წევრი და კვირაში ერთხელ სხვებთან ერთად იკრიბებით. კლუბის წევრებისათვის წარმოადგინეთ ერთ-ერთი რომანის რომელიმე თემის თქვენეული ინტერპრეტაცია. დაწერეთ შერჩეული რომანის თემის დასკვნა.

წინასწარი მონახაზი. ხელახლა გადაიკითხეთ არჩეული თემის შემცველი ნაწყვეტი. თქვენიეე სიტყვებით მოკლედ ჩაიწერეთ თემის შესახებ საკუთარი ნაფიქრი.

წერა. თქვენეული ინტერპრეტაციის საფუძვლად გამოიყენეთ წინასწარი მონახაზის მასალა. დაწერეთ შესავალი და დასკვნა. ის მაგალითები მოიყვანეთ, რომლებიც თქვენს ინტერპრეტაციას გაამყარებს.

შემოწმება. დარწმუნდით, რომ თქვენეული ინტერპრეტაცია მოიცავს ძლიერ და შთამბეჭდავ შესავალს, დასკვნას, დეტალებსა და მაგალითებს, რომლებიც თემის შესახებ თქვენს თვალთახედვას განამტკიცებენ.

3. ვთქვათ, ხართ რომელიმე ლიტერატურული გაზეთის ან ჟურნალის მიმომხილველი და უნდა განიხილოთ წარმოდგენილი რომანების ნაწყვეტებიდან ერთ-ერთი. დაწერეთ მიმოხილვა, რომელშიც იმსჯელებთ თქვენს პოზიტიურსა და ნეგატიურ რეაქციებზე. განმარტეთ, თუ რატომ ურჩევდით, ან არ შესთავაზებდით ამ რომანს მკითხველს.

წინასწარი მონახაზი. ორ სვეტად ჩამოწერეთ შთაბეჭდილებები; პირველ სვეტში შეიტანეთ ის, თუ რა მოგეწონათ ნაწყვეტში, მეორეში კი – რა არის მიუღებელი თქვენთვის.

წერა. დაწერეთ მიმოხილვა. დაიწყეთ რომანის ავტორისა და სათაურის მითითებით, შემდეგ თითო-თითო აბზაცში გადმოეცით თქვენი უარყოფითი და დადებითი რეაქციები; ნაწარმოების მიმართ დამოკიდებულება დასკვნაში შეაჯამეთ.

შემოწმება. დარწმუნდით, რომ წიგნის თქვენეულ მიმოხილვას დამაჯერებელი შესავალი და დასკვნა აქვს. არის თუ არა გამყარებული თქვენი თვალსაზრისი რომანიდან მოყვანილი სათანადო მოტივებითა და მაგალითებით?

ეპიკური პოემა







ეპიკური პოემა ლექსად დაწერილი მრავალი თავისაგან შემდგარი ლიტერატურული ნაწარმოებია. მისთვის დამახასიათებელია გრძელი ამბის გადმოცემა, კომპოზიციური სირთულე, დიდი მოცულობა, მოქმედების ფართო სივრცობრივი გაშლა, დროის მოზრდილი მონაკვეთი, პერსონაჟების სიმრავლე, ხშირად გმირთა სახეების იდეალიზაცია, მოვლენათა ჰიპერბოლური აღწერა, დარბაისლური კილო. ეპიკურ პოემაში ასახულია გმირების ან ღმერთების თავგადასავალი, სიყვარულისა და რაინდობის ამბავი, დრამატული ისტორია ჩვეულებრივი ადამიანებისა. ეპიკურ პოემაში მკითხველი თვალს ადევნებს პერსონაჟის ხასიათის განვითარებასა და ჩამოყალიბებას, რომლის დროსაც უფრო მეტად ყურადღება მოვლენათა მსვლელობაზეა გადატანილი, ვიდრე უწყვეტ ემოციაზე. როგორც ეს ლირიკული პოეზიისთვისაა დამახასიათებელი.

ეპიკურ პოემაში მისი დიდი მოცულობისა და თემის სიდიდის გამო, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია საყურადღებო სურათი იმ კულტურისა, რომელშიც იგი შეიქმნა. უძველესი ხალხური პოემები თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირი გზით. მათ უმთავრესად სახალხო დღესასწაულებზე თავშესაქცევად წარმოთქვამდნენ და კარგა ხნის მანძილზე არც ჩაუწერიათ, ვიდრე კომპოზიციურად არ ჩამოყალიბდა და შეიკრა. ასეთ პოემებადაა მიჩნეული ბერძნული „ილიადა“ და „ოდისეა“. მხატვრული ეპიკური პოემა ხალხური პოემის მოდელის მიხედვით შეიქმნა, მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია მათი ავტორები და ისიც, თუ როდის დაიწერა. ამის ნიმუშებია რომაელი ავტორის, ვერგილიუსის „ენეიდა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

ეპიკური პოემებისათვის ნიშანდობლივია პერსონაჟთა ხასიათების სრულქმნილი წარმოსახვა და ეროვნული თუ საკაცობრიო იდეალების წარმოჩენა, აგრეთვე, სიკეთის გამარჯვების, ბოროტების ძლევის, ადამიანის თავისთავიან დაბრუნების ამბის აღწერა.



ჰომეროსი
ბიოგრაფია

(ძვ.წ. VIII საუკუნე)



დიდმა სახელმა და პოპულარობამ ჰომეროსი ძველთაგანვე ლეგენდარულ პიროვნებად აქცია. მისი პოემები ბერძნული, რომაული და, ზოგადად, ევროპული ეპოსის საფუძველი გახდა. სხვადასხვა ბერძნული ქალაქი ეცილებოდა ერთმანეთს ჰომეროსის სამშობლოდ აღიარების პატივს. ლიტერატურულ წყაროებში შვიდი ქალაქია მითითებული. შემონახულია ჰომეროსის ანტიკური ხანის რამდენიმე ბიოგრაფია რომაული ეპოქის რედაქციებით, აგრეთვე, არაერთი მეტ-ნაკლებად სანდო ცნობა პოეტის ცხოვრების ამა თუ იმ დეტალის შესახებ, რომლებიც სხვადასხვა თხზულებაშია გაფანტული. ყველა ამ მონაცემის მიხედვით, „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორობა მიეწერება ჰომეროსს; იგი დაიბადა მცირე აზიაში, ქ. სმირნას მახლობლად. მომავალი პოეტი ბევრს მოგზაურობდა და ერთ-ერთი მოგზაურობისას თვალის ჩინი დაკარგა, მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა შემოქმედებით მოღვაწეობას. მას დაარქვეს „ჰო მე ჰორონ“ ანუ „ის, ვინც ვერ ხედავს,“ რაც, ამავდროულად, „მძევალს“ ნიშნავს; გამორჩეულ ადამიანებს ძველ საბერძნეთში ხშირად ამ სახელით მოიხსენიებდნენ.

ჰომეროსის შემოქმედებით აღმავლობას კუნძული ქიოსი უკავშირდება. სწორედ აქ შექმნა მან უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებების ძირითადი ნაწილი. პოეტმა მთელ საბერძნეთში გაითქვა სახელი, მას სხვადასხვა ქალაქი იწვევდა, რის გამოც ხშირად მოგზაურობდა. გარდაიცვალა კუნძულ იოსზე, სადაც დაკრძალეს კიდეც.

როგორც ანტიკური ეპოქის ავტორებს, ისე თანამედროვე მკვლევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა ჰომეროსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ძვ.წ. XIII საუკუნიდან მოყოლებული ძვ.წ. VI საუკუნემდე თითქმის ნებისმიერი პერიოდი სახელდება, მაგრამ ყველაზე მისაღები ძვ. წ. VIII საუკუნეა მრავალი თვალსაზრისით, უპირველესად იმის გამო, რომ უკვე მომდევნო – ძვ.წ. VII საუკუნის ბერძნულ პოეზიასა და ხელოვნებაზე აშკარაა ჰომეროსის გაელენა.

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მეცნიერები განსაკუთრებით ინტენსიურად შეუდგნენ ჰომეროსის შემოქმედების შესწავლას, რათა საბოლოოდ დაედგინათ, თუ როგორ მუშაობდა პოეტი. შედეგებმა გარდატეხა შეიტანეს არა მხოლოდ პოემების გააზრების, არამედ იმ კულტურის შეფასების სფეროშიც, რომელმაც ისინი შექმნა.

ყარაულობენ, რომ ჰომეროსს არა დაუწერია პოემების ყველა მონაკვეთი. იგი იყო სახალხო მთქმელი და ამბებს სიმღერით გადმოცემდა. ანბანური დამწერლობის გავრცელებამდე ბერძნულმა საზოგადოებამ წარსულის შესახებ ცნობები უმეტესწილად ზეპირი უწყებებით შემოინახა. სალექსო საზომით გამართული ამბები ხელს უწყობდა ძველი გადმოცემების პოეტური ფორმის ჩამოყალიბებას. თანახმად ამ ტრადიციისა, ჰომეროსმა და მისმა წინამორბედებმა დაგეიტოვეს მოგონება საბერძნეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდის შესახებ, როდესაც გმირმა მეომრებმა დალაშქრეს შორეული ქალაქი ტროა და შემდეგ გადალახეს საშინელი დაბრკოლებები, როდესაც სამშობლოში დაბრუნებას ცდილობდნენ.

ჰომეროსის მსგავსმა მომღერლებმა სიყრმიდანვე იცოდნენ ამ საგმირო საქმეთა ამბები. ამაეე დროს, ისინი ფლობდნენ შესაბამის დახვეწილ მხატვრულ ხერხებს მათ გადმოსაცემად. ჰომეროსს ხელთ ჰქონდა ზეპირი გზით მოპოვებული სხვადასხვა სატოვანი ფორმულა, რათა აღეწერა განთიადი ან ზღვა, ან შუბის მტყორცნელი მეომრები, რასაც ადვილად აქცევდა სალექსო საზომის ჩარჩოებში. მან თავისი ეპოსი იმდენად არა ინდივიდუალური სიტყვებით შექმნა, რამდენადაც ხშირად განმეორებადი სიტყვების ერთობლიობით (ჰომეროსის ამ პოეტური სტილის შეგრძნება საკმაოდ ძნელდება თარგმანებში). დაკვირვება ანვენებს, რომ ჰომეროსის პოემების ერთი მეხუთედი გამეორებული სტრიქონებია.

ჰომეროსის ლექსიკა მომდინარეობს საბერძნეთის სხვადასხვა კუთხიდან და ეპოქიდან, რადგან ჩამოყალიბებული მხატვრული ფრაზები, რომლებსაც პოეტი იყენებს, იქმნებოდა და იხვეწებოდა ხანგრძლივი დროის მანძილზე და სხვადასხვა ადგილას. მისი პოეტური ენა გახდა თავისებური ნაზავი ძველი და ახალი, ნაცნობი და მოძველებული, ხმარებიდან

გასული სიტყვებისა, მაგრამ შესაბამისი პოემების ძველისძველი, ჰეროიკული თემატიკისა. ამ განსაკუთრებული ლექსიკის ღირსება ისაა, რომ იგი გვთავაზობს ფართო არჩევანს, რათა თარგმნისას გამოვიყენოთ ალტერნატიული სიტყვების მარაგი.

ბერძნული ლექსიკის ამგვარი მრავალფეროვნების შესახებ ჯერ კიდევ XI საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწე და მთარგმნელი წმ. ეფრემ მცირე მიუთითებდა, რომ „ბერძენთა ენა უფსკრულ ღრმა არს და იგიყე და ერთი სიტყვა მრავალსა პირსა აღიარებსო;“ ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჰომეროსის ლექსიკაში გამოყენებულია სამი სიტყვა მახვილის, ოთხი მუზარადის, ხუთი ლახვრის, ორმოცდაათი სხეულის სხვადასხვა ნაწილისა და ორმოცდათხუთმეტი განსხვავებული ჯღერადობის სიტყვების გადმოსაცემად. არჩევანის ეს მრავალფეროვნება ეხმარება პოეტს სალექსო საზომის შესაფერისი სიტყვის შერჩევაში.

უდავოა, რომ არსებობდა პიროვნება, რომელსაც ახლა ჰომეროსად მოვიხსენიებთ, განსაკუთრებული მგოსანი იონიის პოეტებს შორის. დაახლოებით ძვ.წ. 725 წელს, როდესაც ბერძნული ანბანის გამოყენება დაიწყეს, ვიღაცამ გადაწყვიტა ჩაეწერა ტროას ომის შესახებ შექმნილი ძველი სიმღერების თავისებური ვერსია, რათა ისინი არ დაკარგულიყო.

ოდისევსის ამბავი

„ოდისეადან“ წარმოდგენილ თავებში აღწერილ ამბებს წინ უსწრებს შემდეგი მოვლენები:

ტროას სამეფოს უფლისწულმა პარისმა გაიტაცა აქაველთა მეფე მენელაოსის ცოლი, ელენე. აქაველების ყველა წინამძღოლი, მათ შორის ოდისევსიც, გაეშურა ტროასკენ მშვენიერი ელენეს დასაბრუნებლად.

უნდა ვიცოდეთ, რომ ჰომეროსის პოემებში აქაველები ბერძნების ერთ-ერთი მთავარი სახელწოდებაა. ათი წელი ებრძოდნენ ისინი ტროელებს. სწორედ ოდისევსის რჩევის წყალობით შეძლეს ბერძნებმა ქალაქის აღება. აქაველებმა ააგეს ხის უზარმაზარი ცხენი, შემდეგ მოწინააღმდეგეს თავი მოაჩვენეს, თითქოს ბრძოლის ველი მიატოვეს და ხომალდებით სამშობლოსაკენ გაცურეს. ტროელებმა ირწმუნეს, რომ ხის ცხენი წმინდა კერპი, ღმერთების საჩუქარი იყო, რომელიც მათ ბედნიერებას მოუტანდა და თავიანთ მაღალქონგურებიან ქალაქში შეიტანეს. მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ ხის ცხენში იმალებოდნენ აქაველთა რჩეული მეომრები, მათ შორის – ოდისევსიც. შუაღამით ბერძენი მებრძოლები გამოვიდნენ ცხენიდან და ქალაქის კარიბჭე გაუღეს უკან დაბრუნებულ თანამებრძოლებს, შემოუშვეს სიმაგრეში და ამოხოცეს ტროელები, ხოლო ქალაქი გადაწვეს.

ღმერთები განრისხდნენ აქაველთა სისასტიკის გამო, განსაკუთრებით კი ზღვათა ღმერთი პოსეიდონი, და მათი დასჯა გადაწყვიტეს. ზღვათა მბრძანებლის მიერ მოვლენილმა საშინელმა ქარიშხალმა ბერძენთა ხომალდები ხმელთაშუა ზღვაში მიმოფანტა. როდესაც ქარიშხალი ჩადგა, გაირკვა, რომ ოდისევსი და მისი მეგობრები სამშობლოსაკენ მიმავალ გზას დიდი მანძილით ასცდენოდნენ. ათწლიანი ხეტიალისა და თავგადასავლის შემდეგ მხოლოდ ოდისევსი გადარჩა. საბოლოოდ მან მიაღწია თავისი სამშობლოს – ითაკას სანაპიროს, მაგრამ ხელგაშლილად არავინ დახვედრია.

ოდისევსის ათწლიანი ხეტიალისას ყველა ფიქრობდა, რომ მათი ბატონი დაიღუპა. ახალგაზრდა მამაკაცებმა თავი მოიყარეს ოდისევსის სასახლეში, რათა რომელიმე რჩეულს მეფის ცოლი პენელოპე შეერთო. ქალმა უარყო მათი წინადადება. იმისათვის, რომ პენელოპეს საკუთარი გადაწყვეტილება შეეცვალა, სასიძოები სასახლეში მოკალათდნენ, ატეხეს ღრეობა, სმა-ჭამა და აუტანელი გახადეს პენელოპესა და ოდისევსის

ვაჟის – ტელემაქეს სასახლეში ცხოვრება. როდესაც ტელემაქე წამოიზარდა, სამოგზაუროდ გაეშურა, რათა გაერკვია, თუ შეიძლებოდა, რომ მამამისი ცოცხალი ყოფილიყო. ტელემაქეს არყოფნისას საქმროები ჩასაფრდნენ, რათა შინ დაბრუნებული მეფისწული მოეკლათ; მაგრამ ტელემაქემ შეიტყო ამ გეგმის შესახებ, ითაკას უკაცრიელ სანაპიროს მიადგა, თავი აარიდა მკვლელებს და ქალაქში ფეხით დაბრუნდა.

ოდისევსის მფარველმა ქალღმერთმა ათენამ ერთმანეთს შეახვედრა მამა-შვილი. ზევსის ასულმა იცოდა სისხლმოწყურებული საქმროებისგან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ოდისევსს გარეგნობა შეუცვალა – ტროას გმირი აქცია მოხუც, ხეიბარ გლახაკად. ასე შენიღბული იგი დახმარების სათხოვნელად თავის ერთგულ მეღორესთან – ევმაიოსთან მივიდა. სწორედ ამ უკანასკნელის ქოხში შეხვდა მოგზაურობიდან დაბრუნებული ტელემაქე ოდისევსს. მამამ საიდუმლოდ გაუმხილა ვინაობა შვილს და მათ ერთად შეიმუშავეს გეგმა, თუ როგორ გასწორებოდნენ თავხედ სასიძოებს.

„ოდისეას“ მთავარი პერსონაჟები

ქვემოთ წარმოდგენილია „ოდისეას“ XVII-XXIII თავებში მოხსენიებული ის პერსონაჟები, რომელთა შესახებაც უნდა ვიცოდეთ ტექსტის კითხვისას.

ათენა – უზენაესი ღმერთის, ზევსის ასული, შობილი მამის თავიდან, სიბრძნის ქალწული ქალღმერთი, ოდისევსის მფარველი;

ამფინომოსი – დულიხიელი ნისოსის ვაჟი, პენელოპეს საქმროთა შორის ყველაზე გონიერი და დინჯი;

ანტინოე – ევპითეს ძე, სასიძოთა ერთ-ერთი მეთაური, რომელიც პოემაში სითაეხედითაა გამორჩეული;

არტემიდე – ზევსისა და ლეტოს ასული, აპოლონის და, ნადირობის ქალწული ქალღმერთი;

აფროდიტე – ზევსისა და დიონეს ასული, სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი;

ევმაიოსი (ევმე) – სირიის მეფის, კტესიოსის ვაჟი, რომელიც სიყმაწვილეში გაიტაცეს და ოდისევსის მამას – ლაერტეს მიჰყიდეს; ოდისევსის ერთგული მეღორე;

ევრიმახოსი (ევრიმაქე) – ოდისევსის ნათესავი და უახლოესი მეგობარი, ერთ-ერთი სასიძო;

ევრინომე – აქტორის ასული, ოდისევსის ცოლის – პენელოპეს მსახური ქალი, ევრიკლეას თანაშემწე;

ზევსი – უზენაესი ბერძნული ღმერთი, კრონოსისა და რეას ძე, პერას მეუღლე, ოლიმპიურ ღმერთთა უმეტესობის მამა, ჰექა-ქუხილისა და ელვის ღმერთი;

კრონოსი – ტიტანი,ზევსის მამა.

ლაერტე – არკესიოსის ერთადერთი ვაჟი, ანტიკლეას მეუღლე, ოდისევსის მამა;

ლეოდე – ოინოპსის ძე, პენელოპეს ერთ-ერთი საქმრო, მოკლული ოდისევსის მიერ;

მედონი (მედონტი) – შიკრიკი ოდისევსის სახლ'ში, ერთ-ერთი სასიძო;

მელანთევსი (მელანთიოსი) – დოლიოსის ძე, მელანთოს ძმა, ოდისევსის თხის მწყემსი;

მელანთო –მელანთევსის (მელანთიოსის) და, პენელოპეს ერთ-ერთი მსახური,საქმრო ევრიმახოსის საყვარელი.

მენტორი –ალკიმოსისა და ითაკეს ძე, ოდისევსის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი ითაკაზე;

ოდისევსი – ლაერტესა და ანტიკლეას ერთადერთი ვაჟი, პენელოპეს მეუღლე, ტელემაქეს მამა, ტროას ომის გმირი, ვისი რჩევითაც ააგეს ბერძნებმა ხის ცხენი და ქალაქი დაანგრიეს;

პენელოპე – იკარიოსის ასული, იფთიმეს და, ოდისევსის მეუღლე, ტელემაქეს დედა; იგი ოცი წელი ელოდა ქმრის დაბრუნებას;

პოსეიდონი – კრონოსის ძე, ზევსის ძმა, ზღვის ღმერთი;

ტელემაქე – ოდისევსისა და პენელოპეს ვაჟი;

ფემიოსი – ტერპიოსის ძე, ითაკელი მომღერალი, რომელიც სასიძოთაგან იძულებული ართობდა მათ ოდისევსის სასახლეში;

ფილოიტიოსი (ფილოტიოსი) – ოდისევსის ერთგული მუნახირე;

ჰელიოსი – მზის ღმერთი, მზე.

მომღერალი მგოსანი და მისი მსმენელი. „ოდისეას“ მერვე სიმღერაში ჰომეროსს შემოჰყავს უსინათლო დემოდოკე, რომელმაც ნადიმზე, მუზებისაგან შთაგონებულმა, ქნარზე ტკბილი სიმღერა წამოიწყო იმ გმირთა შესახებ, „რომელთა დიდება ცას მისწვდომოდა.“ მსმენელებმა იციან ის ამბავი, რომელსაც მგოსანი სიმღერით ყვება – ფაქტობრივად ესაა ოდისევსის ისტორია. როდესაც ტროას გმირი დემოდოკეს ნაამბობს ისმენდა, ყველასგან შეუმჩნეველად „ცხარე ცრემლმა ღაწვი დაუნამა“. ოდისევსმა იცის, თუ რა გადახდა თავს, მაგრამ ეს ცოდნა სრულებითაც არ ანელებს მის ემოციებს. ასეთივე ნაცნობი იყო პოემაში აღწერილი ისტორია იმ ეპოქის ბერძენისთვის, მაგრამ ჰომეროსის მიერ გადმოცემული კი მსმენლისათვის სულშიჩამწვდომი და კვლავ და კვლავ გულისამაჩუყებელი იქნებოდა.

ჰომეროსი როგორც მთხრობელი. მას შემდეგ, რაც პოეტის ნაამბობი ცხადი გახდა მკითხველისათვის, „ოდისეაში“ არაა დაფარული ის მოსალოდნელი ფაქტი, რომ ოდისევსმა სასიძოები უნდა დახოცოს. პოემაში მრავალადაა მინიშნება, თუ რა მოხდება; ესენია: მისნობით მომასწავებელი უწყებები, ქალღმერთ ათენას პირობა, ავტორის მიერ შემოთავაზებული დაკვირვების საშუალება. პოემის კითხვისას ეხედებით, თუ როგორ დასრულდება ნაწარმოები, ისევე როგორც ვაკვირდებით იმ გზას, რომლითაც ოდისევსი თავის მიზანს აღწევს. ასეთ აქცენტებს გეთავაზობს ჰომეროსი.

როგორც მთხრობელი, პოეტი იშვიათად აღწერს პერსონაჟებს ან სამოქმედო გარემოს. ამის მაგივრად იგი ფოკუსირებას აკეთებს ერთიორ სპეციფიკურ დეტალზე, დანარჩენს კი მკითხველის წარმოსახვას ანდობს, რათა სურათი შეივსოს. ჰომეროსი ასევე არ კარგავს დროს პერსონაჟების ხასიათების გადმოსაცემად. იგი უფრო იმას აღწერს, თუ რას აკეთებენ ისინი, ან რას ამბობენ მათზე სხვა პერსონაჟები. ჰომეროსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოქმედებას. პოეტის თვალთახედვით, პერსონაჟის ხასიათს უფრო ქმედება ავსებს, ვიდრე მისი საუბარი ან ფიქრი. შედეგად, პოემის კითხვისას მხედველობაში ყოველთვის პერსონაჟთა მოქმედების ჰომეროსისეული მხატვრული ფუნქცია უნდა გექონდეს.

ჰეროიკული საზოგადოება

ტრადიციულად ეპიკურ პოემაში ისტორიული სამყაროა აღწერილი; იმ ეპოქის ადამიანის ბუნება თანადროული მწერლისათვის უფრო გასაგებია, ვიდრე დღევანდელი მკითხველისათვის. ძველ ავტორს შეხება აქვს კონკრეტულ ისტორიულ მომენტში დაწინაურებულ პირებთან, ეძებს მათი გმირო-

ბის მაგალითებს. ასეთი ასპარეზი იყო ტროას ომი. ეპიკური პოემის სამყარო იცავს იმ კანონზომიერებებს, რომელთა თანახმადაც, აღწერილი უნდა იყოს არისტოკრატიის სიმამაცე რეალურ ბრძოლაში, პიროვნული ღირსების მაღალი გრძნობა, სიტყვისა და მეგობრის ერთგულება, რწმენა სიყვარულისა, – ესაა ამ კულტურის ეთიკური ნორმა. ჰომეროსი და მისი მკითხველი პოემას თავიანთი ზნეობრივი ფასეულობების გადმოსაცემად იყენებენ; თანამედროვე მკითხველიც ამ კუთხით უნდა შეეცადოს ეპიკური პოემის წაკითხვას. „ოდისეაში“ აღწერილი ამბიდან მთავარია არა ის, რომ ოდისევსი სასიძოებთან ბრძოლაში იმარჯვებს, არამედ, უპირველეს ყოელისა, ის, თუ როგორ ახერხებს ამას და გამართლება მიღწეული გამარჯვებისა. ეპიკურ პოემაში წარმოდგენილია, აგრეთვე, მეფე-მეომართა ვასალების ისტორია, რომლებიც, გარკვეული საზღაურის ფასად, ბრძოლებში მხარს უჭერენ თავიანთ პატრონებს; მაგრამ ეპოსში მთავარია არა ერთი რომელიმე განკერძოებული საზოგადოებრივი წრე, არამედ მკითხველი უნდა ეცადოს, რომ სხვადასხვა პერსონაჟს შორის დაინახოს თითქოს მოკრძალებული ხასიათი, რომელიც ძლიერი და დიდი ღირსებების პიროვნებაა.

ღმერთების როლი. ჰომეროსის სამყაროს ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა პოემებში განვითარებულ მოვლენებში ღმერთების ხშირი ჩარევა, რაც ანცვიფრებს თანამედროვე მკითხველს. ჰომეროსისათვის მისაღებია, რომ ღმერთი ადამიანს რაიმე ქმედებისას მხარში ედგეს. ისინი თავისუფლად ირჩევენ სამოსს, იღებენ სასურველ სახეს, იცვლიან გარეგნობას, საუბრობენ და მოქმედებენ, იბრძვიან იმის მხარეზე, ვისაც აირჩევენ; თუმცა ჰომეროსი ღმერთებს არ წარმოსახავს რაღაც მორალური კანონებით მოქმედ პერსონაჟებად, როდესაც ისინი ვიღაცის ბედს წყვეტენ. შედეგად, მკითხველი პირისპირ დგება იმის წინაშე, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები ღვთაებათა ამ მისტერიულ შემოჭრას მათ ცხოვრებაში.

ოდისეა

(თარგმნა პანტელეიმონ ბერაძემ)

სიმღერა მეჩვიდმეტე

რა გარიჟრაჟზე ვარდფერთითა ეოსი[1] იშვა,
სწრაფად მოირგო ტელემაქემ ფეხზე სანდლები,
ღმერთების მსგავსმა ოდისევსის ძვირფასმა შვილმა,
მერე აიღო ხელში მარჯვედ მაგარი შუბი

[1] ეოსი – განთიადის ქალღმერთი

და ქალაქისკენ მიმავალმა უთხრა მეღორეს:
„ქალაქს მივდივარ, მამობილო, მსურს ენახო დედა. ეიცი,
არ შესწყვეტს იგი მანამ მოთქმა-გოდებას, ცრემლების
ფრქვევას, ვაი-ვაგლახს, გლოვას და წუხილს, თავისი
თვალით ვიდრე სახლში არ დამინახავს.
მე კი ამას გთხოვ, ამ უცხო კაცს გაჰყევ ქალაქში,
იქ იმათხოვროს, ყველა მისცემს სამადლოდ რამეს...
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
„თეითონ არ მინდა, მეგობრებო, თქვენთან დარჩენა.
მიჯობს ქალაქში მათხოვრობა, ვიდრე სოფელში.
იქ პურის ნატეხს წამომიგდებს ვინმე სამადლოდ.
ერთ ადგილს ყოფნა ჩემს ასაკსაც აღარ შეჰფერის,
რომ აქ შენს მწყემსებს შევყურებდე, ფეხქვეშ გაეგო,
შენი გზა ნახე, მე წამიყვანს, აი, ეს კაცი;
კარში ჯერ ცივა, და ისა სჯობს, ცეცხლს მივეფიცხო,
ცუდად მაცივა, ეშიშობ, ჭირხლმა არ გამაციოს.
როგორც ამბობენ, შორს ყოფილა თქვენი ქალაქი“.
აღარ დაყოვდნა და გაუდგა გზას ტელემაქე,
მიიჩქაროდა სასიძოთა ავისმზრახველი.
მალე მივიდა მტკიცედ ნაგებ დიდებულ სახლში,
შუბი წინკარში მიაყუდა ერთ მაღალ სეეტზე...
სახლის წინ მოედანზე სასიძოები
იყვნენ გართულნი ბადროსა და შუბის ტყროცნაში,
თავს ჩვეულებრივ აქ იყრიდნენ თავგასულები.
ახლოვდებოდა სერობის დრო და მინდერებიდან
ერეკებოდნენ ბინებისკენ მწყემსები ნახირს.
მაშინ მიმართა სასიძოებს სიტყვით მედონმა,
გზირთაგან უფრო საყვარელმა, მათმა ამფსონმა:
„ჭაბუკნო, რაკი დაიოკეთ გული თამაშით,
შეეიდეთ სახლში და შეეუდგეთ ლხინის თადარიგს,
ცუდი როდია თავის დროზე სუფრასთან ჯდომა“.
მეგობრის რჩევა მოეწონა ყველა სასიძოს,
უმალ შეეიდნენ უცხოდ ნაგებ დიდებულ სახლში,
მოსასხამები მიაფინეს სკამებს, საეარძლებს
და კვლა დაუწყეს თხებსა და ცხვრებს, კარგად ნასუქებს,
ჩათქვირულ ღორებს, იალაღზე ნაძოვარ ძროხას,
ყველას სადილად რომ ყოფნოდა, ამ დროს მეღორე
და ოდისევსი ქალაქისკენ ფიქრობდნენ წასვლას.

მაშინ ოდისევსს უთხრა მწყემსმა კაცთა უფროსმა:
„უცხო სტუმარო. დღეს აპირებ ქალაქში წასვლას,
45. როგორც ისურვა მბრძანებელმა ბატონმა ჩემმა,
თუ ფიქრობ, ჩვენთან, აქ ეზოში, დარჩე დარაჯად?
მაგრამ რიდი მაქვს მე იმისი, ვაითუ მლანძღოს,
აბა, გაკიცხვა ბატონისგან ეის უხარია.
მოდი, წავიდეთ, ხედავ, უკვე დღე იწურება,
50. საღამოს ჟამი მეტ სიცივეს დაიჭერს კიდევ“.
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
„მეც მიფიქრია და ვიცოდი, რასაც მეტყოდი,
წავიდეთ, თან გთხოვ: მუდამ ჩემთან იყო ბოლომდე.
მონახე ერთი, თუ ხათრი გაქვს, მაგარი ჯოხი,
55. დაეებჯინები, აკი მითხარ, გზა სლიპიაო“.
ეს თქვა და მხრებზე გადაიგდო ძველი ხურჯინი,
სულ დაგლეჯილი, დაკონკილი, ბაწრით შეკრული,
ხელში კი ჯოხი ევმეოსმა მისცა საბჯენად,
გზასაც გაუდგნენ. მწყემსები კი, ძაღლებთან ერთად,
60. დარაჯად დარჩნენ. მას ბატონი ქალაქს მიჰყავდა,
ერთი საბრალო ბერიკაცის, მათხოერის-მსგავსი,
ჯოხს დაბჯენილი, ძველმანებში გამოხვეული.
როდესაც განელეს გზა საელელად მეტად სამძიმო,
წყაროს მიადგნენ მოჩუხჩუხეს ქალაქის ახლოს.
65. სიდანაც ხალხი წყალს იღებდა...
წამოეწიათ მწყემსს და ბატონს მელანთიოსი,
სასიძოთათვის სულ დარჩენულ თხებს მირეკავდა,
მარტო არ იყო, ორი მწყემსი ახლდა დამხმარედ.
რა თვალი მოჰკრა გზად მიმავალთ, ორიე აგინა,
70. ბილწი სიტყვებით აუმღერია გული ოდისევსს:
„ერთი შეხედეთ, როგორ მიჰყავს გლახაკს გლახაკი,
ფერი ფერსა და მადლი ღმერთსო, ამათზე თქმულა.
აბა, სად მიგყავს ღორის მწყემსო ეს მათხოვარი,
ყველგან მაგიდის ამლოკავი, ამსლექი ენით.
75. მაგას სხეის კარზე გვერდის ფხანა არ მოსწყინდება.
რად უნდა შუბი, დაგჯერდება პურის ნამცეცებს,
რომ დამითმობდე, ავიყვანდი ეზოს დარაჯად,
ციკნებს ნორჩ ფოთლებს დაუკრეფდა, ყურს მიუგდებდა,
დოს შეთქლეფდა და შეატანდა ზედაც თხის კანჭებს,

მაგრამ ცუდისკენ აქვს თვალ-ყური მაგ არამზადას.
საქმის რა იცის, ურჩევნია კარდაკარ რბენა,
ოხერი კუჭის ამოყორება წამოგდებულით.
ეს სიტყვა მითქვამს და ახდება სრული სისწორით.
ერთი შებედოს ოდისევსის სახლ-კარში შესვლა;
მაგ უქნარასკენ წამოსული მძიმე სკამები
სულ ერთიანად სულ გეერდებზე შეელეწება".
ეს თქვა და ბრიყვმა ერთი წიხლიც თან მიაყოლა,
მაგრამ ოდისევსს ადგილიდან ძვრაც კი ვერ უყო.
მტკიცედ მდგარს გულში ორი აზრი უტრიალებდა:
ჯოხი დაერტყა, იქვე სული გაეცხებინა,
თუ აეწია და მიწაზე მყის დაეთხლიშა.
მაგრამ გამაგრდა, ბოლმა გულში ღრმად ჩაიხვია...
მივიდნენ ოდისევსი და მწყემსი სახლთან,
შორ-ახლოს შესდგნენ, ხმა საკრავის ჟღერდა დარბაზში
და სასიმღეროდ ფემიოსი ემზადებოდა.
აქ ოდისევსმა მწყემსს ჩაჰკიდა ხელი და უთხრა:
„ჩემო ევმეოს, ოდისევსის სახლი ეს არის მრავალთა
შორის სულ ადვილად გამოსარჩევი?!... სჯობს, წინ
წახვიდე, უკან ფრთხილად მე გამოგყევები.
ცემა როდია ჩემთვის უცხო, დაჩვეული ვარ. მტკიცე
ვარ სულით მე ათასი ჭირის მნახველი ზღვასა თუ
ომში, მოსახდენი სჯობს დროზე მოხდეს, ოხერ კუჭს
კაცი, რომ უნდოდეს, ვერსად წაუვა.
ათას ჭირ-ბოროტს შეჰყრის იგი მოკვდავთა მოდგმას.
კაცი ყოველთვის ზღვებზე მავალ გემს მისთვის აგებს,
ტიალ სივრცეში მტერს ვაება თავს დაატეხოს".
სანამ ამგვარად ერთმანეთში ლაპარაკობდნენ,
ძაღლმა არგოსმა ყური ცქვიტა წინკარში მწოლმა,
იგი ოდისევსს გაეზარდა დიდად ჭირნახულს,
მაგრამ წავიდა ილიონში[2] და ვერ მოასწრო
არგოსის გაწრთენა, თუმც ყმაწვილნი ძაღლს აგეშებდნენ
გარეულ თხებზე თუ კურდღლებზე, ზოგჯერ შველზედაც.

[2] ილიონი — იგივე ტროა, ტროადის სახელგანთქმული სატახტო, უფრო იგულისხმება მისი კედელი — გალავანი და სიმაგრე. ააშენა ილოს ტროსის ძემ, ფრიგიის დიდ ასპარეზობაზე გამარჯვების შემდეგ, — იმ ადგილას, სადაც იქაური მეფის ნაჩუქარი ძროხა დაწვა.

ახლა შინ ეგდო ის პატრონის უმეთვალყუროდ,
წინკარში დაყრილ ნაკელსა და ნაგვის გროვაში.
ჯორ-ცხენთა ფუნას გამუდმებით აქ აგროვებდნენ,
რომ მოენაკლათ ოდისევსის ერცელი ყანები.
აქ ეგდო არგოს, ძაღლის ტილი მოსძალებოდა.
რა იგრძნო იმან ოდისევსი ახლოს მოსული,
თაეი ასწია და დაიწყო კუდის ქიცინი,
ღონე სად ჰქონდა იმ საცოდავს პატრონთან მისვლის!
ჩამოიწმინდა ოდისევსმა თვალთაგან ცრემლი
ევმეოსისგან დაფარულად და მერე ეს თქვა:
„მიკვირს, ევმეოს, ამ ნაკელზე ძაღლი რატომ წევს,
შესახედავად თუმც კარგი ჩანს, მაგრამ ვერ ვიტყვი,
მისი სისწრაფე თუ შეჰფერის მის გარეგნობას,
უხვი ბატონის სუფრის ირგელივ ხტომას ჩეეული,
იქნებ ჰყავთ ახლა შნოს გულისთვის, თაეგასართობად?"
პასუხად უთხრა ევმეოსმა, ღორების მწყემსმა;
„ნეტავ ეს ძაღლი შორს დაღუპულ ჩემს ძლიერ პატრონს
შინ დახვედროდა ძველებურად მკვირცხლი და მარდი,
როგორც დასტოვა ის ტროაში გამგზავრებისას.
გაგაკვირვებდა ადრე მისი ღონე, სიმარდე,
მხეცს, მისგან დევნილს, ტყის სიხშირე ვერ დაიცავდა.
არ ჰყავდა კვალის მოძებნაში ძაღლი ბადალი.
ახლა აქ გდია, პატრონი კი შორს დაღუპულა.
აბა, ქალებს კი ძაღლის ყადრის რა გაეგებათ...
ეს რომ თქვა, უმალ უცხოდ ნაგებ სახლში შევიდა,
სასიძოებთან დადგა ახლოს ფართო დარბაზში.
ხოლო არგოსს კი წილად ერგო შავი სიკვდილი,
მეოცე წელზე ოდისევსის დანახვის მომსწრეს.
ყველაზე ადრე ტელემაქემ, ღმერთის სადარმა,
შენიშნა სახლში შემოსული ღორების მწყემსი,
და მიიწვია. ის კი ირგელივ იხედებოდა.
აიღო სკამი მორიგესი, ვინც სასიძოებს
სუფრაზე მუდამ ხორცის ნაჭრებს უნაწილებდა.
მეღორემ სკამი ტელემაქეს პირდაპირ დადგა.
რომ დაჯდა, გზირმა წინ დაუწყო გაშლილ სუფრაზე
ხორცის ნაჭრები, დაულაგა პურიც სამყოფი.
მწყემსს უკან მიჰყვა ოდისევსი ჯოხს დაყრდნობილი,

ეროი საბრალო, საცოდავი მათხოერის მსგავსი,
მოხუცებული ძველმანებში გამოხვეული.
კოპიტის ზღურბლზე კარის შიგნით ჩამოჯდა იგი
და კეიპაროსის წირთხლს მიეყრდნო, რომელიც ოსტატს
მარჯვედ ლარით და სალაშინით გამოეყვანა.
მაშინ მიიხმო ტელემაქემ ღორების მწყემსი,
მოზრდილი პური ამოიღო დიდ კალათიდან,
სორცის ნაჭრებიც, რაც ხელს მოჰყვა და მწყემსს მიმართა:
„ჰა, მიუტანე ეს იმ მოხუცს, თანაც ურჩიე,
ჩამოუაროს სასიძოებს მოწყალებისთვის,
მათხოერებს რიდი ან სირცხვილი როდი ფერობს-თქო".
წამოდგა მწყემსი, ოდისევსთან მივიდა ახლოს,
არ დააყოვნა და ფრთოვანი სიტყვით მიმართ:
„ამას გიგზავნის ტელემაქე და გირჩევს თანაც,
ჩამოუარო სასიძოებს მოწყალებისთვის,
მათხოერებს რიდი ან სირცხვილი როდი ფერობთო"
პასუხად უთხრა ოდისევსმა სიბრძნით ქებულმა:
ო, ზევსმა მისცეს ტელემაქეს ყოველი კარგი
და განზრახული ყოველივე აღსრულებიდეს".
თქვა და აიღო მოსაკითხი ორივე ხელით
და ჩაალაგა ძველ ხურჯინში, დაიწყო ჭამა,
ვიდრე დარბაზში მომღერალი ტკბილად მღეროდა.
როცა დანაყრდა, მომღერალიც მორჩა სიმღერას,
მაშინ დარბაზში ახმაურდნენ სასიძოები.
ამ დროს ურჩია ათენამაც ჩუმად ოდისევსს,
რომ სამათხოეროდ სასიძოებს ჩამოუაროს
და გაარჩიოს, რომელია კარგი და ავი,
თუმცა არც ერთის ქომაგობას არ აპირებდა.
ჩამოიარა ოდისევსმა გაწვდილ მარჯვენით,
თითქოს თაეისი დღემოსწრება სულ ემათხოეროს.
ყველამ გაიღო მოწყალება, თან კითხულობდნენ:
ეინ არის, ანდა აქ საიდან ჩამოსულაო?
მაშინ ასე თქვა თხების მწყემსმა მელანთიოსმა:
„დიდი დედოფლის საქმროებო, ეერაფერს გეტყვით
ამ უცხო კაცზე. ის მე მხოლოდ ახლახან ენახე,
წელან აქეთკენ რომ მოჰყავდა ღორის მწყემსს იგი.
არ ეიცი, თაეი მას რით მოაქვს, ეისი შეილობით".
მაშინ ნაწყენმა ანტინოემ უთხრა ევმეოსს:

„ბრიყვო, ქალაქში ეს უქნარა რად მოიყვანე,
განა გეაკლია ამ ოჯახში მუქთახორები,
მშიერ-გლახაკნი, სასმელ-საჭმელს დანატრულები?
იქნებ გგონია, რომ სჭირდება მჭამელი ბატონს,
ახალს რომ იწვევ, აქ მჭამელი ცოტაა განა?!"
პასუხად უთხრა ევმეოსმა, ღორების მწყემსმა:
„მართალს არ ამბობ, არ გაკლია თუმცა ღირსება,
აბა, მითხარი, ვინ მოიწვევს სახლში უცხო კაცს,
თუ არ საჭიროს, გამოსადეგს ოჯახისათვის –
მკითხაოს ან მკურნალს, ან გამოცდილ დურგალს და სუროს,
ანდა მომღერალს, ხალხის გამრთობს ტკბილი სიმღერით,
მათ ყველა იწვევს ამა ქვეყნის მოკვდავ კაცთაგან,
აბა, მათხოვარს ვინ მოიწვევს შემჭმელს და შემსმელს:
ყველაზე მკაცრად შენ ეპყრობი სასიძოთაგან
ოდისევსის ყმებს. ხოლო მე კი – იმათზე მკაცრად.
მაგრამ რა მიჭირს, სანამ კარგად მყავს პენელოპე
და შვილი მისი ტელემაქე, ღმერთის სადარი".
მაშინ მწყემსს უთხრა ტელემაქემ კეთილმა მოყმემ:
„გაჩუმდი, კმარა, რად გჭირდება ამდენი სიტყვა,
სუყველამ იცის ავენობა ანტინოესი,
თვითონაც დაობს და სადაოდ სხვებსაც აქეზებს"
მერე მიმართა ანტინოეს ფრთოვანი სიტყვით:
„კარგ მამასავით, ანტინოევ, ზრუნავ შენ ჩემზე,
ხამს ვაიძულო უცხო კაცი, წავიდეს ჩემგან,
არა და არა, დამიფაროს ღმერთმა ამისგან.
რაც გსურდეს, მიეც, როდი გიშლი, მე თვითონ გიწვევ,
ნუ ერიდები ნურც დედაჩემს, ნურც მსახურს ვისმე,
ვინც ოდისევსის სასახლეში დღეს იმყოფება.
მაგრამ ამაზე როდი ზრუნავ, სულ სხვა გაქვს ფიქრად,
ის გირჩევნია, შენ შეთქვლიფო, ვიდრე სხვას მისცე".
ეს თქვა და მაშინ ანტინოემ უთხრა პასუხად:
„აბა, რას ბოდავ, ტელემაქე თავაგდებულო,
ყველა სასიძო მას რომ ასე გაუმასპინძლდეს,
მაშინ სამი თვით იგი ამ სახლს დაივიწყებდა".
ეს რომ თქვა, ხელი გაბრაზებით სკამს წამოაელო,
რომელზეც დებენ ფეხს დარბაზში ლხინის დროს ხოლმე.
სხვებმა რა მისცეს მოწყალება – ხორცი და პური,

მაშინ მობრუნდა ოდისევსი, რომ ისევ ზღურბლთან
ჩამომჯდარიყო და მადლობა ეთქვა ყველასთვის,
მაგრამ შედგა და ანტინოეს მიმართა ასე:
„მომეცით რამე, მეგობარო, არ ჩანხარ ცუდი,
ქვეყნის მბრძანებელ მეფეს ჰგავხარ თვალტანადობით,
მიტომაც გფერობს, რომ მომაგო ყველაზე მეტი,
მე კი ამ ქვეყნად შენზე ქება არ მომწყინდება
ერთ დროს მეც შემძლე კაცი ვიყავ, მქონდა სახლ-კარი,
მდიდრად ვცხოვრობდი, ვიბრალებდი ყველა მოხეტეს,
ვინც კი ბედითად ჩვენს ქალაქში გამოიელიდა.
ყმა და მსახური ბლომად მყავდა, კარგად ვცხოვრობდი,
რისთვისაც მდიდრად, შეძლებულად ვიწოდებოდი,
მაგრამ ყოველის იავარქმნა ინება ზევსმა...
მაშინ ოდისევსს ანტინოემ უთხრა პასუხად:
„რომელმა ღმერთმა ჩაგვიშხამა ლხინი ამ ჭირით
ახლავე სუფრას გაეცალე, გვერდზე დაეგდე...
ვისაც კი სთხოვა მოწყალება, სუყველამ მისცა,
რა ენაღვლებათ სხვის დოელათზე ხელგაშლილობა,
ხომ უხვად ყრია ყოველივე იმათ წინაშე!'
დადრკა უკანეე ოდისევსი და ჰკადრა სიტყვა:
„ვაიმე, ვაი, კაცის სახე როგორ გვაცთუნებს!
შენს სახლში ალბათ არც კი გასცემ ერთ კვნიტ მარილსაც,
თუ პურის ფინჩხაც სხვისას ასე დაგნანებია,
როდესაც სუფრა ლამის ჩატყდეს სასმელ-საჭმელით!'
ეს რომ თქვა, უფრო გაუბრაზდა მას ანტინოე.
რისხვით მზირალმა მას ფრთოვანი სიტყვით მიმართა:
„ეერ ელირსები ამ სახლიდან მშვიდობით წასვლას,
რომ აგვიკეღი უსირცხვილოდ ლანძღვა-გინებით".
ეს თქვა და სკამი მიაყოლა მარჯვენა მხარში,
ოდისევსი კი კლისებრ მტკიცედ, უძრავად იდგა,
მისი ნატყორცნი აინუნშიც არ ჩაუგდია,
მხოლოდღა თავი შეარხია დაძმარებულმა.
უმალ მივიდა იგი ზღურბლთან და ზედ ჩამოჯდა...
ამ თავხედურმა სიტყვამ უცებ აღანთო ყველა
და ჭაბუკთაგან ერთმა ასე უთხრა პასუხად:
„არ არის კარგი, ანტინოე, ბეჩავის ცემა!
ვაითუ ერთი ზეციერი ღმერთთაგანია!

ზოგჯერ ღმერთები, მოგზაურებს მიმსგავსებულნი,
სახეშეცვლილნი მიმოდიან ჩვენს ქალაქებში
კაცთა სიავის და სიკეთის სამეთვალყუროდ“.
ასე ამბობდნენ სასიძონი, ხოლო ის დუმდა.
ამის დამნახველ ტელემაქეს ბოღმა ახრჩობდა,
მაგრამ თვალთაგან ერთი ცემლიც არ დასდენია,
მხოლოდ ერთხელ კი გააქნია მან თავი მწყრალად...

სიმღერა მეთვრამეტე

— მაშინ ათენამ ჩააგონა თვალებციმციმამ
იკარიოსის ასულსა და ქალთა მშვენებას,
რომ მისი ხილვით სასიძონი დაბნედილიყვნენ,
ვიდრე ოდესმე დაბნედილან და მოხიბლულან,
უფრო ძვირფასი გამხდარიყო ქმარ-შვილისთვისაც.
გაღიმებულმა პენელოპემ მსახურ ქალს უთხრა:
„ო, ევრინომე, მომიწოდებს სული საოცრად,
ისე ეჩვენო ჩემს საქმროებს, როგორც აროდეს.
შვილს ეუთხრა სიტყვა ცხოვრებაში გამოსადეგი,
დროა, თავგასულ სასიძოებს ჩამოშორდე-თქო,
რომლებიც პირში მოყვრობენ და ზურგსუკან მტრობენ“,
პასუხად უთხრა ევრინომემ მსახურმა ქალმა:
„შვილო, ყველაფერს მართალს ამბობ, ვით წესი ითხოვს,
მიდი და ახლა ყოველივე უთხარი შენს შვილს,
მაგრამ ჯერ ტანი დაიბანე, ფერი წაისვი.
ნუ ჩამოგტირის დღენიადაგ ეგ პირისახე,
აბა, რას გარგებს შენ მარადჟამს გლოვა და სევდა,
უკვე მოესწარ შენი შვილის მოწიფულობას,
რასაც ნატრობდი, უკვდავ ღმერთებს ევედრებოდი.
პასუხად უთხრა პენელოპემ დარბაისელმა:
„ო, ევრინომე, ნუ მარწმუნებ დარდით შეპყრობილს,
რომ განეიბანო, ან წავიცხო ნელსაცხებელი.
წარუტაციათ ჩემი ეშხი ოლიმპის ღმერთებს
იმ დღიდან, როცა ოდისევსი ავიდა გემზე.
ერთი აქ მიხმე ანტინოე და პიპოდამე,
რომ ამოვიდნენ ამ დარბაზში და მინახულონ,
თუ არვინ მახლაეს, მერიდება კაცებში გასვლა“.
დასტოვა უმალ ევრინომემ მყუდრო დარბაზი,

ქვემოთ ჩავიდა მსახურ ქალთა წამოსაყვანად.
მაშინ იაზრა სულ სხვა რამე ათენ ქალღმერთმა:
იკარიოსის ასულს ჩუმად ძილი მოჰგვარა
და სავარძელში ჩათვლემილი ღრმად ჩააძინა.
მაშინ ქალღმერთმა დააფრქვია უხვად წყალობა,
რომ მისი ხილვით აქაველნი განკრთომილიყვნენ.
ჯერ გაუკეთა პირისასე ამბროზიოსით,
რომელსაც ისვამს აფროდიტე სახეზე მუდამ,
როცა ქარიტთა ტურფა გუნდში აპირებს წასვლას,
გამოჩნდა მაშინ პენელოპე უფრო მაღალი,
სპილოს ძვლის ფერზე უთეთრესი, ხილვად საამო.
რა სრულჰყო საქმე, მყის დასტოვა ქალღმერთმა სახლი.
ამ დროს დარბაზში შემოვიდნენ მსახურნი ქალნი,
მათ ლაპარაკზე პენელოპეს გამოეღვიძა, ხელი
მოისვა ლოყებზე და ასე თქვა თანვე: სევდით
შეპყრობილს ნაზი ძილი შემომპარეია,
რად არ მომივლენს არტემიდე ასეთ ნაზ სიკვდილს,
რომ გულს მარადჟამს მწუხარება არ მიდაგვიდეს
ჩემი ძვირფასი, საყვარელი, ვაჟკაცი ქმრისთვის,
ვინც სიჩაუქით სჯობდა ყველას არგოსელთ შორის".
თქვა და დასტოვა მან სავანე გაბრწყინებული,
მარტო კი არა, ორი მონა ქალის თანხლებით.
სასიძოებმა რა იხილეს ქალთა ღვთაება,
ვრცელი დარბაზის შესასვლელში კარს მიყრდნობილი,
მბზინავ მანდილით პირისახე რომ დაებურა
და ორთავ მხარეს უდგა ორი მსახური ქალი,
უმალ მუხლები მოეკვეთათ ალმოდებულებს,
ყველას მოუნდა სარეცელზე მასთან დაწოლა.
მაშინ ძვირფას ძეს პენელოპემ მიმართა ასე:
„არ გაქვს სიმტკიცე, ტელემაქევ, და არც მიხვედრა,
ყრმობის ჟამს გული უფრო მტკიცე, უფრო მხნე გქონდა,
ვიდრე გაქვს ახლა, როცა გახდი ასაკოვანი.
თუმც შენი სახის, ტანადობის მნახველი კაცი
იტყვის, უცილოდ ღირსეული მამის ძეაო,
ჭკუით; სიმტკიცით ჯერჯერობით კი ვერ დაიკვეხ.
ახლა, რაც ხდება ჩვენს დარბაზში, როგორღა ითმენ,
ნება რად დართე, უცხო კაცი ბილწად ელანძღათ!

კიდეე რა გინდა! სირცხვილია, უცხო სტუმარი
ჩვენს სახლ'ში ამდენ გინებას და ლანძღვას იტანდეს,
რამ განარიდოს აწ შენს სახელს მწიკლი, შერცხვენა!"
პასუხად უთხრა ტელემაქემ, კეთილმა მოყმემ:
„ეჰ, დედაჩემო, გულმოსული რასაც მაყვედრი,
მეც კარგად ვიცი, მგონი, ვარჩევ ავს კარგისაგან.
შენ ნუ გგონია, ისევ ისე ყმაწვილი ვიყო,
თუმც ვერ ვახერხებ ზოგჯერ საქმის სისწორით განსჯას,
მაგრამ ხომ ხედავ, მახვევია ავის მზრახველნი,
გზა-კვალს მიბნევენ და არ ვიცი, როგორ მოვიქცე.
დედა და შვილი ერთმანეთში რომ საუბრობდნენ,
მათთან მოვიდა ევრიმაქე და ასე უთხრა:
„იკარიოსის მხნე ასულო, დარბაისელო,
მთელი არგოსის აქაველებს რომ დაენახვო,
მაშინ აქ ლხინში ბევრად მეტი სასიძო მოვა,
რადგან ყოველ ქალს ისე ძლიერ აღმატებიხარ
თვალტანადობით და გონების გამჭრიახობით".
პასუხად უთხრა პენელოპე დარბაისელმა:
„ჩემი სიტურფე, ევრიმაქევ, მოსპეს უკვდავთა,
რაც ილიონ'ში გაემგზავრნენ არგიველები,
მათ შორის ჩემი ოდისევსი, ძვირფასი ქმარი.
ის რომ დაბრუნდეს, კელავ სიცოცხლე დამიბრუნდება,
ვინ იქნებოლა ქალთა შორის ჩემებრ რჩეული?
ახლა კი რა ვარ, ღმერთებისგან ასე გვემული?!
მამა-პაპათა მხარეს როცა სტოვებდა იგი,
მარჯვენა ხელი აღაპყრო და მომმართა ასე:
„კარგად არიან აღჭურვილნი აქაველები,
მაგრამ ომიდან ყველა სახლში ვერ დაბრუნდება.
როდი ჰყავს ტროას ძაბუნი და ლაჩარი ვაჟნი!
შუბის თუ ისრის შორს ტყორცნაში კარგად გაწვრთნილნი
სწრაფცხენებიან ეტლებიდან მარჯვედ იბრძვიან
და ომის ბედსაც მალე სწყვეტენ შეუპოვარნი.
ტროას კედლებთან დამღუპავს, თუ მაცოცხლებს ღმერთი,
ეგ როდი ვიცი, მიტომ გმართებს შენ მეტი შრომა:
უნდა იზრუნო დედ-მამაზე, სახლ-კარს მიხედო
ჩემს არყოფნის დროს უფრო მეტად, ვიდრე აქამდე.
ხოლო როდესაც ჩვენს ძეს უკვე გაზრდილს იხილავ,

გაჰყევ, ვისაც გსურს, ამ სახლ-კარის დამტოვებელმა".
მეუბნებოდა იგი ასე. ამიხდა კიდეც.
დადგება ღამე საზიზღარი ქორწინებისა,
შავ ბედს ვწევეივარ ზევსის ნებით მე ბედმიხდილი,
მას ერთვის სულის კაეშანი და გულს მიშფოთებს.
სხვა წესი ჰქონდა წინათ ქალის გათხოვებასაც:
თუ ვინმე გულით ქორწინებას განიზრახავდა
კარგი ოჯახის ქალიშვილზე, იმას ცდილობდა,
საცოლეს სახლში მიერეკა ძროხა და ცხვარი,
ლხინს გიმართავდა, მოიტანდა ძვირფას საჩუქრებს,
მაგრამ უსაზმნოდ სხვის ქონებას კი არა სჭამდა".
ეს რომ თქვა, დიდად გაახარა მან ოდისევსი,
ცოლი თუ როგორ აპირებდა ძღვენის მოკრებას,
ის ერთს ამბობდა, თავის გულში კი სხვას ფიქრობდა.
პასუხად უთხრა ანტინოე ეპითეიდემ:
„იკარიოსის ტურფა ქალო, დარბაისელო,
თუ აქაველი რამეს გიძღვნის, შენც ძღვნად მიიღე,
საჩუქრისათვის ხელის აკვრა არ არის წესად.
ჩვენ კი იმ დრომდე ამ სახლიდან ფეხს არ მოვიცვლით,
სანამ უმჯობესს არ გაჰყვები ჩვენ შორის ცოლად"
თქვა ანტინოემ და მის სიტყვას ერწმუნა ყველა.
ძღვნის მოსართმევად თეითეულმა გაგზავნა კაცი...
როდესაც ზემოთ ადიოდა ქალთა მშვენება,
მსახურნი ქალნიც მიჰყვებოდნენ ძღვენის მზიდავნი,
ხოლო ქვემოთ კი ერთობოდნენ როკვა-სიმღერით,
გაჩაღდა ლხინი და გასტანა დაღამებამდე.
მოქეიფეებს ბნელი ღამე თავს რომ წაადგათ,
დარბაზში სამი საცეცხლური შემოიტანეს,
საცეცხლურებზე დაალაგეს შეშა სულ ხმელი,
ბასრი სპილენძით მსხვილ ხეებზე ჩამოპობილი.
შიგ და შიგ მკვარის ნაფოტები შეუწყვეს შეშას
და გააჩაღეს უმალ ცეცხლი მონა ქალებმა.
მაშინ თქვა სიტყვა ოდისევსმა, ღმერთთა აღზრდილმა:
„მსახურნო ქალნო, შორს წასული ოდისევსისა,
ადით დარბაზში, პენელოპე სადაც ისვენებს,
გაართეთ ის და თითისტარი თან ატრიალეთ,
ანდა საჩეჩელს მიუსხედით და მატყლი ჩეჩეთ.

მე კი თქვენს ნაცვლად ცეცხლს მიეხედავ საცეცხლურებზე,
თუნდაც ეოსის[3] ადგომამდე დარჩნენ ისინი.
არ დავიღლები, გამძლე ვარ და ამტანი მეტად".
მათ ამ სიტყვებზე გაიცინეს, ერთურთს შეხედეს,
მაშინ მელანთომ, დოლიოსის ტურფა ასულმა,
თვით პენელოპეს გაზრდილმა და ნაამაგდარმა,
ჭირ-ვარამში მყოფ თავის აღმზრდელს არ თანაუგრძნო
და ეერიმაქე შეიყვარა, მას შეეთვისა.
ახლაც ოდისევსს თავს დაატყდა უკადრი სიტყვით:
„შე უბედურო მაწანწალა, ხომ არ გაგიჟდი?
ამ თავაგდებას და ყბედობას, სჯობს წაეთრიო
ან სამჭედლოში, ანდა ქოხში დასაძინებლად.
სულ დაგიკარგავს აქ მყოფ კაცთა შიში და კრძალვა,
ღვინომ წაგართვა მცირე კვალი გონიერების,
თუ წესადა გაქვს წამოროშვა უკმეხ სიტყვათა?...
რისხვით ახედა ოდისევსმა და ასე უთხრა:
„რა წამოროშე, ეეტყვი, ძუკნავ, მე ტელემაქეს
და ახლავ შენ თავს ნაკუწ-ნაკუწ დავაჩეხვინებ".
მსახურნი ქალნი ოდისევსის სიტყვამ შეაკრთო
და გაეთრიენენ დარბაზიდან წელმოწყვეტილნი,
მართლაც მათხოვრის ეს მუქარა არ აგვიხდესო.
ოდისევსმა კი საცეცხლურებს მიხედა უმალ,
წამოეშალა ფიქრს მიცემულს გულის დარდები,
სულის სიღრმეში შურისგება უღვივდებოდა.
ხოლო ათენა სასიძოებს არ აბრკოლებდა,
კვლავ ჩაედინათ თავხედობა გმირის საწყენად,
რომ ლაერტიდეს[4] გულში რისხვა უფრო გაზრდოდა.
სიტყვა დაიწყო ეერიმაქე პოლიბოსის ძემ
ჭირგამოვლილი ოდისევსის განსაქიქებლად:
„დიდი დედოფლის საქმროებო, ყური დამიგდეთ
და რასაც გეტყვით, ჩაიმარხეთ გულის სიღრმეში: ეს
კაცი უღეთოდ არ იქნება აქ შემოსული, ჩირაღდნის
ნაცვლად სხივს გეიშუქებს ე მაგის თავი. თავზე ღერ
თმასაც ვერ უპოვით, ბევრიც ეძებოთ.
მერე მიმართა მან ოდისევსს ციხეთა მსხვრეეელს:

[3] ეოსი — განთიადის ქალღმერთი

[4] ლაერტიდე — იგივე ოდისევსი

„არ ინდომებდი ჩემთან ყოფნას შორეულ ველზე
მოჯამაგირედ? ჯამაგირსაც სამყოფს მოგცემდი,
ძეძვს გაკაფავდი, დიდრონ ხეებს მომიშენებდი,
კარგი შრომისთვის საჭმელ-სასმელს არ მოგაკლებდი,
უზრუნველგყოფდი ფეხსაცმლით და შესამოსელით,
მაგრამ ცუდისკენ გიწევს გული, უმალ მას არჩევ,
რომ სამათხოვროდ იწანწალო მუდამ კარდაკარ,
შენი ოხერი უძღებ კუჭის ამოსაყორად".
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
... ამაყი, თაეგასული ყოფილხარ მეტად,
სხვას კი ეერავის ამჩნევ შენზე დიდსა და ძლიერს,
რადგან ჩვეულხარ სუსტთა შორის ყოფნას და ქადიღს.
შინ რომ მშვიდობით ოდისეესი დაბრუნდებოდეს,
ეს განიერი კარი ვიწრო მოეჩვენება
თავქუდმოგლეჯილს და მინდობილს შენს სიმარდეზე".
ეს რომ თქვა, ფრიად გაუბრაზდა მას ევრიმაქე–
სკამს ეცა. ოდისევსი შეცბუნდა მაშინ
და ამფინომე დულიქელის მუხლებზე დაჯდა,
სკამი კი მოხვდა მერიქიფეს მარჯვენა ხელზე.
ციცხვი ჟღარუნით და ზრიალით ძირს დაენარცხა,
თვითონ საბრალო გაიშოტა მტვერში პირაღმა.
მაშინ დარბაზში სასიძოებს აუტყდათ დავა,
ყველა ოდისევს უყურებდა, თანაც ამბობდნენ:
„სჯობდა, ეს კაცი აქ მოსელამდე ჩაღრძობილიყო,
მაშინ ამ სახლ-კარს ასცდებოდა აურზაური,
ახლა მის გამო სულ შფოთში ვართ. რაღა გემო აქვს
აქ სმას და ჭამას ხმაურსა და ორომტრიალში?
მაშინ ღვთის ძალამ ტელემაქეს ეს ათქმევინა:
„თქვე უბედურნო, ყერ ინელებთ შესმულს და შეჭმულს,
თუ ბედისწერას ღვთით მოვლენილს აუტანიხართ?
გეყოთ ეს ლხინი, ყველამ თავის ბინა მონახოს,
თუკი თქვენც გინდათ, ძალით არვის არ ვერეკები".
ეს რომ თქვა, ყველამ ჩაიკენიტა ბრაზით ტუჩები,
თან აკვირვებდათ ტელემაქეს თამამი სიტყვა.
მაშინ მიმართა სასიძოებს ამფინომოსმა
არეტიადე მბრძანებელის, ნისეს ძემ ლაღმა:
„ო, მეგობრებო, რა უნდა ვთქვათ მართალ სიტყვებზე,

მიტომ პასუხად გაბრაზება არ გეეკადრება,
ან როდი გემართებს შეეურაცხყოთ ყმა თუ სტუმარი,
აქ, ოდისეესის მტკიცედ ნაგებ, დიდებულ სახლში?
215. აბა, ახლა კი მერიქიფემ აგეიესოს თასნი,
წასელის წინ კიდევ ღირსეულად რომ დაეილოცოთ,
ხოლო უცხო კაცს ოდისეესის სახლ'ში დაეტოვებთ,
დე, ტელემაქემ თავის სტუმარს თვით უპატრონოს".
ყველას იამა ეს ნათქვამი, ეინც კი იქ იყო,
220. მაშინ მულიემ შეაზავა ძვირფასი ღვინო,
ეინც ამფინომეს მოეყვანა თავის შიკრიკად.
მან თასი ღვინო შეახვედრა ყველას უკლებლად.
სასიძოებმა უზედაშეს ღვინო ჯერ ღმერთებს,
დაილოცეს და მერე შესვეს, რამდენიც სურდათ,
225. ბოლოს კი სახლებს მიაშურეს მოსასვენებლად.

ჰომეროსი და ისტორია

საუკუნეთა მანძილზე ჰომეროსის ეპოსი წმინდაწყლის გამონაგონად მიაჩნდათ. წარმართული ღმერთების, ფანტასტიკური ურჩხულების, გმირი ქალებისა და მამაკაცების პოემებში ერთად წარმოდგენა ზღაპრული თხრობის იერს ანიჭებდა მათ.

მაგრამ XIX საუკუნეში გერმანელმა არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა (1822-1890წწ.), რომელიც ეაჭარი იყო და მიატოვა თავისი კომერციული საქმიანობა, 1863 წლიდან ჰომეროსის ეპოსში მოხსენიებული ადგილების მოძიება დაიწყო. შლიმანს არ ჰქონია სპეციალური განათლება, მაგრამ მისმა გულმოდგინებამ ჰომეროსის პოემების კითხვისას იგი დაარწმუნა, რომ აღწერილი ამბები ისტორიულ ფაქტებზე იყო დამყარებული. შლიმანი გაემგზავრა ჩრდილო-დასაელეთ თურქეთში და, „ილიადაში" აღწერილი ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით, გადაწყვიტა, რომ ტროა უნდა ყოფილიყო იმ გორაკთან, რომელსაც ჰისარლიქი ერქვა. 1870 წლის აპრილში იგი შეუდგა გათხრებს და აღმოაჩინა ნაშთები ძველი, დანგრეული ქალაქისა. შლიმანი რაც უფრო ღრმად თხრიდა მიწის შრეებს, მით უფრო მრავალფეროვან და სხვადასხვა ეპოქის მონაცემებს აწყდებოდა. სინამდვილეში ამ ადგილას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ცხრა ქალაქი იყო გაშენებული.

შლიმანის აღმოჩენებმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მეცნიერებმა სრულიად სხვა თვალით დაუწყეს ყურება ბერძნულ

მითებსა და თქმულებებს. შლიმანს მიაჩნდა, რომ სწორედ ის ადგილი იყო ჰომეროსის პოემებში აღწერილი ამბების რეალური გარემო. მართლაც, შემდგომმა გამოკვლევებმა დაადასტურა მისი წინათგრძნობა და დღესდღეობით არქეოლოგთა უმრავლესობას სჯერა, რომ გათხრილი ნაქალაქევი ესაა ტროა, რომელიც, მტკიცე გალავნისა და ციხე-სიმაგრის მიუხედავად, დააქციეს და გადაწვეს. ეს შეიძლება სწორედ იმ პერიოდში მომხდარიყო, როდესაც ჰომეროსის გმირები ცხოვრობდნენ.

შლიმანმა გააგრძელა არქეოლოგიური გათხრები აგამემნონის ლეგენდარულ ქალაქ მიკენში (კონტინენტურ საბერძნეთში). 1876 წელს მან აღმოაჩინა უამრავი არქეოლოგიური მასალა, რაც უკავშირდებოდა ჰომეროსის პოემებში აღწერილ მოვლენებს. მიკენის სამარხები დაახლოებით ძვ.წ 1600 წელს მიეკუთვნება, ხოლო ჰისარლიქის ბორცვთან აგებული ქალაქი ძვ.წ. დაახლოებით 1200 წელს დაეცა. შლიმანმა გააგრძელა გათხრები კუნძულ ითაკაზე (1878წ.), ორქომენოსში (1880-1881წწ.), ტირინთოსში (1884-1885წწ.).

ჰომეროსის პოემები მათში აღწერილი ამბებიდან 500 წლის შემდეგ დაიწერა. აეტორი არ ცდილობდა შეექმნა ისტორია, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. მისი ეპოსი, ალბათ, დამყარებული იყო იმ ნაამბობზე, რომელიც ტროას განელილი ბრძოლებით იყო შთაგონებული, მონათხრობზე, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დროთა მანძილზე ცენტრალური მოვლენები, როგორიცაა, მაგალითად, ქალაქის გადაწვა, შეიძლებოდა გადამუშავებულიყო, ხოლო სხვადასხვა დეტალს პიროვნებებზე, საბრძოლო სტრატეგიასა და სხვ., ცვლილებები განეცადა.

შესაძლებელია, ჰომეროსმა თაეისი პოემები რეალურ მოვლენებზე დაამყარა, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე და ადამიანურ წარმოსახვათა ტრანსფორმაციის გამო ამ მოვლენათა ცნობები განსხვავდა რეალურისაგან და ჩამოყალიბდა ღმერთებთან ერთად ადამიანების ბრძოლის ისტორიად.

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. როგორ მოეპყრნენ სასიძოები საკუთარ სასახლეში დაბრუნებულ, გლახაკის სამოსელში გადაცმულ ოდისევსს? მოძებნეთ შესაბამისი ადგილი ტექსტში;

2. რამ უბიძგა პენელოპეს, რომ სასიძოებთან ჩასულიყო? პასუხი დაასაბუთეთ შესაბამისი ციტატით;

3. რატომ გადაწყვიტეს სასიძოებმა პენელოპესათვის ძღვენის მიტანა? მოძებნეთ შესაბამისი ადგილი ტექსტში.

გააანალიზეთ

4. თქვენი აზრით, როგორ წარმოაჩენს პოემაში ოდისევსის ძაღლი არგოსი შეპირისპირებას წარსულსა და აწმყოს შორის? რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ;

5. რა გზით წარმართავს ქალღმერთ ათენას ჩარევა ოდისევსის შურისძიების გეგმის წარმატებით განხორციელებას?

6. რომელი ეპიზოდიდან ამჟღავნებს ტელემაქე საკუთარი თავის რწმენას? რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ;

7. შეადარეთ და დაუპირისპირეთ ერთმანეთს, თუ როგორ ექცევა სხვადასხვა პერსონაჟი უცხოელს. როგორ წარმოაჩენს ეს ქმედება მათ პიროვნულ თვისებებს? იმსჯელეთ არგუმენტების გამოყენებით;

8. სამშობლოში ოცწლიანი არყოფნის შემდეგ ოდისევსი ითაკაში დაბრუნდა. როგორ ახასიათებს საკუთარი გრძნობები ტროას გმირს? დაასაბუთეთ;

9. მოიყვანეთ ოდისევსის სიტყვები, რომლებიც მის რეალურ ძალაზე მიგვანიშნებენ. როგორია ამ მინიშნებათა ეფექტი? რატომ ფიქრობთ ასე?

განაზოგადეთ

10. შეაფასეთ ჰომეროსის მიერ ნაჩვენები ერთგულების გამოვლენის ფორმები. არის თუ არა ასეთი დამოკიდებულება დღესაც აუცილებელი, თუ იგი უფრო ისეთი პრიმიტიული ეპოქის კუთვნილებაა, როგორიც „ოდისეაშია“ აღწერილი? იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება;

11. როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობს ჰომეროსი, როდესაც ქალღმერთ ათენას ქმედებებს აღწერს? თქვენი აზრით, რას გეთავაზობს ტექსტი,

ავტორს სჯერა ქალღმერთის ამგვარი ქმედების, თუ სხვა რამეს წარმოაჩენს? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი თხრობითი პოეზია

ჰომეროსის „ოდისეაში“ მოთხრობილი ამბები პოეზიის მეშვეობითაა გადმოცემული – მას თხრობითი პოეზია ეწოდება. თხრობით პოეზიას ჰყავს მთქმელი ან მთხრობელი, რომელიც მკითხველს წარმოუდგენს ამბავს. თხრობით პოემაში აღწერილია სცენები, რომლებიც სხვადასხვა დროსა და სივრცეში ვითარდება,და მთხრობელს,ამბის განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე, მკითხველის ყურადღება თავისუფლად გადააქვს ერთი მოვლენიდან მეორეზე; სხვადასხვა სცენის აღწერისას იგი იყენებს პერსონაჟთა ხასიათების წარმოჩენასა და მათ მეტყველებას, რათა მკითხველი გაარკვიოს მოვლენათა არსში;

1. როგორ გადმოცემს პოემის აეტორი თავის პირად გრძნობებს მე-17 სიმღერის 26-28-ე სტრიქონებში?

2. აღწერეთ, როგორ ანაცვლებს მთხრობელი მოქმედების ადგილს მე-17 სიმღერის 36-42-ე სტრიქონებში?

3. განიხილეთ სცენა, რომელშიც მელანთოსი ხვდება ოდისევსსა და ევმაიოსს (სიმღერა 17, 66-92 სტრიქონები), და განმარტეთ, როგორ იყენებს აეტორი ხასიათთა აღწერასა და მათ სიტყვას იმის მისათითებლად, თუ რა ხდება სასახლეში?

4. კომპოზიცია

წერილის დაწერა

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ერთ-ერთი სასიძოთაგანი ხართ და თქვენს მეგობარს წერილი უნდა მისწეროთ, რომელშიც აღწერთ საკუთარ განცდებსა და გრძნობებს. გამოიგონეთ თქვენი ხასიათი და ჩამოწერეთ გარკვეული შენიშვნები: სამოქმედო გარემო, იქ მისვლის მიზეზი, პირადი თვისებები და ა.შ. თქვენი ხასიათის ჩამოსაყალიბებლად გამოიყენეთ ეს რეკომენდაციები; შემდეგ შეადგინეთ გეგმა, რომელშიც ქვემოთ მოცემული თემიდან თითოეულს თითო აბზაცს დაუთმობთ:

1. რისი იმედი გაქვთ, რას მიაღწევთ ოდისევსის სასახლეში მისული? დაასაბუთეთ, რის საფუძველზე ფიქრობთ ასე.

2. როგორი რეაქცია გაქვთ მოხუცი გლახაკის გამოჩენაზე? რატომ? ახსენით;

3. რა წინათგრძნობა გაქვთ, რა შეიძლება მოხდეს? რა გაძლევთ ამ ფიქრის საფუძველს? დაასაბუთეთ.

წერა ხასიათებზე

ჰომეროსი, ჩვეულებრივ, მკითხველის დამოკიდებულებას ხასიათის მიმართ პერსონაჟის მეტყველების მეშვეობით აყალიბებს. „ოდისეას“ მე-18 სიმღერაში პენელოპე წარმოდგენილია მსახურ ქალ ევრინომესთან, ვაჟიშვილ ტელემაქესა და სასიძო ევრიმახოსთან ერთად. გააანალიზეთ მისი პირადი თვისებები ამ სამ პერსონაჟთან საუბრის ინტონაციის მიხედვით. წარმოადგინეთ თქვენი დასკვნა ესეში, რომელიც განკუთვნილი იქნება იმ პირისათვის, ვისაც წაკითხული აქვს „ოდისეა“.

დაგეგმეთ ესე ოთხ აბზაცად მაინც და დაიცავით თხრობის თანმიმდევრობა ისე, როგორც პენელოპეს მიერ წარსულის გახსენებაშია მოცემული: როგორი დამოკიდებულება ჩანს ამეარი მძიმე მდგომარეობის მიმართ; რისი იმედი აქვს მომავალში; როგორ წარმოუდგენია გაჭირვება; როგორი დამოკიდებულება აქვს მსახურების, მტრებისა და მეგობრების მიმართ.

სიმღერა მეცხრამეტე

როცა ფიქრობდა ოდისევსი ქალღმერთთან ერთად
სასიძოების დახოცვაზე ლხინის დარბაზში,
ასე მიმართა ტელემაქეს ფრთოვანი სიტყვით:
„დროა, ტელემაქ, საჭურველი რომ გადავამალოთ...
უთხრა და უმალ ტელემაქემ სრულჰყო ნათქვამი,
მოიხმო ძიძა ევრიკლეა და უთხრა ასე:
„დედილო, ქალნი შეიქციე ზემოთ დარბაზში, ვიდრე
საჭურველს მამისეულს არ შევინახავ. უპატრონობით
სულ მთლიანად ბოლს დაუჭვარტლავს. მამა შორს
იყო, მეც ხომ კიდევ ბალღი ვიყავი,
მსურს ვუპატრონო, ერთიანად რომ არ გაოხრდეს“.
მაშინ მას ძიძა ევრიკლეამ უთხრა პასუხად:
„რა კარგი იყო, რომ გეფიქრა, შვილო, იმაზე,
შენი სახლ-კარი და ქონება როგორ დაგეცვა,
.აბა, ახლა კი სანთლით ხელში ვინღა გაგიძღვეს,
როცა მსახურ ქალთ აქ არ უშვებ, რომ გაგინათონ?!“
პასუხად უთხრა ტელემაქემ, კეთილმა მოყმემ:
„ვერ მოვითმინე, რომ ეს უცხო სულ უსაქმურად
ჩემ პურსა სჭამდეს, თუნდ შორიდან იყოს მოსული“.
ისე თქვა, ძიძას შეაცივდა სიტყვა ენაზე
და საქალებოს ღია კარი მაგრად მიხურა.
ფეხზე წამოდგა ოდისევსი მაშინ შვილითურთ,

ზიდვა დაუწყეს ფარებს, შუბებს და მუზარადებს,
წინ მიუძღოდათ მათ ათენა დიდი ქალღმერთი,
ოქროს ნათელი სანათური ხელში ეჭირა.
მაშინ მიმართა ტელემაქემ საყვარელ მშობელს:
„მამაე, ვჭვრეტ უცხო რამ სასწაულს ორივე თვალით:
ჩვენი დარბაზის ყველა კუთხე, ყველა კედელი
ნაძვის ბოკვები და ბოძებიც ზეაღმართულნი
ისე ნათობენ, როგორც იცის ხანძარმა ხოლმე,
ჩანს, აქ ღმერთია რომელიმე ცათამპყრობელი".
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
„ჩუმად იყავ და დანახულზე სიტყვა არ დაძრა,
ასე აქვთ წესად მაღალ ღმერთებს, ოლიმპზე მცხოვრებთ.
სჯობს, შენ წახვიდე და დამტოვო აქ მარტოდ-მარტო,
მსურს, მსახურნიც და დედაშენიც რომ გამოვცადო.
ბევრ რამეს მკითხავს ჭირ-ვარამით გულდასეედილი".
უმალ დატოვა ტელემაქემ დიდი დარბაზი
და გაეშურა საძინებელ ოთახში სანთლით,
სადაც ყოველ ღამ ეწვეოდა საამო ძილი,
სანამ ეოსი ღვთაებრივი კვლავ მოვიდოდა. დარჩა
დარბაზში ოდისევსი ღმერთთა სადარი ქალღმერთთან
ერთად სასიძოთა მოკვლის მზრახველი. მაშინ
გამოჩნდა პენელოპე დარბაისელი,
არტემიდეს თუ აფროდიტე ქალღმერთის მსგავსი.
უმალ დაუდგეს საეარძელი მას ცეცხლის პირას,
სპილოს ძვლისა და ვერცხლისაგან უცხოდ შემკული,
იკმალიოსის[1] ნახელავი, სკამიც მოართვეს
ფეხთდასაბჯენად. ზედ ცხვრის ტყავი გადააფარეს.
სკამზე დაბრძანდა პენელოპე დარბაისელი...
და მეკუჭნაეე ევრონიმეს მიმართა მერე:
„დაუდგი სკამი, ზედ ტყაპუჭი გადაუფარე,
მინდა მიამბოს ქმრის ამბავი ჩემ წინ მჯდომარემ.
ბევრ რამეს კარგად გამოეკითხავ, ზოგსაც მე ვეტყვი".
თქვა და სურვილი აღუსრულა მყის ევრონიმემ,
დაუდგა სკამი, ზედ ტყაპუჭიც გადაუფარა
და ღვთაებრივი ოდისევსი დაჯდა იმ სკამზე.

[1] იკმალიოსი – ითაკელი ოსტატი, რომელმაც პენელოპეს ვერცხლით მოჭედილი სპილოს ძვლის საეარძელი გაუკეთა.

მაშინ მას უთხრა პენელოპე დარბაისელმა:
„უცხოვ, ის მინდა, რომ შეეიტყო თავდაპირველად,
ვინ ხარ და სიდან, რომელ მხარეს დაბადებული?"
პასუხად უთხრა ოდისევსმა ჭირგამოვლილმა:
„ამქვეყნად შენზე, დედოფალო, ცუდს ვერვინ იტყვეის,
თვით მაღალ ცასაც მისწვდომია დიდება შენი,
თითქოს შენ იყო მეფე დიდად სახელგანთქმული,
ვინც მრავალ ვაჟკაცს სიტურფით და ჭკუით განშეებლობს...
ნეტავ გეკითხა ჩემთვის სხვა რამ, ვიდრე გესურვა,
შეიტყო ჩემი ვინაობა, სადაურობა
და არ მოგეკლა ჩემი გული ამ მოგონებით.
მართლაც ყველაზე უბედური ვყოფილვარ ქვეყნად,
არ შემფერს აქაც, სხვის ოჯახში აეტეხო მოთქმა,
აბა, რას მარგებს გამუდმებით სვედა-ვარამი?
ვინმე მსახურმა, ან შენ თვითონ არ მსურს დამძრახოთ,
ცრემლი წასკდაო ღვინით დამთვრალს. ჭკუადაბნეულს".
პასუხად უთხრა პენელოპე დარბაისელმა:
„ყველა სიკეთე მე ღმერთებმა მომისპეს, უცხოვ,
რაც კი ტროაზე გაილაშქრეს არგიველებმა,
მათ შორის იყო ოდისევსი, მეუღლე ჩემი,
ის რომ დაბრუნდეს, არ დაჰყენდა ძაღლი ჩემს სვე-ბედს,
მაშინ დიდ სახელს და დიდებას მოეიპოვებდი...
მიტომ ვერ ეწყალობ ვეღარც სტუმარს, ვეღარც მათხოვარს,
ვერც შიკრიკს – ამბის მიმტან-მომტანს და მაუწყებელს,
მხოლოდ ოდისევსს ვდარდობ მარად გულდაჩაგრული.
რაკი ჩემს ქორწილს აჩქარებენ, ასე ვიღონე:
ღვთის ჩაგონებით წამოვიწყე სუდარის ქსოვა,
საქსოვი დაზგა საძინებელ ოთახში დავდგი,
ქსელი გავაბი და საქმროებს ასე მივმართე:
– უფალნო ჩემნო, ოდისევსი არ არის ქვეყნად,
ნუ ჩქარობთ ქორწილს, ვიდრე ქსოვას არ დავამთავრებ.
არ მინდა ბოლოს, რომ დავაკლო ხელი სუდარას,
რომელიც, გეტყვით, იქსოვება გმირ ლაერტისთვის;
ბედი იმასაც, სამწუხაროდ, მოუელენს სიკვდილს,
და აქაველთა შორის ვინმემ რომ არ თქვას ჩემზე,
ამდენის მქონე უსუდაროდ გადააგდოო. –
მე დავარწმუნე ასე მათი ამაყი სული,
მთელი დღე ვქსოვდი შეუწყვეტლად ძვირფას სუდარას,

ღამით კი ჩუმად სანთლის შუქზე ვარღვევდი ნაქსოვს.
სამ წელს ვატყუე აქაველნი დაუჭეებლად,
ხოლო მეოთხე წელიწადი რა მოახლოვდა
და მობრუნებას დაიწყებდა ახლად დღე და თვე,
მაშინვე ძუკნა მსახურ ქალთა გამოისობით
მოულოდნელად თავს დამესხნენ, ყვირილი მორთეს.
რა მექნა, მოვრჩი იძულებით სუდარის ქსოვას.
ახლა კი ქორწილს ვეღარა გზით თავს ვერ დავაღწევ
და ახალ-ახალ ოინს რასმეს ვერ მოვიგონებ;
მშობლებიც ქორწილს მაჩქარებენ, შვილი სახლს ჰკარგავს,
მიტომაც ბრაზობს, ეაჟკაცობაც თან მოუწოდებს,
ოჯახს მიხედოს, მოუხვეჭოს ზევსმა სახელი.
თქვი, ახლა, ვისი შვილი ხარ და საიდან მოხველ,
ძველ თქმულებისებრ მუხას ან კლდეს ხომ არ უშვიხარ?!'
პასუხად უთხრა ოდისევსმა სიბრძნით ქებულმა:
„ო, ლაერტიდე ოდისევსის ღირსო მეუღლევ,
რადგანაც ასე მაიძულებ, ვიტყვი, ვინცა ვარ,
მაგრამ, იცოდე, ამით უფრო მეტ წუხილს მომგერი.
ეს მოსდის ყველას, ვინც დიდი ხნით გადაკარგულა,
მოშორებია სამშობლოს და საყვარელ სახლ-კარს,
ჩემებრ კარდაკარ ქალაქ-ქალაქ მოხეტიალეს.
მაინც მოგითხრობ, რაც მთხოვე ღა რაც გსურს, იცოდე:
კრეტა – კუნძული ღვინისფერ ზღვით გარშემორტყმული
არის ლამაზი, მდიდარი და ნაყოფიერი.
ოთხმოცდაათი ქალაქია იმ ქვეყანაში,
არეულია ერთმანეთში სხვადასხვა ენა...
დიდი ქალაქი არის კნოსო, სადაც მეფობდა
ცხრა წლით მინოსი[2], უკვდავ ზევსთან მოლაპარაკე.
დეკალიონი მამაჩემის მშობელი იყო,
ვინც მოგვაელინა ქვეყნად მე და იდომენევსი[3].

---

[2] მინოსი – პომეროსის მიხედვით, ზევსისა და ფრიქსის ასულ ევროპეს შვილი, დეკალიონისა და არიადნეს მამა, ზევსის სასურველი სტუმარი, იდომენეევსის პაპა. ყოველ ცხრა წელიწადში ან ახალ წელს მინოსი შედიოდა იმ გამოქვაბულში, სადაც ყრმა ზევსს ნიმფები ზრდიდნენ და იქ თათბირობდა მამა კრონიდთან ახალი კანონების თაობაზე. ამრიგად, კრეტის კანონები ზეგარდმო ნაკარნახევად ითვლებოდა.

[3] იდომენევსი – კრეტის მეფე, მინოსისა და პასიფეას შვილიშვილი, დეკალიონ კრეტელის ძე, დეკალიდი, პირველად ელენეს ხელის მაძიებელთა შორის იყო, შემდეგ კი – მის გამტაცებელ ტროელთა წინააღმდეგ დაძრულ გმირებს შორის, რომელთაც 80 გემით მიუშველა. ტროას ომში ერთ-ერთი უმამაცესი იყო.

ატრიდეს[4] გაჰყვა ის მებრძოლად ქალაქ ტროაში,
ეთონი მქვია იმის უმცროსს, ასეც მიცნობენ.
მჯობდა მე იგი ხანითაც და ვაჟკაცობითაც,
იქ ვნახე სწორედ ოდისევსი, ძღვენიც მივართვი.
კრეტაში იგი გამოეგდო ზღვიდან ქარიშხალს,
მალეის კონცხი დაჰკარგოდა ტროას მიმავალს.
იძულებული ამნისონში შესულა ბოლოს
ეილეთიეს ქვაბთან, – გრიგალს გადარჩენილი.
იდომენევსი მოეკითხა ქალაქში მისულს,
მისი სტუმარი იყო იგი ფრიად საამო,
მაგრამ სულ ათი თუ თერთმეტი აისით ადრე
იდომენევსი გზას გაუყვა ტროასკენ გემით.
მის ნაცელად დავხედი, ჩემს დარბაზში გაეუმასპინძლდი,
პატივი ვეცი შინ დებული ძველი პურ-ღვინით
და მასთან ყველა მის ამხანაგს, რომლებიც ახლდნენ.
მიველი ხალხში აკრეფილი პური და ღვინო,
ძროხაც ღმერთების შესაწირი, – სულის სალხინოდ.
აქაველებმა თორმეტი დღე დაყვეს ჩემს სახლში.
იმ ღვთის მოელენილ ჩრდილოეთის მძაფრ ქარიშხალში
კაცს ფეხის დადგმა მიწაზედაც უძნელდებოდა.
დღეს მეცამეტეს, როგორც იქნა, შეძლეს გაცურვა".
ბევრი სხვა ტყვილიც მართლის მსგავსი დაუქვა მთხრობელმა.
ქალს ამის მომსმენს ცხარე ცრემლი ღაწვს უსველებდა.
ვით თოვლი მაღალ მთის მწვერვალზე დნება თანდათან,
ოდეს დაბერავს თბილი ქარი, მოიტანს ეთერს
და მომდინარე წყლით რუები აღივსებიან,
ასე ცრემლთა ნამს დაეფარა ტურფა ღაწვები
მის წინ მჯდომარე თავის ქმარზე მტირალ ქალისა.
თუმც ცოლის ცოდვით მოსდებოდა ოდისევსს ცეცხლი,
მაინც თვალები იმას რქისებრ გაჰკაჟებოდა
წამწამზე მომდგარ ცრემლთა ღვარის შესაკავებლად.
მოთქმა-ტირილით ქალმა გული რა მოიჯერა,
მან საპასუხოდ ამბის მთხრობელს ასე მიმართა:
„ახლა კი, უცხოვ, მინდა, ერთი რომ გამოგცადო,
როგორც შენ ამბობ, თუკი მართლა ძმობილებითურთ

---

[4] ატრიდები – ატრევსის (მიკენის მეფის) შვილები: აგამემნონი და მენელაოსი.

მეუღლე ჩემი შენს დარბაზში სტუმრად გყოლია,
აბა, მითხარი, ტანსაცმელი როგორი ეცვა,
როგორი ჰქონდა იერი და რა ხალხი ახლდა?"
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
„ო, დედაკაცო, მიმძიმს ძველთა ამბავთა თხრობა,
მას აქეთ უკვე მთელი ოცი წელი გავიდა,
რაც ოდისევსი სტუმრად იყო ჩემს სამშობლოში.
მაინც მოგითხრობ, რაც ჩემს გულში ხსოვნას დაუცავს:
წამოსასხამი მეწამული ფერის ემოსა,
მასზე ეკეთა ოქროვანი საბმელი წყვილად,
რომელსაც უცხოდ მოხატული ბალთა ფარავდა:
წინა ფეხებით ძაღლს ეჭირა ნუკრი ირმისა,
შეშფოთებული საოცარი რამ სანახაობად.
ძაღლს დასახრჩობად ჰყავდა ნუკრი გამეტებული,
ნუკრი იწევდა და ცდილობდა, რომ დასხლტომოდა.
ტანზე ოდისევსს სულ მბზინავი პერანგი ეცვა,
მსგავსი გამხმარი, სიფრიფანა ხახვის ფურცლისა.
ისეთი ნაზი და მზიური იყო ქსოვილი"...
ამის მომსმენი ქალი უფრო მეტად ატირდა,
მართლად ენიშნა ოდისევსზე სუყველა თქმული.
მოთქმა-გოდებით, ცრემლით გული რა მოიჯერა,
ისევ მიმართა მან ოდისევსს ასეთი სიტყვით:
„უცხოვ, აქამდე თუ სიბრალულს აღძრავდი ოდენ,
ახლა მეგობრად მიმაჩნიხარ ამ ჩემს ოჯახში.
თვით განგიმზადე სამოსელი, შენ რომ ითხოვდი,
სახლში მოეძებნე, თანაც ბალთა გამოვაყოლე
დასამშვენებლად. ვერ ვიხილავ ქმარს ვერასოდეს
შინ დაბრუნებულს და სამშობლოს მიწაზე გავლილს.
ჩანს შავ ბედისგან ატანილი შავი ხომალდით
შავ ილიონში ბედუკუღმა გამგზავრებულა".
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
„ჰოი, მეუღლეე ლაერტიდე ოდისევსისა!... გეყოს
ცრემლები, აბა, ახლა ყური დამიგდე, დაუფარავად
და სიმართლით გეტყვი ყველაფერს: მითხრეს
ამბავი ოდისევსის დაბრუნებაზე...
როგორც ჩანს, იგი ცოცხალია და მალე მოვა.
ის ახლოს არის სამშობლოსთან.

მზის წრის შეკერამდე დაბრუნდება შინ ოდისევსი
ძველი მთოვარის დაცხრომის და ახლის დგომის ჟამს".
პასუხად უთხრა პენელოპე დარბაისელმა:
„თუ სიტყვა შენი, უცხო კაცო, ასრულდა მართლაც,
მიიღებ ჩემგან სიყვარულს და ძვირფას საჩუქრებს.
სევებედნიერად ჩაგთვლის მაშინ ყველა მნახველი,
მაგრამ სხვას ამბობს გული ჩემი - ასეც იქნება:
ვერც ოდისევსი დაბრუნდება, ვერც შენ გცემ პატივს,
არ ჰყავს მზრუნველი ახლა ამ სახლს უწინდებურად.
არ ხდება ისე, როგორც ჰქონდა ოდისევსს წესად
უცხო მგზავრების შინ მიღება თუ გამგზავრება.
აბა, დაბანეთ უცხო კაცი, მსახურნო ქალნო,
საწოლი კარგად გაუმზადეთ და მოასვენეთ,
სიამტკბილობით რომ ელოდოს ოქროსფერ ეოსს.
დილით ისევე აბანავეთ, ზეთით დაზილეთ,
რომ ხვალ სადილად ტელემაქეს მიუჯდეს გვერდით"...
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
„ღირსო მეუღლევ ლაერტიდე ოდისევსისა,
შემძაგებია მე მბზინავი ბალიშ-საგები
მას აქეთ, კრეტას რაც დავშორდი დათოვლილმთიანს,
ზღვას მივეც თავი და შავ ხომალდს გრძელნიჩბებიანს.
რამდენი ღამე მე უძილო მიტარებია,
ან მძინებია ღორღიან და ქვიან საწოლზე
ოქროს ტახტოვან ეოს ღმერთის მოლოდინში მყოფს.
არცა თუ ფეხის დასაბანად მიმიწევს გული,
და ვერც ვერავინ შეეხება ჩემს ფეხს ქალთაგან,
ამ სასახლეში ვინც მსახურად მოუყვანიათ,
და თუ გყავს ვინმე მოხუცი დი სათნო მსახური,
ვისაც ჩემსავით ჭირ-ვარამი აუტანია,
არ მეწყინება, იგი ჩემს ფეხს თუ შეეხება".
პასუხად უთხრა პენელოპე დარბაისელმა:
„უცხოვ, სტუმარი ამ ჩემს სახლში ჯერ არ მოსულა
შენებრ ჭკვიანი, შორს ნამგზავრი, ესოდენ სათნო,
რაც შენ მითხარი, მართალია სულ ყოველივე.
მყავს ერთი ქალი მოხუცი და გულით კეთილი,
ის უბედური სწორედ მისი გაზრდილი იყო,
ახალშობილი ხელში იმას აუყვანია,
ის დაგბანს ფეხებს, თუმც კი მეტად მოტეხილია.

აბა, აქ მოდი, ეერიკლეა, პატივის ღირსო,
დაბანე ფეხი დღეს ამ შენი მბრძანებლის ტოლ კაცს,
ალბათ ოდისევსს ასეთი აქვს ხელიც და ფეხიც,
ადრე ახუცებს ყველა მოკვდავს დარდი, ეარამი".
მოხუცმა ქალმა დაიფარა ხელებით სახე
და თან წარმოთქვა მან მდუღარე ცრემლების ფრქვევით:
„რა გიყო, შვილო, მე საბრალომ, ნუთუ მაღალ ზევსს,
შენგან ესოდენ პატივდებულს, შესძაგებიხარ?
მოკვდავ კაცთაგან იმ მქუხარე უკვდავ ღმერთისთვის
ვის შეუწირავს... შენდამი?
იყავ მთხოვნელი, რომ გქონოდა სიბერე ტკბილი
და შენს ერთადერთ შვილსაც სარჩო არ მოჰკლებოდა.
ის კი არა და გზაც დაგიხშო შინ წასასვლელი.
მსახურნი ქალნი იქნებ შენებრ ჰკილავდნენ შენს შვილს
სხვის კარზე მისულს, ისე როგორც შენ მოდი ჩვენსას
და ამ ძუკნებმა სულ აგიკლეს ქირდვა-დაცინვით.
მათზე ნაწყენი. გულმოსული მათ შენი ფეხის
დასაბანადაც კი არ უშვებ, მე კი მზადა ვარ,
იკარიოსის ბრძენი ჭალის ბრძანება სრულვყო.
მე დაგბან, შვილო, ორივე ფეხს პატივისცემით,
რადგან აღმიძრა გულში სევდა შენმა დანახვამ.
ყური დამიგდე, კიდევ ერთი რამ უნდა გითხრა:
ბედით წამებულ ბევრ უცხო კაცს გამოუვლია,
მაგრამ ჯერ ვიტყვი მე, შენს გარდა, ვერცერთ მათგანზე,
რომ სმით, იერით და ხელ-ფეხით ოდისევსს ჰგავდეს".
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
„მოხუცო, ვისაც ვუნახივართ ერთად ორივე,
ერთიმეორის მსგავსი ხართო, უთქვამს სუყველას
ისე, როგორც შენ ამბობ ახლა სრული სისწორით.
ეს რომ თქვა, ქალმა მოიტანა მაშინვე ტაშტი
ფეხის საბანი, შიგ ჯერ ცივი წყალი ჩაასხა, მერე
უზავა თბილი წყალი; ხოლო სტუმარმა, ცეცხლის
პირს მჯდარმა, სიბნელისკენ უქცია გვერდი. ის
აფიქრებდა, რომ მოხუც ქალს არ დაენახა
და არ შეეცნო ფეხზე ძველი იარის კვალი.
ფეხის ბანვის დროს ქალმა იცნო ნაიარევი.

ტახი ეძგერა იმას ფეხში, როს ნადირობდა
აეტოლიკოსთან[5], მის შვილებთან ერთად პარნასზე[6]...
რა ნაჭრილობევს ეერიკლეამ შეახო ხელი,
იცნო უმალ და გაუვარდა ფეხი ხელიდან,
ტაშტზე დაეცა და სპილენძმა გაიჟღარუნა,
გადაიხარა, დაიღვარა წყალი მიწაზე.
ქალს სიხარული შემოენთო სევდანარევი,
წამოიყვირა და თვალები ცრემლით აევსო,
ხელი ჩაავლო მას ნიკაპში და ძლივსღა უთხრა:
„ოი, ეს შენ ხარ, ოდისევსი, ნანატრო შვილო?!
როგორ ვერ გიცან, სანამ ხელით შეგეხებოდი!"
მერე უნდოდა მიეხედა პენელოპესკენ,
ეხარებინა - აქ არისო შენი მეუღლე,
ვერც ვერრას მიხედა დედოფალი, ვერც რა იაზრა,
რადგან უქცია სხვა მხრისაკენ აზრი ათენამ.
უმალ ყელში სწედა მარჯვენათი ქალს ოდისევსი,
ხოლო მარცხენით მოიზიდა და ჩასჩურჩულა:
„შენი ძუძუთი გაზრდილს ნუთუ ღუპავ, დედილო?
რა ჭირი ვნახე, განსაცდელი ენით უთქმელი,
მშობელ მხარეში მეოცე წელს დაბრუნებულმა,
და რაკი ღმერთის ჩაგონებით მიხედი ყველაფერს,
ჩუმად იყავი, არ შეიტყონ სხვებმა, ვინცა ვარ,
თორემ, გახსოვდეს, აღსრულდება ჩემი ნათქვამი:
თუ შევძელ თაეხედ სასიძოთა დასჯა ღვთის ნებით,
არც შენ დაგზოგავ, თუმცა კი ხარ ჩემი გამზრდელი,
როცა ხელს დავრევ მსახურ ქალებს ამ სასახლეში".
პასუხად უთხრა ეერიკლეამ, ჭკვიანმა ქალმა:
„ო, საყვარელო შვილო ჩემო, ეს რა წამოგცდა,
ხომ კარგად იცნობ ჩემს ხასიათს, მტკიცეს და ურყევს,

---

[5] აეტოლიკოსი – ოდისევსის პაპა, დედის მამა.

[6] პარნასი – კირქვიანი მწვერვალი შუა საბერძნეთში, სადაცაა მთა ლიაკურა, 2458 მ. სიმაღლისა. ამ მთის ფერდობზე (კორინთოს უბის ჩრდ. ნაპირთან) იყო დელფოს სამისნო, აპოლონის მიწიერი სამფლობელო. იქვე მოჩუხჩუხებდა კასტალიის წმინდა წყარო. ამიტომ პარნასი და პეგასონი მუზების, პოეტური ხელოვნების სიმბოლოა. აქ ადიდებდნენ დიონისესაც. ამ მთაზე იმართებოდა აპოლონისა და მუზების შეკრება, ფერხული, პაექრობა.

ვარ კლდესაეით და რკინასავით მოუდრეკელი ერთ
რამეს გეტყვი საიდუმლოდ და გულ'ში გქონდეს: თუ
სასიძოთა ძლევას შეძლებ ღმერთთა შეწევნით, სულ
ჩამოგითველი სასახლეში მსახურ ქალთაგან, ვინც შენ
ლაფში გსერის და ვინ არის სინდისიერი".
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
„არ გეკადრება, დედავ, მათზე თავგამოდება,
მე თვით შეეიტყობ, ყოველიევს გამოვიკითხავ,
მხოლოდ გაჩუმდი, სხვა ყოველი ღმერთებს მიანდე".
თქვა ოდისევსმა. ძიძა წყლისთვის კარ'ში გაეიდა,
რადგანაც წინათ მოტანილი სულ დაღერილიყო,
ფეხი დაბანა, დაუამა საამო ზეთით.
ცეცხლთან ჩამოეჯდა ოდისევსი, ფეხებს ითბობდა
და ნაჭრილობევს იფარაედა პერანგის კალთით.
მაშინ მას უთხრა პენელოპე დარბაისელმა:
„უცხოვ, მაქვს კიდევ ცოტა რამე გამოსაკითხი.
უკვე ახლოა მოსვენების ჟამი საამო,
როს ძილი თვალებს სეედიანსაც უხუჭავს ტკბილად,
მე კი ღვთაება ჭირს და ვარამს მიგზაენის უხვად.
დღით, კიდევ კარგი, გულს ვიოხებ მოთქმა-ტირილით,
თან მართობს საქმე, მსახურების თვალის დეენება;
როს ღამე მოდის და ყველასთვის მოაქვს სიმშვიდე,
უფრო მისიებს გულს დაკოდილს დარდი და ფიქრი,
სხვადასხვა აზრი მომდის თავში ერთურთზე მძიმე...
ახლა მოდი და ეს სიზმარი ახსენ როგორმე:
ჩემს სახლში წყლიდან ოცი ბატი ჰკენკაედა მარცელებს,
მსიამოვნებდა, აგრერიგად რომ იქცეოდნენ.
უცებ გამოჩნდა ბასრკლანჭება დიდი არწივი,
ბატებს კისერი მოუგრიხა, მუსრი გაავლო,
ბატები ჰყრია ჩემს დარბაზში, არწივი გაქრა,
მე კი ეტიროდი მწუხარებით, მწარედ მოვთქვამდი,
გარს მეხვეოდნენ აქაველი ქალები გუნდად,
დახოცილ ბატებს ჩემთან ერთად გლოვობდა ყველა.
უცებ მოფრინდა კელავ არწივი, ძელზე ჩამოეჯდა
და ვაეკაცის ხმით მამშვიდებდა ის ამ სიტყვებით:
„იკარიოსის ტურფა ქალო, გამაგრდი სულით,
ცხადად ახდება ყოველივე სიზმრად ნახული.
სასიძონია ის ბატები, ხოლო არწივი

ქმარი ეარ შენი, სახლში ადრე დაბრუნებული,
რომ შენს საქმროებს ერთობ დროზე მოეუღო ბოლო".
ეს რომ თქვა, მერე ტკბილი ძილი გამშორდა უმალ,
წამოვდექ, ეზოს გადაეველე თვალი და ეხედავ:
ბატები ისევ მარცვლებს კენკდნენ ჩეულებრივად".
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
„მაგ სიზმრის ახსნა ძნელი არის, ქალო, სხვაგყარად,
თუ არა როგორც სულ სისწორით უთქვამს ოდისევსს,
რაც აღსრულდება უეჭველად, სასიძოთაგან
ერთი კაციც კი შაებედ სიკვდილს ვერ გადურჩება".
პასუხად უთხრა პენელოპე დარბაისელმა:
„არრის მაქნისი არის, უცხოვ, ზოგჯერ სიზმარი,
სიზმრად ნახული ყველაფერი ახდება განა?
ორი კარი აქვს სიზმარს - მართლის და ტყუილისა.
ერთი კარია სპილოს ძვლის და მეორე - რქისა.
სპილოს კრიალა ძვლის კარიდან რაც კი გამოდის,
გვაცდუნებს ფუჭი ოცნებებით ტყუილუბრალოდ,
ხოლო უბრალო რქის კარიდან რაც კი გამოდის,
სწორად ახდება მოკვდავთაგან სიზმრად ნახული.
მაგრამ არ ეფიქრობ, ის ზმანება, ჩემგან ხილული,
ჩემთვის ესოდენ სანუკვარი იქიდან იყოს.
სხვა რამეს გეტყვი და ჩემს ნათქვამს ათხოვე ყური;
მოდის რიყრაჟი სანაწერო, და სანამ ბოლოს
ოდისევსის სახლს დავტოვებდე, მოვაწყობ შეჯიბრს.
თავის დარბაზში ოდისევსი ჩაამწკრივებდა
თორმეტ ცულს ფერდით ფერდზე მიდგმულს გემის გვერდისებრ
და მათ ყუაში ატარებდა ისარს შორიდან.
ეს დავალება მინდა მივცე ახლა საქმროებს:
ვინც მშვილდს მოზიდავს, მოხრის ძალის დაუტანებლად
და გაატარებს თორმეტ ცულის ყუაში ისარს,
იმას გავყვები ქმრის სახლ-კარის, ესოდენ კარგის,
მისი ქონების და სიმდიდრის დამტოვებელი,
რასაც სიზმარში ზოგჯერ მაინც ვიხილავ ხოლმე".
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
„ღირსო მეუღლევ ლაერტიდე ოდისევსისა,
ნურც მოგეშალოს შენ ამ სახლში ეს შეჯიბრება.
მანამდე მოვა ოდისევსი თავის სახლ-კარში,

ეიდრე შეძლებდნენ სასიძონი, მშვილდი მოზიდონ
და რკინებს შორის გაატარონ სწრაფი ისარი".
პასუხად უთხრა პენელოპე დარბაისელმა:
„თუ ისურვებდი, უცხოე, ასე შენი საუბრით
გულს დამიტკბობდე, ძილი თვალებს ვერ მომპარავდა,
მაგრამ არ ძალუძს კაცს ერთავად უძილოდ ყოფნა,
რადგან დიდ ღმერთებს მოკვდავთათვის დაუდგენიათ
წესი და ზომა ყველაფერში ამ ქვეყანაზე.
ახლა კი ზემოთ საძინებელ ოთახში ავალ,
რომელიც მოთქმის და ტირილის სადგურად მექცა
მე ბედით ჩაგრულს იმის შემდეგ, რაც ოდისევსი
წავიდა ბოროტ ილიონში და დაიკარგა.
მე ზემოთ ავალ, შენ აქ დაწექ, ამ დიდ დარბაზში,
გინდ იატაკზე მოისვენე, გინდ რბილ საწოლზე".
თქვა და ავიდა თავის ნათელ წყნარ საანეში,
უკან მხლებლებად მიჰყვებოდნენ მსახურნი ქალნი.
ზემოთ ასული, თავის მსახურ ქალებთან ერთად,
დიდხანს მოთქვამდა ოდისევსზე გულდასაყედილი,
ეიდრე ათენამ ტკბილი ძილი არ მოუელინა.

სიმღერა მეოცე

დასაძინებლად ოდისევსი დაწვა წინკარში
და ქვეშ დაიგო ხარის ტყავი მოუთელავი
და საბნის ნაცვლად წაიხურა ტყავები ცხვართა.
ზედ ევრინომემ დაამატა შალის საბანი.
სასიძოთათვის ავის მდომელს ძილი გაუკრთა,
მსახურნი ქალნი დარბაზიდან მიისწრაფოდნენ
სასიძოებთან გარყვნილებას დაჩვეულები,
ბევრსაც ლაყბობდნენ ერთმანეთში და იცინოდნენ.
არ უდგებოდა საგულეში გული ოდისევსს,
სულსა და გულში ორი აზრი უტრიალებდა:
ყველას ახლავე დასცხრომოდა, მოეღო ბოლო...
ის მაინც კვლავ ბორგავდა და ტრიალებდა,
ვით ცეცხლზე კაცი კუჭს გატენილს სისხლით და ქონით
მონდომებული ატრიალებს იქით და აქეთ,
რაც შეიძლება მალე შეწვას დასანაყრებლად,
ისე ზრუნავდა ოდისევსიც იმ ფიქრში მყოფი,
შინ სასიძოებს მარტო როგორ გასწორებოდა.
მაშინ ათენა ჩამოსული ციდან მიწაზე
მოსამსახურე ქალის სახით გამოეცხადა,

თავზე წაადგა და მიმართა მას ამ სიტყვებით;
„ძილს რატომ იტეხ, ყოველ კაცზე უფრო საბრალოვ.
შენს სახლ-კარში ხარ, შინ დაგიხვდა შენი მეუღლეც,
შეილიც შინ არის, რომლის ბაღალს ყველა ინატრებს".
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
„დიდო ქალღმერთო, ყოველივეს სისწორით ამბობ,
მხოლოდ ისღა მაქვს დარდად, ფიქრად და საზრუნავად,
ვით გაეუსწორდე ერთი კაცი ამდენ სასიძოს,
როცა ისინი სუყოველთვის აქ ტრიალებენ?
ამასთან ერთი საზრუნავიც სისხლს და გულს მიმღერევს,
ვთქვათ და სუყველას მარტო ვძლიე ზევსის შეწევნით,
თაეი როგორღა დაეაღწიო პასუხისგებას?
მაშინ ათენამ ცისფერთვალამ უთხრა პასუხად:
„ცუდ მეგობარსაც ენდობიან ხშირად, საბრალოვ,
კაცს მომაკედაეად დაბადებულს, სულ მცირე მცოდნეს,
მე კი ღმერთი ვარ ჭირსა შიგან მფარველი შენი,
განსაცდელის ჟამს შენთან მდგომი და გეტყვი ნათლად:
ორმოცდააოი რაზმი ერთად წინ რომ დაგვიდგეს
და შეგეუბრძოლოს სასტიკ ომში თაეგანწირულად,
მაინც ადვილად მოეტაცებდით ცხვრის და ძროხის ჯოგს.
ძილს მიეც თაეი, ღამისტეხეა ძნელია მეტად,
იყუჩე, მალე მოელება ბოლო შენს ტანჯვას"
თქვა და ღრმა ძილი მოუვლინა მის დაღლილ თვალებს
და კელავ დაბრუნდა დიდ ოლიმპზე ქალღმერთთა ღმერთი...



ლარნაკზე ნახატი – ეერიკლეა ფეხს ბანს ოდისეუსს (ძ.წ. 440 წ.)

ფიქრი და დისკუსია

გაიაზრეთ

1. რატომ სურს ქალღმერთთან ერთად სასიძოთა „მოკვლის მზრახველ“ ოდისევსს პენელოპესთან შეხვედრა? რა დაიჩივლა მასთან საუბრისას ქალმა? მოძებნეთ შესაბამისი ადგილი ტექსტში;

2. რა ხერხი მოიგონა პენელოპემ ქორწილის გადასავადებლად? მოძებნეთ შესაბამისი ადგილი ტექსტში;

3. როგორ იცნო ევრიკლეამ თაყისი ბატონი?

გააანალიზეთ

4. რამდენად შეესაბამება პენელოპეს ქვითინი თოვლისა და რუს კონტექსტს, რომელიც წარმოდგენილია მე-19 სიმღერის 148-153-ე სტრიქონების შედარებაში? დაასაბუთეთ;

5. პენელოპემ განიზრახა, ცოლად გაჰყოლოდა იმას, ვინც მე-19 სიმღერის 361-364-ე სტრიქონებში აღწერილ დავალებას შეასრულებდა. როგორ ვაჟკაცს შეეძლო ამ დავალების დაძლევა? როგორ შეესაბამება ეს გეგმა მის საკუთარ განზრახვას? რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ;

6. რატომ უარყვეს პენელოპემ და ოდისევსმა სიზმრად ნანახი მინიშნება? რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ.

განაზოგადეთ

7. მე-19 სიმღერაში აღწერილი მოვლენები არაა ეპიკური თხრობისათვის დამახასიათებელი. თქვენი აზრით, რატომ აღწერს ასე დაწვრილებით ჰომეროსი, ერთი მხრივ, საუბარს ოდისევსსა და პენელოპეს შორის, და, მეორე მხრივ, ძიძის მიერ ოდისევსის ცნობის სურათს? დაასაბუთეთ;

8. თქვენი აზრით, გააგრძელებს თუ არა ოდისევსი პენელოპესთან ცხოვრებას? რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ;

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი
ლიტერატურული წინასწარუწყება

როდესაც ჰომეროსი მიანიშნებს, თუ რა მოხდება მოვლენების განვითარებისას მოგვიანებით, იგი იყენებს მხატვრულ ხერხს, რომელსაც წინასწარუწყება ეწოდება. ანუ: ვიდრე მკითხველი გაიცნობს ნაწარმოების დასასრულს, ჰომეროსს თავისუფლად შეუძლია შეეხოს იმას, თუ რა მოხდება მოგვიანებით პოემაში.

1. მე-19 სიმღერის 324-342-ე სტრიქონებში აღწერილი პენელოპეს სიზმარი წინასწარ მოასწავებს მოსალოდნელ მოვლენებს. თქვენი აზრით, ვინ არის არწივი და ვინ არიან ბატები ამ სიზმარში? რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ;

2. რას მიანიშნებს სიზმარი სასიძოებთან დაკავშირებით? დაასაბუთეთ.

კომპოზიცია
ოდისევსის სასახლის აღწერა

ჰომეროსი არსად აღწერს დეტალურად ოდისევსის სასახლეს. ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ გაფანტული მინიშნებები, რომლებსაც პოეტი ამბის გადმოცემისას გვაწვდის.

აღწერეთ ოდისევსის სასახლე მისი ძირითადი ელემენტებით, რომლებსაც მოიძიებთ ტექსტის გადაკითხვისას; დააფიქსირეთ ყველა შესაბამისი დეტალი. თქვენი ნაწერი ისე დაგეგმეთ, რომ პირველად ჩამოსულ სტუმარს შეეძლოს სასახლისკენ მიმავალ გზაზე დადგომა, შესასვლელთან მისვლა, მთავარ დარბაზში მოხვედრა, დაბოლოს, იმ ოთახების დათვალიერება, სადაც ოჯახის წევრები ცხოვრობენ, აგრეთვე, საკუჭნაოს ნახვა, სადაც საკვები, სამოსი და საჭურველი ინახება. თუ პოემაში რაიმე ბუნდოვანადაა აღწერილი, ხარვეზის შესავსებად თქვენი წარმოსახვა გამოიყენეთ.

წერა ხასიათების შესახებ

დაწერეთ ესე, რომელშიც წარმოადგენთ იმ სხვადასხვა მხატვრულ ხერხს, ჰომეროსი რომ იყენებს ლეგენდარული პიროვნების თავისებურ და ინდივიდუალურ პერსონაჟად დახასიათებისათვის. ამოირჩიეთ ისეთი სცენა, რომელშიც უმთავრესად ოდისევსია ფოკუსირებული, რაც გაგიადვილებთ ანალიზს. წაიკითხეთ ტექსტი დაკვირვებით და ძიებით შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით: ოდისევსის (1) ფიზიკური გარეგნობა, (2) მეტყველება, (3) ქმედება, (4) ოდისევსისადმი სხვა პერსონაჟების რეაქცია, დაბოლოს, (5)(თუ შეძლებთ გამოყენებას) მთავარი გმირის შინაგანი გრძნობები და ფიქრი.

თითოეული ასპექტი ცალკე აბზაცად გამოყავით.

გამრავალფეროვნება

სცენის დადგმა

პოემაში მოცემულია ეპიზოდები, რომლებიც დრამასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე – ეპიკურ თხრობასთან, რადგან ერცლადაა შემოთავაზებული დიალოგები. ამის კარგი მაგალითია ღამეული სცენა, რომელშიც

გადმოცემულია ოდისევსის, პენელოპესა და ევრიკლეას საუბარი (მუ-19 სიმღერა, 40-393-ე სტრიქონები). თქვენ და თქვენს თანაკლასელებს შეგიძლიათ დადგათ ეს სცენა. პერსონაჟების მიხედვით გაინაწილეთ სამი როლი, ხოლო მეოთხე პირმა დიალოგებს შორის დასაკავშირებელი ტექსტი წაიკითხოს.

სიმღერა ოცდამეერთე

ათენ ქალღმერთმა, თვალციმციმამ, აღუძრა გულში
იკარიოსის ტურფა ასულს ასეთი ფიქრი:
შემოეტანა დიდ დარბაზში მშვილდი და რკინა
სასიძოთათვის ხოცვა-ულეტის მომასწავებლად.
ისიც სასახლის მაღალ კიბეს უმალ შეუდგა,
აიღო ოქროს გასაღები ლამაზი ხელით,
შესახედავად კოხტა, სპილოს ძვლისტარიანი.
მერე შევიდა იმ ხულაში მსახურებითურთ,
სადაც ელაგა ოდისევსის ავლადიდება:
ოქრო, სპილენძი, რკინა ძნელად გამოსაჭედი.
ჩამოხსნა მშვილდი და კაპარჭი მაღალ კედლიდან,
შიშის მომგერელო, გამგმირავი ისრებით სავსე...
მაგარ ბუდეში ჩადებული, სულმთლად მბზინავი.
იქვე ჩამოჯდა, იარაღი მუხლზე დაიდო,
მოთქმა-ტირილით ამოიღო მშვილდი ბუდიდან.
მერე, როდესაც მოთქმა-ოხვრით გული იჯერა,
გაამაყებულ სასიძოებს კვლავ დაუბრუნდა
და მშვილდთან ერთად მას კაპარჭიც ეჭირა ხელში
შიშის მომგერელი, გამგმირავი ისრებით სავსე.
მის უკან მსახურ მონა ქალებს მოჰქონდათ სკივრი,
რომელშიც ეწყო იარაღი დიდი გმირისა.
სასიძოებთან როს დაბრუნდა ქალთა ღვთაება,
დიდი დარბაზის შესასვლელში ზღურბლზე შეწერდა
მანდილით სახეშებურვილი, კდემამოსილი,
გარშემორტყმული ტურფა, ერთგულ მსახურ ქალებით.
მერე საქმროებს სიტყვა ჰკადრა ქალთა მშვენებამ:
„ყური დამიგდეთ, ვაჟკაცებო, კეთილშობილნო,
ყოველ ცისმარე დღე აქ ზიხართ, ჭამთ და ქეიფობთ,
სახლის უფროსი რაკი არ ჩანს დიდი ხანია.
ამის მიზეზად ვერრას იტყვით, გარდა იმისა,
რომ თითქოს გსურდეთ ჩემთან მალე დაქორწინება.

აბა, რას უცდით, საქმროებო, წინ გიდეთ ჯილდო,
ვდებ ღმერთთა სადარ ოდისევსის მშვილდს თქვენს წინაშე;
ვინც შეძლებს მარჯვედ, თავისუფლად მშვილდის მოზიდვას
და გაატარებს თორმეტ ცულში გასროლილ ისარს,
იმას გაეყვები და უმალვე ამ სახლს დაეტოვებ
ესდენ დიდებულს, სიკეთით და დოვლათით სავსეს,
რომელიც მერე, ვიცი, ხშირად დამესიზმრება".
თქვა და უბრძანა ღორების მწყემსს, კეთილ ევმეთსს,
მშვილდი და რკინა წინ დაედო საქმროებისთვის.
ცრემლმორეულმა ევმეოსმა სრულყო ბრძანება,
ატირდა მშვილდის დანახვაზე ძროხების მწყემსიც.
ანტინოე კი ამ სიტყვებით ქირდავდა იმათ:
„ჰეი, უგნურნო, გლეხუჭებო, ჭკუათხელებო,
თქვე უბედურნო, აქ რას მოთქვამთ და ქალს აწუხებთ
ისედაც გვემულს და გულმოკლულს? განა ვერ ხედავთ,
რა მწუხარეა, რა ყოფაში ქმრის დამკარგველი?
ჩუმად ისხედით, ჭამეთ თქვენთვის, თუ გეტირებათ,
კარში გადით და იქ იტირეთ, რამდენიც გსურდეთ,
მშვილდი დატოვეთ სასიძოთა შესაჯიბრებლად.
ძნელი იქნება ოდისევსის მშვილდის მოზიდვა,
აქ მყოფთა შორის კაცს ვერ ვხედავ, იმ გმირის ბადალს.
მე ჩემი თვალით დამინახავს დიდი ხნის წინათ
და კარგად მახსოვს, თუმცა იმ დროს ჯერ ყრმა ვიყავი".
ასე ამბობდა, თუმცა გული მაინც ერჩოდა
ვაჟკაცის მშვილდის მოსაზიდად, ისრის სატყორცნად.
პირველს მას სწადდა ესინჯა და ეცადა ბედი.
აიღო მშვილდი იმ გმირისა, რომელსაც ურცხვად
მისსავე სახლში აგინებდა ყველას წინაშე.
მაშინ წარმოთქვა ტელემაქემ ღვთის ჩაგონებით:
„ეჰაი, რა მომდის, სულ წამართვა ზეესმა გონება,
ძვირფასმა დედამ ეს რა მითხრა საღ აზრზე მყოფმა:
მწადს, სხვას გაეყვეო, ეს სახლ-კარი დავაობლოო.
მე კი, ჭკუიდან გადამდგარი, ვდგავარ, ეიცინი.
რაღას უდგახართ, სასიძონო, აბა დაიწყეთ...
რაღას ვაყოვნებთ? უკვე დროა, მშვილდი აიღოთ,
მარჯვედ მოზიდოთ, თქვენი ძალა ყველამ იხილოს.
მოდი ერთი და მეცა ვსინჯო, მშვილდს შევეჯიდო
და თუ მოვზიდე და ნიშანში ვტყორცნე ისარი,

მაშინ სრულიად არ ვინაღვლებ, თუ დედაჩემი
სხვაგან წამივა და დამტოვებს, როდესაც ძალმიძს,
გაეხდე მემკვიდრე მამაჩემის საჭურველისა".
წამოსასხამი მეწამული მოიხსნა უმალ,
ხმალიც მოიხსნა და საჩქაროდ გვერდზე მიაგდო,
ცულები რიგზე დაალაგა, მერე ჩაასო
მიწაში მაგრად. ერთობ ლარშიც გამოიყვანა,
გარშემო მიწა დაუბეკნა და გააოცა
ყველანი, ამგვარ საქმეებში გამოუცდელმა.
ზღურბლზე შემდგარმა სცადა მშვილდის მარჯვედ მოზიდვა,
სამჯერ მოსწია და სამჯერვე უმტყუნა ძალამ.
გულს არ იტეხდა და ისარი მოსდო ლარს ისევე,
ისარს ცულებში ახლა მაინც გავატარებო.
იქნებ კიდევაც მოეზიდა მშვილდი ამჯერად,
მაგრამ ანიშნა ოდისევსმა და შეაჩერა.
მაშინ წარმოთქვა ტელემაქემ ღვთის ჩაგონებით:
„ვაი, მე უძლურს, უბედურს და არაფრის მაქნისს!
ერმა ვარ ჯერ იქნებ და ადრეა ვენდო ჩემს ხელებს,
მომხვდურს პასუხი საკადრისი გავცე პირველმა.
აბა, თქვენ სცადეთ, ვინც ძალ-ღონით ჩემი მჯობნი ხართ.
მშვილდი მოზიდეთ შეჯიბრების შესასრულებლად".
ეს რომ თქვა, უმალ ოდისევსის მშვილდი დაუშვა
და მიაყუდა კარგად ნაკეთ კრიალა კარზე,
ისარიც კარზე მიაყუდა იქვე მის გვერდით,
თვითონ კი თავის სავარძელში ჩაჯდა ისევე.
მაშინ საქმროებს ანტინოემ ასე მიმართა:
„აბა, ძმობილნო, ვცადოთ ყველამ ჩვენი საცდელი,
იმ რიგით მივყვეთ, ღვინის სმის დროს როგორც გვაქვს წესად"-
თქვა ანტინოემ და მის ნათქვამს ერწმუნა ყველა.
ლეოდე ქველი ადგა მაშინ ოინოპსის ძე.
მკითხაობად ესვათ, იჯდა მუდამ კრატერის ახლოს,
მშვიდი და წყნარი, სხვების ქცევით ხშირად ნაწყენი,
ფრიად მოძულე სასიძოთა თავხედობისა.
პირველი დასწვდა ოდისევსის მშვილდ-ისარს იგი.
ჯერ ზღურბლზე შედგა, მერე ნელა მოზიდა მშვილდი,

მაგრამ ვერ შეძლო და ხელები მოდუნებული
სწრაფად დაუშვა. სასიძოებს მიმართა მაშინ:

„ახლა სხვამ სცადოს, მე არ ძალმიძს მშვილდის მოზიდვა,
ეს მშვილდ-ისარი გულს გაუტეხს ბევრ კეთილშობილს.
იქნებ გვერჩიოს მის დამკარგველთ ერთხელ სიკვდილი,
ვისი გულისთვის უქმ ლოდინში დაუზარებლად,
თაედაეიწყებით მრავალი დღე გვიტარებია.
იქნება ახლაც ფიქრობს ვინმე, რომ ოდისევსის
ტურფა მეუღლეს პენელოპეს ცოლად შეირთავს?!
რა დარწმუნდებით, რომ ვერ შეძლებთ მშვილდის მოზიდვას,
სხვა ტურფა ასულს მოიძებნით აქაველებში.
ძვირფასი ძღვენით მისი გულის მოგება სცადეთ,
ისიც გაჰყვება მას, ვინც სხვებზე მეტ ძღვენს მიართმევს".
ეს რომ თქვა, უმალ ოდისევსის მშვილდი დაუშვა
და მიაყუდა კარგად ნაკეთ კრიალა კარზე,
ისარიც კარზე მიაყუდა იქვე მის გვერდით,
თვითონ კი თავის საგარძელში ჩაჯდა ისევე.
მაშინ გაშმაგდა ანტინოე და თქვა ხმამაღლა:
„ეს რა წამოგცდა, რა უკადრი სიტყვა, ლეოდე,
რა შესაზარი მოსასმენი, ყურს ვერ ეუჯერებ.
ბევრ კეთილშობილს გულს გაუტეხს მართლაც ეს მშვილდი,
ჩვენთვის ცხადია, ვერც შენ შეძლე მისი მოზიდვა,
რადგან დედაშენს ვერ უშვიხარ ისეთ ვაჟკაცად,
მშვილდით და ისრით მოგეხვეჭა ქვეყნად სახელი,
მაგრამ უყურე, სხვამ ეს მშვილდი როგორ მოზიდოს!"
ეს რომ თქვა, თხების მწყემსს შეხედა და ასე უთხრა:
„ე, მელანთიოს, გააჩაღე ცეცხლი დარბაზში,
დადგი იქ სკამი და ზედ ტყავი გადააფარე.
ქონის ნაჭერი მოიტანე საკუჭნაოდან,
რომ ჭაბუკებმა მშვილდ-ისარი კარგად გაეპოხოთ,
მშვილდიც მოეზიდოთ სრულსაყოფად შეჯიბრებისა".
ეს რომ თქვა, ცეცხლი გააჩალა მელანთიოსმა,
დადგა იქ სკამი, ზედ ცხვრის ტყავი გადააფარა,
ქონის ნაჭერი მოიტანა საკუჭნაოდან.
მშვილდი გაათბეს, გაპოხეს და სცადეს მოზიდვა.
მაინც არ ეყო მკლავის ძალა არც ერთ სასიძოს.
ანტინოემ და ევრიმაქემ, სასიძოთაგან
უკეთესებმა, იმ დღეს ცდაზე ხელი აიღეს.
კარში გავიდნენ რიგ-რიგობით ერცელ დარბაზიდან
მწყემსი ძროხისა, ღორის მწყემსი და შემდეგ მაჰყვა

იმათ კვალს უკან ოდისევსი ღმერთის სადარი.
როცა ისინი ჭიშკარს გასცდნენ და მარტო დარჩნენ,
მაშინ მიმართა ოდისევსმა მათ ტკბილი სიტყვით:
„თქვენ, ღორის მწყემსო, ძროხის მწყემსო, ერთ რამეს გეტყვით,
იქნებ თქმაც არ სჯობს, მაგრამ გული დუმილს არ მირჩევს.
როგორ დაიცავთ თქვენ ოდისევსს, შინ რომ დაბრუნდეს
ანაზდეულად მოელენილი ღმერთების ნებით?
ამ სასიძოებს, თუ ოდისევსს დაეხმარებით,
თქვით, ვის მხარეზე უფრო მეტად მიგიწევთ გული?"
ამის პასუხად ძროხის მწყემსმა ეს სიტყვა უთხრა:
„ოჰ, მამა ზევსო, ამ ნატერას რომ ამისრულებდე,
ერთი მოვიდეს აქ ის კაცი ღმერთთა შეწევნით,
მაშინ შეიტყობ, თუ რა ძალა შერჩა ამ ხელებს!"
ცას შეღაღადა ევმეოსმაც და სთხოვა ღმერთებს:
მარად უკვდავნო, ოდისევსი დაგვიბრუნეთო.
როცა მათ გულში ოდისევსმა ღრმად ჩაიხედა,
მაშინ ორთავეს ასე უთხრა დაუფარავად:
„ეს მე ვარ თვითონ ოდისევსი მრავალტანჯული,
ჩემს სამშობლოში მეოცე წელს დაბრუნებული.
თქვენ დარჩენილხართ მონათაგან ჩემი ერთგული,
თქვენ გარდა მონა მე არ ვიცი და არც მსმენია,
ჩემს შინ მოსელაზე მაღალ ღმერთებს შევედრებოდეს.
ამიტომ გეტყვით ყოველივეს მთელი სიმართლით:
ღმერთის შეწევნით სასიძოებს თუ მოვერიე,
მაშინ ორთავეს ცოლებს შეგრთავთ, ქონებას მოგცემთ,
სახლებს აგიგებთ ჩემს მახლობლად. და მეყოლებით
ისეთ პატივში, როგორც ტოლნი ტელემაქესი.
იმის დასტურად, ოდისევსი რომ ვარ ნამდვილად,
არ გქონდეთ ეჭვი და ერწმუნოთ ჩემს ყოველ სიტყვას,
აი, ნაჭდევი ჭრილობისა, ნადირობისას
პარნასის მთაზე ტახის ეშვით მოყენებული".
ეს რომ თქვა, ძონძი მოიშორა ფეხზე მაშინვე,
და როს დახედეს ნაჭრილობევს, მწყემსები მყისვე
ტირილით ეცნენ და მოხვიეს ოდისევსს ხელი,
თავ-პირზე, მხრებზე გულმხურვალედ ამბორი უყვეს.
მათ ოდისევსმაც დაუკოცნა თავი, ხელები.
ტირილში თავზე მზეც დილისა დაადგებოდათ,

ოდისეევსს მათთეის რომ არ ეთქვა დასამშეიდებლად:
„გეყოფათ ცრემლი და ტირილი, არეინ შეგენიშნოს
უეცრად კარში გამოსულმა, ვინმემ არ გაგეთქვას.
სჯობს სათითაოდ დიდ დარბაზში შეეიდეთ ისევ,
ჯერ კი მე შეეალ, თქვენ მომყეით, მხოლოდ იცოდეთ:
სასიძოები არ მომცემენ იმის უფლებას,
ხელი შეეახო მშეილდს და კაპარჭს ისრებით საესეს.
შენ კი, ეემეოს, გამოიტან ჩემს მშეილდს და ისარს,
საკუთარ ხელში ჩამაბარებ, ქალებს კი ეტყეი:
ჩაკეტონ კარში გასასელელი კარები ყეელგან.
ვინმემ რომ ყური მოჰკრას კიდეც კაცების გნიასს,
ბღაეილს და ყვირილს, კარში გასელა ვერ შეძლოს მაინც
და მინდობილი საქმე ისევ აკეთოს მშეიდად.
შენ, ფილოიტე, ჭიშკარს დროზე დააღებ ურდულს,
თოკით შეკოჭაე ისე მაგრად, ვერავინ გახსნას".
ეს რომ თქვა, უმალ უცხოდ ნაგებ სახლში დაბრუნდა
და მიაშურა სკამს, რომელიც წელან დატოვა.
მას უკან მიჰყვა თავდაჭერით ორივე მონა.
ამ დროს დარბაზში ევრიმაქე გიზგიზა ცეცხლზე
მშეილდს აბრუნებდა აქეთ-იქით, მაგრამ იმასაც
გული მოუკედა, რა ვერ შეძლო მოზიდვა მისი.
ბოლოს ნაწყენს და განრისხებულს წამოსცდა სიტყვა:
„ვაი, სირცხვილო, მეც და ყველას მოგვეჭრა თავი!
მაღონებს ძლიერ არა მხოლოდ ქორწილის ჩაშლა. –
ზღვით გარემოცულ ითაკაში და მის მახლობლად
ტურფა ასული ყველგან ბევრი მოიძებნება, –
უფრო გულს მიკლავს, ძალოვნებით რომ არ აღმოჩნდა
ჩვენ შორის ერთიც ოდისეევსის ტოლი და სწორი.
თავი მოგვეჭრა, სირცხეილი ჩვენ სამარადჟამოდ"
პასუხად უთხრა ანტინოემ, დააიმედა:
„ეს არ მოხდება, ევრიმაქე, შენ თვითონ იცი,
დღეს ღმერთ აპოლონს ხალხი უხდის ყველგან დღეობას.
მშეილდის მოზიდეა ჩვენც არ გვარგებს, სჯობს, რომ გადაედოთ,
ხოლო ცულები დარჩეს ისე, როგორც აწყეია, ამათ
ხელყოფას ვინ გაბედავს, მისთეის ვინ მოვა
ლაერტის შეილის ოდისეევსის ამ ერცელ დარბაზში?
აბა, მწდეებმა ახლა ღვინით აგეივსონ თასნი,
ეღეაროთ ზედაშე, მშეილდ-ისარი გეერდზე გადაედოთ.

ვუბრძანოთ თხის მწყემსს მელანთიოსს, რომ ხვალ ეზოში
განთიადისას დარჩეული თხები მორეკოს,
რომ დიდ მშვილდოსან აპოლონ ღმერთს შევწიროთ მსხვერპლად,
მშვილდიც მოვზიდოთ სრულსაყოფად შეჯიბრებისა, –
თქვა ანტინოემ და მის ნათქვამს ერწმუნა ყველა.
ჩამოატარა ხელსაბანი წყალი შიკრიკმა,
ახალგაზრდები საწდეებში სასმელს ასხამდნენ.
თასებს ყველასთვის საზედაშე ღვინით ავსებდნენ.
როდესაც შესვეს, რამდენიც კი გულით უნდოდათ,
ავისმზრახველმა ოდისევსმა ასე თქვა მაშინ:
„დიდი დედოფლის საქმროებო, დამიგდეთ ყური,
ვეტყვით მას, რასაც სული ჩემი გულს ეუბნება.
ევრიმაქეე და ანტინოეე ღმერთთა სადარო.
აქ ვინც წარმოთქვით საგულისხმო სიტყვა მართალი:
ხელი ავიღოთ დღეს მშვილდზეო, ღმერთებს ვენდოთო,
ღმერთი ხვალ მისცემს მას ძალ-ღონეს, ვისაც ირჩევსო,
რა იქნებოდა, რო მოგეცათ ჩემთვის დღეს მშვილდი,
ხელს შევავლებდი, ძალას ვცდიდი წინანდებურად;
მინდა შევიტყო, ამ ჩემს მკლავებს მოსდევს კვლავ ღონე,
თუ ყოველივე მოუსპია დარდს და ხეტიალს?!"
მისმა ნათქვამმა აღაშფოთა სასიძოები,
დაფრთხნენ, – ამ გლახამ მშვილდი მართლაც არ მოზიდოსო.
გაბრაზებულმა ანტინოემ უთხრა პასუხად:
„ჰუ, საძაგელო, მაწანწალავ, ჭკუაზე მოდი,
ის არ გეყოფა, რომ ესოდენ ამაყთა შორის
პურს ჭამ გულმშვიდად, ჩვენს თანაბრად ულუფას იღებ
და ყურსაც უგდებ ჩვენს საუბარს? წინათ აროდეს
არ მოსწრებია არც ერთ ყარიბს ჩვენთან ლაღობა,
იქნება ღვინომ დაგიბნელა ჭკუა, გლახაკო?"
პასუხად უთხრა პენელოპე დარბაისელმა:
„არ არის კარგი, ანტინოე, რომ შეურაცხყოფ
ტელემაქესთან სტუმრად მოსულ კაცს უსამართლოდ.
თუ მართლა შეძლო ამ ყარიბმა მშვილდის მოზიდვა
თავისი ხელით და ძალ-ღონით, ნუთუ შენ გჯერა,
მაგას გაეყვები, დავუჯდები სახლში მეუღლედ?
ამის იმედი, ვფიქრობ, გ'ულ'ში არც მას ექნება.
არ გეკადრებათ არც ერთ აქ მყოფს, ასე იფიქროთ,
არა და არა, დამიფაროს ღმერთმა ამისგან!..."

„დედავ, მშვილდს გავცემ თუ არ გავცემ, ჩემი საქმეა.
ყველამ იცოდეს, მასზე ვით მე, არ აქვს უფლება
არც ერთ აქაველს, ვინც გამგებლობს ქვეყან ითაკას...
სჯობს შენ წახვიდე და მიხედო ოჯახის საქმეს,
ქსელი ბეჭვო და დაასაქმო ყველა მსახური,
მშვილდზე ზრუნვა კი მამაკაცის საქმეა მხოლოდ,
უფრო კი ჩემი, დღეს ამ სახლში მე ვარ უფროსი".
შეცბუნდა დედა, მიაშურა თავის სავანეს,
შვილის ნათქვამი საზრიანი გულში ღრმად ჩასწვდა,
ზემოთ ავიდა თავის მსახურ ქალთა თანხლებით,
დიდხანს ტიროდა მეუღლეზე – გმირ ოდისევსზე,
სანამ ათენამ ტკბილი ძილი არ მოუვლინა.
ამასობაში მოიტანა მშვილდი მეღორემ,
მაშინ აყვირდნენ სასიძონი აღშფოთებულნი
და ჭაბუკთაგან არა ერთი ამბობდა ასე:
„სად მიგაქვს მშვილდი, შე თავხედო, ბრიყვო მეღორეო?
შენმა გაზრდილმა ნაგაზებმა დაგგლიჯონ ღორში
განუკითხავად მარტოდ-მარტო ოხრად გდებული,
ნეტამც გვისმინონ აპოლონმა და სხვა ღმერთებმა".
ასე ყვიროდნენ და მეღორემ მშვილდი დააგდო
მრავალი კაცის შეძახებით შეშინებულმა.
მაშინ შეჰყვირა ტელემაქემ ბრაზით მეღორეს:
„წაიღე მშვილდი, სხვებს ნუ უსმენ, თორემ ინანებ,
თუმც ჭაბუკი ვარ, არ დაგზოგავ, კარში გაგაგდებ,
ერთ-ორსაც ზურგში მოგაყოლებ, შეეძლებ გაჯობო.
ნეტავი ერთი ვაჯობებდე ამ დიდ დარბაზში
ერთად შეკრებილ სასიძოებს ჩემი ძალ-ღონით,
ყველას უკლებლივ საიქიოს გზას გაეუყენებ
ჩემსავე სახლში ჩემთვის შავი სამარის გამთხრელთ".
სასიძოებმა გულიანად გადიხარხარეს
და ტელემაქეს აპატიეს ეს სითამამე.
ხოლო მეღორე მშვილდით ხელში წინ მიიწევდა,
მერე შეჩერდა და ოდისევსს მშვილდი გადასცა,
შემდეგ მოიხმო ევრიკლეა და ასე უთხრა:
„ჭკვიანი მოყმე ტელემაქე ბრძანებს, კეთილო,
ჩაჰკეტონ კარში გასასვლელი კარები ყველგან,
ვინმემ რომ ყური მოჰკრას კიდეც კაცების გნიასს,

ბღავილს და ყვირილს, კარში გასვლა ვერ შეძლოს მაინც
და მინდობილი საქმე ისევ აკეთოს მშვიდად".
ასე უთხრა და ევრიკლეამ სრულყო ნათქვამი,
უმალ ჩაკეტა საქალებო მტკიცედ ნაგები;
ჩუმად გავარდა ძროხის მწყემსი ფილოტიოსი
შეკრულ ეზოში და ჭიშკარი მაგრად ჩარაზა.
წინკარში ეწყო იარაღი, გემის ხელსაწყო,
იქ ნაპოვნ ბაწრით მან გულდაგულ შეკრა საკეტი,
მერე დაბრუნდა კელავ დარბაზში თავის ადგილზე
და ადევნებდა თვალს ოდისევსს მშვილდით აღჭურვილს.
ის კი თავის მშვილდს აბრუნებდა წაღმა-უკუღმა:
ობლად შთენილი ხომ მატლებმა არ დამიღრღნესო.
სასიძოები ერთმანეთში ლაპარაკობდნენ:
„მშვილდის მცოდნე ჩანს, მაგრამ არ სურს გამოამჟღავნოს.
იქნებ ასეთი მშვილდი ჰქონდა მას თავის სახლში,
ან იქნებ სურდეს შეუკვეთოს ოსტატს ამგვარი.
რაღაც საეჭვოდ ატრიალებს მშვილდს ეს გლახაკი".
ასე ამბობდა თავაგდებულ ჭაბუკთა ჯგუფიც:
„ისემც დაუდგეს ამ მათხოვარს ორივე თვალი,
როგორც ვერ შეძლოს ოდისევსის მშვილდის მოზიდვა".
ამ ყბედობის დროს ოდისევსი. სიბრძნით ქებული
ყოველი მსრიდან თვალს აცლებდა თავის მშვილდ-ისარს.
ვით ჩანგ-ებანის კარგად მცოდნეს ადვილად ძალუძს,
სულ თავისუფლად გადაჭიმოს ჯორაზე სიმი
და ოსტატურად დაამაგროს ორივე მხარეს,
ასე ადვილად ოდისევსმა მოზიდა მშვილდი.
როცა მის საბელს წამოაელო მარჯვენა მძლავრი,
მერცხლის ხმის მსგავსი ხმა გაიღო საბელმა მყისვე.
ხმა იგი შემკრთალ სასიძოებს რისხვად მოესმათ,
ფერი ეცვალათ შიშისაგან თავზარდაცემულთ.
ზევსმა ნიშანი მისცა გრგვინვით საბედისწერო,
და სიხარულით ოდისევსის გული აღავსო
კრონოსის ძისგან მოცემულმა ძლევის ნიშანმა.
ხელი დაავლო მის წინ დებულ გამგმირავ ისარს,
სხვა ისრები კი ჯერჯერობით კაპარჭში ეწყო.
მალე ნახაედნენ იმის ძალას აქაველები.
მშვილდი ჩაბღუჯა და ისარი საბელს მოარგო,

წინ წაიხარა და მიზანში სტყორცნა ისარი,
და გაიარა ყველა ცულის ყუა ისარმა
ისე სისწორით, ერთი ცულიც არ შენძრეულა.
მაშინ მან კეთილ ტელემაქეს ასე მიმართა:
„ხედავ, არ გარცხვენს, ტელემაქე, შენი სტუმარი,
არ ავაცილე მე არც ნიშანს, არც მძიმე მშვილდის
სწრაფად მოზიდვა გამიჭირდა, ჩანს, ღონე მერჩის,
და უსამართლოდ მიბრიყვებენ სასიძოები.
ახლა კი დროა, რომ შეეუდგეთ ვახშმის თადარიგს,
სანამ ჯერ დღეა, ჩანგზე დაკერით უნდა გაეართოთ,
სილამაზე და მშვენებაა იგი ლხენისა".
თქვა და ანიშნა რაღაც თვალით, უმალ ნიშანზე
ხმალი აისხა ტელემაქემ, ოდისევსის ძემ,
ხელში აიღო ბასრი შუბი, მამასთან დადგა
თავით-ფეხამდე მოელვარე სპილენძში მჯდარი.

სიმღერა ოცდამეორე

დაყარა ბრძენმა ოდისევსმა ძონძები უმალ
და შედგა ზღურბლზე აღჭურვილი მშვილდით, კაპარჭით,
მჭრელი ისრები წინ დაყარა თავის ფეხებთან
და სასიძოებს მქუხარე ხმით შესძახა ასე:
„უსისხლო, ძნელი შეჯიბრება მორჩა, გათავდა!
ახლა გიჩვენებთ ჯერ არნახულ ნამდვილ სამიზნეს,
თუ აპოლონმა[1] მომანიჭა უძლეველობა".
ეს თქვა და სტყორცნა ანტინოეს ბასრი ისარი,
ის სწორედ ამ დროს აპირებდა ღვინის დალევას,
ორყურიანი ოქროს თასი ხელში ეჭირა
და როდი ჰქონდა ღვინის მსურველს სიკვდილზე ფიქრი,
ანდა იმ ლხინში მომლხენთაგან ვინ იფიქრებდა,
რომ გაბედავდა ერთი კაცი, თუნდ დიდად შემძლე,
თაეს დაატეხდა ამდენ ვაჟკაცს საშინელ სიკვდილს.

[1] აპოლონი – ბერძნული პანთეონის ერთ-ერთი უნათლესი და უზენაესი ღვთაება, ზევსისა და ტიტან კოიოსის ასულის – ლეტოს სხივთამოუველი ვაჟი,მეტსახელად ფებოსი (სხივოსანი). ძლიერებითა და მშვენიერებით სხვა ღმერთებზე აღმატებული, პოეზიის, მუსიკის, საერთოდ ხელოვნებათა, შთაგონებათა, მართლმსაჯულების, წესიერების, კანონთა, სინათლის, ყველა სიკეთისა და მშვენიერების მფარველი ბუნებასა და ადამიანთა შორის...

ეძგერა ყელში ანტინოეს ბასრი ისარი,
გაგლიჯა ისრის წვერმა მისი ნაზი კისერი;
იგი დაეცა, გაუყარდა თასი ხელიდან,
წასკდა სქელ ჭავლად ცხვირ-პირიდან სისხლი თქრიალით.
ფეხი ჰკრა მის წინ მდგარ მაგიდას გამწარებულმა
და სანოყაგით საესე სუფრა გადაყირავდა.
სასიძოებმა მყის ატეხეს აურზაური,
რა თვალი მოჰკრეს სისხლში მცურავ წაქცეულ ვაჟკაცს.
საეარძლებიდან წამოიჭრნენ დაუყოვნებლივ,
იარაღისთვის კედელს ეცნენ, მაგრამ ვერ პოვეს
მასზე ეერც ფარი და ეერც შუბი დაკიდებული.
მრისხანე სიტყვით მიუბრუნდნენ მაშინ ოდისევსს:
„რა შენდა ჭირად ჰკარ ისარი ამ კაცს, სტუმარო,
მორჩა შეჯიბრი, დადგა შენი სიკვდილის ჟამი.
მთელს ითაკაში ყველას მჯობნი კაცი განგმირე,
მალე გახდიან შენს მძორს ქორთა საიავაროდ".
ყველა ფიქრობდა: ყარიბს კაცი შემოაკვდაო,
ვერც კი ეაზრათ იმ უგნურებს, რომ დამდგარიყო
ჟამი განკითხვის, ჟამი მათი აღსასრულისა
კუშტად გახედა და შეჰყვირა მათ ოდისევსმა:
„რად არ გეგონათ, ძაღლის შვილნო, დავბრუნდებოდი:
სახლს რომ მიქცევდით, მსახურ ქალებს აიძულებდით,
თქვენს სანეტაროდ ღამით თქვენთან დაწოლილიყვნენ.
ცოცხალი კაცის ცოლის შერთვას რომ აპირებდით,
რომ არც ღმერთების, რომ არც კაცის რიდი არ გქონდათ,
რად არ ელოდით, ვინმე ბოლოს პასუხს მოგთხოვდათ?
დღეს კი მოვიდა ჟამი თქვენი აღსასრულისა".
თქვა, და დაეცათ სასიძოებს შიშის თავზარი,
ყველამ დაიწყო გასაქცევად უმალ გზის ძებნა
და მხოლოდ ერთმა ეერიმაქემ გაბედა ეთქვა:
„თუ შენ ხარ მართლა ოდისევსი დაბრუნებული,
სწორია, რაც თქვი აქაველთა დანაშაულზე.
ბევრი ცუდი ქნეს სახლშიაც და სახლის გარეთაც
და მესეური ანტინოე შენს წინ აგდია.
მან წამოიწყო ავკაცობა, რაც კი რამ მოხდა,
მიტომ კი არა, რომ ქორწილის მოსურნე იყო,
ის ჰქონდა ფიქრად, რაც მას ზევსმა არ აღუსრულა.

სწადდა, რომ თეითონ დამჯდარიყო ითაკის მეფედ,
შენი შვილი კი ეერაგულად სურდა მოეკლა.
ახია მასზე, რომ მოკალი, ჩვენ შეგვიბრალე,
სულ ყოველიეეს დაგიბრუნებთ უკან სახალხოდ –
რაც რამ გეისვამს და გეიჭამია ამ შენს დარბაზ'ში.
ყოველ ერთ ძროხას უცილობლად ოცი ძროხით ვზღავთ,
არ დაეიშურებთ შენთვის ძვირფას სპილენძს და ოქროს.
სანამ არ ესრულყოფთ ამ პირობას, დაე, გვერისხავდე"
მაშინ მას ბრძენმა ოდისეესმა ბრაზით მიმართა:
„კიდეც რომ მომცეთ მთელი თქვენი მამისეული,
რაც ხელთ გაქვთ ახლა, ანდა რასაც შემდეგ შეიძენთ,
სულ ერთი არის; კაცის კელაზე ხელს ეერ ავიღებ,
ეიდრე სანაცელოს არ მიეუზღავ მე სასიძოებს.
ახლა თქვენ იცით, საბრძოლეელად გინდ განემზადეთ,
გინდ შეეცადეთ, დააღწიოთ თავი დაღუპეას,
მაინც სიკედილი ეერ აგცდებათ უცილობელი".
აუცახცახდათ ამ სიტყეებზე მუხლიც და გულიც.
ეერიმაქემ კი სასიძოებს მიმართა მაშინ:
„ძმებო, ეს კაცი ხელს არ იღებს ჩვენთან ბრძოლაზე,
მშვილდი, კაპარჭი რა ხელთ იგდო განრისხებულმა,
ზღურბლს არ დატოეებს, სანამ ყველას არ ამოგეჟლიტავს.
აბა, ვაუკაცნო, გაეიხსენოთ წესი ბრძოლისა,
იშიშველეთ ხმლები, მაგიდებით მოეიგერიოთ
ბასრი ისრები. თავს დაეესხათ მთელი ძალ-ღონით,
სწრაფად ზღურბლიდან, კარებიდან დავახეევინოთ,
ქალაქს მივმართოთ და ავტეხოთ ხალხში განგაში,
რომ არ შეეძლოს შემდეგ ამ კაცს ჩვენი დაშუბეა".
თქვა ეერიმაქემ და მაშინვე იშიშვლა ხმალი
ორმხრივ გულდაგულ გალესილი, წინ მიიწევდა,
მაგრამ დაასწრო ოდისეესმა, სტყორცნა ისარი
და სასიკედილოდ ძუძუს თავზე დასცა პირდაპირ.
ღეიძლამდე ჩასწედა ისრის წეერი, მარჯვენა ნატყორცნი,
ხმალი ხელიდან გაუვარდა, წაიბორძიკა,
ზედ დაენარცხა სანოვაგით საესე მაგიდას,
სასმელ-საჭმელი და ჭურჭელი სულ ძირს დახვადა.
პირქვე დაემხო სულთმობრძავი, ფეხს გამწარებით
საეარძელს სცემდა და თეალები უბნელდებოდა.
ამფინომოსი მიიწევდა ოდისეესისკენ,

ხელში ეჭირა ბასრი ხმალი იმის მოსურნეს,
რომ კარებიდან უკუეგდო ტროას დამქცეველი.
მაგრამ დაასწრო ტელემაქემ, ბეჭში დაშუბა
და შიგ გულ-მკერდ'ში გაუტარა ბასრი სპილენძი.
მიწას დაასკდა მომაკვდავი მოცელილივით
და შეატოვა ტელემაქემ შუბი სხეულში.
სწრაფად გადახტა, რომ შემთხვევით ვინმე აქაველს
შეტოვებული ბასრი შუბის ამოძრობისას
მოულოდნელად არ ჩაეცა მისთვის მახვილი.
სულმოუთმენლად მიირბინა ძეირფას მამასთან,
მის წინ შეჩერდა და მიმართა ფრთოვანი სიტყვით:
„ფარსა და წყვილ შუბს, მამაჩემო, მოვიტან შენთვის,
მასთან სპილენძის მუზარადსაც თავის სარქველად,
აღვიჭურვები მეც საჭურელით, ასევე ახლავ
ფილოიტიოსს და ღორის მწყემსს ავსხამ იარაღს".
პასუხად უთხრა ოდისეველმა, სიბრძნით ქებულმა:
„აბა, საჩქაროდ, მანამ კიდევ მაქვს მე ისრები,
რომ კარებიდან არ გამაგდონ მარტოდ შთენილი".
ეს თქვა და შვილმაც ყურადღო მამის სიტყვები,
მაშინვე საწყობს მიაშურა საჭურველისთვის.
პოვა რვა შუბი, ოთხი ფარი, ოთხი ჩაფხუტი,
ოთხივე ცხენის გრძელი ძუით დამშვენებული,
ყველა აიღო და მყის მამას მიურბენინა.
ჯერ თვითონ კარგად აღიჭურვა მტკიცე სპილენძით,
მერე მეღორეც და მეძროხეც შეიარაღდნენ
და ამოუდგნენ სამთაენი ოდისეველს გვერდით.
ოდისევსი კი, სანამ ჰქონდა, ტყორცნიდა ისრებს,
მიაწყო ერთიმეორეზე სასიძოები.
ყველა ბრალიანს ერცელ დარბაზში უწყალოდ სრავდა,
მაგრამ როდესაც გაუთავდა ვაჟკაცს ისრები,
გვერდზე გადადო მაშინ მშვილდი უქმად შთენილი
და მიაყუდა იგი წირთხლზე კარების ახლოს.
ფარი ოთხფენად ოსტატურად ტყავგადაკრული
მხარზე იფარა, მუზარადიც თავზე მოირგო,
მასზე მიკრული ცხენის კუდიც კი შიშს იწვევდა,
და წყვილი შუბი სპილენძისა ხელში აიღო...
ათენამ მაშინ ზევსის ფარი აღმართა მაღლა
კაცთა მმუსრავი, და შეძრწუნდნენ სასიძოები.

შეშინებულნი ვრცელ დარბაზში ისე დარბოდნენ,
როგორც დამფრთხალი ძროხის ჯოგი გაზაფხულის ჟამს,
თავს კრაზანები საძოვარზე როცა ესხმიან; ანდა
ვით სწრაფი შეყარდნები ნისკარტკაუჭა
დამფრთხალ ფრინველებს უმოწყალოდ დაერევიან,
ფრინველნი ქვემოთ ეშვებიან, თავს რომ უშველონ,
შევარდნები კი მუსრს აველებენ თაეგზააბნეულთ,
შეკრული წრიდან არ უშვებენ, რომ არ გადარჩნენ,
ასე ისინი სასიძოებს მარჯვენივ თუ მარცხნივ
ბასრი შუბებით დიდ დარბაზში თაეებს უხეთქდნენ.
ისმოდა გმინვა, იდგა სისხლის ტბორები ირგელივ.
უცებ ოდისევსს მოეხვია ლეოდე მუხლზე,
ფრთოვანი სიტყვა უთხრა მერე ლოცვა-ვედრებით:
„შენს მუხლს ვეხვევი მე, ოდისევს, გთხოვ, შემიბრალო:
არცა სიტყვით და არცა საქმით მსახურ ქალთათვის
შენს სასახლეში უკადრი რამ არ შემიბედავს.
სხვებს ვარიგებდი უმსგავს საქმის განსარიდებლად.
არ მიჯერებდნენ, აე საქმეზე ხელს არ იღებდნენ,
აკი მისთვისაც სამარცხვინო ხვედრი ხვდათ წილად.
მეც მათთან ერთად რატომ მღუპავ ზვარაკთა მცოდნეს,
ბრალის არ მქონეს შებრალების ღირსადაც არ მხდი!"
წარბშეჭმუხვნილი გადმოხედა მას ოდისევსმა:
„თუ თავი მოგაქვს იმათ შორის ზვარაკთმისნობით,
შენც იქნებოდი ალბათ იმის მაეედრებელი,
შინ დაბრუნების უტკბეს დღეებს არ შევსწრებოდი,
რომ შეგძენოდა შვილი ჩემი მეუღლისაგან.
მიტომაც ეერა, შენც შავ სიკვდილს ვერ დაუსხლტები".
ეს რომ თქვა, ხმალი ზეაღმართა დაძარღვულ ხელით
მის მიერ მოკლულ აგელაესს რომ დავარდნოდა,
კისერს უსწორა, მოუქნია და გააგორა
მტევერში მიწაზე მისი თავი ისევ მყვირალი...
თვალი მოაელო ოდისევსმა დარბაზს გარშემო,
ხომ არ გადურჩა სიკვდილს ვინმე იმათგანიო.
გროვად ეყარნენ სასიძონი სისხლსა და მტევერში
და ეით თევზები ღრმა უბიდან წვრილთვალა ბადით
მეთევზეების მიერ მარჯვედ, უანგარიშოდ
თვალუწვდენელი ზღვის ნაპირზე ამოყუანილნი,

წყალს მონატრულნი, ცხელ ქვიშაზე გროვად დაყრილნი,
მზის მცხუნვარებით საცოდაოდ სულსა ღაფავენ,
ასე ეყარნენ სასიძონი ჭერეხებივით.
მაშინ შვილს უთხრა ოდისევსმა, სიბრაზით ქებულმა:
„აბა, ტელემაქ, ევრიკლეას მოუხმე უმალ,
სიტყვა მაქვს მასთან გასანდობი სულ'ში დებული".
ეს თქვა, და შვილმა ყურად იღო მამის ნათქვამი,
კარი გააღო, ევრიკლეა გამოიძახა:
„აბა, მოხუცო, უხ'უცესო ქალო ქალთაგან,
აქ შემოკრებილ მსახურ ქალთა ზედამხედველო,
მამა გეძახის, უნდა გითხრას რაღაც საჩქაროდ".
ეს თქვა და კვლავად არ დასჭირდა სიტყვის წარმოთქმა,
უმალ გააღო ევრიკლეამ ოთახის კარი,
ზღურბლს გამოშორდა, ტელემაქემ მოჰკიდა ხელი
და მიიყვანა გვამთა შორის მდგარ ოდისევსთან.
იგი ლომისებრ მოსვრილიყო სისხლით და ჭუჭყით,
რომელსაც ხარზე სულ ახლახან უნადირია,
მოთხერია სისხლით ცხვირ-პირი და მძლავრი გულ-მკერდა
ყველა მხილველის შემზარაეად, თავზარდამცემად. -
ასევე იყო ოდისევსიც სისხლში მოსვრილი.
რა დაინახა ევრიკლეამ მკვდრები და სისხლი,
მყის დააპირა შეცხადება ზარდაცემულმა,
მაგრამ მრისხანე ოდისევსმა დროზე იღონა,
ძლივს შეაჩერა და მიმართა ფრთოვანი სიტყვით:
„ჩუმად, მოხუცო, გიხარიდეს, ნუ ატეხ ხმაურს.
დაცემულ მტერზე არ ეგების ნიშნის მოგება,
ავმა საქმემ და ბედისწერამ მოსპო ესენი.
კაცთაგან არვის არა თვლიდნენ ესენი კაცად,
არცა უგვაროს, არც გვაროვანს არად აგდებდნენ,
მიტომ ესოდენ სამარცხვინო ხვედრი ხვდათ წილად.
ახლა კი მითხარ, თუ ვინ იყვნენ მსახურ ქალთაგან
ჩემი ოჯახის და სახლ-კარის შემარცხვენელნი".
ამის პასუხად ასე უთხრა მას ევრიკლეამ:
„სრული სიმართლით ყოველივეს გაუწყებ, შვილო,
ორმოცდაათი ქალი არის ჩვენთან მსახური,
ყველას სხვადასხვა სამუშაო აქვს მინდობილი,
მატყლის ჩეჩვა თუ სხვა რაიმე ხელით სასაქმო.

მათგან თორმეტი უსირცხვილო, ცუდ გზას დაადგა,
არც მე და, ალარც პენელოპეს ერიდებიან,
ტელემაქე კი ეს-ეს არის, რაც დავაჟკაცდა,
მსახურ ქალებზე რა გაელენა უნდა პქონოდა?
წაეალ ახლა და შენს მეუღლეს ეუტყვი ყველაფერს,
ჩანს მძიმე ძილით შეუპყრია იგი ღეთაებას".
პასუხად უთხრა ოდისევსმა; სიბრძნით ქებულმა:
„ნუ გააღვიძებ, დაუძახე ჯერ მსახურ ქალებს,
რომელთაც ხელი აუღიათ სინდის-ნამუსზე". ეს
რომ თქვა, ძიძა დარბაზიდან გავიდა უმალ,
მსახურნი ქალნი მოიყვანა ბრძანებისამებრ.
მაშინ მოიხმო ოდისევსმა შეილი თავისი,
ძროხების მწყემსი, მეღორე და მიმართა ყველას:
„ახლა გაზიდეთ ეს ცხედრები, ქალებს უთხარით,
სულერთიანად გარეცხონ და გაასუფთაონ
ტახტ-საავარძლები, მაგიდები წყლითა და ღრუბლით,
როცა ყველაფერს მიალაგებთ წესზე და რიგზე,
უმალ ქალები დარბაზიდან გარეთ გარეკეთ,
შელალეთ ღობის და ფარდულის შუა კუნჭულში
და სათითაოდ ამოართვით მახვილით სული,
რომ დაივიწყონ აფროდიტეს საქმე-ქცევანი,
სასიძოებთან საიდუმლოდ აღსრულებული".
ბრძანა და კენესით შემოვიდნენ მსახურნი ქალნი,
ცხელ ცრემლს აფრქვევდნენ და ერთმანეთს შიშით
ეკვროდნენ,
თავდაპირველად გაიტანეს გეამები გარეთ
და ღობის ახლოს ერთმანეთზე დააწყვეს მჭიდროდ.
თვალს ადევნებდა ყოველივეს თვით ოდისევსი,
ჩანდა, უჭირდათ მათ ამგვარი საქმის კეთება.
უძვირფასესი საავარძლები და მაგიდები
როცა გარეცხეს და გაწმინდეს წყლითა და ღრუბლით,
მყის ტელემაქე, მეძროხე და ღორების მწყემსი
გ'ულმოდგინებით იატაკის ფხეკას შეუდგნენ,
ქალები ნაგავს აგროვებდნენ, კარში გაჰქონდათ.
როცა დარბაზში ყველაფერი მიმოალაგეს,
ქალები გარეთ გაიყვანეს, მერე ყველანი
შერეკეს ღობის და ფარდულის შუა მიგდებულ

ვიწრო კუთხეში, რომ გაქცევა გერ შეძლებოდათ.
მაშინ წარმოთქვა ტელემაქემ წინდახედულმა:
„არ მსურს, მათ სული რომ ამოხდეთ წმინდა სიკვდილით.
ვინც შეგეარცხვინა და დაგეასხა ურცხვად თავს ლაფი
სასიძოებთან უნამუსო ურთიერთობით".
თქვა და შაეგეერდა გემის საბელს დააელო ხელი,
მყის გადაჭიმა ფარდულიდან ღობის ბოლომდე
და ზედ ქალები ჩამოჰკიდა, მიწას მოსწყვიტა.
როგორც შაშვები ან გვრიტები გაებმებიან
მარჯვედ დაგებულ მახეებში ბუჩქებზე ხოლმე
და ბუდის ნაცვლად ნახულობენ საშინელ სიკვდილს,
ასე საბელზე ქალებს თავი თავთან მიედვათ,
ცოდვით სავსენი საცოდავად რომ მომკვდარიყვნენ,
ოდნავღა ფეხის გაქნევა და გათავდა ყველა...
საქმეს რომ მორჩნენ, დაიბანა ყველამ ხელ-ფეხი
და ისევ უკან ოდისევსის სახლში დაბრუნდნენ.
მაშინ კი ძიძას ოდისევსმა ეს სიტყვა უთხრა:
„გოგირდი, ცეცხლი, ბოროტისგან განსაწმენდელი,
მოიტა, ძიძავ, ლხინის დარბაზს რომ გავუხრჩოლო.
მერე წადი და პენელოპეს შეატყობინე,
მსახურ ქალებთან ერთად ჩქარა აქ ჩამოვიდეს".
ამის პასუხად ევრიკლეამ უთხრა თდისევსს:
„სიმართლეს ამბობ, შვილო ჩემო, ღმერთს გეფიცები,
შენთვის კი პერანგს და მოსასხამს მოვიტან თანაც,
როდიღა შეგფერს, რომ ძონძები გეყაროს მხრებზე,
ლხინის დარბაზ'ში ასე ყოფნა არ გეკადრება".
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
„თავდაპირველად ცეცხლი მინდა ლხინის დარბაზში".
თქვა და ყოველი ევრიკლეამ მყის შეასრულა:
დაუყოვნებლივ მოიტანა ცეცხლი, გოგირდი,
უხრჩოლა ბოლი ოდისევსმა სახლ-კარს და ეზოს.
ევრიკლეამ კი მოიარა ყველა ოთახი,
აუწყა ქალებს, დიდ დარბაზში რომ ჩასულიყვნენ.
ქალებმაც დარბაზს მიაშურეს ჩირაღდნით ხელში,
გარს მოეხვია სიხარულით ყველა ოდისევსს,
თავ-პირი, მხრები და ხელები სულ დაუკოცნეს.
სიხარულისგან აუჩუყდა ოდისევსს გული,

275. ცრემლი მოადგა, სათითაოდ იცნო ყველანი.


ბრძოლის დასრულებისა და დარბაზის გასუფთავების შემდეგ პენელოპე მიდის უცხოელთან პირისპირ შესახვედრად.

სიმღერა ოცდამესამე

— შეიდა იგი დარბაზში და ცეცხლის პირას
დაჯდა თავისთვის ქმრის პირდაპირ კედლის მახლობლად.
ქმარი კი იჯდა მაღალ სვეტზე ზურგმიყრდნობილი
და მოელოდა, რას ეტყოდა მეუღლე მაშინ,
მის წინ მჯდომარეს თვალს როდესაც გაუსწორებდა.
ქალი კი დუმდა მძიმე ფიქრით გულჩათხრობილი.
ჰა, იცნო თითქოს მისი სახე, ესდენ ნანატრი,
მაგრამ ძონძების შემხედვარე ეჭვობდა მაინც.
მაშინ კი ჰკადრა ტელემაქემ დედამისს სიტყვა:
„თქვი, დედა ხარ თუ უცხო ვინმე, რამ გაგაქვავა,
რატომ შორს დგახარ, რატომ მამას არ მიუჯდები?
არცა რას ჰკითხავ, ერთი სიტყვაც კი არ აღირსე.
განა სხვა ქალი მოითმენდა იმ ქმართან დუმილს,
ვინც ენით უთქმელ ჭირ-ვარამის მზიდველ-მტვირთველი
ოცი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა?
მაგრამ მაგ მკერდში გულის ნაცელად ცივი ქვა გიდევს“.
ამის პასუხად პენელოპემ შვილს უთხრა ასე:
„ო, შვილო, გული ჩამწყდომია მე საგულეში,
არც რისიმე თქმის, არც შეკითხვის თავი არა მაქვს,
თვალში შეხედვაც კი არ ძალმიძს. და თუ ეს მართლაც
ოდისევსია თავის სახლში დაბრუნებული,
უმალვე ვიცნობთ სულ ადვილად ერთიმეორეს,
გვაქვს საიდუმლო, რაც ფარულად მხოლოდ ჩვენ ვიცით“.
ეს რომ თქვა, გულში გაეცინა მაშინ ოდისევსს
და ტელემაქეს ასე უთხრა ფრთოვანი სიტყვით:
„დაე, ტელემაქ, გამომცადოს მე დედაშენმა—
ახირებულო ქალო, შენთვის ღმერთებს მაგ მკერდში
სუსტ ქალთა შორის უგრძნობელი გული ჩაუდევთ.
განა სხვა ქალი დადგებოდა ასე გულგრილად
იმ ქმრის წინაშე, ვისაც ასე ჭირი გადახდა
და დაუბრუნდა მეოცე წელს თავის სამშობლოს?

მოდი, დედილო, გამიშალე აგერ საწოლი,
როგორც ეტყობა, ამ ქალს მკერდში რკინის გული აქვს".
მას პენელოპე დედოფალმა უთხრა პასუხად:
„ახირებული შენ ხარ თვითონ, მე არ ვქედმაღლობ,
არც ებრაზობ შენზე. კარგად მახსოვს, რა იყავ ოდეს.
გრძელნიჩბიან გემს ითაკიღან როცა მიენდე.
მაშ, ევრიკლეა, გაუშალე ახლა ლოგინი
ა, იმ საწოლზე, მან ოეითონეე რომ გააკეთა.
საძინებელი ოთახიდან გამოიტანე
და მოაყოლე ლეიბი და საბან-ტყაპუჭი".
ასე ამბობდა თავისი ქმრის გამოსაცდელად.
მაშინ ცოლს უთხრა ოდისევსმა გაჯავრებულმა:
„აბა, რას ამბობ, დედაკაცო, ვის შეუძლია,
ადგილი საწოლს შეუცვალოს? ეს მოკედავთაოვის
ძნელი საქმეა, მხოლოდ მაღალ ღმერთს შეუძლია
გადაიტანოს ადგილიდან ადგილზე იგი.
მოკედავ კაცთაგან ჯერ არავინ დაბადებულა
მისი დამძერელი, თუნდაც ჰქონდეს უტეხი ძალა.
მე გავაკეთე საწოლი და არა სხვა ვინმემ.
ზეთისხილის ხე ხშირტოტება გეედგა ეზოში,
ტანი სვეტივით აშოლტილი ჰქონდა მცენარეს,
ირგვლივ მოვაელე ქვის კედელი, თან გადავხურე,
ვაქციე ასე საძინებელ ოთახად იგი.
კედელში კარი დაეატანე მაგრად შეკრული, მერე
მოვჭერი ზეთისხილის ხის ტანი ზემოთ, ქვემოთ
რაც დარჩა, ის გავთალე ბასრი სპილენძით,
გამოვიყვანე ლარში კარგად წესზე და რიგზე,
ადგილზე ბურღიც მოვიშველე და ჭიბოსანიც,
მაგრამ ამ შრომით ყველაფერი როდი დამთავრდა.
მერე შევამკე ოქრო-ვერცხლით, სპილოს ძვლით იგი,
ღვედიც მოვაელე მას მეწამული ფერად ნაფერი,
აი, ნიმუში იმ საწოლის, მას კი ვერ გეტყვი,
ისევ იქა დგას, იმ ადგილზე, თუ ვინმე მოკედავს
ხის ძირი სხვაგან გადაუდგამს ზეთისხილისა.
ამის გამგონე პენელოპეს გული ჩაუწყდა,
ისე ზუსტი და სრული იყო ყველა ნიშანი.
ცრემლები წასკდა, ქმარს მივარდა და მოეხვია,
მერე თავ-პირი დაუკოცნა, თან ასე უთხრა:

„ნუ მიჯავრდები, ყოველის მჯობნო ჭკუა-გონებით,
თუმცა ღმერთებმა მოგვისაჯეს ტანჯვა-ვარამი,
რას მოვილხენდით, სანეტარო ახალგაზრდობის
ყვავილობიღან სიბერემდე გვესიამტკბილა.
გთხოვ, ნუ გამკილავ, მაპატიე, ნუ განრისხდები,
ნახვისთანავე რომ ვერ მოველ, ვერ მოგეხვიე.
სულ შიშით იყო შეპყრობილი ეს ჩემი გული,
რომ ვინმე მოკვდავს მაცთურობით არ შევეცდინე,
განა ცოტაა ბოროტი ღა ავისმზრახველი?...
რაკი შენ სწორად თქვი ნიშნები ჩვენი საწოლის,
რაც არასოდეს დაბადებულ კაცს არ უნახავს ჩვენ
ორისა და მონა ქალის აქტორიდს გარდა, ვინც
მამაჩემმა მსხიოვად მომცა აქ გამოთხოვილს, ჩვენი
სავანის, საძინებელ ოთახის მცველად,
ახლა ჩემს გულსაც, აგრე უნდოს, კი სჯერა შენი".
თქვა და თვალთაგან წასკდა ცრემლი, ატირდა ქმარიც,
რობ ასე სათნო და ჭკვიანი პყავდა მეუღლე.
ვით მეზღვაურნი მიწის ხილვას დანატრებულნი,
რომელთაც გემი დაულეწა პოსეიდონმა,
მძაფრი ქარიშხლით შემართული შმაგი ზღვის ტალღით,
მხოლოდ ცოტანი პირქუშ ტალღებს თავდაღწეულნი,
ქანცგაწყვეტილნი, მწუთხე წყლისგან ტანამოჭმულნი,
ნანატრ მიწაზე სიხარულით რომ გამოდიან,
ასე ილხენდა პენელოპე ქმრის შემხედვარე
და ქმრის ყელ-კისერს ვერ მოსწყვიტა თეთრი ხელები...



ლარნაკზე ნახატი –
ოდისევსი მშვილდით
(ძვ. წ. 450-440 წ.წ.)

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. რას დაამტკიცებდა პენელოპეს მიერ დათქმული მშვილდის მოზიდვის გამოცდა? დაასაბუთეთ;

2. რატომ გაუმჟღავნა თავისი ვინაობა ოდისევსმა ევმაიოსსა და ფილოიტიოსს? დაასაბუთეთ;

3. რა გამართლება მოძებნა ოდისევსმა ევრიკლეასთან სასიძოთა დახოცვის შესახებ?

4. როგორ დაარწმუნა საბოლოოდ ოდისევსმა პენელოპე, რომ იგი ნამდვილად მისი ქმარი იყო?

გააანალიზეთ

5. ჰომეროსი მიანიშნებს, რომ ანტინოე დაისჯება მშვილდ-ისრის მოზიდვამდე (21-ე სიმღერა, 55-59-ე სტრიქონები). რა ეფექტს ახდენს ეს მინიშნება მომდევნო სცენაზე? რატომ ფიქრობთ ასე?

6. გადმოეცით ჰომეროსის, ვითარცა ეპოსის ავტორის, მიერ აღწერილი სასიძოთა დახოცვის სურათი;

7. ახსენით, როგორ აღწერს ჰომეროსი სასიძოების ემოციებს, როდესაც მათ შეიტყვეს, რომ უნდა დახოცილიყვნენ. დაასაბუთეთ;

8. იმსჯელეთ, არის თუ არა ჩვენი მოლოდინის საწინააღმდეგო დიდი ხნის შეუერელი პენელოპესა და ოდისევსის შეხვედრის სცენა. რატომ არიან ისინი ასე ფრთხილად? როგორ აფასებთ პენელოპეს საქციელს, რომ იგი ასე დაბეჯითებით ბოლომდე ცდილობს დარწმუნდეს ოდისევსის ჭეშმარიტ ვინაობაში?

განაზოგადეთ

9. რა ადამიანურ ფასეულობებსა და იდეალებს გვთავაზობს ჰომეროსის ეპოსის დასასრული? ტექსტში მოიძიეთ შესაბამისი არგუმენტები;

10. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა პოემისთვის შესაფერისი ბოლო სცენა? რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ.

როგორც ვიცით, დახასიათება ლიტერატურული ხერხია, რომელსაც ავტორი იყენებს ხასიათის ინდივიდუალური თვისებების გამოსავლენად მხატერულ ნაწარმოებში. ავტორს შეუძლია წარმოაჩინოს პერსონაჟის ხასიათი

მისი ფიზიკური გარეგნობის, მეტყველების, ქმედების და აზროვნების მიხედვით, ან სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობისა და მათი რეაქციის ჩვენებით.

1. როგორ წარმოადგენს ოდისეესი თავის თავს, როდესაც იგი სასიძოთა დახოცვას იწყებს?

2. როგორ ეცნობით ტელემაქეს, როდესაც იგი ბრალს სდებს დედას, რომ ის უგულო ქალია – „რამ გაგაქვავა, რატომ შორს დგახარ, რატომ მამას არ მიუჯდები“(23-ე სიმღერა, მე-10 – მე-16 სტრიქონები)?

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი
სააზროვნო უნარები
დახარისხება

თემატიკის დახარისხება ესაა მისი მოწესრიგება გარკვეული სისტემურობით. ჰომეროსის „ოდისეას“ მიხედვით, მკითხველს შეუძლია პერსონაჟების დაჯგუფება იმ პრინციპით, თუ ვინ ეხმარება, ან ეწინააღმდეგება ოდისეევსს, რათა იგი საკუთარ ოჯახს დაუბრუნდეს.

1. ჩამოწერეთ ოდისეესის მოკავშირეები და მტრები;

2. დაანაწილეთ ეს ორი ჯგუფი იმისდა მიხედვით, თუ რომელია აქტიური ან პასიური ოდისეევსის დახმარებისას ან მტრობისას.

კომპოზიცია
ოდისეევსის ქმედების გამართლება

ზოგიერთმა მკითხველმა ოდისეევსის შურისძიება შეიძლება ზედმეტად სასტიკად მიიჩნიოს. დაწერეთ ესე, რომელშიც ჩამოწერთ სასიძოების დახოცვის მიზეზებს და შეეცადეთ მონახოთ ოდისეევსის საქციელის გამართლება. თემის შაე ვარიანტზე მუშაობისას მოკლედ ჩამოწერეთ ყველა ის მოტივი, რომელიც შეიძლება მოიფიქროთ ამ სისასტიკის გასამართლებლად, შემდეგ საბოლოოდ მოაწესრიგეთ თქვენი თვალსაზრისი უმნიშვნელო არგუმენტებით დაწყებული, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზით დამთავრებული. გაითვალისწინეთ ის გარემოება, რომ, თავის მხრივ, სასიძოები ოდისეევსის მოკვლას შეეცდებოდნენ. ამასთანავე, მხედველობაში გქონდეთ ტანჯული გმირის პიროვნული განცდები და ღირსების გრძნობა.

თხზულების წერა

ჰეროიზმს გამოელენის მრავალგვარი ფორმა შეიძლება ჰქონდეს. თქვენი თანაკლასელების დასარწმუნებლად დაწერეთ თხზულება, რომელშიც ხაზგასმული იქნება ოდისეევსისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი სამი ჰეროიკული თვისება, თავიდან ჩაინიშნეთ ის დეტალები, რომ-

ლებიც, თქვენი აზრით, ყველაზე ცხადი საგმირო სახასიათო ნიშანია. როდესაც ხელთ გექნებათ ასეთი ჩამონათვალი, დაუბრუნდით პოემას და მოიძიეთ ამის საილუსტრაციო მაგალითები. ესეს მონახაზში სახელი დაარქვით იმ თვისებებს, რომლებზეც აქცენტს აკეთებთ და ერთმანეთთან ლოგიკურად დააკავშირეთ.

კომენტარი მკითხველს

ჰომეროსისა და მისი პოემების შესახებ უკვე შუა საუკუნეების ქართულ ძეგლებში მოგვეპოვება ცნობები, კერძოდ, VII საუკუნიდან. აქედან მოყოლებული სხვადასხვა ხასიათის ინფორმაცია გაბნეულია ქართულ თხზულებებში და არსებითად მხოლოდ მინიშნებებს შეიცავს პოემებში აღწერილი მოვლენების შესახებ. წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ერთგან შენიშნავს: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა ემიროსსო“. „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორსა და მის გმირებს ეხვდებით ქართული სახოტბო პოეზიის ისეთ უნიკალურ ძეგლშიც, როგორიცაა ჩახრუხაძის „თამარიანი“ (1184-1207წწ.). ჰომეროსი და მისი გმირები მოხსენიებულნი არიან სხვა ისტორიოგრაფიულ თხზულებებშიც – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (XII-XIII სს. ისტორია) და ჯამთააღმწერლის ნაშრომი (XIII-XIV სს. ისტორია). თუმცა მოგვიანო საუკუნეებში ჰომეროსის შემოქმედებით დაინტერესება უფრო ინტენსიური გახდა, რამაც ნიადაგი შეუმზადა მწერლის პოემების თარგმნას. ერთ-ერთი ცნობით, იოანე ბატონიშვილმა (1768-1830წწ) თარგმნა „ილიადა“, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი კვალი დაკარგულია. სხვადასხვა ცდის მიუხედავად, რაც ძირითადად რუსული თარგმანებიდან გადმოღებას უკავშირდება, ჰომეროსის პოემების სრული თარგმანები XX საუკუნეში განხორციელდა, თუმცა აქაც გარკვეულმა სირთულეებმა იჩინა თავი.

ქვემოთ წარმოდგენილია „ოდისეას“ ერთ-ერთი ეპიზოდის სამი სხვადასხვა თარგმანი. პირველი არის ალ. მიქაბერიძისა, რომელიც ზედმეტად თავისუფალი, უფრო ინფორმაციული, ამბის გაცნობის მიზნით განხორციელებული პროზაული თარგმანია (1937წ.); ზ.კიკნაძისა და თ. ჩხენკელის ვერსია (1975წ.), უპირველეს ყოვლისა, პროზაული მხატვრული თარგმანია. როგორც ავტორები შენიშნავენ, მათ მიზნად არ დაუსახავთ მეცნიერულად ზუსტი ქართული ორეულის შექმნა, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს ბერძნული, კერძოდ, ჰომეროსის ენის შესწავლას გაუადვილებდა. მათი ამოცანა იყო, ელინური მწერლობით დაეინტერესებინა და მისი ღრმად შესწავლის სურვილი გაეღვივებინა ახალგაზრდა მკითხ-

ველისათვის. რაც შეეხება ამ წიგნში მოყვანილ პ. ბერაძის თარგმანს, იგი პირველი პოეტურად გადმოღებული ვერსიაა. ბერძნული პოეზიის ქართულ ენაზე ამეტყველებისას, უპირველეს ყოელისა, წამოიჭრება სალექსო საზომის შერჩევის პრობლემა. ამ შემთხვევაში პ. ბერაძემ „ოდისეას“ ჰექზამეტრი თოთხმეტმარცელოვანი ლექსით გადმოიტანა, რაც ჯერჯერობით ყველაზე შესაფერის საზომადაა მიჩნეული ჰომეროსის პოემების ქართული თარგმანებისათვის.

მოყვანილ პასაჟში აღწერილია ის ეფექტი, შეძრწუნებულ სასიძოებზე რომ მოახდინა ქალღმერთ ათენას გამოჩენამ შუა ბრძოლისას ოდისევსის სასახლის დიდ დარბაზში. პოეტი ამბობს, რომ „ზეაღმართა თაეისი ადამიანთა გამანადგურებული ფარი ჭერიდან“. ალ. მიქაბერიძე ამ წინადადებას საერთოდ ტოვებს, ფაქტობრივად, შინაარსს ცელის და ასე წერს: „ქალღმერთ ათინას მიერ გამხნეებული მძიმედ შეიარაღებული ოდისევსი მედგრად ეკეთა სასიძოებს“. ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელის თარგმანში ეკითხულობთ: „ამ დროს თვალსხივოსანმა ათინამ თაეზარდამცემი ფარი გამოაჩინა ერდოდან.“ ამ შემთხვევაში ტექსტს დამატებული აქვს ქალღმერთის ეპითეტი – „თვალსხივოსანი“, რაც წინადადებას მეტ მხატერულობას ანიჭებს;რაც შეეხება პ. ბერაძის თარგმანს, იგი ორიგინალს თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს – „ათენამ მაშინ ზევსის ფარი აღმართა მაღლა კაცთა მმუსრაეი“, ოღონდ დაზუსტებული აქვს, რომ ეს ფარი ზევსის ატრიბუტიცაა; ამაეე დროს სიტყვა „ჭერი“ ჩანაცელებულია სიტყვით „მაღლა“.

ისეთი ძველი ტექსტის კითხვისას, როგორიცაა ჰომეროსის ეს პოემა, ხშირად პრობლემა იმის გაგებისას იქმნება, თუ რას გულისხმობს ჰომეროსი კონკრეტულ ეპიზოდში. მოცემულ მაგალითში პოეტი გაქცეულ სასიძოებს ჩიტებს ადარებს, რომლებსაც სვაეები ესხმიან თაეს. ესეც გამოტოეებულია ალ. მიქაბერიძესთან, ხოლო ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელის თარგმანში წერია: „როგორც უმწეო ჩიტებს დაიფრენენ ხოლმე ქორნი“, პ. ბერაძესთან კი – „ეით სწრაფი შეეარდნები ნისკარტკაუჭა დამფრთხალ ფრინველებს უმოწყალოდ დაერეეიან“, – რაც მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი უფრო პოეტურად, გამდიდრებული მხატერული სახეებითაა („ნისკარტკაუჭა“ „უმოწყალოდ“) გადმოღებული.

აქ კიდეე ერთ გარემოებაზე შეიძლება ყურადღების გამახვილება: როდესაც ჰომეროსისეულ სიტყვათა მნიშვნელობებს ასე თუ ისე კარგად გაეიაზრებთ, მისი მრაეალი პოეტური თავისებურების გათვალისწინებაც ხდება საჭირო. მაგალითად, მოყვანილ ეპიზოდში პოეტი გეთაეაზობს სამმაგ პარალელს დამფრთხალ სასიძოებს, მწერებისგან დაკბენილ შეშინებ-

ულ ძროხებსა და სვავებისაგან დევნილ ჩიტებს შორის. ჰომეროსი ბერძენ მკითხველს პარალელიზმში იმითაც არწმუნებს, რომ ამ შედარებათა სტრიქონების დასაწყისი ერთი და იგივე სიტყვებია. ამ მხატვრულ ხერხზე გარეგანი დაკვირვება ბერძნული ენის უცოდინარი მკითხველისთვის თვალსაჩინოა (იხ. მე-3, მე-6 და მე-9 სტრიქონების დასაწყისი). ეს სიმეტრია ქართულ თარგმანებში არ გვაქვს; და კიდევ, ბერძნულ ტექსტში მე-12 სტრიქონის პირველი და მე-13-ის მეორე სიტყვებს სხვადასხვა ფორმა აქვთ, მაგრამ ერთი და იმავე ძირიდანაა ნაწარმოები, რაც ნიშნავს „დარტყმას“ ან „ცემას“. ესაა ზმნა, რომელიც გადმოცემს დაკვრას, სასიძოთა თავებს რომ ამსხვრევს. ჰომეროსისეულ ეფექტს მხოლოდ მიახლოებით ვხედავთ ალ. მიქაბერიძის თარგმანში, რაც მიღწეულია ამ ბრძოლის სცენის დიდი სიმძაფრითა და სისასტიკით აღწერის გამო, რომლის დროსაც გამოყენებულია სინონიმური სიტყვები: ,,ტირილი, გოდება, სასიკეთილოდ გამზადებულთა ყეირილი და ვაება მთელ დარბაზს აყრუებდა“ (შდრ.: ზ.კიკნაძისა და თ. ჩხენკელის – „საზარელმა სულთქმა-ვაებამ აავსო მთელი დარბაზი“,– და პ. ბერაძისა– „ისმოდა გმინვა“).

დაბოლოს შევნიშნავთ, რომ, მსგავსად ბერძნულისა, ქართული ენაც „უფსკრული ღრმა არს“ და თარგმნისას ერთი და იმავე უცხო სიტყვის მნიშვნელობა მრავალი სინონიმით შეიძლება შეცვალოთ, რომლიდანაც უნდა შეირჩეს დედანთან მიმართებით უფრო ზუსტი, სედმიწევნითი და, ამავე დროს, მხატვრულად ღირებული სიტყვები. მაგალითად, სიტყვა „ჭერის” (ნაგებობის კედლებს დაყრდნობილი ჰორიზონტალური ნაწილის) სინონიმია „სხვენი”, მაგრამ ზ. კიკნაძე და თ. ჩხენკელი მის მაგივრად ხმარობენ „ერდოს” ანუ „ბანს”.

იმსჯელეთ, მხატვრული თვალსაზრისით, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ მოყვანილი ეპიზოდის წინადადებაში სიტყვა „ჭერის” („სხვენის”) ჩანაცვლება „ერდოთი”.

შესადარებელი ნიმუში

ალ. მიქაბერიძის თარგმანი

ქალღმერთ ათინას მიერ გამხნევებული მძიმედ შეიარაღებული ოდისევსი მედგრად ეკვეთა სასიძოებს. ტელემაქე, ევმეოსი და ფილოიტიოსიც გააფთრებული ლომებივით მხარდამხარ მისდევდნენ ოდისევსს და მტრის ბანაკში სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდნენ. გონებადაბინდული სასიძოები ერთი კუთხიდან მეორე კუთხეს აწყდებოდნენ, მაგრამ დახმარებას ვერ პოულობდნენ.

ოდისეესისა და ტელემაქეს ბასრი ისრები ყოველ კუთხეს სწედებოდა და ჯოჯოხეთის გენიას ატრიალებდა. ტირილი, გოდება, სასიკედილოდ გამზადებულთა ყვირილი და ვაება მთელ დარბაზს აყრუებდა. დახოცილთა გეამები სისხლის მორეეში ცურაედა და შიშის ზარს ჰგერიდა ყეელას. ეინც ჯერ კიდეე სიცოცხლეს არ გამოსალმებოდა.

ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელის თარგმანი

ამ დროს თეალსხიეოსანმა ათინამ თაეზარდამცემი ფარი გამოაჩინა ერდოდან. შიშითა და ძრწოლით მოცული სასიძოები გაზაფხულის ნაბუნიობისას ბუზანკალისაგან გამწარებული ძროხებიეით აწრიალდნენ დარბაზში. როგორც უმწეო ჩიტებს დაიფრენენ ხოლმე ქორნი და ბასრი კლანჭებით პაერშიეე დაბდღენიან აღტაცებით მზირალ მიწისმუშაკთა თეალწინ, — ისე დაერიენენ ოდისეესიანნი დაფეთებულ სასიძოებს და ერთიანად მუსრი გააელეს. საზარელმა სულთქმა—ეაებამ ააესო მთელი დარბაზი. თაეგანეხილთა სისხლით მოირწეო სასახლის იატაკი. ათენამ მაშინ ზეესის ფარი აღმართა მაღლა, კაცთა მმუსრაეი, და შეძრწუნდნენ სასიძოები. შეშინებულნი ერცელ დარბაზში ისე დარბოდნენ, როგორც დამფრთხალი ძროხის ჯოგი გაზაფხულის უამს, თაეს კრაზანები საძოვარზე როცა ესხმიან; ანდა ვით სწრაფი შეეარდნები ნისკარტკაუჭა დამფრთხალ ფრინეელებს უმოწყალოდ დაერეეიან, ფრინეელნი ქვემოთ ეშეებიან, თაეს რომ უშეელონ, შეეარდნები კი მუსრს აელებენ თაეგზააბნეულთ, შეკრული წრიდან არ უშეებენ, რომ არ გადარჩნენ, ასე ისინი სასიძოებს მარჯვნივ თუ მარცხნივ ბასრი შუბებით დიდ დარბაზში თაეებს უხეთქდნენ. ისმოდა გმინეა, იდგა სისხლის ტბორები ირგელივ.

დაეალება

შეაფასეთ თითოეული თარგმანი და არგუმენტირებულად გამოთქვით თქვენი თეალსაზრისი, თუ რომელ მათგანს ანიჭებთ უპირატესობას და რატომ. შესადარებლად გამოიყენეთ სასწაელო ტექსტიც, კერძოდ, 22-ე სიმღერის 126-138-ე სტრიქონებიც. შექმენით თქეენეული ეერსია.



ვერგილიუსი
(70–19 ძვ. წ.)



პუბლიუს ვერგილიუს მარონი დაიბადა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 70 წლის 15 ოქტომბერს, ქალაქ მანტუასთან ახლოს, ანდესში, წვრილი მიწათმფლობლის ოჯახში. განათლების მისაღებად ახალგაზრდა ვერგილიუსი ქალაქ მედიოლანუმში (ახლანდელი მილანი) წავიდა, ხოლო შემდგომ, I ს-ის 50-იან წლებში რომს ეწვია. იქ დაეწაფა იგი რიტორიკასა და ფილოსოფიას, ბედი სცადა იურისპრუდენციაშიც. ახალგაზრდა რომაელებს იმ ხანებში იტაცებდათ სამოსამართლო რიტორიკა, მაგრამ ამ ასპარეზზე ვერგილიუსს ხელი მოეცარა. იგი არ გამოირჩეოდა მჭევრმეტყველების ნიჭით და როდესაც სახელმოხვეჭილი პოეტი გახდა, მაშინაც კი უხერხულად გრძნობდა თავს ფართო საზოგადოებაში. თანამედროვეთა ცნობით, იგი მხოლოდ ერთხელ გამოვიდა სასამართლოში და იმდენად უგერგილოდ, მონოტონურად ისაუბრა, რომ უვიცის შთაბეჭდილება დატოვა.

ვერგილიუსმა ლიტერატურული მოღვაწეობა ყრმობაში დაიწყო – იგი პირადი სულიერი ტკივილების გადმოცემით იყო გატაცებული, თავის ლექსებში აღწერდა სუბიექტურ განწყობილებებს, წერდა გამკილავ და სატირულ ლექსებსაც, რომლებიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. ადრინდელ შემოქმედებას ვერგილიუსი ნაკლებმნიშვნელოვნად თვლიდა. სიჭაბუკეში იგი გაინცდიდა დიდი რომაელი ლირიკოსის – კატულუსის (87–54 წწ. ძვ. წ.) გავლენას. ვერგილიუსის ადრინდელ ნაწარმოებთაგან ცოტა რამაა შემორჩენილი, თანაც ბევრ ქმნილებას მას ძველთაგანვე მიაწერდნენ, რადგან ანონიმი აეტორები ვერგილიუსის სახელს იყენებდ-

ნენ და მისეულად ასაღებდნენ თავიანთ ნაწარმოებებს.

ერმობის ლექსებში ვერგილიუსი დიდად არ იყო დაინტერესებული პოლიტიკური ცხოვრებით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოქტავიანე ავგუსტუსს დაუახლოვდა, მეტი ყურადღება გამოიჩინა პოლიტიკური საკითხებისადმი – შემდგომში მთელს მის შემოქმედებას გაძლიერებული რომის იმპერიის აპოლოგია გასდევს. ვერგილიუსის პოლიტიკური ტენდენციები იგრძნობა არა მარტო „ენეიდაში“, არამედ მის ცნობილ „ბუკოლიკებსა“ და „გეორგიკაშიც“. თუმცა ამ ქმნილებათა მთავარი მხატვრული ღირსება უფაქიზესი პოეტური ხერხები. ამაღლებული გრძნობების, მშობლიური ბუნების სილამაზისა და კაცთმოყვარეობის გადმოცემაა.

ოქტავიანე ავგუსტუსი დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს ვერგილიუსის შემოქმედებით მოღვაწეობას. მწერალმა გადაწყვიტა დაეწერა მხატვრული ქმნილება, რომელშიც აისახებოდა რომის გმირული წარსული, რომაელთა სიდიადე და, ამავე დროს, გამართლებული იქნებოდა ოქტავიანეს საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ვერგილიუსი შეუდგა მასალების მომზადებას „ენეიდას“ დასაწერად. მან შეადგინა პოემის გეგმა, ჩაინიშნა მოკლე პროზაული შინაარსი და მთელი წიგნი 12 ნაწილად დაყო. შემდეგ დაიწყო ცალ-ცალკე დამუშავება ამა თუ იმ ეპიზოდისა, რომელთაც კვლავ მიუბრუნდებოდა, ან სხვა მონაკვეთზე გადაიტანდა ხოლმე. ძვ. წ.-ით 19 წლისთვის ვერგილიუსმა დაასრულა პოემის შავი ვარიანტი. იგი თვლიდა, რომ კიდევ სამი წელი დასჭირდებოდა მის საბოლოო რედაქტირებას. იმავე წელს საბერძნეთში მოგზაურობიდან დაბრუნებისას იგი მძიმედ გახდა ავად და 21 სექტემბერს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ვერგილიუსმა მეგობარ ვარიუსს სთხოვა, „ენეიდას“ ხელნაწერი დაეწვა. საბედნიეროდ, ოქტავიანე დიდად იყო დაინტერესებული ამ პოემის გამოცემით და მისი გამოქვეყნება დააევალა იმავე ვარიუსს. „ენეიდა“ გამოიცა იმ სახით, როგორიც იგი ავტორმა დატოვა.

12 მეტ-ნაკლებად თანაბარი წიგნისაგან შემდგარი „ენეიდა“ შეიძლება ორ ძირითად და თითქმის თანაბარ ნაწილად დაიყოს. პირველ ექვს სიმღერაში პოეტი აღგვიწერს ტროადან გადმოხვეწილი ენეასის თავგადასავალს, გმირის მომავალი სამკვიდროს ძიებას და ამ მხრივ იგი უახლოვდება ჰომეროსის „ოდისეაში“ ასახულ თემატიკას. მომდევნო ექვს სიმღერაში ვერგილიუსი აღწერს ენეასის ბრძოლებს იტალიაში, ჰომეროსის სტილით გადმოგვცემს ბატალურ სცენებს და ამით მისი პოემა ენათესაება „ილიადას“.

ვერგილიუსი იცავს ანტიკური ეპოსის ზოგად კანონებს, რომელთაც საფუძველი ჰომეროსის პოემებმა ჩაუყარეს. ამიტომაც თითქმის უცვლელად მეორდება მის პოემაში ზოგიერთი მითოლოგიური ეპიზოდი, მხატვრული ხერხები, ჰომეროსული ცნობილი შედარებანი, ეპითეტები, ეპიკური ფორმულები.

„ენეიდა“ დღესაც ხიბლავს მკითხველს განუმეორებელი მხატვრული სახეებით, ლექსის უბადლო მუსიკალურობით. იგი ეკუთვნის იმ ქმნილებათა რიცხვს, რომლის ბრწყინვალება არ ფერმკრთალდება. ვერგილიუსის პოეზია ევროპისათვის შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქაში იყო ყველა დროის უდიდესი ლიტერატურული ქმნილება, რომლის იდეალებზეც ნებისმიერი მწერალი ოცნებობდა. შემთხვევითი არ არის, რომ დანტე ალეგიერმა თავის „ღვთაებრივ კომედიაში“ მხლებლად სწორედ ვერგილიუსი აირჩია.

ჰომეროსის მსგავსად, ვერგილიუსი თავის ეპიკურ პოემას ამბის შუიდან იწყებს. ენეასმა ლტოლვილებთან ერთად დატოვა ტროა და „ზღვად ყიალის“ შემდეგ კართაგენის ნავსადგურში შევიდა, სადაც კეთილშობილმა დედოფალმა დიდომ დეენილნი პატივით მიიღო. ნადიმისას მან სთხოვა ენეასს, მოეთხრო, თუ რა შეემთხვა მას და გმირიც ამბის გადმოცემას ტროას აღებით იწყებს, რაც აღწერილია ვერგილიუსის „ენეადას“ მეორე წიგნ'ში.

ვერგილიუსი

ენეიდა

(თარგმნა რომან მიმინოშვილმა)

წიგნი მეორე

ყველა გაყუჩდა. ყურადღებით მიაპყრეს თვალი,
ტახტზე ჩამოჯდა ენეასი[1], თხრობა დაიწყო:
„ენით უთქმელმა გაიღვიძა დარდმა ჩემს გულში,
ო, დედოფალო, რაკი ბრძანე — გიამბო, ტროა[2]
თუ ვით დაამხეს დანაელთა[3], მეც, მეომარი
რას არ მოვესწარ... ალბათ ცრემლებს ვერ შეიკავებს
ვერცა დოლოპი[4], ვერც მებრძოლი მირმიდონელი[5]
ანდა ულიქსეს[6] თანამგზაური, ეს რომ იცოდეს.
ღამე დაგვიდგა, ძილი მოაქვთ მწუხრის ვარსკვლავებს,
მაგრამ ესოდენ რაკი გნებავთ ჩვენი ვარამის
და ილიონის[7] ბოლო დღეთა ამბის მოსმენა,
თუმც გული მიკრთის, მოგონების ბალღამს გაურბის,
მაინც დავიწყებ... ომით, ბედით დაღლილ დანაელთ
და მათს ბელადებს, როს გაყიდა მრავალი წელი,

---

[1] ენეასი — რომაელთა მითიური წინაპარი, ქალღმერთ ვენუსისა და ანქიზეს შვილი. ანქიზე ჩვეულებრივი მოკედაი იყო, მაგრამ მისი წინაპარი დარდანუსი თვით უზენაესი ღეთაების — იუპიტერის შვილი გახლდათ.

[2] ტროა — მცირე აზიის სამეფო და ქალაქი თანამედროვე თურქეთის დასავლეთ სანაპიროზე. დადგენილია, რომ ჰომეროსის მიერ „ილიადაში“ აღწერილი ომი ბერძნებსა და ტროელებს შორის ქრისტეს შობამდე XII საუკუნეში უნდა მომხდარიყო.

[3] დანაელები — ბერძნული ტომი, ბერძნები.

[4] დოლოპი — თესალიას მოსახლე ტომი.

[5] მირმიდონელები — თესალიელი ტომი, წინა ბერძნული, პელაზგური მოსახლეობის ნაწილი. ტროის ბრძოლაში მირმიდონელები აქილევსის მეთაურობით მონაწილეობდნენ.

[6] ულიქსე — იგივე ოდისევსი ბერძნულად. ლაერტის ძე, ტროას ომის მონაწილე. ჰომეროსის „ილიადის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი. „ოდისეას“ მთავარი გმირი.

[7] ილიონი — იგივე ტროა.

მთასაით ცხენი აუგიათ ქალწულ პალადას[8]
ზეშთაგონებით. აუწყეიათ ნაძვის ძელისგან.
ხმა გაავრცელეს: დაბრუნების აღთქმა დაედეთო.
წილისყრით ჩასხეს ცხენის ფერდში რჩეულნი გმირნი,
ღრუ გამოავსეს უსაშველო და უკუნეთი –
რაშის სხეულში მეომარნი იმალებოდნენ.
ჩვენს წინ მოჩანდა ტენედოსი[9], კუნძული ქველი,
ოდესღაც უხვი (სანამ იდგა ტროის სამეფო),
ახლა იქ მხოლოდ არცთუ სანდო ნაესადგომია,
იქით გასწიეს და ყრუ ნაპირს ამოეფარნენ.
ჩვენ კი გვეგონა, შორს, მიკენში[10] გადაიხეწნენ,
და ამის გამო გლოვა შეწყდა მთელს ტევკრიაში[11].
განიხვნა ბჭენი, მტრის ბანაკში გასელა გვატკბობდა,
მისი ნაშთის და უკაცრიელ ნაპირის ხილვა.
იქ დოლოპთ წყობა, აქ პელიდის[12] მხედრობა იდგა.
ხომალდნი – იქა, აქ კი ხშირად იბრძოდნენ მწყობრად...
ზოგს აებედითი აოცებდა მინერვას[13] ჯილდო,
ცხენის სიდიდე, თიმეტემ[14] თქვა თავდაპირველად,
გალაენის შიგნით ციხე-კოშკში შეეიტანოთო.
ღალატი სურდა, თუ ეწერა ტროას ეს ბედი?
მხოლოდ კაპისი[15], და ვინც იყო ჭკუადამჯდარი,
დანაელთა მახეს, საეჭვო ძღვენს, ზღვაში ჩაძირვას
ანდა კოცონზე უქადდა აგიზგიზებას,
ან ღრუს გახვრეტას და გასინჯვას სიცარიელის.
გაიყო ხალხი განსხვავებულ ფიქრით და ენებით.

---

[8] პალადა – მინერვას, იგივე ათენას (ბერძნ.), ეპითეტი, რომელიც სიბრძნის, ხელოსნობისა და მეცნიერების მფარველი ქალღმერთი იყო.

[9] ტენედოსი – ეგეოსის ზღვის კუნძული.

[10] მიკენი – ქალაქი პელოპონესში, კრეტა-მიკენის უძველესი კულტურის ერთ-ერთი ცენტრი, მეფე აგამემნონის სამფლობელო.

[11] ტევკრია – ტევკრების ქვეყანა, ტროა.

[12] პელიდი – პელეუსის ძე, იგივე აქილევსი.

[13] მინერვა – ბერძნულად ათენა, რომაელი სიბრძნის ქალღმერთი, ხელოსნობისა და მეცნიერების მფარველი.

[14] თიმეტე – ტროელი წარჩინებული, მეომარი.

[15] კაპისი – ენეასის მეგზური.

სხეაზე პირველად წამოენთო ლაოკოონი[16],
მაღალ კოშკიდან ჩამორბოდა და მოსძახოდა:
„მოქალაქენო უბედურნო, რა სიგიჟეა!
ნუთუ გჯერათ, რომ მტერი გარბის, რომ დანაელებს,
თუნდ ძღვენი ძალუძთ უვნებელი? ასე გიცვნიათ
ულიქსე განა? აქაველნი[17] შიგ ჩამალულან,
ან გალაეწების დასაქცეველ შექმნეს ეს მახე,
რომ გეითვალთვალონ და ქალაქში შემოგვეპარონ.
ნუ მიენდობით, ტეეკრნო, ამ ცხენს; რაც უნდა იყოს,
ძღვენიც მოჰქონდეს, მზარაეს შიშით მე დანაელი!“
ესე თქეა, შემდეგ დიდი ძალით ვეება შუბი
ურჩხულს გვერდში ჰკრა, ამობერილ მუცელში ჩასცა.
შეიძრა ცხენი მისი დარტყმით, სიცარიელემ
დაიგუგუნა და აკვნესდა მუცლის ღრუ ბნელი.
ღვთის ბედისწერას და გონებას რომ არ ემტყუნა.
ჩვენ არგოლიკურ[18] საფარს რკინის ხმლით ავჩეხავდით!
გადარჩებოდა ტროაცა და პრიამეს[19] კოშკიც.
ამ დროს ყიჟინით მოათრევდნენ მწყემსები ჭაბუკს,
ზურგს უკან მტკიცედ შებორკილი მეფეს მოჰგეარეს.
თაეისი ნებით ჩაეარდნია შემხვდურებს იგი,
საქმეს აწყობდა, რომ აქაელთ აელოთ ტროა.
სჯეროდა თეისი სიმამაცის, მზად იყო კიდეც,
ან ეერაგობით გაემარჯვა, ან მომკედარიყო.
მის შესახვედრად ყრმა ტროელნი შეგროვილიყვნენ,
ერთურთს ასწრებდნენ ტყვის გაქირდეას და განქიქებას.
აწ დანაელთა ეერაგობა ისმინე, ერთში შეიცან ყველა!
იდგა ჩვენს წინა შემკრთალი და უიარაღო,
თეალი მოაელო ფრიგიელთა[20] ჯარს და შესძახა:
„ეაგლახმე! ახლა რომელ ზღვას და მიწას ვეწეიო?
რა დამრჩენია მე უბედურს, ჩემთვის ხომ უკვე
დანაელთ შორის აღარ არის ადგილი, აქ კი

---

[16] ლაოკოონი — ტროელი ქურუმი.

[17] აქაველნი — ბერძნები.

[18] არგოლიკური — ბერძნული.

[19] პრიამე — ტროის მეფე, ჰექტორისა და პარისის მამა.

[20] ფრიგია — მცირე აზიის ქვეყანა, რომელშიც შედიოდა ტროის სამეფოც. „ენეიდაში“ ტროის სინონიმადაც იხმარება. ფრიგიელები — ტროელები.

ჩემი დასჯა და სისხლი უნდათ მრისხანე ტროელთ“.
მისმა გოდებამ ხალხი მყისვე დააშოშმინა.
ვკითხეთ, რომელი მოდგმის იყო, რომელი სისხლის.
რას გვპირდებოდა, რის იმედი რჩებოდა ტყვექმნილს?
შიში დაძლია და მოგვიგო ბოლოს პასუხად:
„სიმართლეს გეტყვი, ო, მეფეო, რაც უნდ მელოდეს:
როდი დავმალავ, რომ გახლავარ არგოლიკელი.
თუმცა ფორტუნამ[21] უბედური გახადა სინონ[22],
მზაკერად, ვერაგად ის წყეული მაინც ვერ აქცევს.
გაგიგონია პალამედეს[23] სახელი ეგებ,
ბელუსის[24] ვაჟის განდიდება ქვეყნის კიდემდე?
დასწამეს, თითქოს მტერთან ბრძოლას გაურბოდაო,
ვით მოღალატე, პელაზგებმა[25] სიკვდილით დასცეს.
დასმენას ენდვნენ. დასტირიან ახლა კი მოკლულს.
ომის პირველ წელს გამაგზავნა ბედკრულმა მამამ
მასთან, ვით სისხლით ნათესავთან, თანამოლაშქრედ.
თავს მტკიცედ გრძნობდა სამეფოში მეფეთა დასში.
თვისი ხმა ჰქონდა, ჩვენც პატივი არ მოგეკლებია.
როცა ულიქსეს ცბიერებით გასცილდა ზესკნელს, –
მე ხომ გიამბობთ, რაც საქვეყნოდ არის ცნობილი, –
წყვდიადს დავნებდი დარდს და ვარამს დამონებული,
გული მეწვოდა ალალ-მართალ მეგობრის ხვედრით.
და მე, უგნური, არ გაჩერდი: თუ მიწერია
მშობლიურ არგოსს[26] დაბრუნება ძლევა-დიდებით,
შურს ვიძიებ-თქო, სიძულვილი აღვანთე სიტყვით.

---

[21] ფორტუნა – ბედის, იღბლის ქალღმერთი.


[22] სინონი – ბერძენი მებრძოლი, ტროის ომის მონაწილე.

[23] პალამედე – ტროაში მოლაშქრე ბერძენი. მას ულიქსემ (ოდესევსმა) ცილი დასწამა და ბერძნებმა მოკლეს როგორც მოღალატე.

[24] ბელუსი – ბერძენი პალამედეს მამა.

[25] პელაზგები – წინაბერძნული ტომი. ზოგჯერ პოემაში ბერძნებს მოიხსენიებენ პელაზგებად.

[26] არგოსი – საბერძნეთის მხარე, ზოგადად, საბერძნეთი.



ტროას ცხენი

ეს იყო წყარო აებედობის: ულიქსე მიწყივ
მემუქრებოდა, ჩემს შესახებ ხალხში თესავდა
ბნელ ხმებს და, თვითონ დამნაშავე, საბაბს ეძებდა.
ვერ შევძელ მისი დაწუნარება, სანამ კალქანტმა[27]...
თუმც რად ვიცრონებ ამ კრულ ამბავს, რაღას ვაყოვნებ?
თუ აქაველნი თქვენთვის მართლაც ყველა ერთია,
საკმარისია, რაც გიამბეთ, ახლა დამსაჯეთ!
ამით აამებთ ითაკელს[28] და ატრევსის[29] ძეთაც".
სურვილმა გეძლია, რომ გაგეგგო ლტოლვის მიზეზი,
ვერ ვცანით პელაზგთ ცბიერება, სიმუხთლე მათი.
გულში სიცრუე ჩაემარხა, თრთოლვით ამბობდა:
„ხშირად დანაელთ დატოვება სურდათ ტროისა
და წინააღმო ლტოლვა, ხანგრძლივ ომით გატანჯულთ.
ნეტამც კი ექმნათ! მათ მრისხანე ზღვის ქარიშხალი
გზას უღობავდა, აესტრის[30] შიში ლტოლვას უშლიდა.
და მაშინ უფრო, როს ააგეს ხის მორებისგან
ეს ცხენი, რისხვით აგუგუნდა ჰაერში ქარი.
შიშმა შეგვიპყრო და ვაფრინეთ ფებუსის[31] მოგვთან.
მყის ევრიპილე[32] სამწუხარო ამბით დაბრუნდა:
„ქალწულის სისხლით, დანაელნო, დააცხრეთ ქარი,
როს ილიონის სანაპიროს მიეახლენით,
ახლაც ზვარაკად ხამს შეწირვა არგოლიკელის!"
როცა ამ ცნობამ მოაღწია ხალხის ყურამდე,
სული შეზარა, ციემა ყინვამ დააზრო ძვლები:
ვინ ისურვაო მსხვერპლად ბედმა და აპოლონმა?
ხმაურით მისწვდა ითაკელი ჩვენს მისანს კალქანტს,
გამოათრია და უბრძანა ემცნო ღვთის ნება.
მე მაშინ ბევრი მიქადოდა აებედით სიკვდილს.
ამ ცბიერისგან; სეირს ჩუმად ელოდა ყველა.
ორჯერ ხუთი დღე გულთმისანი ხმას არ იღებდა,

---

[27] კალქანტი – ბერძენი მისანი, ტროის ომის მონაწილე.

[28] ითაკელი – იონიის ზღვის კუნძული, ულიქსეს (ოდისევსის) სამშობლო.

[29] ატრევსი – ტროის ომის გმირების, აგამემნონისა და მენელაოსის მამა.

[30] აესტერი – სამხრეთის ქარი.

[31] ფებუსი – აპოლონის ეპითეტი – „სხივოსანი". აპოლონი იუპიტერის (ბერძნ. ზევსი) ძე იყო, პოეზიის, მუსიკის, ხელოვნების, მისანთა მფარველი ღვთაება.

[32] ევრიპილე, ევრიპილუსი – თესალიელი გმირი, ტროის ომის მონაწილე.

რომ არ გაეცა სასიკვდილოდ ვინმე ჩვენგანი,
ბოლოს კი გატყდა ითაკელის ძალდატანებით,
ზვარაკად გამცა იმ ვერაგის თანამოაზრემ.
ხალხი დაწყნარდა, ყოველ მათგანს რაც მოელოდა,
რაკი წილად ხვდა მხოლოდ ერთ კაცს, მსხვერპლად განწირულს.
დადგა დღე ძნელი, საზვარაკოდ უკვე მზად იყო
ფქვილი, მარილი, ხილაბანდი ზორვად მდგომისთვის...
გავხსენ ხუნდები, ვაღიარებ, სიკვდილს გაეექეც.
ჭაობის პირად ლელიანში ვიმალებოდი,
სანამ იალქანს აუშვებდნენ სპანი ლტოლვილნი...
არ დამრჩენია ჩემი ძველი სამშობლო მხარის,
ძვირფასი მამის და შვილების ნახვის იმედი!..
იქნებ სასჯელით სცადონ ჩემი დანაშაული
მათ აზღვევინონ და სიკვდილი არგუნონ ბედშავთ?
ღმეროებს გაეედრებ, სიმართლეს რომ მარადჟამს სცნობენ,
თუკი მოკვდავებს ის დაუცავთ პატიოსნებით,
გებრალებოდეს მსხვერპლი დიდი უბედურების,
სული ბედკრული შეიწყალე, პატივაყრილი!“
ჩვენც შეგვებრალა და სიცოცხლე ვაჩუქეთ მტირალს.
პრიამემ ბრძანა – მოხსენითო მჭიდრო ხუნდები,
ხელბორკილები, დაყეავებით მიმართა შემდეგ:
„ვინც უნდა იყო, დაკარგული დათმე ბერძნები,
ჩვენთან იყავი, ოღონდ მითხარი სიმართლე ახლა:
რისთვის ეგულვათ ეს მერანი? ვისი ბრალია?
აღთქმული ჰქონდათ, თუ საბრძოლო მახედ უნდოდათ?“
ცბიერებით და პელაზგური ხრიკით აღსავსემ
აღაპყრნა ხელნი ხუნდებისგან თავისუფალნი:
„მოწმედ მეყავით, საუკუნო მანათობელნო,
საკურთხეველო, სატევარო, რომელს გაგექეც,
და ხილაბანდო, ვით ზვარაკი რომ გატარებდი, –
მინდა გავწყვიტო აწ ბერძნებთან წმინდა კავშირი,
მწადს შევიძულო, სხვებს გავუხსნა მათი ზრახვები,
ხომ აღარ მბორკავს არც მამული, არცა კანონი!
თუ ვთქვი სიმართლე, ჩემი დაცვით გადამიხადე
ეს დახმარება, ილიონო თავისუფალო!
დანაელთ ომში იმედი და ღვთის სასოება
მარად პალადას ძალა იყო, ხოლო როდესაც
უპატიოსნო ტიდიდმა და ავმა ულიქსემ

წმიდა ტაძრიდან მოიტაცეს პალადიუმი[33], მოსპეს
მცველები, მიითვისეს წმინდა ბომონი, სისხლიან
ხელით შეუბედეს ღმერთქალს შეხება და
ქალწულებრივ შესაკრაეებს ქალღმერთისასა,
მაშინ დაემხო სასოება დანაელების,
განქარდა ძალა და განუდგა ქალღმერთი მხსნელი,
ცით სასწაული მოუელინა მათ აებედითი.
ოდეს ქანდაკი ბანაკს დადგეს, ალი დაიფრქვა
თვალთაგან მისთა შიშით ციეი ოფლის მომგერელი,
თვით კერპი სამგზის, — სათქმელადაც საოცარია, —
შეიძრა, ფარით, მოძიგძიგე შუბით შემკული.
მაშინ კალქანტმა განაცხადა: ზღვას მიეცეთ თაეი,
ტროას ეერ დასცემს იარაღი არგოლიკური,
თუ კერპს, კაუჭა ხომალდებით არგოსს წაღებულს,
არ დაეაბრუნებთ, როს ენახავთო ღეთიურ სასწაულს.
ქარს უნდა გაეყეეთ, ეეწეიოთო მშობლიურ მიკენს,
ხმალი გავჭედოთ, მოეუხმოთო მეგზურად ღმერთებს,
კელაე დაებრუნდეთო! ასე ახსნა ღეთის სასწაული.
კალქანტის რჩეით, ნაცელად ნაწყენ ქალღმერთის კერპის,
ეს ცხენი დადგეს მძიმე ცოდეის გამოსასყიდად.
მანეე უბრძანა, რომ აეგოთ მუხის ძელისგან
ეს საოცარი ქანდაკება ცადაღმართული.
ეეება ცხენი რომ ციხეში ეერ შეეტანათ
და ძეელი რწმენით ტროელთ შემწე არ გამხდარიყო.
თუ თქეენ მინერეას წილხეედრ ქანდაკს წაბილწაეთ, — მტრისას, —
მთელი სამყარო პრიამესი, ფრიგიელთ ტომი
უნდა ელოდეს წრეგადასულ უბედურებას.
თუ თქეენიე ხელით შეეა ცხენი ციხე-ქალაქში,
მაშინ აზია შეესეეა პელოპის[34] კედლებს,
გაიზიარებს ჩეენს საზარ ხვედრს შთამომაელობაც!“
და ჩეენც ვირწმუნეთ სიცრუენი ცბიერ სინონის,
გზა აგეიბნია ნატყუარმა მისმა ცრემლებმა,

---

[33] პალადიუმი — მინერეას (ბერძნ. ათენას), პალადას ქანდაკება.

[34] პელოპი — პელოპონესის მითიური მეფე, ატრეესის მამა, აგამემნონისა და მენელაოსის პაპა. მისი სახელი დაერქვა პელოპონესს.

თუმც ვერც ტიდიდმა[35] გებძლია, ვერცა გემმა ათასმა,
ვერც ლარისელმა აქილევსმა[36], ვერც ათმა წელმა.
ამ დროს ჩვენს თვალებს წარმოუდგა საშინელება,
საზარი რამე, შეაძრწუნა გული ანაზდად,
მოგვს ნეპტუნუსის[37], ლაოკოონს, წილით არჩეულს,
კერპთან მიჰყავდა საზეარაკო მოზვერი დიდი,
ამ დროს, – თქმისაც კი მეშინია, – ტენედოსიდან
ორი ურჩხული, აგორგლილი დიდრონ რკალებად
ზვირთზე გაწვა და ნაპირისკენ მოისწრაფოდა.
მკერდით ტალღებში ირწეოდნენ, სისხლიან ჯაგარს
ზემოთ აჩენდნენ, სხვა დანარჩენ ხერხემალს ტალღა
რკალად ახვევდა უზარმაზარს. ზვირთი აქაფდა
ანაზდეულად მოგუგუნე. ველთან მოცურდნენ.
ცეცხლით და სისხლით საესე თვალნი რისხვით ელავდნენ.
მთროლვარე ენით ილოკავდნენ დახრჭენილ ხახას.
ფერწასულები გავიფანტეთ, ურჩხულნი მტკიცედ
ლაოკოონთან ისწრაფოდნენ. მაშინ ვიხილეთ,
ორ ბედშავ ყმაწვილს თუ გველები ვით ეხვეოდნენ,
როგორა კბენდნენ უძლურსა და უბედურ სახსრებს.
ბოლოს თვით მამა, იარაღით მოსული შემწედ,
შეიპყრეს, შეკრეს საზარელი რკალები ირგელივ,
გარშემო ორგზის მოესალტნენ, ჯაგრიან ზურგით
ყელს მოენასკვნენ და წამოყვეს თავები მაღლა.
ხელით ცდილობდა ავბედითი ნასკვების გახსნას,
საწამლავით და ლორწოთი სველ რკალებს ებრძოდა,
თან ვარსკვლავამდე აღაელენდა საზარ გოდებას.
ასევე ღმუის ხარი, როცა საკურთხეველთან
ზურგში შეიგრძნობს უნიათოდ ჩაცემულ ნაჯახს...

---

[35] ტიდიდი – არგოსის მეფე, ტიდევსის ძე, ტროის ომის გმირი.

[36] ლარისა – აქილევსის სამშობლო. აქილევსი ტროის ომის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ბერძენთა საერთო მხედრობის მოკავშირე, მირმინდონელთა (პელაზგური ტომის) მეთაური, ფთიის მეფის პელევსისა და ქალღმერთ თეტისის იგივე ნერეიდას (ზღვის ღმერთ ნერევსის ასული, ნიმფა; ნიმფები იყვნენ ტყის, მთის, მდინარის, ზღვის, მღვიმეების ქალღმეროები, ფერიები და ბუნების ამა თუ იმ მოელენას განასახიერებდნენ) ვაჟი; იხსენიება პელიდადაც (პელევსის ძედ.)

[37] ნეპტუნუსი – ბერძნ. პოსეიდონი, ზღვის ღმერთი.

ბოლოს გაცურდნენ დრაკონები ტაძრის თაღისკენ
და ესწრაფოდნენ უსასტიკეს ტრიტონიას[38] კოშკს,
რომ მის ფეხებთან, მრგვალ ფარის ქვეშ ეპოვათ ბინა.
საზარი შიში შეეპარა ხალხის მთრთოლავ გულს.
ამბობდნენ, თვისი ცოდვა ზღაო ლაოკოონმა,
რამეთუ შუბით განგმირაო ქანდაკი წმიდა.
შეურაცხყოო, ოდეს რკინა ჩაარჭო ფერდში.
ცხენი ქალღმერთის საკანეში შეეიყვანოთო,
შეგვეწიოსო ტრიტონია.
გალავნის გახსნას შეუდექით, ბურჯებს ეანგრევდით.
ყველა შრომობდა, მივაცურეთ ცხენთან ბორბლები
გასაგორებლად, ქედზე თოკი მოვაბით მერანს.
მტრებით აღესილი, ავბედითი მიადგა ციხეს.
გაუოხოვარი გოგონები და ჭაბუკები
ჰიმნს უგალობდნენ, აამებდათ თოკზე შეხება.
მორზე ხოხავდა და მუქარით ბრბოს შერეოდა.
ეაგლახ, მამულო, ღმერთთა სახლო და ილიონო,
დარდანელთ[39] ციხეე!.. ოთხჯერ შედგა გალავნის ზღრუბლთან
და მუცლის ღრუში იარაღის ჩქამი გაისმა.
ჩვენ კი ყოველი დაგვავიწყა ბრმა მისწრაფებამ
და წმიდა კოშკში შევიტანეთ აჟი ურჩხული.
კასანდრამ[40] გვამცნო მომავალი, თუმც ღვთის სურვილით,
ტეკრებს ქალწულის არასოდეს არა სჯეროდათ.
ბედკრულთ, თუმც ეს დღე დაგვერჩენოდა უკანასკნელი,
ქალაქში მოვრთეთ ყვავილებით ღმერთთა ტაძარნი.
ზეცა მობრუნდა, ღამე მოდგა ოკეანიდან,
ჩრდილით დაფარა დედამიწა და ეერაგობა
მირმიდონელთა, გალავანში გაფანტულ ტეკრთა
დაღლილ სხეულებს დაეუფლა მშვიდობის ძილი.
ამ დროს არგიველთ[41] სპამ ხომალდთა ერდო აასო.
ტენედოსიდან თან გამოჰყვა მთვარის ჩრდილს მყუდროს,
ნაპირს მოადგა დარდანელთა, გემის კიჩოდან

---

[38] ტრიტონია — მინერვას (ათენას) ზედწოდება.

[39] დარდანელები — ტროელები.

[40] კასანდრა — პრიამეს ასული, მისანი. აპოლონმა მისნობის უნარი მიანიჭა, მაგრამ მისი არასდროს სჯეროდათ.

[41] არგიველი — ბერძენი.

ცეცხლით ანიშნეს და სინონმა ღმერთთა თანხმობით
კარი გაუღო დანაელებს, ცხენში დამალულთ,
ურღული მოხსნა... გამოყარა მებრძოლნი გარეთ
ცხენის ქანდაკმა, მხიარულად ხეს გაეცალნენ
თესანდრუსი[42] და სთენელუსი[43], ავი ულიქსე,
ბაგირს ჩამოჰყვნენ აკამანტი[44] მასთან თოანტი[45],
ნეოპტოლემუს პელიდის ძე[46], თუ მაქაონი[47],
მენეალოსი[48], ეპეოსი[49] – მახის დამგები.
ქალაქს მოედნენ, ღვინითა და ძილით ძლეულნი
დასცეს გუშაგნი, კარი გახსნეს და შემოუშვეს
ამხანაგები, შეუერთდნენ თანამზრახველებს.
ის ჟამი იყო, ოდეს მაშვრალ მოკედათ მოიცავს
პირველი ძილი, ღვთაებრიეი სიმშვიდე ტკბილი.
სიზმრად ეიხილე ნაღვლიანი გმირი ჰექტორი[50],
მას, სვეუბედურს, ცრემლის ღვარი ურწყავდა სახეს, ვით
მაშინ, ოდეს მიათრევდნენ ეტლზე გამობმულს, მტვერს
რწყავდა სისხლი, დასიებულ ფეხს ღვედი ეკრა.
ვაგლახ, რას ჰგავდა! სულ სხვა იყო გმირი ჰექტორი,
როს აქილევსის იარაღით აღჭურვილიყო,
დანაელთ გემებს ფრიგიული ცეცხლით აშთობდა.

---

[42] თესანდრუსი – ბერძენი გმირი.

[43] სთენელუსი – ბერძენი გმირი.

[44] აკამანტი – თესევსის ძე, ტროის ომის მონაწილე ბერძენი გმირი.

[45] თოანტი – ეტოლიელი, ცენტრალური საბერძნეთის მხარიდან მოსული გმირი.

[46] ნეოპტოლემუს პელიდის ძე – იგივე პირუსი, აქილევსის ვაჟი.

[47] მაქაონი – ტროის ომის მონაწილე პელაზგი გმირი, ბერძენთა მხედრობის უებრო მკურნალი.

[48] მენეალოსი – სპარტის მეფე, ატრევსის ძე, აგამემნონის ძმა, მშვენიერი ელენეს ქმარი.

[49] ეპეოსი – ბერძენი ხელოსანი, რომელმაც ტროის დამღუპველი ხის ცხენი ააგო.

[50] ჰექტორი – პრიამეს და ჰეკუბესეს ძე, პარისის ძმა, ანდრომაქეს ქმარი, ტროელთა მხედართმთავარი. მოკლა აქილევსმა.

ლაოკოონი



სიზმრად კი წერი ჭუჭყიანი, თმა წებოვანი
და სისხლიანი ჰქონდა, ტანი – ნაიარევი –
მშობლიურ ციხის დამცველ მებრძოლს, სიზმარში თითქოს
ხმით დაზაფრულით მოუხმობდი მტირალი მამაცს:
„ო, დარდანეთის ჩირაღდანო, ტევკრთა იმედო,
რამ შეგაყოვნა? რომელ მხრიდან მოსულხარ ჩვენთან,
ჰექტორ, ძვირფასო! როგორ მოხდა, რომ შენიანთა,
მოქალაქეთა და ქალაქთა დაცემის შემდეგ
კელაე გხედავთ, გმირო? რა მიზეზმა დაგიმახინჯა
სახე, სხეული, რატომ ეხედავ უხვად იარებს?“
ამ ფუჭ კითხვებზე არაფერი არ მიპასუხა,
მხოლოდ აღმოხდა მძიმე ოხერა გულის სიღრმიდან:
„ქალღმერთის ძეო, მსწრაფლ გაიქეც, ცეცხლს გაეცალე,
მტერმა აიღო გალავანი, დაეცა ტროა!
ბევრს ვაძლევეთ მამულს და პრიამეს! ხსნა პერგამოსის[51]
რომ ეგებოდეს, ეს მარჯვენა მას დაიცავდა.
ტროა გაბარებს პენატებს[52] და ბომონებს თვისას,
ბედის მეგზურებს განუახლე ციხე-გოდოლი!
ქალაქს აღმართავ, როს ულეველ ზღვებს გადალახავ!“
ეს ოქვა, ტაძრიდან მძლავრი ეესტა[53] გამოიტანა
თაესაკრიანი და მაშხალა მარადიული.
ამ დროს ქალაქში მრავალ ხმაზე გაისმა გმინვა.
თუმცა ანქიზეს[54] სახლს ხეები ეფარებოდა.
შორს იდგა, კვნესა მძლავრდებოდა უფრო და უფრო,
იქაც შეიჭრა იარაღის საშინელება.
გამომეღვიძა, სახურავზე აევდი მაღლა,
სმენად ვიქეცი, ვიყავ ისე გაფაციცებით,
თითქოს ქარბუქში მოსდებია ცეცხლი ბალახებს,
თითქოს მთის ნაკადს გაშლილ ველზე გადაუვლია,
ლაღი ჯეჯილი წაულეკავს, ხარის ნაშრომი,
ტევრს შესკდომია ნიაღვარი, გაკვირვებული

---

[51] პერგამოსი, პერგამა – ტროის აკროპოლისი, სადაც იდგა პრიამეს, ჰექტორის, პარისის, ანქიზეს და სხვათა სასახლეები; ტროის კოშკი, ზოგადად – ტროა.

[52] პენატები – ოჯახის, კერის ღვთაებანი და მათი კერპები.

[53] ეესტა – კერის, ოჯახის მფარველი ქალღმერთი.

[54] ანქიზე – ენეასის მამა, ტროელთა პირველწინაპრის დარდანუსის შთამომავალი. იგი შეეუღლა სილამაზის ქალღმერთ ეენუსს და მისგან შეეძინა ენეასი.

გახევებულა ხმაურისგან კლდის ქიმზე მწყემსი...
ბოლოს გაეიგე, რაც ხდებოდა, გამოჩნდა ხრიკი
დანაელთ ლაშქრის, ვულკანუსმა[55] დალეწა სახლი
დეიფობუსის.[56] აელვარდა მეზობლად კოშკი
უკალეგონის[57] სიგეუმი[58] შორს აციმციმდა.
ატყდა ყიჟინა და ნაღარის ცემა გაისმა.
ხმალს ხელი ვიკარ უგუნურმა, – რა ბედენაა!
სულს ხალხის შეკერა და გოდოლში შეჭრა სწყუროდა.
სიშმაგემ, რისხვამ ამაჩქარა, ფიქრმა გამმსჭვალა:
მშვენიერია, საჭურველში თუ პოვებ სიკედილს!
ამ დროს პანთუსი აქაელებს გამოქცეოდა,
პანთუსი, ქველი ოთრიადი[59], ფებუსის მოგვი.
ხელთ ეპყრა ძლეულ ღმერთთა კერპი. ზღრუბლთან მოვარდა
გაგიჟებული, შვილიშვილიც მოჰყავდა ჩვილი.
„პანთუს, რა გველის? ან რომელი გოდოლი დაგვრჩა?“
შეეძახე, ხოლო მან მაშინვე მომიგო ოხვრით:
„უკანასკნელი დღე და ჟამი დაუდგა ქალაქს!
ვიყავთ ტროელნი, იყო ტროა, დიდება ტევკრთა, დღეს
კი არგუნა ძლევა არგოსს იუპიტერმა[60],
დაფერფლილ ქალაქს დაეუფლნენ დანაელები.
ცხენი რომ გვიდგას ციხის შუა, შიგნიდან აფრქვევს
იარაღასხმულთ, თვით სინონი დაგვცინის ახლა
და ცეცხლსა თესავს, კარიბჭეში ჩამდგარა ჯარი,
ათასობით რომ მიკენიდან მოსულა ჩვენში.
შუბნი აღმართეს, დაიკავეს ქუჩაბანდები,
ლტოლვილთ მოუჭრეს გზა ყოველი, შიშველი ხმლებით
იმუქრებიან სასიკვდილოდ. ძლივსღა იბრძვიან

---

[55] ვულკანუსი – იუპიტერისა და იუნოს ძე, ვენუსის ქმარი, მჭედლობისა და ცეცხლის ღმერთი.

[56] დეიფობუსი – პრიამეს და ჰეკუბას ვაჟი, ჰექტორისა და პარისის ძმა.

[57] უკალეგონი – ერთ-ერთი ტროელი უხუცესი.

[58] სიგეუმი – ქალაქი ტროაში.

[59] ოთრიადი – ოთრისის ძე, იგივე პანთუსი.

[60] იუპიტერი – რომაული ღმერთების პანთეონის უზენაესი ღვთაება (ბერძნ. ზევსი), ზეცისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი. მისი სახელი შედგება ორი სიტყვისაგან: იოე და პატერ. ნიშნავს „მამა იოვს“

კარიბჭის მცველნი, თავს იცავენ ბრმა სიმამაცით“.
პანთუსის სიტყვამ და ღმერთების ნებამ აღმანთო,
ცეცხლ'ში შეიჭერ, სად მიწეევდა ავი ერინის[61],
სად ცას სწვდებოდა გოდება და გუგუნი ბრძოლის.
ენახე რიფეესი[62], მძლე მებრძოლი და მთვარის შუქზე –
ეპიტუს[63], მასთან ჰიპანისი[64], შემდეგ დიმასი[65].
გვერდით მომიდგა კორებუსი მიგდონეს[66] წულიც,
რომელიც იმ დღეს ილიონ'ში შემთხვევით მოხვდა,
ალმოდებული გიჟურ ტრფობით კასანდრასადმი,
პრიამესა და ფრიგიელთა შემწედ მოსული.
მან უბედურმა, აღგზნებული საცოლის რჩევა
ყურად არ იღო.
ოდეს მივუხვედი ბრძოლის წყურვილს, ასე მიემართე:
„გულით ამაო სიმამაცით გზნებულნო ყრმანო,
უკიდეგანო მისწრაფებას რომ მისცემიხართ
ბელადთან ერთად, ხედავთ, საქმე როგორ მობრუნდა?!
ყველა ტაძარი მიგვიტოვეს დიდმა ღმერთებმა,
აქამდე მათი ძალა ედგა ჩვენს სახელმწიფოს.
ხმლებს შევეგებოთ და შევაკვდეთ ანთებულ ქალაქს, –
დამარცხებულთა საშველია უსაშველობა!“
ასე მიეცა მძვინვარებას ჭაბუკთა სული.
ვით მგელს აბრმავებს შავ ღამეში მუცლის სიხარბე,
გამშრალი ხახით ლეკვები რომ ელოდებიან,
ასე მტრებში და იარაღში სიკვდილს ვეძებდით,
ციხე-ქალაქში როს დაეძრწოდით გულაღგზნებულნი.
პირქუში ღამე სქელი ჩრდილით გადაგვეფარა.
რა ენა იტყვის იმა ღამის მკელელობის ამბებს –
და რა ცრემლები ეყოფოდა იმ ღამის ვარამს?
დაეცა ძველი ილიონი, მრავალწლოვანი,
უიარაღო სხეულები ქუჩებს ეყარა,

---

[61] ერინი – იგივე ერინისი, შურისძიების ქალღმერთი.

[62] რიფეესი – ტროელი.

[63] ეპიტუსი – ტროელი.

[64] ჰიპანისი – ტროელი.

[65] დიმასი – ტროელი.

[66] კორებუსი მიგდონე – ფრიგიელი მიგდონის ძე.

სასახლეებთან და ტაძრების წმიდა ზღურბლებთან.
მაგრამ სიკვდილმა განა ტევკრინი დასაჯა მხოლოდ:
ძლეულთა გულებს სიმამაცე ხშირად ეწვია
და მძლე დანაელთ კი – სიკვდილი, ყოველგნით სასტიკი
იდგა გოდება, ყოველგნით ძრწოლა, სიკვდილის სუსხი.
დანაელთ დასით ანდროგეოს[67] ჩვენს შესახვედრად
გამოემართა უმეცარი, თავისიანთა
რაზმად ჩაგვთვალა, მოგვესალმა კეთილი სიტყვით:
„იჩქარეთ, ყრმანო, ასე ხანგრძლივ რამ დაგაყოვნათ?
სხვები პერგამოსს ალმოდებულს ინაწილებენ,
თქვენ განა ახლა ჩამოხვედით ხომალდებიდან?“
თქვა და ნათელი პასუხი კი ვეღარ მიიღო.
მაშინღა მიხვდა, რომ მოექცა მტრის შუაგულ'ში.
შეკივლა, წამსვე უკუიქცა შეძრწუნებული.
ასევე ხდება, როცა ვინმე გველს დააბიჯებს
ბარდნარში ფეხსა და მთრთოლვარე მსწრაფლ გაეცლება
მრისხანებისგან მოსისინეს, ყელგამობერილს.
ანდროგეოსიც გაგვეცალა ათრთოლებული.
ხელში ჩავბღუჯეთ იარაღი, გარს შემოვერტყით.
შეშინებული, უმეცარი ამ ადგილისა
დავხოცეთ ყველა. თვით ფორტუნა გვწყალობდა მაშინ,
და კორებუსმა, ამ მიღწევით აღტაცებულმა –
„ო, მეობრებო, – დაიძახა, – იმ გზით წავიდეთ,
რომელსაც ბედი გვიკარნახებს ჩვენი მოწყალე.
დანაელთ ფარი და ჯავშანი თვითონ ავისხათ.
ვინ იტყვის, ხერხი არ სჯობია სიმამაცესო?
თვითონ მოგვცემენ საჭურველსაც“, – ეს თქვა და დასწვდა
ანდროგეოსის ფარს და ჯავშანს აელვარებულს,
წელზე აისხა არგოსული ბასრი მახვილი.
ასე მოიქცა რიპევსი[68] და დიმასიც შემდეგ.
ყრმებს უხაროდათ, რომ აისხეს უცხო ჯავშანი.
აღვერიენით დანაელებს, თუმც ღმერთს არ ვსურდით.
ღამის წყედიად'ში საფრთხე ვძებნეთ და ხშირ ბრძოლაში

[67] ანდროგეოსი – ბერძენი გმირი, რომელიც ტროის აღებისას დაიღუპა.
[68] რიპევსი – ტროელი.

მრაჟალ დანაელს ერგო ჩვენგან ორკუსის[69] მღვიმე.
ზოგი გემისკენ გაიძურწა, ნაპირს მიადგა,
ხოლო ნაწილი ძრწოლით ეცა ცხენის მუცლის ღრუს
და სამარცხვინო შიშმა კელავე შიგ შედენა ბევრი.
ვაგლახ! ულმერთოდ ამაოა ყველა იმედი!
პრიამეს ქალი თმებგაშლილი, ტურფა კასანდრა
მინერვას ტაძარს გამოსტაცეს და მიათრევდნენ,
თვალები, რისხვით ანთებული, აღეპყრო ზეცად,
მაგრამ ამაოდ, ნაზ ხელებს კი ხუნდი უჭერდა.
ვეღარ გაუძლო კორებუსმა ამის შეხედვას,
მზად იყო, თუნდაც მომკედარიყო, მტერს შეერია.
ჩვენც იარაღებს ხელი ვტაცეთ მისაშველებლად.
ტაძრის ქიმიდან ჯერ ჩვენებმა დაგეცხეს ისრები,
სხვათა საჭურველის მფლობელთ მძიმე დღე დაგვაყარეს,
ბერძნულმა ჯიღამ და ჩაჩქანმა ბევრი აცთუნა.
განრისხდნენ მაშინ დანაელნიც: ქალს გვართმეევნო.
მოგროვდნენ ყოელგნით, აიაქსი[70] შემოუერთდა,
ორივ ატრიდი დოლოპების ლაშქართან ერთად.
როგორც ავდარში ავარდება და ერთურთს ებრძვის
აეი ნოტუსი[71], ზეფირუსი[72], რაშით – ევრუსიც[73],
ტყე ილეწება, მძინეარედ სცემს სამწეერა ფიწალს
ქაფზე ნერევსი, ააბორგებს ფსკერიდან ჯურღმულს, –
ასევე აღარ ილეოდნენ, ღამის წყვდიადში
რაც არ გავფანტეთ დანაელნი, კელავ გროვდებოდნენ.
მიხვდნენ, რომ ფარმა შეაცდინათ და საჭურველმა,
რომ ბაგე ჩვენი სხვას ამბობდა, მათი კი – სულ სხვას.
მტერთა სიმრაველე მოგვერია. კორებუს დასცა
პენელეუსმა[74] მძლე ქალღმერთის საკურთხეველთან.
სათნო რიპეუსიც მაშინ მოკლეს, დარდანელთ შორის
ყველაზე მეტად რომ უყვარდა სიმართლის დაცვა,

---

[69] ორკუსი – მიწისქვეშეთის, საიქიოს სამეფო.

[70] აიაქსი – ოილევსის ძე, ტროის ომის მონაწილე ბერძენი გმირი.

[71] ნოტუსი – ქარის სახეობა.

[72] ზეფირუსი – დასაელეთის ქარი.

[73] ევრუსი – ქარის სახეობა.

[74] პენელეუსი – ბერძენი გმირი, ბეოტიელთა წინამძღოლი ტროის ომში.

ღმერთს კი სხვა სურდა! ჰიპანისი, მასთან დიმასიც
თავისიანთა მსხვერპლნი გახდნენ, შენც დაბარბაცდი,
პანთუს, ეერ გიხსნა სათნოებამ, ვერც ღვთის თავსაკრმა.
ტროის პარტახო, ახლობელთა ბოლო კოცონო,
მოწმედ მეყავით, ავბედობას არ გაექცევივარ,
არც შუბს, არც ხიფათს, მაგრამ ჩემთვის ბედს რომ ნდომოდა
სიკვდილი, კიდეც მივეღებდი დანაელთ ხელით.
ძლივს გავცდით... მახლდა იფიტუსი[75] უკვე წლოვანი
და პელიასიც[76] ხეიბარი – ულიქსემ დაჭრა.
კვნესამ მოგვიხმო კვლავ პრიამეს სასახლისაკენ.
იქ საშინელი ბრძოლა ვნახეთ, თითქოს ქალაქში
სხვაგან არცა ვის უბრძოლია და მომკვდარაო.

კომენტარი მკითხველს
ვერგილიუსის ლათინურის ჟღერადობა

მსგავსად ჰომეროსის „ილიადისა“ და „ოდისეასი“, ვერგილიუსის „ენეიდაც“ დაქტილური ჰექზამეტრითაა დაწერილი, რომელიც ქართველმა მთარგმნელმა თოთხმეტმარცვლიანი ლექსით გადმოიტანა. ეს საზომი ზუსტად არ შეესაბამება დაქტილურ ჰექზამეტრს, რის გამოც ვერგილიუსის პოეზიის ლათინურენოვანი ბგერობრივი ჟღერადობა ქართულ თარგმანში უმეტესწილად დაკარგულია. ქვემოთ მოცემულია მცირე ნიმუში დედნიდან, რომელშიც აღწერილია განწირულ ტროაზე დაშვებული ღამე (250-253-ე სტრიქონები). გთავაზობთ ლათინურ ტექსტსა და მის სიტყვა-სიტყვით თარგმანს:

Vertitur interea caelum er ruit Oceano nox – მობრუნდა ამასობაში და ცას დააწვა ოკეანეს ღამე

involvens umbra magna terramque polumque – გაახვია უზარმაზარ აჩრდილებში ორივე – დედამიწა და ცა

Myrmidonumque dolos... – და მირმიდონელთა ცბიერება...

დედნის მეორე სტრიქონის პირველი ნახევარი იწყება შთამბეჭდავი, ავბედითი მუსიკალურობით, რომელშიც გამოყენებულია რიტმული გამეორება ასო v-სი (სიტყვა involvens-ში) და შემდგომ ასეთივე გამეორებაა მოცემული m-სა და a-სი ორ მოკლე სიტყვაში, რომლებიც ორ-ორი მარცვ-

[75] იფიტუსი – ტროელი.

[76] პელიასი – ტროელი.

ლისგან შედგებიან – um-bra mag-na. ორიენ ბგერა და მათგან წარმოქმნილი რიტმი გვთავაზობს შეუჩერებელ მოძრაობას ღამეული სიბნელისა, როდესაც იგი ყველაფერს წყვდიადით მოსავს.

ვერგილიუსს შეეძლო შეერჩია სხვადასხვა სიტყვა ცისა და ბერძნების აღსანიშნავად; ბოლო ორ სტრიქონში პოეტი არ იყენებს ჩვეულებრივ ლათინურ შესატყვისს ცისა – caelum-ს (რომელიც პირველ სტრიქონშია), არამედ უცნაური ტერმინი მოჰყავს – polum, რომელიც სიტყვასიტყვით „ჩრდილოეთ პოლუსს“ ნიშნავს; ბერძენთა აღმნიშვნელი სხვადასხვა სიტყვების ნაცვლად კი იგი ხმარობს მათი ტომის ერთ-ერთ სახელდებას – მირმიდონელები. აეტორი ქმნის მუქარით სავსე ჟღერადობის ნიმუშს მაღალი ტონალობის erra-დან (რომელიც სიტყვა terram-შია მოცემული) უფრო ყრუ ჟღერადობის pol-თან (სიტყვა polum-ში) შედარებით და შემდეგ კიდევ უფრო დაბლა წევს სიღრმისეული ჟღერადობის donumque-ში (სიტყვა Myrmidonumque-ში) – ამ გზით სიტყვათა ბგერობრივი ჟღერადობა თაყვისთავად იმეორებს ხატს ბნელი აჩრდილისა, რომელიც განწირულ ქალაქს ფარავს.

ბუნების სურათის აღწერით ვერგილიუსი აჩვენებს, თუ რატომ იყო ის საღამო ასე აებედითი. „და“ კავშირის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება ლათინურ ენაში სიტყვის ბოლოში სუფიქს que-ს მიერთებაა. ამ ბოლოსართის გამოყენებით პოეტი ახერხებს, რიტმულ ნაკადში მოაქციოს სიტყვები (ზეცა, დედამიწა და სიეერაგე), რაც კულმინაციას Myrmidonumque dolos-ში აღწევს.

* * *

440 დაუოკეელნი დანაელნი სართულს უტეედნენ,
ალყა დაურტყამთ ზღურბლისათვის კუს საფარველით.
სახლზე მიუდგამთ კიბეები, საფეხურებზე
ზედ ასულიყენენ და მტრის ისრებს ფარს აგებებდნენ
მარჯუენით, ხოლო მარცხენა ხელს სართულს ავლებდნენ.
445 დარდანიდები ქონგურებს და სახლის სახურავს
ზედ ანარცხებდნენ, რაკი სხვა გზა არ დარჩენოდათ,
მით გაურბოდნენ საზარ სიკვდილს მოახლოებულს.
წინაპართაგან დატოვებულ ოქროს სამკაულს
ზემოდან ყრიდნენ, გაშიშვლებულ ხმლებით იცავდნენ
450 სასახლის კარებს მჭიდრო რიგად დარაზმულები.
მეფის სავანის დასახსნელად აღმეგზნო სული,

მამაცთ საშველად, დამარცხებულთ გასამხნეებლად.
სასახლეს ჰქონდა საიდუმლო კავშირის კარი
შესაერთებლად მეფის ერცელი დარბაზებისა.
სანამ სამეფო მტკიცედ იდგა, ხშირად ამ კარით
მარტო შესულა ანდრომაქე[77] თეის მამამთილთან,
ასტიანაქსი[78] ძე პაპასთან მიჰყავდა ბედკრულს,
აეედი ჭერის მაღალ ქიმზე, იქიდან ტეეკრნი
ხელით სტყორცნიდნენ ბასრ ოროლებს, თუმცა ამაოდ.
კოშკი მაღალი სახურავით ცასა სწვდებოდა,
აქედან ჩანდა მთელი ტროა და ადრე ხშირად
დანაელთ გემებს და აქაველთ ბანაკს ეზვერაედით.
მორყეულ მორებს მოვახეიეთ რკინა მაგარი,
მტკიცედ მოეწიეთ და მაღალი სახურაეიდან
მოვწყეიტეთ მალე, მეყსეულად საშინელ ძალით
დანაელთ რაზმებს მოგუგუნე დაეცა თავზე.
სხვებიც მოეიდნენ დასაცავად, დიდი ლოდების
ან სხეა საჭურელის რიცხეი უკეე აღარ იკლებდა.
ჩვენი სასახლის წინ პირუსი[79] მოადგა ზღურბლსა,
სპილენძისა და იარაღის აელვარებით.
ასეე გეელიც, რომ გამძღარა ავი ბალახით,
ზამთრად მძინარე, შავ მიწაში დაბუდებული,
ტყაეს რომ მოიცლის, ყრმობის ეშხით კელავ განახლდება,
მკერდს მაღლა ასწეეს და სრიალა ხერხემალს კლაკნის
მზის გულზე, ენას გამოაკრთობს ხახიდან სამმაგს...
მოდგა პერიფას[80], აქილევსის ცხენთა მეურეე,
ავტომედონტი[81] და სკიროსის[82] ახალგაზრდობაც.
ჩვენს კოშკს მოადგნენ, სახურავზე გეესროდნენ ცეცხლსა.
პირეელთაგანმა ზე აღმართა მჭრელი ნაჯახი,

---

[77] ანდრომაქე — ტროის ომის გმირის, ჰექტორის მეუღლე, რომელიც აქილევსის ვაჟს, ნეოპტოლემუსს ჩაუვარდა ტყეედ.

[78] ასტიანიქსი — იგივე ასტიანიკტი. ჰექტორისა და ანდრომაქეს მცირეწლოვანი ვაჟი, დაილუპა ტროის დაკემისას.

[79] პირუსი — იგივე ნეოპტოლემუსი. აქილევსის ვაჟი.

[80] პერიფასი — იგიეე პერიფანტი. ბერძენი გმირი, ტროის ომის მონაწილე.

[81] აეტომედონტი — ტროაში მოლაშქრე ბერძენი მეომარი.

[82] სკიროსი — ეგეოსის ზღეის კუნძული. სკიროსის ახალგაზრდობისგან შედგებოდა აქილევსის ძის, პირუსის, იგიეე ნეოპტოლემუსის რაზმი.

ზღრუბლს მოურყია მძლე პირუსმა სპილენძის კავი,
მორი გადაჭრა, შეანგრია მუხის კარები,
შიგ გამოტეხა ფართო ხერელი, იქიდან ჩანდა
ერცელი მეფური პალატები, მოხუც პრიამეს
საუანეები, ძველ ბელადთა მტკიცე შენობა.
შიგ მყოფთაც ნახეს მტრის მხედრობა კარზე მომდგარი,
მაშინ სასახლე აირია აებედით გლოვით,
სილრმეში დიდი დარბაზები წამსვე აკენესდა
ქალის გოდებით, ცად აღწევდა კივილის ხმები.
შეძრწუნებულნი პალატებში კრთოდნენ დედები,
ძელებს ეკეროდნენ და ალბობდნენ მხურვალე კოცნით.
იძალა მკლავმა პირუსისა, ვერ აკავებდნენ
კლიტე და მცველნი, შეტორტმანდა კარები მუხის,
ანჯამებიდან ჩამოცვივდა რკინის კაუები.
მზეს გზა გაეხსნა, დაანგრიეს შემოსასელელი,
შემხედურნი დასცეს და სასახლე აივსო ლაშქრით.
აქაფებული ასე ჯებირს ვერ გადალახავს,
ლოდებს ვერ დაძრავს მთის მდინარე თეისი ზვირთებით,
როგორც მოვარდა გმირი მაშინ, მიფანტ-მოფანტა
ხალხი, ვით ჯოგი. თვით ვიხილე განრისხებული
ნეოპტოლემუს, ზღრუბლთან იდგა ორივ ატრიდი.
ენახე ჰეკუბა[83], ასი რძალიც, პრიამეს სისხლიც
თუ ვით შეესხა ბომონებთან წმიდა ნირაღდნებს.
ორმოცდაათი სანთიობოც, შვილთა შვილების
იმედი, უცხო ოქროთი და ნადავლით სავსე,
დაიმსხერა. მტერმა ხელთ ჩაიგდო, რაც ცეცხლს გადურჩა.
იქნებ პრიამეს ხვედრიც გინდა გაიგო ახლა?
ოდეს ქალაქი დატყვევნილი იხილა, კარი
შემონგრეული, დარბაზებში შეჭრილი მტერი,
მხცოვანმა მხრები, მძიმე ბექთარს გადაჩვეული,
წელთა სრბოლისგან მოცახცახე, კელაე აღიჭურვა,
ხრმალი აღიღო, სიკვდილისკენ მიისწრაფოდა.
შიგ სასახლეში ზეცის ღია თაღის ქვეშ იყო
საკურთხეველი, ძველი დაფნაც. იქ შემოვიდა,
ბომონთან დადგა და პენატებს ჩრდილი აფარა.

---

[83] ჰეკუბა – ტროის მეფის, პრიამეს ცოლი. ტროის დაცემის შემდეგ ზღვაში ჩავარდა და თავი დაიხრჩო.

ქალ-რძლებთან ერთად იქ ჰეკუბა შეყუჟულიყო.
თითქოს ქარიშხალს გაექცნენო მტრედის ხუნდები,
ერთურთს ეკეროდნენ და ღეთის კერპებს ეხუტებოდნენ.
როს ჯაბუკურად აღჭურვილი პრიამე ნახა –
„ბედშავო ქმარო, – თქვა ჰეკუბამ, – რა განიზრახე,
ეს იარაღი რად აგისხამს, რას მიესწრაფვი?
ვერ გვიხსნის შენი დახმარება, ეღარ გვიშველის
ჩემი ჰექტორიც, აქ რომ იყოს! მოგვიახლოვდი,
ყველას დაგვიცავს ეს ბომონი, ან მოკვდავთ ერთად!..“
ასე ეეედრა ქმარს ჰეკუბა, მოიახლოვა
მოხუცი თეისკენ და ჩამოსვა წმიდა ადგილთან.
ენახე პოლიტე[84], გაქცეოდა პირუსის მახვილს,
პრიამეს შვილი გაურბოდა მტრების იარაღს,
ყრუ დარბაზებში ბარბაცებდა მძიმედ დაჭრილი.
მისდევდა პირუს ანთებული, მოკელას უქადდა,
ლამის ოროლის ჩასაცემად მისწვდა მდევარი.
ძლივს ბარბაცებდა, დაენახა სანუკვარ მშობლებს,
პირქვე დაეცა და სისხლს სული ამოაყოლა.
მაშინ პრიამემ, თუმც სიკვდილის სალტეში იყო,
ეეღარ გაუძლო, არ დააკლო სიტყვა მრისხანე:
„დე, ეს სიაენ, თავხედობა წრეგადასული,
ღმერთებმა, თუკი მოწყალება იციან ზეცად,
უხვად მოგიზღან, როგორც საქმით დაიმსახურე!
იძულებულ-მყავ, აღსასრული მენახა შვილის,
პირმშოს მკვლელობით აამღვრიე მამის თვალები.
აქილეესიც კი, რომლისაცა შვილობას ცრუობ,
ასე ეით მტრობდა პრიამესა, მან პატივი სცა
მამის უფლებას, მაგვდრებელს მომცა იმედი –
ჰექტორის გვამი სამშობლოში გამომატანა!“
ეს თქვა თუ არა, შუბი სტყორცნა ძალაგაცლილი,
ვერც მოიქნია, უკუვარდა ყრუ სპილენძისგან და
ფარის კუზზე უვნებელად ჩარჩა ოროლი. პირუსმა
უთხრა: „მაშ გადასცემ ამ სიტყვას მამას, მაცნედ
შენ წახვალ, მოუყვები ჩემს ბოროტ საქმეს,
ნეოპტოლემუსს შენ არ გგავს-თქო... ახლა კი მოკვდი!“

---

[84] პოლიტე – პრიამეს და ჰეკუბას ვაჟი.

ეს თქვა თუ არა, შვილის სისხლში განრთხმული მამა
სამსხვერპლოსაკენ წაათრია ათრთოლებული.
თმები მარცხენით ჩაიბღუჯა, მარჯვენით იძრო
ელვარე რკინა, სატევარი ვადამდე ჩასცა.
ასე ეწერა აღსასრული პრიამეს თურმე,
რომ ტროის ხანძარს მოსწრებოდა და პერგამოსის!
ოდესღაც ხალხის და ქვეყნების სიმრავლით ამაყს
მთელი აზია ეპყრა. ახლა სანაპიროზე
აგდია გვამი უსახელო და თავწაცლილი.
თავზარი დამცა ამ სურათმა, შიშმა შემიპყრო,
თვალწინ დამიდგა მამაჩემი, ოდეს ვიხილე, მისივ
ასაკის მეფე სასტიკ ჭრილობებისგან როგორ
კვდებოდა, წარმომიდგა ობლად კრეუზა[85], სახლი
ძარცული, ძნელი ხვედრი იულუსისა[86].
მიმოვიხედე, ვინღა დამრჩა ერთგული-მეთქი!
გაფანტულიყენენ, თანამებრძოლთ ძაბუნი გვამნი
უხვად ეყარა, დაეფერფლა ანთებულ ხანძარს,
მარტოღა დავრჩი!.. შორიახლო ვესტას ტაძართან
მიმალულს მოვკარ თვით ტინდარისს[87] ანაზდად თვალი,
ომის ხანძარი მინათებდა გზას ყოველ მხრიდან,
გაპარტახებულ მიდამოს რომ ჩუმად ეზვერავდი.
ტვეკრთ გაურბოდა დანგრეული პერგამოსისთვის,
დანაელთა და მიტოვებულ ქმრის შიშიც ჰქონდა,
იგი, საერთო ერინისი ტროის მხარისა
და სამშობლოსი, ჩუმად ბომონს ეფარებოდა.
გულში იფეთქა რისხვამ ტანჯულ მამულის გამო,
შურისგება და დამნაშავის დასჯა მინდოდა.
„მაშ სპარტას ნახავს, დაუსჯელად მიყენში წავა,
ვით დედოფალი მოზეიმე? ქმარს, სახლს და მშობლებს,
საყვარელ შვილებს ეახლება? მხეელად წაასხამს

---

[85] კრეუზა – ენეასის პირველი ცოლი, ასკანიუსის დედა. ღმერთების ნებით, ენეასს გასცილდა.

[86] იულუსი – იგივე ასკანიუსი. ენეასისა და კრეუზას ვაჟი. იულიუსთა მოდგმის მითიური წინაპარი. იულიუსი წარჩინებული რომაული გვარი იყო, რომელსაც ეკუთვნოდნენ იულიუს კეისარი და ოქტავიანე აგუსტუსი.

[87] ტინდარისი – იგივე მშვენიერი ელენე, ტინდარევსის ასული.

ფრიგიელების ლამაზ ქალებს ილიონიდან?
პრიამე დასცეს? ტროა დაწვეს? ნუთუ ამდენჯერ
უნდა მოირწყას სანაპირო დარდანთა სისხლით?
არა, კმაროდეს! თუმც დიდებას ეს ვერ მომიტანს,
ქალის დამსჯელი მოწონებას არ იმსახურებს,
მაინც მაქებენ, ოუ სიავეს მოვუღე ბოლო და ის
დაესაჯე! მეამება, აღვავსო გული შურისძიებით და
ახლობელთ ფერფლი დავაცხრო". ასე ეფიქრობდი,
გულს მძვინვარე ეზნება უელიდა. ანაზდეულად
სანუკვარი დედა სულ ცხადად
დამიდგა თეალწინ ღამის შუქში გაბარწყინებული.
ქალღმერთი ისე მომეელინა, როგორც ხედავენ
ზეცად მცხოვრებნი და როგორიც ნამდვილად არის.
ხელი შემახო, ვარდისფერი ტუჩებით მითხრა:
„შვილო, რა ჭირმა მრისხანება აღაგზნო შენი?
რამ გაგახელა, ჩვენზე ფიქრი რამ დაგავიწყა?
სად მიატოვე, განა იცი, წლებით ძაბუნი
მამა ანქიზე? ცოცხალი გყავს ცოლი — კრეუზა?
ან ასკანიუს, შვილი შენი? ყოველი მხრიდან
ბერძენთა ტალღა შესევია, რომ არ მეშველა,
ცეცხლი შთანთქამდა, მტრის მახვილზე აეგებოდნენ,
არცა ტინდარისს, შენს საძულველს, ლაკედემონელს[88],
არც პარისს, შენ რომ აყვედრიდი, არამედ ღმერთებს,
დიახაც ღმერთებს დაულეწავთ დიდება ტროის!
შეხედე! გავეჭრი წყვდიადს, გარს რომ შემოგვხვევია,
მოკვდავის თვალნი რომ დაუხშავს ნამიან ბურუსს...
ნუ გეშინია დედობრივი ბრძანების, შვილო,
მის დარიგებას ნურასოდეს ნუ გაექცევი.
შენ რომ უყურებ ნაპარტახალს, ქვებს ქვებზე მიყრილს,
აბოლქვილ კვამლსა, ზევავარდნილს, მტვერში არეულს,
ეს ნეპტუნუსი არყევს კედლებს სამწვერა ფიწლით,
ანგრევს საფუძველს და ქალაქის ფუძე შეუძრავს.
იქ პირველი დგას თვით იუნო[89] განრისხებული

---

[88] ლაკედემონი — პელოპონესის მხარე, ლაკონიკა, სპარტა.

[89] იუნო — ღმერთთა დედოფალი, იუპიტერის მეულლე, ქორწინების მფარველი ღმერთქალი.

სკეის[90] ბჭისკარში, გემებიდან მოუხმობს ჯარებს,
ხმალი აუსხამს!
შეხე, პალადა, ტრიტონია ზის მაღალ ქიმზე!
ღრუბლით მბზინავი, გორგონებით[91] შიშის მომგერელი.
თვით ღმერთთა მამა აძლევს ძალას დანაელთ ლაშქარს,
ღმერთებს ტევკრების საჭურველზე აგულიანებს.
გაიქეც, შვილო და მიეცი საზღვარი ტანჯვას.
არ მიგატოვებ, მე მიგიყვან მშობლიურ ზღურბლთან!“
ასე მითხრა და შეეფარა ღამის სიბნელეს.
ენახე ძლიერთა ღვთაებათა მრისხანე სახე.
მტრად ეცანი ტროის.
ვიხილე დიდი ილიონი ცეცხლით მოცული
და ნეპტუნუსის ტროა ერთად ამოძირკვული.
ასე ცდილობენ ორლესული ცულით მთის თხემზე
მიწის მუშები, რომ კენარი მოჭრან კედარი,
ხე კი ამაყი ჯერ კიდევ დგას და იქადნება,
კანკალებს, უთრთის ფოთლები და წვეროკინები,
ნელა ქანაობს, უკანასკნელ დარტყმას მიიღებს,
ამოიგმინებს და ერთბაშად დაენარცხება.
წავედი, ღმერთის დახმარებით განველე კოცონი,
გზა მომცა ცეცხლმა, აეერიდე მებრძოლთ მახეილებს.
მამისეულ სახლს მივადექი, მსურდა მეპოვნა
და წამეყვანა მამაჩემი. ყველაზე მეტად
მწყუროდა მისი გადარჩენა. მან უარი თქვა,
რომ ტროის შემდეგ კელაე ეცოცხლა სხვაგან განდევნილს:
„თქვენ, ვისაც სისხლი საუკუნემ არ დაგისუსტათ, –
ასე მოგემართა, – ვისაც ძალა კელაე შეგრჩენიათ,
უშველეთ თავსა!
ჩემი სიცოცხლე რომ უნდოდეთ ზეცაში მცხოვრებთ,
შემინახავდნენ სამშობლოსაც! საკმაოდ ენახე
და განვიცადე იავარქმნა ციხე-ქალაქის.
დამემშვიდობეთ, ჩემი გვამი დარჩეს ეულად,
მე თვით შევიძენ სიკვდილს, მტერი ჩემგან მიიღებს

---

[90] სკეა – ტროა-ქალაქში შესასვლელი კარიბჭე დასავლეთიდან.

[91] გორგონა – სამი მითიური ურჩხული: სთენო, ეურიალე და მედუზა. მათ თმების ნაცვლად გველები ესხათ. მათი შეხედვა ცოცხალ არსებას ქვად აქცევდა. მედუზას თავი გამოსახული იყო მინერვას (ათენას) ფარზე.

ოდენ საჭურველს. დაე, დავრჩე დაუკრძალავი.
მოვძულებივარ ღმერთებს, წლებსღა მიეათრევ მხოლოდ,
მას შემდეგ, ოდეს უკვდავეთ მამამ, კაცთა მეუფემ
ელვით დამკვეთა, უცაბედი ცეცხლით დამნაცრა“.
ამ აზრზე იდგა შეურყეველად. მთელი ჯალაბი
ცხარე ცრემლებად იღვრებოდა: რძალი კრეუზა,
ასკანიუსი... ეაგლახ, რატომ სწყუროდა მამას
ჩვენი დაღუპვაც, ასრულება ბედის მუქარის?
არ დაგეიჯერა, აღარ დათმო აზრი კეიმატი.
ამაო ბრძოლა კვლავ მომწყურდა, სიკვდილს ვეძებდი,
რა დამრჩენოდა, რა ბჭობა და ხვედრი მიხსნიდა?
„ნუთუ გგონია, მამაჩემო, რომ შენ დაგტოვებ?
როგორ წამოსცდა მამის ბაგეს ასეთი სიტყვა?
თუ ღმერთს სურს მოსრას ამ ქალაქში, რაც კი გადარჩა,
თუ განგიზრახავს შეგეიერთო დაღუპულ ტროას,
კარები ფართოდ გაგიღია სიკვდილისათვის,
პირუსიც აგერ გამოჩნდება, პრიამეს მკვლელი
(ვაჟი მოუკლა თვალწინ, თვით კი ბომონს დააკლა)!..
დედავ ძვირფასო! განა მისთვის გადამარჩინე
ცეცხლს და იარაღს, რომ ჩემს სახლში ვიხილო მტერი?
ასკანიუსი, მამაჩემი, ცოლი კრეუზა
ერთურთის სისხლში მოცურავე რომ დავინახო?
მომეციით ხმალი, დღე მოგვიხმობს უკანასკნელი,
დანაელებთან განახლება მწყურია ბრძოლის,
ყველანი სისხლის აუღებლად როდი მოვკვდებით!“
მოვისხი ხმალი, ცაციაზე მოვირგე ფარი
და მოვემზადე სასახლიდან გამოსასვლელად.
მაგრამ კარებთან მომეხვია მუხლებზე ცოლი,
მეკეროდა, ჩემსკენ თან იწვდიდა ყმაწვილ იულუსს:
„თუ სასიკვდილოდ მიხვალ, მაშინ ჩვენც წაგვიყვანე!
თუ იმედი გაქვს იარაღის მრავალნაცადის,
ჯერ ჩვენ დაგვიცავ! ვის უტოვებ პირმშოს, იულუსს?
მამაშენს ვისღა? ან ქალს, ვისაც მეუღლე ერქვა?“
ასე წარმოთქვა და გოდება მოჰფინა დარბაზს.
ამ დროს ანაზდად, – სათქმელადაც სასწაულია, –
მშობლების ხელთა და მწუხარე სახეთა შორის
მსუბუქი ცეცხლი იულუსის თავს მოეფინა,

შუქი გამოსცა, უენებელად ლოკავდა ალი
ბიჭის საფეთქლებს და რბილ კულულებს ნაზი ლიცლიცით.
შიშით აეთრთოლდით, ალმოდებულ თმას ეუფეროხავდით,
წყალს ვასხურებდით ჩასაქრობად ღეთაებრივ ხანძარს.
ამ დროს ეარსკელავებს მხიარულად მამა ანქიზემ
მიაპყრო თვალი, შეჰღაღადა ხელაპყრობილმა:
„მძლე იუპიტერ, თუ ისმინე ვედრება ჩვენი,
მოგვაპყარ თვალი, მოკრძალებით ეუცდით შენს ნიშანს.
გვამცნე მყობადი, ღირს გვყავ, მამაე, და დაგეიმტკიცე“.
ეს თქვა თუ არა, წამსვე მარცხნივ იქუხა ზეცამ
და სიბნელეში მოწყვეტილმა ეარსკელავმა შუქი
თან გაიყოლა, მოელვარე სხივით გაქანდა.
იგი გაცურდა სახლის ჭერის მიმართულებით და
იდას[92] ტევრში დაიმალა. ვნახეთ – აღნიშნა
შუქით გზა თვისი, ნაკვალევი შორს ციმციმებდა,
იბოლქვებოდა კიდეგანი გოგირდის კვამლით.
მაშინ დაგვნებდა მამაჩემი, მყისვე წამოდგა,
მიმართა ღმერთებს, შეჰღაღადა წმიდა ეარსკელავებს:
„აწ რაღა გვიშლის: მეც წამოვალ, სადაც წამიყვანთ.
ღმერთნო, შეინდეთ მამეული სახლი, შვილის ძე,
ეს სასწაული თქვენგან მოდის, ტროას თქვენ იცავთ!
ვთმობ, შვილო ჩემო, მე მზადა ვარ, ყველგან წამოგყვეთ!„
ეს თქვა თუ არა, გაძლიერდა გუგუნიც ხანძრის
ციხე-ქალაქში, მცხუნვარება მოგვიახლოვდა.
„მამაე ძვირფასო, უნდა მხრებზე შეგისვა ახლავ,
ძირს დავიხრები, რომ ეს შრომა გაგიადვილო,
რაც უნდა იყოს, ჩვენ საერთო ხიფათი გველის,
ხსნაც გვაქვს საერთო. დე, გამიძღვეს ყრმა იულუსი,
მეგზური ჩვენი, ხოლო ცოლი გამოჰყვეს კვალსა!
თქვენ კი, მსახურნო, დაიხსომეთ, რაც მე გიბრძანოთ:
ქალაქის ბოლოს არის სერი, მივიწყებული
ცერერას[93] კოშკი, ძველისძველი დგას კვიპაროსი,
ჩვენთა წინაპართ რომ დაუცავთ ღვთისმოშიშებით.
სხვადასხვა მხრიდან მოვგროვდებით იმა ადგილას.
მამაე, აიღე პენატები მამა-პაპური,

[92] იდა – მთის ქედი ტროასთან.

[93] ცერერა – მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი.

მე, ბრძოლიდან და სისხლისღვრეიდან ახლად გამოსულს,
არ მმართებს ხელით მათ შეეხო, სანამ ნაკადში
განეიბანები“.
ეს ეთქვი თუ არა, დაქანებულ ფართო ბეჭებზე
წამოსასხამი შემოეისხი და ლომის ტყავი,
აეწიე ტვირთი, იულუსმა ხელი მომკიდა,
მტკიცედ წამომყვა, თუმც ყმაწვილი ფეხს ვერ მიწყობდა.
ცოლი მომსდევდა, ღამის წყვდიადს მივეცით თავი.
არასდროს შიში არ მქონია საჭურველის ტყორცნის,
არცა ბერძენთა მხედრობისა, მაგრამ იმ ღამეს
სიოს ყოველი ჩამიჩუმი, ყოველი ბგერა
მაკრთობდა ძვირფას ტვირთისა და მეგზურთა გამო.
უკეე კარიბჭეს მივადექი, როცა მეგონა –
გზა დაილია. მაგრამ ამ დროს ნაბიჯთა ჩქამი
მომესმა, ბნელში მოთვალთვალე მშობელმა მითხრა:
„შვილო, გაიქეც, მტრის ლაშქარი გვიახლოვდება,
ვხედავ ფარების ელვარებას, სპილენძის ბზინვას“.
არ ეიცი, მაშინ ღმერთთა შორის რომელს მოეძულდი,
ჭკუა ამემღვრა, გავიქეცი და უნებურად
გზაგასაყარზე ნაცნობ გზიდან გადავუხვიე.
ვაიმე! ბედმა გამომტაცა ცოლი – კრეუზა,
გზა თუ აებნა, ან დაღლილმა ჩამოისვენა? –
არ ეიცი... შემდეგ ჩვენთან აღარ გამოჩენილა.
არც მომაგონდა, თვალში მანამ არ დამკლებია,
სანამდის სერზე არ ავედი, ცერერას ტაძარს
არ მივადექი. მხოლოდ ერთი აკლდა ჩვენს კრებულს –
ვინც მოატყუა მეგობრები, ქმარი და პირმშო.
მოკედავთ თუ ღმერთებს, უბედურმა, ეის არ ეაბრალე.
დამწვარ ქალაქში რა ეიგემე ამაზე მწარე?
მამა ანქიზე, ასკანიუს და პენატები
მეგობრებს ვანდე, საიმედოდ დაემალე ხევში,
თვით ქალაქს წაეედ, წელზე მერტყა ხმალი ელვარე.
მსურდა ხიფათის განახლება, ტროის შემოვლა,
საბედისწერო გასაჭირის გამოცდა კვლავაც.
ბნელ ბჭეს მივადექ, კელაე გალავანს მივუახლოვდი,
უკან გავყევი ჩემსავე კვალს, აქა თუ იქა
ეზვერავდი ადგილს, ბნელ ღამეში თვალს ეაცეცებდი.

შიშმა გამსჭვალა სული, ზარსა მცემდა სიჩუმეც.
იქნებ შებრუნდა-მეთქი სახლში, იქით წაედი.
ვნახე, დანაელთ დაერბიათ სასახლე მთელი
ქარბუქს ხანძარი აყოლოდა მაღალ ჭერამდე,
ალი ღვიოდა, ბუღი იდგა, ცასა წედებოდა.
მიეუახლოედი, შეეყურებდი პრიამეს კოშკებს.
იქ უკაცრიელ პალატებს და იუნოს საყდარს
მტკიცედ იცავდნენ ფენიქსი[94] და აია ულიქსე[95].
უხვი ნადაელი, ტროის მთელი განძეულობა,
დაფერფლილ ტაძრებს რომ მოსტაცეს, ღმერთთა ტახტები,
ბავჯაღლო ოქროს ფიალები და სამოსელი
იქვე ეყარა. ბიჭები და მფრთხალი დედები
გრძელ მწკრიეად იდგნენ.
ღამის ბნელეთში დაძახება გავბედე ცოლის,
ხმა გზას მოეფინე, ნაღვლიანი კრეუზას დიდხანს
ამაო ოხვრით კელავ და კელავაც მოეუწოდებდი.
ოდეს ეეძებდი უნუგეშოდ მოხეტიალე,
გამომეცხადა თეით კრეუზას მკრთალი აჩრდილი,
სახება მისი ჩეეულებრივს ოდნავ ჭარბობდა.
გავშეშდი, თმები ყალყზე დადგა, ენა ჩამიწყდა.
ხმა გამოიღო, საზრუნავი დამიცხრო სიტყვით:
„რა ბედენაა, საყვარელო მეუღლევ ჩემო,
უგნური გლოეა? ყოველიეე ღვთის ნებით ხდება.
შენ არ გეწერა ბედად ჩემი თანეე წაყვანა,
ეს არა სურდა თეით ოლიმპოს[96] მაღალ მეუფეს.
დიდხანს მოგიწევს ხეტიალი, ზღვის გადალახვა,
ჰესპერიაში[97] მიხვალ ბოლოს, სად მოჩუხჩუხებს,
უხვნაყოფიან ველ-მინდერებზე წყალი თიბრისის[98].
იქ მზად დაგხვდება მყუდრო ბინა და დედოფალი,
შენი სამეფოც, ნუღარ გლოეობ სატრფო კრეუზას,

---

[94] ფენიქსი — აქილევსის თანამებრძოლი ტროის ომში.


[95] ულიქსე — იგიეე ოდისევსი, ლაერტის ძე,ითაკის მეფე,ტროის ომის მონაწილე, ჰომეროსის „ილიადის“ ერთ-ერთი მთავარი, „ოდისეას“ მთავარი გმირი.

[96] ოლიმპო — მთა საბერძნეთში, ღმერთთა სავანე.

[97] ჰესპერია — იტალიის ძველი ბერძნული სახელწოდება, სიტყვა-სიტყვით — „საღამოეთი“, „საღამოს ქეეყანა“, ე. ი. დასაელეთი.

[98] თიბრისი — ცენტრალური იტალიის მთავარი მდინარე, რომელიც რომს ჩაუდის.

მე არ ეიხილავ მირმიდონელთ, დოლოპთა მხარეს,
ბერძენთა ქალებს ტყვედ და მხეველად არ ეეახლები
მე, დარდანისი[99], ქალ-ღვთაების ვენუსის რძალი!
ღმერთების დედა აქა მტოვებს. იყავ მშვიდობით
და ჩვენი შვილის სიყვარული გქონდეს მარადის!“
ეს თქვა. გამცილდა მოქვითინე, მასთან საუბრის
მარადის მსურველს და თხელ ჰაერს კვლავ შეერია.
სამგზის ეეცადე, მის მშვენიერ ყელს მოვხვეოდი,
მოხვევნას ჩემსას გაეცალა აჩრდილი სამგზის,
მჩატე, ვით სიო და ფრთოსანი სიზმრის სადარი.
ის ღამე ასე გავატარე, შემდეგ დავბრუნდი,
გაოცებულმა შევამჩნიე ახალ მეგზურთა
დიდძალი რიცხვი, მოსულიყვნენ ქალნი, კაცები,
ლტოლვილნი ყრმანი, სავალალო ბრბო უბედურთა.
გარს მომესალტნენ, მოიკრიბეს ძალა სულისა,
რომ ჩემს არჩეულ გზას საზღვაოს გამოჰყოლოდნენ.
ამოანათა ლუციფერმა[100] იდას მწვერვალზე,
დღე მოჰყვა, ზღრუბლნი დაიკაეეს ღანაელებმა
კარიბჭეების. დახმარების იმედი გაქრა,
უკუვდექ, მამას დავწედი ისევ და მთისკენ წავედ.



„ენეიდას“ ილუსტრაცია

[99] დარდანისი – დარდანუსი, იუპიტერისა და ელექტრას ეაჟი, ტროელთა პირველი წინაპარი, ენეასის პაპის პაპის პაპა. დარდანი, დარდანიდი – დარდანუსის შთამომავლობა, ტროელები, დარდანეთი, დარდანია – ტროა.

[100] ლუციფერი – ცისკრის ეარსკვლავი, „სხივთა მომტანი“.

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. როგორ მოახერხა სინონმა, დაერწმუნებინა ტროელები, რომ ხის ცხენის ქალაქში შეტანით წარმატებას მიაღწევდნენ?

2. რა ძალამ აარიდა ენეასს მშვენიერი ელენეს მოკვლა?

3. რატომ გადაწყვიტა ენეასის მამამ, ანქიზემ, დაეტოვებინა ტროა?

გააანალიზეთ

4. როგორ მოასწავებს ლაოკოონის სიკვდილი (199-234-ე სტრიქონები) ტროას დაცემას?

5. ჩამოწერეთ მაგალითები, რომლებშიც ენეასი რაღაც ზებუნებრივს ხედავს. რას გეთაყვაობს ეს მაგალითები მისი ხასიათის თვისებების გასარკვევად?

6. რატომ წარმოადგენს ავტორი ენეასს:

ა) თვითმხილველად პრიამეს სიკვდილისა?

ბ) მშვენიერი ელენეს დამალეისა ვესტას ტაძარში?

7. რა მიზეზები აქვს ვერგილიუსს იმისათვის, რომ პოემაში ენეასის შეუღლის, კრეუსას, სიკვდილის ამბავს აღწერს?

განაზოგადეთ

8. შეადარეთ ერთმანეთს ოდისევსისა და ენეასის მიზნები და მისწრაფებანი. როგორ ახასიათებენ ისინი ამ ორ გმირს?

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი
მეტაფორა

როგორც ვიცით, მეტაფორა პოეტური მეტყველების ფორმაა, რომელიც აკავშირებს ორ არსებითად არამსგავს საგანს, ერთმანეთთან რაღაც საერთო რომ აქვთ. ასეთი კავშირი შეიძლება პირდაპირ გადმოიცეს (მაგ., „ცაზე ჰყვავიან ღრუბელნი"), ან იყოს ნაგულისხმევი (მაგ., „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა").

მეტაფორაში საგნებისა და მოვლენების ნიშან-თვისებათა დაკავშირება შემოქმედის ინდივიდუალობით განისაზღვრება. საგნებსა და

მოვლენებს მიწერილი აქვთ ისეთი თვისება, რომელიც მათ არ ახასიათებთ, მაგრამ პოეტურად დასაშვებია.

შედარებისგან განსხვავებით, მეტაფორაში არ გამოიყენება მაერთებელი სიტყვები როგორც და ისეთივე.

1. ბერძენთა მიერ დატოვებულ ტროაში შეტანილი ხის ცხენი „შიგნიდან აფრქვევს იარაღასხმულთ“ (328-329-ე სტრიქონები). რას არიან შედარებულნი ბერძენი მეომრები მოცემულ მეტაფორაში?

2. ცეცხლწაკიდებული ტროას დაცემას ასე აღწერს ენეასი: „ასე ცდილობენ ორლესული ცულით მთის თხემზე მიწის მუშები, რომ კენარი მოჭრან კედარი, ხე კი ამაყი ჯერ კიდევ დგას და იქადნება, კანკალებს, უთრთის ფოთლები და წვეროკინები, ნელა ქანაობს, უკანასკნელ დარტყმას მიიღებს, ამოიგმინებს და ერთბაშად დაენარცხება“ (626-631-ე სტრიქონები). რასაა შედარებული ტროას დაცემა ამ მეტაფორაში?

ლექსიკური უნარები
კონტექსტი

მოძებნეთ ქვემოჩამოთვლილი სიტყვების სწორი მნიშვნელობა, რომლებიც პოემის სტრიქონების კონტექსტშია მოცემული. ისარგებლეთ ლექსიკონებით. შემდეგ ეს სიტყვები გამოიყენეთ თქვენ მიერ შედგენილ წინადადებებში, სადაც მათი მნიშვნელობა სწორად იქნება გააზრებული:

1. კოშკი (56-ე სტრიქონი)
2. მოდგმა (74-ე სტრიქონი)
3. დააცხრეთ (116-ე სტრიქონი)
4. ხრიკი (152-ე სტრიქონი)
5. სასოება (162-ე სტრიქონი)
6. ბომონები (293-ე სტრიქონი)
7. პირქუში (360-ე სტრიქონი)
8. ძრწოლა (369-ე სტრიქონი)
9. მავედრებელი (542-ე სტრიქონი)
10. ბნელეთი (768-ე სტრიქონი).

სააზროვნო სავარჯიშოები
სინთეზირება

სინთეზირება ნაწარმოების ეპიზოდებისა და ელემენტების დალაგებაა მის მთლიანობაში, მისი ნაწილების ურთიერთკავშირში წარმოსადგენად, რაც მანამდე გარკვეულწილად ბუნდოვანი იყო.

1. რა მთავარი იდეა აკავშირებს „ენეიდას“ სცენების უმეტეს ნაწილს ერთმანეთთან?

2. ახსენით, როგორ აერთიანებს ეს იდეა სხვადასხვა სცენას?

გამრავალფეროვნება
ტროას დაცემის გადაღება

ვერგილიუსის ეპიკურ პოემაში უხვადაა მოცემული მასალა მის საეკრანიზაციოდ; მაგრამ ამბის გადატანა ეკრანზე უზარმაზარ სამუშაოს მოითხოვს. დაყავით სტუდენტები სხვადასხვა შემოქმედებით ჯგუფად, რომლებიც მოამზადებენ სცენარს ფილმად გადაღებისათვის:

1. პირველი სცენა – ტროას გარეთ, როდესაც ტროელები წყვეტდნენ, თუ როგორ მოპყრობოდნენ ხის ცხენს;

2. მეორე სცენა – ტროას შიგნით, როდესაც ბერძნები შეტევაზე გადაეიდნენ;

3. მესამე სცენა – ენეასის თავგადასავალი ქალაქის დანგრევისას.

ამ ჯგუფებმა უნდა განიხილონ:

ა) რამდენი გადასაღები პოზიციაა საჭირო და სად უნდა განლაგდეს კამერები;

ბ) მსახიობთა შერჩევა, თუ ვის შეუძლია უმთავრესი როლების უკეთესად განსახიერება;

გ) სხვადასხვა სპეციალური ეფექტის სახეობები და შესაძლებელი გზა მათ მისაღწევად.

როდესაც სამოქმედო გეგმას დაამუშავებთ, შეაჯერეთ იგი სხვა ჯგუფების მონახაზებთან და შეადარეთ თქვენ მიერ მოფიქრებულ სცენარს.

დაგალება „ენეიდაში“ მოცემული საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებს მიუწერეთ მათი ბერძნული შესაბამისი სახელები. გამოიყენეთ ანტიკური მითოლოგიის ლექსიკონები.



შოთა რუსთაველი

(XII-XIII სს.)



რუსთაველი თურმე მესხეთის რუსთავში დაბადებულა. 7 წლისა დაობლებულა. ბიძასა და მამიდას იგი ტბეთის მონასტერში წაუყვანიათ. იქ ჯერ თვითონ გაუწერთნიათ, შემდეგ კი ხარსმაში გაუგზავნიათ სასწავლებლად. შემდეგ სწაელა იყალთოს აკადემიაში გაუგრძელებია.

16 წლის რუსთაველი ათენში გაუგზავნიათ, როგორც უნიჭიერესი მოწაფე. ათენში 6 წელი ყოფილა და შემდეგ იერუსალიმში წასულა. იქ შეუსწავლია ბერძნული, არაბული და სპარსული ენები. იგი განსაკუთრებით გაუტაცნია ჰომეროსის პოემებს.

სამშობლოში დაბრუნებული შოთა ხარ-ზეიმით მიუღიათ. თამარს ეზირად დაუნიშნავს. ვეზირს მეფე თამარი შეყვარებია, მაგრამ ცოლად ხომ ვერ მოიყვანდა მას?! შოთა სიყვარულს სამშობლოდან გადაუხვევია. შავ მთას შეჰკედლებია. იქვე ცარდაცელილა და ქართველ ბერებს დიდი პატივით დაუმარხავთ...

დამატებით შევნიშნავთ, რომ, მეცნიერთა ვარაუდით, შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი" 1189–1207 წლებში უნდა იყოს დაწერილი.

დავალება

მოიძიეთ წყაროები შოთა რუსთაველის სახელის, ხედწოდებისა და ფრესკის შესახებ და გააცანით თანაკურსელებს.

ავთანდილისაგან მის ყმისა ძებნად წასელა

182 ამ საქმესა მემოწმების დიონოსი, ბრძენი ეზროს,
საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, და-ცა-ეზროს.
ვის ბალახში არა ჰგვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს,
იგი სადმე გაღარიბდეს, საშყოფთაგან იაბეზროს.

183 ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა,
დააგდო ზღვარი არაბთა, სხვათ ზღვართა არე იარა,
მაგრა მის მზისა გაყრამან სიცოცხლე გაუზიარა;
თქვა: „თუ მე მასმცა ვეახელ, აწ ცხელსა ცრემლსა ელვრი არა“.

184 ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანასა;
მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიჰმართის დანასა;
თქვის: „ჭირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათი ანასა,
მოეშორდი ლხინსა ყველასა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა!“

185 ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჭნებოდა,
გულსა უთხრის, თუ „დათმეო“, ამად არ დია ბნდებოდა.
უცხო უცხოთა ადგილთა საძებრად იარებოდა,
მგზავრთა პკითხვიდის ამბავთა, მათ თანა-ემოყვრებოდა.

186 მუნ ეძებს, ცრემლსა მტირალსა სდის ზღვათა შესართავისად.
უწინდის ქვეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისად.
თქვის: „საყვარელო, მოგშორდი, გული შენ დაგრჩა, ვთქვა ვისად?
შენთვის სიკვდილი მეყოფის ლხინად ჩემისა თავისად“.

187 ყოველი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა,
ასრე რომე ცასა ქვეშე არ დაურჩა არე არა,
მაგრამ იგი მის ამბისა მსმენელსაცა ვერ მიმხვდარა.
ამას შიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა.

188 მიჰხედა რასმე ქვეყანასა უგემურსა, მეტად მქისსა,
თვე ერთ კაცსა ვერა ნახავს, ვერას შვილსა ადამისსა.
იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა,
დღე და ღამე იგონებდის საყვარელსა მასვე მისსა.

189 მას მიჰხედა წვერი სადგურად მაღლისა მთისა დიდისა,
გამოჩნდა მუნით მინდორი, სავალი დღისა შეიდისა.
მის მთისა ძირსა წყალი დის, არად სანდომი ხიდისა,
ორგნითვე ტყესა შეეკრა ნაპირი წყლისა კიდისა.

190 ზედა წადგა, შეექცევის, დროთა, დღეთა ანგარიშობს;
თვენი ესხნეს ორანიღა, ამად სულთქვამს, არა იშობს;
„ეა თუ საქმე გამიმჟღავნდეს! – კელა ამისთვის გულ-მოშიშობს.
–
ავსა კარგად ვერვინ შესცელის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“.

191 საგონებელი შეექმნა, დადგა საქმისა მრჩეველად,
თქვა: „თუ დაებრუნდე, ეზომი ხანი რად დავყავ მე ველად?
ჩემსა რა ეჰკადრო მნათობსა, ეიყავ რად დღეთა მლეველად,
მისი ვერა ვცნა ჭორადცა, ვარ ვისთა გზათა მკვლეველად?

192 „თუ არ დაებრუნდე, საძებრად დავყენე სხვანიცა ხანანი,
რომელსა ვეძებ, ვერა ვცნნე ამბავნი მე მისთანანი,
დრო გარდაუწყდეს შერმადინს, მიჰხედენ ღაწვისა ბანანი,
მივიდეს, ჰკადრნეს მეფესა საქმენი დასაგვანანი.

193 „უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩემგან დავედრებული,
მათ შექმნან გლოვა-ტირილი, ქმნან საქმე გამწარებული,
მერმე მივიდე ცოცხალი მე, სხვაგან სადმე რებული!“
ამას იგონებს ტირილით, გონება-შეიწრებული.

194 იტყვის: „ღმერთო, სამართალნი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ?
მე ეზომხი სიარულნი კიდე რად, გლახ, გამიცუდენ?
გულით ჩემით სიხარულნი აჰფხერენ, ჭირნი დააბუდენ,
დღეთა ჩემთა ცრემლნი ჩემნი ვერათ ოდეს დაეიყუდენ“.

195 თაეს ‘უთხრა: „მოკეე, გიჯობსო სიცოცხლეს აუგიანსა;
მიხვალ, დაგხვდების თინათინ, ანათებს დღესა მზიანსა,
გკითხოს მის ყმისა ამბაეი, რა გმართებს ვაგლახიანსაʼ“
იგონებს წამ-წამ, მიჰყეების ტყის პირსა შამბნარ-წყლიანსა.

196 კელაცა იტყეის: „დათმობა სჯობს“ და თავსაეე ეებნების:
„დღეთა მეტად ნუ მოჰკედები, გული ჩემი ნუ დადნების,
უღმრთოდ ეერას ეერ მოვაწეე, ცრემლი ცუდად მედინების,
განგებასა ეერეინ შესცყლის, არ-საქმნელი არ იქმნების!

197 „ყოელნი არსნი ცათ ქეშეთნი ერთობ სრულიად მომიელიან,
მაგრა საქმე მის კაცისა ეერასადა შემიგიან;
ულონიოდ მართალ იყენეს, რომელთაცა ქაჯად თქეიან.
აწ ტირილი არას მარგებს, ცუდად ცრემლნი რასა მდიან“!

198 მთით ჩამოვიდა აეთანდილ, გაელნა წყალნი და ტყენია,
მინდორს აცორეებს ტაიჭსა, შეეღრენით მონაწყენია.
გასცუდებოდეს მკლავნი და მისნი სიამაყენია,
ბროლისა ეელსა სტრუფობდეს გიშრისა მუნ საყენია.

199 მობრუნეება დააპირა, სულთქენა, მერმე იეაგლახა,
მას მინდორსა დაემართა, ეზა თეალითა გამოსახა;
თეესა ერთსა სულიერი კაცი არსად არ ენახა,
მხეცნი იყვნეს საʼშინელნი, მაგრა არა შეუზახა.

200 თუცა მსეც-ქმნილი აეთანდილ გულ-ამოსკვნით და კენესით-ა,
ეგრეცა ჭამა მოუნდის, ადამის ტომთა წესითა.
ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავე-უგრძესითა,
შამბისა პირსა გარდახდა, ცეცხლი დააგზო კვესითა.

201 ცხენსა მისცა საძოეარი, ვირე მწვადნი შეიწოდეს:
ექესნი რამე ცხენოსანნი, ნახა, მისკე მოეიდოდეს;
თქვა: „თუ ჰგეანან მეკობრეთა, თეარა კარგი რამც იცოდეს!
აქა კაცი ხორციელი კვლა ყოფილა არაოდეს“.

202 ხელთა ჰქონდა ისარ-მშეილდი, მათკე მიეა მხიარული,
ორთა კაცთა წეროსანთა ყმა მოჰყვანდა უწეერული.

თაყსა იყო დაკოდილი, შეებნიდა სისხლსა გული,
ტიროდეს და იჭირეოდეს, ცოტა ედგა მას, გლახ, სული.

203 უყივლა, თუ: „ძმანო, ვინ ხართ? მეკობრეთა დაგამსგავსენ!“
მათ მიუგეს: „დაგვიწყნარდი, გვი'შველე რა, ცეცხლნი აესენ.
ვერა გვარგო, მოგვიმტკივნე, ჭირნი ჭირთა მოგვისაესენ,
სატირელნი მოგვიტირენ, ღაწვნი შენცა დაიმხაესენ“.

204 ავთანდილ მიდგა, ეუბნა მათ კაცთა გულ-მდუღარეთა;
მათ უთხრეს მათი ამბაჲი, ტირილით მოუბარეთა:
„ჩვენ ვართო ძმანი სამნიენი, მით ვიდენთ ცრემლთა მწარეთა,
დია გვაქვს ციხე-ქალაქი ხატაეთს არე-მარეთა.

205 „კარგი გვესმა სანადირო, ნადირობას წამოვედით,
გვყვეს ლაშქარნი უთვალავნი, წყლისა პირსა გარდავხედით,
სანადირო მოგვეწონა, თვესა ერთსა არ წავედით,
ვხოცდით მხეცსა უზომოსა მინდორით და მთით და ქედით.

206 „ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით,
მით ერთმანერთსა სამნიენი ჩვენ კიდე დავეცილენით:
„მე უკეთ მოეკალ, მე გჯობო“ სიტყუანი ვავაქილენით,
ვერ გავაჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვითაკილენით.

207 „დღეს აეყარენით ლაშქარნი, სავსენი ირმის ტყავითა,
ვთქვით: „გავაჩინოთ მართალი, ვინ ვსჯობთ თავისა მკლავითა,
თავსა ვეახლნეთ მარტონი, დავდგეთ მართ ოდენ თავითა,
თვით დანახულსა მოჰკლვიდეთ, ნუ ვესვრით დამნახავითა“.

208 „ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნიენი მეაბჯრენია,
ლაშქართა წასვლა ვუბრძანეთ, მით არას მოაზრენია,
მოვინადირეთ მინდორი, ისი ტყენი და ღრენია,
დავხოცეთ მხეცი, ფრინველი, არცა ზე გარდაგეფრენია.

209 „ანაზდად მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირ-გამქუშაჲია,
ზედა ჯდა შაესა ტაიჭსა, – მერანი რამე, შაჲია, –
თავსა და ტანსა ემოსა გარე-თმა ეფხის ტყავია,
ჯერთ მისი მსგაესი შვენება კაცთაგან უნახაჲია.

210 „ეუჭვრიტეთ, მისთა ელვათა შუქნი ძლივ გავიცადენით,
ეთქვით, თუ: „მზეაო ქვეყანად, ნუ ეეუბნებით ცად ენით!“
მისი მოგეინდა შეპყრობა, ეჰკადრეთ და შეეცადენით,
ასრე სულთქმით და ვაებით მით ეართ, ცრემლისა დადენით.

211 „მე უხუცესმან უმცროსთა კაცი დავსთხოვე ქენებით,
ჩემმან შედეგმან ტაიჭი მისი მით აქო ხსენებით,
ამან მართ ოდენ მორევნა გვითხრა, ეუალლეთ ჩვენ ნებით.
მიეჰმართეთ, იგი აგრეეე წყნარად მიეა და შეენებით.

212 „ბროლმან, ლალსა გარეულმან, ვარდნი თხელნი ანატიფნა,
იგი ტკბილნი გონებანი ჩვენთვის მეტად გაამყიფნა;
არ აგვიხენა, არცა დაგვსხნა, ყოლა არად ამოგეკრიფნა,
მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგეამწიფნა!

213 „უმცროსსა ძმასა მიეციით, უფროსნი დაეეზიდენით;
ხელი მოჰკიდა, „დადეგო!“, ესეცა ჰკადრა კიდ ენით;
მან ხრმალსა ხელი არ მიჰყო, ჩვენ ამად დაეერიდენით,
თავსა გარდაჰკრა მათრახი, ენახეთ სისხლისა კი დენით.

214 „მით ერთითა მათრახითა თავი ასრე გარდაჰფრიწა.
ვითა მკედარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა,
მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოაწიწა,
თვალთა წინა წაგვიეიდა ლაღი, კუშტი, ამაყი წა-!

215 „აღარ დაბრუნდა, წაეიდა წყნარად და აუჩქარებლად.
აგერა მიეა, ნახეო, იგი მზეებრ და მთვარებლად“.
შორს უჩვენებდეს ავთანდილს მტირალნი გაუხარებლად,
ოდენ ჩნდა შაეი ტაიჭი მისი მის მზისა მარებლად.

216 აჰა, მიჰხვდა ავთანდილსა ღაწვთა ცრემლით არ-დათოვნა,
რათგან ცუდად არ წაუხდა მას ეზომი გარეთ ყოფნა.
კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, მისი პოვნა,
მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა.

217 უთხრა, თუ: „ძმანო, ვარ ვინმე ღარიბი უადგილოსა,
მე იმა ყმისა საძებრად მოეშორდი საგაზრდილოსა,

აწ თქვენგან მივჰხვდი საქმესა ყოლა არ-საადვილოსა,
ღმერთიმცა ნურას ნუღა იქმს თქვენსა დასაღრეჯილოსა!

218 ვითა მე მკივჰხედი წადილსა, ჩემის გულისა ნებასა,
აგრემცა ღმერთი ნურას იქმს ძმისა თქვენისა ენებასა!"
უჩვენა მისი სადგომი: „მიდითო ნება-ნებასა.
ჩრდილსა გარდასვით, მაშვრალნი მიეცით მოსვენებასა".

219 ესე უთხრა და წავიდა, ცხენი გაქუსლა დეზითა,
ვითა გავაზი გაფრინდა, არ-გაშვებული ხეზითა,
ან მთვარე, მზისა შემყრელი, მზე სინათლითა ზეზითა.
დაიესო ცეცხლი შემწველი მისითა მან მიზეზითა.

220 მიეწურა, იგონებდა, ახლოს შეყრა ვითა აგოს:
„საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს!
ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,
არ-სიწყნარე გონებისა მოიძულეოს, მოიძაგოს.

221 „რათგან ისი არის რადმე უცნობად და ისრე რეტად,
რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად ჭერეტად,
მივეწევი, შევიყრებით ერთმანერთის ცემა-ულეტად.
ანუ მოვჰკლავ, ანუ მომკლავს, დაიმალვის მეტის-მეტად".

222 ავთანდილ იტყვის: „ეზომნი ჭირნიმცა რად ვაცუდენი?
რაცაღა არის, არ არის, თუმცა არ ედგნეს ბუდენი;
სადაცა მივა, მივჰყევები, რაზომმც მოელიდეს ზღუდენი,
მუნაღა ვძებნნე ღონენი ჩემნი არ-დასამრუდენი".

223 წინა-უკანა იარნეს ორნი დღენი და ღამენი,
დღისით და ღამით მაშვრალნი, არ შეჭამადთა მჭამენი,
არსადა ხანნი არ დაყენეს, ერთნი თვალისა წამენი,
მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს, მინდორთა მოსალამენი.

224 დღისით ელეს და საღამო-ჟამ გამოუჩნდეს დიდნი კლდენი,
კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს, ძირსა წყალი ჩანადენი,
წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რასდენი,
ხე დიდრონი, თვალ-უწედომი, მაღლა კლდემდის ანაყრდენი.

225 მან ყმანან ქვაბსა მიჰმართა, გაჭლნა წყალნი და კლდენია;
ავთანდილ ცხენსა გარდახდა, მონახნა დიდნი ხენია,
მას ზედა ჭერეტად გავიდა, ძირსა დააბა ცხენია,
მუნით უჭერეტდა, იგი ყმა მიეა ცრემლ-მინაღენია.

226 რა ტყენი გაჭლნა მან ყმამან, მოსილმან ეეფხის ტყავითა,
ქვაბისა კარსა გამოღგა ქალი ჯუბითა შავითა.
ატირდა მაღლად ცრემლითა, ზღვათაცა შესართავითა,
იგი ყმა ცხენსა გარდახდა, ყელსა მოეჭდო მკლავითა.

227 ყმამან უთხრა: „დაო ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩაგეიცვიედეს; ეერღა
მიეპხედი უამიერად, ჩეენ ეისნიცა ცეცხლნი გეწეიდეს“. ესე
თქვა და მკერდსა ხელი იკრნა, ცრემლნი გარდმოსცვივდეს,
ქალი შებნდა, მოეხვია, ერთმანერთსა სისხლით სწეიმდეს.

228 იგი ტეევრი გაეხშირა დანაგლეჯსა მათსა თმასა,
ერთმანერთსა ეხვეოდეს, ყმა ქალსა და ქალი ყმასა;
იზახდიან, მოსთქმიდიან, მოსცემდიან კლდენი ხმასა,
ავთანდილ ჭერეტს გაკვირვებით მათსა ეგრე ქცევა-ზმასა.

229 სული დაიღო მან ქალმან, დათმო გულისა წყლულობა,
ქვაბს შეიყვანა ტაიჭი, მოჰხადა აკაზმულობა,
მას ყმასა შეჰხსნა, შეიღო აბჯრისა წელ-მორტყმულობა;
შინა შევიდეს, მას დღესა გარდახდა გამოსრულობა.

230 ავთანდილს უკვირს: „ამბავი ისი თუ ეცნაო მე რითა?!“
გათენდა, ქალი გამოდგა, მოსილი მითეე ფერითა,
შავსა აუდვა ლაგამი, სწმედდა რიდისა წვერითა.
შეკაზმა, მოაქვს აბჯარი წუნარად, არ რამე ჩხერითა.

231 მის მოყმისა წესი იყო, მეტსა თურე არას ეჯდა.
ქალი ტირის და მკერდსა იცემს, თმისა ტევრსა გაიგლეჯდა;
ერთმანერთსა მოეხვივნეს, აკოცა და ცხენსა შეჯდა;
ასმათ, აგრე დაღრეჯილი, კვლა უფრორე დაიღრეჯდა.

232 ავთანდილ ახლოს კვლა ნახა სახე მისავე კაცისა.
ულვაშ-აშლილი, წვერ-გამო, „ნუთუ მზეაო, – თქვა, – ცისა?“

ეყნოსა სული ალეისა, ქართაგან მონატაცისა;
ასრე უჩს მოკლეა ლომისა, მართ ვითა ლომსა — ვაცისა.

233 მასვე გზასა წამოვიდა, რომე გუშინ შეეარა, შამბი
გაელო, გაეშორა, თავი მინდორს გააგარა; ავთანდილ
სჯერეტს გაკვირვებით, მალვით ხესა მოეფარა,
თქვა, ოუ: „ღმერთმან ესე საქმე მეტად კარგად მომიგვარა.

234 „აწ ამას ჩემთვის ღმრთისაგან სხვა საქმე რა ვამჯობინო?
ქალი შევიპყრა, მის ყმისა ამბავი ვაამბობინო,
ჩემიცა ვუთხრა ყველაი, მართალი გავაბრჭობინო;
მას ყმასა ხრმალი არა ეპკრა, არც მისი დავისობინო“.

ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან

235 ჩამოვიდა, ცხენი ახსნა, მისგან ხესა გამობმული,
ზედა შეჯდა, გაემართა, ქვაბი დაჰხედა კარ-განხმული.
მუნით ქალი გამოიჭრა გულ-მდუღარე, ცრემლ-დასხმული,
ეგონა, თუ „დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ-ბაკმული“.

236 ვერ იცნა, — სახე არ ჰგვანდა მისი მის ყმისა სახესა, —
ფიცხლა გაიქცა, მიჰმართა ზახილით კლდესა და ხესა;
ყმა გარდაიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა;
ხმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერო-სახესა.

237 მას ყმასა თავი არ მისცა, ჭვრეტადცა ებილწებოდა,
ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე მი და მო ძრწებოდა.
ტარიელს ვისმე უზახდა მწედ, თუცა არ ემწებოდა,
ავთანდილ მუხლთა უყრიდა, თითითა ეხვეწებოდა.

238 ეტყოდა: „სულე! რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი,
უფერო-ქმნილნი მინახეან ვარდნი და ისი იანი,
მისი რა მითხარ, ვინ არის ტან-სარო, პირ-ბაკმიანი?
სხვად არას გიზამ, ნუ გეშის, ნუ ჰყიევი აგრე ხმიანი!“

239 ქალი ეტყოდა ტირილით, სარჩელი უგაეს ბრჭობასა:
„თუ არ შმაგი ხარ, დამეხსენ; შმაგი ხარ, მოდი ცნობასა!

აწ მეტად ძნელსა საქმესა მნურევ ადვილად თხრობასა;
ცუდად ნუ სცთები, ნუ ელი მაგა ამბისა მბობასაჲ“

240 კელა ეტყვის: „ყმაო, რა გინდა, ანუ მენუე მე რასა?
მაგა საქმესა ვერა იქმს ვერცა კალამი წერასა.
შენ ერთხელ იტყვი, „მითხარო“, მე ასჯერ გითხრობ „ვერასა“,
ვითა სიცილი ტირილსა, მიჯობს ვაგლახი მღერასა“.

241 „ქალო, არ იცი, სით მოვალ, რა ჭირნი მომითმენიან,
ოდითგან ვეძებ ამბავთა, ესე არვისგან მსმენიან;
შენ მიპოვნიხარ, სიტყვანი ჩემნი რაზომცა გწყენიანან.
ვერ დაგეხსნები, მიამბე, ჩემგან ნუღარა გრცხვენიან!“

242 ქალმან უთხრა: „რას შეგესწარ, მე ვინ ვარო ანუ შენო?
მზე არ მახლავს, შეგეტყების, თრთვილო, ასრე მით მაწყენო!
გრძელი სიტყვა საწყინოა, ასრე მოკლედ მოგახსენო:
ვერასათვის ვერ გიამბობ, რაცა გინდა, იგი ქმენო!“

243 კელაცა ჰკითხა ზენარობით, მიუყარნა მუხლნი წინა,
მაგრა ვერა ვერ დაჰყარა, მუდარობა მოეწყინა.
პირსა ზედა გაგულისდა, თვალთა სისხლი მოიდინა,
ადგა, თმათა წამოზიდნა, ყელსა დანა დააბრჯინა.

244 ეგრე უთხრა: „მე ეზომი ჯაერი ვითა შეგარჩინო?
რაგვარა თუ ამატირო, ცრემლი ცუდად დამადინო?
გიჯობს, მითხრა, ამის მეტი მართ აღარა არ გაწყინო.
თვარა, ღმერთმან მტერი ჩემი მოკლას, ვითა მოგაკედინო!“

245 ქალმან უთხრა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი:
თუ არ მომკლავ, არ მოეკედები, მრთელი ვარ და მოუკედავი.
რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ჭირთა უნახავი?
კელა თუ მომკლა, სასაუბროდ აღარ მედგას ზედა თავი“.

246 კელა ეტყვის: „ყმაო, რად მპოვე, ვის მეუბნები მე, ვინო?
ეგე ამბავი ცოცხალსა ენითა ვერ მათქმევინო!
მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკვლევინო,
ვითა უსტარი ბედითი ადვილად დაგახვევინო.

247 „ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატიჟად ნურად გგონია,
მით რომე დამხსნი ტირილსა, შემშრების ცრემლთა ფონია;
ჩალად მიჩს ყოველი სოფელი, მისთვისვე შემიწონია.
ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტყვანი მისანდონია?“

248 ყმამან თქვა, თუ: „არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა,
სხვასა რასმე მოგონება სჯობს, საქმისა გამორჩევა“.
გაუშვა და ცალკე დაჯდა, ტირს, დაიწყო ცრემლთა ფრქვევა,
ქალსა უთხრა: „გაგარისხე, აწ, არ ვიცი, ვით დავრჩე, ვა!“

249 ქალი დაუჯდა კუშტ-გვარად, ქუშობს, ჯერთ არ დამტკბარია;
ავთანდილ ქვე ზის ტირილად, აღარას მოუბარია:
ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია.
კვლა იქით ქალი ატირდა, მისთვის გულ-ნალმობარია.

250 ყმა მტირალი შეებრალა, ამად ცრემლნი ცხელნი ღვარნა,
მაგრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა;
ყმამან ცნა, თუ: „გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყნარნა“.
ცრემლ-დენილი შეეხვეწა, ადგა, მუხლნი მიუყარნა.

251 უთხრა: „ვიცი, აღარ ვარგხარ შენ აწ ჩემად დასადობლად,
გაგარისხე, დარჩომილვარ ღარიბად და ამად ობლად;
აწ ეგრეცა თავი ჩემი დამიც შენთვის დასანდობლად,
ამად რომე შეცოდება შეიდ-გზის თქმულა შესანდობლად.

252 „თავი ჩემი სამსახურად თუცა ავად მოგაწონე,
მიჯნურისა შებრალება ხამს, ესეცა გაიგონე;
სხვაგნით ყოელგნით ულონო ვარ, არვინ არის ჩემი ღონე;
სულთა მოგცემ გულისათვის, სხვა მეტიმცა რა გაქონე!“

253 რა ქალსა მიჰხედა ყმისაგან მიჯნურობისა სმინება, გულ-
ამოხვინჩვით დაიწყო ას-კეცად ცრემლთა დინება, კვლა
გაამაღლა ზახილით ტირილი, არ-გაცინება. ავთანდილს
ღმერთმან წადილი მისცა, გულისა ლხინება.

254 იტყვის, თუ: „ამა სიტყვითა მას ფერი შეეცვალების,
ვისთვისმე ცხელი უცილოდ მას ცრემლი ემალმალების“.

ქელა უთხრა: „დაო, მიჯნურო მტერთაცა შეებრალების:
ესეცა იცი, სიკვდილსა თეით ეძებს, არ ეკრძალების.

255 „ვარ მიჯნური, ხელი ვინმე, გაუძლებლად სულთა დგმისად;
ჩემმან მზემან გამომგზავნა საძებრად იმა ყმისად;
ღრუბელიცა ვერ მიჰხვდების, მე მისრულვარ სადა, მი-, სად!
გული თქვენი მიპოვნია, მისი შენად, შენი მისად.

256 „მისი სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოვხატე,
მისთვის ხელმან, გამოჭრილმან ლხინი ჩემი ეაალქატე.
ორისაგან ერთი მიყავ: ტყვე-მქმენ ანუ მააზატე,
ან მაცოცხლე, ანუ მომკალ, ჭირი ჭირსა მომიმატე“.

257 ქალმან უთხრა ყმასა სიტყვა პირველისა უამესი:
„ეგე სიტყვა მოიგონე დია რამე უკეთესი.
წელან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა შთამოსთესი,
აწ მოყვარე გიპოვნიავარ, დისაგანცა უფრო დესი.

258 „მაშა რათგან მიჯნურობა შენად ღონედ მოიგონე,
არ ეგების, ამას იქით თუმცა თავი არ გამონე,
არ შენ მოგეც თავი ჩემი, დაგაბნიე, დაგაღონე;
შენთვის მოეკვდე, ამისებრი მემცა საქმე რა ვიღონე!

259 „აწ რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა დამმორჩილდები,
რასაცა ეძებ, მიჰხვდები უცილოდ, არ ასცილდები;
თუ არ მომისმენ, ვერ პპოვებ, რაზომცა ცრემლსა პმილდები,
მოგხვდების მდურება სოფლისა, მოჰკვდები, გა-ცა-სწბილდები“.

260 ყმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას პგავსო, არა სხვასა:
ორნი კაცნი მოვიდოდეს სადაურნი სადმე გზასა,
უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა,
ზედა მიდგა, ჩაჰყიოდა, ტირს, იზახის ვაგლახ-ვასა.

261 „ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე,
წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე“;
მას ქვეშეთსა გაეცინნეს, გაუკვირდა მეტად კიდე,
შემოჰყიელა: „არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე?“

262 „აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა,
სხვად უღონოა უშენოდ ჩემი აპყრობა ხელისა;
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა,
თვარა ვისმც ექმნა გვარლითა შეკრვა თავისა მრთელისა!“

263 ქალმან უთხრა: „მომეწონა, ყმაო, შენი ნაუბარი.
ხარ უცილოდ კარგი ვინმე, მოყმე, ბრძენთა საქებარი;
ხარ ვინათგან აქანამდის მაგა ჭირთა დამთმობარი,
რაცა გითხრა, მომისმინე, გიპოვნია საძებარი.

264 „იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვნების,
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიხსოვნების,
მოილოდინე, მოვიდეს, რაზომცა დაგეყოვნების,
დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების.

265 „გითხრა, თუ ცოდნა გწადიან ჩვენისა შენ სახელისა;
ტარიელ არის სახელი იმა მოყმისა ხელისა;
მე ასმათ მქვიან, რომელსა წვა მაქვს ცეცლისა ცხელისა,
სულთქმა სულთქმისა ბევრისა, მაშა თუ არ ერთხელისა.

266 „ამის მეტსა ვერას გითხრობ მე სიტყვასა ამისთანსა;
ისი მინდორს არონინებს ტანსა მჭვერსა, მემაჯანსა,
ეჭამ, გლახ, მარტო ნადირისა მისგან ხორცსა მონატანსა,
აწვე მოვა, არა ვიცი, თუ დაჰყოვნის დიდსა ხანსა.

267 „ამას გვედრებ, მოიცადო, თავი სხვაგან არსად არო;
რა მოვიდეს, შევეხვეწო, ნუთუ ვით რა მოვაგვარო;
ერთმანერთსა შეგამეცნე, თავი შენი შევაყვარო,
თვით გიამბოს საქმე მისი, საყვარელსა გაახარო“.

268 ქალსა ყმამან მოუსმინა, დაჰმორჩილდა, დაჰრთო ნება.
ამას ზედან მოიხედნეს, ხვეით ესმა ჩხაპუნება;
მთვარე წყალსა გამოსრული ნახეს, შუქთა მოვანება.
უკურიდნეს, აღარა ქმნეს მუნ ხანისა დაყოვნება.

269 ქალმან უთხრა: „ყმაო, ღმერთმან მოგცა ჟამად, რაცა გინა,
მაგრა თაეი უჩინო ქმენ, დამალული იყავ შინა;

იმა ყმისა მეუნებლე ხორციელი არაეინ-ა;
ნუთუ ეით რა მოეაგეარო, შენი ნახვა არ ეწყინა“.

270 აეთანდიელ ქვაბსა დამალა ქალმან მალეითა მალითა.
იგი ყმა ცხენსა გარდახდა, შეენოდა კაპარჭ-ხრმალითა;
ატირდეს მაღლად ცრემლითა, ზღეათაცა შესამალითა,
აეთანდიელ სარკმლით უჭერეტდა ჭვრეტითა იდუმალითა.

271 ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან.
დიდხანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან;
შეჰხსნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან;
დადუმდეს, ცრემლნი მოჰკეეთნა შაემან გიშრისა დანამან.

272 აეთანდიელ სარკმლით უჭვრეტდა, ტყვე, საკნით ნააზატები.
მან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყაეისა ნატები;
მას ზედა დაჯდა იგი ყმა, სულთქვამს ჭირ-მონამატები,
სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატები.

273 მან ქალმან ხელ-ყო კვესითა გზებად ცეცხლისა ნელისა,
ეგონა ჭამა ხორცისა შემწერისა, შეუქნელისა;
მიუპყრა, ერთი ახლიჩა, ქმნაა საქმისა ძნელისა,
ძალა არ ჰქონდა, დაუწყო გამოყრა უცოხნელისა.

274 ცოტად მიწვა, მიიძინა, თუცა ყოლა ვერა მეტი,
შეკრთა, დიდნი დაიზახნა, წამოიჭრა ეითა რეტი,
იზახდის და წამ-წამ იკრის გულსა ლოდი, თავსა კეტი.
ცალ-კერძ ზის და პირსა იხოკს ქალი მისი შენამჭერეტი.

275 „რად დაჰბრუნდი? – მოახსენა, – მითხარ, რაცა წაგეკიდა!“
მან უბრძანა: „მონადირე მეფე ვინმე გარდმეკიდა.
ჰყვეს ლაშქარნი უთვალავნი, ბარგი მძიმედ აეკიდა,
იგი მინდორს ნადირობდა, დაეფანჩა მარეკი, და-.

276 „სევდად მეცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიალე,
არ მიუვე ახლოს შეყრად, თავი ჩემი შევიწყალე.
მათგან მკრთალი შემოებრუნდი, ტყესა შიგან დავიმალე“.
ეთქვი: „ნუთუმცა უკუმრიდა, რა გათენდეს, წავალ ხვალე“.

277 ქალსა ცრემლი გარდმოსცვივდა ას-ნაკეცი, ბეერის-ბეერად:
მოახსენა: „მხეცთა თანა იარები მარტო ტევრად,
არას კაცსა არ იახლებ, საუბრად და შემაქცევრად,
მას მაგითა ვერას არგებ, დღეთა შენთა ცუდად ლევ რად?

278 „ყოველი პირი ქვეყანისა ერთობ სრულად მოგიყლია,
ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგჭერია?
გეახლოს და არ გაჰშმაგდე, თუცა ჭირი არ გაკლია;
შენ მოჰკედე და იგი წახდეს, ესე შენთვის რა მადლია?“

279 უბრძანა: „დაო, ეგეა მსგავსი შენისა გულისა.
მაგრა არ არის ქვეყანად წამალი ამა წყლულისა!
ვის ძალ-უც პოვნა კაცისა, თვით სოფლად არ-მოსრულისა?
ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა.

280 „ღმერთმან სხვამცა ეტლსა ჩემსა რაცა კაცი რად დაჰბადა.
სიახლე და საუბარი თუმცა მისი მე მეწადა!
ვინმცა გასძლენა ჭირნი ჩემნი ანუ ვინმცა შეეცადა?
შენგან კიდე ხორციელი, დაო, მიყის არასადა!

281 ქალმან ჰკადრა: „არ გამიწყრე, ეიშიშვი და ვიავ, დია:
რათგან ღმერთსა ვაზირობა შენი ჩემზედ მოუგდია,
ყერ დავმალავ, უკეთესი რაცა საქმე გამიცდია,
არა ვარგა უსაზომო, თავი ზომსა გარდგიხდია“.

282 „მისი მძებნელი იყომცა ჭკუითა მეტის-მეტითა;
შენ კაცთა ნაცვლად ნადირთა ახლავ გულითა რეტითა;
სჯობს, ერთი კაცი იახლო, ილხენდე მისით ჭვრეტითა,
ვით იადონი არ მოჰკედე ბულბულოს თესლთა კენეტითა“.

283 ყმამან უთხრა: „რას მენუკვი, არა ვიცი, გამიცხადე,
კაცი ჩემად სამსახურად ულმრთოდ, მემცა ვით დავბადე!
ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ეცადე?!
განაღამცა გავნადირდი, თავი ასრე გავიხადე“.

284 ქალმან კვლა ჰკადრა: „გაგსაჯე მეტითა შეგონებითა,
მაგრა თუ კაცი მოგეყვარო, მოგყევეს თავისა ნებითა,

იგი გეახლის, ილხენდე მისითა შემეცნებითა,
ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო არ-საენებლისა ენებითა“.

285 ყმამან უთხრა: „თუ მირჩენებ, ენახავ, ღიდად გაგიხარებ,
სიყვარულმან მისმან, ყისთვის ხელი მინდორს თაესა ვარებ,
არას ეუსამ უგემურსა, არათ ოდეს გაეამწარებ;
რაცა ჩემგან ეამების, ვაამებ და შეეიყვარებ“.

შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა

286 ქალი ადგა და წავიდა მის ყმისა მოსაყვანებლად;
„არ ეწყინაო“, უამბობს, არს მისად მაგულვანებლად,
ხელი მოჰკიდა, მოჰყვანდა, ვით მთვარე მოსავანებლად;
იგი რა ნახა ტარიელ, თქვა მზისა დასაგვანებლად.

287 გამოეგება ტარიელ, ჰმართებს ორთავე მზე დარად,
ანუ ცით მთვარე ულრუბლოთ შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად,
რომე მათთანა ალეისა ხეცა ვარგიყო ხედ არად,
ჰგვანდეს შეიდთავე მნათობთა, სხვადმცა რისად ეთქვი მე და რად!

288 მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაშრიდეს,
ვარდსა ხლეჩდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჭვირდეს,
ყელი ყელსა გარდააჭდეს, ერთმანერთსა აუტირდეს,
ქარქად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს.



ავთანდილისა და ტარიელის შეყრა.
სერგო ქობულაძის ილუსტრაცია.

289 მობრუნდეს, ყმამან ავთანდილს ხელი შეუპყრა ხელითა,
ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხან ცრემლითა ცხელითა.
ასმათი სულსა უღებდა სიტყვითა საკვირველითა:
„თავთა ნუ დაჰხოცთ, ნუ ბნელ-იქმთ მზესა თქვენითა ბნელითა“.

290 ტარიელის ეარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული,
ყმასა უთხრა: „მესწრაფების, მითხარ შენი დაფარული,
ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური სად მოსრული?
მე სიკვდილსა აღარ ვახსოვ, ვარ მისგანცა განწირული“.

291 ავთანდილ გასცა პასუხი, სიტყვები ლამაზებია:
„ლომო და გმირო ტარიელ, ვის თავი გინაზებია, მე ვარ
არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია, მიჯნურობითა
დამწვარ ვარ, ცეცხლი უშრეტი მგზებია.

292 „მე პატრონისა ჩემისა ასული შემყვარებია;
თვით მეფედ მათად მას ხედვენ მონები მკლავ-მაგრებია.
თუცა არ მიცნობ, გინახავ, თუ ვითა გიაზრებია,
გახსოვსცა, ოდეს დაჰხოცე მონები არ-საპყრებია?

293 „შენ მინდორს გნახეთ გაჭრილი, ჩვენ ზედა გარდგეკიდენით,
პატრონი ჩემი გაგიწყრა, ჩვენ ხაფად წაგეკიდენით,
გიხმეთ, არ მოხვე, ლაშქარნი უკანა გამოგკიდენით,
შენ ველად წითლად შეჰღებენ სრულად სისხლისა კი დენით.

294 „ყველაკასა მათრახითა თავი უხრმლოდ გარდაჰკეეთეთ,
მეფე შეჯდა, დაგეეკარგე, კვალი შენი ვერ მოეკეეთეთ,
ვითა ქაჯი დაგევმალე, მონებიცა დავაფეთეთ,
ამან უფრო დაგვაშმაგნა, თავი სრულად გავაშეთეთ.

295 „ჭმუნვა შეექმნა, თქვენ იცით, ხელმწიფე ნებიერია,
მოგნახეს, გძებნეს ყოველგან, მათ რუკა დაუწერია,
ვერ ნახეს შენი მნახავი ვერცა ყმა, ვერცა ბერია;
აწ გამომგზავნა, რომელსა ვერ მზე ჰგავს, ვერ ეთერია.

296 „მიბრძანა: „მიცან ამბავი მის ყმისა წახდომილისა,
მა'მინ ვარ მქმნელნი საქმისა მის, შენგან მონდომილისა“.

სამ წლამდის მითხრა დადენა უმისოდ ცრემლთა მილისა,
არ გიკვირს, გაეძელ ვერ-ჭვრეტა მისისა მე ღიმილისა?!

297 „აქანამდის მნახავიცა კაცი შენი არ მენახა;
ქურდნი ვნახენ, რომე თქვენთვის სიტყვა რამე გაემკვახა;
მათრახითა ჩამოგეგდო ერთი, მკვდართა დაგესახა;
მათ მასწავლეს, ძმა რომელთა სულ-მობრძაეი სამე, გლახ, ა“.

298 ტარიელსცა აეხსენა ომი მათი მაშინდელი,
იტყვის: „მახსოვს ეგე საქმე, თუცა არის ადრინდელი;
ერთგან განახენ ნადირობას შენ და შენი მე გამზრდელი;
მით ეტიროდი, მომეგონა მე, გლახ, ჩემი წამწყმედელი.

299 „რას მაქნევდით, რად გინდოდი, ერთმანერთსა რათა ეჰგვანდით?
თქვენ მორჭმულნი სთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ღაწვთა ებანდით.
რა მონანი შესაყრობლად მომწიენით, გაეგულვანდით.
აწ ეეჭვე, რომე ჩემად ნაცვლად თანა მკვდართა მიიტანდით.

300 „მოეიხედენ, მომეწია რა პატრონი შენი, ენახე,
ხელმწიფობით შემებრალნეს, ამად ხელი არ შევახე,
თვალთა წინა გამოვექეც, მეტი არა შევუზრახე,
ჩემი ცხენი უჩინოს ჰგავს, სხვასამცა რას დავასახე!

301 „კაცმან ვერ ასწრას თვალისა დაფახვა, დაწამწამება,
მას გაეექცევი, ვისგანცა ჩემი არას ეცნა ამება;
მათ ქურდთა მიღმა გამეგო მე არას არ შეწამება,
ავად ჰშენოდა მორევნა და ჩემი დათამამება.

302 „აწ ეაშად მოხვე, მეამა ნახვა შენისა პირისა,
ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა,
მაგრა გარჯილხარ, არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა:
ძნელია პოვნა კაცისა ღმრთივ ზეცით განაწირისა!“

303 აეთანდილ უთხრა: „ვით მაქებ საქები ბრძენთა ენისა?
მაგისად ნაცვლად რამც ვიყავ ღირსი ქებისა თქვენისა!
სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა,
რათგან ვერ შეგცვლის პატიჟი ეგზომთა ცრემლთა დენისა.

304 „ამა დღემან დამაყოწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა;
დამიგდია სამსახური, იგი იქმნას, რაცა გინდა;
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა,
შენ გეახლო სიკედილამდის, ამის მეტი არა მინდა!“

305 ტარიელ უთხრა: „მე შენი გული აწ მემხურვალების;
მიკვირს, თუ ნაცვლად მაგისად შენ ჩემი რა გევალების!
მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალების,
შენ საყვარელსა გაგყარო, ესე რათ გენაცვალების?

306 „წამოსრულხარ ჩემად ძებნად, პატრონისა სამსახურად;
ღმერთმან ქმნა და გიპოვნიეარ, შენცა ცდილხარ მამაცურად.
მაგრა ჩემსა რა გიამბობს, გამოჭრილ ვარ ასრე თუ რად!
მე თუ ვიტყვი, დამწვავს ცეცხლი ცხელი, შემიქმს ალად, მურად“.

307 ასმათ უთხრა: „ლომო, ცრემლით მაგა ცეცხლთა რა ერგების?!
მე ვითა ვთქვა წვეება თქმისა, რათგან ეგრე არ ეგების!
ვხედავ, ესე ხელი ვინმე მოყმე შენთვის წაეგების,
ცნას მიზეზი შენთა წყლულთა, ქმნას, რა ღონე აეგების.

308 „მეხვეწებოდა, ლამოდა ჩემგან რასამე სმენასა;
ნუ უყოს ღმერთმან! გაძლება მემცა ვით მიეც ენასა?!
თუ რას სცნობს, ვეჭვობ ამისგან თქვენსა რასამე ლხენასა.
არს უკეთესი, რაცაღა სწადს განგებასა ზენასა“.

309 ამას დაყმუნდა ტარიელ, დამწვარი, დააყლებული;
ასმათს უბრძანა: „მას აქათ შენ ხარ ჩემთანა ხლებული;
რად არა იცი, უწამლო არს ლები ესე ლებული!
კელა ესე ყმა მწვავს მტირალი, ცრემლითა დაეალებული.

310 „მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით ცნობითა ერთით მზითა
ორი მისი მოწყალება დღესცა მომცა ამა გზითა:
პირველ, შეპყრის მოყვარულთა ჩემით რათმე მიზეზითა,
კელა, ნუთუმცა სრულად დამწვა ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა“.

311 ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს თუ დაცა იდოს,
ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს;

ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!
შენ ისმენდი, მე გიამბობ, რაცა გინდა წამეკიდოს“.

312 ასმათს უთხრა: „მოდი, მოჯე, თანა წყალი მოიტანე,
დაბნედილსა მაპკურებდი, გული მითა გარდამბანე;
მკვდარი მნახო, დამიტირე, სულთქმა გაათანისთანე,
მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე“.

313 ღილ-ჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა;
ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხან შუქნი არ ადარნა;
ვერ გაახვნა სასაუბროდ მან ბაგენი, გაამყარნა,
მერმე სულთქვნა, დაიზახნა, ცრემლნი ცხელნი გარდმოყარნა.

314 მოსთქვამს: „ჰაი, საყვარელო, ჩემო, ჩემთვის დაკარგულო,
იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო,
ვინ მოგკვეთა, არა ვიცი. ხეო, ედემს დანერგულო!
ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო, ასჯერ დადაგულო?!“

ფიქრი და დისკუსია

გაიაზრეთ

1. რა მიზანს ემსახურება ავთანდილის მოგზაურობა?

2. რისი იმედი ასაზრდოებს ავთანდილს ამ ძნელად სავალ გზაზე? (პასუხი დაასაბუთეთ ციტატით). მოიძიეთ ერთი და იმავე აზრის სხვადასხვაგვარად გამოხატვის რუსთველური მანერა. რას ემსახურება იგი?

3. რამ ჩააგდო ავთანდილი საგონებელში? რით დაიმშვიდა თავი მან?

4. როგორ ხატავს რუსთაველი სევდისაგან დაუძლურებული ავთანდილის სახე-ხასიათს? მოძებნეთ შესაბამისი ადგილები ტექსტში.

5. როგორ მიაგნო უცხო მოყმის კვალს ავთანდილმა?

6. რა გზებით ცდილობს ქალთან პირისპირ დარჩენილი ავთანდილი მიზნის მიღწევას? როგორ აისრულა საწადელი?

7. როგორ შეახვედრა ასმათმა ტარიელი და ავთანდილი? გადმოეცით მათი შეყრის ეპიზოდი. ასმათის ხასიათის რა თვისება გამოვლინდა ამ მონაკვეთში?

8. როგორ გაახსენა ავთანდილმა ტარიელს თავი?

9. რით ხსნის ტარიელი როსტევანის მონებთან და ხატაელ ძმებთან შეტაკებას? რით იმართლებს თავს? დაასაბუთეთ ტექსტით.

10. როგორ ახასიათებენ მეფეს ავთანდილი და ტარიელი? მოიძიეთ ადგილები ტექსტში.

11. რა გადაწყვეტილება მიიღო ავთანდილმა ტარიელთან შეხვედრის დროს? როგორ ახსნა ტარიელმა ეს?

12. რატომ გადაწყვიტა ტარიელმა, თავისი ამბავი მოეთხრო ავთანდილისთვის?

13. დააკვირდით და გამოთქვით თქვენი თვალსაზრისი, თუ რატომ ტირიან ამ ეპიზოდში ტარიელი და ავთანდილი?

გააანალიზეთ

14. როგორ ახასიათებს თავისივე ფიქრები უცხო მოყმის კვალში ჩამდგარ ავთანდილს?

15. რა თვისებებს ამჟღავნებს ასმათი?

16. იმსჯელეთ, რა ცვლილებები განიცადა ავთანდილის სახე-ხასიათმა? რამ გამოიწვია ეს ცვლილებები? მოიძიეთ სათანადო არგუმენტები ტექსტში.

17. როგორ ექცევა უცხო მოყმე ნაწარმოების პერსონაჟებს? როგორ წარმოაჩენს ეს ქმედება მას?

18. რომელ ეპიზოდს მოგაგონებთ ნასწავლი თაეებიდან ხატაელი ძმებისა და უცხო მოყმის შეხვედრა? რა ამსგავსებს და რა განასხვაეებს ამ ეპიზოდებს ერთმანეთისგან?

19. რამდენად დამაჯერებლად აღწერს პოეტი ორი უცხო ადამიანის შეხვედრას? თქვენი აზრით, რა უდევს საფუძვლად ასეთ უშუალობას?

20. როგორ აფასებს საკუთარ მდგომარეობას ტარიელი? როგორ ახასიათებს ეს მას?

21. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ავთანდილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება: „შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა!“ — ის ხომ სპასპეტია და აქვს გარკვეული მოვალეობები მეფისა და სახელმწიფოს წინაშე! როგორ ახასიათებს ეს ეპიზოდი მას? იმსჯელეთ ამ საკითხზე.

22. ეის შეიძლება გულისხმობდეს ტარიელი სიტყვა „წარმწყმედელში“: „ერთგან გნახენ ნადირობას შენ და შენი მე გამზრდელი, მით ვტიროდი, მომეგონა მე, გლახ, ჩემი წარმწყმედელი“. იმსჯელეთ ამ საკითხზე.

23. შემოთავაზებული ცხრილის მიხედვით შეადარეთ ერთმანეთს ავთანდილი და ტარიელი.

შედარების კრიტერიუმი	ავთანდილი	ტარიელი
გმირის პორტრეტი (გარეგნობა, ჩაცმულობა)		
მიზნები, მისწრაფებები — პიროვნების განმსაზღვრელი მოტივები		
ხასიათის თვისებები; ხასიათის თვისებების შესაფერისი სიტყვები ტექსტიდან		
ურთიერთობა სხვა პერსონაჟებთან		
დამოკიდებულება ღვთისა და საწუთროსადმი		

განაზოგადეთ

24. შეავსეთ რუსთაველის მიერ ნაჩვენები ერთგულების გამოვლენის ფორმები. ამ თვალსაზრისით შეადარეთ „ვეფხისტყაოსნის“ მოცემული ეპიზოდი ჰომეროსის „ოდისეას“. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

„ოდისეა“	„ვეფხისტყაოსანი“

25. იმსჯელეთ ერთგულების გამოვლენის თანამედროვე ფორმებზე.

წერა და სააზროვნო უნარები

წერითი დავალება

სამი წლით სატრფოს დაშორებული არაბეთის სპასპეტი, უდავოა, რომ უამრავ ფათერაკს გადაეყარა, მრავალ დაბრკოლებას გაუძლო. წარმოიდგინეთ, რომ:

ა) თქვენ ხართ ავთანდილი და მისწერეთ წერილი სატრფოს, რომელშიც მოუყვებით თქვენი მოგზაურობის შესახებ;

ბ) თქვენ ხართ თინათინი და მისწერეთ წერილი სატრფოს, რომელშიც საკუთარ განცდებზე ესაუბრებით.

მაყურებლის თეატრი

1. დაწერეთ სცენარი: ავთანდილისა და ასმათის შეხვედრა; მათ შორის საუბარს მიეცით დიალოგის ფორმა; შემდეგ შეარჩიეთ კოსტიუმები და დეკორაცია, გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ.

წარმოსახვა

2. შექმენით გამოქვაბულის ხედის ჩანახატი. მოაწყვეთ „გასეირნება გალერეაში“.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

შაირი

შაირი ქართული კლასიკური ლექსის ძირითადი საზომია. იგი 16-მარცვლოვანია, რაც სტრიქონთა რიტმული ვარიანტების მრავალფეროვნებას განსაზღვრავს. შაირი ორი სახისაა: დაბალი და მაღალი. პირველი უფრო ძველია (ჰიმნოგრაფიაში გეხვდება), ხოლო მეორე ჩახრუხაძის (XII ს.) შემოქმედებიდან იღებს სათავეს. რუსთაველის შაირი 16-მარცვლიანი ოთხტაეპედია გარეგანი რითმით (a a a a). სტროფის საზომად გამოყენებულია ორივე ფორმა და პოემაში მუსიკალური რიტმის გამოკვეთას ემსახურება.

დაბალი შაირის რიტმი შედარებით დინჯი და მდორეა. მაგ.:

„ილოცავს, იტყვის, მაღალო, ღმერთო ჰმელთა და ცათაო...“

ხოლო მაღალი შაირის სტროფი უფრო დინამიკურად, ექსპრესიული რიტმით ჟღერს:

„შეევჯე, წავე, ბაღჩას მივე, ვითა სცნობდე ლხინთა ზომით...“

დაბალი და მაღალი შაირების გამოყენება ტექსტის შინაარსზე აქცენტს აძლიერებს და რიტმული ნაკადის მონაცვლეობით ერთფეროვნების პრობლემას ხსნის.

დავალება

ტექსტში მოიძიეთ ათ-ათი ნიმუში დაბალი და მაღალი შაირებისა, მიუთითეთ, როგორია მათი ტონალობა და რიტმული ნაკადი.

გრამატიკული უნარები

პუნქტუაცია

მძიმე შერწყმულ წინადადებებში

მძიმე დაისმის შერწყმულ წინადადებაში, როცა გვაქვს: რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან, რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან, რამდენიმე დამატება ერთ შემასმენელთან, რამდენიმე განსაზღვრება საზღვრულ წევრებთან, რამდენიმე ერთი და იმავე შინაარსის გარემოება ერთ საერთო წევრთან.

ქვემოწარმოდგენილი პოეტური სტრიქონებიდან გაარკვიეთ, როგორი ხასიათის შერწყმული წინადადებებია ისინი და დაუსვით სასვენი ნიშნები:

1. აეთანდილს ღმერთმან წადილი მისცა გულისა ლხინება
2. თავს უთხრა მოკვდე გიჯობსო სიცოცხლეს აუგიანსა
   მიხვალ დაგხვდების თინათინ ანათებს დღესა მზიანსა
3. თვალთა წინა წაგეიეიდა ლაღი კუშტი ამაყი წა –
4. ქალი ტირს და მკერდსა იცემს თმისა ტევრსა გაიგლეჯდა

5. პასუხობდა მოყმე დინჯად წყნარად არა-მქისედ
6. კელა გაამრავლა ზახილით ტირილი არ-გაცინება
7. ცრემლდენილი შეეხვეწა აღგა მუხლნი მოუყარნა
8. ნასროლ-ნაკრაესა სთვალეიდენ უტყუვრად მიუმცდარებლად
9. მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწედომელი
   ირემი თხა და კანჯარი ქურციკი მაღლად მხტომელი
10. ორისაგან ერთი მიყავ ტყედ მქმენ ანუ მააზატე
    ან მაცოცხლე ანუ მომკალ ჭირი ჭირსა მომიმატე

ორთოგრაფია

თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები ნათესაობით, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში, აგრეთვე — ებ-იან მრავლობითში, იკუმშებიან ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშნის დართვის გამო. ფუძიდან ამოვარდება ე და ო ხმოვნები (ო ზოგჯერ კვალს ტოვებს ე-ს სახით: მინდორი — მინდერის). უნდა შეიკუმშოს — ალ, — ამ, — არ, — ელ, — ემ, — ენ, — ერ, — ოლ, — ომ, — ონ, — ორ მარცვლებზე დაბოლოებული სიტყვები.

დავალება

წარმოდგენილ მაგალითებში ხაზი გაუსვით იმ სიტყვებს, რომელთა მართლწერისას შეცდომაა დაშვებული და შეცვალეთ სწორი ფორმით:

1. შევხედენ, დაჰკრთი ელვასა ღაწვთა მათ მზებრ ნათელისასა.
2. ხმალისა ნატეხი დასვრილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა.
3. სახლად საყოფნი მიმაჩნდეს თხისა და მთათ ირემისანი.
4. ძებნა წამალისა მისისა და ცოდნა ხამს უვიცისა.
5. მას აღარა შეესმოდა, სოფელით გაღმა გაებიჯა.

ტარიელისაგან ხატაეთს წასვლა და დიდი ომი

426 „დილასა შევჯე, ვუბრძანე, „ჰკარით ბუკსა და ნობასა!“
სრულთა სპათასა ვერ გითხრობ არ შესასხდომლად მზობასა.
ლომმან მიჰმართე ხატაეთს, ვერვინ მიზრახავს ხრდლობასა,
უგზოსა ელიდეს ლაშქარნი, არ გაიელიდეს გზობასა.

427 დავაგდე ზღვარი ინდოთა, მეელო პაშტაი ხანია;
რამაზის კაცი მემთხვია, ვინ ხატაეთის ხანია,
მან მითხრა მოციქულობა გულისა მოსაფხანია:
„ჩვენთა მგელთაცა დასჭამენ თქვენნი, ინდოთა თხანია“.

428 „მე შემომძღენეს რამაზისგან ძღენად საჭურჭლე საშინელი,
„გითხრობს, გკადრებს: „ნუ ამოგეწყვედ, არის შენგან არ-საქმნელი,
სენაარი გამოგეიღე, მით გეაბია ყელსა წნელი,
მოურბეელად მოგახსენეთ თავნი, შვილნი, საქონელი.

429 „რაცა შეგცოდეთ, შეგვინდევ, თვით ჩვენვე შეგვინანია;
თუ ღმრთულებრ შეგვიწყალებდეთ, აქა ნუ მოელენ სპანია;
ქვეყანა ჩვენი არ აწყდეს რისხვით არ დაგეტყდნენ ცანია;
შენ მოგცეთ ციხე-ქალაქი, მოგყვენ ცოტანი ყმანია;

430 „გვერდსა დავისხენ ეაზირნი, ვიუბნეთ, გავიზრახენით;
მითხრეს, თუ: „ხარო ყმაწვილი, ბერნი მით გკადრებთ, გლახ, ენით:
არიან მეტად მუხთალნი – ჩვენ ერთხელ კელაცა ენახენით, –
არამცა მოგკლეს ღალატად, არამცა ვიეაგლახენით!

431 „ჩვენ ამას ვარჩევთ, წახვიდე კარგუითა მართ მამაცითა,
ლაშქარნი ახლოს გეკიდნენ, სცნობდე ამბავსა კაცითა;
გულ-მართლად იყვნენ, მიენდევე, აფიცე ღმრთითა და ცითა.
არ დაგმორჩილდენ, შეპრისხდი რისხვითა კელა და კელაცითა“.

432 „მეკეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნავაზირები;
შევსთვალე: „რამაზ მეფეო, ეცან შენი დანაპირები;
სიკედილსა გიჯობს სიცოცხლე, დაგვიდგამს ვერ ქვითკირები;
ლაშქართა დაყრი, ცოტათა წამოვალ, შენ კერძ ვირები“.

433 „მათ ლაშქართაგან სამასნი კარგნი მოყმენი, ქველანი,
თანა წამომყვეს, წა-ცა-ვე, დავყარენ სპანი ყველანი,
დაჰვედრე: „სადა მე მეველოს, ელენით იგივე ველანი,
ახლოს მომდეედით, მიშველეთ, გიხმობ, თუ მინდენ შველანი“.

434 „სამ დღე ვიარე, მემთხვია სხვა კაცი მისვე ხანისა.
კელა ეძღვნა უცხო მრავალი შესამოსელი ტანისა,
ებრძანა: „მწადსო სიახლე შენ ლაღისა და ჯანისა,
რა შეგეყარო, მაშინ სცნა კელა ძღვნობა ამისთანისა“.

435 „კელაცა ეთქვა: „მართალია აზომ ჩემი მონახსენი,
მე თვით წინა მოგეგებვი, მესწრაფების ნახვა შენი“.

მოვახსენე: „დია, ღმერთო, ბრძანება ვქმნა მეცა თქვენი,
ტკბილად ენახოთ ერთმანერთი, ვიყვნეთ ვითა მამა-ძენი!“

436 „მუნით წასრული ჩამოვხე ტევრისა რასმე კიდესა;
კვლა მოციქული მოვიდეს, სალამად არ დამრიდესა;
წინა ტურფათა ტაიჭთა ძღენად ჩემთვის მოზიდვიდესა;
„შენსა ნახვასა მეფენი, – თქვეს, – მართლად ინატრიდესა“.

437 „მითხრეს: „მეფე მოგახსენებს, მეცა შენ კერძ ვიარები,
სახლით ჩემით წამოსრული ხვალე ადრე შეგეყრები“.
მოციქულნი დავაყენენ, ხარგა დავდგი, არ მაზრები,
მეტად ამოდ ვუალერსე, ერთგან დაწვეს ვით მაყრები.

438 „კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურე არ წახდების:
ერთი კაცი უკმო-რე-სწყდა, მოდგა, მალვით მეუბნების:
„დიდი მაცო თქვენი ვალი, ჩემგან ძნელად გარდიხდების,
გაწირვა და დავიწყება ჩემგან თქვენი არ იქმნების.

439 „მე მამისა თქვენისაგან ვარ ცოტაი განაზარდი.
თქვენი მესმა საღალატო, საცნობელად გამოვეარდი;
მკედარი მიმძიმ სანახავად ტანი მჭვერი, პირი ვარდი,
ყველასავე მოგახსენებ, გამიგონე, დამიწყანარდი.

440 „რომე ცუდად არ მოღორდე, ისი კაცნი გღალატობენ,
ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ;
კვლა სხვაგან გითქს სამი ბევრი, ასრე ფიცხლად მით გიხმობენ,
აწვე თავსა არ ეწევი, ფათერაკსა შეგასწრობენ.

441 „მეფე ცოტათა გეგებვის, ვის მჭვრეტნი ვერ გელევიან;
მალვით ჩაიცმენ აბჯარსა, მიენდო, მით გეთნევიან;
კვამლსა შეიქმენ, ლაშქარნი ყოველგნით მოგეხვევიან.
რა ერთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან“.

442 „მას კაცსა ამოდ ვეუბენ და მადლსა გარღვეხდიდია:
„როშე არ მოვკედე, შემოგზღო, შენ ამას ინატრიდია;
აწ ამხანაგთა არ გიგრძნან, წადი, მათთანა ელიდია,
თუ დაგიეწყო, უთუოდ მემცა ვარ განაკიდია!“

443 „არეის გავანდეე სულ-დგმულსა, დაემალე ვითა ჭორია.
რაცა იქმნების, იქმნების, ყოელი თათბირი სწორია!
მაგრა სპათაკე გაეგზაენე კაცი, თუ გზაცა შორია,
შევსთვალე: „ფიცხლად წამოდით, მოგრაგნეთ მთა და გორია“.

444 „მე დილასა მოციქულთა სიტყვა ტკბილი შევუთვალე:
„რამაზს პკადრეთ: მოგეგებვი, მოდი, მოვალ მეცა მალე“.
ნახეარ დღე სხეა ეიარე, ჭირსა თაეი არ ეაკრძალე.
განგებაა, დღესცა მომკლაეს, ქეემცა სადა დაეემალე?!

445 „ქედსა რასმე გარდავადეგ, მინდორს მტეერი დავინახე;
ეთქეი, თუ: „მოვა რამაზ მეფე; ჩემთვის უდგამს თუცა მახე,
ჩემი გაპკეეთს ხორცსა მათსა ხრმალი ბასრი, შუბი ვახე“
მაშინ ეუთხარ სპათა ჩემთა, სახე დიდი დაეუსახე.

446 „ეთქეი, თუ: „ძმანო, ისი კაცნი ჩვენ ღალატსა გვიდგებიან,
მკლაეთა თქვენთა სიმაგრენი ამისთვისმცა რად დალბიან?
ვინცა მოკედეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან.
აწ შეეებნეთ ხატაელთა, ხრმალნი ცუდად რად გეაბიან?“

447 „ეუბრძანე ჩაცმა აბჯრისა ლაღმან სიტყვითა ხაფითა;
დაეეკაზმენით საომრად ჯაჭვითა, ჯაეშან-ქაფითა,
რაზმი დაეწყეე, მიეჰმართე, წავე დიდითა სწრაფითა,
მას დღესა ჩემი მებრძოლი ჩემმანეე ხრმალმან დაფითა.

448 „მიეეახლენით, შეგეატყეეს მათ ტანსა აბჯარ-ცმულობა;
კაცი მოეიდა, მომართეა მეფისა მოციქულობა;
ეთქეა, თუ: „ეამად გეაჩნია ჩეენ თქეენი არ-ორგულობა,
აბჯრითა გხედაეთ, შეგექმნია აწ ამად გულ-ნაკლულობა“.

449 „შევსთვალე, თუ: „მეცა ეიცი, რაცა ჩემთვის გაგიგია;
თქეენ რასაცა სთათბირობდით, არ იქმნების, არ, იგია!
ბრძანეთ, მოდით, შემებენით, ვითა წესი და რიგია,
მეცა თქეენად დასახოცლად ხელი ხრმალსა დამიგია“.

450 „რა მიეიდა მოციქული, კელამცა რადღა გამოგზაენეს!
კეამლი შექმნეს ლაშქართათვის, დამალული გაამჟღაენეს;

სამალაეით გამოვიდეს, თაენი ორგნით აქარავნეს,
შექმნეს რაზმი მრავალ-კეცი, თუცა, ღმეროო, ვერა მაენეს.

451 „შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად;
საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად;
ერთსა წარვსწყდი უტევანსა, წაეგრძელდი და წაეე გრძელად.
მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად.

452 „ახლოს მიეე, შემომხედნეს, „შმაგიაო“, ესე თქეესა.
მუნ მიეჰმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;
კაცს შუბი ეჰკარ, ცხენი დაეეც, მართ ორნივე მიწხდეს მზესა,
შუბი გატყდა, ხელი ჩაეყავ, ვაქებ, ხრმალო, ეინცა გლესა!

453 „შიგან ასრე გაეერიე, გნოლის ჯოგსა ეითა ქორი,
კაცი კაცსა შემოესტყორცნე, ცხენ-კაცისა დაედგი გორი;
კაცი, ჩემგან განატყორცნი, ბრუნაეს ეითა ტანაჯორი,
ერთობ სრულად ამოეწყეიდე წინა კერძო რაზმი ორი.

454 „ერთობილნი მომეხვიენეს, მგრგელიე შეიქმნა ომი დიდი;
ეჰკრი რასაცა, ვერ დამიდგნის, სისხლსა მჩქეფრსა ამოეღერიდი;
ცხენსა კაცი გაკეეთილი მანდიკურად გარდავჰკიდი.
სითცა ვიყვი, გამექციან, მათ შექმნიან ჩემი რიდი.

455 „საღამო-ჟამ დაიზახნა ქედით მათმან დარაჯამან:
„ნუღარა სდგათ, წაედითო, კეღა მოგეხედნა რისხეით ცამან:



ხატაელებთან ბრძოლა.
სერგო ქობულაძის ილუსტრაცია

მოვა მტერი საშინელი, შეგვაშინა ამად ამან,
ნუთუ სრულად ამოგვწყვიდნეს უთვალავმან, ბევრმან სპამან".

456 „ჩემნი ლაშქარნი, რომელნი წამომეტანნეს მე არა,
რა ეცნა, წამოსრულიყვნენ ღამე-წამორთვით ეარა;
ვერ დაიტევდა მინდორი და არე მთათა ეარა,
გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლაკსა, ბუკმან ხმა გააზეარა.

457 „იგი ნახეს, გასაქცევად გაემართნეს, შეეპყოელნით;
ველნი, ჩვენგან ნაომარნი, ომითაეე გარდაეველნით.
რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთისა გაევრხმლენით,
მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოეკლენით.

458 „უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს მათ გაქცეულთა,
დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა შეშინებულთა, ძლეულთა;
ძილისა მიჰხედა ნაცვალი ძილ-მკრთალთა, ღამე-თეულთა,
ტყეთა მრთელთაცა არ აკლდა კენესა, მართ ყითა სნეულთა.

459 „მას ადგილსა ნაომარსა გარდაეხედით მოსვენებად,
ხელი ხრმლითა დაევეკოდე, წყლულად მაჩნდა არ ნაღებად.
ჩემნი სპანი მოვიდიან საჭერეტლად და ჩემად ქებად,
ვერ იტყვიან, ვერ მიმხედარან ქებასაცა მოხსენებად.

460 „ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს;
ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს;
რომელთაცა გაევზარდე, დიდებულნი ამიტირდეს,
ჩემგან ხრმლითა განაკვეთნი ნახნეს, მეტად გაუკვირდეს.

461 „გავგზაენენ ყოვლგან ლაშქარნი, ალაფი ავაღებინე,
ერთობ საესენი მოვიდეს, თავიცა ვალაღებინე,
სისხლთა მებრძოლთა ჩემთასა მინდორი შევაღებინე,
არ ვჰბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გაეაღებინე.

462 „რამაზს ვარქვი: „შემიგნია საქმე შენი სამუხთალე, აწ
ეგრეცა შეპყრობილმან თავი გამოიმართალე,
სიმაგრეთა ნუ ამაგრებ, ყველა ხელთა მომათვალე,
თვარა შენი შეცოდება მემცა ზედა რად წაესთვალე?"

463 „რამაზ მითხრა: „აღარ არის ამის მეტი ჩემი ღონე,
ერთი ჩემი დიდებული მომეც, ზედა მაჰატრონე,
ციხოვანთა გაეუგზავნო, საუბარი გამიგონე,
ხელთა მოგცემ ყეელაკასა, განაღამცა შენ გაქონე!“

464 „მიეც ერთი დიდებული, თანა სპანი წავატანენ,
ციხოვანნი ერთობილნი ჩემს წინაშე მოყიყვანენ,
ხელთა მომცეს სიმაგრენი, ომნი ასრე შევანანენ,
საჭურჭლენი სიმრაელითა რასმცა ვითა დავაგეანენ!

465 „მაშინღა შევე ხატაეთს მოვლად და მოსათვალავად;
კლიტენი საჭურჭლეთანი მომართვენეს დაუმალავად;
ქეყანა ჩავსხი, ვუბრძანე: „იყვენით თქვენ უკრძალავად,
მზემან არ დაგწვენ, იცოდით, დაგყარენ გაუგვალავად“.

466 „საჭურჭლენი გარდაყნახენ თავის-თაეის, კიდის-კიდე,
უცხო ფერთა საჭურჭლეთა, დავ'შერები, თუ მოვსთვალვიდე;
ერთგან ენახენ საკვირველი ყაბაჩა და ერთი რიდე,
თუმცა ჰნახენ, სახელისა ცოდნასაცა ინატრიდე!

467 „ვერა შევიგენ, რა იყო ანუ ნაქმარი რაულად!
ვისცა ეუწვენი, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად;
არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არც ორხაულად;
სიმტკიცე ჰგვანდა ნაჭედსა, ეთქვი ცეცხლთა შენართაულად.

468 „იგი საძღენოდ მისად დავსხენ, ვისი შუქი მანათობდა;
მეფისათვის დავარჩივე, საარმაღნოდ რაცა სჯობდა:
ჯორ-აქლემი ათჯერ ასი, — ყველაკაი წვივ-მაგრობდა, —
დატვირთული გაეუგზავნე, ამბავსაცა კარგსა სცნობდა“.

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. რა სტრატეგიას მიმართა რამაზ მეფემ?

2. როგორ მოიქცა ტარიელი?

3. როგორ დაუფასდა ტარიელის მამას, სარიდანს, ერთ-ერთ ხატაელზე გაწეული ამაგი?

4. როგორ შეიცვალა ტარიელის სტრატეგიული გეგმები?

5. რა მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლის წინ ტარიელის მიერ ინდოელ მეომართა წინაშე წარმოთქმულ სიტყვას?

6. აღწერეთ ხატაელებთან შეტაკება, როგორ იბრძვის ტარიელი? (მოიხმეთ ციტატები ტექსტიდან).

7. როგორ მოიქცა გამარჯვებული ტარიელი?

8. რა შეარჩია სატრფოსთვის მან?

გააანალიზეთ

9. იმსჯელეთ, რამდენად მისაღებია თქვენთვის რამაზ მეფის ბრძოლის ხერხები და მეთოდები.

10. რა არის ტარიელის საბრძოლო ტაქტიკაში მისაღები და რა – მიუღებელი?

11. გამარჯვებული ტარიელი რამაზ მეფეს შეუთვლის: „...შემიგნია საქმე შენი სამუხთალე, აწ ეგრეცა შეპყრობილმან თავი გამოიმართალე". თქვენი აზრით, რით შეიძლება გამოისყიდოს დანაშაული („თავი გამოიმართალოს") რამაზ მეფემ?

განაზოგადეთ

12. ამართლებთ თუ არა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად ნებისმიერი ხერხის გამოყენებას? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

13. იმსჯელეთ ომების მისაღებ თუ მიუღებელ მხარეებზე.

წერითი დავალება

თემად აირჩიეთ რომელიმე კონფლიქტი და თანაკლასელებს შესთავაზეთ მისი მოგვარების თუნდაც ერთი გზა. თქვენი მოსაზრება წერილობით ჩამოაყალიბეთ და ისე გააცანით მეგობრებს.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი
ალიტერაცია

როგორც ვიცით, ალიტერაცია პოეტური გამოსახვის ხერხია, რომლის გამოყენებითაც ლექსს ემატება მუსიკალურობა,რაც მკითხველზე ემოციურ ზეგავლენას აძლიერებს. ალიტერაციის ორგანიზაციული ფორმაა ერთი და იმავე ან მსგავსი თანხმოვანი ბგერების გამეორება სალექსო სტრიქონში.

მაგალითად:

ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული. (გალაკტიონი)

დავალება

თავიდან გადაიკითხეთ ტექსტი და ამოიწერეთ ალიტერაციის ხუთი ნიმუში.

გრამატიკული უნარები

პუნქტუაცია

ჩართული

ჩართული ეწოდება სიტყვებს, სიტყვათშეერთებებს და წინადადებებს, რომლებიც გამოხატავენ მოსაუბრის დამოკიდებულებას ძირითადი წინადადების მნიშვნელობასთან. ჩართული გამოიყოფა მძიმით ან მძიმეებით. იგი გეხედება წინადადების დასაწყისში, შუაში ან ბოლოში.

ჩართულის საშუალებით მოსაუბრის სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ჩანს:

1. მთქმელი დარწმუნებულია გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში:
   რასაკვირველია, ცხადია, რა თქმა უნდა და ა. შ.
2. აზრი მიჩნეულია საეჭვოდ, სათუოდ:
   ჩანს, მგონი, თუ არ ვცდები, ვინ იცის და ა. შ.
3. მოსაუბრე აფასებს, ანზოგადებს რაიმე ფაქტს:
   ჩვეულებრივ, როგორც წესი, როგორც ვიცით, საზოგადოდ და ა. შ.
4. ჩანს შეფასება:
   სამწუხაროდ, ბედად, ღეთით, მტრისას და ა. შ.
5. მიემართება თანამოსაუბრეს:
   თუ გნებავთ, როგორც გეტყობათ, ასე განსაჯეთ და ა. შ.
6. ჩანს აზრის წყარო:
   ჩემი აზრით, მწერლის თვალსაზრისით, ამბობენ და ა. შ.
7. ლოგიკური თანმიმდევრობა:
   ერთი სიტყვით, ამრიგად, მაგალითად, პირიქით, სხვათა შორის და ა. შ.

8. ჩართულია საალერსო სიტყვები და ფიცილის ფორმულები:
   შენი ჭირიმე, დედაშვილობამ, ძმობამ, გეფიცები და ა. შ.
9. ჩანს დამოკიდებულება სტილისადმი:
   ასე ვთქვათ, უფრო სწორად, სათქმელი რომ დავაზუსტოთ და ა. შ.

დავალება

მოკლედ აღწერეთ ტარიელის ბრძოლა ხატაელებთან და შეეცადეთ გამოიყენოთ ყველა სახის ჩართული ფორმის თითო ნიმუში.

ორთოგრაფია

საკუთარ სახელთა მართლწერა

ადამიანის სახელი არც იკუმშება და არც იკვეცება. ძირითადი შეცდომები შეინიშნება მათი ხმარებისას მოთხრობით, მიცემით და წოდებით ბრუნვებში. უმეტესად ეს ხდება ი-ზე დაბოლოებული სახელების ბრუნებისას. თუ ი ფუძისეულია, მიცემითსა და მოთხრობითში შენარჩუნდება: გიორგი — გიორგის — გიორგიმ. თუ ი სახელობითის ნიშანია, ჩამოშორდება: თამარი — თამარმა — თამარს. წოდებითში საკუთარი სახელები ფუძის სახითაა წარმოდგენილი: გიორგი! თამარ!

რაც შეეხება გვარებს: ი-ზე დაბოლოებულ უცხოურ გვარებსა და წოდებებში, თუ ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, მოიკვეცება და მოთხრობითსა და მიცემითში იქნება: ჰომეროს-მა, ვერგილიუს-მა, ალეგიერ-მა, ხოლო თუ ფუძისეულია, არ იკარგება: ბოტიჩელი-მ, ფელინი-მ.

ქართული გვარებიდან — ძე-ზე ან —ე-ზე დაბოლოებულები იკვეცებიან ნათესაობითსა და მოქმედებითში: ბერიძე — ბერიძის — ბერიძით; მენაბდე — მენაბდის — მენაბდით.

— ია, — უა, — ეა-ზე დაბოლოებულები არ იცვლება: გოთუა — გოთუასი — გოთუათი; მრავლობითში იკვეცება: გოთუ-ები. წოდებითში თანხმოვანფუძიან გვარებს დაერთვება — ო: ჯავახიშვილ-ო! ზოგი გვარი კი კუმშვადია: წერეთელ-ის, მაჩაბელ-ის.

გაუმართლებელია საკუთარ სახელთა ისეთი შემოკლებანი, როგორიცაა: ე. მცხეთელი, ა. თბილელი, დ. აღმაშენებელი და მისთ., რადგან ისინი არა გვარები, არამედ წოდებებია.

დავალება

ამოიწერეთ გაცნობილი ტექსტებიდან 10-10 საკუთარი სახელი, გვარი ან წოდება და მიუწერეთ, რომლებია კუმშვადი ან კვეცადი.

523 „მეტმან სევდამან მიმწურა გულსა დაცემად დანისად.
ასმათის მონა შემოდგა, მე ვჯე ლაღი და ჯანი სად,
წიენი მომართეა, ეწერა: „ეინ სჩან ალვისა ტანისად,
ადრე მოდიო, გიბრძანებს, დაუყოვნებლად ხანისად“.

524 „შევჯე, წავე, ბაღსას მივე, ვითა სცნობდე ლხინთა ზომით!
ბაღჩა შეველე, კოშკი დამხვდა, ასმათ ენახე ძირსა დგომით;
ენახე, ვსჭერეტდი ნატირებად, ცრემლი ასხდა ღაწვთა წთომით,
დამიმძიმდა, არა ეჰკითხე: ჩემი ჭირდა მისლეა ნდომით.

525 „იგი ენახე დაღრეჯილი, ესე მეტად დამიმძიმდა.
ვითა წინას შემომცინის, არღა ეგრე გამილიმდა.
ყოლა სიტყვა არ მომიგო, ოდენ ცრემლთა გარდმოსწეიმდა,
ამით უფრო დამაწყლულა, არა წყლულთა მიაქიმდა.

526 „ჩემნი ერთნი გონებანი მეტად შორად გამიკიდნა,
შინა კოშკად შემიყვანა, ფარდაგსაცა ამიზიდნა.
შეევე, ენახ იგი მთვარე: ჭირმან ყოელმან უკუმრიდნა,
გულსა შუქი შემომადგა, მაგრა გული არ დამიდნა.

527 „იყო არ-ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდგომელი;
ებურა მოშლით პირ-ოქრო, მე მიეც რიდე რომელი;
მითვე მწვანითა უებრო მიწოლით ტახტსა მჯდომელი,
ცრემლისა ღვარსა მოეცევა პირი, ელეათა მკრთომელი.

528 „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ეფხი პირ-გამეხებული,
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული;
ასმათმან დამსვა შორს-გვარად გულსა მე ლახვარ-ხებული;
მერე წამოჯდა წარბ-შერჭმით, გამწყრალი, გარისხებული.

529 „მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხვე მშლელი პირისა მტკიცისა,
გამწირავი და მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა?!
მაგრა ნაცვალსა პატიჟსა მიგცემსო, ზენა, მი-, ცისა!“
ეჰკადრე: „რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მე უცისა?“

530 „ვთქვი: „პასუხსა ვერას გკადრებ, თუ არა ვსცნობ მე მართალსა:
რა შეგცოდე, რა მიქმნია უცნობოსა, ფერ-ნამართალსა?“
კვლაცა მითხრა: „რას გეუბნა მტყუანსა და შენ მუხთალსა?
დიაცურად რად მოელორდი?! მე დაგუწვავ ამით ალსა.

531 „შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად მოყვანება?!
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება,
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება,
ღმერთმან ქმნა და დაგირჩინა ცუდად შენი ხელოვნება!

532 „გახსოვს, ოდეს „ჰაის“ ჰმზიდი, ცრემლნი შენნი ველთა ჰბანდეს,
მკურნალნი და დასტაქარნი წამალ-თა-ყე მოგიტანდეს?
მამაცისა სიცრუეთა სახენიმცა რანი ჰგვანდეს!
რათგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ეინძი უფრო დაზიანდეს!

533 „ამას ებრძანებ: „ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა,
ეგრეც მე მაქვს პატრონობა, უგზოს ელიდენ, თუნდა გზეთსა!
ეგე აგრე არ იქმნების, წა, მომცთარხარ მოსაცეთსა,
აზრნი შენნი შენვე გგვანან, მტყუანსა და შენ აგეთსა!

534 „ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო!
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!
სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო!“
ესე სიტყვა დაასრულა, ყმა ატირდა, სულთქვნა, აჰ-ყო.

535 თქვა: „რა მესმა ესე მისგან, მეიმედა მეტის-მეტად,
კვლა მიეცა თვალთა ძილი მის ნათლისა ეგრე ჭვრეტად.
აწ დაეკარგე; რად არ გიკვირს, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რეტად?
ვა, სოფელო უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად?!

536 „შევჰხედენ, ენახე სასთუნალ მუსაფი გაშლით მდებარე,
ავიღე, ავდეგ მე ღმრთისა და მერმე მათი მკებარე.
ეჰკადრე, თუ: „მზეო, დაგიწვავ, ჩემიცა დაწვი მზე ბარე,
რათგან არ მომკალ, პასუხი ერთა გკადრო მე ბარე.

537 „რომე გკადრებ, ესე სიტყვა აწ თუ ცუდად ნალიქნია,
ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყოლა ჩემთვის ნუ შუქნია!

თუ მაღირსებ განკითხვასა, აჲი არა არ მიქნია“.
მან მიბრძანა: „რაცა იცი, თქვიო“, თავი დამიქნია.

538 „ქვლაცა ეჰკადრე: „მე თუ, მზეო, თქვენთჳის ფიცი გამეტეხოს,
ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთჳის გაამეხოს!
ვისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მეხოს?
მაშა მა'შინ რაგვარ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მეხოს?

539 „მე მეფეთა დარბაზს მიხმეს, შექმნეს დიდი ეაზირობა,
მათ წინასვე დაეპირა იმა ყმისა შენი ქმრობა.
დამეშალა, ვერ დაეშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა;
თავსა ვუთხარ: „მიემოწმე, ჯამად გიჯობს გულ-მაგრობა“.

540 „მიღმა დაშლა რამცა ეჰკადრე, რათგან იგი ვერ მიმხედარა?
არ იცის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა?
ტარიელ არს მემამულე, სხვასა ჰმართებს არად არა,
ვის მოიყვანს, არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა?

541 „ეთქვი: „ამითა ვეღარას ვიქმ, ღონე სხვა რა მოვიგვარო“;
თავსა ვუთხარ: „ნუ მოგიცავ, გონებაო მრავალ-გვარო!“
მედგა გული მხეცისაებრ, ათასჯერცა მინდორს ვარო.
ვისმცა მიეცე თაჲი შენი, შენვე რადმე არ წამგვარო?!“

542 „სულთა ეჰყიდდი გულისათჳის, კოშკი ამად გამებაზრა;
იგი წვიმა და-რე-ნელდა, რომე პირველ ვარდი აზრა;
ვნახე, ძოწსა მარგალიტი გარე ტურფად მოემაზრა.
მიბრძანა, თუ: „ეგე საქმე მემცა მართლად რად მეაზრა?!

543 „არ დავიჯერებ მე შენსა ღალატსა, ორგულობასა,
უარის ქმნასა ღმრთისასა, ამისთჳის არ მართლობასა;
იაჯდი თავსა ჩემსა და მორჭმით ინდოეთს ფლობასა!
მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოელსა სიძე-სძლობასა“.
544 „მოლმობიერდა, მომიტკბა გამწყრალი, გამქისებული,
ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირ-გაესებული;
ახლოს დამისვა, მაღირსა აქამდის არ-ღირსებული;
მეუბნებოდა, დამივსო ცეცხლი ამითა გზებული.

545 „მიბრძანა, თუ: „გონიერი ხამს არ‌ოდეს არ აჩქარდეს,
რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს;
თუ სასიძო არ მოუშვა, ეა თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და ისი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს!

546 „კელა თუ სიძე შემოუშვა, მე შემირთოს, იყოს ასდენ,
ერთმანერთსა გაეყარნეთ, ძოწეულნი გაგეიფლასდენ,
მათ მორჭმულთა მოიელინონ, ჩეენ პატიჟნი გაგეიასდენ,
ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგეიხასდენ“.

547 „მე ეჰკადრე: „ღმერთმან აშოროს მის ყმისა შენი ქმარობა!
რა შემოეიდენ ინდოეთს, შევიგნა მათი გვარობა,
ეუჩეენო ჩემი ძალ-გული და ჩემი მეომარობა:
ასრე დავხადნე, შეეძლოს აღარას, არ სახმარობა!“

548 „მიბრძანა, თუ: „ხამს დიაცი დიაცურად, საქმე-დედლად,
დიდსა სისხლსა ეერ შეგაქმნევ, ეერ ეიქმნები შუა კედლად;
რა მოეიდეს, სიძე მოკალ მისთა სპათა აუწყეედლად.
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.

549 „ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,
მოპარეით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,
მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც ზროხათა ეითა, ეირთაო,
დიადი სისხლი უბრალო კაცმანმცა ეით იტეირთაო!

550 „იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა,
ჰკადრე, თუ: „სპარსთა ეერა ეიქმ ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია მკეიდრი მამული, არ მეისცემ არცა დრამასა,
არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა ეითა ტრამასა!“

551 „ჩემი ყოლა ნურა გინდა – სიყვარული, ნუცა ნდომა,
ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მიხედომა;
ქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხეეწა, შემოკედომა,
ხელთა მოგცეს თაეი ჩემი, შეგეფერობდეს ერთგან სხდომა“.

552 „ესე მეტად მომეწონა თათბირი და გამორჩევა,
ჩემთა მტერთა დაეაცადე დასახოცლად ხრმლისა ქნევა;

მერმე აედეგ წამოსაელად, მან დამიწყო ქვევე წვევა,
მწადდა, მაგრა ვერ შეეჰმართე შეჯიდება, შემოხვევა.

553 „ხანი დაეყავ, გაეეყარე, მაგრა გაეხე ეითა ხელი. ასმათ
წინა ჩამომიძღვა, ჩამდიოდა ცრემლი ცხელი. ჭირი
ბევრჯერ ვაათასი, ლხინი ჩემი ვაერთხელი, მერმე
წასლვა არა მწადდა, ამად მიეალ არ-ფიცხელი“.

ხვარაზმშას შვილის ინდოეთს მოსლვა საქორწილოდ და ტარიელისაგან მისი მოკვლა

554 „მოვიდა კაცი: „სასიძო მოვაო“, მოსლვა გვახარა,
მაგრა თუ ღმერთი რას უზამს, არა იცოდა, გლახ, არა;
მეფესა მიჰხვდა სიამე, არ სიტყვა ივაგლახა რა,
მიბრძანა, ახლოს მიმისვა, „მოდიო“, თავი დახარა.

555 „მიბრძანა: „ჩემთვის ესე დღე ლხინი და სიხარულია.
გარდავიხადოთ ქორწილი, ხამს ეითა დასა, სრულია;
კაცნი გავგზავნნეთ, მოეიღოთ ყოელგნით საჭურჭლე სრულია,
უხვად გავსცემდეთ, ვაესებდეთ, სიძუნწე უმეცრულია“.

556 „მე გავგზავნენ ყოვლგან კაცნი საჭურჭლეთა წამომხმელნი;
სასიძოცა მოგვეიდა, იყვნეს ხანსა არ-დამზმელნი;
შიგნით ჩვენნი გაეგებნეს, გარეთ მოდგეს ხვარაზმელნი;
მათ ლაშქართა ერთგან მყოფთა ვერ იტევდეს ვერცა ხმელნი.

557 „მეფემან ბრძანა: „მოკაზმეთ კარვითა მოედანია,
გამოისვენოს სიძემან, დაყოს ცოტაი ხანია;
მუნ მისად ნახვად გავიდენ უშენოდ სპანი სხვანია,
შენ აქა ნახე, კმარიან იქა ნახვისად ყმანია“.

558 „მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა,
მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა,
შეიქმნა გასლვა შიგანთა, ჯარია მუნ ხასებისა,
დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასებისა.

559 „მე დავშეერ, ვითა წესია საურავ-გარდახდილისა;
შინა წამოვე, მაშერალსა ქმნა მომნდომოდა ძილისა;
მონა მოვიდა, მომართვა წიგნი ასმათის ტაბილისა;
„ადრე მოდიო, გიბრძანებს მსგავსი ალვისა ზრდილისა“.

560 „ცხენისაგან არ გარდავეხე, წავე ფიცხლად, დაეშორჩილდი;
ქალი დამხვდა ნატირები, ეკითხე: „ცრემლსა რასა ემილდი?“
მითხრა: „შენი შესწრობილი ტირილსამცა ვით ავსცილდი!
გაუწყეველად ვით გამართლო? რაგვარადმცა გაევაქილდი?“

561 „შევედით, ვნახეთ ბალიშსა ზედა წარბ-შერჭმით მჯდომარე;
მზე ეელარას იქმს მის მეტსა, მას განენათლა რომ არე.
წავდეგ, მიბრძანა: „რასა სდგა? დღე მიგიჩს წინ საომარე!
ან‘ გამწირე, მიტყუე და ქელაცა მოიმცთომარე?!“

562 „მე მეწყინა, აღარა ვთქვი, ფიცხლად გარე შემოვბრუნდი.
უკუეჰყიელე: „აწ გამოჩნდეს, არ მინდოდეს, ვისცა ეუნდი!
ქალი ომსა რაგვარ მაწვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი!“
შინა მოვე, მოკლეა მისი დავაპირე, არ დაეყმუნდი.

563 „ასსა ეუბრძანე მონასა: „საომრად დაემზადენით!“
შეესხედით, გაველეთ ქალაქი, არაცის გაეცხადენით.
კარავსა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ზარ-მაც თქმად ენით,
უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლთა დადენით.

564 „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაქარაბაკე,
ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სეტსა შეეუტაკე.
წინა მწოლთა დაიზახნეს, გლოვა მიჰხედა საარაკე;
ცხენსა შევჯე, წამო-ცა-ვე; ჯაჭვი მეცვა საკურტაკე.

565 „ხმა დამიყარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწევარი;
წამოვე, წვენა დამიწყეს, დავხოცე ჩემი მდევარი.
ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,
მუნ შიგან შევე მშვიდობით, ამოდ იგივე მე ვარი!

566 „კაცნი გავგზავნენ, ვაცნობე ყოველგან ლაშქართა ქველასა;
„აქა მომმართეთ, ვინცაღა ჩემსა იქმოდეთ შველასა!“

არ გაწყდა მოსლვა მდევართა ღამესა დია ბნელასა,
ჩემი რა ცნიან, სცვიდიან თავებსა მათსა მრთელასა.

567 „ცისკრად აედეგ, შეეკაზმე, რა გათენდა ღამე დილად;
ვნახენ სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად;
ებრძანა, თუ: „ღმერთმან იცის, გამეზარდე ვითა შვილად,
ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმილად?

568 „ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?
მე, ბერსა, შენსა გამზრდელსა სიცოცხლე მაარმებინე,
დღედ სიკვდილამდის შენიცა თაეი არ მაახლებინე!“

569 „მე შევუთვალე: „მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა,
თვარა რად მიშლის სიკვდილსა ცეცხლი სირცხვილთა ალისა?
მაგრა, თვით იცით, ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა,
მე, თქვენმან მზემან, მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა!

570 „იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია! –
ერთიღა მე ვარ მემკვიდრე, – ყველაი თქვენ მოგხდომია;
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია;
სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახედომია!

571 „ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ-მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გივის ერთაი ქალია,
ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?!

572 „შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე!
ინდოეთი ჩემი არის, არეის მივსცემ ჩემგან კიდე.
ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა აღმოვფხერიდე,
სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე!“

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. რა უძღვოდა წინ ნესტანისა და ტარიელის შეხვედრას?

2. რას შეადარა ტარიელმა ნესტანი? რატომ? ქალის ხასიათის რა თვისება ენიშნა მიჯნურს?

3. რა იყო ნესტანის წყვრომის მიზეზი? რით დაემუქრა იგი ტარიელს?

4. რით გაიმართლა თავი ტარიელმა? როგორ შეცვალა სიტუაცია მისმა სიტყვებმა?

5. რაში ხედავს ნესტანი შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს? რა გადაწყვეტილება მიიღეს მიჯნურებმა?

6. რა ურჩია ნესტანმა ტარიელს?

7. აღწერეთ სასიძოსთან შესვედრისთვის მზადება.

8. ნესტანთან შეყრის დროს საუბრის რა დეტალმა შეურაცხყო ტარიელი? რა გადაწყვეტილება მიიღო ამის შემდეგ?

9. რას საქვედურობს მეფე ტარიელს?

10. რა შეახსენა ტარიელმა მეფეს? რით გაამართლა თავისი საქციელი?

გააანალიზეთ

11. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ტარიელის ჩაურევლობა ნესტანის გათხოვების საკითხში? რამდენად მართებულად მოიქცა იგი მეფე-დედოფალთან თათბირის დროს?

12. მართებულად მიგაჩნიათ თუ არა ნესტანის ამგვარი განრისხება მიჯნურის წინაშე? რატომ? დაასაბუთეთ.

13. რამდენად სამართლიანია ფარსადანის საქვედური ტარიელისადმი? ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ მან იცოდა ტარიელისა და ნესტანის მიჯნურობის შესახებ? დაასაბუთეთ.

14. რამდენად დამაჯერებელი და სამართლიანია ტარიელის არგუმენტები? იზიარებთ თუ არა იმ მოსაზრებას, რომ ტარიელი ინდოეთის ტახტის ერთ-ერთი მემკვიდრეა? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

განაზოგადეთ

15. რა ისტორიული ხასიათის მინიშნებებია მოცემულ ეპიზოდში? იმსჯელეთ.

16. ამართლებთ თუ არა ტარიელის ტყუილს: „შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე“ (572)? რა შემთხვევაში შეიძლება, ადამიანმა სიცრუე თქვას? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

წერითი დავალება:

დეტალურად განიხილეთ ტარიელისა და ნესტანის მიერ გადაწყვეტილების მიღების ეპიზოდი და შეეცადეთ, მოძებნოთ სხვა გამოსავალი. თქვენი მოსაზრებები ჩამოაყალიბეთ თეზისებად და წარუდგინეთ აუდიტორიას.

ლიტერატურული დისკუსია

თემა: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად!“ აირჩიეთ ქვემოწარმოდგენილი ერთ-ერთი მოსაზრება, განავრცეთ და დაასაბუთეთ:

ა) ტარიელი და ნესტანი მართალნი არიან ღვთისა და საკუთარი თავის წინაშე. დამნაშავე ფარსადან მეფეა!

ბ) ტარიელი და ნესტანი შემცდარნი არიან ღვთისა და საკუთარი თავის წინაშე. ეს მათ ძალიან კარგად იციან!

გ) ისინი იმის გამო, რომ სხვა გამოსავალს ვერ პოულობენ, თავიდან იშორებენ ხვარაზმშას ძეს!

ყურადღებით წაიკითხეთ ციტატები და კამათისას გამოიყენეთ.

* * *

* არისტოტელე ამბობს, რომ უტყუარი სიმართლე არის მართალი არა კანონის თვალსაზრისით, არამედ დაკანონებული სამართლიანობის შესწორებაა.

* მთავარი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ რუსთაველის პოემის გმირები შეგნებულ დანაშაულს სჩადიან, ეს მათ იციან და ამიტომაც ახსენდებათ საერთოდ სამართალი!

„ქმნა მართლისა სამართლისაო“, – გაიძახიან პოემის გმირები, თითქოს პირველად ქმნიდნენ ამ ქვეყნად სამართალს, ამაოების ქვაზე ფრჩხილებით კაწრავდნენ პირველ პარაგრაფს საკუთარი სამართლისას, რადგან სხვა ყველა დანარჩენი სამართლის თვალსაზრისით ისინი დამნაშავენი არიან.

ამასთანავე, მათი დანაშაული უფრო დიდი და მიუტევებელია, ვიდრე ხვარაზმელი სასიძოსა და ტრაბახა, ქალების მაბეზღარა ჭაშნაგირის მკელელობა. ესაა მეფის ბრძანების არშესრულება, მეფის ნების წინააღმდეგ წასელა — არ არსებობს იმდროინდელ საზოგადოებაში ამაზე უფრო მძიმე დანაშაული, შესაბამისად, სასჯელიც უმძიმესია. ნესტანი — ერთადერთი შვილი — მშობლებმა არსებითად სასიკვდილოდ გაიმეტეს. მისი დანაშაული იმდენად მძიმეა, დაუსჯელობა წარმოუდგენელია.

„მართალი სამართალი“ მივჯნურთა თავშესაფარია!..

„მართალი სამართალი“ ნესტანისთვის არის მისი და ტარიელის არსებობის, ამქვეყნად ერთად ყოფნის, ერთად სიცოცხლის სამართალი. ამავე დროს, ეს არის საკუთარი ნების, გადაწყვეტილების, საკუთარი შეხედულებების, მრწამსის დამკვიდრების ლოზუნგი...

ნესტანის სიდიადე მისი ქცევის ალოგიკურ სიმართლეშია. ნესტანის სიდიადე სიყვარულის ერთგულებაშია, დაბოლოს, ნესტანის სიდიადე ის გახლავთ, რომ სწორედ მან დაგვანახა და დაგვარწმუნა, რომ ყველაზე დიდი ერთგულება ამქვეყნად სიყვარულია! აი, ეს არის სწორედ მისი „მართალი სამართალი!“

თამაზ ჭილაძე, „ვარდის ფურცლობის ნიშანი“

* * *

განვიხილოთ იმ კონფლიქტის მიზეზები, რომელნიც მოხდა, ერთი მხრივ, ნესტან-ტარიელისა და, მეორე მხრივ, ფარსადან-დავარს შორის. ისევე როგორც როსტევან მეფის შემთხვევაში, აქაც თავს იჩენს კრიზისი ძველი სიბრძნისა, რომელიც კაცობრიობის ძველი, კოლექტიური ცნობიერებიდან მომდინარეობს. ცნობიერების ევოლუციას ახასიათებს ანტაგონიზმი ძველსა და ახალს შორის. ცნობიერების პირვანდელი მდგომარეობა, რომელიც ძველ ნათელხილვაზე, არაცნობიერზე იყო დამყარებული, ახალ ეტაპზე უკვე თანდათან არაკანონზომიერი, ნეგატიური ხდება, ვინაიდან მას არ გააჩნია ის სიფხიზლე გონებისა და ცნობისა, რომელიც სჭირდება ახალ შემეცნებას, ახალ ეტაპს. ამის გამო, იგი წინააღმდეგობას უწევს ახალს, ინდივიდუალიზებულს, ადამიანის მოაზროვნე მე-დან გამომდინარე სიბრძნეს (ტარიელსა და ნესტანს). ამიტომ ამ სიბრძნეს სულ უფრო ეუფლებიან ნეგატიური არსებები, რომელნიც ებრძვიან ახალს, კანონზომიერს. „ვეფხისტყაოსანში“ ამგვარი ნეგატიური ძალების პერსონიფიკაციაა ქაჯეთი, რომელთანაც არის დაკავშირებული დავარი, შავი მაგიის ეს ადეპტი („ქერიფი ქაჯეთს გათხოვილი“). პოემაში

არის მინიშნებები იმაზეც, რომ ფარსადანის კარზე საიდუმლოდ მოქმედებენ ქაჯეთის ემისრები, რომელთა მიზანიც არის ინდოეთის დამხობა და ნესტანის გატაცება. შავი მაგიის ეს ადეპტები „ღვთის მტრებად“ არიან მოხსენიებულნი: „დავარს დასა მეფისასა უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან“. მართალია, ტექსტში პირდაპირ ამაზე არსად არის საუბარი, მაგრამ მსგავსი მინიშნებების საფუძველზე შესაძლოა დავასკვნათ, რომ ხვარაზმშას ძის სასიძოდ მოწვევა დავარისა და ამ „ღვთის მტრების“ იდუმალი შეთქმულების შედეგია, რომელთაც შეძლეს გაელენის მოხდენა მეფეზე. ამგვარი დაშვების გარეშე კარგად ვერ იქნებოდა მოტივირებული პოემის ის ეპიზოდი, სადაც მეფე გადაწყვეტს ხვარაზმშას მოწვევას სიძედ, რითაც ხდება ტარიელის იგნორირება.

...სასიძოს მოკვლა არ არის ტერორისტული ან კრიმინალური აქტი, ვინაიდან სასიძოს უკან დგას აგრესიული ხორეზმი, ბნელეთის ერთ-ერთი საუფლო, რომელიც მეფისწულის ქორწინების გზით ახორციელებს დაპყრობით პოლიტიკას. ასე რომ, მისი მოკვლა უფრო თავდაცვითი აქტია.

ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“

თათბირი ნურადინ-ფრიდონისა

1401 ფრიდონ თქვა: „ვიტყვი სიტყვასა, ვეჭვ, ჩემი არ დამცდარია:
ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია;
პირის-პირ ომი არ ძალ-გვიც, არ უამი საკვეხარია,
ათას წელ ვერსით შეეუვალთ, თუ ზედ დაგვიხშან კარია.

1402 „ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,
მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთნიდიან;
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალი ვერ მომკიდიან,
ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან.

1403 „აწ ვინცა ვიცით უკეთე შეტყორცა საგდებელისა,
მან ერთსა ბურჯსა გარდვაგდოთ წვერი საბლისა გრძელისა,
მას ზედა გავლა ასრე მიჩს, ვითა გარბენა ველისა,
თქვენ ჭირად გიყო შიგანთა პოვნა კაცისა მრთელისა.

1404 „აბჯრითა გავალ, არა მიჩს ჭირად, გატანა ფარისა;
შიგან ჩავხლტები კისკასად, ვეცემი მსგავსად ქარისა,
ლაშქართა დაეხოც, გავახვამ, ჰნახოთ გაღება კარისა!
თქვენცა მუნ მოდით, სადაცა გესმას ზრიალი ზარისა“.

თათბირი ავთანდილისა

1405 ავთანდილ უთხრა: „ჰე, ფრიდონ, მოყვასნი ვერ გიჩივიან;
ლომთა მკლავთაგან იმედი გაქვს, არა წყლულნი გტკივიან;
სთათბირობ ძნელთა თათბირთა, მტერთა ივაგლახ-ივიან,
მაგრა თუ გესმის, გუშაგნი რა ახლო-ახლო ყივიან!

1406 „რა გახვიდოდე, გუშაგთა ესმის აბჯრისა ჩხერება,
გიგრძნობენ, თოკსა მოჰკვეთენ, ამისი ხამს დაჯერება;
წაგიხდეს ცუდად ყველაი, დაგრჩეს ცუდიღა ფერება,
ეგე თათბირი არ ეარგა, სხვებრ ექმნათ თავისი ტერება.

1407 „სჯობს, დადეგით დამალულნი თქვენ ადგილსა იდუმალსა,
ისი კაცნი არ იჭირვენ მგზაერსა, ქალაქს შემავალსა,
სავაჭროთა შეეკაზმვი, ეიქმ საქმესა მე მუხთალსა,
ერთსა ჯორსა გარდაეჰკიდებ მუზარადსა, ჯაჭვსა, ხრმალსა.

1408 „სამთაეე შესველა არ ვარგა, თუ გეიგრძნან, არს სათუები;
მე მარტო შევალ ვაჭრულად და კაგრად შეეტყუები,
მალვით ჩავიცვამ აბჯარსა, გაეჩნდები, გაეცურები,
ღმერთმან ქმნას, უხვად ვადინო შიგნით სისხლისა რუები!

1409 „შიგანთა მცველთა მოვიცლი მე უნახავად ჭირისად,
თქვენ გარეთ კართა ეცენით ყოველნი მსგაესად გმირისად;
კლიტეთა დაელეწ, გავახვამ, დამიდგამს ეერ ქვითკირი სად.
თუ რა სხვა სჯობდეს, თქვენ ბრძანეთ, ეარ მრჩეველად ამა პირისად“.

თათბირი ტარიელისა

1410 ტარიელ უთხრა: „მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირობა,
თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, პირობა;
ეიცი, გწადს ომი ფიცხელი, არ ცუდი ხრმალთა ღირობა,
კაციმცა მაშინ თქვენ გახლავს, რა ომმან ქმნას გაჭირობა.

1411 „მაგრა იყვენით ჩემთვისცა საქმისა რასმე რჩევითა:
ხმა ესმას ჩემსა ხელ-მქმნელსა, ზედა გარდმოდგეს მზე ყითა,
თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ყითა?
ესე მე დამსყრის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა.

1412 „მაგა თათბირსა ესე სჯობს, ექმნათ ჩემი მონახსენები:
გავიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები,
სამთაეე სამგნით მიჯმართოთ, ფიცხლა დაყსხლიტოთ ცხენები;
მოგვეგებვიან, ვემცრობით, ჩვენ ხრმალსა მიესცეთ მძლე ნები.

1413 „ფიცხლა შეეებნეთ, შეესჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა,
სამთაგან ერთი შეეუვალთ, სხვა გარეთ ესცემდეთ გარებსა,
მან ერთმან შიგნით შიგანნი მივსცნეთ სისხლისა ღვარებსა,
ხელი კვლა ეჰხადოთ აბჯარსა, მას ჩვენგან მძლედ ნახმარებსა“.

1414 ფრიდონ უთხრა: „შემიგნია, გამიგია, ყიცი მე, რა:
მაგა ცხენსა ჩემეულსა მოასწრებენ კართა ვერა,
ოდეს გიძღვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა,
თვარა ყოლა არ გიძღვნიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა“.

1415 ფრიდონ ლაღი ამხანაგობს საუბართა ესოდენთა.
ამას ზედა გაიცინნეს მათ წყლიანთა, სიტყვა-ბრძენთა,
ერთმანერთსა ელაღობნეს ლაღობათა, მათთა მშვენთა.
გარდახდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა.



სამთა თათბირი.
მოსე თოიძის ილუსტრაცია

1416 კელა ერთმანერთსა მიუგეს სიტყვები არ პირ-მკვახები,
დაასკვნეს იგი თათბირი, ტარიას განაზრახები:
გაიყვეს კაცი ას-ასი, ყველაი გმირთა სახები,
ცხენებსა შესხდეს, აიღეს მათ მათი ჩაბალახები.

1417 იგი ჭაბუკნი შუქითა ვნახენ მზისაცა მეტითა;
მათ საძთა შვიდნი მნათობნი ჰფარეენ ნათლისა სვეტითა;
ტარიელ შაესა ზედა ზის ტანითა მით წერწეტითა;
დალიენეს მტერნი ომითა, ვითა მჭვრეტელნი ჭერეტითა.

1418 ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და დარია:
რა ზედა წეიმდენ ღრუბელნი და მთათა ატყდეს ღვარია;
მოვა და ხეეთა მოგრაგნის, იხმის ხათქი და ზარია,
მაგრა რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია.

1419 თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე-მიუწედომნია,
მაგრა ტარიას შებმანი არეისგან მოსანდომნია;
მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცაღა ნათლად ხომნია,
აწ იყურებდით, მსმენელნო, გესმნენ ფიცხელნი ომნია!

1420 სამთაეე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები;
თანა ჰყვა კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარები.
მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, არ-ნაჩქარები,
გათენდა, გაჩნდეს, მიჰმართეს, თავის-თავე ჰქონდა ფარები.

/1421 პირველ ამოდ მიდიოდეს მგზაერთა რათმე მაგიერად,
მათ შიგანთა ეერა უგრძნეს, ეერცა დაჰხედეს გულ-ხმიერად;
გულსდა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად,
მიდგეს გარეთ, მუზარადნი დაიხურნეს ჟამიერად.

1422 ანაზდად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.
რა ნახნეს, კარნი გაახენეს, ქალაქით გახდა ზრიალი.
სამთაეე სამგნით მიჰმართეს, თავის-თავ უყვეს რიალი,
იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი.

1423 მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხეა ღმრთისა:
კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა;

მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვალე ცისა.
ვეღნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა.

1424 კაცსა უკრავად დაბნედდის ხმა ტარიელის ხაფისა,
აბჯარსა ფრეწდის, გაცუდდა სიმაგრე ჯავშან-ქაფისა.
სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჭირი არ ნახეს კაფისა,
რა ქალაქს შეხდეს, შეიქმნა სიმხარკე ციხეს სწრაფისა.

1425 ავთანდილ და ლომი ფრიდონ შიგნით ერთგან შეიყარნეს,
მტერნი სრულად აეწყვიდნეს, სისხლნი მათნი მოელვარნეს,
უყივლეს და ერმანერთი ნახეს, დიდად გაეხარნეს,
თქვეს: „ტარიელ რა იქმნაო?“ მისად ჭვრეტად თვალნი არნეს.

1426 ერთმანცა არა იცოდა, ვერა ცნეს ტარიერისა.
ციხისა კარსა მიჰმართეს, რიდი არ ჰქონდა მტერისა;
მუნ ნახეს რიყე აბჯრისა, ნალეწი ხრმალთა წვერისა,
ათი ათასი ნობათი, უსულო, მსგავსი მტვერისა.

1427 ციხისა მცველი ყველაი იდვა მართ ვითა სნეული, თავით
ფერხამდის დაჭრილი, აბჯარი მუნ დახეული, ციხისა
კარნი განხმულნი, კართა ნალეწი – სრეული, ცნეს
ნაქმრად ტარიელისად, თქვეს: „საქმე არს მისეული“.

1428 გზანი დაჰხვდეს შეკაფულნი, შევიდეს და გაძერეს ხვრელსა,
ნახეს, მზისა შესაყრელად გამოუშვა მთვარე გველსა,
მუზარადი მოეხადა, ჰშვენის აკრვა თმასა ლელსა,
მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭდო ყელი ყელისა.

1429 ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი ღვარნეს;
ამას ჰგავნდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს.
მზე რა ვარდსა შემოადგეს, დაშვენდეს და შუქნი არნეს,
აქანამდის ჭირ-ნახულთა ამას იქით გაიხარნეს.

1430 მათ ერთმანერთსა აკოცეს, დგანან ყელ-გარდაჭდობილნი.
კვლა შეეწებნეს ხშირ-ხშირად ვარდნი ბაგეთათ პობილნი.
აწ ესენიცა გაეიდეს, შეკრბეს სამნიე ძმობილნი,
მას მზესა მისცეს სალამი, წადგეს მართ ვითა ხმობილნი.

1431 მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინარითა,
აკოცა მისთა მეშველთა ლაღმან ცნობითა წყნარითა,
მათ მდაბლად მადლი უბრძანა სიტყვითა მით ნარნარითა,
ორნიე ერთგან უბნობდეს ამოთა საუბნარითა.

1432 ტარიელსცა უსალამნეს, მას ალეისა მორჩსა ეით ხეს,
მიულოცეს გამარჯვება, ერთმანეთი მოიკითხეს;
არა სჭრიდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს,
თავნი მათნი გაალომნეს, მათი მბრძოლი იშვლეს, ითხეს.

1433 სამასისა კაცისაგან ას-სამოცი შეჰყოლოდა;
ფრიდონს უმძიმს სპათა მისთა, მაგრა ერთ-კერძ უხაროდა;
მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა მბრძოლი დაჰრჩომოდა,
რომე პოენეს საჭურჭლენი, აწმცა თვალეით ეით ითქმოდა!

1434 მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით პოევს მალები;
სამიათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალები,
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები,
იგი მზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები.

1435 სამოცი კაცი დააგდეს ქაჯეთს ციხისა მცველია,
წამოიყვანეს იგი მზე, მათიღა წაგვრა ძნელია;
ზღვათა ქალაქსა დაჰმართეს, თუცა გზა მუნით გრძელია,
თქვეს: „ფატმან ვნახოთ, მუქაფა გვაც მისი გარდუხდელია“.



ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ. ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის შეყრა.
სერგო ქობულაძის ილუსტრაცია.

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. როგორ აფასებს ფრიდონი შექმნილ ვითარებას?
2. რას სთავაზობს იგი მეგობრებს?
3. რა მოტივით ამბობს უარს ავთანდილი ფრიდონის თათბირზე?
4. რას სთავაზობს იგი მეგობრებს?
5. როგორ აფასებს ტარიელი ძმადნაფიცების თავგამოდებას?
6. რა მოტივით უარყოფს ტარიელი ავთანდილისა და ფრიდონის გეგმებს?
7. რას სთავაზობს ტარიელი მეგობრებს?
8. გმირთა როგორი განწყობილება ჩანს ბრძოლის წინ?
9. როგორ ახასიათებს რუსთაველი ავთანდილსა და ფრიდონს? ტარიელს?
10. გადმოეცით ბრძოლის ეპიზოდი.
11. რით იქცევენ მკითხველის ყურადღებას ქაჯეთის ციხის აღების ფინალურ სცენაში პოემის გმირები?
12. რას ადარებს პოეტი ნესტანს? ქაჯებს?
13. რა არის ფრიდონის „სიმძიმილის" მიზეზი?
14. საით გაემართნენ გამარჯვებული მეომრები?

გააანალიზეთ

15. როგორ ახასიათებს თავისი თათბირი ნურადინ-ფრიდონს? ავთანდილს?
16. შეაფასეთ ტარიელის საქციელი. რამდენად ჰგავს მისიეე თათბირი მას? გაიხსენეთ ეპიზოდები, რომლებშიც ტარიელი მსგავსი სახით წარმოჩინდა.
17. თქვენი შეხედულებით, რა მთავარი აზრია გამოკვეთილი ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდში? დაასაბუთეთ.

განაზოგადეთ

18. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ტარიელი. რას შეცვლიდით საბრძოლო სტრატეგიაში? რატომ?
19. რას თვლით მოცემულ ეპიზოდში ყველაზე მნიშვნელოვნად და ფასეულად? დაასაბუთეთ, რატომ?

წერითი დავალება

ქაჯეთის ციხის აღების სცენა პოემაში სულ რამდენიმე სტროფითაა წარმოდგენილი. თუმცა, მრაელისმთქმელია იგი. დამოუკიდებლად წაიკითხეთ „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“. ყურადღება მიაქციეთ, როგორ აღწერს ნესტანი ქაჯეთის ციხესა და იქაურ მეომრებს და ამ ინფორმაციის გათვალისწინებით დაწერეთ ქაჯეთის ციხის აღების უფრო სრულყოფილი, თქვენეული ვერსია. გაითვალისწინეთ მოქმედ გმირთა ხასიათები.

კომენტარი მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებანი

რუსთაველს თაეის დროზე ბევრი წამბაძეელი და გამგრძელებელი გამოუჩნდა. „ვეფხისტყაოსანში“ პაელე ინგოროყეას თხუთმეტი სხეადასხეა მელექსის ჩანართი და დანართი ტექსტი ეგულება. ზოგი მათგანის ვინაობა ცნობილია. ესენია: მესხი მელექსე, ნანუჩა, იოსებ თბილელი...

გთავაზობთ „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე დამატებას:

ხვარაზმელთა ამბავი. ტარიელი მძიმედ გამხდარა ავად. ოთხი წელი ლოგინად წოლილა. ხვარაზმშას რომ გაუგია ტარიელის ავადმყოფობის შესახებ, გახარებია, დიდი ლაშქრით შესეეია ინდოეთს შურის საძიებლად, ქეეყანა დაურბეეია და აუოხრებია, მოსახლეობა გაუჟლეტია. გასაჭირში ჩავარდნილ ტარიელს შემწეობა უთხოეია ძმადნაფიცებისათვის. ავთანდილი და ფრიდონი საჩქაროდ წასულან ინდოეთში ლაშქრითა და მკურნალებით. ტარიელი განკურნებულა. ხვარაზმშა დაუმარცხებია. ძმადნაფიცები თავს დასხმიან ხვარაზმის ქეეყანას და დაუპყრიათ. შაჰი ტყეედ ჩაუგდიათ, მაგრამ საბოლოოდ შეუწყნარებიათ, გაუთავისუფლებიათ და სამეფოც დაუბრუნებიათ მისთვის. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ინდოეთში დაბრუნებულან.

გმირთა სიკვდილის ამბავი. ტარიელსა და ნესტანს ოთხმოცი წელი უცხოვრიათ. ხანდაზმულობის გამო დაბრმაებულან კიდეც. მოსძულებიათ წუთისოფელი და სიყვარულიც გაუცივებიათ. მათ ქალ-ვაჟი ჰყოლიათ და ისინი გაუმეფებიათ. სიკვდილის წინ ანდერძი დაუწერიათ. ავთანდილსა და თინათინს ორი ძე მისცემია. ორიეე ძმადნაფიცი, ტარიელი და ავთანდილი, მხურვალედ დაუტირია ფრიდონს...

წერითი დავალება

დაწერეთ „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელების თქვენეული ვერსია საკუთარი:

ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი
რუსთაველის აფორიზმი

აფორიზმი მოკლედ და მხატვრულად გამოთქმული ზნეობრივ-დამრიგებლობითი ხასიათის ბრძნული აზრი, მაღალგონიერი ჩანაფიქრის სხარტი გამოსახვაა. აფორიზმის საშუალებით გარკვეული, დასრულებული აზრი გამოითქმება მოკლედ, სხარტად და მკაფიოდ. აფორიზმი პოეტური ფორმულაა ბრძნული აზრისა. აფორისტული შეიძლება იყოს როგორც მთელი სტროფი, ისე სტრიქონი. მაგ.:

ვერ დაიჭირავს სიკეთილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკეთილი სახელოვანი.

1. გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.
2. ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

ხალხმა რუსთაველს მიაწერა თავადვე შექმნილი აფორიზმებიც. მაგ.:

1. ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ხრდილობა,
   თუ კაცი თეითონ არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა?
2. წასვლა სჯობს წამავალისა, არ დაყოვნება ხანისა.

დავალება

ამოიწერეთ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი პოემის ნაწყვეტებიდან აფორისტული სტროფები და სტრიქონები.

გრამატიკული უნარები

პუნქტუაცია

მიმართვა

მიმართვა პქვია წინადადების გარეთ მდგომ ან მის შემადგენლობაში შემავალ სიტყვას, რომელიც ასახელებს მას, ვისკენაც საუბარია მიმართული. მაგალითად:

„შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, მე ესე გამიგონია...“

მიმართვასთან, მისი მდებარეობის მიხედვით, მძიმე, მძიმეები, ძახილის ან კითხვის ნიშნები იწერება. ამ დროს გასათვალისწინებელია წინადადების ინტონაცია.

იგივე წესი ერცელდება შორისდებულებზე და მიგებით (დადასტურებით – ჰო, კი, დიახ და უარყოფით – არა, ვერა) ნაწილაკებზეც.

მაგალითად: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოელისა ტანისა“.

ან: „ჰე, მეფეო! რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?“

დავალება: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში მოძებნეთ მიმართვის, შორისდებულებისა და მიგებითი ნაწილაკების სამ-სამი ნიმუში.

ორთოგრაფია
სათაურის მართლწერა

თუ თხზულების სათაური ერთსიტყვიანია და სახელობითი ბრუნვის ფორმითაა მოცემული, სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს. ასევე იბრუნვის ორ და მეტსიტყვიანი სათაურები (მაგ.: „ლექსები“, „ხმელი წიფელი“ და სხე.).

თანდებულიან ბრუნვებში თანდებული ბრჭყალებს შიგნით იწერება. მაგ.: რომან „დიდოსტატის მარჯვენაში“ და არა „დიდოსტატის მარჯვენა“-ში.

თუ სათაური წინადადების სახითაა მოცემული (მაგ.: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“), ან თანდებულიანია („სარჩობელაზედ“), ან გადმოცემულია სხვა ბრუნვის ფორმით („ნინა ჭავჭავაძეს“), არ უნდა დაერთოს ბრუნვის ნიშნები. ფორმა ეცელება მსაზღვრელს და თანდებულიც მას უნდა დაერთოს. მაგ.; ლექსი „ნინა ჭავჭავაძეს“, ლექსმა „ნინა ჭავჭავაძეს“ და ა. შ.

დავალება: ამოიწერეთ გაელილი ტექსტების სათაურები და განსაზღვრეთ, რომელი ითხოვს ბრუნვის ნიშნებს და რომელი – არა.

კომენტარი მკითხველს

შოთა რუსთაველის პოემა წლების განმაელობაში იყო ბალეტის, ოპერის, კინოს ხელოვანთა შთაგონების წყარო. „ვეფხისტყაოსანს“ კაეშირი ჰქონდა შუა საუკუნეების თეატრ „სახიობასთან“. აღორძინების პერიოდშიც განსაკუთრებული შემთხვევების დროს თეატრებში წარმოადგენდნენ რუსთაველის ლექსს. პოემის კავშირი თეატრთან XIX საუკუნემდე მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ სრულდებოდა პოემის ნაწყვეტები.

„ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირება პირველად სცადა გიორგი მეფის მდივანმა გიორგი ფირალიშვილმა (1768–1823 წწ.). მან დაწერა ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „ინდოეთის მემკვიდრე, ანუ სამშობლოს სიყვარული“. პიესის ხელნაწერი დაკარგულია, შემორჩენილია მისი რეცენზიები.

1853 წელს მოსკოვში დაიბეჭდა ოქროპირ ბაგრატიონის ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“. ხუთმოქმედებიანი ინსცენირება დაწერა გიორგი ერისთავმა.

1890 წელს დაიდგა ცნობილი ქართველი მსახიობის, კოტე მესხის სამმოქმედებიანი პიესა „რუსთაველი“. ეს ნაწარმოები 30 წლის განმავლობაში იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ სცენურ მონტაჟზე მუშაობდნენ ცნობილი თეატრალური მოღვაწეები: კოტე მარჯანიშვილი, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, მიხეილ ქორელი, აკაკი ფაღავა, დოდო ანთაძე; მათ შეადგინეს პოემის დადგმის გეგმა, როლებიც გაანაწილეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი განხორციელება ვერ მოახერხეს რიგი მიზეზების გამო.

დიმიტრი არაყიშვილმა დადგა ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

გირჩევთ:

დაწერეთ პოემის ცალკეული ეპიზოდების სცენარები, გაინაწილეთ როლები და დადგით სკეტჩები.

შინაარსობრივი შეჯამება

საანალიზო უნარები

დახარისხება

1. ჩამოწერეთ პერსონაჟთა ურთიერთმსგავსი ემოციური გამოვლინებანი ბერძნული, რომაული და ქართული ეპიკური პოემების მიხედვით და მოიყვანეთ მათი დამადასტურებელი მაგალითები.

2. აღწერეთ, თუ როგორ ასხამენ ქება-დიდებას კლასიკოსი მწერლები თავიანთ პერსონაჟთა საგმირო საქმეებს.

3. „ძნელია პოენა კაცისა ღმრთივ ზეცით განაწირისა“, – ეუბნება ტარიელი ავთანდილს (302-ე სტროფი). როგორ ჩანს ღმერთისგან ადამიანის არგანწირვა „ოდისეასა“ და „ენეიდაში“? მოიყვანეთ ამის დამადასტურებელი ციტატები.

განზოგადება

4. ტარიელი ავთანდილს ეუბნება: „– მომეწია რა პატრონი შენი, ენახე, ხელმწიფობით შემებრალნეს, ამად ხელი არ შევახე“ (300). ჩანს თუ

არა მეფის მიმართ ამგვარი მოწიწება „ოდისეასა“ და „ენეიდაში“? თუ არ ჩანს, არგუმენტირებულად იმსჯელეთ – რატომ?

5. წარმოდგენილი სამი პოემის მიხედვით, როდის და რატომაა დასაშვები ძალმომრეობა და მკვლელობა?

სინთეზირება

6. „ქალის დამსჯელი მოწონებას არ იმსახურებს“, – ამბობს ენეასი (584). იმსჯელეთ, როგორი მოპყრობა ჩანს ქალების მიმართ, ერთი მხრივ, ოდისევსის და, მეორე მხრივ, ტარიელის მხრიდან.

7. როგორია ოდისევსისა და ტარიელის გეგმები პირველ შემთხვევაში საქმროთა დახოცვის და მეორე შემთხვევაში ხვარაზმშას მოკვლისას. შეგიძლიათ თუ არა მათი დაუნდობელი საქციელის გამართლება?

კომპოზიციური გამეორება

შედარების შეფასება

მოწინააღმდეგეთა დამარცხების აღწერისას სამივე ავტორი გარკვეულ შედარებებს მიმართავს. ჰომეროსი და შოთა რუსთაველი მსგავსს (127–137-ე სტროფები „ოდისეაში“, 453-ე – „ვეფხისტყაოსანში“) , ვერგილიუსი – განსხვავებულს (626–631-ე სტროფები). გაიაზრეთ, რა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე ამგვარი შედარებები. სამ აბზაცად წარმოადგინეთ თქვენი თვალსაზრისი.

მთავარი გმირების სახეთა გააზრება

გაიაზრეთ მთავარი გმირების ხასიათები სახელმწიფოებრივი ფუნქციის თვალთახედვით. რა ადგილი შეიძლება დაეკავებინათ მათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში? გამოყავით ამ კუთხით მათი ყველაზე საყურადღებო თვისებები. ეპოქის შესაბამისად რა მოთხოვნილებები უნდა დაეკმაყოფილებინათ? თქვენი თვალსაზრისი სამაბზაციან ნაშრომში ჩამოაყალიბეთ.

მეორეხარისხოვან პერსონაჟთა როლი

პოემების წარმოდგენილი ნაწყვეტების მიხედვით, განსაზღვრეთ, ვინ შეიძლება ჩავთვალოთ მეორეხარისხოვან პერსონაჟებად. რა ფუნქცია ეკისრებათ? თქვენ როგორ წარმოიდგენდით მათ ადგილს თაეს?

თქვენ ხართ მწერალი

1. სამიეე პოემის მიხედვით დაწერეთ ხუთაბზაციანი თხზულება ქალთა სახეების შესახებ. განსაზღვრეთ, რა შეიძლება იყოს მათგან მისაღები ან მიუღებელი.

წინასწარი მონახაზი. მოცემული პოემებიდან ამოიწერეთ ქალი პერსონაჟების სახელები, დაუკვირდით მათ სახასიათო ნიშნებს და გვერდით მიუწერეთ ისინი.

წერა. ხაზი გაუსვით პერსონაჟთა იმ თვისებებს, რომლებიც თქვენთვისაა საყურადღებო. გამოთქვით თვალსაზრისი, როგორ ხასიათებს ისურვებდით მათ ადგილას და რატომ?


შემოწმება. გადაიკითხეთ თქვენი ნაშრომი, დაუკვირდით, რამდენად ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან თქვენ მიერ ჩამოყალიბებული აზრები. გაასწორეთ შესაძლო გრამატიკული, პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები.

2. „ოდისეას“ 22-ე თავში ლეოდე ოდისევსს შეწყალებას ევედრება (139-ე სტროფი). როგორ გესმით ადამიანისთვის ცოდვათა მიტევება? ხუთაბზაციან თხზულებაში გადმოეცით ამ საკითხისადმი თქვენი დამოკიდებულება.

წინასწარი მონახაზი. აღწერეთ თქვენი მიმართება ამ საკითხისადმი. გაარკვიეთ, რას აპატიებდით ადამიანს და რას — არა, თუნდაც უახლოეს მეგობარს.

წერა. ლოგიკურად ჩამოაყალიბეთ წინასწარ მონახაზში გამოთქმული თვალსაზრისი. განსაზღვრეთ, როგორ მოგექცეოდნენ ანალოგიურ შემთხვევაში და რამდენად მისაღები იქნებოდა ამგვარი უკურეაქცია თქვენთვის.

შემოწმება. ყურადღებით გადაიკითხეთ თქვენი ჩანაწერი. დაუკვირდით, რომ მსჯელობა შეძლებისდაგვარად არ იყოს ტენდენციური. გაასწორეთ შესაძლო სტილისტური, გრამატიკული და პუნქტუაციური შეცდომები.



თქვენ ხართ კრიტიკოსი

1. პოემების გმირები ხშირად ტირიან. რამდენად მისაღებია XXI საუკუნის მკითხველისათვის პერსონაჟთა ემოციების გადმოცემის ამგვარი მხატვრული ხერხი? თქვენ როგორ აღწერდით პერსონაჟების მოზღვაებულ გრძნობებს?

წინასწარი მონახაზი. ტექსტებიდან მოინიშნეთ ის ეპიზოდები, რომლებშიც გმირები თავიანთ ემოციებს ამჟღავნებენ. როგორ ფიქრობთ, ამაზე აქცენტირებას ავტორთა მხრიდან მხოლოდ მხატვრული ფუნქცია აქვს, თუ – ზნეობრივიც, აღმზრდელობითი?

წერა. „ცრემლი სულის გამონაშუქია", – ნათქვამია და ხშირად მწერლები ამის აღწერას არ ერიდებიან. დაიწყეთ წერა იმაზე მსჯელობით, როდის შეიძლება არ იყოს უხერხული ადამიანის სისუსტეზე საუბარი. დაუკვირდით თქვენი აზრების გადმოცემის თანმიმდევრულობას.


შემოწმება. შეამოწმეთ თქვენი ნაშრომი გრამატიკული, სტილისტური და პუნქტუაციური შეცდომების გასასწორებლად.

2. ტროა დაეცა. დაეცა ქაჯეთის ციხეც. ენეასი დაწერილებით ყვება ტროას დაცემას, თუმცა კი – გარკვეულწილად ტენდენციურად. რა მსგავსება და განსხვავებაა ელენესა და ნესტან-დარეჯანის სახეებს შორის?

წინასწარი მონახაზი. აღწერეთ ქაჯეთის ციხის დაცემა სიმაგრის დამცველის თვალით. შეგიძლიათ გამოიყენოთ ენეასის მონათხრობის დეტალები. ამართლებთ თუ არა ტროას აღებას ვერაგული ხერხით?

წერა. ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ქაჯეთის ციხის დალაშქრისას: როგორ გეგმებს წამოაყენებდნენ ფრიდონის ნაცვლად – ენეასი, ავთანდილის მაგივრად კი – ოდისევსი. არის თუ არა გამართლებული ტარიელის გეგმა?

შემოწმება. დაუკვირდით მსჯელობისას თქვენი აზრების თანმიმდევრულობასა და ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირს. შეამოწმეთ თხზულება პუნქტუაციური, გრამატიკული, მექანიკური და სტილისტური შეცდომების გასწორების მიზნით.



შუა საუკუნეების მწერლობა

(რეცენზია სირაძის „ქართული აგიოგრაფიის“ მიხედვით)



შუა საუკუნეების მწერლობა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მხატვრული თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი პიმნოგრაფია და ჰაგიოგრაფიაა. ორივესთვის, ისევე როგორც მთელი შუა საუკუნეების მწერლობისათვის, მთავარი ადამიანია – მისი დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი. ამ კუთხით ყურადღება გამახვილებულია ადამიანის ორგვარ ბუნებაზე: სულიერსა და ხორციელზე. სულით ადამიანი ღმერთს ენათესავება, ხორცი კი არაა ღვთაებრივი, ამიტომ სულსა და ხორცს შორის მუდმივი ჭიდილია. სულია ის, რაც ადამიანს სიკეთისა და მშვენიერებისაკენ იზიდავს; ხორციელი ბუნება კი ცვალებადია და წარმავალი. ხორციელი მშვენება მდაბალია სულთან შედარებით. ამიტომაა, რომ ადრეული შუა საუკუნეების ხელოვნებაში, არც პიმნოგრაფიაჰაგიოგრაფიაში და არც ფრესკაზე, ადამიანის ხორციელი სილამაზე არ აისახება.





ადამიანის სულიერ ბუნებაში იგულისხმებოდა ღმერთზე ფიქრი. სწორედ იგი ანიჭებდა ადამიანს ყველაზე მეტ სილამაზეს. ღმერთი თვით ადამიანს უნდა წარმოედგინა თავისი რწმენით და შემდეგ ის ექცია თავისივე შემწედ. ამიტომ ღმერთზე ოცნება წარმოადგენდა ფიქრს საკუთარ ფიქრზე, რადგანაც ღმერთი არსებობდა თვით ადამიანის წარმოსახვაში, მის სულში.

ადამიანის ყველაზე დიდი ოცნება იყო, დამსგავსებოდა ღმერთს. ამისთვის საჭირო იყო, დაეძლია ყოველგვარი ცოდვა, უკეთურება, ხორციელი სწრაფვანი. ცხადია, ადამიანი ღმერთად ვერ იქცეოდა, მაგრამ მუდამ უნდა ცდილიყო, დამსგავსებოდა მას. სწორედ ამაში უნდა დაეინახოთ ადამიანის თვითსრულყოფა.

თვითსრულყოფა, საკუთარი თავის გაკეთილშობილება არის ყველაზე დიდი შემოქმედება. მართლაც, თუ ადამიანი გვირგვინია და მშვენება ქვეყნიერებისა, მაშინ მისი ბუნების სრულყოფა ჯერშმარიტად დიდი შემოქმედებაა. იგი სრულყოფს თავის სახეს, რომელიც ღვთის მსგავსად შექმნილა.

ყოველი ადამიანი თავის თავში ატარებს რაღაც კიდევ უფრო მეტს, რაც თვითონაა. ადამიანის შესაცნობად უნდა მივწვდეთ მის სულს. მოელი მისი ცხოერება სწორედ სულიერი ბუნების მხოლოდ გარეგნული ანარეკლია. ბუნებაში მიწიერებაა და ღმერთში მხოლოდ სულიერება. ადამიანში კი მოცემულია სამყაროს მთელი მრავალფეროვნება, ორივე საწყისი – ღვთაებრივიც და მიწიერიც. ადამიანის სიკეთე ყველაზე მეტად ფასობს, რადგან, სხვა ქმნილებათაგან განსხვავებით, ამქვეყნად მხოლოდ მას აქვს მინიჭებული ნების თავისუფლება. ღმერთმა ადამიანს თავისუფლება უბოძა და იგი თვით ირჩევს კეთილსა და ბოროტს.

არსებობს ადამიანის ოთხი უმთავრესი ღირსება: სიკეთე, სიბრძნე, სიყვარული და მშვენიერება. მათგან უმაღლესი სიკეთეა. მის გარეშე არაფერი ფასობს, არც სიბრძნე, არც სიყვარული და არც მშვენიერება. სიკეთეა ქველმოქმედება საზღაურის გარეშე. ამ მხრივ. არ არსებობს დიდი და მცირე სიკეთე. ვისაც რა ძალუძს, იმ სიკეთეს უნდა თესაელეს უანგაროდ. ადამიანის უმაღლესი ღირსებაა, თეიომიზნურად ესწრაფოდეს სიკეთეს. ეს, მართლაცდა, რჩეულთა ხვედრია. თუმცა ადამიანს ყოველთვის როდი ძალუძს, აკეთებდეს სიკეთეს; მას თითქოსდა აქვს თავის მართლების საფუძველიც, რადგან ცხოერება ძალზე ხშირად ავიწყებს კაცს, იფიქროს სიკეთეზე. მაგრამ როგორც კი იწყება დათმობა, იწყება ადამიანის დაცემაც. ადამიანი ეერ პოეებს ბედნიერებას ეერარიგად, თუ არა სიკეთეში. სილამაზეც არ არსებობს სიკეთის გარეშე – მშვენიერების უპირველესი ნიშანი სიკეთეა. შუა საუკუნეთა შეხედულებით, სიკეთით აღბეჭდილი სახე უფრო დიდ მშვენიერებად ითვლება, ვიდრე კეკლუცი სილამაზე.

ბიბლიური თხზულებების და მათზე დამყარებული პიმნოგრაფიაჰაგიოგრაფიის მიხედვით, ადამიანია ზეცისა და მიწის შემაერთებელი. ადამიანი რომ არ იყოს, ღმერთი ეერ ეზიარებოდა ქვეყნიერებას და ქვეყანა – ღვთაებას. არ იქნებოდა შეცნობილი მსოფლიო საიდუმლონი. ადამიანი რომ არ იყოს, დაუნახველი დარჩებოდა ამდენი სილამაზე ზეცისა და მიწისა.

შუა საუკუნეების მწერლობაში პერსონაჟები აღვსილნი არიან სულიერი ნათლით, სული გამარჯვებულია სხეულზე, რადგან ლიტერატურულ გმირს გააზრებული აქვს საკუთარი ადამიანური ნაკლი და ცოდეები. ასეთი იყო გზა თვითსრულყოფისა, თვითგანეთარებისა. სწორედ ამის ჩვენებას ეწრაფოდა მწერლური ხელოვნება; თუმცა კი პერსონაჟთა ხასიათების გადმოცემა საკმაოდ რთული იყო, რადგან რთულ გრძნობას გამოხატავდა, გრძნობას, რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდა სინანული და სიხარული.

დავით ფსალმუნთმგალობელი



(დაახლ. 1085-1015 ქრისტეს შობამდე)



ებრაელთა მეფე დავითი, ისტორიკოსთა უმრავლესობის აზრით, დაიბადა ქრისტეს შობამდე 1085 წელს ბეთლემში. იგი იყო უმცროსი ძე იესესი, იუდას ტომიდან. ჯერ კიდევ 19 წლის დავითი, რომელიც ცხვარს მწყემსავდა მამისეულ მინდვრებზე, უფლის ცხებული გახდა სიბრძნის, ღვთისმოსაობისა და სათნოების გამო, მაგრამ მაშინვე არ ასულა ისრაელის სამეფო ტახტზე. თავდაპირველად იგი მეფე საულის საჭურველთმტვირთველი იყო (I მეფეთა 16.21). ფილისტიმელებთან ბრძოლაში ჭაბუკმა მეფემ შურდულით მოკლა გოლიათი (I მეფეთა 17), რამაც დიდად გაუთქვა სახელი და მრავალი მტერი თუ მოშურნე გაუჩინა. არაერთი დაბრკოლების გადალახვისა და მეფე საულისაგან დევნის შემდეგ ღვთის ნებით იგი იუდეველთა სამეფო ტახტზე ავიდა, რომლის შვიდნახევარი წლის მართვის შემდეგ ებრაელთა თორმეტივე შტოს მეფედ ცხეს. ამით აღსრულდა ღვთის ნება, წინასწარუწყებული სამოელ წინასწარმეტყველის მიერ. ამ დროს დავითი 30 წლის იყო და იმეფა 40 წელი. მან აიღო იერუსალიმი, აგრეთვე, სიონის სიმაგრე და დედაქალაქად განამტკიცა. დავითის ქალაქი (II მეფეთა 5.6-11) (სიმაგრე სიონის მთაზე) და მთელი იერუსალიმი გახდა ებრაელთა ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ცენ- ტრი, და, რაც მთავარია, ღვთის ქალაქი. სხვადასხვა მხრიდან სარწმუნოებრივი დღესასწაულების დროს აქ თავს იყრიდა მთელი მოსახლეობა. ამან განა- პირობა დიადი ტაძრის აგების საჭიროება, რაც, უფლის ნებით, მოგვიანებით მეფე სოლომონმა განახორციელა.

სამწუხაროდ, დავითმა შესცოდა ღვთის წინაშე, როდესაც დაუკავშირდა თავისი ერთ-ერთი გარდაცვლილი ხელქვეითის – ჰურიას ცოლს, ბერსაბეს, რის გამოც მეფობის ბოლო წლებში მრავალი უბედურება დაატყდა თავს; თუმცა ღრმა სინანულში ჩავარდა, რაც განსაკუთრებული გულწრფელობით, ღვთისადმი სასოებითა და პოეტური სულიერებით გადმოსცა 50-ე ფსალმუნში. სამეფო გვირგვინი დავითმა სოლომონს გადასცა, აგრეთვე, დაუტოვა ტაძრის გეგმა და ნახაზები, ისევე როგორც ის განძეულობა, რაც უფლის სახლის ასაგებად იყო შეგროვებული. ანდერძად დაიბარა, რომ მორჩილად აღესრულებინათ ღვთის რჯული. დაკრძალეს თავისივე სახელობის ქალაქში. მან განამტკიცა ებრაელთა ერთიანი სამეფო, განაერცო ეგვიპტიდან ლიბანამდე, ევფრატიდან ხმელთაშუა ზღვამდე, შემოუმტკიცა საზღვრები, განდევნა შინაური და გარეშე მტრები.

მეფე დავითს ეკუთვნის ფსალმუნები (150 თავისგან შემდგარი ქებათა წიგნი, ქართულად – დავითნი), რომელიც ავტორს დიდ წინასწარმეტყველად და შემოქმედად წარმოადგენს. ფსალმუნი გამოირჩევა ამაღლებულობითა და გრძნობათა გამოხატვის სიფაქიზით, რელიგიურ მისწრაფებათა გადმოცემის სიწმიდითა და სიდიადით; სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანებისთვის გასაგები ენით მასში თითქოსდა ხორცშესხმულია მორწმუნის სულის მოძრაობა, გულის სითბო, ღვთისა და ადამიანის სიყვარული. ფსალმუნი წინასწარმეტყველური ბიბლიური წიგნიცაა, რომელშიც უწყებულია მესიის, იესო ქრისტეს, განკაცება, წამება და ადამიანთა ცოდვების გამომსყიდველი სიკვდილი, აღდგომა, ზეცად ამაღლება, მისი მოძღვრების ამქვეყნად გავრცელება, მარადიული მეუფება და სხვ. იესო ქრისტე ხორციელი შთამომავლობით დავითს ენათესავება, ისევე როგორც ქართველთა სამეფო გვარი – ბაგრატიონი.

ბიბლიური პოეზიის კითხვა*

ძველ აღთქმაში შესულ სხვადასხვა ხასიათის მხატვრულ თხზულებებს შორის დიდი ადგილი უკავია პოეზიას. ზოგიერთი მათგანი კრებულის სახისაა, როგორიცაა, მაგალითად, ფსალმუნი. ზოგიც რომელიმე ბიბლიურ წიგნშია ჩართული, მაგ., დებორას მიერ წარმოთქმული საგალობელი (მსაჯულთა თ.5). ბიბლიაში შესული ერთადერთი პოემა კი მეფე სოლომონის „ქებათა-ქებაა“.

---

* ძველი ტექსტების აღქმის გასაადვილებლად გამოიყენეთ ბიბლიის თანამედროვე თარგმანი.

ბიბლიური პოეზიის სტილი. ძველი აღთქმა მრავალგვარ პოეტურ ნიმუშს შეიცავს. ზოგიერთი სადა და უშუალოა, როგორიცაა დებორას შთამბეჭდავი საგალობელი გამარჯვებაზე. ესაა ბიბლიის ერთ-ერთი უპირველესი პოეტური ძეგლი. ზოგიერთი მათგანი გულმოდგინედ გადამუშავებული და ცელილებებშეტანილია, მსგავსად ქებათა-ქების სამიჯნურო პოეზიისა; მაგრამ, მიუხედავად მიზნის, გრძნობების გადმოცემისა და პოეტური გამოხატვის დიდი სხვაობისა, მთელი ბიბლიური პოეზია ორ ფუნდამენტურ მხატვრულ პრინციპს ემყარება – წარმოსახვას და გამეორებას.

წარმოსახვის გამოყენება. ძველი აღთქმის პოეზია მდიდარია წარმოსახვითი სახეებით, ღრმა ემოციური დეტალებით, რომლებიც აცოცხლებენ ბიბლიურ ნაწარმოებებს და პოეტურ ხიბლს ჰმატებენ მათ. ხშირ შემთხვევაში წარმოსახვას პასტორალური ხასიათი აქვს, რადგან მოცემულია იდეალიზირებული სურათები სოფლური ყოფისა, როგორც ეს 22-ე ფსალმუნშია აღწერილი:

„უფალმა მწყსოს მე
და მე არა მაკლდეს.
ადგილსა მწუანეილოანსა მუნ დამამკვიდრა მე.
წყალთა ზედა განსასუენებელთასა გამომზარდა მე“.

ძველი აღთქმის პოეზიაში წარმოსახვა ხშირად გამოყენებულია შედარების გამოსახატავად, როგორც ეს მზის აღსაწერადაა მოცემული მე-18 ფსალმუნში:

„ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნილსა
ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო.
დღე დღესა აუწყებს სიტყუასა და ღამე ღამესა
მიუთხრობს მეცნიერებასა.
არა არიან თქმულ არცა სიტყუაი, რომელთა
იგი არა ესმა ხმაი მათი.
ყოველსა ქუეყანასა განხდა ხმაი მათი და
კიდეთა სოფლისათა – სიტყუანი მათნი.
მზესა აღდგა კარაჲი თჳისი; და თავადი,
ვითარცა სიძე რაჲ გამოვალნ ეზოთ თჳისით;
იხარებდეს იგი, ვითარცა გმირი სრბად გზასა.
ცისკიდითგან არს გამოსლეა მისი და მოწევნა
მისი ვიდრე კიდედ ცისამდე; და არა არს,
ვინ დაეფაროს სიცხესა მისსა“.

წარმოსახვა ასევე ხშირად გამოიყენება კონტრასტების შესაქმნელად, როგორც ეს იგავთა წიგნის სტრიქონებშია მოცემული:

„შჯობს სტუმრობა მხლითა სიყუარულითა და მადლობითა,
ვიდრე ზუარაკთა ბაგათაგან დაკლულთა მტერობით“.
(იგავთა 15.16)

გამეორების გამოყენება. ბიბლიური პოეზია მიმართავს გამეორების ან პარალელიზმის სხვადასხვა ფორმას: ა) ერთი და იმავე სიტყვების ან ფრაზების ორჯერ ან მეტჯერ ხმარებას; ბ) ერთი და იმავე წინადადების სტრუქტურის გამოყენებას სხვადასხვა სიტყვით; გ) გამოყენებას ერთი და იმავე იდეისა, რომელიც გადმოცემულია განსხვაებული სიტყვებით. ქვემოთ მოცემულია ამის საილუსტრაციო მაგალითები:

ა) სიტყვათა გამეორება:

„ჟამი ტირილისაჲ და ჟამი სიცილისაჲ,
ჟამი ტყებისაჲ და ჟამი როკვისაჲ“.
(ეკლესიასტე 3.4)

ბ) წინადადების სტრუქტურის გამეორება:

„შჯული უფლისაჲ უბიწო არს და მოაქცევს სულთა;
წამებანი უფლისანი სარწმუნო არიან და გონიერ-ყენიან ყრმანი“.
(ფსალმუნი 18.7)

გ) იდეის გამეორება;

„უკუეთუ დაგიყიწყო შენ, იერუსალემ,
დაივიწყენ მარჯუენეცა ჩემი,
აექუნ ენაჲ ჩემი სასასა ჩემსა,
არა თუ მოგიხსენო შენ...“
(ფსალმუნი 136.5.6.)

დავითნი

(თარგმნა წმ. გიორგი ათონელმა, 1009-1065 წ.წ.)

ფსალმუნი 8

2. უფალო, უფალო, ჩუენო, ვითარ საკეირველ არს სახელი შენი ყოველსა ქუეყანასა ზედა, რამეთუ ამაღლდა დიდად შუენიერებაჲ შენი ზესკნელს ცათა.

3. პირითა ყრმათა ჩჩვილთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ მტერთა შენთათვის, რაჲთამცა დაიხსნა მტერი იგი და შურის-მგებელი.

4. რამეთუ ვიხილენ მე ცანი, ქმნულნი თითთა შენთანი, მთოვარე და ვარსკულაები, რომელ შენ დააფუძნენ.

5. რაჲ არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი, ანუ ძე კაცისაჲ, რამეთუ მოხედავ მას?

6. დააკლე იგი მცირედ რაიმე ანგელოზთა, დიდებითა და პატიჳთა გჳირგჳინოსან ჰყაე იგი.

7. და დაადგინე იგი ზედა ქმნულსა ხელთა შენთასა, ყოველივე დაამორჩილე ქუეშე ფერხთა მისთა.

8. ცხოვარი და ზროხაი ყოველივე, მერმეცა და პირ'ეტყუნი ველისანი.

9. მფრინველნი ცისანი და თევზნი ზღვისანი, რაჲდენნი ვლენან ალაგებსა მას ზღუათასა.

10. უფალო, უფალო ჩუენო, ვითარ საკჳრველ არს სახელი შენი ყოველსა ქუეყანასა ზედა.

ფსალმუნი 22

1. უფალმან მმწყსოს მე და მე არაი მაკლდეს.

2. ადგილსა მწუანჳილოანსასა მუნ დამამკჳიდრა მე; წყალთა ზედა განსასუენებელთასა გამომზარდა მე.

3. მოაქცია სული ჩემი და მიძღოდა მე გზათა სიმართლისათა სახელისა მისისათჳს.

4. ვიდოდი ღათუ შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ; კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან — ამათ ნუგეშინის-მცეს მე.

5. განჰმზადე წინაშე ჩემსა ტაბლა წინაშე მაჭირეებელთა ჩემთა; განაპოხე ზეთითა თაჳი ჩემი და სასუმელმან შენმან დამამთრო მე ვითარცა ურწყულმან.

6. წყალობა შენი, უფალო, თანა-მავალ მეყაენ მე ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა, დამკჳიდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა, განგრძობასა დღეთასა.

ფასლმუნი 18

2. ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყაროი.

3. დღე დღესა აუწყებს სიტყუასა და ღამე ღამესა მიუთხრობს მეცნიერებასა.

4. არა არიან თქუმულ არცა სიტყუა, რომელთა-იგი არა ესმა ხმაი მათი.

5. ყოველსა ქუეყანასა განჳიდა ხმაი მათი და კიდეთა სოფლისათა — სიტყუანი მათნი.

6. მზესა აღდგა კარავი თჳისი; და თავადი, ვითარცა სიძე რაი გამოვალნ ეზოით თჳისით, იხარებდეს იგი, ვითარცა გმირი სრბად გზასა.

7. ცის კიდითგან არს გამოსლვაჲ მისი და მიწევნა მისი ვიდრე კიდედ ცისამდე; და არა არს, ვინ დაეფაროს სიცხესა მისსა.

8. შჯული უფლისაჲ უბიწო არს და მოაქცევს სულთა; წამებანი უფლისანი სარწმუნო არიან და გონიერ ყენიან ყრმანი.

9. სიმართლენი უფლისანი წრფელ არიან და ახარებენ გულთა; მცნებაჲ უფლისაჲ ბრწყინვალე არს, განმანათლებელ თუალთა.

10. შიში უფლისაჲ წმიდა არს და ჰგიეს იგი უკუნითი უკუნისამდე; განკითხვანი უფლისანი ჭეშმარიტებით არიან და განმართლებულ მის თანა.

11. გულის-სათქუმელ არიან უფროჲს ოქროჲს და ანთრაკთა პატიოსანთა ფრიად და უტკბილეს უფროჲს თაფლისა და გოლეუულისა.

12. და რამეთუ მონამანცა შენმან იცენეს ესე, დაცვასა მათსა მოსაგებელ მრავალ.

13. შეცოდებანი ვინ-მე გულისხმა-ყენეს? საიდუმლოთა ჩემთაგან განმწმინდე მე.

14. და უცხოთაგან იცევ მონა შენი; არა თუ მეუფლნენ, მაშინ უბიწო ვიყო მე და განეწმიდნე მე ცოდვისაგან დიდისა.

15. და იყვნენ შენდა სათნო სიტყუანი პირისა ჩემისანი და ზრახვანი გულისა ჩემისანი შენ წინაშე მარადის, უფალო, მწეო ჩემო და მხსნელო ჩემო.

ფსალმუნი 89

1. უფალო, შესაეედრებელ მეყავ ჩუენ ნათესავითი ნათესავამდე.

2. პირველ მთათა დაბადებადმდე და შექმნად ქუეყანისა და სოფლისა და საუკუნითგან და უკუნისამდე შენ ხარ.

3. ნუ მიაქცევ კაცსა სიმდაბლედ და სთქუ: მოიქეცით, ძენო კაცთანო.

4. რამეთუ ათასი წელი წინაშე თუალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე, რომელ წარხდა და ვითარცა სახუმილავი ერთი ღამესა შინა.

5. წელნი მათნი შეურაცხებით იყუნენ, განთიად ვითარცა მწუანე წარხდეს.

6. განთიად აღყუაედეს და წარხდეს, მწუხრი დაჭნეს, განხმეს და დაცვივნეს.

7. რამეთუ მოვაკლდით ჩუენ რისხვითა შენითა და გულის წყრომითა შენითა შეეძრწუნდით.

8. დასხენ უშჯულოებანი ჩუენნი წინაშე შენსა და ცხოვრებაჲ ჩუენი — ნათელსა პირისა შენისასა.

9. რამეთუ ყოველნი დღენი ჩუენნი მოაკლდეს, და რისხვითა შენითა მოვაკლდით ჩუენ; წელნი ჩუენნი ვითარცა დედაზარდლი იწურთიდეს.

10. დღენი წელიწადთა ჩუენთანი მათ თანა სამეოცდაათ წელი, ხოლო უკუეთუ ძლიერებასა შინა, ოთხმეოც წელ, და უმრავლესი მათი შრომა და სალმობაჲ; რამეთუ მოვიდა ჩუენ ზედა სიმშვიდე, და ჩუენ განვისწავლენით.

11. ვინ-მე უწყის სიმტკიცე რისხვისაჲ შენისაჲ და შიშითა შენითა გულის წყრომისა შენისა აღრიცხვა ?

12. მარჯუენე შენი ესრეთ მაუწყე მე და გულითა სწავლულთა – სიბრძნე შენი.

13. მოიქეც, უფალო! ვიდრემდის? და ნუგეშინისცემულ იქმენ მონათა შენთა ზედა.

14. აღვივსენით ჩუენ ცისკარსა წყალობითა შენითა, უფალო, და ვიხარებდეთ და ვიშუებდით. ყოველთა დღეთა ჩუენთა ვიხარებდეთ.

15. მათ დღეთა წილ, რომელთა დამამდაბლენ ჩუენ და წელთა, რომელთა ვიხილეთ ჩუენ ძვირი.

16. და მოხედენ მონათა შენთა ზედა და ქმნულთა შენთა ზედა და წარუძღვენ ძეთა მათთა.

17. და იყავნ ნათელი უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ ჩვენ ზედა, და საქმენი ხელთა ჩვენთანი წარკმართენ ჩუენ ზედა და ქმნული ხელთა ჩუენთა წარგვიმართე.

ფსალმუნი 136

1. მდინარეთა ზედა ბაბილოვნისათა მუნ დაესხედით და ვტიროდეთ, რამეთუ მოეიხსენეთ ჩუენ სიონი.

2. ძეწნთა ზედა შორის მისსა მუნ დაჰკიდენით საგალობელნი ჩუენნი;

3. რამეთუ მუნ მკითხვიდეს ჩუენ წარმტყუენელნი ჩუენნი სიტყუათა მათ ქებათასა, და წარმყვანებელნი ჩუენნი გალობასა; გვიგალობდით ჩუენ გალობათა მათგან სიონისათა!

4. ეითარ-მე ვგალობდეთ გალობასა უფლისასა ქუეყანასა უცხოსა?

5. უკუეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ, დაივიწყენ მარჯუენეცა ჩემი!

6. აექუნ ენაჲ ჩემი სასასა ჩემსა, არა თუ მოგიხსენო შენ და არა თუ პირველ განგებულ ვყო იერუსალემი, ეითარცა-იგი დასაბამსა მას სიხარულისა ჩემისასა!

7. მოიხსენენ, უფალო, ძენი ედომისნი და დღე იგი იერუსალემისაჲ, რომელნი იტყოდეს: დაარღვით, დაარღვით მისაფუძვლადმდე მისა!

8. ასულო ბაბილოვნისაო, უბადრუკო, ნეტარ არს, რომელმან მიგაგოს შენ მისაგებელი შენი, რომელ შენ მომაგე ჩუენ!

9. ნეტარ არს, რომელმან შეიპყრნეს ჩჩვილნი შენნი და შეახეთქნეს კლდესა!

ფიქრი და დისკუსია

გაიაზრეთ

1. მე-8 ფსალმუნი მკაფიოდ მიანიშნებს ღმერთის მიერ სამყაროს დაბადებაზე. აღწერეთ ეს შესაქმე (იგივე დაბადება) უფლისგან განჩინებული თანამიმდევრობით, როგორც ეს მე-8 ფსალმუნშია წარმოდგენილი.

2. მე-18 ფსალმუნი უფლის ქმედებას ორი მკაფიო მიმართულებით განადიდებს. რომლებია ისინი?

3. როგორი განსხვავებული წარმოსახვაა შემოთავაზებული 22-ე ფსალმუნში რწმენის, ღვთისგან მფარველობისა და კეთილდღეობის თვალსაზრისით?

4. დროის რიგორი სწრაფწარმავლობაა აღწერილი 89-ე ფსალმუნში?

5. რა ისტორიული მოვლენაა 136-ე ფსალმუნის ფონი?

გააანალიზეთ

6. როგორ უკავშირდებიან მე-18 ფსალმუნში ერთმანეთს უფლის მიერ შექმნილი სამყარო და მისგანვე დადგენილი მორალური კანონები?

7. რაზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი 22-ე ფსალმუნში მითითებული მუხლების მიხედვით: მუხლი 1, მუხლი 3, მუხლი 5.

განაზოგადეთ

8. რა დეტალებია წარმოდგენილი ღვთის ძლიერების შესაცნობად და ადამიანის მისდამი დამოკიდებულების გამოსახატავად მე-8, მე-18, 22-ე, 89-ე და 136-ე ფსალმუნებში? შეგიძლიათ წარმოადგინოთ სქემით, სადაც ცარიელ წრეებში ჩაწერთ თქვენ მიერ გამოყოფილ დეტალებს:

გაითვალისწინეთ, რომ, ფსალმუნთა შინაარსიდან გამომდინარე, არ ხართ შეზღუდულნი, გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულებაც.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

მეტაფორა

როგორც არაერთხელ ითქვა, მეტაფორა პოეტური მეტყველების სახეა; იგი გამოხატავს მსგავსებას იმ საგნებს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან არსებითად არიან განსხვავებულნი. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტრიქონი:

„აეთანდილ მკერდსა დაასხა მას <u>ლომსა</u> სისხლი ლომისა“.

აქ ლომში იგულისხმება ტარიელი, რომელიც მხოლოდ ძლიერებისა და სიმამაცის და არა სხვა რაიმე ნიშნის გამო იწოდება ლომად. ამიტომ ამ კონტექსტში გულადი მოყმისა და ვულადი მხეცის ერთმანეთთან დაკავშირება მეტაფორაა, რადგან არაა გამოყენებული ისეთი მეტყველების ნაწილები, რომლებიც შედარებაზე მიანიშნებენ, კერძოდ: ისეთიები, ვით ან როგორც. მაგალითად: ყორნის ფრთასავით შავი წამწამები შედარებაა, ხოლო რუსთაველისაეე სტრიქონი: „ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო ფრთათა“ – მეტაფორა.

ზოგჯერ მეტაფორა რთულია ანუ განერცობილი. რთული მეტაფორა მარტივის შემდგომ გაშლასა და გაღრმავებას გულისხმობს. ერთ-ერთი ასეთი გაერცობილი მეტაფორის ნიმუში 22-ე ფსალმუნშია მოცემული.

1. როგორაა განერცობილი მეტაფორა 22-ე ფსალმუნში?
2. რომელია მასში მთავარი შედარება?

დავალება

1. გეერდიგეერდ სვეტებად ჩაიწერეთ მე-8, მე-18, 22-ე, 89-ე და 136-ე ფსალმუნების ძველი და ახალი ქართული თარგმანები.
2. შეადგინეთ არქაული სიტყვების მცირე ლექსიკონი.
3. მოიპოვეთ ინფორმაცია მოცემულ ფსალმუნებში წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელების შესახებ. გამოიყენეთ სხვადასხვა ხასიათის ლექსიკონები, ენციკლოპედიები ან სპეციალური ლიტერატურა.



გიორგი მერჩულე

(X ს.)



არქიმანდრიტი წმ. გრიგოლ ხანცთელი

მწერალი, საეკლესიო მოღვაწე, ავტორი ჰაგიოგრაფიული თხზულებისა „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“. წმ. გრიგოლ ხანცთელის სახელთან დაკავშირებულია სამხრეთ საქართველოში გაშლილი სამონასტრო კოლონიზაცია VIII საუკუნის მიწურულსა და IX საუკუნეში. ეს ის ხანაა, როცა მრავალად დაარსდა მწიგნობრობის კერები. ამ მონასტრებში შექმნილი სულიერი ფასეულობანი საუკუნეთა განმავლობაში ასაზრდოებდნენ ქართულ კულტურას.

ფიქრობენ, რომ წმ. გრიგოლის ცხოვრება 951 წელს აღწერა გიორგი მერჩულემ. ამ საქმეში მისი დამხმარენი იყვნენ ხანცთის მაშინდელი წინამძღვარი თეოდორე და მისი ძმა იოანე. 958-966 წლებში „ცხოვრება ესე განაახლა სასწაულთა შერთვით“ ბაგრატ ერისთავთ-ერისთავმა, ადარნასე კურაპალატის ძემ.

ვარაუდობენ, რომ სიტყვა „მერჩულე“ ნიშნავს სჯულის მეცნიერს, რჯულის დამცველს, კანონიკური სამართლის მცოდნეს. გიორგი მერჩულე პოეტი-ჰიმნოგრაფიც ყოფილა. მიქელ მოდრეკილის (X ს.) 978-988 წლებში შექმნილ კრებულში ერთ ტექსტს აწერია „მერჩულიული“, მეორეს – „უცხონი მერჩულიულნი“. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ჰიმნები ან მერჩულეს ეკუთვნის, ან იმ ფორმითაა დაწერილი, რომელიც გიორგი მერჩულემ დანერგა.

ჰაგიოგრაფმა თხზულებაში მრავალი საგულისხმო ცნობა შემოგვინახა ქათული მწერლობის, არქიტექტურისა და მაშინდელი სწავლა-განათლების შესახებ. დასახელებულია ოთხი მწერალი – სოფრონ

შატბერდელი, ილარიონ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი და სტეფანე მტბევარი, რომელთაგან თანამედროვენი მოელოდნენ თურმე წმ. გრიგოლის ცხოვრების აღწერას. ნახსენებთაგან სტეფანე მტბევარის თხზულებაც შემოგვრჩა („წმ. გობრონის წამება"); დასახელებულია თუ ციტირებულია ბიზანტიური მწერლობის მრავალი საყურადღებო ძეგლი, რომელთაც მაშინდელი საზოგადოება დიდი ინტერესით ეცნობოდა.

მართალია, „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება" საკმაო მასალას გვაწვდის ეპოქის ისტორიის შესასწავლად, აეტორი უპირატესად მაინც მხატვრული სიტყვის ოსტატია. გიორგი მერჩულე ხშირად კეკცს, ან სრულიად გვერდს უვლის, იშვიათად ცელის კიდეც თავის პერსონაჟთა, მათ შორის, ისტორიულ პირთა ცხოვრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფაქტებს, საკმაგიეროდ დიდ დროსა და ყურადღებას უთმობს მოქმედების ფონსა და სიერცეს, პერსონაჟთა ცხოვრების ფსიქოლოგიურ მხარეს, შინაგან სულიერ მოტივებსა და დეტალებს, უმაღლეს ჭეშმარიტებასთან ზიარებისაკენ სწრაფვას.

თხზულების უძველესი, ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი XII საუკუნისაა. იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის მანუსკრიპტიდან ტექსტი გადმოიღო და 1911 წელს გამოსცა ნიკო მარმა. შემდგომ კიდევ არაერთხელ განხორციელდა ამ უნიკალური ნაწარმოების გამოცემა.

გიორგი მერჩულე

წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება

(ნაწყვეტი)

სამონასტრო მშენებლობისა და ბერმონაზვნური ცხოვრებისათვის ქართლიდან ოპიზაში წასვლამდე წმ. გრიგოლ ხანცთელმა თანამოაზრეებად „პოვნა მოყვასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტეს მადლისაჲთა საბა, რომელსა ეწოდა საბან, დედის დისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშენებელი და ეპისკოპოსი მისი, და თევდორე, ნეძვისა მაშენებელი და მამაჲ, და ქრისტეფორე, კვირიკეთისა მაშენებელი და მამაჲ. ესე ოთხნი შეანაწევრნა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყუარულმან შეამტკიცა ერთ ზრახვად შეკრებულნი, ვითარცა სული ერთი, ოთხთა გვამთა შინა დამტკიცებული“.

მაშინ ნეტარმან გრიგოლ თქვა სიტყვა იგი დაეითისი, ვითარმედ:

„რაჲ — მე კეთილ, ანუ რაჲ — მე შევნიერ, არამედ დამკვიდრება ძმათა ერთად“! (ფსალმ. 132.1). რამეთუ ვითარცა თქვა ქრისტემან სახელისა მისისათვის შეკრებულთა შორის დამკვიდრება თვისი, ეგრეთვე იყავნ ჩვენ შორის თავადი უფალი, რაჲთა სათნო იყოს სულიერი ესე საგრობაჲ[1] ჩვენი უცხოებასა შინა და რაჲთა შეწირულ იყოს მსახურება ჩვენი სათნოდ მის წინაშე...

ქრისტემან აღუთქვა მოწაფეთა თვისთა, ვითარმედ — „მე თქვენ თანა ვარ ყოველთა დღეთა“, და არა ხოლო თუ თქვენ თანა ოდენ, არამედ „ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ ყოველთა თანა მორწმუნეთა (მათე 28,20.)..

ნეტარმან მამამან გრიგოლ ხანცთას პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაჲ და შემდგომად საყუდელი თვისი და თითო სენაკები ძმათა მათთვის მცირე და ერთი სენაკი საოსტიგნედ[2] დიდი.

---

[1] საგრობაჲ — ბრძოლა.

[2] საოსტიგნე — სასადილო, სატრაპეზო, პურობის ადგილი, საკუჭნაო.

[3] მუშაკნი მეათერთმეტისა ჟამისანი — ეს სიტყვები გამოძახილია სახარების იგავისა (მათე 20.1-16), რომელშიც ნათქვამია, რომ ენახის პატრონმა მუშაკები დაიქირავა განთიადზე. დღის სხვადასხვა მონაკვეთში მან კვლავ იქირავა მუშაკები, სულ ბოლოს კი ღამის თერთმეტ საათზე გაურიგდა მოჯამაგირეებს. როცა ყველას გაუსწორდა, მეთერთმეტე ჟამის მუშაკებსაც იმდენივე მიუზღო, რამდენიც განთიადზე მოსულთ. იგავი გვასწავლის, რომ არასდროსაა გვიანი ღვთის სამსახურში ჩადგომა, რადგან ღვთიური სამართალი თანაბრად მიეზღვება ჭეშმარიტების მსახურთ. კონკრეტულ ეპიზოდში იგულისხმება, რომ წმ. გრიგოლის საძმოს ემატებოდნენ მეთერთმეტე ჟამის მუშაკები საღვთო გზაზე სამოღვაწეოდ.

და დღითი დღე აღორძნდებოდეს ძმანი, რამეთუ შეეძინებოდეს უფალსა მუშაკნი მეათერთმეტისა ჟამისანი[3] მოქმედად ჭეშმარიტსა მას ვენახსა და თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ მართალთა და მონაწილე წმიდათა მოწამეთა, მხნდებოდეს რაი ღვაწლსა მას მონაზონებისასა მსგაესად წმიდათა მოწამეთა და უფროის მათსა, რამეთუ მარტეილნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესენი ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათვის ქრისტესისა, ვითარცა დავით იტყვის: „შენთვის მოვსწყდებით ჩვენ მარადღე“ (ფსალ. 43.22), და პაელე იტყვის: „მარადღე ქრისტესთვის მოვკვდები“ (რომ. 8.36). უკეთუმცა არა იყო დაუცხრომელი ბრძოლა წმიდათაი, არამცა მოიხსენეს ბრძოლაი იგი სიკვდილად მარადღე. „რამეთუ ხორცთა გული უთქვამს სულისათვის და სულსა ხორცთათვის და ესე მხდომნი[4] არიან ურთიერთას“ (გალატ. 5.17), – სიტყვისაებრ მოციქულისა, რამეთუ „რაი სულისა აღმოფშვინება – მადლი იქმნების, და რაი სულისა აღმოფშვინება – ბრალი იქმნების ჩვენ შორის“ (II კორინთ. 12.7). ამისათვისცა ანგელოზ მხდომ სახელ სდებს პაელე გონებასა კაცთასა და ვითარცა თავისა თვისისათვის ქადაგებს, ეგრეთვე ყოველთათვის იტყვის, რამეთუ ოდესმე წმიდათა ანგელოზთა გონებაი პოვის ჩვენ შორის და ოდესმე – ეშმაკთაი. ამისთვისცა ქრისტემან უბრძანა პეტრე მოციქულსა – არა თუ შვიდგზის ოდენ შეუნდო ძმათა დღესა შინა, არამედ სამეოცდაათჯერ შვიდგზისო (მათე 18.22).

და ამათ ესეითართა ვნებათა, დაფარულთა და ცხადთა მხდომისა ღონეთა ძლიერად ეწყვებოდეს ღირსნი ესე მამანი, მოთმინენი მრავალსახეთა ჭირთა და მწუხარებათა ქრისტესთვის..

მაშინ ნებითა ღმრთისაითა განმრავლდებოდეს ძმანი ქრისტეს მსახურნი. ხოლო მამაი გრიგოლ არაეის უდებთაგანსა[5] შეიწყნარებდა, არამედ პირველად გამოცადის ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა და, უკეთუ იპოეის გულითა უმანკოითა, უზაკველი[6] და უდრტვინველად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, იგი შეიწყნარის სიხარულით. ამისთვისცა ყოველნი მოწაფენი მისნი კეთილ იყვნეს ფრიად და ღირსად შემწყნარებელ სათნოებათა მისთა წმიდათა. და ემსგავსებოდეს მოძღვარსა კეთილსა, ვითარცა მოძღვარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა, რომელიცა იტყვის: „ჰმა არს მოწაფისა მის, იყოს თუ ვითარცა მოძღვარი თვისი“ (მათე 10.25).

---

[4] მხდომი – წინააღმდგომი, მბრძოლი.

[5] უდები – უდიერი, ზარმაცი, დაუდეარი.

[6] უზაკველი – არაცბიერი.

და ესრეთ კეთილად ცხონდებოდეს იგინი სულიერად, ხოლო ხორციელად დიდსა იწროებასა იყვნეს.

და მათ ჟამთა მფლობელი იყო ამათ ქვეყანათა ღმრთისმსახური ხელმწიფე დიდი ბაგრატუნიანი – აშოტ კურაპალატი[7] კეთილად მორწმუნეი, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მოავრობა მისი და შვილთა მისთა ვიდრე უკუნისამდე ჟამთა. და ხელმწიფისა მის წინაშე და შვილთა მისთა, დიდებულთა მათ ხელმწიფეთა, წინაშე შეუსწაველელ იყო წმიდაი გრიგოლ.

ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქვა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული, და აწ ნათესაეთა მისთა ჰრქვიან დაფანჩულნი. ესე აზნაური შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვნებითა, და ყოველსა ზედა საქმესა განმარჯვებითა და კეთილადმორწმუნეობითა ქებულ იყო.

ამას აქუნდეს ზოგნი სოფელნი მახლობლად ვანსა ნეტარისა გრიგოლისსა, რომელმანცა მოწაფეთა თვისთა უპოვარება იხილა რაი, მიიწია ნებითა ღმრთისაჲთა სახლსა გაბრიელ დაფანჩულისასა. ხოლო იგი შინა არა დახვდა, არამედ ღვთისმოყუარე მეუღლე მისი მარიამ სარწმუნოებით მოეგება მამასა ჩვენსა გრიგოლს და ჯეროვნად პატიე სცა და მრავლითა კეთილითა განუტევა. და თანა კაცნი წარმოაყვანნა შესასწავლელად და ჰრქვა:



წმ. აშოტ I კურაპალატი

– წმიდაო მამაო, ამათ კაცთა ასწავე გზაი მონასტრისა შენისაი და საღვაწი სულიერთა შვილთა შენთა უზრუნველ იყოს შენგან, რამეთუ არა დაგაკლდეს სახლისაგან ჩვენისა, არამედ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა ხსენებულ გვყუენით უფალი ჩემი გაბრიელ და მე, მხევალი შენი, და შვილნი ჩვენნი.

და ესრეთ სიხარულით მივიდა, მონასტრად თვისა მამაი გრიგოლ და განიხარეს ძმათა მათ ფრიად, რამეთუ ღმერთმან პატიე სცის მადიდებელთა თვისთა.

[7] აშოტ კურაპალატი – ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი ტაო-კლარჯეთში. IX ს-ის 20-იან წლებამდე ქართლის ერისმთავარი იყო. ებრძოდა არაბებს, რის შემდეგაც ტაო-კლარჯეთში გადაინაცვლა, რომელიც ბიზანტიის გაელენის ქვეშ იმყოფებოდა. რეზიდენციად არტანუჯის ციხესიმაგრე აირჩია. კურაპალატის წოდება ბიზანტიის საიმპერატორო სამეფო კარისგან მიიღო. მოკლეს 826 წელს.

ხოლო რაჟამს მოიწია სახედ თვისა გაბრიელ მთავარი, მაშინ აუწყა ღმრთისმოყვარემან მეუღლემან მისმან ნეტარისა მამისა გრიგოლის მოსლვა და ვითარ-იგი მან სიხარულით განუტევა. და ვითარცა ესმა ესე დიდებულსა მას აზნაურსა, მაღლი შეწირა ღმრთისა წმიდისა მის შესელისათვის სახლსა თვისსა და აკურთხა მეუღლე თვისი. და მსწრაფლ ხოლო დაწერა წიგნი ვედრებისა და წარაველინნა კაცნი კეთილნი, რაითა კვალადცა ბრძანოს სახლსა მისსა. ხოლო მამაი ჩვენი ნეტარი გრიგოლი მორჩილ იქმნა სიტყვათა მისთა და წარჰვედა კაცთა მათ მოელინებულთა.

და ვითარცა ესმა მისლვაი ამის ნეტარისაი, აღდგა და მიეგება წინა გაბრიელ, აზნაური მეფისაი, და თაყვანი სცა სიხარულით და ამბორს უყოფდა წადიერად სელთა მისთა წმიდასა მას, და წარიყვანა პატივით სახედ თვისა და მრავალთა ღღეთა განუსვენა. და წარმოუდგინა წინაშე მისსა ოთხნი იგი ძენი თვისნი, ყოველად კეთილნი და ყოველითავე მსგავსნი გაბრიელ მამისა მათისანი: პატრიკ, გვარამ, არშუშა და აბულასათ. და ჰრქვა ნეტარსა გრიგოლს:

– წმიდაო ღმრთისაო, აკურთხენ ესენი წმიდათა ხელთა შენთა დასხმითა. ვითარცა ისრაელ იოსების ძენი აკურთხნა[8], ეგრეთვე შენ ყოველნი შვილნი ჩვენნი აკურთხენ ჩვენ – მშობელთა მათთა თანა!

და ვითარცა იხილა წმიდამან მან ფრიადი სარწმუნოებაი კურთხეულთა მათ მეუღლეთა და შვილთა მათთაი, მაშინ აღდგა სიხარულისა ცრემლითა სავსეი და აღიპყრნა წმიდანი ხელნი თვისნი ცისა მიმართ და ჰრქვა:

– უფალო! საუკუნითგანთ წმიდათა შენთა მორწმუნენი შენნი, რომელნიცა იკურთხნიან, სიტყვა მათი საქმით აღასრული. აწცა, უფალო, მოხედე ლოცვასა ჩემსა, გლახაკისა მონისა შენისასა და ლოცვითა ყოველთა წმიდათა შენთაითა აკურთხენ მშობელნი შვილითურთ და შვილნი მშობელთა თანა, კეთილად მორწმუნენი ესე და მადიდებელნი წმიდისა სახელისა შენისანი. ეითარცა აკურთხე სახლი ნოეე მართლისა [9] და

---

[8] ისრაელ იოსების ძენი აკურთხა – ებრაელი ერის მამამთავრის, იაკობის სახელი ისრაელიც იყო. სიკვდილის წინ მან დალოცა ეგვიპტეში გაყიდული თავისი მეთერთმეტე ძის, იოსების ვაჟები; შემდეგ კი იწინასწარმეტყველა, თუ რა ელოდა თავის თორმეტივე ძეს მომავალში.

[9] ნოეე მართალი – პირველადამიანის ანუ ადამის მეათე, წარღვნამდელი შთამომავალი. როდესაც უფალმა დაინახა, რომ იმატა ადამიანთა უკეთურებამ, გადაწყვიტა, მიწის პირისაგან აღეგვაა ისინი. მხოლოდ ნოეს ეპოვა მადლი უფლის თვალში. ღმერთმა ასწავლა, თუ როგორ აეგო კიდობანი და გადაერჩინა ყველა სულიერი (დაბ. 6.5–22.).

აბრაჰამ მამათმთავრისაჲ[10] და ყოველთა ნებისმყოფელთა შენთაჲ, ღმერთო დიდებისაო, იგივე კურთხეულ საუკუნოჲ დაამკვიდრე ამათ შორის და უხვად მიანიჭე კეთილი ქვეყანისაჲ დღეგრძელებასა შინა და კეთილი ზეცისაჲ დაუსრულებელი, და ჩვენთვის წყალობაჲ ყავ. ამენ.

და ჯვარი დასწერა ყოველთა და დაჯდა. მაშინ გაბრიელ ჰრქუა წმიდასა მას:

– ქრისტემან საქმით დაამტკიცენ სიტყუაჲ ბაგეთა შენთაჲ, ღირსო მამაო, და ჩვენ მოგვეცინ უფალმან გულსმოდგინედ მსახურებაჲ სიწმიდისა შენისაჲ, რაჲთა სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ ჩვენ შორის აღესრულოს, ვითარმედ – „თქუენი ნამეტნაჲი[11] მათისა ნაკლულევანებისაჲ და მათი ნამეტნავი თქუენისა ნაკლულევანებისაჲ“ (II კორინთ. 8.14). აწ ჩვენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შევზავნეთ ურთიერთას. თქუენ მონაწილე გუყუენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა ცხორებასა ამას და შემდგომად სიკვდილისა, და ძვალნი ჩვენნი ღირს ყუენით დასხმად წმიდათა თანა ძვალთა თქუენთა, და ლოცვა ჩვენთჳს უკუნისამდე განაწესეთ მონასტერსა თქუენსა. და ჩვენ აღგითქვამთ ცხორებასა ჩვენსა და ცხორებასა შჳილთა ჩვენთასა, შჳილითი შჳილადმდე თანაგვაც თქუენი ღუწაჲ და მონასტრისა თქუენისაჲ ჟამთა უკუნისამდე. არამედ, წმიდაო მამაო, სავანე კეთილი, ადგილი დედათათჳს სამკვიდრებელად გამონახეთ, რაჲთა ესე მცნებაჲ იყოს ჩვენ შორის ნათესაჲსა ჩემისა: უკეთუ მოწესე მამაკაცი იყოს, სამკვიდრებელად მისა ხანძთა იყოს, და უკეთუ ერისა ჩემისა მოწესეჲ დედაკაცი იყოს, მუნ დაემკვიდროს, რომელიცა შენ გამოაჩინო ქუეყანასა ამას ადგილი შენ მიერ კურთხეული. და ვითარცა მიცვალებულთა მამათათჳს ხანძთა განმიწესებია, ეგრეთვე იყოს სამარხაჲ მიცვალებულთა დედათაჲ აწ შენებულსა მას.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიებაჲ ყო გულსმოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობელად, ჯვარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათაჲ, რომელსა აწ ჰრქჳან გუნათლის ვანი. და ჟამისმწირველი მღდელი ვანისა მისთჳს ხანძთითა განაწესა ნეტარმან გრიგოლ ვედრებითა გაბრიელისითა.

---

[10] აბრაჰამ მამამთავარი – ებრაელი ერის მამამთავრის, იაკობის პაპა, რომელმაც ღვთისმოსაობისა და მორჩილების გამო მადლი მოიპოვა უფლის თჳალში. ღმერთმა აღუთქვა, რომ მისი შთამომავლობა გამრავლდებოდა და გამდიდრდებოდა, ხოლო თავად კი ტკბილ სიბერეს მიწევნული დაიმარხებოდა (დაბ. 15.14-15.)

[11] ნამეტნაჲი – ჭედმეტი.

* * *

ხოლო გაბრიელ, დიდებულმან აზნაურმან, ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მამაჲ გრიგოლ და მოსცნა კირითხურონი[12] და ნიეთი ყოველი ქვითკირისა ეკლესიისა საშენებელად. და ესრეთ მოვიდა მამაჲ გრიგოლ თჳისსა ვანსა. და განიხარეს მოწაფეთა მისთა, მადლი მისცეს ქრისტჱსა და ულოცვიდეს მოღვაწეთა მათ.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიოჲ დაავაკა... და ჯვარი დასწერა ადგილსა წმიდისა ეკლესიისა და იწყეს შენებად. და ესრეთ კეთილად განსრულდა ძველი იგი ეკლესიაჲ ხანძთისა შეწევნითა ქრისტჱსითა და მეოხებითა წმიდისა გიორგისათა[13] და ლოცვითა ნეტარისა მამისა გრიგოლისითა, ხოლო ხორციელად მოღვაწებითა დიდებულისა გაბრიელ მთავრისაჲთა და ყოველთა მართლმორწმუნეთაჲთა.

მას ჟამსა ყოველთა მათ წმიდათა უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შენებად და წმიდათა ეკლესიათა, და ესრეთ განმრავლდეს მსახურნი წმიდისა სამებისანი და მარადის მადიდებელნი.

ხოლო სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედა ფებრონია მოიწია სამცხით და დაემკჳიდრა მერეს შინა. და ღირსად ცხორებისა და სულიერად განგებისა მისისა არა იყო საზღვარ. და საღმრთოჲთა სიყვარულითა წმიდითა ერთზრახჳა და მეგობარ იყუნეს ფრიად ნეტარნი ესე ღმრთისაჲ კაცნი – დედაჲ ფებრონია და მამაჲ გრიგოლ და ხუცესი მერისაჲ ხანძთით არნ.

* * *

და ვითარცა ხორციელად შეემატებოდა, ეგრეთვე სულიერად შეეძინებოდა რიცხჳსა მას წმიდათა კაცთასა. რამეთუ მას ჟამსა მოვიდეს მამაჲ ეპიფანე და მღდელი მატოჲ ქართლით და დიდი ზენონ სამცხით. რამეთუ ეპიფანე და მატოჲ პირველვე მეგობარ იყუნეს ამის წმიდისა და სახელსა მისსა მოვიდეს ხანძთად.

ხოლო ზენონ შვილი იყო საჩინოჲსა ვისიმე კაცისაჲ სამცხეს და ღმრთისმსახურებით აღზრდილ იყო და სიწმიდით იქცეოდა. რამეთუ საღმრთო შიში მკჳდრ იყო მის შორის. და სწადდა მონაზონება აღთქმისაებრ აღთქმისა მმარხველთაჲსა. და ვითარცა აღესრულნეს მშო-

---

[12] კირითხურონი – კალატოზები.

[13] წმიდა გიორგი – წმიდა დიდმოწამე გიორგი კაპადოკიელი, ქრისტეს მხედარი. ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის თანახმად, იგი იყო მხედართმთავარი რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს კარზე. ქრისტიანობის ერთგულების გამო აწამეს 302 წელს.

ბელნი მისნი, მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მის თანა. და ზენონ გულს ეტყოდა, რაჲთამცა მამული და დედული მონაგები დასა თჳისსა დაუტევა ნებისაებრ მისისა და თჳითმცა იქმნა მონაზონ უცხოებასა შინა.

და ვითარ ამას განიზრახვიდა ზენონ, დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჯვებითა შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველ წარვიდის შავშეთს. ხოლო ზენონ, ვითარცა ცნა, შეიჭურა საჭურველთა მარტოდ და ამხედრდა ცხენსა და დევნა უყო. და ვითარ დიდი ქვეყანაჲ ვლო, თქვა გულსა თჳისსა, ეითარმედ: „ვარ მე ჭაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ[14] არს. დაღაცთუ ვეწიო და მოვკლა, საბრხე არს სულისა ჩემისაჲ, და უკეთუ ცუდად უკუნვიქცე სახედ ჩემდა, სირცხვილ არს ჩემდა. არამედ აღთქმა მონაზონებისაჲ აწ აღუსრულო უფალსა".

და ახოვან იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევება სისხლითა დათხევასა ემსგავსების. და დაიწერა ჯჳარი ხორცთა თჳისთა და წარემართა საღმრთოსა მას გზასა და მიიწია წინაშე დედისა ფებრონიაჲსა მერეს, რამეთუ იყო იგი სახლისა მისისაჲ[15] და ნებითა ღმრთისაჲთა მუნ იყო მამაჲ გრიგოლ, და დედამან ფებრონია შეაწყნარა წმიდასა მას უმანკოჲ იგი კრავი მწყემსსა მას კეთილსა, რომელმანცა მოიყვანა ხანძთად, ადგილსა მას მწვანვილსა ღმრთისა მადლისასა დაამკვიდრა და წყალთა ზედა განსასვენებელთა სულისა წმიდისათა გამოზარდა იგი.

ესე ნეტარი ზენონ მიიწია მოხუცებულებასა და ვიდრე აღსასრულამდე არა განეშორა, ხანძთასა ჭეშმარიტად სულიერი შვილი, მსგავსი მამისაჲ, კეთილი მოწაფეჲ, ნაცვალი მოძღვრისაჲ, ნეტარი, სათნოებათა საუნჯეჲ, მონაზონებისა წესი წმიდაჲ, კლარჯეთისა უდაბნოთა ზღუდეჲ, სულთა უკეთურთა მაოტებელი. რამეთუ ცხორებასა მისსა და ცხორებასა მოძღვრისა მისისასა ვერ იკადრებდა ეშმაკი დაცემად კაცთა წმიდათა ამათ შინა ადგილთა.

ესე ახოვანი შემდგომად მიცვალებისა მეოხი არს ჩვენი საუკუნოდ უფლისა მიმართ მოყვასთა მისთა თანა, რომელნი იყვნეს მსგავსნი მისნი, მოწაფენი მამისა გრიგოლისა, ღირსნი და სასწაულთა მოქმედნი, მოთმინებისა სვეტნი შეურყეველნი, ვითარცა განმტკიცებულნი დაუცემელად სვეტნი ცათანი.

---

[14] შეურაცხი — არად ჩასაგდები.

[15] იყო იგი სახლისა მისისა — ენათესაებოდა.

* * *

არამედ პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლისთა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთაი. რამეთუ სენაკთა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითო სარწყული წყლისათჳს, ხოლო სხვა ნუგეშინის საცემელი ხორცთა არაი აქუნდა საჭამადისაი და სასუამადისაი ყოველადვე, არამედ რომელი ტრაპეზსა[16] ზედა ერთბამად ჭამიან, მით იყო ცხორებაი მათი. და მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს ღვინოსა ყოველადვე და რომელნიცა მიიღებდეს, მცირედ იხმეუდეს. და სენაკებსა მათსა საკვამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა. და არცა ღამე სანთელი აღანთიან, არამედ ღამე იყო ფსალმუნებაი და დღისი წიგნის კითხვაი და ლოცვაი მარადის, ვითარცა იტყჳს დაჳით: „დღისი ამცნო უფალმან წყალობაი მისი და ღამე – გალობაი მისი“ (ფსალმ. 4.8).

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხვანი გარდაჳალნის მცირედითა კალნაბითა უმგბერითა[17]. ხოლო მრჩობლად[18] საზრდელად მისა იყო ყოველთა დღეთა მისთა – პური ნაკლულევანებით დღესა შინა ერთ ჭამის და წყალი წონითვე მცირედი. ღვინოი კელა სიყრმითგანვე არა ესვა. და უმრაელესნი სათნოებანი მისნი და მოწაფეთა მისთანი ღმერთმან მხოლომან უწყნის.

* * *

ხოლო სანატრელი დედა ფებრონია ზრუნვასა შინა იყო, რამეთუ მწყემსად მათდა ჩინებული სარწმუნო მღდელი, მამისა გრიგოლის მიჳლენილი, გარდაიცვალა. არამედ ეუწყა ღმრთისაგან, ვითარმედ – უმჯობეს მისსა აწ იყოს სხვა მღდელი მწყსად თქუენდაო. და წიგნი მიწერა ნეტარისა გრიგოლისსა და ითხოვდა მღდელსა ღირსსა. მაშინ წმიდამან მან ჰრქუა წმიდასა მატოის:

– შვილო, საყუარელო, მხედარი ვიდრე წყობასა არა შესრულ არნ, ძლევაი მისი სიმრაელისა შინა ლაშქართასა არა საცნაურ არნ, არცა მეფეთაგან ნიჭი[19] მიიღის, ხოლო ვინაითგან ახოვნად გამოჩნდის, ძალი ბრძოლისა მისისა ყოველთა ზედა საცნაურ იქმნის და ნიჭი დიდძალი

---

[16] ტრაპეზი – საერთო სუფრა.

[17] კალნაბითა უმგბერითა – უმი, მოუხარშავი ყვავილოვანი კომბოსტო.

[18] მრჩობლად – ორმაგად.

[19] ნიჭი – საჩუქარი.

მიანიჭის მას სამართლად მეფემან. და შენცა იქმენ მორჩილ სიტყვათა ჩემთა, ვითარცა ყოელადვე თავს იდევ ყოველადვე წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიასა მერეს მღდელობაჲ ვითარცა ძლევითშემოსილმან მხედარმან უფლისამან. და ეესაე[20] ქრისტესა, კეთილი ღვაწლი მოილვაწო.

ხოლო იგი ცრემლით შეუვრდა და ჰრქვა მას ლმობიერად:

— შემინდვე, მამაო, რამეთუ უწყის სიწმიდემან შენმან, არაოდეს ურჩქმნილ ვარ ბრძანებასა შენსა. ხოლო აწ ვერ ძალმიც ამისა ყოფად, რომელიცა მიბრძანე.

და წმიდამან მან ჰრქვა:

— შემძლებელ ხარ ძალითა უფლისაჲთა. აწ კეთილთა სათნოებათა შენთა თანა მოიპოვე სრული მორჩილებაჲ. ჯვარითა ქრისტჱსითა ჯვარი დამიწერია, რაჲთა მიზეზი ყოველივე დაჰხსნა.

და ვითარცა იხილა მოძღვრისა თვისისა უცილობელი ბრძანებაჲ, თვინიერ ნებისა თვისისა დაემორჩილა სიტყვათა მისთა და იქმნა მღდელ მონასტერსა დედათასა ნებითა ღმრთისაჲთა სანატრელი და სასწაულთა მოქმედი მატოი, დიდი და დიდებული საქმითა თვისითა. რამეთუ წელიწადთა ორმეოცთა მერეს მღდელობასა შინა მისსა უქმი სიტყვაჲ და უსარგებლო პასუხი არაჲის ესმა მისგან, რომელი კაცთა ცოდვად ეყოფვის.

იყო მატოჲ ოდესმე თვისსა მას საყოფელსა მახლობლად მერესა. და ცნა მოსლვაჲ მპარავთაჲ. და დღისიეე დაჰმზადა მათთვის პური და ვითარცა მოიწინეს ღამე მპარავნი იგი, ჰქრვა მათ:

— გრწმენინ ჩემი, შვილნო, წმიდაჲ ღმრთისმშობელი გიბრძანებს არა ვნებად ჩემდა, არამედ მოეედით და ჭამეთ პური, რომელი განგიმზადე თქვენ.

ხოლო ერთი იგი რომელსა მოეყვანნეს, კადნიერ იქმნა წარღებად, რაჲცა-იგი აქვნდა წმიდასა მას. და მან ჰრქვა:

— წინაშემდგომელი ვარ წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ, რომელმანცა პატიუეულ გყოს შენ, წარმდები ეგე?[21]

და მუნთქუესე დაეცა იგი მტერისაგან ბოროტისა[22]. მაშინ მოყვასნი მისნი ცრემლით შეუვრდეს წმიდასა მას, რაჲთა განკურნოს იგი. ხოლო მან ჯვარი დასწერა და ჰრქვა:

— განგკურნებს წმიდა ღმრთისმშობელი, და მსწრაფლ განმრთელდა იგი. და წმიდამან მან ჰრქვა: — საწყალობელო, რაჲსათვის წინამძღვარ ექმენ კაცთა ამათ ბოროტისყოფად ჩემდა? — და ისტუმრნა და განუტევნა მ'შვიდობით.

---

[20] ვესაე — ეეეედრები, იმედი მაქვს.

[21] წარმდები — უდიერი.

[22] მტერისაგან ბოროტისა — ეშმაკისაგან.

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. ვისთან ერთად გაეშურა წმ. გრიგოლ ხანცთელი ქართლიდან ოპიზაში სამონასტრო მშენებლობისა და ბერმონაზვნური ცხოვრების დასაწყებად?

2. რამ მისცა მათ ძალა, რომ ესოდენ რთული საქმე წამოეწყოთ და ვისი სიტყვების დამოწმებით განამტკიცებს ამ რწმენას წმ. გრიგოლი?

3. რა ააგეს ხანცთაში ახლად ჩასულმა ბერებმა უპირველეს ყოვლისა?

4. ნაწარმოების მიხედვით, ვისი ხვედრი უფრო მძიმეა – მარტვილისა თუ მოლვაწის?

5. ვის იღებდნენ, იწყნარებდნენ ბერები ახლად შექმნილ საძმოში?

6. ვინ იყვნენ ის ერისკაცები, რომლებიც ტაო-კლარჯეთში ახლად ჩასულ ბერებს დახვდნენ და რას წარმოადგენდნენ ისინი?

7. ვის ეწვია პირველად წმ. გრიგოლი და რატომ დაბრუნდა მონასტერში სიხარულით?

8. როგორ შეხვდნენ ერთმანეთს მამა გრიგოლი და გაბრიელ დაფანჩული? ვინ წარუდგინა ამ უკანასკნელმა სტუმარს და რა სთხოვა?

9. რას შეეცდრა გაბრიელ დაფანჩული ბერს და რას შეპირდა სანაცვლოდ?

10. რა გააკეთა ხანცთელმა ბერმა გაბრიელ დაფანჩულის თხოვნის შემდეგ?

11. რა გამოატანა დიდებულმა აზნაურმა გაბრიელმა მამა გრიგოლს და რისი საფუძველი გახდა ეს შემოწირულობა?

12. ვინ ჩამოეიდა სამცხიდან, სად დაემკვიდრა იგი და რა ურთიერთობა დაამყარა ხანცთელ ბერთან?

13. საიდან მოვიდნენ, ერთი მხრივ, მამა ეპიფანე და მღვდელი მატოი და, მეორე მხრივ, დიდი ზენონი?

14. ვინ იყო ზენონი და რა გადახდა თავს?

15. როგორი კანონები შემოიღო თავისი მოწაფეებისათვის წმ. გრიგოლმა და თავად როგორ იქცეოდა?

16. რა პრობლემა შეიქმნა მერეს დედათა მონასტერში და როგორ მოიქცა დედა ფებრონია?

17. რა გადაწყვეტილება მიიღო ხანცთელმა ბერმა დედა ფებრონიას თხოვნის საპასუხოდ და როგორ შეძლო მისი განხორციელება?

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. ვისთან ერთად გაეშურა წმ. გრიგოლ ხანცთელი ქართლიდან ოპიზაში სამონასტრო მშენებლობისა და ბერმონაზვნური ცხოვრების დასაწყებად?

2. რამ მისცა მათ ძალა, რომ ესოდენ რთული საქმე წამოეწყოთ და ვისი სიტყვების დამოწმებით განამტკიცებს ამ რწმენას წმ. გრიგოლი?

3. რა ააგეს ხანცთაში ახლად ჩასულმა ბერებმა უპირველეს ყოვლისა?

4. ნაწარმოების მიხედვით, ვისი ხელდრი უფრო მძიმეა — მარტვილისა თუ მოღვაწის?

5. ვის იღებდნენ, იწყნარებდნენ ბერები ახლად შექმნილ საძმოში?

6. ვინ იყვნენ ის ერისკაცები, რომლებიც ტაო-კლარჯეთში ახლად ჩასულ ბერებს დახვდნენ და რას წარმოადგენდნენ ისინი?

7. ვის ეწვია პირველად წმ. გრიგოლი და რატომ დაბრუნდა მონასტერში სიხარულით?

8. როგორ შეხვდნენ ერთმანეთს მამა გრიგოლი და გაბრიელ დაფანჩული? ვინ წარუდგინა ამ უკანასკნელმა სტუმარს და რა სთხოვა?

9. რას შეევედრა გაბრიელ დაფანჩული ბერს და რას შეპირდა სანაცვლოდ?

10. რა გააკეთა ხანცთელმა ბერმა გაბრიელ დაფანჩულის თხოვნის შემდეგ?

11. რა გამოატანა დიდებულმა აზნაურმა გაბრიელმა მამა გრიგოლს და რისი საფუძველი გახდა ეს შემოწირულობა?

12. ვინ ჩამოვიდა სამცხიდან, სად დაემკვიდრა იგი და რა ურთიერთობა დაამყარა ხანცთელ ბერთან?

13. საიდან მოვიდნენ, ერთი მხრივ, მამა ეპიფანე და მღვდელი მატოი და, მეორე მხრივ, დიდი ზენონი?

14. ვინ იყო ზენონი და რა გადახდა თავს?

15. როგორი კანონები შემოიღო თავისი მოწაფეებისათვის წმ. გრიგოლმა და თავად როგორ იქცეოდა?

16. რა პრობლემა შეიქმნა მერეს დედათა მონასტერში და როგორ მოიქცა დედა ფებრონია?

17. რა გადაწყვეტილება მიიღო ხანცთელმა ბერმა დედა ფებრონიას თხოვნის საპასუხოდ და როგორ შეძლო მისი განხორციელება?

31. გიორგი მერჩულეს მოჰყავს ციტატა ახალი აღთქმის ერთ-ერთი წიგნიდან „გალატელთა მიმართ“: „რამეთუ ხორცთა გული უთქვამს სულისათჳს და სულსა ხორცთათჳს და ესე მხდომნი არიან ურთიერთას“ (გალატ. 5.17). საჭიროების შემთხვევაში იხილეთ ციტატის თანამედროვე ქართული თარგმანი და განმარტეთ, როგორ გესმით მასში გამოთქმული აზრი. გამოხატავს თუ არა იგი ბერმონაზვნული ცხოვრების მიზანს?

32. რომელი ბიბლიური პერსონაჟებია მოხსენიებული მამა გრიგოლის მიერ გაბრიელ დაფანჩულის სახლეულის დალოცვის ეპიზოდში და რატომ?

33. რამდენად პრაქტიკულია ბერსა და ერს შორის ის ურთიერთობა, რომელსაც გაბრიელ დაფანჩული გამოხატავს მამა გრიგოლთან პირველი შეხვედრისას: „აწ ჩუენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შევზავნეთ ურთიერთას“?

34. ზენონის გადაწყვეტილებიდან და მპარაეებისადმი მღვდელ მატოჲს დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ადამიანისგან რა უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს – სამაგიეროს გადახდა თუ ცოდვის მიტევება? რომელია უფრო კეთილი ნაყოფის გამომღები?

35. რამდენად უწყობს ხელს ადამიანს სულიერ დახვეწაში ხორციელი მოთხოვნილებებისგან თავშეკავება?

36. რატომაა შედარებული მატოჲ სადმი წმ. გრიგოლის მიერ თქმულ სიტყვებში სასულიერო პირის ღვთისადმი სამსახური მხედრის, მეომრის ღვაწლს და რა მადლს პოვებენ ისინი?

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

ჰაგიოგრაფია

ჰაგიოგრაფია ბერძნული სიტყვაა (ჰაგიოს – წმიდანი, ჰაგიონ – წმიდა, გრაფო – აღწერა). მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა წმიდანთა ანუ ქრისტიანობისთვის თავდადებულ პირთა ცხოვრების აღწერა. ჰაგიოგრაფია შუა საუკუნეების მხატვრული პროზის უმთავრესი დარგია. იგი IV-VI საუკუნეებში შეიქმნა ბიზანტიაში და მცირე ხანში ქართულმა მწერლობამაც შეითვისა. ჰაგიოგრაფიამ ჩვენს ცხოვრებაში ხანგრძლივი ისტორია გამოიარა, დაწყებული V საუკუნიდან თვით XVIII საუკუნემდე. მისი კლასიკური პერიოდი V-XI საუკუნეებია.

ჰაგიოგრაფიაში ორი ქვეჟანრი გამოიყოფა: ერთში მოთხრობილია იმ პირთა შესახებ, რომელთაც იღვაწეს და ქრისტეს მსგავსად მოწამებრივად აღესრულნენ, ე. ი. იმარტვილეს (ბერძნ. მარტეიროს – მოწმეს

ნიშნაეს); ხოლო მეორეში აღწერილია ქრისტიანული რწმენის ეროგულ იმ პირთა ცხოერება, რომელთაც ქრისტეს მცნებების დაცვით იღვაწეს, მაგრამ მოწამებრივად არ აღესრულნენ.

1. რატომაა გიორგი მერჩულეს თხზულება პაგიოგრაფიული ძეგლი?
2. რომელ ქვეჟანრს განეკუთვნება იგი?

ხასიათის ანალიზი

როგორც ეიცით, ხშირად მწერალი არაპირდაპირი აღწერით გვიხასიათებს თავის პერსონაჟს. ამ ხერხის გამოყენებით მკითხველი ეცნობა გმირის პიროვნულ თვისებებს — ესაა მისიე ქმედებები ან სხვა პერსონაჟებთან სიტყეერი კონტაქტი. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე წინადადება წმ. გრიგოლ ხანცთელის შესახებ. ხასიათის როგორი თვისებები ჩანს მათში?

1. მამაჲ გრიგოლ არავის უდებთაგანსა შეიწუნარებდა, არამედ პირეელად გამოცადის ყოველსა ზედა კეთილსა საქმესა და, უკეთუ იპოეის გულითა უმანკოჲ, უზაკეელი და უდრტვინეელად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, იგი შეიწუნარის სიხარულით.

2. ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიება ყო გულსმოდგინედ და პოეა ადგილი გუნათლეს მახლობლად, ჯუარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათაჲ.

3. ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხეანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უმგბერითა. ხოლო მრჩობლად საზრდელად მისა იყო ყოველთა დღეთა მისთა — პური ნაკლულეანებით დღესა შინა ერთ ჭამის და წყალი წონითეე მცირედი.

4. მატოჲმ ვითარცა იხილა მოძღერისა თეისისა უცილობელი ბრძანებაჲ, თეინიერ ნებისა თეისისა დაემორჩილა სიტყეათა მისთა და იქმნა მღდელ მონასტერსა დედათასა.

წერითი უნარების განვითარება დახასიათება

1. მამა გრიგოლის საეანის მახლობლად ზოგიერთი სოფელი აშოტ კურაპალატის დიდებულ აზნაურს, გაბრიელ დაფანჩულს ეკუთენოდა. ტექსტიდან გამომდინარე, დაახასიათეთ ეს პერსონაჟი შემდეგი მითითებების გათვალისწინებით:

— დაფანჩულის სახლში მისული ნეტარი გრიგოლი მისმა მეუღლე მარიამმა პატივისცემით ისტუმრა, რადგან გაბრიელი იმ დროს სახლში არ

იმყოფებოდა. შინდაბრუნებულმა დიდებულმა „მადლი შეწირა ღმრთისა წმიდისა მის შესლეისათვის სახლსა თვისსა და აკურთხა მეუღლე თვისი“;

– მან სასწრაფოდ მისწერა ეედრების წერილი წმ. მამას, გაუგზავნა თაეისი მსახურების ხელით და შინ მიიწვია;

– სტუმარს იგი ფეხზე წამოუდგა, თაყვანი სცა სიხარულით და ხელზე ეამბორა;

– გაბრიელმა მრაეალი დღე იწვია ნეტარი გრიგოლი და შემდეგი სიტყვებით თაეისი ოთხი ძის დალოცვა სთხოვა: „აკურთხენ ესენი წმიდათა ხელთა შენთა დასხმითა, ეითარცა ისრაელ იოსების ძენი აკურთხნა“;

– ამის შემდეგ გაბრიელმა თქვა: „აწ ჩვენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქვენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შევზაენეთ ურთიერთას“;

– მატერიალური დახმარების სანაცვლოდ გაბრიელმა თაეისი სახლეულიდან აღსრულებულთათვის ძვალთშესალაგი ადგილის გამოყოფა ითხოვა.

2. მღვდელ მატოეს არ სურდა საძმოს მიტოვება და მერეს დედათა მონასტერში მღვდლობა, თუმცა ნეტარი გრიგოლის ბრძანებას წინ ვერ აღუდგა. გიორგი მერჩულეს თქმით, მერეში მოღვაწეობის ორმოცი წლის მანძილზე მისგან უქმი სიტყვა და უსარგებლო პასუხი არავის მოუსმენია. ერთხელ მას მონასტერში მისულ მჰარაეებთან ინციდენტი შეემთხვა, რომელიც მკითხველისთვის მის სულიერ თვისებებს კიდევ უფრო ნათელს ხდის. გაიხსენეთ ნაწარმოების ეს ეპიზოდი და მისი მიხედვით დაახასიათეთ მამა გრიგოლის ერთ-ერთი მოწაფე მღვდელი მატოე.

ენობრივი სტილი

უნარების განვითარება

ენათმეცნიერების დარგს, რომელიც ენის გამომხატველობით საშუალებებს სწაელობს, სტილისტიკა ეწოდება. წინადადება შეიძლება გრამატიკულად სწორი იყოს, მაგრამ სტილის თვალსაზრისით – გაუმართაეი. როდესაც ენობრივი საშუალებები გადმოსაცემ შინაარსს არ შეესაბამება, წინადადება სტილისტურად უნდა გასწორდეს.

ტაეტოლოგია

ტაეტოლოგია არის სტილისტიკური ხარეეზი, როდესაც სათქმელი გამართულად, მოკლედ და ნათლად არაა გამოხატული. ამ დროს ერთი და იგივე სიტყვები ტექსტის მცირე მონაკვეთზეა განმეორებული. ასეეე სასურველი არაა ერთი ფუძიდან ნაწარმოები სიტყვების თავმოყრა ერთ ფრაზაში. მაგ., გამოამზეურა მზის სინათლეზე.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე წინადადება „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“, რომლებშიც წარმოდგენილია როგორც ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი, ასევე ტექსტში საგანგებოდ შეტანილი ტავტოლოგიური ფორმები. გაასწორეთ ისინი მოცემული სიტყვების გამოყენებით: დალოცე, შეეძინებოდა, იარაღით, მადლი, საჩუქარი, შეწირული, სიწმინდით, იმარტვილებოდეს.

1. სათნო იყოს მსახურებაი ჩვენი სათნოდ მის წინაშე.

2. მარტვილნი ერთსა ხოლო შინა ჯამსა იწამნეს, ხოლო ესენი ყოველსა ჯამსა იწამებოდეს სახელისათვის ქრისტესისა.

3. აკურთხენ ესენი წმიდათა ხელთა შენთა დასხმითა, ვითარცა ისრაელ იოსების ძენი აკურთხნა.

4. ჩვენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქვენ თანა არს სულიერი კეთილი.

5. ვითარცა ხორციელად შეემატებოდა, ეგრეთვე სულიერად შეემატებოდა რიცხესა მას წმიდათა კაცთასა.

6. ზენონ ღმრთისმსახურებით აღზრდილ იყო და ღმრთისმსახურებით იქცეოდა.

7. ხოლო ზენონ ვითარცა ცნა, შეიჭურა საჭურველითა.

8. ნიჭი მიანიჭის მას სამართლად მეფემან.

ღირსნი არსენი და ეფრემ, მოწაფენი და აღზრდილნი გრიგოლისნი... სათნო ყვნა ნებამან ღმრთისამან მწყემსთმთავრად სამწყსოთა მათ თვისთა პირმეტყველთა. რამეთუ დიდი ეფრემ უწინარეს მრავლით წლით არსენისსა იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს. ხოლო შემდგომად დიდი არსენი კათოლიკე[23] ეკლესიასა, ქრისტეს კეაროისა[24] სამკვიდრებელსა მცხეთას, ქართლისა კათალიკოზ იქმნა. და იყო სიყვარული მათ შორის ერთად ზრდილობისათვის.

არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათვის ფრიად გულწყებულ[25] იყვნეს ამის მიზეზისათვის, რამეთუ თვინიერ განზრახვისა მათისა მძლავრ სამცხისა ერითა ძე თვისი დაადგინა კათალიკოზად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაჲთა. არამედ მცირედ მხილებისათვის უფლისა მიშვებითა იყო აღძვრაჲ ეპისკოპოსთაჲ მათ,

[23] კათოლიკე – საყოველთაო.

[24] ქრისტე ს კეართი – ქრისტეს პერანგი, სამოსელი.

[25] გულწყებული – გამწყრალი, გულძვირი, გულმოსული.

ვიღრემდის ნეტარი ეფრემ მი-ვი-ერჩდა მათ, რამეთუ სამართალ იყო სიტყვისგებაი იგი, და რომელ ჯამსა მას ხელმწიფე იყო მამფალი გეარამ ღიდი, მირეანისთვის გულძვირად იყო. და მსწრაფლ ხოლო ბრძანა შეკრება ეპისკოპოსთაი და უდაბნოსა მამათაი. და ყოველნი შემოკრბეს ჴავახეთს. არამედ მამაი გრიგოლ არა მუნ იყო, არცა ყოველნი კლარჯეთისა უდაბნოთა წინამძღვარნი მამანი, რამეთუ იყო ნეტარი გრიგოლ არქიმანდრიტი[26] და წადიერად მოელოდეს ყოველნი და მარტოდ ანჴმნობდეს[27] წესისა წინამძღვარნი იგი არსენი კათალიკოზისათვის და ვერა დაამტკიცეს სიტყვაი მათი. მაშინ ერუშნელმან ეპისკოპოსმან[28] მის ჯამისამან ჰრქვა ყოველთა:

– ოდეს მოვიდეს ვარსკელავი უდაბნოთაი, მაშინ განემართოს საქმეი და განზრახვაი ყოველთაი.

და მათ ჰრქუეს:

– ვისთვის არს სიტყვაი ესე დამტკიცებითი?

ხოლო მან თქვა:

– გრიგოლ არქიმანდრიტისათვის, ხანძთისა და შატბერდისა მაშენებელისა.

მაშინ ერომან ვინმე ეპისკოპოსმან სილაღით თქვა შორის შეკრებულთა მათ:

– იგი ოდენ არსა ვარსკელავი მნათობი?

ხოლო სხვათა მათ ყოველთა თქვეს:

– ჭეშმარიტსა იტყვის, რამეთუ იგი არს მოძღვრებისა ნათლითა განმანათლებელ და შემკულ სულითა წმიდითა.

და მეცხეულად იხილეს წმიდა იგი მომაქალი ქარაულითა[29] შორის

ხანკოა



[26] არქიმანდრიტი – რამდენიმე ეკლესია-მონასტრის წინამძღოლი.

[27] ანჴმნობდეს – თათბირობდნენ.

[28] ერუშნელი ეპისკოპოსი – სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარის საეპისკოპოსოს წინამძღოლი.

[29] ქარაული – სახედარი.

კრებულსა მას მამათასა საკვირველად ხილვითა. რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელი ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაჲ. ხოლო თავსა მისსა კუკული[30] იხილვებოდა, ვითარცა გვირგვინი სამეუფოჲ პატიოსანთა თვალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული.

და ვითარცა იხილეს ღმრთისმიერი დიდებულებაჲ მისი, ყოველნი სიხარულით მიეგებნეს და შეუდგეს სიტყვათა მისთა სიხარულით.

მას ჟამსა მოვიდა ეფრემ ეპისკოპოსი და პირველად მოიკითხა მოძღვარი თვისი მამაჲ გრიგოლ და მერმე ძმანი თვისნი ეპისკოპოსნი. ხოლო ნეტარმან გრიგოლ ფარულად მოუწოდა ნეტარსა ეფრემს და ჰრქვა მას:

– შვილო, პატივსა მაგას წმიდისა მღვდელმთავრობისასა გაფუცებ, ნუ უშლი სულიერად ძმასა შენსა არსენის!

ხოლო მან ჰრქვა:

– წმიდაო მამაო, ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაჲ სამართლისათვის. და მეცა შემინდეე, რამეთუ არა ვარ ამიერითგან არსენის ცხოვარი ღა არცა იგი – ჩემი მწყემსი.

მაშინ წმიდამან მან მკსინვარედ[31] ჰრქვა:

– უკეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უვარ მყავ, ვითა არა შენი მოძღვარ ვარ!

ხოლო ნეტარი ეფრემ სიტყვასა მას ზედა სულიერისა მამისა და მოძღვრისასა ატირდა და ჰრქვა:

– ფიცხელ არს ბრძანებაჲ ესე, განმკვეთელ უფროჲს მახვილისა. აწ ნებაჲ შენი იყავნ და ნუ ნებაჲ ჩემი, წმიდაო ღმრთისაო!

ხოლო მან ჰრქვა:

– ეფრემ სანატრელო, გისმინენ ქრისტემან, რაჲთცა ითხოო მისგან შენ, უმანკოო გულითა და წრფელო გონებითა, მიმსგავსებულო მოძღვარსა შენსა ქრისტესა, სიტყვისაებრ დავითისა: „რამეთუ წრფელ არს უფალი ღმერთი ჩვენი და არა არს სიცრუე მის თანა“ (ფსალმ. 9,16). და შენ უწყი სულითა შენითა ღმრთისმხილველითა, ვითარ ღმერთსა ებრძანა კათალიკოზობაჲ არსენისი სისრულისა მისისათვის. არამედ მირეან, მამამან მისმან, აუგიან ყო[32]. აწ შენ კეთილად ჰყავ სმენა ჩემი, რამეთუ გულისწყრომამან კაცისამან სიმართლე ღმრთისაჲ არა ქმნის. ხოლო ბრალი ესე არსენისი ჩემ ზედა იყავნ.

---

[30] კუკული – იგივე კუნკული, ბერის ქუდი, მონაზვნის თაესაბურაეი.

[31] მკსინვარედ – წყრომით, რისხვით.

[32] აუგიან ყო – საყვედრებელი, საკიცხავი გახადა.

ამისა შემდგომად, რაჟამს ესმა გვარამ ხელმწიფესა მოსლეა ნეტართაჲ მათ, მოეგება წინა სიხარულითა და მოიკითხნა სიმდაბლით. და ეითარცა დასხდეს, ბრძანა ხოლო გვარამ შემოკრებაჲ ყოველთა მოწესეთა და მოვიდეს. მაშინ ჰრქუა:

– წმიდანო მამანო, ეპისკოპოსნო და მეუდაბნოენო! იცით ყოველთა კანონი შჯულისაჲ[33], რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოზისა მძლაერებით[34] დაჯდომასა.

და ამას სიტყჳასა შინა აუგისა სიტყჳანი განამრაელნა და ელოდა პასუხსა მათგან. ხოლო თჳალნი ყოველთანი ხედვიდეს მამასა გრიგოლს და ეპისკოპოსსა ეფრემს. და მათ დაიდუმეს ჟამ ერთ. მაშინ ეპისკოპოსთა ჰრქუეს ეფრემს:

– ბრძანე პასუხი, რაჲ ჯერ არს!

ხოლო მან თქუა:

– სადა მამაჲ გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვიკადრებ სიტყჳად. მაშინ ხელმწიფემან მან ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს:

– მამაო, ყოველნი შენ გელიან სიტყჳად ჭეშმარიტებისა, რამეთუ უხუცეს ხარ ყოველთა დღითა და სათნოებათა ნებისა ღმრთისაჲთა და შენგან ხამს დასაბამი სიტყჳისაჲ.

ხოლო მან თქუა:

– ჯერ იყო პირველად მღდელთმოძღუართაგან ბრძანებაჲ, ხოლო აწ სიტყჳითა შენითა ვიტყჳ ესრეთ: ჭეშმარიტთა ქრისტჱს სამწყსოთა ისმინეთ გლახაკისა ამის მოხუცებულისაჲ, რამეთუ არსენი კათალიკოზი ნებითა ღმრთისაჲთა კათალიკოზი არს. და ძჳირისმეტყველთა[35] მისთა, რომელთა არა შეინანონ, კდემულ იყუნენ[36] და სრულიად ჰრცხჳენეს ამას საწუთროსა და მას საუკუნესა.

ხოლო ხელმწიფე იგი დაღაცთუ იყო ბრძენ და ღმრთისმსახურ, არამედ მართლმხილებისაგან მართლისა მის კაცისა შეშფოთნა ფრიად. რამეთუ ნებაჲ სიბრძნესა სძლევდა და შური პატივსა არა ჰრიდებდა. გესლი რაჲ გულისაჲ ბაგეთაგან იცნობა განუგებლად სიტყჳისა განტეებითა ესრეთ, ეითარმედ.

– მრაელით ჟამითგან არა მეხილება მამაჲ გრიგოლ, არამედ მასმიოდა, ეითარმედ ბრძენთაგან შეუცავი სიბრძნე მისი შეცვალებულ არს სიბერითაო. და პირველ სჩენილი ვიხილე თჳალითა.

---

[33] კანონი შჯულისა – სასულიერო წესი.

[34] მძლაერებით – ძალდატანებით, ძალით.

[35] ძჳირისმეტყველი – გამკილავი, შეურაცხმყოფი.

[36] კდემულ იყუნენ – შერცხვენილ იყუნენ.

და შჯულისაცა მრავალთა სიტყვათა იტყოდა, რომელი არა შეჰგავს ერისკაცთა, რამეთუ იყო იგი ფრიად სიტყვახელოვან.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა მას:

– ჰოი, ხელმწიფეო, რად განჰრისხნდები ჭეშმარიტებისათვის? ესე უწყოდი, რამეთუ პირველთა წმიდათა მათ მამათა შეკრებასა ეპისკოპოსთა და წინამძღვართა წესისათა მონაზონთა თანა იყვნეს პირველნი მორწმუნენი მეფენი. არა თუ მათ თანა შჯულისმოძღერებასა იკადრებდეს, არამედ შჯულისგამოძიებასა მათსა იკითხიან და ითხოიან სიტყვისა გამოცხადებაჲ, რამეთუ მათ მიერ ისწავებდეს მცნებათა ღმრთისათა და მოწამედ იყვნეს თქმულთა მათთა. და წმიდათა მოციქულთა და ღირსთა მათ მღდელმოძღვართაგან განსაზღვრებულსა კანონსა შინა არაეე ბრძანებულ არს ერისკაცისაჲ, ვითარმცა ეპისკოპოსთა და წესისა წინამძღვართა მამათა განსაგებელისა მოძღერებისა იკადრებდა, გინა ახალსახიობასა[37] მოიღებდა. დაღაცათუ სამართლად საგონებელ იყოს, არამედ შჯულისა და მღდელმოძღვართა შეურაცხებაჲ არს. ხოლო მე აწ სიტყვისაებრ შენისა, გვარამ, ვარ ბუნებაშეცვალებულ. გარნა ოდეს სამართალმან დაგასამართლოს, მაშინ იხილო თავი შენი ცნობამიღებულ და სიტყვანი ჩემნი არღარა განჰგმნე.

ხოლო ხელმწიფე იგი შეძრწუნდა გონებითა და ჰრქუა ეპისკოპოსთა მათ:

– თქუენგან ჯერ არს განსაგებელი თქუენი განგებად. აწ თქვით!

და მათ ჰრქუეს:

– ღმრთისმსახურო გვარამ, ქრისტეისმიერმან სასწაულმან უტყჳ ქმნა ენაჲ ჩუენი, რამეთუ ვიხილეთ დღეს გრიგოლის ზედა მიუწედომელი დიდებაჲ.

და აუწყეს ხილვაჲ იგი ყოველი, რომელი იხილეს შემოსლვასა მისსა. მაშინ ზარ ჰხდა ხელმწიფესა მას, რამეთუ იყო იგი მდაბალ და ღმრთისმოშიშ. იძლია სიმდაბლისაგან და შეუვრდა ნეტარსა გრიგოლს და ჰრქუა:

– წმიდაო ღმრთისაო, შემინდევე, რამეთუ დაგაბრკოლე!

ხოლო მან ჰრქუა:

– ქრისტემან ყოველნი ბრალნი შეგინდეენ.

მაშინ გვარამ, დიდმან ხელმწიფემან, კეთილად ისტუმრნა ყოველნი. და პურისჭამასა შინა, რაჟამს განმხიარულდა გვარამ ღვინითა, მაშინ ეპისკოპოსთა მათ ერთობით თქუეს:

– ჯერ-მე იყო მხილებაჲ ესე არსენისთჳს, არამედ აწ ამიერითგან არსენი იყავნ კათალიკოს ქართლისა ყოვლისა და სულიერად მამა ყოველთა

---

[37] ახალსახიობა – სიახლე.

და ყოველთა შორის იჭვი პირველი და-მცა-ხსნილ არს სრულიად, რაითა ქრისტეანობისაჲ პატიჟი ჩვენი მშვიდობით და მყუდროებით აღვასრულოთ და კეთილი სიტყვისგებაჲ ეპოოთ წინაშე საყდართა ქრისტეისთა.

და გვარამ ხელმწიფემან და ყოველმან ერმან თქუეს:

– ამენ იყავნ!..

და ვითარცა განასრულეს პურისჭამაჲ, მისცეს მშვიდობაჲ მთავარსა მას დიდსა და მან სიხარულით განუტევნა ყოველნი.

მას ჟამსა ახარეს არსენის, რამეთუ არა იყო კრებასა მას, ვითარმედ:

– შემდგომად ღმრთისა მოძღვარმან შენმან გრიგოლ მამამან დაამტკიცა კათალიკოზობაჲ შენი.

ხოლო იგი სიხარულით ჰმადლობდა ქრისტესა და წმიდასა მას.

ხოლო ეფრემ ეპისკოპოსმან, მცნებისაებრ მამისა გრიგოლისსა, სიყვარული არსენი კათალიკოზისაჲ პირველებრვე განაახლა. რამეთუ მოკლედ დააწყნარა შფოთი გრძელად მოსაცალებელი, რამეთუ იყო შორის კათალიკოზისა და ეპისკოპოსთა, უფროჲს ხოლო გვარამ ხელმწიფისა.

და სანატრელნი ესე არსენი კათალიკოზი და ეფრემ ეპისკოპოსი მოვიდიან ხილვად მოძღვრისა თვისისა მამისა გრიგოლისსა. არამედ ძველი ხანძთისა ეკლესიაჲ არსენი კათალიკოსმან აკურთხა და ქართლისა ეკლესიათა ყოველთა სიხარული მოჰფინა, რამეთუ საყდარი მამათმთავრობისაჲ შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა. ხოლო რაჟამს მამაჲ გრიგოლ გარდაიცვალა, დამარხვასა მის თანავე იყო არსენი, რომელიცა ოცდაშვიდ წელ კათალიკოზობდა და მერმე გარდაიცვალა ამიერ სოფლით და მხიარულებით მიიწია წინაშე ქრისტეისა და აქეს მადლი შეწევნად ჩვენდა.

* * *

ესეითარნი იყვნეს ღმერთშემოსილნი მოწაფენი მამისა გრიგოლისნი. ხოლო დიდი ეპიფანე სიმდაბლითა თვისითა მიიწია საზომსა თვისისა მოძღვრისასა. და ცრემლთა დათხევითა სულთა უკეთურთა განასხმიდა და სნეულთა მსწრაფლ განჰკურნებდა და მრავალთა სხვათა სასწაულთა იქმოდა, ურჩთა რაჲ გვემითა განსწაელიდა და მორწმუნეთა ლოცვითა სიკედილისაგან იხსნიდა.

რამეთუ ქრისტემან შეამკენა სასწაულითა და სიმდაბლითა ვითარცა მამაჲ გრიგოლ, ეგრეთვე მოწაფენი მისნი სიტყვისაებრ მოციქულისა, ვითარმედ: „სიმდაბლე ეგე თქვენი ცხად იყავნ“ (ფილიპ. 4.5). ამისთვისცა ცხადად იხილვა გარდარეული სიმდაბლე ეპიფანესი ესრეთ.

იყო ოდესმე, ჟამსა რომელსამე ძმანი ვინმე კეთილნი მონაზონნი მოსრულ იყვნეს ნეძვით და მარტოდ უბნობასა შინა, ნეტარმან მამამან გრიგოლ პრქვა მათ:

– სიმდაბლე სრული საქმით და არა სიტყვით არსა მონასტერსა თქვენსა შორის ძმათა?

ხოლო მათ პრქვეს:

– არს ლოცვითა შენითა, ვითარცა თვით უწყი.

და სიტყვასა მათსა თანა ჟამსა ხოლო პრეკეს ჟამისწირვისათვის[38]. და ვითარ ჟამსა დაიწყო ნეტარმან გრიგოლ, ჰკითხა დეკანოზმან საეროდ ჟამისმწირველისაი. ხოლო მან ეპიფანესი ბრძანა ჟამისწირვაი, რამეთუ იგი დაედგინა მამასახლისად ხანძთას, და ეპიფანე შეიმოსა ჟამისწირვად და სხვანიცა მღდელნი მის თანა, რამეთუ იყო დღეი იგი კვირიაკე[39].

და ვითარცა აღვიდეს საკურთხეველად და ეპიფანე „წმიდაო ღმერთოისა" წინააღსამადლებელსა იწყო თქმად, აღვიდა ხოლო საკურთხეველად მამაი გრიგოლ და კვერთხითა სცა თავსა და პრქვა:

– დადუმენ!

ხოლო იგი შეუშფოთებელად დადუმნა. და უბრძანა სადიაკონედ[40] წარსელაი და განძარცვაი.

მაშინ ყოველი ერი განკვირვებისა ზარმან აღაესო. ხოლო იგი წარვიდა და განიძარცვა და მივიდა და დადგა წინაშე მოძღვრისა თვისისა მყოვარ ჟამ.

და კვალად უბრძანა შემოსაი და ჟამისწირვაი. და იგი სიხარულით შეიმოსა და შეუვრდა ნეტარსა გრიგოლს. ხოლო მან ჯვარი დასწერა და აღვიდა იგი საკურთხეველად, მძლე ამპარტავანებისა სენთა, და იწყო **შეწირვად მსხვერპლთა მათ უსისხლოთა.**

არამედ მიზეზი საქმისაი ამის ეერვინ იკადრა კითხვად წმიდისა მის, ვიდრემდის თვით უბრძანა ძმათა მათ ნეძველთა:

– იხილეთღა, ძმანო საყვარელნო, სიმდაბლე საქმით სრული ეპიფანესი? გრწმენინ ჩემი, ჭეშმარიტსა ეიტყვი წინაშე ღმრთისა: არარა ბრალი უქმნიეს მას, რამეთუ ღმრთისმოშიშებისა და სიწმიდისა და სიმდაბლისა მისისათვის მარადის მადლი სულისა წმიდისაი დადგრომილ არს მის თანა. ხოლო არს სიმდაბლე დამდაბლებულისაიცა ბრალთაგან. არამედ რა სწორებაი არს ნათლისადა ბნელისაი, რამეთუ ჭეშმარიტისა ნათლისა სამოსელი ჰმოსია სიმდაბლითა სარწმუნოითა შემკობილთა მრავალთა

---

[38] ჟამისწირვა – წირვა-ლოცვა.

[39] კვირიაკე – კვირა, კვირადღე.

[40] სადიაკონე – დიაკვნის სამკოფი.

შორის ძმათა ამათ. და ესე თქვენისა ხილვისათვის ვყავ, რამეთუ სთქვით ძმათა თქვენთა სრული საღმრთოი სიმდაბლე.

ხოლო იგინი შეუერდეს და ჰრქვეს:

— რამეთუ დაღაცთუ კეთილ არიან სათნოებითა ძმანი მონასტრისა ჩვენისანი, არამედ ესე სიმდაბლეი ვერ ძალ უც.

და ეითარცა ჟამი შეწირა ღირსმან ეპიფანე, ეზიარნეს ყოველნი წმიდანი მას საიდუმლოსა ხორცსა და სისხლსა ქრისტეისსა და ერთობით მადლი მისცეს წმიდასა სამებასა, დამბადებელსა ყოველთასა.

ხოლო შორის იფქლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ეინმე, ეითარცა ღვარძლი სარწებს[41] აღმოცენებული დიაკონებასა შინა და ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმაელის ძისაგან[42] და მოციქულად მაჳალი აშოტ კურაპალატსა წინაშე, რომელმანცა იხილა ანჩისა ეპისკოპოსი გარდაცვალებული და მიშვებითა აურაცხელად სულგრძელისა ღმრთისაითა საჰაკ ამირისა მიერ მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან. და რაჟამს მძლავრებით დაიპყრა ანჩი, კეალად შესძინა ძვირი ძვირსა მისსა ზედა მრავალი, რომლისა მოხსენებაი ამას წიგნსა შინა არა ჯერ არს შთაწერად ყოველი.

ხოლო უწესობაი მისი მრავალგზის ემხილა წმიდათა მათ პირველთა კლარჯეთისა მეუდაბნოეთაგან მამათა და ყოველთა მათგან სამწყსოთა კათოლიკე ეკლესიისათა, უფროს ხოლო მამისა გრიგოლისგან, რამეთუ არქიმანდრიტი იყო იგი დიდებულთა მათ უდაბნოთაი. ხოლო მან სრულიად საღმრთო ში'ში განაგდო ამპარტავნებისაგან ძლეულმან და ფარულად მოუწოდა ერისკაცსა ანჩელსა, ლირბსა[43] და გლახაკსა და მაგრიად მოისარსა. და აღუთქვა მიცემად სამი გრივი[44] ფეტეი და ხუთნი თხანი და წარავლინა ხანძთად მოკლეად მამისა გრიგოლისა.

და გზას ეისგანმე ცნა, ეითარმედ არს იგი ხანძთისა აგარაკსა და დღეს მოვალს შინა. მაშინ წარეიდა მზირად ტყესა მას ხანძთისასა და მ'შვილდი გარდაცმული ხელთა აქნდა.

---

[41] სარწები — ყანა.

[42] საჰაკ ამირა ისმაელის ძე — თბილისის ამირა 831-853 წლებში. იგი ებრძოდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს.

[43] ლირბი — უნამუსო.

[44] გრივი — მარცელეულის ძველი საწყაო აღმოსაელეთში (დაახლ. 100 კგ.)

შორის ძმათა ამათ. და ესე თქუენისა ხილვისათჳს ვყავ, რამეთუ სთქჳთ ძმათა თქუენთა სრული საღმრთოჲ სიმდაბლე.

ხოლო იგინი შეუვრდეს და ჰრქუეს:

– რამეთუ დაღაცთუ კეთილ არიან სათნოებითა ძმანი მონასტრისა ჩუენისანი, არამედ ესე სიმდაბლეჲ ვერ ძალ უც.

და ვითარცა ჯამი შეწირა ღირსმან ეპიფანე, ეზიარნეს ყოველნი წმიდანი მას საიდუმლოსა ხორცსა და სისხლსა ქრისტჱისსა და ერთობით მადლი მისცეს წმიდასა სამებასა, დამბადებელსა ყოველთასა.

* * *

ხოლო შორის იფქლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა ღვარძლი სარწებს[41] აღმოცენებული დიაკონებასა შინა და ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმაელის ძისაგან[42] და მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატსა წინაშე, რომელმანცა იხილა ანჩისა ეპისკოპოსი გარდაცვალებული და მიშვებითა აურაცხელად სულგრძელისა ღმრთისაჲთა საჰაკ ამირისა მიერ მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან. და რაჟამს მძლავრებით დაიპყრა ანჩი, კვალად შესძინა ძვირი ძვირსა მისსა ზედა მრავალი, რომლისა მოხსენებაჲ ამას წიგნსა შინა არა ჯერ არს შთაწერად ყოველი.

ხოლო უწესობაჲ მისი მრავალგზის ემხილა წმიდათა მათ პირველთა კლარჯეთისა მეუდაბნოეთაგან მამათა და ყოველთა მათგან სამწყსოთა კათოლიკე ეკლესიისათა, უფროჲს ხოლო მამისა გრიგოლისგან, რამეთუ არქიმანდრიტი იყო იგი დიდებულთა მათ უდაბნოთაჲ. ხოლო მან სრულიად საღმრთო შიში განაგდო ამპარტავნებისაგან ძლეულმან და ფარულად მოუწოდა ერისკაცსა ანჩელსა, ლირბსა[43] და გლახაკსა და მაგრიად მოისარსა. და აღუთქუა მიცემად სამი გრიჲი[44] ფეტჱი და ხუთნი თხანი და წარავლინა ხანძთად მოკლედ მამისა გრიგოლისა.

და გზას ვისგანმე ცნა, ვითარმედ არს იგი ხანძთისა აგარაკსა და დღეს მოვალს შინა. მაშინ წარვიდა მზირად ტყესა მას ხანძთისასა და მშჳილდი გარდაცმული ხელთა აქუნდა.

---

[41] სარწები – ყანა.

[42] საჰაკ ამირა ისმაელის ძე – თბილისის ამირა 831-853 წლებში. იგი ებრძოდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს.

[43] ლირბი – უნამუსო.

[44] გრიჲი – მარცელეულის ძველი საწყაო აღმოსავლეთში (დაახლ. 100 კგ.)

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. ვინ იყვნენ არსენი და ეფრემი და რამ გამოიწვია მათი დაპირისპირება? რა გადაწყვიტეს ეპისკოპოსებმა და უდაბნოს მამებმა ამ პრობლემის მოსაგვარებლად და ვისი ბრძანებით?

2. რატომ უცდიდნენ კრებაზე თავმოყრილი სასულიერო პირები უდაბნოს ვარსკვლავის მობრძანებას?

3. ვის შორის გაიმართა გადამწყვეტი საუბარი არსენის კათოლიკოსობის შესახებ და რა შინაარსისა იყო იგი?

4. რატომ ჩაერია გვარამ მამფალი სასულიერო პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში და რა პასუხი მიიღო, ერთი მხრივ, ეფრემ მაწყვერელისაგან, და, მეორე მხრივ, მამა გრიგოლისაგან?

5. რა თქვა გვარამ მამფალმა, როდესაც უდაბნოს ვარსკვლავის პასუხი მოისმინა?

6. რა სიტყვებით ამხილა წმ. გრიგოლმა ხელმწიფის კადნიერება და რა უთხრეს ეპისკოპოსებმა გვარამს უდაბნოს ვარსკვლავის შესახებ? როგორ მოიქცა ძლეული მეფე?

7. როდის და სად დაასკვნეს შეკრებილებმა არსენის კათოლიკოსობის საკითხი საბოლოოდ? როგორი იყო ერისკაცთა პასუხი და რა ახარეს არსენს?

8. ვინ აკურთხა ხანცთის ძველი ეკლესია?

9. რა ღვაწლით გამოირჩეოდა ხანძთის მონასტრის მამასახლისი დიდი ეპიფანე? როგორ განსწავლიდა იგი, ერთი მხრივ, ურჩებს და, მეორე მხრივ, მორწმუნეებს?

10. საიდან ეწვივნენ ხანცთელებს ბერები და ვის უბრძანა წმ. გრიგოლმა წირვა-ლოცვის აღსრულება?

11. როგორ მოექცა საკურთხეველთან წირვა-ლოცვად მდგარ ეპიფანეს უდაბნოს ვარსკვლავი და რა რეაქცია ჰქონდა მას?

12. როგორ აუხსნა ნეტარმა გრიგოლმა სტუმრად მისულ ბერებს თავისი საქციელი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ მოეპყრო ეპიფანეს ასე მკაცრად? რა უპასუხეს ბერებმა წმ. გრიგოლს?

13. ვინ იყო საჰაკ ისმაელის ძე და ვისი დაყოლიებით შეძლო ანჩის საეპისკოპოსოს წინამძღოლად თავისი აღზრდილის მიყვანა?

14. რა ურთიერთობა დამყარდა წმ. გრიგოლსა და თვითმარქვია ეპისკოპოს ცქირს შორის და როგორი გადაწყვეტილება მიიღო ამ უკანასკნელმა? ვის გაურიგდა იგი?

15. ვის საკითხავს წარმოთქვამდა გზად მიმავალი ნეტარი გრიგოლი? რა იხილა წმ. მამის შემხედვარე ავაზაკმა?

16. როგორ მოიქცა მიგზავნილი მკვლელი და რა მიიღო პასუხად უდაბნოს ვარსკვლავისაგან?

გააანალიზეთ

17. რამდენად სამართლიანი იყო ეფრემის უკმაყოფილება არსენის კათოლიკოსად დადგენის გამო და ის გამოსავალი, რომლითაც ეპისკოპოსებმა და უდაბნოს მამებმა ამ პრობლემის მოგვარება განიზრახეს?

18. ვის მოსვლას ელოდნენ კრებაზე თავმოყრილი სასულიერო პირები და რა გაირკვა მათ შორის გამართული საუბრისას?

19. რატომ გადაწყდა არსენის კათოლიკოსობის საკითხი მაინცდამაინც ნეტარი გრიგოლისა და ეფრემ მაწყვერელის საუბრისას და რატომ იტვირთა მთელი პასუხისმგებლობა წმ. გრიგოლმა?

20. რატომ არ უპასუხა ეფრემ მაწყვერელმა გვარამ მამფალის დასმულ კითხვას? რა მოტივი ჰქონდა ხელმწიფისადმი წმ. გრიგოლის პასუხს არსენის კათოლიკოსობის შესახებ?

21. ჰქონდა თუ არა საფუძველი გვარამ მამფალის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ წმ. გრიგოლის „ბრძენთაგან შეუცაია სიბრძნე– შეცვალებულ არს სიბერითაო“?

22. არსენის კათოლიკოსობასთან მიმართებით რა იყო, ერთი მხრივ, გვარამ მამფალისათვის სიმართლე და, მეორე მხრივ, ნეტარი გრიგოლის მიერ დანახული ჭეშმარიტება?

23. რატომ იყო არსენის კათოლიკოსობასთან დაკავშირებული პრობლემა „შფოთი გრძელად მოსაცალებელი“?

24. რამდენად შეიძლება „გარდარეულ სიმდაბლედ“ მივიჩნიოთ დიდი ეპიფანეს მხრიდან ურჩთა გვემით განსწავლა?

25. როგორ შეძლო ნეტარმა გრიგოლმა დიდი ეპიფანეს ამპარტავნების ძლევა?

26. რატომ მიაჩნია გიორგი მერჩულეს, რომ ცქირმა მძლავრებით დაიპყრო ანჩის საეპისკოპოსო ტაძარი?

27. რამ გადააფიქრებინა მკვლელს გრიგოლ ხანცთელზე ხელის აღმართვა?

განაზოგადეთ

28. რატომ შეიძლება ყოფილიყო არსენის კათოლიკოსად დატოვება-არდატოვების საკითხი ესოდენ მნიშვნელოვანი საქართველოს ეკლესიისათვის?

29. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ მოძღვრის მიერ თავისი მოწაფისა და აღსრდილის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ტვირთვა?

30. როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა ერისკაცს საეკლესიო საქმეებში ჩარევის უფლება?

31. თქვენი აზრით, არსენის კათოლიკოსად დატოვების პრობლემაზე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება წმ. გრიგოლის მხრიდან იყო:

ა) ორ მოწაფეს შორის დაპირისპირების აღმოფხვრა;

ბ) საეკლესიო განხეთქილების თავიდან აცილება;

გ) საეკლესიო საქმეებში საერო პირთა ჩარევის მცდელობის აღკვეთა;

დ) საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირება;

ე) დამატებით კიდევ სხვა რომელიმე მიზეზი.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

32. როგორ ფიქრობთ, გამართლებულია თუ არა ურჩების მხოლოდ გეემით განსწავლა?

33. როგორ შეიძლება დაითრგუნოს ადამიანის ამპარტავნება? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

34. იმსჯელეთ, რამდენად გამართლებულია წმ. გრიგოლ ხანძთელის მოპყრობა ცქირისაგან მიგზავნილი მხილებული მკვლელის მიმართ.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

ლიტერატურული პორტრეტი

ლიტერატურული პორტრეტი ნაწარმოების პერსონაჟის გარეგნობის სიტყვიერად აღწერას ნიშნავს. ამ დროს აქცენტირებულია მისი სახის ნაკვთები, მიმიკა, სხეული, სიარული, ჟესტი, ტანსაცმელიც კი. პორტრეტის შექმნისას მწერლის მიზანია, მკითხველის ყურადღება კონკრეტული გმირის ინდივიდუალობას მიაპყროს. ამ კონტექსტში გამოიყენება ე. წ. სიტყვიერი პორტრეტიც; ეს ნიშნავს პერსონაჟის გარკვეული სიტყვებით, გამოთქმებით, ფრაზებით „ამეტყველებას“, რაშიც ირეკლება მისი ზნეობრივი და ფსიქოლოგიური სახე.

ჰაგიოგრაფიაში ლიტერატურული პორტრეტს ხატი, მისი შტრიხები ქმნის. ეს შტრიხები საერთოდ წმიდანის ხატს წარმოადგენს და არა პიროვნების პორტრეტს. წმ. გრიგოლის „ხატი“ ასეთი ნიშნებითაა მოწოდებული: „იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გვამითა მრთელ და სულითა უბიწო“. ჯავახეთში შეკრებილმა სასულიერო პირებმა „მეყსეულად იხილეს წმიდაჲ იგი მოსაველი კარაულითა შორის კრებულსა მას მამათასა საკეირველად ხილვითა, რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელი ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაჲ. ხოლო თავსა მისსა კუკული იხილეებოდა, ვითარცა გეირგვინი სამეუფოჲ პატიოსანთა თუალთა მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღკმული“.

ტექსტიდან ამოიწერეთ ნეტარი გრიგოლის ხატის წარმომჩენი სხვა შტრიხები თუ სიტყვიერი პორტრეტისათვის დამახასიათებელი ფრაზები და გამონათქვამები.

უარყოფითი ხასიათი

ჰაგიოგრაფიაში განსაზღვრულია, რომ ნაწარმოების მთავარი ხასიათები მოწოდებული იქნეს დადებითი პერსონაჟების მაგალითზე და არა უარყოფითის დაგმობით, სიკეთის მიბაძვის და არა ბოროტების ძალისმიერად აღმოფხერის ჩვენებით. მასში, როგორც წესი, წამყვანი აღზრდის პრინციპია. ეს ეხება რომელიმე პერსონაჟის ხასიათის ცალკეული მანკიერი თვისების მხილებასა და გამოსწორებასაც.

ტექსტში მოძებნეთ უარყოფით პერსონაჟთა ან თვისებათა მაგალითები, იმსჯელეთ, თუ როგორ აღწერს აეტორი მათი აღმოფხერის გზას.

წერითი უნარების განვითარება

გვარამ მამფალი

აშოტ კურაპალატის უმცროსი ძის, გვარამ მამფალის სახე ყველაზე აქტიურად ჯავახეთის კრების ეპიზოდში ჩანს. როგორც ტექსტიდან ირკვევა, იგი არსენის მიმართ „მირეანისთვის გულძვირად იყო“, რისი ერთ-ერთი მიზეზიც მირეანის მიერ თავისი ძის კათოლიკოსად დადგენა იყო „თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაჲთა“.

დაახასიათეთ გვარამ მამფალი შემდეგი მითითებების მიხედვით:

– გვარამის ბრძანებით, ჯავახეთში მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება;

– იგი სიხარულით შეეგება წმიდა გრიგოლს და მამებს და „მოიკითხნა სიმდაბლით“.

– მან შეკრებილთ მიმართა, რომ რჯულის კანონი „არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოზისა მძლავრებით დაჯდომასა“, რის შემდეგაც „აუგისა სიტყვანი განამრავლნა და ელოდა პასუხსა მათგან“;

– პასუხის გაცემა მან მამა გრიგოლისგან ითხოვა;

– უდაბნოს ვარსკვლავის განმარტების მოსმენის მიუხედავად, გვარამ მამფალის სიბრძნეს სურვილმა სძლია და წმ. მამის პატიებისცემა არად ჩააგდო; მან უდიერად მოიხსენია არქიმანდრიტი;

– ნეტარი გრიგოლისაგან მხილებული „შეძრწუნდა გონებითა“ და ეპისკოპოსებს მიმართა, თქვენ განსაჯეთო;

– ეპისკოპოსების პასუხის მოსმენის შემდეგ ფეხებში ჩაუვარდა ხანცთელ ბერს და შენდობა ითხოვა;

– ყოველივე ამის შემდეგ გვარამ ხელმწიფემ „კეთილად ისტუმრნა ყოველნი“ და პურისჭამა გამართა.

ორ-სამ აბზაცში ჩამოაყალიბეთ თქვენი შეხედულება, თუ როგორ ხასიათს ამჟღავნებს გვარამ მამფალი.

ცქირი

არაბთა ბატონობა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ უშუალოდ არ ჩანს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი არ მძლავრობდნენ იმ დროს. ამის დასტურია ერის მოღალატე, არაბთა მოსყიდული კლერიკალი ვინმე ცქირი, რომელიც თბილისის ამირას, საჰაკ ისმაელის ძის აღზრდილი იყო. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ არაბები თვით ეკლესიაში შეღწევასაც კი ცდილობდნენ. მათი გაელენა იქიდან ჩანს, რომ ცქირი ანჩის ცნობილი კათედრალის, ხელთუქმნელი ხატის მფლობელის, დაპყრობას ცდილობს თვით აშოტ კურაპალატის თანხმობით. ცხადია, ეს იძულებითი თანხმობა იქნებოდა.

დაახასიათეთ ცქირი ტექსტში მოცემული ეპიზოდის მიხედვით. გაითვალისწინეთ, რაზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი და როგორი მხატერული შედარება მოჰყავს არაბების ჯაშუშის წარმოსაჩენად.

ენობრივი უნარები

ატროფია

ამ ტერმინით სტილისტიკაში აღინიშნება სიტყვის გრძნობის დაჩლუნგება, რასაც შედეგად მოსდევს სიტყვის გამოყენება არასწორი ან

არაზუსტი მნიშვნელობით; ესაა სიტყვათა უმართებულო შეხამება, ფუჭსიტყვაობა. მაგ.: „ღირსნი არსენი და ეფრემ, მოწაფენი და აღზრდილნი გრიგოლისანი... სათნო ყენა და ამპარტაჲან ნებამან ღმრთისამან". შეუძლებელია, ადამიანი ერთდროულად სათნოც ‘შეიქნეს და ამპარტავანიც.

ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან გამოყავით ატროფიის ნიმუშები:

1. იყო სიყვარული მათ შორის ზრდილობისათვის და გულძვირობისათვის;

2. ქართლის ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათვის ფრიად გულწყებულ იყვნეს და მხიარულ;

3. მირეანმა ძე თვისი დააძგინა კათალიკოზად თანადგომითა და წინააღდგომითა მცირეთა ეპისკოპოსთაჲთა;

4. მაშინ ზარ ჰხდა ხელმწიფესა მას და აღტაცდის;

5. წმიდამან გრიგოლმან დაყვაებით მკსინვარედ ჰრქვა ეფრემს;

6. ხოლო ხელმწიფე იგი იყო ბრძენ და უგუნურ;

7. გვარამი მრავალთა სიტყვათა იტყოდა, რომელი არა იყო გრძელ.



უბე. იგივე უბისა

ძმა უგოლინო

(XIII-XIV სს.)





ავტორად 53 მცირე მოცულობის მოთხრობისგან შემდგარი კრებულისა, რომელსაც „ყუაეილნი ფრანჩესკო ასიზელისა“ (Fioretti) ეწოდება, ძმა უგოლინოა მიჩნეული; იგი XIII საუკუნის მიწურულს ქალაქ ტერამის ეპისკოპოსად აირჩიეს, მაგრამ პაპმა ბონიფაციუს VIII-მ არ დაამტკიცა.

ფრანჩესკო ასიზელი 1182–1226 წლებში ცხოვრობდა, ხოლო მისი მოღვაწეობის ამსახველი თხზულება ძმა უგოლინომ XIV საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ, ოციან წლებში შექმნა; სწორედ მაშინ, როდესაც ფრანჩესკოზე სხვა ნაწარმოებიც – „სრულყოფის სარკე“ იწერებოდა.

მკვლევართა აზრით, XIII-XIV საუკუნეების ევროპულ მწერლობაში ძმა უგოლინოს მარტივი და უბრალო „ყუაეილთა“ გვერდით კიდევ ერთი ღირსეული ქმნილებაა: დანტე ალეგიერის „ღვთაებრივი კომედია“, რომლის თვალისმომჭრელი „სამოთხის“ ხილვაშიც წარმოდგენილი „უბრწყინვალესი სული“ ფრანჩესკოა; იგი არა მხოლოდ წარმავალი, არამედ მაცხოვრისაკენ მომავალი ქრისტიანია სამყაროს და ბუნების თანხლებით, რომლებსაც ღვთის ძესთან აახლოვებდა.

ფრანჩესკოს მოძღვრებისა და მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი უმაღლესი შეჯირვების, ევანგელური სილატაკის ქადაგება იყო, რაც თვალნათლივაა აღწერილი ძმა უგოლინოს თხზულებაში.

1950 წელს რობერტო როსელინიმ ფედერიკო ფელინის სცენარით გადაიღო ფილმი სათაურით „ფრანჩესკო, ღვთის მენესტრელი“.

ძმა უგოლინო

ყუავილნი ფრანჩესკო ასიზელისა

(თარგმნა გიორგი გურამიშვილმა)
(ნაწყვეტები ფრანჩესკო ასიზელის ცხოვრებიდან)

* * *

თაედაპირველად გავიაზროთ, რომ დიდებული პატრონი ჩვენი ფრანჩესკო ყველა საქმით იესო ქრისტეს იყო შემსგავსებული; ამიტომ, როგორც ქრისტემ აირჩია ქადაგების დასაწყისში თორმეტი მოციქული[1], რათა მათ უგულებელეყოთ ყოველი მიწიერი და უკან გაჰყოლოდნენ თავიანთ მოძღვარს სიღატაკესა და სხვა სათნოებებში, ასევე ფრანჩესკომაც, ორდენის[2] დაარსების დასაწყისში, შეარჩია თორმეტი მიმდეარი, ქადაგნი უმაღლესი სიღატაკისა; და როგორც ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთმა, ღეთისაგან უარყოფილმა[3], ბოლოს თავი ჩამოიხრჩო, ასევე ფრანჩესკოს ერთ-ერთმა ამხანაგმაც, რომლის სახელიც იყო იოანე ქუდოსანი, განდგომილი, სიცოცხლე იმით დაასრულა, რომ თავად გაყო ყულფში თავი. დაე, რჩეულთათვის ეს დიად მაგალითად და სიმდაბლისა და შიშის საფუძვლად იქცეს, დაე, დაიმახსოვროს ყველამ, რომ ბოლომდე არავინ უნდა ირწმუნოს უფლის წყალობა. როგორც თორმეტმა მოციქულმა, სულიწმიდით აღესილმა, საკუთარი სიწმიდით გააოცა ყოველი დაბადებული, ასევე ფრანჩესკოს მიმდევრებიც იმდენად უბიწონი იყვნენ, რომ მოციქულთა დროიდან ვიდრე აქამომდე არ ყოფილან ამქვეყნად ისე განსაკვირვებელი სათნოების კაცნი. ერთი მათგანი, ძმა ეგიდიასი, აღყვანილ იქნა მესამე ცაზე, ვითარცა წმიდა

---

[1] თორმეტი მოციქული – „ხოლო ამ თორმეტი მოციქულის სახელებია: პირველად სიმონი, პეტრე დ წოდებული, და მისი ძმა ანდრია; იაკობი ზებედესი და მისი ძმა იოანე; ფილიპე და ბართლომე; თომა და მათე მებაჟე; იაკობი ალფესისა და ლებეოსი, თადეოსად სახელდებული, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იგი“ (მათე 10.2–4.).

[2] ორდენი – კათოლიკე ბერების საძმოს, საკრებულოს სახელწოდება.

[3] ღეთისაგან უარყოფილი – იგულისხმება ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე, კერძოდ, იუდა ისკარიოტელი, რომელმაც მაცხოვარი 30 ვერცხლად გაყიდა. კენჭისყრით მისი ადგილი მატათას ერგო თორმეტ მოციქულთა შორის (საქმე 1.26.).

პაველ[4]; მაოგან სხვას, ფილიპ გრძელს, ბაგეებზე ცეცხლოვანი ნაკვერჩხლით შეეხო ანგელოზი, ისე როგორც ესაია წინასწარმეტყველს[5]; ძმა სილვესტრი კი უფალს იმგვარად ესაუბრებოდა, როგორც ორი მეგობარი მასლაათობს ხოლმე, ისევე, როგორც ამას მოსე[6] აკეთებდა; კიდევ ერთი ძმა, ბერნარდი, აზრთა დახვეწილობით, იოანე მახარებლის[7] მსგავსად, არწივივით აფრინდა ღვთაებრივ ნათელში. იგი ზედმიწევნით სილრმისეულად განმარტავდა წმიდა წერილს[8]; სხვა ძმა, რუფინუსი, ასიზის კეთილშობილი მაცხოვრებელი, ღვთისაგან სიცოცხლეშივე წმიდანად იწოდა და თანაშეირაცხა ზეცაში წმიდათა თანახატად; ასევე სხვანიც წმიდანობის განსაკუთრებული ნიშნით აღიბეჭდნენ, რაც მომდევნო თხრობიდან გახდება ნათელი.

ფრანჩესკო ასიზელის პირველი მიმდევარი ბერნარდ ასიზელი იყო, რომელიც ღვთისადმი შემდეგნაირად მოექცა: ფრანჩესკო ჯერ კიდევ საერო სამოსს ატარებდა, თუმცა კი უკვე განდგომილი გახლდათ სოფლისაგან და იყო სრულიად შესაბრალისი და მოუძლურებული სინანულის მძიმე შრომისაგან, რის გამოც ბევრთაგან სულელად, შეშლილად იყო მიჩნეული. ყველანი, მოყვასნიც და უცხონიც, დასცინოდნენ და ესროდნენ ქვებსა და სხვადასხვა სიბინძურეს. იგი კი, ვითარცა ყრუ-მუნჯი, მოთმინებით იტანდა ნებისმიერ წყენას და აბუჩად აგდებას; ამ დროს ბატონი ბერნარდი ასიზიდან, ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილი, მდიდარი და გონიერი მაცხოვრებელი ქალაქისა, ხედავდა ფრანჩესკოში

---

[4] წმიდა პაველ – იგივე პაველ მოციქული, რომელიც მოქცევამდე ებრაულ სახელს – საულეს ატარებდა. ბიბლიაში ეკითხულობთ: „არ ვიცი სხეულით, თუ არ ვიცი, უსხეულოდ: ღმერთმა იცის, ატაცებული იქნა მესამე ცამდე– სამოთხეში, და ისმინა ენითუთქმელი სიტყვანი, რომელთა გამოთქმაც არ ძალუძს კაცს“ (II კორინთ. 12.2–4.).

[5] ესაია წინასწარმეტყველი – ერთ-ერთი დიდი ბიბლიური წინასწარმეტყველი. მის წიგნში ეკითხულობთ: „მოფრინდა ჩემთან ერთ-ერთი სერაფიმი და ხელში სამსხვერპლოდან აღებული მუგუსალი ეჭირა მაშით. ბაგეზე შემახო და მითხრა: „აჰა, შეეხო ეს შენს ბაგეს და მოგცილდა უკეთურება, მიტევებულია შენი ცოდვა“ (ეს. 6.6–7.).

[6] მოსე – ებრაელი ერის წინამძღოლი და რჯულმდებელი. უფლის საუბარი მოსესთან აღწერილია ბიბლიის გამოსელათა წიგნში (თავები XIX, XX, XXI, XXIV, XXV და ა. შ).

[7] იოანე მახარებელი – იგივე იოანე მოციქული, მეოთხე სახარების, სამი ეპისტოლეს (წერილის) და აპოკალიპსის (გამოცხადების) ავტორი. თავის ხილვაში მან ღვთაებრივი ნათელი განჭვრიტა, რაც აღწერა აპოკალიპსში.

[8] წმიდა წერილი – იგულისხმება ბიბლია.

ესოდენ უსაზღვრო უგულებელყოფას სოფლისას, შეურაცხყოფის დათმენას, ხედავდა, რომ ორი წელი იგი ყველას სარსა და სიზღს უნერგავდა საკუთარი თავის მიმართ, თუმცა კი მუდამ მოთმინებით იტანდა ყოველივეს; მან მისდამი გონივრული პატივისცემა იგრძნო; ბერნარდმა იფიქრა, რომ ფრანჩესკოზე გადმოსული უნდა ყოფილიყო ღვთის უდიდესი მადლი და ეახშმად და ღამის გასათევად მიიწვია; ფრანჩესკომ მიიღო მიწვევა, იეახშმა და ღამის გასათევადაც დარჩა. ბატონმა ბერნარდმა განიზრახა შეემოწმებინა სტუმრის ღვთისმოშიშება; ამისათვის ბრძანა, მამისათვის საწოლი მისსავე საძინებელში გაემზადებინათ, სადაც ყოველთვის კანდელი ენთო. ფრანჩესკო, რომელსაც საკუთარი ღვთისმოშიშების დამალვა სურდა, ოთახში შესვლისთანავე დაწვა და მასპინძელს ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ეძინა; ასევე მოიქცა ბატონი ბერნარდიც, გარკვეული დროის შემდეგ დაწვა და ძლიერი ფშვინვა ამოუშვა, თითქოს ძალიან ღრმად ჩაეძინაო. მაშინ ფრანჩესკო, დარწმუნებული, რომ ბატონ ბერნარდს ნამდვილად ჩათვლიმა, იმწუთასვე წამოდგა საწოლიდან და იმ დროს, როდესაც, ჩვეულებრივ, ადამიანები პირველ ძილს ეძლევიან, ლოცვად დადგა, თვალები და ხელები ზეცად აღაპყრო და უდიდესი სულიერი მოწიწებითა და გულმოდგინებით დაიწყო ღაღადი: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო; – და გათენებამდე ასე იმეორებდა და ქვითინებდა. ამას ამბობდა ფრანჩესკო, უფლის სიდიადის განუზომლობის განჭვრეტით აღტაცებული, უფლისა, რომელმაც მოწყალება მოიღო, მოვლინებოდა ამ ქვეყანას, ცოდვის წყვდიადს რომ მოეცვა და სურდა, თავისი გლახაკი ფრანჩესკოს მეშვეობით ეჩვენებინა გზა მისი და სხვათა სულების ხსნისა.



ვატიკანი.
წმ. პეტრეს ტაძრის ინტერიერი

და, აი, გაბრწყინებული წინასწარმეტყველური სულითა და დიადი საქმეების წინასწარჭვრეტით, რომელიც ღმერთს უნდა აღესრულებინა ფრანჩესკოსა და მისი ორდენის მეშვეობით, ამასთანავე, ფრანჩესკოს მიერ საკუთარი უძლურების გაცნობიერებით, იგი უფალს ევედრებოდა, რომ ღვთიური მოწყალებითა და ყოველისშემძლეობით, რომელთა გარეშეც არაფერი ძალუძს ადამიანს, გაეძლიერებინა იგი და ხელი შეეწყო, აღესრულებინა ის, რაც დამოუკიდებლად არ შეეძლო.

ბატონი ბერნარდი კანდელების სინათლეზე ხედავდა ფრანჩესკოს სხეულის მოწიწებულ მოძრაობას და გულმოდგინედ განსჯიდა მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს; მან იგრძნო, რომ სულიწმიდა[9] შეეხო და ცხოვრების წესის შეცვლის აზრი შთააგონა, რის კვალადაც გათენებისთანავე მიმართა ფრანჩესკოს და უთხრა: ძმაო ფრანჩესკო, საბოლოოდ გადავწყვიტე, დავტოვო წუთისოფელი და გამოგყვე, სადაც არ უნდა გამიძღვე. ამის გაგონებისას ფრანჩესკომ სულიერად დიდად გაიხარა და თქვა: ბატონო ბერნარდ, ის, რაც თქვენ მაუწყეთ, იმდენად დიადი და განსაცვიფრებელი საქმე იქნება, რომ სასურველია, ამის შესახებ რჩევა უფალ იესო ქრისტეს ეკითხოთ და შევევედროთ, რომ განგვიცხადოს თავისი ნება, გვასწავლოს, როგორ შეიძლება ეს აღვასრულოთ. ამიტომ ერთად წავიდეთ ეპისკოპოსის სახლისაკენ, სადაც ერთი მოწყალე მღვდელია – იგი აღაელენს წირვას, ხოლო შემდეგ ჩვენ დავდგეთ ლოცვად მესამე ჟამამდე[10] ევედრებად უფლისა მიმართ, რათა მან მესალას[11] სამგზის კითხვისას გვიჩვენოს გზა, რომლითაც ნებავს ჩვენი წარმართვა. ბატონი ბერნარდი სავსებით დაეთანხმა მას. შემდეგ ისინი გაუდგნენ გზას, მივიდნენ ეპისკოპოსის სახლში და მას შემდეგ, რაც წირვა მოისმინეს, და დადგნენ ლოცვად მესამე ჟამამდე, მღვდელმა, ფრანჩესკოს თხოვნით, ხელთიპყრო მესალა და, ჯვრის გარდასახვით, სამგზის გადახსნა იგი იესო ქრისტეს სახელით; როდესაც პირველად გადაშალა, შეხვდათ ის სიტყვა, სახარებაში ქრისტემ რომ უთხრა ჭაბუკს, რომელმაც უფალს სრულქმნილი ცხოვრების შესახებ ჰკითხა: – თუ გსურს, სრულყოფილი იყო, წადი, შენი ქონება გაყიდე და მიეცი ღატაკებს და გექნება საუნჯე ზეცაში. მერე მოდი და გამომყევი („უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე“ – მათე 19.

---

[9] სულიწმიდა – სამების, მამაღმერთი – ძეღმერთი – სულიწმიდა, ერთ-ერთი წევრი.

[10] მესამე ჟამი – სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ერთი დღე და ერთი ღამე არს ოცდაოთხი ჟამი“. ე. ი. მესამე ჟამი დღე-ღამის მესამე საათია.

[11] მესალა – კათოლიკური ღვთისმსახურების წიგნი.

21); მეორედ შეხედათ ის სიტყვა, რომელიც ქრისტემ უთხრა მოციქულებს, როდესაც საქადაგებლად აგზავნიდა: ნუ წაიღებთ თან ნურც ოქროს, ნურც ვერცხლს, ნურც სპილენძს თქვენი სარტყელებით; ნურც ფუთას გზაში, ნურც ორ სამოსელს, ნურც ფეხსაცმელს, ნურც ხელჯოხს, ვინაიდან მშრომელი თავისი საზრდოს ღირსია. („ნუ მიიღებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა თქუენთა, ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა ხამლსა, ნუცა კუერთხსა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა“. მათე, 10.9-10); იესოს ასე სურდა მათი დამოძღერა, რათა ცხოერებაში მთელი თავიანთი სასოება უფლისათვის მიენდოთ და ერთადერთ მიზნად წმიდა სახარების ქადაგება დაესახათ. როდესაც მღედელმა მესამეჯერ გადაშალა მესალა, შეხედათ ის სიტყვა, რომელიც ქრისტემ თქვა: ვისაც სურს, რომ მომყვეს, უარყოს საკუთარი თავი, აიღოს საკუთარი ჯვარი და გამომყვეს („რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა და მოსლვად, უვარ ყაენ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიდეგინ მე“. მათე, 16.24).

მაშინ უთხრა ფრანჩესკომ ბატონ ბერნარდს: აი, რჩევა, რომელსაც გვაძლევს ქრისტე; მაშ ასე, წადი და აღასრულე, რაც მოისმინე; დაე, კურთხეულ იყოს უფალი იესო ქრისტე, რომელმაც მოწყალება მოიღო ჩვენებინა ჩვენთვის ევანგელური გზა[12]. ამის მოსმენის შემდეგ წავიდა ბერნარდი და გაყიდა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, დიდი სიხარულით დაურიგა ყოველივე ღატაკებს, ქერივებს, ობლებს, მწირებს, მონასტრებს, ქსენონებს ანუ სასნეულო სახლებს; ყოველივე ამაში ფრანჩესკო ერთგულად და გულმოდგინედ ეხმარებოდა.

იხილა ერთმა კაცმა, ბატონმა სილვესტრმა, რომ ფრანჩესკო თავად არიგებდა და გლახაკთათვის ამდენი ფულის გაცემის ნებას იძლეოდა, სიხარბით აღძრულმა უთხრა ფრანჩესკოს: შენ სრულად არ გადამიხადე იმ ქვების საფასური, რომლებსაც ჩემგან ყიდულობდი ეკლესიის ასაგებად. მაშინ ფრანჩესკომ, განცვიფრებულმა მისი სიხარბით, მაგრამ ეითარცა სახარების ჭეშმარიტმა დამცველმა, არ ისურვა კამათი, ხელები დააწყო ბატონი ბერნარდის მუხლებზე და ბატონი სილვესტრის მუხლებზე გადადო ფულით სავსე პეშვები, თან დააყოლა, რომ თუკი მას მეტი სურს, კიდევ მისცემს. სილვესტრი ამით დაკმაყოფილდა და შინ დაბრუნდა; საღამოთი დაიწყო განსჯა იმისა, რაც დღისით ჩაიდინა, და მოიცვა სინანულმა თავისი სიხარბის, ბატონი ბერნარდის მიმართ შურისა და ფრანჩესკოს სათნოების გამო. სამი ღამის მანძილზე ეძლეოდა

[12] ევანგელური გზა – იგულისხმება იესო ქრისტეს მიერ სახარება'ში ნაქადაგები ცხოერების წესი.

მას ღვთისაგან ხილვა, თითქოს ფრანჩესკოს ბაგეთაგან ოქროს ჯვარი გამოდიოდა, რომელიც წვერით ცას სწვდებოდა, ხოლო გვერდითი მკლავები გართხმულიყო აღმოსავლეთიდან ვიდრე დასავლეთამდე. ამ ხილვის შედეგად, რაც კი რამ გააჩნდა, ყველაფერი უფლის საქმეს შესწირა; ორდენის დაარსების დღიდან კი გამოირჩეოდა იმგვარი სიწმიდითა და მადლით, რომ ღმერთთან ისე საუბრობდა, როგორც ორი მეგობარი მასლაათობს ერთმანეთთან; ამის შემსწრე თავად ფრანჩესკო ყოფილა არაერთგზის... ასევე ბატონ ბერნარდსაც მიენიჭა ისეთი მადლი, რომ მრავალჯერ იქნა ზეცად აღყვანილი უფლის პირისპირ ჭვრეტისთვის; ფრანჩესკო მის შესახებ ამბობდა, რომ იგი ყოველგვარი პატივის ღირსი იყო, რამეთუ მან დააარსა ეს ორდენი და პირველმა მიატოვა წუთისოფელი, არაფერი დაიტოვა თავისთვის, არამედ მთელი მონაგები ქრისტეს გლახაკთ დაურიგა და ეზიარა ევანგელურ სიღატაკეს, მისცა ხელთ ჯვარცმულს თავისი თავი განშიშველებულად, რომლის არს ჩვენდა კურთხევა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

რამდენადაც ფრანჩესკოსა და მის ამხანაგებს ღმერთმა მოუწოდა, ექადაგათ და ეტარებინათ ქრისტეს ჯვარი გულითა და საქმეებით, ამდენად, ისინი გამოიყურებოდნენ ჯვარცმულებად და იყვნენ კიდეც ჯვარცმულნი თავიანთი მოღვაწეობითა და მკაცრი ცხოვრებით. ამიტომ უფრო იმას ცდილობდნენ, ქრისტეს სიყვარულის გამო სირცხვილი და კიცხვა დაეთმინათ, ვიდრე ამქვეყნიური პატივი ან თაყვანისცემა ანთუ ამაო ქება-დიდება მიეღოთ. შეურაცხყოფა უფრო უხაროდათ, პატივისცემის გამო კი ურვიდნენ. ისე დადიოდნენ ქვეყნად, როგორც მწირნი და უცხოტომელნი, ატარებდნენ ოდენ ჯვარცმულ ქრისტეს. რამდენადაც ისინი ჭეშმარიტი ვაზის ჭეშმარიტი ტოტების ლერწები იყვნენ, იმდენად იმკიდნენ კიდეც სულიერების დიდსა და კეთილ ნაყოფს, რომელსაც უფალს სწირავდნენ. ორდენის დაარსების დასაწყისში მოხდა ისე, რომ ფრანჩესკომ ძმა ბერნარდი ბოლონიაში გააგზავნა, რათა ღვთისათვის იქ მიეძღვნა ნაყოფი, თანახმად უფლისაგან მონიჭებული მოწყალებისა. ძმა ბერნარდი, წმიდა მორჩილებით სახეზე ჯვრის ნიშანმოფენილი, ბოლონიაში მივიდა. მოზარდები ხედავდნენ მას უბადრუკ და უცნაურ სამოსელში, დასცინოდნენ და შეურაცხყოფდნენ. ქრისტეს სიყვარულით ძმა ბერნარდი ყოველივეს მოთმინებითა და სიხარულით იტანდა; მეტიც, უაღრესი კიცხვისათვის იგი განზრახ გაჩერდა ქალაქის მოედანზე; მის გარშემო თავი მრავალრიცხოვანმა მოზარდმა და მამაკაცმა მოიყარა;

ზოგი უკნიდან ქაჩაედა ქუდზე, ზოგიც – წინიდან, ზოგი მტვერს აყრიდა, ზოგი – ქვებს, ზოგი იქით კრავდა ხელს, ზოგიც – აქეთ; ძმა ბერნარდი წარბშეუხრელად, მოთმინებითა და სიხარულით იტანდა ყოველივეს. მრავალი დღის მანძილზე უბრუნდებოდა იმავე ადგილს, რათა კელაეაც დაეთმინა მსგავსი რამ, რამდენადაც თავშეკავება უფლის წინაშე სრულყოფილებისა და სათნოების დადასტურებაა. მაშინ ერთმა ბრძენმა კანონის დამცველმა, რომელიც პატივისცემით უყურებდა ძმა ბერნარდის ამგვარ შეურყეველობასა და სათნოებას, რომლის აღელვებაც ამდენი დღის მანძილზე ვერანაირმა გაბეზრებამ და წყენინებამ ვერ შეძლო, თავისთვის თქვა: იგი ჭეშმარიტად სათნო ადამიანია. მიუახლოვდა მას და ჰკითხა: ვინ ხარ და რატომ მოხვედი აქ? – პასუხად ძმა ბერნარდმა ხელი უბეში ჩაიყო, ფრანჩესკოს წეს-განგება ამოიღო და მისცა, რათა წაეკითხა; მან ჩაიკითხა და სრულყოფილების უმაღლესი ნიმუში იხილა. უდიდესი განცვიფრებით მიუბრუნდა თანამგზავრებს და უთხრა: ეს კაცი ამქვეყნად ჭეშმარიტად ყველაზე სათნო ადამიანთაგანია და უდიდეს ცოდვას სჩადის იგი, ვინც შეურაცხყოფას აყენებს. იგი ღირსია ყოველგვარი პატივისა. მან ასე უთხრა ძმა ბერნარდს: თუ თქვენ სავანის დაარსება გსურთ, რომელშიც ღვთისმსახურებას შეძლებთ, მაშინ მე, ჩემი სულის გადასარჩენად, სიამოვნებით შემოგთავაზებთ ადგილს. მიუგო ძმა ბერნარდმა: ბატონო ჩემო, მწამს, ეს უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ შთაგაგონა; ამიტომ მაცხოვრის სახელით ვიღებ თქვენს შემოთავაზებას. მაშინ მოსამართლემ დიდი სიხარულითა და სიყვარულით წაიყვანა ძმა ბერნარდი თავის სახლში, შემდეგ გაუძღვა შეპირებულ ადგილას და საკუთარი ხარჯით დაამკვიდრა იქ; ამის შემდეგ შეიქნა იგი მამა მათი, განსაკუთრებული მფარველი ძმა ბერნარდისა და მისი მეგობრებისა. ხოლო ძმა ბერნარდს, მისი წმიდა სიტყვების გამო, ხალხმა ფრიად პატივისცემა დაუწყო, იმდენად, რომ ყოველი, რომელიც შეესებოდა, ან დაინახავდა მას, ბედნიერად თელიდა თავს. მაგრამ ბერნარდი, როგორც ჭეშმარიტად შეწყნარებული ქრისტესი და ფრანჩესკოსი, ეკრძალებოდა, რომ ამქვეყნიურ პატივს არ დაერღვია მისი სულის სიმშვიდე და განერიდა იქაურობას, დაბრუნდა ფრანჩესკოსთან და უთხრა: მამაო, სავანე ქალაქ ბოლონიაში დაარსებულია; გაგზავნე ძმები იქაურობის დასაკაებლად და იქ დასარჩენად, რამეთუ ბოლონიაში მეტ წარმატებას ეეღარ მიეაღწეე; მეშინია კიდეც, ჩემდამი გამოჩენილი გადამეტებული პატივის გამო არ დავკარგო უფრო მეტი, ვიდრე მოვიპოვე. როდესაც ფრანჩესკომ ყველაფერი მოისმინა, ძმა ბერნარდის მიერ გაცხადებული, მადლი შესწირა უფალს, რომელმაც ასე ინება ჯვრის ღატაკთა და მოსწავლეთა გამრავლება. მაშინ ფრანჩესკომ ძმების ნაწილი ბოლონიასა და ლომბარდიაში გაგზავნა და მათ დააარსეს

მრავალი სავანე სხვადასხვა ადგილას, სადიდებლად და საქადაგებლად მოწყალე იესოსი.

ერთხელ ფრანჩესკომ ინება, თავმდაბლობა გაეძლიერებინა ძმა მასეოში, რათა იგი არ გაამპარტავნებულიყო ღმრთისაგან მონიჭებული მადლის გამო, არამედ მორჩილებით კიდევ უფრო განმტკიცებულიყო სხვა სათნოებებშიც. ერთხელ ფრანჩესკო განმარტოებულ ადგილას იმყოფებოდა თაეის პირველ მიმდევრებთან ერთად, რომლებიც ჭეშმარიტად ღვთისმოსაენი იყვნენ. მათ შორის იყო ძმა მასეოც. ფრანჩესკომ, ყველა ამხანაგის თანდასწრებით, ასე უთხრა მას: ძმაო მასეო, ყველა ამ შენს ამხანაგს მონიჭებული აქვს განჭვრეტისა და ლოცვის მადლი, შენ კი – ხალხის წინაშე უფლის სიტყვის ქადაგების წყალობა; ამიტომ მსურს, რომ ძმებს შეეძლოთ, ღვთაებრივ განჭვრეტას მიეცნენ, შენ კი მოწყალების შესაგროვებლად ბჭენთან და სამზარეულოშიც იმსახურე; როდესაც სხვა ძმები დასხდებიან, დავალებას შენ შეასრულებ სავანის გარეთ ისე, რომ, თუკი ვინმე მონასტერთან მოვა, ვიდრე იგი დააკაკუნებს, შეგეძლება, უფლის რამდენიმე კეთილი სიტყვით დააამაყოფილო და შენ გარდა არავის მოუწიოს მასთან გასვლა; ახლა კი სათნო მორჩილებით აღასრულე ეს ბრძანება. მაშინ ძმა მასეომ მოიხადა თხელი ქსოვილის ქუდი, მოიდრიკა ქედი და მიიღო ეს მორჩილება. მრავალი დღის მანძილზე აღასრულებდა იგი დაკისრებულ მოვალეობებს. მისი ამხანაგები, როგორც ღვთივგაბრწყინებული ადამიანები, ხედავდნენ, რომ ძმა მასეო იყო ადამიანი დიდი სრულყოფილებისა, როგორც თავად ისინი და მათზე აღმატებულიც და სავანის ყველა სიმძიმეს მარტო აღასრულებდა. ამიტომ ისინი, ერთი სურვილით შეპყრობილნი, მივიდნენ მამასთან სათხოვნელად, რათა მიეცა ნება, ეს მოვალეობები მათ შორის განაწილებულიყო, რადგან მათ სინდისს არანაირად არ შეეძლო დაეშვა, რომ მხოლოდ ძმა მასეოს ეტარებინა ესოდენ მძიმე ტვირთი. ფრანჩესკომ მოისმინა და ყურადღება მათი რჩევა, იხმო ძმა მასეო და უთხრა: ძმაო მასეო, თქვენს მეგობრებს სურთ მონაწილეობა მიიღონ იმ საქმეების აღსრულებაში, რომლებიც დაგაკისრე და ამიტომ მინდა, რომ ისინი დანაწილდეს. დიდი მორჩილებითა და თავმდაბლობით თქვა ძმა მასეომ: მამაო, რასაც მაკისრებ, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ეთელი, რომ ყოველივე ღვთისაგანაა. ოდეს იხილა ფრანჩესკომ მათი გულმოწყალება და ძმა მასეოს მორჩილება, საოცარი ქადაგება წარმოთქვა მათ წინაშე წმიდა მორჩილების შესახებ. ასწავლიდა ძმებს, რომ რაც მეტ მადლსა და

წყალობას ვიღებთ უფლისაგან, მით უფრო თავის დამდაბლება გვმართებს, რამეთუ მორჩილების გარეშე არანაირი სიქველე არ ეთნება ღმერთს. წარმოთქვა ეს სწავლება და გაანაწილა მოვალეობები უდიდესი სამართლიანობით. სადიდებლად ქრისტესი. ამინ.

ასიზში ყოფნისას ფრანჩესკო ხშირად სტუმრობდა ხოლმე დედა კლარას, რომელსაც სათნო ქადაგებით მოძღვრავდა. კლარას ძლიერი სურვილი დაეუფლა, ერთადერთხელ ეგემა საზრდელი მამაოსთან ერთად და მრავალგზის ევედრებოდა ამას. მან კი ერთხელაც არ ინება ამ ნუგეშის მინიჭება. მაშინ მისმა ამხანაგებმა, რომლებმაც იცოდნენ დედა კლარას სურვილის შესახებ, უთხრეს ფრანჩესკოს: მამაო, გვგონია, რომ ეს სიმკაცრე არ შეესაბამება ღვთაებრივ გულმოწყალებას; ისეთ უმნიშვნელო წადილს, როგორიცაა შენთან ერთად საკვების მიღება, არ უსრულებ კლარას, ღვთისაგან სასურველ ქალწულს, რომელმაც შენი მთაგონებით მიატოვა ამქვეყნიური სიმდიდრე და ფუფუნება. სიმართლე რომ ითქვას, მისთვის — შენი სულიერი ყლორტისათვის — მეტი მოწყალებაც უნდა მიგენიჭებინა. მაშინ ფრანჩესკომ ბრძანა: თქვენ მიგაჩნიათ, რომ უნდა აღვასრულო მისი სურვილი? ხოლო მეგობრებმა უპასუხეს: დიახ, მამაო, შეგფერის მიჰმადლო მას ეს პატივი. მაშინ ფრანჩესკომ თქვა: მსურს, ტრაპეზი გაიმართოს წმიდა მარიას ანგელოზის სავანეში, ის ხომ დიდი ხნის მანძილზე იყო დაყუდებული სან-დამიანეში; ასე რომ, კლარასთვის სასიხარულო იქნება, მცირე ხნით ეწვიოს წმიდა მარიას სავანეს, სადაც იგი აღიკვეცა და დაიწინდა იესო ქრისტეზე[ბ]; სწორედ იქ ვიგემებთ ერთად საზრდელს უფლის სახელით.

როდესაც სატრაპეზოდ დათქმული დღე დადგა, კლარა გამოვიდა მონასტრიდან ერთი თანამგზავრითა და ფრანჩესკოს ამხანაგების წინძღოლით, მივიდა წმიდა მარია ანგელოზის სავანეში და კეთილკრძალულებით ეთაყვანა ქალწულ მარიამს იმ საკურთხეველის წინაშე, სადაც აღიკვეცა და სქემით შეიმოსა[ჰ]; შემდეგ წაიყვანეს სავანის საჭვენებლად, ვიდრე არ დადგა ჟამი პურობისა. ფრანჩესკომ ბრძანა,

---

ბ დაიწინდა იესო ქრისტეზე — ნიშნავს მონაზვნად აღკვეცას.

ჰ სქემით შეიმოსა — ბერ-მონაზონთა უმაღლესი ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად განსაკუთრებით მკაცრი წესების დაცვაა საჭირო.

ტრაპეზი პირდაპირ მიწაზე გაეწყოთ, როგორც ეს ჩვეულებრივ კეთდებოდა. როდესაც პურობის დრომ მოაწია, დასხდნენ ფრანჩესკო და კლარა, ფრანჩესკოს ერთი ძმათაგანი, კლარას თანხმლებლებთან ერთად, და მხოლოდ ამის შემდეგ ყველა სხვა ამხანაგიც მდაბლად მიუსხდა ტრაპეზს. პირველი კერძის შემდეგ ფრანჩესკომ ღმერთზე ისე ტკბილად, ამაღლებულად და საოცრად დაიწყო საუბარი, რომ მათზე უფლის შადლი გადმოვიდა და ყველანი ღმერთთან აღიტაცა ამ სიტყვამ. მათ ზეცად ჰქონდათ მიქცეული თვალები და აღპყრობილი ხელები. ამ დროს კი ასი'ხის, ბეტონისა და შემოგარენის მცხოვრებლები ხედავდნენ, რომ წმიდა მარია ანგელოზის სავანე და ტყე, რომელიც გარს ერტყა, ისე მგზნებარებდა, თითქოს დიდმა ალმა ერთბაშად მოიცვა ეკლესიაც, სავანეც და ტყეც. ამიტომ ასიზელები ცეცხლის ჩასაქრობად გაიქცნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იქ ყველაფერი იწვოდა. მაგრამ მისულებმა იხილეს, რომ კი არაფერი იწვოდა, არამედ ფრანჩესკო კლარასთან და თანამეტრაპეზეებთან ერთად ღვთაებრივ განჭვრეტაში იმყოფებოდა. ერისკაცებმა ირწმუნეს, რომ ეს იყო არა ნივთიერი, არამედ ღვთაებრივი ცეცხლი, რომელიც სასწაულებრივად მოაელინა ღმერთმა. ამით მოასწავებდა ღვთაებრივი სიყვარულის ცეცხლს, რომლითაც აღგზნებული იყო ძმებისა და დედების სულები; დიდად ნუგეშცემულნი დაბრუნდნენ ისინი შინ. კარგა დროის გასვლის შემდეგ გონს მოეგნენ ფრანჩესკო, კლარა და მათთან ერთად სხვებიც და თავი სულიერად მომაგრებულად იგრძნეს. ნაკლებად ზრუნაედნენ ხორციელ საზრდოზე. და, აი, ამ კურთხეული ტრაპეზის დასრულების შემდეგ კლარა თანმხლებლებთან ერთად სან-დამიანეს სავანე'ში დაბრუნდა; მათი დანახვით დები უდიდესი სიხარულით აღივსნენ, რადგან შიშობდნენ, ფრანჩესკოს არ გაეგზავნა კლარა რომელიმე სხვა მონასტრის წინამძღოლად, როგორც ერთხელ უკვე აკურთხა აგნესა, კლარას ღვიძლი და, წინამძღოლ იღუმენიად[15] ფლორენციის მონტიჩელის მონასტრისა. კლარასთვისაც ფრანჩესკოს არაერთხელ უთქვამს: იყავი მზად, რომ საჭიროებისამებრ რომელიმე სავანეში გაგგზავნი; და ისიც, როგორც ასული სათნო მორჩილებისა, პასუხობდა: მამაო, ყოველთვის მზად ვარ წასასვლელად, სადაც არ უნდა მომცეთ კურთხევა. – ამიტომ დებმა ფრიად გაიხარეს მისი დაბრუნებით, ხოლო კლარა ტრაპეზის შემდეგ ფრიად ნუგეშცემული იყო. ქრისტეს სადიდებლად. ამინ!

---

[15] იღუმენია – დედათა მონასტრის წინამძღვარი, უფროსი.

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. ვის არიან შედარებულნი ფრანჩესკო ასიზელი და მისი მეგობრები?

2. რა გადახდა თავს ფრანჩესკოს რამდენიმე მეგობარს და როგორი მადლით იყვნენ ისინი დაჯილდოებულნი?

3. ვინ შეიქნა ფრანჩესკოს პირველი მიმდევარი, როგორ და რა ვითარებაში?

4. რა წინასწარჭერეტა ჰქონდა ფრანჩესკოს ბერნარდის სახლში ყოფნისას და რა შთააგონა მასპინძელს უფალმა?

5. როგორ გადაწყვიტა ფრანჩესკო ასიზელმა ბერნარდის მიმდევრად შეწყნარება და რა დასტური მიიღო ღმერთისგან?

6. როგორ მოიქცნენ ფრანჩესკო და ბერნარდი და რა რეაქცია ჰქონდა მათ ქმედებაზე ვინმე სილვესტრს?

7. როგორ მოექცა ღვთისადმი ბატონი სილვესტრი, რა მოიმოქმედა შემდგომ და როგორი ნიჭით დაჯილდოვდა?

8. რას ესწრაფოდნენ ფრანჩესკო და მისი ამხანაგები და როგორ შეძლო ამ თვისებებით აღჭურვილმა ძმა ბერნარდმა ბოლონიაში თავისი მოძღვრის დავალების შესრულება? ვინ დაეხმარა და რატომ?

9. როგორ მოიქცა ბერნარდი დავალების შესრულების შემდგომ?

10. რა გზით გამოსცადა ფრანჩესკომ ძმა მასეოს ღვთისმოშიშება და თაყმდაბლობა და როგორ მოიქცნენ სხვა ძმები?

11. ვინ იყო კლარა, რა სურვილი ჰქონდა მას და ვისი დახმარებით შეძლო თავისი წადილის ასრულება?

12. სად და რა მიზნით შეიყარნენ ბერ-მონაზვნები და ვისი თანხლებით მოვიდა კლარა?

13. როგორ მოიქცა ფრანჩესკო საკრებულოს წინაშე და რა იხილეს ქალაქ ასიზისა და მიმდებარე ადგილების მაცხოვრებლებმა?

14. რისი შიში ჰქონდათ კლარას მონასტრის დედებს და რატომ?

გააანალიზეთ

15. როგორ განმარტავს ავტორი ფრანჩესკოს ერთ-ერთი ამხანაგის თვითმკვლელობის მიზეზს?

16. რატომ მოახდინა ღრმა შთაბეჭდილება ფრანჩესკოს საქციელმა ქალაქ ასიზის კეთილშობილ და მდიდარ მაცხოვრებელ ბატონ ბერნარდზე?

17. რა თვისებების გამო პოეტს ფრანჩესკოს მიმდევრებმა უფლის თვალში მადლი?

18. რას ნიშნავდა ფრანჩესკოსთვის ბერნარდთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას სახარებისეული ეპიზოდების მითითებები?

19. რატომ დაეუფლა მონანიების გრძნობა სილვესტერს მას შემდეგ, რაც ფრანჩესკომ ბერნარდის ფულის ნაწილი მისცა?

20. რა კრძალვამ და შიშმა შეიპყრო ძმა ბერნარდი ბოლონიაში სავანის დაარსების შემდეგ და რა მიზეზით?

21. რატომ გადაწყვიტა ფრანჩესკომ ძმა მასეოს გამოცდა და რა თვისებები გააღვივა სხვა ძმებში?

22. რის გამო ეკრძალეოდა ფრანჩესკო კლარასთან ტრაპეზის გაზიარებას და რემდენად სამართლიანი იყო მისი საქციელი?

23. რა მიზანი ჰქონდა ბერ-მონაზონთა სატრაპეზოდ თავშეყრას?

განაზოგადეთ

24. რატომაა ჰაგიოგრაფიის მთავარ გმირთა ცხოვრება იესო ქრისტეს მოღვაწეობასთან შედარებული?

25. რა მიზნითაა მოყვანილი ბიბლიური პარალელები შუა საუკუნეების თხზულებების პერსონაჟთა ღვაწლის მნიშვნელობაზე საუბრისას?

26. როგორი თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს ქრისტეს მცნებების დამცველი?

27. ფრანჩესკოს მიერ ბერნარდის მიმდევრად შეწყნარების მხარდასაჭერად უფალმა მამაოს მათეს სახარებიდან სამგზის მიანიშნა. ამოიწერეთ ეს ციტატები, გაიაზრეთ მათი შინაარსი და ორ-სამ აბზაცში თქვენი სიტყვებით გადმოეცით, თუ რა მოეთხოვებოდათ ღვთის მცნებების მიმდევართ.

28. რა ხილვა ჰქონდა სილვესტრს ფრანჩესკოსთან დაკავშირებით და რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ასეთმა მინიშნებამ ადამიანზე?

29. სამონასტრო სავანეების დაარსების მსურველებს განსაკუთრებული თვისებები უნდა ახასიათებდეთ. რა თვისებებია ისინი?

30. რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის თავმდაბლობისა და თანაგრძნობის უნარის გაღვივებას?

31. როგორ შეიძლება იქნეს გააზრებული უფლისადმი ლოცვა შეუწველ, ღვთაებრივ და არა ნივთიერ ცეცხლად?

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი
ასკეტური იდეალები

ასკეტი ბერძნული სიტყვაა და „მებრძოლს“, „ათლეტს“ ნიშნავს. ძველი დროიდანვე მან სამი ძირითადი მნიშვნელობა შეიძინა: 1) ფიზიკური (სხეულის ვარჯიში), 2) ზნეობრივი (გონებისა და ნებისყოფის წვრთნა) და 3) რელიგიური. ქრისტიანობისთვის არსებითი რელიგიური მნიშვნელობაა, რადგან ბერმონაზვნურ ცხოვრებას დაუკავშირდა. ასკეტიზმი იყო გზა ადამიანის რელიგიურ-ზნეობრივი სრულყოფისა, სულისა და სხეულის შინაგანი და გარეგანი ჰარმონიულობისა. მთავარი მიზანი ღმერთთან შერწყმა იყო უბიწოების, მოთმინების, მარხვისა და ლოცვის გზით.

ქრისტიანობის ასკეტური ხასიათი იესოს მოწოდებით სახარებიდანვე განისაზღვრა: „ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს საკუთარი თავი, აიღოს საკუთარი ჯვარი და გამომყვეს“ (მათე 16.24; მარკოზი 8.34; ლუკა 9.23). აქ გაცხადებულია ასკეტიზმის არსი: ცხოვრება ქრისტეში, ქრისტესთან და ქრისტესთვის. მართალია, მარტეილობა უმაღლეს ასკეზად გაიაზრებოდა, მაგრამ არანაკლებად, თუ არა აღმატებულად, ითელებოდა ბერმონაზვნური ცხოვრება, რომლის რამდენიმე ფორმა არსებობდა: ანაქორეტობა (განდეგილობა, მეუდაბნოე ბერობა), კინობია (მონასტრული ცხოერება), კელიოტობა (მონასტრის კელიაში მარტომყოფობა, დაყუდება), ასკეტერია (ასკეტთა მოღვაწეობა ქალაქის მახლობლად ან ქალაქშიეე).

1. არის თუ არა „ფრანჩესკო ასიზელის ცხოვრება“ ასკეტური შინაარსის თხზულება? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.
2. ასკეტური მოღვაწეობის რომელი ფორმაა აღწერილი ტექსტში?

სულიერი ნათელი

ჰაგიოგრაფიის მრავალ მხატვრულ თაეისებურებას შორის (მოძღვრება დუმილისა და ორგვარი სიბრძნის, ამაღლებულის, არქეტიპის და სხვ. შესახებ) არსებითია სულიერი ნათლის გააზრება. წმ. გრიგოლ ხანცთელისა და მისი სულიერი ძმების შესახებ ეკითხულობთ, რომ ისინი „ბრწყინეიდესო, ვითარცა მთიებნი ზეცისა სამყაროჲსა, ხილულსა ამას და განქარვებადსა მზესა ქუეშეო“, რაშიც იგულისხმება ნათელი ნათელსა შორის ანუ მზეზე აღმატებული ნათელი. ჰაგიოგრაფთა რწმენით, ასეთ ნათელს ღვთაებრივი, სულიერი სიკეთე აშუქებს. საერო მწერლობაში, მაგალითად, „ეეფხისტყაოსანში“ ასეთი ყოელისმომცველი ნათელი ქალურ

მშვენიერებასთან მიმართებითაა წარმოდგენილი: ნესტანმა „განანათლა ქვეყანა, გაცუდდეს შუქნი მზისანი“.

შუა საუკუნეების მწერლობის ნათელი მიუწედომელი, ზეციური ნათელია, რომელიც შეუწველი ცეცხლის სახითაც შეიძლება იქნეს წარმოდგენილი.

1. მოძებნეთ ტექსტში ის ეპიზოდი, რომელშიც საუბარია ზეციურ ნათელზე, შეუწველ ცეცხლზე.

2. რა მიზნითაა შეტანილი ფრანჩესკოს ცხოერების ეს ისტორია ნაწარმოებში?

ენობრივი უნარები
არქაიზმები

როგორც ვიცით, არქაიზმი ხმარებიდან გასული სიტყვა ან შესატყვისების ფორმაა, რომლებიც უმთავრესად ძველი თხზულებების ენისათვისაა დამახასიათებელი.

„ფრანჩესკო ასიზელის ცხოვრება“ XIII საუკუნის მოვლენებს ეხება იტალიაში. მართალია, ტექსტი თანამედროვე ქართული ენითაა თარგმნილი, მაგრამ ნაწარმოების არქაული თაეისებურებების შენარჩუნების მიზნით, ზოგ შემთხვევაში კი ტერმინოლოგიური დანიშნულებით, ხმარებიდან გასული სიტყვებიც გეხვდება: მაგალითად, როგორებიცაა: აღვლენა, ურყიდნენ, განერიდა, მესალა.

1. წიგნში წარმოდგენილი მთლიანი ტექსტიდან ამოიწერეთ ის სიტყვები და ტერმინები, რომლებსაც თხზულების დამახასიათებელ არქაიზმებად და ტერმინებად მიიჩნევთ.

2. მიუწერეთ მათ თანამედროვე მნიშვნელობა და განმარტება.

ქრისტეს უერთგულესმა მსახურმა, ბატონმა ჩვენმა ფრანჩესკომ, ერთხელ წმიდა მარია ანგელოსის სიახლოვეს შეკრიბა საერთო კაპიტულიონი[16], რომელზეც თავი ხუთი ათასზე მეტმა ძმამ მოიყარა; და დომენიკმა, ბურგუნდიიდან რომს მიმავალმა, რომელიც იყო თავი და საფუძველი მქადაგებელ ძმათა ერთ-ერთი ორდენისა, როგორც კი შეიტყო კაპიტულიონში შეკრების ამბავი, წმიდა მარია ანგელოზის მახლობლად ვაკეზე წასვლა განიზრახა თავისი ორდენის შეიდ ძმასთან ერთად.

ამ კაპიტულიონზე იმყოფებოდა კიდევ ერთი, ფრანჩესკოს ფრიად პატივისმცემელი კარდინალი, რომელსაც მამაომ უწინასწარმეტყველა, რომ პაპი გახდებოდა; ასეც მოხდა.

ეს კარდინალი პერუჯიდან, სადაც სასახლე იყო, საგანგებოდ წამოვიდა ასიზში, და ყოველდღე დადიოდა ფრანჩესკოსთან და მის ძმებთან; ერთხელ მან ჟამისწირვა აღასრულა; ერთხელაც კაპიტულიონში ქადაგება დააყენა ძმებთან ერთად; კარდინალი გრძნობათა უდიდეს სიტკბოებასა და კეთილკრძალულებას განიცდიდა ამ შეკრებებზე. იგი ხედავდა ძმებს წმიდა მარიას ვაკეზე, რომლებიც ისხდნენ ერთგან სამოცდაციან ჯგუფებად, სხვაგან ას ან ორასდაციან, ხოლო ზოგან სამასდაციან გუნდებადაც კი. ისინი მხოლოდ ღმერთზე მსჯელობითა და ლოცვით, ცრემლებითა და სიყვარულის საქმეებით იყვნენ მოცულნი ისე მდუმარედ და ისეთი მოკრძალებით, რომ იქ არ ისმოდა არც ხმაური, არც სხვა რამ ჩამიჩუმი; უკვირდა კარდინალს საკრებულოს ესოდენი მრავალრიცხოვნება და მოწესრიგებულობა და ამბობდა ცრემლებითა და დიდი კრძალვით: აი, ქრისტეს ჭეშმარიტ რაინდთა ბანაკი და მხედრობა. არ ისმოდა მთელ საკრებულოში არანაირი სასაცილო ან სახუმარო სიტყვა; სადაც კი თავს იყრიდა ძმათა გუნდი, ან ლოცულობდნენ, ან წირავდნენ, ან ცრემლოოდნენ თავიანთი ცოდვებისა თუ სათნოების გამო, ან მსჯელობდნენ სულის ხსნის შესახებ. და მოფენილი იყო ის ბანაკი წნელითა და ჭილობით გაკეთებული ქოხებით, რომლებითაც ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ სხვადასხვა მხრიდან მოსულნი. ამიტომ ეძახდნენ წნელისა და ჭილობის ბანაკს. საცხედრედ ემსახურებოდათ შიშველი მიწა და მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ ცოტაოდენი ჩალა. სასთუმლად ეწყოთ ქვები ან ხის ნაჭრები. ამ მიზეზის გამო მათდამი ისეთი პატივისცემა იგრძნობოდა, ისეთი დიდება მოეფინა მათ სათნოებას, რომ პაპის სასახლიდან, რომელიც მაშინ პერუჯაში მდებარეობდა, და სპოლეტის

---

[16] კაპიტულიონი — სულიერ ძმათა საერთო კრება, თავყრილობა.

ველის სხვა აღგილებიდან მრაველად გამოეშურნენ მათ მოსასმენად გრაფები და ბარონები, რაინდები და სხვა კეთილშობილი ადამიანები, და მრავალნი უაზნონი და კარდინალები, ეპისკოპოსები და აბატები სხვა სასულიერო პირებთან ერთად. ყველა მოდიოდა სახილველად ამ ესოდენ სათნო და თავმდაბალი საკრებულოსი, რამეთუ ამქვეყნად ჯერ არასოდეს მოეყარა თავი ამდენ ღვთივკრძალულ ადამიანს. უმთაერესად მოდიოდნენ ისინი სახილველად ამ პირთა მეთაურისა, მამა ფრანჩესკოსი, რომელმაც გამოსტაცა წუთისოფელს ესოდენ მშვენიერი ნადავლი და შეკრიბა ამგვარი გასაოცარი და კეთილმსახური სამწყსო, რათა კვალში გაჰყოლოდნენ ფრიად პატივსაცემ მწყემს იესო ქრისტეს. როდესაც სრულად შეიკრიბა საყოველთაო კაპიტულიონი ყოველთა, მამაომ და უპირველესმა წინამძღოლმა ფრანჩესკომ ძმებს საღვთო სიტყვით მიმართა; ხმამაღლა უქადაგებდა მათ იმას, რასაც კი სულიწმიდა შთააგონებდა; შინაარსი ქადაგებისა კი ასეთი იყო: შვილნო ჩემნო, დიადი საქმენი გველის აღსასრულებლად, მაგრამ აღთქმულზე აღმატებულია ბევრი რამ, რაც უფლისაგან გვებოძა; შევასრულოთ ის, რისი პირობაც დავდეთ და ურყევად დავეყოლოდოთ იმას, რაც აღგვეთქვა. მოკლეჟამიანია ამქვეყნიური სიამენი, გარნა ტანჯვა, რომელიც მათ მოჰყვება – მარადიული. არარაობაა ამქვეყნიური სატანჯველი, მაგრამ დიდება იმქვეყნიურ ცხოვრებასა შინა – საუკუნო... ამ სიტყვებითა და მოკრძალებით დაყენებული ქადაგებისას იგი ამხნევებდა ძმებს და მოძღვრავდა წმიდა დედა-ეკლესიისადმი მორჩილებითა და პატივისცემით,'უქადაგებდა ძმურ სიყვარულს,ღვთისადმი საერთო-სახალხო ლოცვის საჭიროებას, წუთისოფლის უბადრუკებათა დათმენასა და ბედნიერებაში ზომიერებას, ანგელოზებრივ სიწმიდესა და უმანკოებას, მშვიდობასა და თანხმობას ღმერთთან და ადამიანებთან, და საკუთარ სინდისთან, წმიდა სიღატაკის დაცვასა და სიყვარულს. და იქვე თქვა მან: ღვთისადმი მორჩილების ძალით გიბრძანებთ ყოველ თქვენგანს, აქ თავმოყრილს, რომ არავინ იზრუნოს რაიმეზე, რაც საკვებს ან სასმელს შეეხება, ან საგნებზე, რომლებიც სხეულისთვისაა აუცილებელი, არამედ იფიქრეთ მხოლოდ ლოცვასა და უფლის განდიდებაზე. და ყველა ურეა სხეულზე ღმერთს მიანდეთ, რამეთუ ის იზრუნებს თქვენზე განსაკუთრებით. და ყველა იქ მყოფმა ეს ბრძანება წრფელი გულითა და მხიარული სახით მიიღო. ფრანჩესკოს ქადაგების დამთავრებისთანავე ყველანი ლოცვად დადგნენ.



ფრანჩესკო ასიზელის ბიუსტი

მაშინ დომენიკი, რომელიც ამას შეესწრო, ძლიერ განაცვიფრა ფრანჩესკოს ბრძანებამ და ჩათვალა ის არათავმდაბლურად, ვინაიდან ვერ წარმოედგინა, ესოდენ დიდ საკრებულოს როგორ შეეძლო არსებობა იმ სახმარზე ზრუნვისა და ურვის გარეშე, რომელიც სხეულისთვისაა აუცილებელი. მაგრამ მთავარმა მწყემსმა, კურთხეულმა ქრისტემ, სურდა რა ეჩვენებინა, თუ როგორ ზრუნავს სამწყსოზე და როგორ განსაკუთრებულ სიყვარულს განიცდის თავის გლახაკთა მიმართ, დაუყოვნებლივ შთააგონა პერუჯას, სპოლეტოს, ფოლინიოს, სპელოს, ასიზისა და სხვა შემოგარენის მაცხოვრებლებს, რათა მიეტანათ საზრდელი და სასმელი ამ კრებულისათვის. და, აი, მოულოდნელად გამოემართა დასახელებული ადგილებიდან ხალხი საპალნეაკიდებული პირუტყვებით, ცხენებით, საზიდავებით, დატვირთული პურითა და ღვინით, ცერცვითა და ყველით და საკვებად განკუთვნილი სხვა ხორაგით, იმდენით, რამდენიც საჭირო იყო ქრისტეს გლახაკთათვის. გარდა ამისა, მოიტანეს პირსახოცები და ქოთნები, ჭიქები და სხვა ჭურჭელი, რაც კი სჭირდებოდა ესოდენ დიდ კრებულს. ბედნიერად თელიდა თავს ის, ვისაც მეტის მიტანა შეეძლო, ან დიდი ზრუნვით მოემსახურებოდა მათ. ასე რომ, თვით ბატონები და რაინდებიც კი, და სხვა კეთილშობილი ხალხი, რომლებიც მათ სახილეელად მოვიდნენ, დიდი თავმდაბლობითა და სიყვარულით ემსახურებოდნენ.

მაშინ დომენიკიც, ყოველივე ამის მხილველი, ჭეშმარიტად დარწმუნდა, რომ ფრანჩესკომ ღვთის ნება განჭვრიტა, მორჩილებით აღიარა, რომ იგი უსამართლოდ სდებდა ბრალს მამაოს, მუხლი მოიყარა მის წინაშე, მორჩილად აღიარა დანაშაული და დაამატა: ჭეშმარიტად, ღმერთი განსაკუთრებულად ზრუნავს ამ ღვთის გლახაკებზე, მე კი ეს არ ვიცოდი; დღეიდან პირობას ვდებ, დავიცვა წმიდა ევანგელური უპოვარება; და ღვთის სახელით შევაჩვენებ ჩემი ორდენის ყველა იმ ძმას, რომელიც რამეს მიისაკუთრებს.

ასე ისწავლა დომენიკმა მრავალი რამ ფრანჩესკოს სარწმუნოებრივი სიმტკიცით, მრავალრიცხოვანი და მოწესე საკრებულოს მორჩილებითა და სიღატაკით, ღვთაებრივი განჭვრეტითა და მადლის სიუხვით.

იმავე კაპიტულიონზე ფრანჩესკოს ეუწყა, რომ მრავალი ძმა ტანზე ჯაჭვსა და რკინის რგოლებს ატარებდა; ამის გამო ბევრი სნეულდებოდა, ზოგიერთი კვდებოდა კიდეც, მრავალსაც ხელს უშლიდა ლოცვაში. ამიტომ ფრანჩესკომ, როგორც კეთილგონიერმა მამამ, საღვთო მორჩილების სახელით ბრძანა, რომ ყველას, ვისაც კი ჯაჭვი ან რკინის რგოლი ეკეთა, მოეხსნა სხეულიდან და მის წინაშე დაეწყო. ასეც მოიქცნენ. და მოგროვდა ხუთასი ჯაჭვი, გაცილებით მეტი ხელისა და მუცლის

რკინის რგოლი, იმდენი, რომ მათ მოზრდილი გორაკი წარმოქმნეს; ფრანჩესკომ ყველაფრის იქ დატოვება ბრძანა. კაპიტულიონის თავშეყრის დასრულების შემდეგ ისინი დამოძღვრა, თუ უცოდველად როგორ განრიდებოდნენ წუთისოფლის საცდურთ და ყველა თავის ქვეყანაში ღვთისა და საკუთარი კურთხეით, სულიერი სიხარულის ნუგეშით განუტევა. ქრისტეს სადიდებელად. ამინ!

ერთხელ ფრანჩესკო ბორგოს მხარის გავლით სანტო-სეპოლკროს მიმართულებით მიეშურებოდა და როდესაც იმ ადგილას გაიარა, რომელსაც მონტე-კაზალე ეწოდება, მასთან მაყანი კეთილშობილი, დიდად ნებიერი ყმაწვილი მივიდა და უთხრა: მამაო, ძალიან მსურს, ერთი თქვენი ძმათაგანი გავხდე. უპასუხა ფრანჩესკომ: შვილო ჩემო, ჯერ ახალგაზრდა ხარ, უსრუნველი და კეთილშობილი; რომ ვერ შეძლო ჩვენი სიღატაკისა და მკაცრი ცხოვრების ატანა? მან კი მიუგო: მამაო, განა თქვენც ისეთივე ადამიანები არა ხართ, როგორც მე? ამიტომ, როგორც თქვენ იტანთ ამას, ასევე შევძლებ მე, ქრისტეს შეწევნით. ფრანჩესკომ დიდად მოეწონა ეს პასუხი, ამიტომ დალოცა იგი, დაუყოვნებლივ მიიღო ორდენში და დაარქვა ძმა ანგელოსი. ეს ჭაბუკი ისე ღვთისნიერად მოიქცა, რომ მოკლე ხანში ფრანჩესკომ იგი ხსენებული მონტე-კაზალეს სავანეში მორჩილად დააყენა. იმ დროს ამ ადგილებში სამი ცნობილი ყაჩაღი დაეხეტებოდა, რომლებიც ბევრს ავს სჩადიოდნენ; ერთხელაც ისინი ხსენებული სავანის ძმებთან მივიდნენ და სთხოვეს ძმა ანგელოსს, მათთვის საჭმელი მიეცა. მკაცრად გაკიცხა მორჩილმა ისინი და ასე უთხრა: თქვენ მძარცველები და სასტიკი მკვლელები ხართ, არ გრცხვენიათ სხვათა ნამუშაკევის მიტაცებით გამოყვენება; ესეც არ გყოფნით, თავხედურად და ურცხვად გსურთ, შთანთქათ ის შემოწირულობა, რომელიც ღვთის მონებს უძღვნეს. არ ხართ იმის ღირსი, რომ დედამიწამ გატაროთ, არ სცემთ პატივს არც ადამიანებს, არც უფალს, რომელმაც შეგქმნათ; ახლა კი წადით თქვენი ავი საქმის საკეთებლად და მეორედ აღარ გამოჩნდეთ. ყაჩაღები აღშფოთდნენ და დიდად გაღიზიანებულნი წავიდნენ.

და, აი, ამის შემდეგ შორიდან დაბრუნდა ფრანჩესკო პურით სავსე ტომრითა და ღვინის ხელადით, რომელიც მან და მისმა ამხანაგებმა მოიპოვეს; როდესაც მსახურმა უამბო, თუ როგორ გაყარა ავაზაკები, ფრანჩესკომ მკაცრად გაკიცხა იგი და უთხრა: შენ სასტიკად მოიქეცი, რამეთუ ცოდვილთა მოყვანა უფალთან სიმშვიდით უფრო ადვილია, ვიდ-

რე დაუნდობელი ყეედრებით; ჩვენი მოძღვარი იესო ქრისტე ამბობს, რომ მკურნალი არა ჯანმრთელებს, არამედ სნეულებს სჭირდებათ და რომ იგი მოვიდა არა მართალთა, არამედ ცოდვილთა მონანიებისათვის და ამიტომ მათთან ერთად მრავალგზის მიულია საზრდელი. ამდენად, რაკი გულმოწყალებისა და ქრისტეს წმიდა სახარების წინაშე შესცოდე, გიბრძანებ, წმიდა მორჩილების სახელით, დაუყოვნებლივ აიღო ეს პურით სავსე ტომარა, რომელიც შეეაგროვე და ეს ღვინიანი ხელადა და გულმოდგინედ გაჰყევ მათ კვალს მთებსა და ველებში, ვიდრე არ იპოვი და შესთავაზებ ამ პურსა და ღვინოს ჩემი სახელით; შემდეგ მუხლს მოიყრი მათ წინაშე და მორჩილებით აღიარებ საკუთარ გულქვაობას. ჩემი სახელით სთხოვ, აღარ ჩაიდინონ ბოროტება, არამედ ეშინოდეთ ღვთისა და არ აწყენინონ მოყვასს; თუკი ასე მოიქცევიან, პირობას ვაძლევ, ვიზრუნო მათზე და ყოველთვის მივაწოდო საზრდელი და სასმელი; როდესაც ყოველივე ამას ეტყვი, კეთილკრძალულად დაბრუნდი უკან.

ვიდრე მორჩილი ბრძანების შესასრულებლად დადიოდა, ფრანჩესკო ლოცვად დადგა და შესთხოვა ღმერთს,რათა მოელბო ავაზაკების გული და სინანულისკენ მოექცია. ძმა ანგელოსმა მორჩილად მიაღწია ყაჩაღებამდე, შესთავაზა პურ-ღვინო და ამცნო ის, რაც ფრანჩესკომ დაავალა. ღმერთმა ინება, რომ მძარცველებმა ფრანჩესკოს მიძღვნილის მირთმევის შემდეგ ერთმანეთში საუბარი დაიწყეს: ვაი ჩვენ, უბადრუკებსა და ბედუკუღმართებს, რა სასტიკი ჯოჯოხეთური ტანჯვა მოგველის იმისათვის, რომ არა მხოლოდ ვძარცვავთ საკუთარ მოყვასთ, ვაყენებთ გეემასა და ჭრილობებს, არამედ ვხოცავთ კიდეც და მეტიც, ჩვენ მიერ ჩადენილი ამ ბოროტი და დანაშაულებრივი საქმეების გამო არც კი განვიცდით სინდისის ქენჯნას, რაიმე შიშს უფლის წინაშე; ეს სათნო ძმა კი იმ რამდენიმე სიტყვის გამო მოვიდა, რომლითაც სამართლიანად ამხილა ჩვენი ბოროტმოქმედება და მორჩილად მოინანია; გარდა ამისა, მოიტანა პური და ღვინო, თან გვაუწყა ფრანჩესკოს ასეთი მოწყალე დაპირება. ჭეშმარიტად ეს ძმები სათნონი არიან უფლის წინაშე და იმსახურებენ სამოთხეს; ჩვენ კი მარადიული განკითხვის შვილები ვართ და ეიმსახურებთ ჯოჯოხეთის სატანჯველს, თან ყოველდღე ვიღრმავებთ ჩვენს წარწყმედას და არც ვიცით, შეგვიძლია კი, აქამდე ჩადენილი ცოდვების გამო, უფლისაგან შენდობა მივიღოთ? ამ და სხვა მსგავს სიტყვებს ამბობდა ერთ-ერთი მათგანი, ხოლო სხვა ორმა უთხრა: ჭეშმარიტებაა, შენ სიმართლეს ამბობ; მაშინ რაღა ექნათ? – წავიდეთ ფრანჩესკოსთან! – თქვა მან, – და თუკი იგი მოგვცემს იმედს, მოვიპოვოთ ღვთისაგან შენდობა ჩვენი ცოდვების გამო, გავაკეთოთ ის, რასაც გვიბრძანებს, და, შეიძლება, ვიხსნათ კიდეც საკუთარი სულები

ჯოჯოხეთის სატანჯველთაგან.

ეს რჩევა სხვებსაც ეთნოთ. სამიენ შეთანხმებულად გაემართა ფრანჩესკოსთან და ასე უთხრეს: მამაო, ჩვენ მიერ ჩადენილი მრავალრიცხოვანი ბოროტმოქმედებისა და ცოდვის გამო არ გვჯერა, რომ უფლისაგან შენდობას მივიღებთ. მაგრამ თუკი გაქვს იოტისოდენა იმედი, რომ ღმერთი მოიღებს მოწყალებას ჩვენზე, მაშინ, აი, მზად ვართ გავაკეთოთ ყველაფერი, რასაც გვიბრძანებ და მოვინანიებთ შენ წინაშე. მაშინ ფრანჩესკომ სიყვარულითა და სათნოყოფით მიიღო ისინი, გაამხნევა, დაარწმუნა ღვთის დაუშრეტელ გულმოწყალებაში და შეჰპირდა, გამოეთხოვა უფლისაგან მიტევება. ასწავლა მათ, თუ რაოდენ უსასრულოა მაცხოვრის მადლი და რომ გაცილებით მეტი ცოდვის შემთხვევაში ღვთაებრიეი გულმოწყალება უფრო აღმატებულია, წმიდა მოციქული პაელე ხომ ამბობს: მოწყალე ქრისტე ამ ქვეყანას ცოდვილთა გამოსასყიდად მოევლინა.

ამ და სხვა მსგავსი სიტყვების მოსმენისა და დამოძღვრის შემდეგ ხსენებული სამი ყაჩაღი განუდგა ეშმაკს. ფრანჩესკომ მიიღო ისინი თავის ორდენში. ავაზაკები დიდ მონანიებას მიეცნენ; ორ მათგანს მოქცევის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია და სამოთხეში მოხვდნენ; ხოლო მესამე მათი სიკედილის შემდეგ საკუთარი ცოდვების გამო ისეთ დიდ სინანულს მიეცა, რომ ზედიზედ თხუთმეტი წელი, გარდა საერთო მარხვებისა, რომელსაც სხვა ძმებთან ერთად ინახავდა, კვირაში სამ დღეს მხოლოდ პურითა და წყლით საზრდოობდა, მუდამ ფეხშიშველი დადიოდა, ეცვა მხოლოდ ანაფორა[17] და განთიადის შემდეგ არ ეძინა... სადიდებლად ქრისტესი. ამინ!

[17] ანაფორა — სასულიერო პირის სამოსი, კაბა.

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. სად შეყარა ფრანჩესკომ საერთო კაპიტულიონი და, კერძოდ, ვინ დაესწრო მას?

2. როგორი განწყობა სუფევდა შეკრებილთა შორის და რაზე მსჯელობდნენ ისინი?

3. რა უწოდეს ბერ-მონაზონთა ბანაკს და რანაირ პირობებში ათევდნენ ძმები ღამეებს?

4. როგორ მიმართა ფრანჩესკომ საერთო კაპიტულიონზე თავშეყრილთ?

5. რა უბრძანა ფრანჩესკომ შეკრებილებს და როგორი რეაქცია ჰქონდა ამ განკარგულებაზე დომენიკს, ძმათა ორდენის თავკაცს? რა ვერ წარმოედგინა მას?

6. ვინ მიაშურა საერთო კაპიტულიონს და რა მიზნით? რა თქვა ამის შემდეგ დომენიკმა და რისი პირობა დადო?

7. რას ატარებდნენ ბერები, რა ბრძანა ფრანჩესკომ და რატომ?

8. ვინ და როგორი წარმომავლობის ახალგაზრდა დაიმოწაფა ფრანჩესკომ?

9. ვინ მივიდნენ ერთხელ ფრანჩესკოს ორდენში და როგორ გაისტუმრა ისინი ძმა ანგელოსმა?

10. რატომ აღშფოთდა ფრანჩესკო ანგელოსის საქციელის გამო და რა დააყალა მას?

11. რა თქვეს ყაჩაღებმა მას შემდეგ, რაც მათთან ძმა ანგელოსი მივიდა და როგორი გადაწყვეტილება მიიღეს?

12. როგორ დასრულდა სამი აავაზაკის სიცოცხლე?

გააანალიზეთ

13. რა მიზნით შეკრიბა ფრანჩესკომ საერთო კაპიტულიონი და რატომ ესწრებოდნენ მას სასულიერო პირების გარდა ერისკაცნიც?

14. რა შინაარსისა იყო ფრანჩესკოს მიერ საერთო კაპიტულიონზე წარმოთქმული სიტყვა და რას მოუწოდებდა თავშეყრილთ?

15. რატომ აუკრძალა ფრანჩესკომ შეკრებილებს საკვებსა და სასმელზე ზრუნვა, რითი და როგორ დაუფასდათ მოძღვრისადმი მორჩილება?

16. ვინ შთააგონა ერისკაცებს, რომ საერთო კაპიტულიონზე თავშეყრილნი საზრდელით მოემარაგებინათ? რატომ იქონია ამ ამბავმა დომენიკზე გავლენა?

17. რაზე მეტყველებს ბერების მიერ ტანზე ჯაჭვისა და რკინის რგოლების ტარება და ფრანჩესკოს მიერ გაცემული ბრძანება?

18. რამ დაარწმუნა ფრანჩესკო, რომ საძმოს წევრად მიეღო ნებიერი ახალგაზრდა, რომელსაც შემდგომ ძმა ანგელოსი დაარქვა?

19. რატომ გაყარა ძმა ანგელოსმა ფრანჩესკოს სავანეში მისული ავაზაკები? ამართლებთ თუ არა მის საქციელს?

20. როგორი ზეგავლენა იქონია სამ ყაჩაღზე ფრანჩესკოს შემონათვალმა და რატომ?

განაზოგადეთ

21. რა მიზანი აქვს სასულიერო პირთა და ერისკაცთა უფლისადმი ერთობლივ ლოცვას?

22. რას მიუთითებს მრავალრიცხოვანი თავყრილობის მოწესრიგებულობა და მატერიალური ფასეულობების უარყოფა?

23. საერთო კაპიტულიონზე ფრანჩესკოს მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ერთმანეთთან დაპირისპირებულია ადამიანის სული და ხორცი. რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და რატომ?

24. რაზე მეტყველებს საერთო კაპიტულიონზე შეკრებილთა წინაშე ერისკაცთა სურსათ-სანოვაგით მისვლა? თელიდნენ თუ არა ისინი ბერმონაზონთა მოღვაწეობას მნიშვნელოვან საქმედ?

25. მრავალი ბერი ტანზე ჯაჭვისა და რკინის რგოლებს ატარებდა. რამდენად გამართლებულად თელით ადამიანის მიერ საკუთარი ხორცის დათრგუნვას ამ გზით?

26. შეუძლია თუ არა ყველა ადამიანს ბერმონაზვნობის ტვირთის ზიდვა?

27. უნდა გაუწოდოს თუ არა ადამიანმა დახმარების ხელი ნებისმიერ კაცს, მათ შორის, ბოროტმოქმედს? რას გვასწავლის ფრანჩესკოს შეგონება და ძმა ანგელოსის მიერ მოძღვრის ბრძანებით შესრულებული დავალება?

სააზროვნო უნარები

კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია ნიშნავს საგანთა ან პერსონაჟთა ხასიათების დახარისხებას გარკვეული სისტემურობით. მაგალითად, ხასიათები შეიძლება

დაიყოს დადებითი და უარყოფითი ნიშნით. ხოლო, თავის მხრივ, ვთქვათ, დადებითი პერსონაჟები – სასულიერო პირებად და ერისკაცებად და ა. შ.

1. ამოიწერეთ და დაახარისხთ „ფრანჩესკო ასიზელის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი პერსონაჟები.

2. რა მსგავსება-განსხვავებაა მათ შორის?

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი არქეტიპი

ბიბლიური, მითოლოგიური, ფოლკლორული და სხვადასხვა კულტურათა მწერლობის თემის, სიუჟეტის, სიმბოლოსა და ხასიათების მიმანიშნებელ გამოყენებას არქეტიპი ეწოდება. როგორც წესი, იგი მკითხველის ასოციაციებს აღძრავს და ქვეცნობიერ კავშირებზე მიანიშნებს. „ფრანჩესკო ასიზელის ცხოვრებიდან“ ამის ნიმუშია ფრანჩესკოსგან თორმეტი თანამოაზრის შერჩევა, მსგავსად მაცხოვრის მიერ თორმეტი მოციქულის ამორჩევისა.

ტექსტში მოიძიეთ ანალოგიური პარალელები და იმსჯელეთ არქეტიპებისა და მათთან დაკავშირებული სახეების შესაბამისობაზე.

თხზულების წერა დახასიათება

დაწერეთ მოკლე თხზულება (ორი-სამი აბზაცის მოცულობით) თქვენ მიერ შერჩეული პერსონაჟის ხასიათის შესახებ. წერისას დაუკვირდით, რა კონტექსტში იხსნება მისი თვისებები: ავტორის შეფასებაში, რომელიმე სხვა პერსონაჟის სიტყვიერი დახასიათებით თუ მისივე ქცევით (მოტივაცია, ემოცია, სულიერი სწრაფვა); არის თუ არა ეს ხასიათი სტატიკური ან დინამიკური. ანუ: დინამიკური ხასიათი ვითარდება მოვლენებიდან და სხვადასხვა მოტივიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც სტატიკური ხასიათი ამბის თხრობის მანძილზე მოვლენებთან და სხვა პერსონაჟებთან მიმართებით უცვლელი რჩება.

წარმოსახვა

როგორ მოიქცეოდით, დროის მანქანის გამოყენების ერთი შანსი რომ გქონოდათ? წარსულში იმოგზაურებდით, თუ – მომავალში? წარმოიდგინეთ, რომ ამგვარი შესაძლებლობა მოგეცათ. შემდეგ დაწერეთ ერთი-ორი აბზაცი თქვენს წარმოსახვით მოგზაურობაზე.

შინაარსობრივი შეჯამება კლასიფიკაცია

1. ჩამოწერეთ, რომელი ქვეყნებისა და საუკუნეების გამოცდილებასა და მოვლენებს ასახავს „შუა საუკუნეების მწერლობაში“ შეტანილი ნაწარმოებები.

2. მიუთითეთ, რა ჟანრის ძეგლებია ჩართული ამ თავში, რა ენაზეა დაწერილი და რომელი სოციალური წრის წარმომადგენლები არიან მათი მთავარი გმირები.

განზოგადება

3. ადამიანის რომელ საწყისზე აკეთებს ძირითად აქცენტს შუა საუკუნეების მწერლობა? რაში მდგომარეობს ადამიანის თვითსრულყოფა და რატომაა ამ ჟანრის თხზულებათა პერსონაჟების ხასიათების გადმოცემა საკმაოდ რთული?

4. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა მიხედვით, როგორ შეიძლება გამოიცადოს ადამიანის თავმდაბლობა და დაითრგუნოს მისი ამპარტავნება? ტექსტებიდან მოიყვანეთ ამის დამადასტურებელი მაგალითები.

სინთეზირება

5. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ოდესმე წმიდათა ანგელოზთა გონებაჲ პოვის ჩვენ შორის და ოდესმე – ეშმაკთაჲ“. რაგვარადაა ეს დებულება ასახული „ფრანჩესკო ასიზელის ცხოვრებაში“?

6. ჩამოაყალიბეთ თქვენი თვალსაზრისი, თუ როგორაა პერსონაჟთა ღვთისმოშიშება და მოძღვრისადმი მორჩილება გადმოცემული შუა საუკუნეების მწერლობის ძეგლებში. როგორი მოწაფე ითვლება სანიმუშოდ? თქვენი შეხედულება ტექსტიდან მოყვანილი მაგალითებით გაამყარეთ.

7. „ადგილსა მას მწვანეილსა ღმრთისა მადლისასა დაამკვიდრა და წყალთა ზედა განსასვენებელთა სულისა წმიდისათა გამოზარდა იგი“, – ვკითხულობთ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ ზენონის შესახებ, როდესაც მამა გრიგოლი მას დედა ფებრონიას თხოვნით ხანცთაში წაიყვანს. სახელმძღვანელოში შეტანილ რომელ ფსალმუნს ეხმიანება ეს წინადადება და, თავის მხრივ, როგორ შეგიძლიათ, ამ ფსალმუნის გამოყენებით დიდი ზენონისა და ბერნარდ ასიზელის სულიერ სწრაფვათა შესახებ წარმოდგენა გაიფართოოთ?

კომპოზიციური გამეორება
შუასაუკუნებრივი პოზიცია

წიგნში შეტანილი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ეპიზოდთა მიხედვით, გარკვეული დამოკიდებულება ჩანს ქალი პერსონაჟების მიმართ. განიხილეთ ეს ურთიერთობა სამ-ხუთაბზაციან თხზულებაში; გაითვალისწინეთ შემდეგი კითხვები: როგორი დამოკიდებულება ჩანს ზოგადად ქალის მიმართ? განსხვავდება თუ არა დღევანდელი ურთიერთობებისაგან? რომელი უფრო ძნელი გასაგებია თქვენთვის – ნაწარმოებთა მიხედვით აღწერილი თუ ამჟამინდელი? ჩანს თუ არა შუა საუკუნეების ძეგლებში ტოლერანტობა?

საერთო თემა

მამა გრიგოლის „სამოსელი იგი შეურაცხი, რომელი ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჰნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაჲ"; სხვაგანაც ეკითხულობთ: ცქირისგან მიგზავნილმა მკვლელმა „იხილა სასწაული დიდი წმიდისა მის ზედა ზეგარდმო, რამეთუ სვეტი ნათლისა ფრიად ბრწყინვალე ცად აღწევნული ჰფარვიდა მას". „ფრანჩესკო ასიზელის ცხოვრებაში" მოძებნეთ მსგავსი „სარწმუნოებრივი ნათელი" და იმსჯელეთ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში მათი შეტანის ფუნქციაზე.

შედარება და განსხვავება

დაწერეთ სამიდან ხუთ აბზაცამდე თხზულება, რომელშიც დაახასიათებთ გვარამ მამფალს „ფრანჩესკო ასიზელის ცხოვრებაში" წარმოდგენილ საერო პირებთან მიმართებით. ერისკაცთა რა თვისებები ჩანს ამ ორ ნაწარმოებში?

თქვენ ხართ მწერალი

1. დაწერეთ მცირე მოცულობის თხზულება, რომელშიც აღწერთ, თუ როგორ წარმოგიდგენიათ ბოროტების აღმოფხვრა და ადამიანის სიკეთისკენ წარმართვა. შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ჰაგიოგრაფიული თხზულებების პერსონაჟთა გამოცდილება.

წინასწარი მონახაზი. შეარჩიეთ კონკრეტული მოვლენა ან პიროვნება, რომელსაც პირობით სახელს დაარქმევთ. ჩამოწერეთ დამახასიათებელი ნიშნები ან თვისებები. მიუთითეთ, როგორ წარმოგიდგენიათ ამ ნაკ-

ლოვანებების გამოსწორება: ძალისმიერად აღმოფხვრით თუ სიკეთის მაგალითის ჩვენებით.

წერა. მოკლედ გადმოეცით, თუ რა კავშირშია ესა თუ ის შემთხვევა (ამბავი, მოვლენა) ან პიროვნება თქვენთან და რამ განაპირობა უარყოფითი დამოკიდებულება. გამოიყენეთ წინასწარ მონახაზში გადმოცემული შენიშვნები და აღწერეთ პრობლემის გადაჭრის თქვენეული ხედვა.

შემოწმება. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწერი; დაუკვირდით, გამოიყენეთ თუ არა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში შეტანილი გამოცდილება. შესაძლო სტილისტური, გრამატიკული და პუნქტუაციური შეცდომების გასწორების მიზნით კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ თქვენი ნაშრომი.

2. რა როლი ენიჭება თანამედროვე ცხოვრებაში ეკლესიას, შუა საუკუნეების მწერლობას? გადმოეცით თქვენი თვალსაზრისი, რომელშიც ამ საკითხს წარმოადგენთ როგორც ისტორიული, ასევე მიმდინარე მოვლენების ჭრილში.

წინასწარი მონახაზი. მოკლედ აღწერეთ ის ტრადიციული კულტურული გარემო, რომელშიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა სახელმწიფოებრიეი მსოფლმხედველობა. თეზისებად ჩამოწერეთ ის ასპექტები, რომელთა შექმნასა და განვითარებას ხელს უწყობდა სასულიერო კულტურა.

წერა. დაწერეთ შესავალი, რომელშიც აღწერთ ნამყოს თქვენეულ ხედვას, შემდეგ წარმოაჩინეთ წარსულის ფასეულობების კავშირი თანამედროვეობასთან, დაბოლოს, დასკვნაში აჩვენეთ მათი ურთიერთსინთეზის შესაძლებლობა და როლი სახელმწიფოს განვითარებაში.

შემოწმება. ყურადღებით წაიკითხეთ თქვენი ნაშრომი და გაასწორეთ სტილისტური, მექანიკური, გრამატიკული და პუნქტუაციური შეცდომები.

თქვენ ხართ კრიტიკოსი

1. დავუშვათ, შესაძლებლობა მოგეცათ იმოგზაუროთ ტაო-კლარჯეთის ან იტალიის იმ ადგილებში, სადაც თხზულებებში აღწერილი მოვლენები ვითარდება. ამისათვის დაგჭირდებათ შესაბამისი გეოგრაფიული რუკა, რომელშიც აღნიშნავთ სავარაუდო მარშრუტს.

წინასწარი მონახაზი. რუკაზე მონიშნეთ მოსანახულებელი ადგილების მარშრუტი; მიუთითეთ, როგორ აპირებთ მოგზაურობას და რას ჩაინიშნავთ „მოგზაურის დღიურში“.

წერა. ჩამოწერეთ დასათვალიერებელი ადგილების ნუსხა, აგრეთვე, ის ინფორმაცია, რომელიც წაკითხული ტექსტებიდან ან დამატებით მოპოვებული წყაროებიდანაა თქვენთვის ცნობილი.

შემოწმება. ყურადღებით გადაიკითხეთ ჩანაწერები; დაუკვირდით, რომ მარშრუტის მონახაზი მოსანახულებელი ადგილების ერთმანეთთან ახლო მდებარეობის გათვალისწინებით იყოს შესრულებული.

2. ორივე ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი ბიბლიური ციტატები. ამოიწერეთ ისინი, ნაწარმოებების მიხედვით შეაჯერეთ და ორ-სამაბზაციან დასკვნაში გადმოეცით, თუ რა ფუნქციითაა ისინი ტექსტებში შეტანილი, რა მიმართულებას აძლევენ პერსონაჟთა მოქმედებასა და ხასიათების ჩამოყალიბებას.

წინასწარი მონახაზი. ამოიწერეთ ციტატები და დააჯგუფეთ ბიბლიური წიგნების კუთვნილების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ მათი თანამედროვე თარგმანი.

წერა. დახარისხებული ბიბლიური ციტატებიდან გამოიტანეთ ძირითადი აზრი და თეზისურად ჩამოწერეთ. შემდეგ გააანალიზეთ მათი მსგავსება-განსხვავებანი და გამოყავით ძირითადი დებულებები, რომლებსაც შეაჯამებთ და დასკვნის სახით ჩამოაყალიბებთ.

შემოწმება. დაუკვირდით, რომ აზრი ლოგიკური თანმიმდევრობით იყოს გადმოცემული. თქვენი ნაშრომი ყურადღებით გადაიკითხეთ, რათა გაასწოროთ სტილისტური, გრამატიკული, პუნქტუაციური და მექანიკური შეცდომები.

დრამა







დრამა ლექსად ან პროზად დაწერილი მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ფორმაა, რომელშიც ამბის გადმოცემა პერსონაჟთა მოქმედებითა და მეტყველებითი ორგანიზაციის სხვადასხვა საშუალებით – დიალოგით, მონოლოგითა და რეპლიკით ხორციელდება. დრამისათვის დამახასიათებელია სასცენო დანიშნულება. მისი წარმოშობა დაკავშირებულია საკულტო-მითოლოგიურ დღესასწაულებთან. ჩამოყალიბდა ძველ საბერძნეთში. შუა საუკუნეებში მითოლოგიური შინაარსი ბიბლიურმა შეცვალა. ფილოსოფიურმა სიღრმემ, ხუსტმა ფსიქოლოგიზმმა, დრამატურგიულმა და პოეტიკურმა ოსტატობამ უილიამ შექსპირის (1564-1616 წ.წ.) დრამებს ამ ჟანრის განვითარებაში გადამწყვეტი როლი მიანიჭა. იგი წერდა და დგამდა სამგვარ დრამატულ ნაწარმოებს ანუ პიესას: კომედიებს, ტრაგედიებსა და ისტორიულ დრამებს. კომედია მსუბუქი, იუმორისტული პიესაა; მისგან განსხვავებით, ტრაგედია პერსონაჟთა მარცხით, უბედურებით სრულდება, ხოლო ისტორიული დრამა ცნობილ პიროვნებათა ცხოვრებას ეხება.

დრამატული პიესის კითხვისას უნდა წარმოიდგინოთ, თუ როგორი გარეგნობა შეიძლება ჰქონდეთ მსახიობებს, როგორ საუბრობენ, მოქმედებენ, როგორაა განათებული სცენა და როგორი შეიძლება იყოს მუსიკალური ფონი. დრამის ამ ელემენტების გააზრება დაგეხმარებათ ნაწარმოების სრულად ჩაწვდომაში.

მოქმედება და სცენები. დიდი მოცულობის პიესები რამდენიმე მოქმედებად იყოფა. ზოგჯერ ისინი დაყოფილია მოკლე მონაკვეთებად – სცენებად, რომლებშიც ერთი კონკრეტული ადგილი და გარკვეული დროა მოცემული.

დიალოგი. პიესის პერსონაჟებს შორის საუბარს დიალოგი ეწოდება. იგი პიესაში აღწერილ მოქმედებას ავითარებს, მკითხველს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას ნაწარმოებიდან; დაბოლოს, დიალოგი წარმოაჩენს პერსონაჟთა ხასიათებს.

სასცენო მითითებები. ესაა ინსტრუქციები, რომლებიც დრამატურგს პიესაში აქვს ჩართული რეჟისორისა და მსახიობებისათვის. მათში მითითებულია, თუ როგორ უნდა ილაპარაკონ და იმოქმედონ პერსონაჟებმა. შეიძლება განსაზღვრული იყოს გარემო, ხმოვანი ეფექტები, მუსიკა და დეკორაციებიც კი.

ხმოვანი და განათებითი ეფექტები

ხშირად ხმოვანი ეფექტები პიესის ნაწილია. ისინი მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს მსმენელებს, წარმოიდგინონ სცენის მიღმა მოქმედებები. ასევე განსაკუთრებული დატვირთვა აქვს განათებას. იგი მაყურებლის ყურადღებას მიაპყრობს პერსონაჟებზე. აგრეთვე, ყოფს სცენას სხვადასხვა ვიზუალურ სიერცულ მონაკვეთებად.

როგორ უნდა წაიკითხოთ დრამატული ნაწარმოები

წარმოსახვა

წარმოიდგინეთ სცენა და პერსონაჟთა მოქმედება. გამოიყენეთ ის მითითებები და ინფორმაცია, რომლებსაც დრამატურგი გთავაზობთ სცენის გასააზრებლად. დაინახეთ ხასიათების მოქმედება, მოისმინეთ მათი საუბარი. დაუკვირდით, თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონაჟების ერთმანეთთან საუბრისას.

კითხვები. დასვით კითხვები და უპასუხეთ მათ იმის გასარკვევად, თუ რა სურს სხვადასხვა პერსონაჟს, რა მოტივები ჰქონს თავს მათ სიტყვებსა და ქმედებაში? რა კონფლიქტთან გვაქვს საქმე?

წინასწარგანსაზღვრა. როდესაც გაარკვევთ კონფლიქტის არსს და მიხვდებით პერსონაჟთა ქმედებების მოტივებს, შეეცადეთ განჭვრიტოთ, თუ რა შეიძლება მოხდეს, როგორ გადაწყდეს კონფლიქტები, რა ბედი ეწევა თითოეულ პერსონაჟს.

გარკვევა. თუ პერსონაჟთა სიტყვები ან ქმედებები თქვენთვის ნათელი არაა, შეყოვნდით მათზე აზრის შესაქმნელად. შეგიძლიათ, გარკვეული სიზუსტე მათ ადრინდელ სიტყვებსა და ქმედებებში მოძებნოთ. თვალი გადააველეთ თქვენ მიერ დასმული კითხვების პასუხებს და დაუკავშირეთ ისინი თქვენსავე წინასწარ განჭვრეტილი კონფლიქტის დასასრულს.

შეჯამება. გააზრებულად შეყოვნდით იმის განსახილველად, თუ რა მოხდა; რაში მდგომარეობს კონფლიქტი? რა ხდება მისი გადაწყვეტისას? შეჯამებისას პერსონაჟთა ქმედებები და სიტყვები ერთად ჩამოწერეთ.

შეთანაწყობა. დაბოლოს, ერთად დაალაგეთ პიესის ყველა ელემენტი. რა არის ნაწარმოების არსი? რას ამჟღავნებს ცხოერების შესახებ? რა ყოფით გამოცდილებას გთავაზობთ?

თქვენ უფრო შეძეგიანად წაიკითხავთ დრამას, თუ ამ სტრატეგიით ისარგებლებთ, უკეთ მიხვდებით კონფლიქტსა და მის გადაწყვეტას და შეძლებთ გამოიყენოთ სამყაროს შესაცნობად და გასამდიდრებლად.



ბიოგრაფია

პოლიკარპე კაკაბაძე

(1893–1972 წწ.)



დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე დაიბადა 1893 წელს ს. კუხში (ქუთაისის მახრა). 1904 წელს შეიყვანეს ბათუმის გიმნაზიაში, თუმცა მალევე ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი თბილისში გადაიყვანეს, სადაც აქტიურად მონაწილეობდა პოეზიის საღამოებში. 1914-1917 წლებში შექმნა პირველი დრამატული ნაწარმოებები. მხატვარ დავით კაკაბაძესთან ერთად 1918 წელს გამოსცა ჟურნ. „შვიდი მთიები“.

1924 წლიდან სამოღვაწეოდ თბილისში დამკვიდრდა და მუშაობა დაიწყო ჟურნ. „მნათობში“. შემოქმედი ყოველთვის აქტიურ საზოგადოებრივ პოზიციას გამოხატავდა, რასაც ხშირად შეფარვით ახერხებდა.

1928 წელს პოლიკარპე კაკაბაძემ თავისი პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ დიდ რეჟისორს, კოტე მარჯანიშვილს მიუტანა. კრიტიკოსთა შეფასებით, ყვარყვარე თუთაბერი ქართული ფოლკლორიდან წარმოქმნილი ნიღაბია, იგი ისევე ღრმაა, როგორც ხალხური სიბრძნე. ქართულმა თეატრმა არ იცის სხვა უფრო პოპულარული ეროვნული ხასიათი, ვიდრე ყვარყვარეა. არც ასე სრულყოფილი ტიპი შექმნილა ქართულ დრამატურგიაში.

ყვარყვარე თუთაბერის ამბავი

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ფრონტის ხაზთან მდებარე წისქვილში შეხიზნულმა ცრუ, თაეხედმა და მხდალმა ნაცარქექია ყვარყვარე თუთაბერმა თავისდაუნებურად გადაარჩინა სოციალისტ-რევოლუციონერი სევასტი და მისი შეყვარებული, მეწისქვილის ქალიშვილი გულთამზე – ჯარში პროკლამაციების გავრცელების გამო სევასტის ნაცვლად შეცდომით ყვარყვარე დააპატიმრეს და საველე სასამართლოს გადასცეს. უდანაშაულო თუთაბერს ჩამოხრჩობა ელოდა. მისდა საბედნიეროდ, ძიებისას შეტყობინება მოვიდა, რომ იმპერატორი ნიკოლოზ მეორე გადადგა და რევოლუციამ გაიმარჯვა. მედროვე ყვარყვარე თუთაბერმა თავი წამებულ რევოლუციონერად გაასაღა – იგი ფრონტიდან გამოქცეული საკმაოდ დიდი ჯარის მეთაური გახდა. მოულოდნელად აღზევებული ყვარყვარე კიდევ უფრო დააწინაურეს – დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის რწმუნებულმა იგი შეიარაღებული ძალების უფროსად დანიშნა. თუთაბერი რწმუნებულს შეჰპირდა, რომ ჯარში ბოლშევიკებს არ გააჭაჭანებდა, უფრო მეტიც, მუსრს გააელებდა მათ. მოულოდნელად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სულ მცირე დროში აზრი შეიცვალა, მენშევიკებს გაუდგა და ბოლშევიკებს მიემხრო. მისთვის მთავარი ნებისმიერი სიტუაციიდან რაიმე ხეირის გამოღება იყო, რის გამოც ზნეობისგან შორს იდგა.

მოქმედება მეოთხე

მაზრის რეკომის შენობა, აივნიდან კიბე ეშვება მოედანზე. პირველი და მეორე გლეხი მოედანზე შეხვდებიან მესამე და მეოთხე გლეხს.

1-ლი გლეხი – რეკომი აქ სად არის?
მე-3 გლეხი – ჩვენც ის გვინდოდა. აქ არის და შიგ ვერავინ ვერ ენახეთ.
მე-2 გლეხი – ეჰ, გლეხკაცის საშველი არ ყოფილა.
მე-3 გლეხი – თქვენ სადაურები ხართ?
1-ლი გლეხი – ქარიატადან ამოვედით.
მე-4 გლეხი – რა მოგივიდათ?
1-ლი გლეხი – ტყეში დარჩენილ ბრბოებს მენშევიკებისაგან იარაღი შერჩათ და ახლა გვაწიოკებენ.
მე-2 გლეხი – სწორედ გითხრათ, უსაშველო გვჭირს.
მე-3 გლეხი – რა ვიცი, მე ასე გამიგია., რაზმი წამოვიდა თქვენკენ ყაჩაღების ასალაგმაეადო.

1-ლი გლეხი – ყვარყვარე თუთაბერმა ჩამოიარა, მარა რად გინდა, ვინც საწყალი ნახა, ზურგზე ბოლი ადინა და ყაჩაღებს კი თავზე ხელი დაუსვა.

მე-3 და მე-4 გლეხი – როგორ?!!

მე-2 გლეხი – ყველა თავის რაზმში მიიღო.

მე-4 გლეხი – ეს რა საქციელია?

1-ლი გლეხი – თუ ძმა ხარ, არ გამაცხადო, ასე ამბობენ: ყაჩაღების თვითონ შეეშინდაო.

მე-3 გლეხი – რა ეიცი, აქ რომ ძალიან ვაჟკაცობს?

1-ლი გლეხი – მაშ, ერთს გეტყვით.

მე-3 და მე-4 გლეხი – ჰო, თქვი, ნუ გეშინია.

1-ლი გლეხი – იმ ყვარყვარეზე საჩიელელად მოეედით სოფლელები.

მე-3 გლეხი – კარგი საქმეა, მაგრამ თავმჯდომარე ავად არის, ეისთან უჩიელებ!! (ხმაურობაა. შემოდიან მეხუთე და მეექვსე გლეხი).

მე-4 გლეხი – მაქეთ რა ჩოჩქოლია?

მე-5 გლეხი – ყვარყვარე მოდის, ხალხი დაუჭერია.

მე-3 გლეხი – ეჰ, შეარცხვინა ღმერთმა, მაზრა ააწიოკაო, ამბობენ.

მე-4 გლეხი – მაგის წამალი რევკომიდან გამოეა.

მე-2 გლეხი – ეს როდის იქნება?!

მე-6 გლეხი – სულ ერთია, ყვარყვარეს ვერავინ დააჭრის ყურებზე ხახვს.

მე-2 გლეხი – რატომ?!

მე-6 გლეხი – ხელმწიფე მაგას გადაუგდიაო.

მე-5 გლეხი – კი, ასე ამბობენ, დიდი ბადეები გაუგლეჯიაო.

მე-2 გლეხი – აბა, გავეცალოთ ამ მოედნიდან. (გლეხები აჩქარებით გადიან. შემოდის ყვარყვარე თავით ფეხებამდე შეიარაღებული).

ყვარყვარე – (ეძახის) დაურთეთ თოფის კონდახები, ისე მოსცხეთ, რომ დაწყნარდნენ (ისმის ჩოჩქოლი). ეს რა ღრიანცელია, კიდევ ატყდნენ! შენ, ჰეი, მაგას თაეი გაუხეთქე და მაშინ შეუშვებს შიგ ახალ-ახალ ცხოვრების აზრს. ოო, შედენეთ იმ სარდაფში, კარი გამოუხურეთ. მორჩა (თავისუფლად ამოისუნთქავს) რა გლახაა ხალხის სიბნელე, რამდენიც არ უნდა უჩაჩქუნო თავში, ეერაფერს ეერ შეაგნებინებ. (შემოდის პირეელი რაზმელი).

1-ლი რაზმელი – ერთი ბებერი კაცია შეპყრობილი, მეწისქვილე ყოფილა. ასე იძახის: ყვარყვარე თუთაბერის ძეელი მასპინძელი ვარ და ნუ მომკლავს, ღმერთი იწამოსო.

ყვარყვარე – იმ მეწისქვილეს უთხარი: აქ მალე მოგაკითხავს ქალიშეილი და შენს საქმეზე ჩემთან მოგოგმანდება-თქვა. (პირეელი რაზმელი მიდის. შემოდის ორი რაზმელი ზურგზე ბარგით).

მებარგე — ეს რეეკომში შეიტანოთ?

ყვარყვარე — ეს ხომ ჩემი ამორჩეულია, სადაა სხვა საქონელი.

მებარგე — იქაა მთელი ურემი.

ყვარყვარე — ჰოდა, ის შეიტანეთ რეეკომში, ეს მე მაჩუქეს, მუშათა კლასს რომ ვემსახურები, იმისათვის... (ანჩხლად) და ჩემი საქონელი მიგაქვთ რეეკომში, თქვე თვალდაფხეხულებო?

მებარგეები — აბა, სად წავიღოთ?

ყვარყვარე — თავ-აბრაგებს[1] მიაბარეთ. მხოლოდ წერილმა აბრაგებმა არ დაინახონ. (მებარგე აპირებს წასვლას) დაიცადე, წადი, ის ქურქი მოიტანე, თავადიშვილმა რომ მაჩუქა.

მებარგე — იმ ქურქს თავ-აბრაგები ერთმანეთში იყოფენ.

ყვარყვარე — რაო, ჩემს ქონებას იყოფენ ის პირძაღლები?! წადით, უთხარით, თავი თხლეზე არ დამაჭერინონ, თორემ ერთმანეთს ვერ გაასწრებენ, ჩქარა ორივე აქ მომგვარეთ.

მებარგეები — კი, მარა, ეს სად წავიღოთ?!.

ყვარყვარე — კარგი, მე თვითონ გაჩვენებ მაგის ადგილს (ყველანი მიდიან. შემოდის გულთამზე და რეეკომის თავმჯდომარე).

გულთამზე — მამის დაპატიმრება მაცნობეს და გამოვეშურე. მაშინვე კი ვიგრძენი, რომ სრული გაუგებრობის მსხვერპლია ის საწყალი... რა უნდა შემთხვეოდა მოხუცს და მაროლაც, ეხედავ, მთელი მაზრა არეულია.

რეეკ. თავმჯდომარე — მე ცენტრში დამიძახეს, ამხანაგო გულთამზე, და გზაზე, აქეთობისას, ავად გავხდი, არაფერი არ ვიცი.

გულთამზე — ერთი ამხანაგი მოდის ამ ამბების გამოსარკვევად, ძველი მეგობარია, ფრონტზე ერთად ვეწეოდით ფარულ მუშაობას.

რეეკ.თავმჯდომარე — ეჰ, ყველაფერი ჩემი მოადგილის ბრალია. რაზმში ყაჩაღები მიუღია და ჩანს, თვითონაც მათი გაელენის ქვეშ მოექცა.

გულთამზე — ეტყობა, ეს თქვენი მოადგილე მათრახს უსამართლოდ ატრიალებს, ბევრ პარტიულ ამხანაგსა აქვს ზურგი აჭრელებული.

რეეკ.თავმჯდომარე — ენახოთ, ყველაფერი გამოირკვევა. (მიდიან რეეკომში. შემოდის ყვარყვარე).

ყვარყვარე — ხალხი თავის მტერია, თუ არ მოწყესე, უჭკუო საქონელივით ხრამში გადავარდება... თუ შნო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა დაარტყა. (შემოდის პირველი რაზმელი).

1-ლი რაზმელი — იმდენი ხალხი ერთ სარდაფში არ ეტევა!..

ყვარყვარე — კარი ხომ მიუხურე!..

1-ლი რაზმელი — როგორ არა!

ყვარყვარე — მაშ, თუ კარი მიუხურე, დაეტევა აწი, აპა რას იზამს?!

---

[1] აბრაგი — ყაჩაღი.

1-ლი რაზმელი – სასუნთქავ ფანჯარას მაინც გაეულებ, თორემ სულს ვერ ითქვამენ.

ყვარყვარე – მერე, იქიდან რომ გადმოცოცდნენ? არა, მიხურე.

1-ლი რაზმელი – ვინც სუსტი გულისაა, იმ სარდაფში მოკვდება!

ყვარყვარე – სუსტი გულის პატრონი პროლეტარიატს რად უნდა?! მეტ ტვირთად დააწვება. ახლა ეს მითხარი: გინდა, პროლეტარიატი რომ შეწუხდეს?

1-ლი რაზმელი – არ მინდა.

ყვარყვარე – აბა, დადექი შენს ადგილზე.

1-ლი რაზმელი – კარგი, დაედგები. (მიდის, მებარგეს შემოყავს პირველი და მეორე აბრაგი).

მებარგე – აი, ბატონო, ის აბრაგები მოვიყვანე!

ყვარყვარე – (აბრაგებს) აქეთ დადექით, ჩვენება უნდა ჩამოგართვათ.

აბრაგები – ბრძანეთ. (მებარგე მიდის).

ყვარყვარე – ამ სოფელ-ქალაქს რომ მიდგომიხართ და ბუღეში კვერცხს არ უშვებთ, რას მიპასუხებთ?!

1-ლი აბრაგი – შენი წყალობაა, რასაც ეჭამთ.

მე-2 აბრაგი – მართალია, ცხრა ჭკუის ხალხში ტყიდან დაგვაბრუნე... ზოგი საწყალი მენშევიკი გლახა მწყერივით ჩამორჩა გაქცეულ მთავრობას და ჩვენთან ამოიძუა კუდი. ყველას კარი გაგვიღე, რაც აბრაგები გვნახე.

ყვარყვარე – ჰოდა, ახლა კოჭებს მისინჯავთ. მაგრამ მე თქვენი სულ არ მეშინია, არ მეშინია...



კადრი ფილმიდან „ყვარყვარე". ყვარყვარეს როლში დოდო აბაშიძე

1-ლი აბრაგი – რას გისინჯავეთ. შენ რომ შენი თაეგადასავალი გვეითხარ? იმაზე ყველამ დაუმატა, რაც იცოდა და ერთ დღეს თავიდან ბოლომდე რომ მოეყვეით შენი საქმენი, ვიღაცამ თქვა, სხვას რომ მაგის ნახევარი ექნა, ძეგლს დაუდგამდნენო.

ყვარყვარე – ძეგლს მიდგამენ?!.

აბრაგები – კი, ასე თქვა ვიღაცამ.

ყვარყვარე – მა'შ, თუ ღირსი არ ვიყო, ძეგლს რატომ მიდგამენ.

1-ლი აბრაგი – ახლა იმის სათქმელადაც მოვედით, თურმე, წითელი ჯარი მოდის და იმისთანა დიდი ბოლშევიკები მოუძღვებიან... ქვეყანა რომ შე'უძრაეთ, და მეჯორეები ჩმახაენ, ყვარყვარე თუთაბერს გაკოჭავენო.

ყვარყვარე – მერე?

1-ლი აბრაგი – ჩვენ შენი იმედი გვაქვს.

მე-2 აბრაგი – მთელი ჩვენი ბიჭების საფარ-კედლად შენ გიყურებენ.

ყვარყვარე – მაშ წადით და რაზმელებს უთხარით, მოედანზე ხალხს ათქმევინონ,რომ (უთითებს) იმ დიდი ლოდისაგან ჩემთვის ძეგლის გამოთლა უნდათ.

აბრაგები – რატომ?!

ყვარყვარე – როცა გაიგონებენ, თვალში ნაცარს ვერ მომაყრიან. ასეა... ხომ გესმით?!

აბრაგები – კი გვესმის.

ყვარყვარე – მაშ, წადით.

1-ლი აბრაგი – ბოლშევიკებისაგან ხომ დაგვიფარავ?

ყვარყვარე – წყნარად იყავით რწყილებივით.

აბრაგები – ვიქნებით.

ყვარყვარე – ქვეყანას არ აიქმევინოთ, ყვარყვარე თუთაბერს ვირები ვერ მოუთურგნიაო. (აბრაგები მიდიან).

ყვარყვარე – (აპირებდა რეეკომში შესვლას, მობრუნდება) ეს ვინ არის?! ქალი კი არა, მზის უნახავია. (შემოდის ქალი) შენ ვინ ხარ?

ქალი – მე რევკომში მაქვს საქმე.

ყვარყვარე – ჰოდა, თუ რევკომში მიხვალ, აგერ ვარ.

ქალი – მე გთხოვ გაათავისუფლოთ ერთი უსამართლოდ შეპყრობილი ადამიანი.

ყვარყვარე – შეიძლება.

ქალი – ოჰ, როგორ მადლობელი ვარ, სულ უდანაშაულოა.

ყვარყვარე – ვინ არის, ბრძანეთ და ამ წუთში გავათავისუფლებ. ის კი არა, სული რომ მთხოვო, ამ ყელიდან ამოვიღებ და მოგცემ. (უახლოვდება ქალს).

ქალი – (უკან იხევს) ის ჩემი ქმარია.

ყვარყვარე – ქმარიო?! ეს სხვა საქმეა, ის დიდი დამნაშავეა. მე ახლა კანონს ფეხს ვერ გადავადგამ იმისთანა კონტრრევოლუციონერის გულისთვის.

ქალი – რას ბრძანებთ, სულ მთლად მართალია.

ყვარყვარე – (უახლოედება) ის ვითომ არ გყოლიათ, ისე უნდა დაიცწყოთ.

ქალი – ვინ დავიცწყო, შე მხეცო, ა, ეს რა პასუხია, ჩემი ქმარი დავიცწყო, შე არამზადავ?!!

ყვარყვარე – შენ ეის უბედავ ასეთ სიტყვას, თუ შენ გგონია, ისე მომწონხარ, რომ ჩემს თავს და მთავრობას გაგალანძღვინებ?! მე რომ ქალი მიყვარს და ეუყვარვარ, იმის გეერდით რომ გაჩერდე, ჯოჯოხეთის მაშხალად გამოჩნდები.

ქალი – ა, მე ეხედავ, რომ თქვენ დასცინით ჩემს თხოვნას... მაგრამ, როგორც გავიგე, მე მარტო არა ვარ ამ ყოფაში. დღესვე მოვადგებით ყველანი რევკომს და ხმამაღლა მოვითხოვთ სამართალს. ენახოთ. (მიდის).

ყვარყვარე – (დუმილის შემდეგ) ქალს როდესაც ეექორქოშები, ჭკუა მებნევა, თორემ იმ ქალმა ახლა იმისთანა სიტყვები მკადრა, უსათუოდ უნდა დამეტუსაღებინა (გაიცლის). ეჰ, ეს მაზრა ხომ კარგად მიეასწორ-მოეასწორე. აწი შევალ ჩემს რევკომში და, იცოცხლე, ყვარყვარე თუთაბერო, ერთი ათად გამოაჩინო შენი ნამოქმედარი. (მიდის რევკომში. შემოდის კაკუტა, ქუჩარა და ლირსა)[2].

ქუჩარა – ე, კაკუტა, ხედავ, კაცო, სად მიდის ჩვენი ყვარყვარე?

კაკუტა – მისაკარებელი პირი რო არა გვაქვს?!

ქუჩარა – რა ვიცოდი, მაგის ბარი თუ ამდენს იმუშავებდა.

კაკუტა – ო, რას იზამ. კაცნი ვართ. ვუთხრათ, ჩვენი ნაბატონარის ნამოსახლი რო მოგვცეს.

ლირსა – ჰო, უთხარით, კაცებო, გაჭირვებულებისათვის ახლა თენდებაო და, ჩვენზე გაჭირვებული ვინ არის, რაღაცა თითო ხელისდადება ადგილი გაქვთ, იმაში თესლის ჩაგდებაც არ ღირს. (კაკუტას) თუ მეტი მოხერხება არ გქონდა, შე საწყალო, რას იკიდებდი ჩემს ცოდვას?!..

კაკუტა – ასეა, ჩემო ლირსა.

ლირსა – უბედურებად მე ჩემი სიობლე მეყოფოდა.

კაკუტა – ო, რას იზამ.

ლირსა – როგორ რას იზამ, მგელივით კაცი ხარ. თუ ხელს გამოიღებ, შენისთანა ჩვენს სოფელში ორიც არაა.

კაკუტა – ქალი შენა ხარ და ყველაფერი კი იცი...

---

[2] კაკუტა, ქუჩარა და ლირსა – ყვაყვარე თუთაბერის თანასოფლელები.

ქუჩარა – (ხარბად უყურებდა მათ) რა ვქნა, ჩემთვის არ მოინახა ასეთი უპატრონო და ობოლი... ქალის ჭირისუფალმა, თუ შეგატყო, რომ მჭადი გიჭირს, მაჭანკალს კეტით გამოგიგდებს... არა, და, მეც მინდა ერთი გულის გამთბობი.

კაკუტა – რას იზამ, კაცნი ვართ...

ქუჩარა – (იხედება რეკომისაკენ) თუ კარგი თვალით გადმოგეხედა ყვარყვარემ, ჩემი კერიაც დაინთება.

ლირსა – რატომ არა, მიდით და სთხოვეთ, კაცებო, ხომ იყო თქვენი ამხანაგი!

ქუჩარა – არა, იმას ჩვენზე დიდად თავი სულ კი მოჰქონდა. კი, კი მოჰქონდა.

ლირსა – (კაკუტას) აბა რას გამომიჭედე, ჩემო კაცო, ყური, ამხანაგი იყოო.

კაკუტა – არა, ღონით მე ყოველთვის ვაჯობებდი, მარა, რას იზამ!

ქუჩარა – ხერხი რომ არ ჰქონოდა, ვაჯობებდით, მარა რაც ზევითაა, ორი იმდენი მიწაშია და მიწაში ეძიე შენ, რას მონახავ.

კაკუტა – კი, ძირს გამოითხრის.

ქუჩარა – მე ახლა აქ სულ შენი იმედით ვარ, ცოლიან კაცს რომ განახავს, პატივს დაგდებს.

კაკუტა – კი, პირდაპირ ჩვენს ილბალზე დაწვა და დაანაცარტუტა ი ჩვენი ნაბატონარის მიტოვებული ოდა სახლი.

ქუჩარა – იქ ერთი კუთხე რომ მოგვიგდოს, მეტი რად გვინდა.

კაკუტა – მართალია, უნდა მოგვიგდოს, ჩვენც კაცნი ვართ.

ქუჩარა – ჰოდა, რასაც მოგეცემს, ორიევს უნდა გეერგოს.

კაკუტა – კი, გეერგება. (ყვარყვარე გამოდის რეკომიდან და ნელ-ნელა ეშვება კიბეზე).

ყვარყვარე – გ'ულთამზე მოსულა და ხოხობივით ზის თავმჯდომარის ოთახში. მეც ეშმაკი ვარ, იქ აღარ შეეფუთე. ასეა, მე რომ მკითხონ, სიყვარული მახეებში ძრომაა. თუ გააბი ქალი, ბულბულს შეარცხვენს. ისე ტკბილ გალობას დაგიბერავს, მაგრამ თუ გაგაბა, ქარცეცხლს შემოგიკიდებს. (თვალს მოჰკრავს კაკუტას და ქუჩარას) ესენი ახლა სად გამოჩნდნენ ძველ მთვარესაით.

კაკუტა და ქუჩარა – ბატონო ყვარყვარე.

ყვარყვარე – ვინა ხართ? როდის გაჩნდით ქვეყანაზე. (ზურგს შეაქცევს).

კაკუტა და ქუჩარა – ბატონო, ბატონო ყვარყვარე.

ყვარყვარე – ვინ მიბედავს ბატონის დაძახებას. რეეოლუციურ ბრძოლაში კაცი ჩამტოვეთ, უნამუსოდ გაიპარეთ და ახლა აქ მობედეთ მოსელა?

ქუჩარა – შეეცდით, რომ გავიპარეთ, მაგრამ ახლა ძალიან გაგვიჭირდა და ისევ შენ დაგიკარით თავი.

ყვარყვარე – გაგიჭირდათ?!

ქუჩარა – აა, ეს საცოდავი კაკუტა უღელში გაება. ქალი ითხოვა და ჩვენი ნაბატონარის ნამოსახლი გვინდა, რომ გოხოეოთ. ხომ იცი, რა ძნელია, როცა კაცს უღელი აქვს კისერზე და მჭადი საძებარია.

ყვარყვარე – ამ გლახას ვინ მისცა ქალი?!

ქუჩარა – (ჩუმად) სეფისკვერივითაა ეს უპატრონო.

ყვარყვარე – მანახეთ, ეგება მეც მომეწონოს (უკან გამოსწვევენ ლირსას). ესაა? ტფუ... მგელს დააფეთებს!

კაკუტა – უპატრონო და ობოლი რო იყო, იმიტომ მომცეს.

ყვარყვარე – ამის შეყვანას იმ ფაცხაში, ქვა რომ შეგეგდო, ის გერჩია.

ქუჩარა – რატომ, რაც არ უნდა იყოს, თბილია.

ლირსა – თქვენს იქით გზა არა გვაქვს, ბატონო, იმ ეზო-გარემოში ოც წელიწადს ვემსახურებოდი ბატონს და ახლა კი გვეკუთვნის ერთი კუთხე.

ყვარყვარე – გაჩუმდი, შენი ხმა არ გავიგონო (შემოდის პირველი რაზმელი).

1-ლი რაზმელი – რაზმელებმა შემოგითვალეს, ამხანაგო, ძეგლს ჩვენი ხელით დაგიდგამთ, ოღონდ გვიშველეო.

ყვარყვარე – რა მეხი მოელანდათ?

1-ლი რაზმელი – გზატკეცილზე წითელი ჯარი გამოჩნდა. პასუხისმგებელი ამხანაგები მოუძღვებიან და კალთა დაგვაფარეო.

ყვარყვარე – კალთა თუ არ ავიკაპიწე, ამდენი ოხერი ერთ ღელეში ჩამიტანს. წადი, უთხარი იმ რაზმელებს, ჩემი სახელი არ ახსენოო, თორემ, რაც დღემდე დაგაკელით, აწი გაგშოლტავთ-თქვა (რაზმელი მიდის).

ქუჩარა – ვისზე წყრები, ბატონო ყვარყვარე, რა გაქვს ახლა შენ ასაკრიჭინებელი.

ყვარყვარე – რომელ ურემს აწევს ჩემოდენა ტვიროი.

კაკუტა და ქუჩარა – რაო?

ყვარყვარე – ბოლშევიკებს ნაცარი კი არ მოაქვთ საქეჩავად! საქმე იქნება.

ქუჩარა – ბოლშევიკებს, თურმე, ერთი კალაპოტი მოუტანიათ, ვინც პატარაა, იმაზე გაადიდებენ და ვინც დიდია, იმაზე დაამოკლებენ. რაც უნდა იხტუნო, თურმე, იმ კალაპოტს ვერ გაექცევი.

ყვარყვარე – მაშ მეც თქვენთან გამასწორებენ?

ქუჩარა – (კაკუტას) ა, მგონია, ვერ ვთქვი კარგად.

ყვარყვარე – თქვენც იმ დიდ ქვაში გამოგიღებენ ჩემსავით, არა?

კაკუტა – შენ იმ ქვაში როგორ გამოგიღებენ?

ყვარყვარე – ცოცხალ ძეგლად დამდგამენ.

კაკუტა – ო, დაგდგამენ, მერე?

ყვარყვარე – მერე საფლავში თქვენი ძვალი არ იქნება, ეს კი ასე იდგმება.

ქუჩარა — სულ იქნებაო, გესმის, ლირსა!

ლირსა — კი...

ყვარყვარე — ვინ მოთვლის, იმ დრო-მდინარეში რამდენი ამის მნახველი გულზე ხელს დაირტყამს და იტყვის: სიკედილო, შე ოხერო, ყვარყვარე თუთაბერის ფასი ქვეყანაზე რა დატოვეო. ანდა რამდენი ლამაზი ქალი მიასობს თვალს და იკითხავს: ეს რა მიწამ შეჭამაო, ეს საწყალიო მალამოსაეით დაილიაო... ისე ამოიჯენს ქალი გულს, რომ ფუნთულასაეით მომეკერება. მარა ქვას გაათბობს?!..

ქუჩარა — ქვას კი გაათბობს, მკვდარს ვერ გააცოცხლებს, იმ მუდრეგს, თორემ, ქალის კოცნა კეცს გაახურებს.

ყვარყვარე — მერე მე რას გამომადგება. ეჰ, სულ ტყუილა-ბზუილა არის ეს ცხოვრება. ბოლო ყველასათვის დაკარგულია.

ქუჩარა — სულ ერთია, ჩემო ყვარყვარე, სანამ ხარ, დედამ გ'შობაო, ხომ ათქმევინებ ამ ქვეყანას.

ყვარყვარე — დედამ მშობა, აბა ციცრის კეერცხიდან კი არ გამოეჩეკილვარ, თქვე უპატრონოებო.

ქუჩარა — კი, კი... სოფელში ამბობენ, შენს დაბადებაზე ისე დაუტენია თოფი წყვიწყვეის[3], რომ ლულა გახეთქია უბედურს. (ისმის ხმაურობა).

ყვარყვარე — ეჰე, თავი ბოლშევიკები მოდიან და რას მიმოწმებთ, მეზობლებო, იმათთან.

ქუჩარა — (კაკუტას) ვაქოთ, ბიჭო!

კაკუტა — კი, ცაში ავიყვანოთ.

ყვარყვარე — ხომ გახსოვთ, რაც მე წვალება მინახაეს თქვენი გულისთვეის.

ქუჩარა — ის გაეაცხადოთ?

ყვარყვარე — კი, სიმართლე თქვით.

ქუჩარა — კარგი, ასე ეიტყვით, რომ თავიდან ნაცარქექია იყავი და შიმშილით გკლავდნენ.

კაკუტა — კი, ყველამ ვიცით.

ქუჩარა — თბილი სახლიდან გზა-შარაზე გაგაგდეს. ბოლოს იჯარა აიღე, — შენც გაჯახირდი და მუშებსაც ტყავი გააძრე.

კაკუტა — ხიდი მაინც ვერ გააკეთე.

ქუჩარა — ეიტყვით, რომ კერიიდან აგაგდეს, შე საწყალო, და მართალი კაცი კინაღამ ჩამოგახრჩეს.

ყვარყვარე — მართალი კაციო!

კაკუტა — კი, სულ ტყუილა დაგიჭირეს. ახალთაობის საქმეში არ ერიე.

ქუჩარა — მერე, გაქცეული ჯარის უფროსობა გინდოდა, მარა ჩვენისთანა ვირებმა გიღალატეთ.

---

[3] წყვიწყვეი — ყვარყვარეს მამა.

ყვარყვარე – ეს რა გამოდის!

კაკუტა – იმას შუა და იმას შუა რო იყო, იმასაც ვიტყვი.

ყვარყვარე – რას იტყვი.

კაკუტა – სასახლეში რო წაგვიყვანე და ყმად რო უდგებოდი და შერე ის მთაერობა რო თხლესავით წავიდა.

ყვარყვარე – ჰოდა, ახლა კარგ ტაბლაკვერებს მიიღებთ ჩემგან, წამოდით, უნდა დაგატუსაღოთ.

ყველანი – რატომ, რატომ გვატუსაღებ?

ყვარყვარე – რადგან თქვენ ვერ მცანით, თვითონ უნდა გაგაცნოთ ჩემი თავი და... როგორც გამოუსწორებელ დამნაშაეებს, გაპატიმრებთ. (ეძახის) ეი, ვინა ხართ! (შემოდიან რაზმელები).

I-ლი რაზმელი – არ დაეტევა, ამხანაგო, არ დაეტევა და რა ექნათ?

ყვარყვარე – წაიყვანეთ!

ლირსა – ეს რა მეხის ტეხაა?

I-ლი რაზმელი – ის ხალხი იქ ისეა გამწარებული, როგორც კი გავაღებ კარს, გარეთ გამოცვივიან, იხრჩობიან.

ყვარყვარე – გინდა, შენ პროლეტარიატის ძალაუფლებას ძირი რომ გამოუთხარო?!

I-ლი რაზმელი – არ მინდა.

ყვარყვარე – აბა, წაიყვანე.

ლირსა – ბატონებო, რას გვიშვრებით, კაცებო, მიპატრონეთ, თქვე შერცენებულებო.

ქუჩარა – (მუდარით) ყვარყვარე, რას მიშობი.

ყვარყვარე – გაყევი.

ლირსა – ბატონო, შენი მუხლის ჭირიმე!

ყვარყვარე – (აპირებს, წიხლი უთავაზოს ლირსას, რომელიც კაკუტას ეფარება) აი, ჩემი მუხლი.

ლირსა – რა ცეცხლში ჩამაგდეთ, კაცებო, თქვე შერცენებულებო, სად მომიყვანეთ. ამისათვის მეუბნებოდით, ამხანაგიაო!

კაკუტა – ქუჩარა, ბიჭო, შენ ამბობდი, ცოლიან კაცს პატივს გცემსო, სადაა?

ყვარყვარე – ჩქარა წამოდით, ფეხს ნუ ითრევთ.

რაზმელები – (თოფს მოიმარჯვებენ) წამოდით! (მიდიან ყველანი. შემოდის სეასტი ორი წითელარმიელით. ადის კიბეზე. რევკომიდან გამოდიან გულთამზე. რევკომის თავმჯდომარე, წევრები და შეეგებებიან სეასტის).

გულთამზე – სეასტი, შენ მოუთმენლად გველოდით.

სეასტი – კიდევ კარგად ყოფილხართ. ისე არეულია ეს მაზრა, არ მეგონა, თუ აქ ცოცხალი დამხვდებოდით.

თავმჯდომარე – დიახ, ჩემმა ავადმყოფობამ ეს ახლად გასაბჭოებული მაზრა ისევ ქვეყნი აბრაგების ხელში ჩააგდო.

სევასტი – ეს რა ხუმრობაა!

გ'ულთამზე – გესმით, რაღაც დაამტერიეს.

სევასტი – ესენი საიდან მორბიან! (შემორბიან ტუსაღები).

I-ლი ტ'უსაღი – გეიშველეთ, ამხანაგებო, ციხე'ში ჩაგეყარეს, დაგეიხსენით.

სევასტი – ეს რა ხალხია!

მე-2 ტ'უსაღი – გლეხები ვართ, შრომის მეტი ჩვენ არაფერი ვიცით.

მე-3 ტ'უსაღი – განუკითხავად დაგეიჭირეს, კარები რომ არ გამოგემტერია, ეიხრჩობოდით.

სევასტი – ციხე'ში ვინ ჩაგყარათ?

ტ'უსაღები – ყვარყვარე თუთაბერმა.

გ'ულთამზე – ყვარყვარემ?

სევასტი – ეს სახელი ნაცნობია, გ'ულთამზე, შენ არ გაგონდება?!

გ'ულთამზე – უი, ის ნაცარქექია ხომ არ არის?!

სევასტი – დამშეიდდით, გლეხებო! სად არის დამნაშავე?

I-ლი ტ'უსაღი – როდესაც ჩვენ გამოვცვიედით, გაიქცა.

მე-2 ტ'უსაღი – (იხედება) აი, გაუკოჭიათ.

ხმები – მოჰყავთ, მოჰყავთ!..

ყველანი – ჩქარა რეეკომ'ში მოიყვანეთ (სევასტი, გ'ულთამზე, თაემჯდომარე და წევრები შედიან რეეკომ'ში. წითელარმიელებს შემოჰყავთ ყვარყვარე. უკან მოყვება პირველი რაზმელი).

I-ლი რაზმელი – არ დაეტევა-თქვა, ხომ ვიძახდი! (წითელარმიელებს ყვარყვარე შეჰყავთ რეეკომ'ში).

ხალხი – გაასამართლეთ! (შემოდიან კაკუტა, ქუჩარა და ლირსა).

ქუჩარა – დაინახეთ, რეეკომ'ში რომ შეათრიეს ის გარეწარი?

ლირსა – კი, კი... კარგად მიაჩანჩალეს.

კაკუტა – რას უზამენ ახლა, მოკლავენ?

ქუჩარა – მოკლავენ, აბა, ქალს კი არ უთხოვენ?

ლირსა – ახია, კაცებო, რასაც უზამენ. ვერ ხედავდით რა დაგეიტრიალა?

ქუჩარა – დრო კია, მამამისი წყეიწყვი შაეს იკერავდეს.

კაკუტა – კი, კი, ზარალი გამოუეიდა.

I-ლი ტ'უსაღი – (კაკუტას და ქუჩარას) თქვენ იცნობთ მაგ უმოწყალოს?

ქუჩარა – ვიცნობთ კი არა, მაგის შიშით ძლივს დავდივართ ქვეყანაზე.

მე-2 ტ'უსაღი – როგორ, კიდევ გაწვალათ ამის გარდა?

კაკუტა – ერთხელ გამოვეპარეთ, თორემ, ახლა ცოლი კი არ მეყოლებოდა – მკვდარიც ვიქნებოდი.

ქუჩარა – კაცო, კაკუტა! მაშინ რომ გადაურჩით, ხომ დავიფიცეთ, სათოფეზე არ მივეკაროთ-თქო, ახლა როგორ გადავცდით?!

კაკუტა – ხოდა ეს მოგვეიეიდა.

ხალხი – ეჰ, დასაღუპავია მაგისთანა კაცი!

ქუჩარა – აბა, ეგ თუ გაუშვეს, სულ ერთია, მთელ ქვეყანას დააქცევს. (ყველანი გამოდიან რეეკომიდან).

თავმჯდომარე – ამხანაგებო, ყვარყვარე თუთაბერის უმსგავსო საქმეები სულ თაეიდან ბოლომდე გამოვარკვიეთ.

ქუჩარა – ალალია, რომ ჩავარდი ტაფაში!

ყვარყვარე – რომ ვერ მიეხვდი, რას მემართლებით? მე რეყოლუციაზე ლოგინი დამიგია და ახლა დასჯა მერგება?

სევასტი – ამხანაგებო, ყვარყვარე თუთაბერი ნაცარქექიაა.

ხმები – კი, კი, ნაცარქექიაა.

სევასტი – ის მეფის დროს ჩემს მაგიერ დაიჭირეს და ამ შემთხვევის წყალობით თავი გაუსაღებია ძველ რევოლუციონერად... ჩვენი გამოძიებით კი ყვარყვარე თუთაბერი ნამდვილად ჭკუანაკლებია, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეს ადამიანი არაეითარ საშიშროებას არ წარმოადგენს და ამიტომ ვათავისუფლებთ.

ხმები – შემცდარია რეეკომი, რეეკომი შემცდარია!

ყვარყვარე – არაა შემცდარი, თქვე უსინდისოებო, მთლად ნუ მღუპავთ.

სევასტი – მხოლოდ იმ უნიადაგო ხელისუფლებაში, რომელიც აქ ჩვენამდე არსებობდა, იმ უთაურობაში შეეძლო ყვარყვარე თუთაბერს გმირის ადგილი დაეჭირა და ხალხისათვის ვნება მიეყენებინა, ჩვენ კი ახლა მას ნიღაბი მოვხსენით და, დეე, თავისი ნამდვილი სახით, ნაცარქექიას სახელით, იაროს ქვეყანაზე.

I-ლი ტუსაღი – მაშ, თუ ჭკუანაკლების ხელში ვიყავით, კიდევ კარგად გადავრჩენილვართ.

მე-2 ტუსაღი – კარგია მაინც, რომ გავიგეთ!

მე-3 ტუსაღი – რადგან ზიანს ვეღარავის მიაყენებს, იაროს და იჩერჩეტოს, რა გვენაღვლება.

ყვარყვარე – ოო, რა სიცოცხლეს ეკარგავდი!

სევასტი – (ყვაყვარეს უახლოვდება) ნაცარქექია, ეს თავი კი შეგრჩა, მაგრამ გულთამზესთან ხომ შეგარცხვინეს.

გულთამზე – აწი მაინც ვერ შემხედავ, ძვალმოტეხილი, ხომ სულელად გამოგაცხადეს!

ყვარყვარე – ყველა უბედურებას შენით გადავეკიდე, გულთამზე! (თავისთვის). ეჰ, გათავდა შენი ჩალიჩი, ყვარყვარე თუთაბერო. ამათ ხელში ჩემი ამინდი არ დადგება. (ხალხი სტვენით, ყვირილით და დაცინვით აცილებს მიმავალ ყვარყვარეს).

ფ ა რ დ ა

ფიქრი და დისკუსია:

გაიაზრეთ

1. რისთვის მიეიდნენ გლეხები მაზრის რევკომის შენობის წინ მდებარე მოედანზე და რა შესჩიოდნენ ერთმანეთს? ზოგიერთი გლეხის აზრით, რატომ ვერ ახლებდა ვერავინ ხელს ყვარყვარე თუთაბერს?

2. პირველად რა ბრძანება გასცა ახლად გამოჩენილმა ყვარყვარემ? რისი და სად დაბინავება დააჟალა თავის ქვეშევრდომს თუთაბერმა?

3. როგორ აფასებენ გულთამზე და რევკომის თავმჯდომარე ყვარყვარე თუთაბერის საქციელს?

4. როგორ უსწორდებოდა ყვარყვარე უკმაყოფილო მოსახლეობას? როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს იგი მომჩივანი ქალის მიმართ?

5. რის სათხოვნელად მიეიდნენ თანასოფლელები კაკუტა, ქუჩარა და ლირსა ყვარყვარესთან და რატომ ერიდებოდათ მისი? როგორ მოექცა მათ თუთაბერი?

6. რა მიზეზების გამო ათავისუფლებს რევოლუციონერი სევასტი ყვარყვარეს?

გააანალიზეთ

7. რატომ სურთ აბრაგებს, რომ ძეგლი დაუდგან ყვარყვარეს, რასაც ეს უკანასკნელიც ეთანხმება?

8. რევოლუციონერი სევასტის შეფასებით, რა მიზეზის გამო აღზევდა ნაცარქექია თუთაბერი?

9. დაახასიათეთ ყვარყვარე თუთაბერი, გადმოეცით მისი მოტივაცია, ძლიერი მხარეები და ცხოვრებისადმი დამოკიდებულება.

განაზოგადეთ

10. ყვარყვარე ამბობს: „ხალხი თავის მტერია, თუ არ მოწყესე, უჭკუო საქონელივით ხრამში გადაეარდება... თუ შნო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა დაარტყა“. როგორ გესმით მისი ეს „შეგონება“ და რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ იგი? მიესადაგება თუ არა ეს რჩევა ნებისმიერი ეპოქის მედროვეობას?

11. პიესის მიხედვით, რევოლუციამ ერთი კალაპოტი მოუტანა ხალხს: ვინც პატარაა, იმაზე გაადიდებენ, ხოლო ვინც დიდი – იმაზე დაამოკლებენ. რაც უნდა იხტუნო, თურმე, იმ კალაპოტს ვერ გაექცევი. შეიძლება თუ არა ყველა ადამიანის ერთ კალაპოტში, ჩარჩოში მოქცევა და ზღუდავს თუ არა ეს მათ უფლებებსა და შესაძლებლობებს?

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

ანტაგონისტი და პროტაგონისტი

ანტაგონისტი არის მოთხრობის, რომანის ან პიესის პერსონაჟი, რომელიც მთავარ გმირს ანუ პროტაგონისტს უპირისპირდება. ეს უკანასკნელი ყოველთვის მოქმედების ცენტრშია. ზოგჯერ პროტაგონისტს ეწინააღმდეგება არა სხვა რომელიმე პერსონაჟი, არამედ – სხვადასხვა გარე ძალა.

1. როგორ ფიქრობთ, ვინაა პოლიკარპე კაკაბაძის პიესის პროტაგონისტი? ვინ არიან მისი მოწინააღმდეგე პერსონაჟები? არის თუ არა პროტაგონისტი დადებითი გმირი? მოიყვანეთ ამის დამდასტურებელი მაგალითები.

2. უპირისპირდება თუ არა რაიმე გარეშე ძალა პიესის რომელიმე პერსონაჟს?

წერითი უნარების განვითარება
თხზულების წერა

წარმოიდგინეთ, რომ დრამატული პიესის კრიტიკოსი ხართ და სამხუთაბცაზიანი მიმოხილვა უნდა დაწეროთ ადგილობრივი გაზეთისათვის იმ სცენის შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ ყვარყვარე, კაკუტა, მისი ცოლი ლირსა და ქუჩარა. განიხილეთ მსახიობთა გარეგნობა,საქციელი, რომელთა მიხედვითაც ისინი ცდილობენ, ღიმილი მოჰგვარონ მაყურებელს; წარმოიდგინეთ ამ უკანასკნელის რეაქციაც. წერისას გასაქანი მიეცით ფანტაზიას, წარმოსახვას – როგორი შეიძლება ყოფილიყო დეკორაცია, პერსონაჟთა ჩაცმულობა; თქვენი ნაშრომის გადაკითხვისას დაუკვირდით: ითვალისწინებთ თუ არა მოცემული სცენის ყველა მნიშვნელოვან ელემენტს? ახლავს თუ არა თქვენს წარმოსახვას დამაჯერებელი მტკიცებულებები ტექსტიდან? ზუსტად გაქვთ თუ არა მოყვანილი ციტატები? არის თუ არა ეს ციტატები და პერიფრაზები მკითხველისათვის გასაგები ლოგიკური ურთიერთშესაბამისობით გამოყენებული?

მსახიობთა შერჩევა

დაეუშვათ, ხართ თეატრის რეჟისორი და დგამთ მეოთხე მოქმედებას პოლიკარპე კაკაბაძის პიესიდან „ყვარყვარე თუთაბერი“. ჩამოწერეთ, ვის დაავალებდით მასში მონაწილე პერსონაჟების როლების შერულებას. გაითვალისწინეთ ნაწარმოების მოქმედი პირებისა და თქვენ მიერ შერჩეული პიროვნებების გარეგნული შესაბამისობა. შემდეგ პიესიდან ის ინფორმაცია გამოიყენეთ, რომელიც თქვენს არჩევანს განამტკიცებს. კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ თქვენი ნაშრომი, რათა დარწმუნდეთ, სწორად მოუნახეთ თუ არა მსახიობებს როლები. შეურჩიეთ მუსიკა.

ბერტოლტ ბრეჰტი



(1898–1956 წ.წ.)



გერმანელი მწერალი და დრამატურგი ბერტოლტ ბრეჰტი დაიბადა 1898 წლის 10 თებერვალს გერმანიის ქალაქ აუგსბურგში. 1917-1921 წლებში სწავლობდა ფილოსოფიასა და მედიცინას მიუნხენის უნივერსიტეტში. სტუდენტურ წლებში დაწერა ორი პიესა „ბაალი“ (1917-1918 წწ.) და „დაფდაფები ღამით“ (1919 წ.). ეს უკანასკნელი 1922 წელს დაიდგა მიუნხენის კამერულ თეატრში და დაჯილდოვდა კლაისტის სახელობის პრემიით. 1924 წელს გადავიდა ბერლინში, სადაც გერმანული თეატრის დრამატურგად დაინიშნა. 1927 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული. კომპოზიტორ კ. ვაილესთან ერთად შექმნილმა „სამგროშიანმა ოპერამ“ 1928 წელს დიდი წარმატება მოუტანა.

ფაშისტების ხელისუფლებაში მოსვლამდე ბრეჰტმა დადგა ხუთი მიუზიკლი. 1933 წლიდან იგი დანიაში გადავიდა საცხოვრებლად. 1938-1941 წლებში შექმნა ოთხი ყველაზე მოზრდილი პიესა. 1940 წელს ნაცისტები დანიაში შეიჭრნენ, რის გამოც მწერალი ჯერ შვეციაში, შემდეგ დანიაში, დაბოლოს, აშშ-ში გადავიდა, სადაც „კაეკასიური ცარცის წრე“ დაწერა (1941 წ.).

ამერიკა 1947 წელს დატოვა და ციურიხში ჩავიდა, ხოლო 1948 წელს ბერლინში დამკვიდრდა, სადაც მეუღლესთან ერთად საკუთარი თეატრალური დასი დააარსა, რომლისთვისაც თორმეტი პიესა დადგა. 1954 წელს დასმა სახელმწიფო თეატრის სტატუსი მოიპოვა. გარდაიცვალა 1956 წელს.

ბერტოლტ ბრეხტი

კავკასიური ცარცის წრე

(თარგმნეს კარლო და გიორგი ჯორჯანელებმა)

გრუშე ვაჩნაძის თავგადასავალი

მეორე მსოფლიო ომის დროს კავკასიის ერთ-ერთი სოფლის კლუბში იდგმება სპექტაკლი, რომლის სიუჟეტიც, ავტორის თანახმად, ჩინეთში შეთხზულ თქმულებას ემყარება. „წყეულად“ წოდებულ ქალაქს მართავდა უმდიდრესი გუბერნატორი გიორგი აბაშვილი. უამრავი ხალხი აკითხავდა სხვადასხვა საჩივრით, მაგრამ ამაოდ. გუბერნატორს ჰყავდა მეუღლე ნათელა და მცირეწლოვანი ვაჟი მიხეილი, რომელსაც სათუთად ზრდიდნენ. თავადი ყაზბეგის მიერ მოწყობილი შეთქმულების შედეგად, გიორგი აბაშვილი დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მისმა მეუღლემ ქალაქიდან გაქცევით უშველა თავს. არეულ-დარეულობასა და საუკეთესო კაბების შერჩევის ფორიაქში დედას სასახლის ეზოში დარჩა თავისი შვილი მიხეილი, რომელიც ჭურჭლის მრეცხავმა ქალიშვილმა – გრუშე ვაჩნაძემ შეიფარა და იზრუნა, მიუხედავად დიდი საშიშროებისა, რომ დაპატიმრებული გუბერნატორის ვაჟს მფარველობდა. გრუშე ბავშვთან ერთად ჩრდილოეთის მთებში გაიქცა. მრავალი დაბრკოლების გადალახვისა და საშინელი გასაჭირის გამოვლის შემდეგ წამოზრდილი მიხეილ აბაშვილი მდევარმა აბჯროსანმა ჯარისკაცებმა შეიპყრეს და ქალაქში წაიყვანეს სასამართლოში წარსადგენად, ვინაიდან არსებობდა ეჭვი, რომ იგი გუბერნატორ გიორგი აბაშვილისა და მისი მეუღლე ნათელას ვაჟი იყო. ქალაქში მოსამართლედ ვინმე აზდაკი დაენიშნათ, რომელიც მანამდე სოფლის მწერალი იყო. ქვეყანაში გამეფებული ქაოსის დროს მან უნებლიეთ შეიფარა დევნილი დიდი თავადი – ხალხის მძარცველი, ჯალათი და სულთამხუთაყი. შემთხვევის წყალობით, აბჯროსნებმა აზდაკს დააკისრეს მოსამართლის მოვალეობის შესრულება, და მანაც დაიწყო სამართლის განჩინება, თანაც საკმაოდ უცნაური მეთოდებით. აზდაკი გაჭირვებულ ხალხს ეხმარებოდა, „მდიდარს ართმევდა, აძლევდა ღარიბს“. სწორედ მას დაეკალა გაერკვია, თუ ვის ეკუთვნოდა ყრმა მიხეილ აბაშვილი – ნამდვილ დედას, ნათელა აბაშვილს, თუ გრუშე ვაჩნაძეს, რომელიც „ბავშვს თურმე თავისად ასაღებდა“.

მოქმედება მეხუთე

ცარცის წრე

მგოსანი:
ახლა ისმინეთ, ვით გაირჩა სასამართლოზე
გუბერნატორის ყრმის ბურუსით მოცული საქმე,
ვით მოახერხა მოსამართლემ, რომ დაედგინა
ნამდვილი დედა სახელგანთქმულ ცდის მეშვეობით,
რისთვისაც მარჯვედ მან ცარცის წრე გამოიყენა.

სასამართლოს ეზო. აბჯროსნებს შემოჰყავთ მიხეილი და შემდეგ მასთან ერთად მიდიან სცენის სიღრმეში. ერთ-ერთი აბჯროსანი შუბით აკაევებს გრუშეს ალაყაფის კარებში, ვიდრე ბავშეს წაიყვანდნენ. მერე შემოუშვებს. გრუშეს მოსდევს მსუქანი მზარეული ქალი გუბერნატორ აბაშვილის ყოფილი სახლეულიდან. შორიდან ისმის ხმაური და ცისკიდური ხანძრისაგან წითლად არის შეღებილი.

გრუშე: ყოჩაღი ბიჭია, უკვე თვითონ იბანს პირს.

მზარეული ქალი: ბედი გჭონია. თქვენს საქმეს ნამდვილი მოსამართლე კი არ გააარჩევს, არამედ აზდაკი. იგი ლოთია და არა გაეგება რა. ყველაზე დიდი აეაზაკები სრულიად დაუსჯელად გაუშვა ბევრჯერ. და ვინაიდან ყველაფერს ერთმანეთში ურევს, და თანაც რამდენი ქრთამიც არ უნდა მისცენ მდიდრებმა, მაინც არ კმარობს, ჩვენისთანა საწყალ ხალხს მის ხელში ზოგჯერ ბედი გაუღიმებს ხოლმე.

გრუშე: დღეს მე მართლაც რომ ბედის გაღიმება მჭირია.

მზარეული ქალი: ჩუ, თვალი არა სცე. (პირჯვარს გადაიწერს.) მგონი, ერთხელ კიდევ მოვასწრებ ლოცვის წარმოთქმას, რომ მოსამართლე გადაკრულში იყოს. (ლოცულობს, უხმოდ აცმაცუნებს ტუჩებს.)

გრუშე კი ამ დროს ამაოდ ცდილობს ბავშვის დანახვას.

ვერ გამიგია, რად გინდა, რომ რადაც არ უნდა დაგიჯდეს, შეინარჩუნო ეგ ბავშვი, თუკი შენი არ არის, ისიც ასეთ დროში.

გრუშე: დიახაც რომ ჩემია. მე გავზარდე.

მზარეული ქალი: ერთხელ მაინც არ დაფიქრდი, რა მოხდებოდა, როცა გუბერნატორის მეუღლე დაბრუნდებოდა?

გრუშე: ჯერ ვფიქრობდი, უკან დავუბრუნებ-მეთქი, ხოლო შემდეგ კი — აღარ დაბრუნდება-მეთქი.

მზარეული ქალი: ნათხოვარი კაბაც ათბობს ადამიანს, ასეა არა?

გრუშე თავს უქნევს.

შენი გულისთვის, რაზეც გინდა, იმაზე დავიფიცებ, რადგან კარგი ადამიანი ხარ. (იმეორებს, რომ არ დააეიწყდეს.) ბავშვი მე მყავდა ჩაბარებული მოსაელელად, რაშიც ხუთი პიასტრი მეძლეოდა. გრუშემ იგი აღდგომა დღეს გამომართვა, საღამოთი, როცა მღელვარება დაიწყო. (შენიშნავს სიმონ ჩაჩავას[1], რომელიც მათ უახლოვდებათ.) მაგრამ აი, სიმონის წინაშე კი დამნაშავე ხარ. მე ეელაპარაკე. ვერა და ვერ შეუგნია, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

გრუშე: (ვერ ხედავს სიმონს.) რა ექნა, თუკი ვერ შეუგნია. ჩემთვის ახლა სხვა სადარდებელიც კმარა.

მზარეული ქალი: ის, როგორც იქნა, დაიჯერა, რომ ბავშვი შენი არ არის, მაგრამ ჯვარდაწერილი რომ ხარ და მხოლოდ სიკვდილი გაგათავისუფლებს, ამას ვერ შერიგებია.

გრუშე შენიშნავს სიმონს და მიესალმება.

სიმონი: (პირქუშად) მინდა ქალბატონს ვაუწყო, რომ მზადა ვარ, დავიფიცო, ბავშვის მამა მე ვარ-მეთქი.

გრუშე: (წყნარად.) კეთილი, სიმონ.

სიმონი: ამასთანავე, უნდა განვაცხადო, რომ ამით არავითარ ვალდებულებას არ ვიღებ ჩემს თავზე და არც ქალბატონს ეკისრება რაიმე.

მზარეული ქალი: სულ ზედმეტია მაგაზე ლაპარაკი. გრუშეს ქმარი ჰყავს და ეს შენ იცი.

სიმონი: ეს მაგის საქმეა. ქმარი აქ რა მოსატანია.

შემოდის ორი აბჯროსანი.

აბჯროსნები: სად არის მოსამართლე?

— არავის დაგინახავთ მოსამართლე?

გრუშე: (მიტრიალდება და პირისახეს იფარავს.) წინ ჩამომეფარე. არ შეიძლებოდა ჩემი აქ ჩამოსულა. იმ აბჯროსანს რომ გადავაწყდე, რომელსაც თავში ჩავარტყი...

აბჯროსანი: (ერთ-ერთი იმათგანი, რომლებმაც ბავშვი მოიყვანეს, წინ გამოდის.) მოსამართლე აქ არ არის.

ორივე აბჯროსანი განაგრძობს ძებნას.

მზარეული ქალი: ნეტავი არაფერი არ მოუვიდეს იმ მოსამართლეს, თორემ სხვამ რომ გაარჩიოს თქვენი საქმე, უფრო ნაკლები იმედი უნდა გქონდეს.

შემოდის კიდევ ერთი აბჯროსანი.

აბჯროსანი: (ერთ-ერთი იმათგანი, რომლებმაც მოსამართლე მოიკითხეს, მოახსენებს ახალმოსულს.) აქ მხოლოდ ორი მოხუცია და ერთიც ბავშვი. მოსამართლე ცამ ჩაყლაპა.

ახალმოსული აბჯროსანი. განაგრძეთ ძებნა!

---

[1] სიმონ ჩაჩავა — ჯარისკაცი, გრუშე ვაჩნაძის საქმრო.

პირველი ორი აბჯროსანი სწრაფად გადის, მესამე დაყოვნდება. გრუშე შეჰყვირებს. აბჯროსანი მოტრიალდება. ეს ის ეფრეიტორია, რომელსაც გრუშემ შეშის ნაჭერი ჩაარტყა თავში, როდესაც მიხეილის დახსნას ცდილობდა მდევარი ჯარისკაცების ხელიდან. ეფრეიტორს სახის დაყოლებით ეეება ნაჭრილობევი ატყეია.

ალაყაფის კარებში მდგომი აბჯროსანი: რა იყო? იცნობ მაგას?

ეფრეიტორი: (პაუზის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც იგი გრუშეს აცქერდება). არა.

ალაყაფის კარებთან მდგომი აბჯროსანი: მაგას აბაშვილის ბავშვის მოპარვას აბრალებენ. თუ რამე იცი მაგის შესახებ, ბლომად ფულს იშოვი.

ეფრეიტორი ლანძღვით გადის.

მზარეული ქალი: ის იყო?

გრუშე თავს უქნევს.

მგონი, ეს კრინტსაც არ დაძრავს, თორემ მაშინ ხომ უნდა აღიაროს, რომ გუბერნატორის ბავშვს მისდევდა შესაპყრობად?

გრუშე: (შვებით ამოისუნთქავს.) მე კი ლამის დამავიწყდა კიდეც, რომ ბავშვი გადავარჩინე ამ...

შემოდის გუბერნატორის მეუღლე ადიუტანტისა და ორი ექილის თანხლებით.

გუბერნატორის მეუღლე: მადლობა ღმერთს, რომ ხალხი მაინც არ არის აქ. არ შემიძლია მათი სუნის ატანა. მაშინვე თავის ტკივილი ამივარდება ხოლმე.

პირველი ექილი: გთხოვთ, მოწყალეო ქალბატონო, რაც შეიძლება, გულდასმით აწონ-დაწონოთ ხოლმე თქვენი ყოველი სიტყვა, ვიდრე სხვა მოსამართლეს დანიშნავდნენ.

გუბერნატორის მეუღლე: კი, მაგრამ მე ხომ არაფერი მითქვამს. მე მიყვარს ხალხი, მიყვარს მისი უბრალო, პირდაპირი გონება. აი, სუნია მხოლოდ, რომ თავს ამატკიებს ხოლმე.

მეორე ექილი: სეირის მაყურებელნი ალბათ თითქმის არ გვეყოლება. ხალხი შინა ზის კარჩაკეტილი, გარეუბანში გამეფებული მღელვარების გამო.

გუბერნატორის მეუღლე: ეს არის ის გომბიო?

პირველი ექილი: გთხოვთ, ქალბატონო ნათელა, თავი შეიკავოთ და შეურაცხმყოფელი გამოთქმები არ იხმაროთ, ვიდრე არ დავრწმუნდებით, რომ დიდმა თავადმა ახალი მოსამართლე დანიშნა და გაათავისუფლდით ამყამინდელი მოსამართლისაგან, რომელიც ყველაზე დიდი გარეწარია იმათთაგან, ვისაც კი ოდესმე მოსამართლის წამოსასხამი უტარებია. მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე უკვე მანდეთკენ მიდის. აი, უყურეთ.

ალაყაფის კარში შემოდიან აბჯროსნები.

მზარეული ქალი: ეგ ყოველად მოწყალე ქალბატონი ალბათ ახლავე თმაში წაგწვდებოდა, აზდაკის ხასიათი რომ არ იცოდეს. ის მდაბიოთა მხარეზეა და ადამიანს სახეზე ატყობს ყველაფერს.

ორი აბჯროსანი თოკს ამაგრებს ბოძზე. შემოჰყავთ ბორკილებგაყრილი აზდაკი, მის უკან სასამართლოს პოლიციელი შალვა, აგრეთვე, ბორკილებგაყრილი. მათ მოსდევს სამი ბობოლა გლეხი.

აბჯროსანი: გინდოდა გაქცეულიყავი, არა?

სცემს აზდაკს.

ერთ-ერთი ბობოლა: ჯერ მოსამართლის მოსასხამი გავაძროთ და მერე ჩამოვკიდოთ!

აბჯროსნები და ბობოლები აზდაკს აძრობენ მოსამაროლის მოსასხამს, რომლის ქვეშაც მისი დაგლეჯილი ტანსაცმელი გამოჩნდება. შემდეგ ერთ-ერთი აბჯროსანი პანღურს ამოჰკრავს აზდაკს.

აბჯროსანი: (თან ხელს ჰკრავს აზდაკს მეორე აბჯროსნისაკენ.) არ გინდა სიმართლის გუდა? აჰაანდე, დაიჭი!

აბჯროსნები: (რიგრიგობით უბიძგებენ აზდაკს ერთმანეთისაკენ.) აჰა, დაიჭი!

– მე სიმართლის გუდა არა მჭირდება!

ასე გრძელდება, ვიდრე აზდაკი არ წაიქცევა, მაშინ მაღლა აიტაცებენ და სახრჩობელასაკენ მიათრევენ.

გუბერნატორის მეუღლე: („ბურთაობის“ დროს ტაშს უკრავდა ისტერიულად.) მე პირველი დანახვისთანავე არ მომეწონა ეგ ტიპი.

აზდაკი: (სახე სისხლითა აქვს მოსვრილი და სულს ძლივს ითქვამს.) ვერაფერს ვერა ვხედავ, ჩვარი მომეცით, სისხლი მოვიწმინდო.

აბჯროსნები: მერე რა გინდა დაინახო?

აზდაკი: თქვენა, ძაღლებო. (ხალათის კალთით სისხლს იწმენდს თვალებიდან.) ღმერთმა განგიკითხოთ, ძაღლებო! როგორ მიდის თქვენი საქმეები, ძაღლებო? რა ამბებია ძაღლთა სამყაროში, კარგადა ყარს? გამოჩნდა ისევ ჩექმა, რომლის ალოკვაც შეგეძლებათ ხოლმე კვლავინდებურად? ისევა კბენთ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმულნი?..

ვიდრე აზდაკი ლაპარაკობს, შემოდის გამტერიანებული მხედარი ეფრეიტორის თანხლებით. ტყავის ჩანთიდან იღებს ქაღალდებს და სინჯავს.

მხედარი: (სიტყვას აწყვეტინებს აზდაკს.) მოიცათ! აი, დიდი თაყვანისცემით ბრძანება ახალ დანიშვნათა შესახებ.

ეფრეიტორი: (დაიღრიალებს.) სმენა იყოს და გაგონება!

ყველანი გაირინდებიან.

მხედარი: აი, რა არის ნათქვამი ახალი მოსამართლის შესახებ: „მოსამართლედ ვნიშნავთ ვინმე აზდაკს – კაცს, რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ქვეყნისათვის ფრიად მნიშვნელოვანი პიროვნების გადარჩენას“. რომელია, არ იცით?

შალვა: (მიუთითებს აზდაკზე.) აგერ, სახრჩობელას ქვეშა დგას, თქვენო აღმატებულებავ.

ეფრეიტორი: (ღაიღრიალებს). ეს რა ხდება აქ?

აბჯროსანი: ნება მიბოძეთ, გიპატაკოთ, რომ მისი მოწყალება უკვე იყო მისი მოწყალება, მაგრამ ამ ბობოლა გლეხების ჩვენების თანახმად, დიდი თაეადის მტრად იქნა გამოცხადებული.

ეფრეიტორი: (ბობოლებზე ანიშნებს.) წაიყვანეთ!

ბობოლები გაჰყავთ, ვიდრე გაიყვანდნენ, ისინი განუწყვეტლივ მდაბლად თაყს უკრავენ აზდაკს.

იცოდეთ, ამიერიდან მისი მოწყალება არაეინ და არაფერმა არ უნდა შეაწუხოს.

გადის გამტერიანებულ მხედართან ერთად.

მსარეული ქალი: (შალვას.) გუბერნატორის მეუღლე ტაშს უკრავდა, როცა მაგას აბურთაეებდნენ. იმედია, შენიშნავდა.

პირველი ექილი: ჩარხი უკუღმა დატრიალდა.

აზდაკს გული მისდის, წამოაყენებენ და ისევ გონზე მოდის. შემდეგ მოსამართლის წამოსასხამს აცმევენ და ბარბაცით გამოდის მის ირგვლივ შეკვუშული აბჯროსანთა წრიდან.

აბჯროსნები: ჩვენგან არაფერი არ გეწყინოს, თქვენო მოწყალებავ!

– რამეს ხომ არ ინებებთ, თქვენო მოწყალებავ?

აზდაკი: არაფერს, ძაღლებო. მეც ხომ თქვენებრ ძაღლი ვარ და სხვას რას ვინატრებ, თუ არა ნექმას გასალოკად. (შალვას.) გამითაეისუფლებიხარ!

შალვას ბორკილებს შეხსნიან.

წადი, ტკბილი წითელი ღვინო მომიტა.

შალვა გადის.



სცენა სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე". დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა. აზდაკის როლში რამაზ ჩხიკვაძე

დაიკარგეთ აქედან, მე ერთი საქმე მაქვს გასარჩევი.

აბჯროსნები გადიან: შალვა უკან ბრუნდება კათხით ხელში. აზდაკი მძიმედ სვამს.

რამე დამიდე ქვეშ.

შალვას კანონთა კრებული მოაქვს და მოსამართლის სკამზე დებს. აზდაკი ჯდება.

მე ვიღებ!

მოსარჩლეთ, რომლებიც აქამდე შეშფოთებულნი ბჭობდნენ, სახეები გაუბრწყინდებათ, შეებით ამოისუთქავენ, იღიმებიან და ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

მზარეული ქალი: ვაიმე, ვაიმე!

სიმონი: ჭას ნამით ვერ ამოავსებო, — ასე იტყვიან.

ვექილები: (უახლოვდებიან აზდაკს, რომელიც მოლოდინში ფეხზე წამოდგება). ყოველად კურიოზული საქმეა, თქვენო მოწყალებავ, მოპირდაპირე მხარემ ბავშვი მოიტაცა და უარს აცხადებს უკან დაბრუნებაზე.

აზდაკი: (გაშლილ ხელს გაუშვერს მათ და თან გრუშესკენ იყურება). მომხიბლავი ასულია. (ხელში ფულს იგრძნობს და კმაყოფილი სახით ჯდება) ვიწყებ რა სასამართლო პროცესს, ყველა თქვენგანისაგან ხალასს სიმართლეს მოვითხოვ. (გრუშეს) განსაკუთრებით შენგან.

პირველი ვექილი: ღრმად პატივცემულო მოსამართლევ! სისხლი, როგორც ხალხში იციან ხოლმე თქმა, უფრო სქელია, ვიდრე წყალი. ეს ძველი სიბრძნე...

აზდაკი: სასამართლოს სურს იცოდეს, რამდენს შეადგენს თქვენი ჰონორარი?

პირველი ვექილი: (გაკვირვებული.) უკაცრავად, რა ბრძანეთ?

აზდაკი თავაზიანი გამომეტყველებით ცერსა და სალოკ თითს უსვამს ერთმანეთზე.

ჰო, აი თურმე რა! ხუთასი პიასტრი, თქვენო მოწყალებავ. პასუხს ვიძლევი სასამართლოს უჩვეულო კითხვაზე.

აზდაკი: გესმით? თურმე ნუ იტყვით, ასეთი კითხვა უჩვეულო რამ ყოფილა! ამას იმიტომ გეკითხებით, რომ თუ მეცოდინება, როგორი კარგი ვექილიცა ხართ, უფრო უკეთ მოგისმენთ.

პირველი ვექილი: (თავს უკრავს.) გმადლობთ, თქვენო მოწყალებავ. ღრმად პატივცემულო მოსამართლევ, არაფერი ისე მტკიცედ არ აკავშირებს ადამიანებს, როგორც სისხლით ნათესაობა. დედა და შვილი — განა ამაზე ახლობელი კავშირი კიდევ არსებობს?! განა შეიძლება დედას მკერდიდან ბავშვი მოჰგლიჯო?! ღრმად პატივცემულო მოსამართლევ! დედამ ცხრა თვე მუცლით ატარა, ასაზრდოება თავისი სისხლით და შეა ტანჯვით. ღრმად პატივცემულო მოსამართლევ! არაერთგზის უნახავთ,

რომ თვით ეეფხვიც კი, როდესაც ლეკეს მოსტაცებენ, მოუსვენრად დაძრწის მთებში და ისე ხდება, რომ ლანდს ემსგავსება. თავად ბუნებამ...

აზდაკი: (აწყვეტინებს და გრუშეს მიმართავს.) აბა, რა შეგიძლია უპასუხო ამაზე და საერთოდ ყველაფერზე, რაც ბატონ ეექილს კიდევ დარჩა სათქმელი?

გრუშე: ბავშვი ჩემია.

აზდაკი: მეტი არაფერი? იმედია, შეძლებ დაამტკიცო, რომ ეს ასეა. ყოველ შემთხვევაში, გირჩევნია, ის მაინც მითხრა, რატომ მიგაჩნია, რომ ბავშვი შენ უნდა მოგაკუთვნოთ.

გრუშე: მე რაც შემეძლო და როგორც შემეძლო, ისე გამოვეხარდე იგი, ალალი გულით, (ცოტაოდენ საჭმელს ყოველთვის ეშეულობდი მისთვის და ღამეც თითქმის მუდამ ჭერქვეშ ეძინა ხოლმე. რაღა არ გადაეიტანე მისი გულისთვის, რამდენ ხარჯს გაეუძელ. იმას კი არ ეუყურებდი, თვითონ მე რა მაძლევდა ხელს და რა არა. ვცდილობდი, ჩამეგონებინა, გულისხმიერი ყოფილიყო ყველასადმი და თავიდანვე შრომა ჰყვარებოდა. ისიც ცდილობდა, რაც შეეძლო. ჯერ ხომ ძალიან პატარაა .

ეექილი: თქვენო მოწყალებავ, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თვითონ ეს ასულიც არ მიუთითებს მასსა და ბავშვს შორის არსებულ რაიმე სისხლისმიერ ნათესაობაზე.

აზდაკი: სასამართლო ამას მხედველობაში მიიღებს.

ეექილი: გმადლობთ, თქვენო მოწყალებავ. ახლა ნება დართეთ თქვენ წინაშე მდაბლად ქედმოხრილ მანდილოსანს, რომელმაც მეუღლე დაკარგა უკვე და ამჟამად ბავშვის დაკარგვის საფრთხეც ემუქრება, ორიოდე სიტყვით მოგმართოთ. აბა, მოწყალეო ქალბატონო...

გუბერნატორის მეუღლე (ხმადაბლა.) ყოველად ულმობელი ხვედრი მაიძულებს, ბატონო ჩემო, მოგმართოთ თხოვნით, რომ უკან დამიბრუნოთ ჩემი საყვარელი შვილი. ძალა არ შემწევს დაგიხატოთ განძარცული დედის სულიერი წამება, შიში, უძილო ღამეები...

მეორე ეექილი: (უცებ იფეთქებს.) პირდაპირ გაუგონარია, როგორ ექცევიან ამ ქალს. უკრძალავენ ქმრის სასახლეში შესვლას, არ აძლევენ მამულიდან შემოსავალს და თანაც არხეინად ეუბნებიან: მამული მემკვიდრეს ეკუთვნისო. უბავშვოდ არაფერი არ შეუძლია, თვით თავისი ეექილების გასტუმრებაც კი არ შეუძლია.

პირველ ეექილს, რომელიც სასოწარკვეთილია კოლეგის გამოხდომით, გაფაციცებით ანიშნებს, გაჩუმდიო.

ძვირფასო, რა დასამალია, რომ საბოლოო ჯამში საქმე აბაშვილის მამულს ეხება?

პირველი ეექილი: გეთაყვათ, პატივცემულო ეექილო! ჩვენ ხომ შევთანხმდით! (აზდაკს.) რასაკვირველია, სწორია, რომ იმისდა მიხედვით, თუ რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო, გადაწყდება, აგრეთვე ისიც,

გახდება თუ არა ჩვენი მაღალშობილი კლიენტი აბაშვილის დიახაც დიდი მამულის მფლობელი, მაგრამ მე განგებ ვამბობ, აგრეთვე-მეთქი, ვინაიდან პირველ რიგში დგას დედის ადამიანური ტრაგედია, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა ნათელა აბაშვილმა თავისი ამაღელვებელი სიტყვის დასაწყისში. მიხეილ აბაშვილი ზემოაღნიშნულიდან მამულის მემკვიდრეც რომ არ ყოფილიყო, იგი მაინც იქნებოდა ჩემი კლიენტის ნანატრი შვილი!

აზდაკი: სდექ! სასამართლო მოსარჩლის მიერ მამულის ხსენებას წმინდა ადამიანურ მისწრაფებათა გამოელენად მიიჩნევს.

მეორე ეექილი: გმადლობთ, თქვენო მოწყალებავ. ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია იმაზე მიეუთითოთ, რომ ქალი, რომელმაც ბავშვი მიისაკუთრა, არ წარმოადგენს მის ნამდვილ დედას! ნება მიბოძეთ, სასამართლოს მხოლოდ შიშველი ფაქტები მოვახსენო. ბავშვი, მიხეილ აბაშვილი, გარემოებათა საბედისწრო გადახლართვის გამო დედამ დატოვა გაქცევის დროს. გრუშე, ჭურჭლის მრეცხავი გოგო, სასახლეში იყო იმ დღეს და სახლეულთაგან ბევრმა ნახა, როგორ დასტრიალებდა ბავშვს.

მზარეული ქალი: გუბერნატორის მეუღლე კი მარტო იმაზე ფიქრობდა, რომელი კაბები წაეღო თან.

მეორე ეექილი: (წარბშეუხრელად.) დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გრუშემ ბავშვიანად თავი ამოჰყო ჩრდილოეთში, მთის ერთ-ერთ სოფელში, სადაც შეუღლდა...

აზდაკი: როგორ მოხვდი იმ სოფელში?

გრუშე: ფეხით ჩავედი, თქვენო მოწყალებავ, და ბავშვი ჩემი იყო.

სიმონი: მე კი მამა ვარ, თქვენო მოწყალებავ.

მზარეული ქალი: ბავშვი ჩემთან ჰყავდათ მობარებული, თქვენო მოწყალებავ, ხუთ პიასტრს მაძლევდნენ მოვლაში.

მეორე ეექილი: ეგ ჯეელი გრუშეს დანიშნულია, ღრმად პატივცემული მოსამართლევ, და ამის გამო მაგის ჩვენებას არ შეიძლება სასამართლო დაეყრდნოს.

აზდაკი: შენ მოგთხოვდა სოფელში?

სიმონი: არა, თქვენო მოწყალებავ, იქ ერთ გლეხზე დაიწერა ჯვარი.

აზდაკი (ხელს უქნევს გრუშეს, ახლოს მოდიო). რატომ? (სიმონზე მიუთითებს.) რა, ლოგინში არ ვარგა? სიმართლე მითხარი.

გრუშე: ჩვენ შორის მანამდე არ მისულა საქმე. ბავშვის გამო გავთხოვდი. თავშესაფარი რომ ჰქონოდა. (სიმონზე მიუთითებს.) ეგ ომში იყო, თქვენო მოწყალებავ.

აზდაკი: და ახლა ისევ შენ უნდიხარ, არა?

გრუშე (ჯავრიანად). ახლა თავისუფალი აღარა ვარ, თქვენო მოწყალებავ.

სიმონი: გთხოვთ, ოქმში შეიტანოთ...

აზდაკი: მაშ, ბავშვი მრუშობის შედეგად შეგეძინა. ასე გამოდის შენი ნათქვამიდან. პასუხი გამეცი კითხვაზე: რა ბავშვია ესა? დაძონძილი ნაბიჭვარი, თუ კეთილშობილი ყრმა, შეძლებული ოჯახის შვილი?

(გრუშე ხმას არ იღებს.)

გრუშე: (ბრაზმორეული.) ჩვეულებრივი ბავშვია.

აზდაკი: მე გეკითხები, თავიდანვე დახვეწილი სახის ნაკეთები ჰქონდა-მეთქი?

გრუშე: რა ვიცი, პაჭუა ცხვირი კი ჰქონდა...

აზდაკი: მაშ, პაჭუა ცხვირი ჰქონდა? ასეთი პასუხი ფრიად მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ჩემზე ყვებიან, რომ ერთხელ განაჩენის გამოტანის წინ გარეთ გავედი და ვარდის ბუჩქს ვეუნოსავედი. ასეთი ილეთები დღეს-დღეობით დიახაც საჭიროა. ახლა კმარა, მეტს აღარ გაეაჭიანურებ თქვენს პროცესს. მეყო, რაც ტყუილები მოვისმინე თქვენგან. (გრუშეს.) განსაკუთრებით კი შენგან. წარმოდგენილი მაქვს, რაღა არ შეთითხნეთ (გრუშეს, სიმონსა და მზარეულ ქალს.) რათა როგორმე გაგეცურებინეთ. მე ვეჭრაფერს გამომაპარებთ, თაღლითები ხართ.

გრუშე: (ერთბაშად მიახლის.) ეჭვიც არ მეპარება, რომ დიდხანს არ გააჭიანურებთ საქმეს. ქრთამი ხომ უკვე აიღეთ და სხვა რაღა გენაღლებათ!

აზდაკი: ენა დააყენე. რა, შენგან ავიღე?

გრუშე: (მიუხედავად იმისა, რომ მზარეული ქალი ცდილობს შეაჩეროს.) ჩემგან რა უნდა აგეღო, რაც არაფერი გამაჩნდა!

აზდაკი: სრული სიმართლეა, თუ თქვენისთანა ჯიბეგაფხეკილების იმედზე დავდექი, შიმშილით ამომძვრება სული. სამართალს კი მოითხოვთ, მაგრამ მისთვის ფულის გაღება არ გინდათ, არა? როცა ყასაბთან მიდიხართ, მაშინ იცით, რომ ფული უნდა გადაიხადოთ, მაგრამ მოსამართლესთან კი თავი ქელეხზე გგონიათ.

სიმონი: (ხმამაღლა.) ნალბანდები ბედაურის დასაჭედად მოვიდნენ და ცხენის ბუსმა ფეხები გაუშვირაო, – ნათქვამია.

აზდაკი: (თავგამოდებით იღებს გამოწვევას.) ნეხვში ნაპოვნი მარგალიტი მირჩევნია მთის ნაკადულიდან ამოღებულ ქვასაო, – ნათქვამია.

სიმონი: მშვენიერი დარია, წამო, არ გინდა, ანკესით ვითევზაოთო, – უთხრა მეთევზემ ჭიაყელას.

აზდაკი: ჩემი თავის ბატონი მე ვარო, თქვა ყმამ და ფეხი მოიჭრაო.

სიმონი: მამობრივი სიყვარულით მიყვარხართო, უთხრა მეფემ გლეხებს და ბრძანა, უფლისწულისთვის თავი მოეკვეთათ.

აზდაკი: სულელს ყველაზე დიდი მტერი საკუთარი თავი ჰყავსო.

სიმონი: ჰო, მაგრამ მუცლითმეტყველებას ცხვირი როდი აქვს!

აზდაკი: ათი პიასტრით გაჯარიმებ სასამართლოს წინაშე უწმაწური სიტყვების წარმოთქმისათვის. ამიერიდან გეცოდინებათ, რა არის სამართალი.

გრუშე: ჰო, ძაან სამართალი კი გაქვს აი, პირში ბურთსა გეჩრი, რახან ისე მოხდენილად არ ვიცით ლაპარაკი, როგორც მაგისმა ვექილებმა.

აზდაკი: სწორედ რომ ასეა, თქვენ მეტისმეტი შტერები ხართ და ახია თქვენზე, როცა კისერში გითაქებენ ხოლმე.

გრუშე: ჰო. შენ, რასაკვირველია, გინდა ბავშვი იმას მიაკუთვნო, ვინც იმდენად მაღალი წრის წარმომადგენელია, რომ არც კი იცის, ბავშვს საფენები როგორ უნდა გამოუცვალოს. რახან ასეა, მაშინ იცოდე, რომ სამართლისა შენც ისევე არაფერი გაგეგება, როგორც მე.

აზდაკი: ამაში არის სიმართლის ნატამალი,. მე ერთი უბრალო კაცი ვარ. მოსამართლის მოსასხამქვეშ დაგლეჯილი შარვალი მაცვია. აი, შენ თვითონ ნახე, ყველაფერი ჭამასა და სასმელზე მეხარჯება. მე მონასტრის სკოლაში აღვიზარდე, ისე, კაცმა რომ თქვას, შენც უნდა დაგაჯარიმო ათი პიასტრით სასამართლოს შეურაცხყოფისათვის. დიდი სულელი ვინმე კი ხარ, რომ შენს წინააღმდეგ მამხედრებ, ნაცვლად იმისა, რომ თვალები დამიპრაწო, უკანალი შეათამაშო და ამით შენდამი კეთილად განმაწყო. ოცი პიასტრი.

გრუშე: თუ გინდა, ოცდაათიც გახადე, მაინც გეტყვი, რასაც შენს სამართალზე ვფიქრობ, შე ღვინის რუმბო, შენა! როგორ შეგიძლია, ასე დაიმცირო თავი და ამნაირი რამეები მელაპარაკო? როცა დედაშენი გშობდა, განა იფიქრებდა მაშინ, რომ ერთ დროს თითებზე სცემდი, თუ ერთ პეშვ ფეტვს მოახელებდა სადმე? ნუთუ არა გრცხვენია? ხომ ხედავ, როგორ ეკანკალებ შენ წინაშე? მაგრამ შენ მაგათ ემსახურები. ზრუნავ, რომ მაგათ სახლები არ წაართვას ვინმემ, სახლები, რომლებიც თვითონ მაგათ აქვთ მოპარული. აბა, როდის აქვთ ეკუთვნით სახლები ბაღლინჯოებს? შენ სადარაჯოზე დგახარ, თორემ სხვაფრივ ეგენი ვერ შეძლებდნენ ჩვენი კაცების ომში წაყვანას, შე გამყიდველო, შენა!

აზდაკი წამოდგება. სახე უბწყინავს. სიწყნარის დასამყარებლად მოსამართლის ჩაქუჩს აკაკუნებს მაგიდაზე, მაგრამ არცთუ თავგადმოდებით და ვინაიდან გრუშე მაინც განაგრძობს მის ლანძღვას, ჩაქუჩის კაკუნს მისი სიტყვების რიტმს ააყოლებს.

გრუშე: რა პატივისცემა უნდა მქონდეს შენი? უფრო მეტი არა, ვიდრე რომელიმე ქურდის ან დანამომარჯვებული ყაჩაღისა. ისინიც ხომ იმას სჩადიან, რაც სურთ. შენ შეგიძლია ბავშვი წამართვა. ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ეს ასეც იქნება, მაგრამ ერთი რამე იცოდე: შენს ადგილზე უნდა მხოლოდ ბავშვების გამხრწნელნი და მევახშენი აირჩიონ ხოლმე, თუ სურთ ისინი დასაჯონ, ვინაიდან ხალხის ჯალათად ყოფნა, ჩამოხრჩობაზე უარესია.

აზდაკი: (ჯდება.) ახლა უკვე ოცდაათი პიასტრის გადახდა მოგიწევს. და მეტს აღარ დავიწყებ შენთან ძიძგილაობას, დუქანში ხომ არა

ვართ. არ მსურს, სიმართლის ღირსება შევბღალო და თანაც შენი საქმე უკვე აღარ მაინტერესებს. სად არიან ის ორნი, გაყრა რომ უნდოდათ. (შალვას.) წადი.

ეს საქმე კი მეოთხედი საათით გადადებულია.

პირველი ვექილი: (ამასობაში შალვა გადის.) ამის შემდეგ კრინტი აღარ დაძრათ, საქმე ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება, მოწყალეო ქალბატონო.

მზარეული ქალი: (გრუშეს.) შენ თვითონ გაიფუჭე შენი საქმე. ახლა მათ მიაკუთვნებს ბავშეს.

გუბერნატორის მეუღლე: (ერთ-ერთ ვექილს.) ჩემი სურნელოვანი წყლის შუშა მომაწოდე.

შემოდის ღრმად მოხუცებული ცოლ-ქმარი.

აზდაკი: მე ვიღებ. (მოხუცებულებს ვერ გაუგიათ, რას ეუბნებათ მოსამართლე.) მე გადმომცეს, რომ გაყრა გსურთ. რამდენი ხანია, რაც ერთად ცხოვრობთ?

დედაბერი: ორმოცი წელია, თქვენო მოწყალებავ.

აზდაკი: მერედა, რატომ გინდათ გაიყაროთ?

ბერიკაცი: ერთმანეთი არ მოგეწონს, თქვენო მოწყალებავ.

აზდაკი: როდის აქეთ არ მოგწონთ?

დედაბერი: იმთავითვე არ მოგეწონდა, თქვენო მოწყალებავ.

აზდაკი: კარგი, ვიფიქრებ თქვენს სურვილზე და განაჩენსაც გამოვიტან, მაგრამ ჯერ სხვა საქმე უნდა მოვათავო.

შალვას ცოლ-ქმარი სცენის სიღრმეში მიჰყავს.

ბავშვი მჭირდება. (ხელს დაუქნევს გრუშეს და დაიხრება მისკენ. კეთილად არის განწყობილი.) დავინახე, რომ გული შეგტკივა სამართლიანობაზე, მაგრამ არა მჯერა, რომ ბავშვი შენი იყოს, და თუნდაც, ვთქვათ, შენიაო, ქალო, განა ამ შემთხვევაშიც არ ისურვებდი, რომ მდიდარი ყოფილიყო? შენ უნდა გეთქვა, ჩემი არ არისო და მყისვე გახდებოდა სასახლის მფლობელი. ეყოლებოდა მრავალი ცხენი, ბაგაზე მიბმული, მრავალი მათხოვარი, კარზე მიმდგარი, უამრავი ჯარისკაცი, დაქირავებული და მთხოვნელები, ეზოში დაყუდებულნი. ასე არ არის განა? აბა, რას იტყვი? არ გინდა, შვილი არ გყავდეს?

გრუშე დუმს.

მგოსანი: ყური დაუგდეთ, რას ფიქრობდა გულჯავრიანი გრუშე ამ დროს. (მღერის).

ოქროს წუღებს ჩაიცვამდა
და არ იშიშილებდა.
ბოროტებას ჩაიდენდა,
ურცხვად შემომცინებდა.
რად მინდა, რომ დღენიადაგ
საწყალ ხალხსა ზარაჟდეს,
ძლიერი და არამზადა
იყოს კუბოს კარამდე.
დაე, შიმშილს გაურბოდეს,
დამშეულებს კი არა;
წყედიადისა ეშინოდეს,
სინათლისა კი არა.

აზდაკი: ეგონებ, მესმის შენი, ქალო.

გრუშე: ბავშვს ეერავის დაეანებებ. მე გავსარდე და ჩემთან არის შეჩვეული.

შალვას შემოჰყავს ბავშვი.

გუბერნატორის მეუღლე: დაძონძილს ატარებს.

გრუშე: ტყუილია, არ დამაცადეს, რომ კარგი ხალათი ჩამეცმია.

გუბერნატორის მეუღლე: საღორეში აცხოვრებდა.

გრუშე: (გამწარებული.) მე ღორი არა ვარ, მაგრამ ერთი სულიერი კი შეიძლება მართლაც იყოს. სად დატოვე შენი ბავშვი?

გუბერნატორის მეუღლე: მე შენ გიჩვენებ სეირს, შე გომბიოვ, შენა! (უნდა ეცეს გრუშეს, მაგრამ ვექილები იჭერენ.) კვ არამზადა დაუყოვნებლივ უნდა გაწკეპლოთ. ახლავე უნდა გაწკეპლოთ!

მეორე ვექილი: (პირზე ხელს აფარებს გუბერნატორის მეუღლეს.) მოწყალეო ქალბატონო, ხომ დაგვპირდით... თქვენო მოწყალებავ, მოსარჩლის ნერვები.

აზდაკი: მოსარჩლევ და მოპასუხევ! სასამართლომ მოისმინა თქვენი საქმე და ვერ დაადგინა, რომელი თქვენგანია ამ ბავშვის ნამდვილი დედა. მე, როგორც მოსამართლე, ვალდებული ვარ, ბავშვს დედა ამოვურჩიო. მე გამოცდა მინდა მოგიწყოთ. შალვა, აიღე ცარცის ნატეხი და იატაკზე წრე შემოხაზე.

შალვა იატაკზე წრეს შემოხაზავს.

შიგ ბავშვი დააყენე!

შალვა წრეში აყენებს მიხეილს, რომელიც გრუშეს ულიმის.

მოსარჩლევ და მოპასუხევ, აქეთ-იქით დადექით წრეხაზის პირას!

გუბერნატორის მეუღლე და გრუშე მიდიან წრეხაზთან.

მოჰკიდეთ ხელი ბავშვს, ცალ ხელში ერთმა, მეორეში მეორემ. ნამდვილ დედას ეყოფა ძალა, ბავშვი თავისკენ გალაითრიოს.



სპექტაკლის ფინალური სცენა – აზდაკის სასამართლო

მეორე ვექილი: (სწრაფად.) ღრმად პატივცემულო მოსამართლევ, პროტესტს ვაცხადებ, რომ ბედი აბაშვილის ერცული მამულისა, რომელიც ამ ბავშვს ერგება, როგორც მემკვიდრეს, ასეთი საეჭვო ორთაბრძოლაზე გავხადოთ დამოკიდებული, თანაც ჩემი კლიენტი ძალის მხრივ ჩამორჩება მაგ ქალს, რომელიც ფიზიკურ შრომას არის მიჩვეული.

აზდაკი: თქვენი კლიენტი საკმაოდ ჩატუქნულია. გასწიეთ!

გუბერნატორის მეუღლე თავისკენ გადაითრევს ბავშვს წრიდან. გრუშე კი ხელს გაუშვებს და შეცბუნებული დგას.

პირველი ვექილი: (ულოცავს გუბერნატორის მეუღლეს.) რას ვამბობდი! აი, რას ნიშნავს სისხლით ნათესაობა!

აზდაკი: (გრუშეს.) რა გემართება? რატომ არ ეწეოდი?

გრუშე: ხელი ვერ მოვაველე მაგრად. (მიირბენს აზდაკთან) თქვენო მოწყალებავ, უკან მიმაქვს ყველაფერი, რაც კი თქვენს წინააღმდეგ ვთქვი, გთხოვთ, მომიტევოთ. არ შეიძლება, რომ იქამდე მაინც ჩემთან დარჩეს ბავშვი, ვიდრე ყველა სიტყვას ისწავლიდეს? ჯერ ერთობ ცოტა იცის.

აზდაკი: ნუ ცდილობ, ზეგავლენა მოახდინო სასამართლოზე! სანაძლეოს ვდებ, რომ შენ თვითონაც ოცოდე სიტყვა თუ იცი. კარგი, თანახმა ვარ, ცდა განმეორდეს, რათა საბოლოოდ გადავწყვიტო. აბა, გასწიეთ! ქალები ერთხელ კიდევ დგებიან წრესთან. გრუშე კვლავ ხელს უშვებს ბავშვს.

გრუშე: (სასოწარკვეთილი.) ჩემი გაზრდილია, შუაზე ხომ არ გავგლეჯ?! არ შემიძლია!

აზდაკი: (წამოდგება). ასე და ამგვარად სასამართლომ დაადგინა, ვინც არის ნამდვილი დედა. (გრუშეს.) მოკიდე ხელი შენს ბავშვსა და წაიყვანე. გირჩევ, ქალაქში ნუ დარჩები. (გუბერნატორის მეუღლეს.) შენ კი ახლავე გაქრი აქედან, ვიდრე ტყუილისთვის რამეს მოგისჯიდე. აბაშვილის მამული კი ქალაქს გადაეცეს, რათა ბავშვებისათვის ბაღი მოაწყონ, ბავშვებს სჭირდებათ ბაღი. და მე ვბრძანებ, რომ ჩემს პატივსცემად მას „აზდაკის ბაღი" ეწოდოს.

გუბერნატორის მეუღლეს ლამის გული წაუვიდეს. ადიუტანტს გაჰყავს. ვექილები მათზე ადრე წავიდნენ. გრუშე გაშეშებული დგას. შალვა მას ბავშვს მიჰგვრის.

გადავწყვიტე, სამუდამოდ გავიძრო მოსამართლის მოსასხამი, ის მეტისმეტად მაცხუნებს. გმირად არ მომაქვს თავი, მაგრამ აგერ, იქ, მდელოზე გეპატიჟებით, ცეკვა-თამაში გაეთაჩაღოთ. ჰო, მართლა, შეჭიკჭიკებულ გუნებაზე კინაღამ დამავიწყდა. მე ხომ ჯერ გაყრის ქაღალდი უნდა დავწერო. (მოსამართლის სკამს მაგიდად იყენებს და რაღაცას წერს ქაღალდის ნაგლეჯზე. შემდეგ წასვლას აპირებს.)

იწყება საცეკვაო მუსიკა.

შალვა: (წაიკითხა მისი დაწერილი.) კი, მაგრამ აქ სწორად არ წერია, თქვენ ის მოხუცები კი არ გაგიყრიათ, არამედ გრუშე და მისი ქმარი.

აზდაკი: რაო, რა თქვი? სხვები გაეყარე? ძალიან ეწუხვარ, მაგრამ ახლა ეელარაფერს შეეცველი. გადაწყვეტილების გაუქმება არ შეიძლება, ამით წესრიგი დაირღვევა. ჩემს დღესასწაულზე გეპატიჟებით, ცეკვა-თამაშისათვის, მგონი, კიდევ ივარგებთ. (გრუშესა და სიმონს.) თქვენგან კი სულ ორმოცი პიასტრი მერგება.

სიმონი: (იღებს საფულეს.) ძალიან იაფია, თქვენო მოწყალებავ, დიდად გმადლობთ.

აზდაკი: (ინახავს ფულს.) ეს ფული გამომადგება.

გრუშე: მაშინ ის სჯობია, რომ ამაღამვე წავიდეთ ქალაქიდან. არა, მიხეილ? (ბავშვის მხარზე შესმას აპირებს. სიმონს.) მოგწონს ეს ბიჭი?

სიმონი: (მხარზე შეისვამს ბავშვს.) უმორჩილესად მოგახსენებ, რომ მომწონს.

გრუშე: ჰოდა, ახლა გეტყვი. იმიტომ ავიყვანე ის ბიჭი, რომ იმ აღდგომა დღეს ჩვენ დავინიშნეთ და, მაშასადამე, იგი სიყვარულის პირმშოა. მიხეილ, მოდი ვიცეკვოთ. (გრუშე ცეკვავს მიხეილთან.)

სიმონი მზარეულ ქალს გაიწვევს და მასთან ცეკვავს. მოხუცი ცოლქმარიც იწყებს ცეკვას. აზდაკი კი ერთ ადგილზე დგას ფიქრში ჩაძირული. მალე მოცეკვავენი ჩამოეფარებიან. მხოლოდ ხანდახან გამოჩნდება ხოლმე მოცეკვავეთა შორის, მაგრამ სულ უფრო და უფრო იშვიათად, რადგან სცენაზე ახალ-ახალი წყვილები შემოდიან და ცეკვავენ.

მგოსანი.

გაუჩინარდა ამ საღამოს შემდეგ აზდაკი, მეტი არავის აღარ უნახავს,
მაგრამ ქართველ ხალხს დაეწყებისთვის არ მიუცია მისი სახელი
და კიდევ დიდხანს იგონებდა იმ ოქროს ხანას,
როდესაც ჩვენში მოსამართლედ იყო აზდაკი,
ხანას ხანმოკლეს, სამართლიანს ასე თუ ისე.
მოცეკვავენი ცეკვით გადიან. აზდაკი აღარ არის სცენაზე.
თქვენ კი, მსმენელნო ამა ცარცის წრის ამბავისა,
მუდამ გახსოვდეთ ეს ძველი მცნება,
რომ ყოველიევე ეკუთვნოდეს უნდა ღირსეულს, ვინც იმსახურებს
ამას თავის კეთილი საქმით.
ჩვილი ბავშვები დედობრივ კალთას, რათა იზარდონ და იდღეგრძელონ,
ხოლო ურემი ყოჩაღ მეურმეს, რათა მგზავრობა არ ფერხდებოდეს,
და ველიც იმას, ვინაც მას მორწყავს, რათა კეთილი ნაყოფი მოგვცეს.

მუსიკა

„კაეკასიურ ცარცის წრეში“ აღწერილი აზდაკის სასამართლო გადაწყვეტილების ქარგად ბერტოლტ ბრეხტმა ბიბლიური მეფე სოლომონის (ქრისტეს შობამდე 1033-928 წ.წ.) ბრძნული განაჩენის პერიფრაზი შექმნა. მეფე სოლომონთან მივიდა ორი ქალი და ასეთი საჩივრის განხილვა ითხოვა: „თქვა ერთმა ქალმა: მომიტევე, ბატონო! მე და ეს ქალი ერთ სახლში ვცხოვრობთ. ამ სახლში ვიმშობიარე მის თვალწინ. ჩემი მშობიარობის მესამე დღეს შვა ამ ქალმაც; ერთად ვიყავით, უცხო არავინ ყოფილა ჩვენთან სახლში. მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით სახლში. მოკვდა ღამით ამ ქალის ბავშვი, რადგან ზედ დასწოლოდა. ადგა შუაღამისას, აიყვანა ჩემი ბავშვი ჩემი გვერდიდან, ეძინა შენს მორჩილს, და თავის უბეში ჩაიწვინა, ხოლო თავისი მკვდარი ბავშვი მე ჩამიწვინა უბეში. ავდექი დილით, რომ ძუძუ მეწოვებინა ბავშვისთვის და, აჰა, მკვდარი დამხვდა. კარგად დავაკვირდი დილით და მივხვდი, რომ ის ბავშვი არ იყო ჩემი შვილი, რომელიც მე ვშობე. თქვა მეორე ქალმა: არა! ცოცხალია ჩემი შვილი, შენი შვილია მკვდარი! ეს კი ამბობდა: არა! შენი შვილია მკვდარი, ჩემი შვილი ცოცხალია! ასე ლაპარაკობდნენ მეფის წინაშე. თქვა მეფემ: ეს ამბობს, ჩემი შვილიაო ცოცხალი, შენი შვილი მკვდარიო. მეორე ამბობს: არა, შენი შვილია მკვდარი, ჩემი შვილიაო ცოცხალი. თქვა მეფემ: მახვილი მომიტანეთ! მიართვეს მახვილი მეფეს. თქვა მეფემ: ორად გაჭერით ცოცხალი ბავშვი, ერთი ნახევარი ერთ ქალს მიეცით, მეორე ნახევარი — მეორე ქალს. უთხრა ქალმა, ცოცხალი ბავშვის დედამ, მეფეს, რადგან გულ-ღვიძლი დაეწვა თავისი შვილის გამო: ოჰ, ჩემო ბატონო! ოღონდ ნუ მოკლავთ და მიეცით მაგას ცოცხალი ბავშვი! მეორე ამბობდა: ნურც მე მერგება, ნურც შენ, გაჭერით! მიუგო მეფემ და თქვა: ამას მიეცით ცოცხალი ბავშვი, ნუ მოკლავთ, ეს არის მისი დედა“ (მესამე მეფეთა, 3,17–27).

ფიქრი და დისკუსია

გააანალიზეთ

განაზოგადეთ

1. რას გვაუწყებს წინასწარ პიესის ავტორი მგოსნის მიერ წარმოთქმულ სტროფში?

2. რით აიმედებს მსარეული ქალი გრუშე ვაჩნაძეს და რატომ უკვირს მისი სიყვარული და ერთგულება ყრმა მიხეილ აბაშვილისადმი?

3. რა მიზნით მივიდა სასამართლოში გრუშე ვაჩნაძის საქმრო სიმონ ჩაჩავა?

4. რამ იხსნა მოსამართლე აზდაკი ჩამოხრჩობისაგან? რა იყო ამის მიზეზი?

5. რატომ მიაჩნია გრუშეს, რომ მიხეილ აბაშვილი მისი შვილია? რას ასწავლიდა ბავშვს?

6. რა იყო მიხეილის დედის, ნათელა აბაშვილის მთავარი მიზანი ბავშვის დაბრუნების მოთხოვნის მოტივით? რას ამჟღავნებს გუბერნატორის ქვრივის მეორე ეექილი და როგორ ცდილობს მისი ნათქვამის გამოსწორებას პირველი ეექილი?

7. რატომ აჯარიმებს აზდაკი სიმონ ჩაჩავას და გრუშე ვაჩნაძეს?

8. როგორ ახასიათებს სასამართლო'ში ეექილებთან ერთად ახლად გამოცხადებულ მიხეილ აბაშვილის დედას მისივე სიტყვები?

9. ამოიწერეთ, ერთი მხრივ, სიმონ ჩაჩავას და, მეორე მხრივ, მოსამართლე აზდაკის ნათქვამი ანდაზები და აფორიზმები, შეადარეთ ერთმანეთს და გადმოეცით თქვენი თვალსაზრისი, თუ რას გვასწავლიან ისინი, რა მიზნით არიან ჩართული პიესაში?

10. როგორ ახასიათებს გრუშე ვაჩნაძე აზდაკს?

11. მგოსნის მიერ წარმოთქმული ლექსის მიხედვით, რატომ არ სურს გრუშეს, უარი თქვას მიხეილ აბაშვილის დედობაზე?

12. წაიკითხეთ ნაწარმოების ფინალი. როგორ ფიქრობთ, რატომ გადაიკარგა აზდაკი განაჩენის გამოტანის შემდეგ იმაყე საღამოს?

13. აბჯროსან ჯარისკაცებს აზდაკი ასე მიმართავს: „თქვენა, ძაღლებო, ღმერთმა განგიკითხოთ, ძაღლებო! როგორ მიდის თქვენი საქმეები, ძაღლებო? რა ამბებია ძაღლთა სამყაროში, კარგადა ყარს? გამოჩნდა ისევე

ჩექმა, რომლის ალოკვაც შეგეძლებათ ხოლმე კლავინდებურად? ისევ კბენთ ერთმანეთს სამკედრო-სასიცოცხლოდ შებმულნი?..“ რატომ მიმართავს აზდაკი ასე დამამცირებლად აბჯროსნებს და რამდენად მისაღებია ამგვარი დამოკიდებულება სახელმწიფო მოსამსახურეთა მიმართ?

14. ამაროლებთ თუ არა ჭეშმარიტების დადგენის აზდაკისეულ ფორმას და საბოლოო გადაწყვეტილებას? თქვენ როგორ განსჯიდით ნათელა აბაშეილისა და გრუშე ვაჩნაძის საჩივარს?

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

კონფლიქტის გამორკვევა

როგორც ცნობილია, კონფლიქტი არის დაპირისპირება მთავარ გმირსა და სხვა პერსონაჟებს ან კონკრეტულ სიტუაციას შორის. კონფლიქტი შეიძლება არსებობდეს მთავარ გმირსა და მის საკუთარ ფიქრებსა და გრძნობებს შორისაც. რა არის მთავარი კონფლიქტი, რომელსაც ადგილი აქვს პიესის მეხუთე მოქმედებაში?

სხვა რა კონფლიქტებია მოცემული გრუშე ვაჩნაძისა და დანარჩენი პერსონაჟების ურთიერთობების ჩვენებისას? მოძებნეთ მაგალითები, რომლებიც დაასაბუთებენ თქვენს პასუხებს.

ხასიათის გააზრება

როდესაც პიესის მეხუთე მოქმედებაში გრუშე ვაჩნაძე გამოჩნდება, იგი ამბობს, რომ მისი ბიჭი „უკვე თვითონ იბანს პირს“, თავად კი „ბედის გაღიმება“ სჭირდება; გრუშე „კარგი ადამიანია“, თუმცა დიდი სადარდებელი აქვს. მოძებნეთ მაგალითები გრუშეს საქციელიდან და სიტყვებიდან, რომლებიც განამტკიცებენ ამ ციტატებს. ხასიათის კიდევ რა თვისებები წარმოაჩენენ გრუშეს პიროვნებას? როგორ ფიქრობთ, მისი ინდივიდუალური თვისებები ეხმარება პრობლემის მოგვარებაში, თუ – პირიქით, ხელს უშლის მის გადაჭრაში?

სასცენო მითითებების ანალიზი

პიესაში აეტორი მრავალ მითითებას სთავაზობს მსახიობებს, რათა დაეხმაროს მათ სცენაზე როლების შესრულებაში. ასეთი სასცენო მითითებები ცალკეა გამოყოფილი, ან ფრჩხილებშია ჩასმული. ხელახლა წაიკითხეთ ისინი, კერძოდ, ყურადღება მიაქციეთ აზდაკისა და გრუშეს დიალოგს სცენაზე. რატომაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სასცენო მითითებები ამ ეპიზოდში? რატომაა ისინი საყურადღებო ხსენებული პერსონაჟების ხასიათების გასააზრებლად?

წერითი უნარების განვითარება

შინაგანი მონოლოგი

მონოლოგი ერთი პერსონაჟის მიერ წარმოთქმული სიტყვაა, ხოლო შინაგანი მონოლოგი – მის მიერ ფიქრში გააზრებული სიტყვა.

ჩვენ ბევრ რამეს ვიგებთ გრუშე ვაჩნაძის შესახებ მისი ნაოქვამიდან, ქმედებებიდან და საკუთრივ პიესიდან. თუმცა ამდენი ინფორმაცია არ გვაქვს სხვა პერსონაჟთა შესახებ. წარმოიდგინეთ, რომ ხართ რომელიმე მათგანი, მაგალითად, აზდაკი, მიხეილ აბაშვილი, მისი დედა ნათელა, სიმონ ჩაჩავა, მზარეული ქალი ან შალვა. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელშიც წარმოაჩენთ თქვენს ფიქრებს გრუშე ვაჩნაძის სასამართლოს წინაშე წარდგომის დროს: შეგიძლიათ შეეხოთ წარსულს, საკუთარ გრძნობებს, რეალურ სიტუაციას ან თქვენს შეხედულებას განსახილველ საჩივარზე.

მკითხველის თეატრი


მოამზადეთ „კავკასიური ცარცის წრის“ მეხუთე მოქმედების მიხედვით მკითხველის თეატრალური სცენის პრეზენტაცია. სახეზეა 25-მდე პერსონაჟის როლი; ესენია: მგოსანი, გრუშე ვაჩნაძე, მსუქანი მზარეული ქალი, სიმონ ჩაჩავა, მიხეილ აბაშვილი, ოთხი აბჯროსანი ჯარისკაცი, გუბერნატორის ქვრივი ნათელა აბაშვილი, მისი ორი ვექილი, მოსამართლე აზდაკი, სასამართლოს პოლიციელი შალვა, სამი ბობოლა გლეხი, მხედარი, ღრმად მოხუცებული ცოლ-ქმარი, მოცეკვავენი. შეგიძლიათ შემოიფარგლოთ უფრო მცირე ზომის სცენით, კერძოდ, აზდაკის მიერ განაჩენის გამოტანის ეპიზოდით. დაიწყეთ იქიდან, თუ რას ამბობს მგოსანი დადუმებული და გულჯავრიანი გრუშე ვაჩნაძის ფიქრებზე.

შეარჩიეთ მუსიკა.

შემაჯამებელი გამეორება

წარმოსახვა და თხრობა

დრამის აქტიური მკითხველი პიესის გაცნობისას უკვე ხედავს სცენას მსახიობთა სიტყვებისა და თამაშის საშუალებით. როდესაც პიესას კითხულობთ, თქვენ ეცნობით ნაწერს, თეატრალური სცენის მონაკვეთები კი იმის ჩვენებას გულისხმობს, თუ სად და რაინარად უნდა მოიქცეს მსახიობი, რა და როგორ უნდა თქვას მან. ამ დროს გათვალისწინებულია ხმის ჟღერადობისა და განათების ეფექტებიც. ვიზუალური სახით, პირობითად, თეატრალური სცენა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ.



მოკლედ გადმოეცით ორიეე პიესის მოყვანილი ნაწყვეტები თხრობითი ფორმით და წარმოიდგინეთ პერსონაჟთა განლაგება სცენაზე.

პიესის გარემოს დეტალები

წარმოდგენილი ორი პიესის გარემო (დრო და ადგილი) მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მართალია, ორიეე მოქმედება საქართველოში ვითარდება, მაგრამ მოცემული დეტალები განსხვავებულ დროსა და ადგილზე მიუთითებენ. ჩამოწერეთ ორიეე პიესის გარემოს მსგავსება – განსხვავებანი.

პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს

რით ემსგავსებიან ერთიმეორეს ყვარყვარე თუთაბერი და აზდაკი? წარმოიდგინეთ, რომ ისინი სცენაზე შეხვდნენ ერთმანეთს. როგორ გადაწყვეტდა ყვარყვარე გრუშე ვაჩნაძისა და ნათელა აბაშვილის საჩივარს? როგორ მოეპყრობოდა აზდაკი კაკუტას, ქუჩარასა და ლირსას? თითოეულის გადაწყვეტილება წარმოადგინეთ მონოლოგის ან კონტაქტურ პერსონაჟებთან დიალოგის ფორმით.

დიალოგის წერა

სახელმძღვანელოში მოცემული რომანის ნაწყვეტიდან ან მოთხრობიდან შეარჩიეთ თქვენთვის საინტერესო რომელიმე ეპიზოდი და პერსონაჟებს შორის საუბარი პიესისთვის დამახასიათებელი დიალოგის ფორმით გადმოეცით. შეგიძლიათ ფრჩხილებში ჩაწეროთ, თუ როგორ მითითებებს მისცემდით მსახიობებს, დეკორატორებს, გამნათებლებს და ა. შ. ალტერნატიული სახით თავადვე შეარჩიეთ თქვენ მიერ წაკითხული ნებისმიერი თხრობითი ნაწარმოების რომელიმე ეპიზოდი.

თქვენ ხართ მწერალი

1. მონოლოგი საკმაოდ მოზრდილი სიტყვაა, რომელსაც პიესის პერსონაჟი რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ წარმოთქვამს. წარმოდგენილი ორი პიესიდან შეარჩიეთ ერთი ხასიათი, რომლის მონოლოგშიც, თქვენი აზრით, ყველაზე უკეთ ჩანს ეს. ამოიწერეთ მონოლოგი და განსაზღვრეთ, რის გასარკვევად მიმართავს პერსონაჟი აუდიტორიას.

წინასწარი მონახაზი. ჩაინიშნეთ შეძლებისდაგვარად ბევრი დეტალი თქვენს მიერ შერჩეული ხასიათის შესახებ.

წერა. დაწერეთ პირველი ესკიზი ხასიათის იმ მონოლოგისა, რომელიც სხვა პერსონაჟის შესახებ ყვება. დარწმუნდით, რომ მონოლოგის მთქმელი იყენებს დამაჯერებელ არგუმენტებს იმისათვის, რათა თაყისი თვალსაზრისი აუდიტორიამ გაიზიაროს.

შემოწმება. შეამოწმეთ მონოლოგი, რათა დარწმუნდეთ, რომ იგი ნათლად გადმოცემს მთხრობელის თვალთახედვას რომელიმე სხვა პერსონაჟის შესახებ.

2. „ქვარყვარე თუთაბერსა“ და „კაკასიური ცარცის წრესაც“ გამოგონილი სიუჟეტი აქვს. დაწერეთ მოკლე პიესა რომელიმე ისტორიული მოვლენის შესახებ.

წინასწარი მონახაზი. პირველ რიგში, შეარჩიეთ კონკრეტული ისტორიული ეპიზოდი. მაგალითად, შეგიძლიათ აიღოთ ცოტნე დადიანის ამბავი. ჩამოწერეთ იმ პერსონაჟთა სია, რომლებიც ეპიზოდში მიიღებენ მონაწილეობას. გამოიყენეთ ყველა ის ტექნიკური საშუალება, თქვენი მოკლე პიესის მთავარი იდეის ხაზგასმას რომ შეუწყობს ხელს.

წერა. დაწერეთ პიესის პირველი ვარიანტი. წარმოაჩინეთ პერსონაჟთა ხასიათები მათ შორის დიალოგების ფორმით.

შემოწმება. გადაკითხვისას დაუმატეთ ის დეტალები, რომლებიც პიესა'ში აღწერილ მოქმედებას დრამატიზმს შესძენს. წაიკითხეთ კორექტურა და მოამზადეთ საბოლოო მონახაზი.

თქვენ ხართ კრიტიკოსი

1. როგორც ვიცით, გარემო პიესის დრო და ადგილია. ესაა, აგრეთვე, პოლიტიკური სიტუაციის ამსახველი პერიოდიც. დრამაში გარემოს მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს. იგი ზემოქმედებას ახდენს პერსონაჟთა ბედზე და იმაზე, თუ რა შეიძლება მიიღონ და ისწავლონ მათ ცხოვრებისაგან. აირჩიეთ პიესიდან ერთი სახასიათო გმირი და დაწერეთ ესე, თუ რა ზემოქმედება იქონია გარემომ მის ცხოვრებაზე.

წინასწარი მონახაზი. აირჩიეთ პიესის ის მოქმედება, რომელშიც გარემო მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გაიაზრეთ იმ მოვლენათა განვითარება, რომლებიც ხასიათებზე ზემოქმედებენ.

წერა. ესე დაიწყეთ აბზაცით, რომელშიც თქვენი თეზისი იქნება ჩამოყალიბებული. შემდეგ იმსჯელეთ, მოქმედებს თუ არა პიესის სპეციფიკური გარემო ხასიათზე. ბოლო აბზაცში გადმოეცით დასკვნა, როგორ გარდაქმნის, ან რა ზემოქმედებას ახდენს გარემო პერსონაჟის ცხოვრებაზე.

შემოწმება. გადაიკითხეთ თქვენი ესე. რედაქტირება გაუკეთეთ მოვლენათა თანმიმდევრობას, სტილს, ტონს, ლექსიკას და ფოკუსირებას პერსონაჟებზე. დარწმუნდით, რომ თქვენი თვალსაზრისი ნათლად და ლოგიკურადაა გადმოცემული.

2. გადაწყვეტილების მიღება პიესის ერთ-ერთი მთავარი თემაა. დაწერეთ ესე, რომელშიც განმარტავთ, თუ როგორ იღებს გადაწყვეტილებას რომელიმე პერსონაჟი და რა არის ამის შედეგი.

წინასწარი მონახაზი. უპირველეს ყოლისა, შეარჩიეთ სცენა, რომელშიც პერსონაჟი იღებს გადაწყვეტილებას. ჩაინიშნეთ, თუ რა შინაარსის გადაწყვეტილებაა ეს.

წერა. დაწერეთ პირველი ესკიზი თქვენი ესესი, რომელშიც წარმოაჩენთ, თუ როგორ ვითარდება პიესის თემა ამ გადაწყვეტილების მიღებისას. განამტკიცეთ თქვენი თვალსაზრისი პიესიდან მოყვანილი დეტალებით.

შემოწმება. ესეს გადაკითხვისას დარწმუნდით, რომ თქვენი თეზისი შესატყვისი ციტატებითაა გამყარებული.

არამხატვრული ლიტერატურა







არამხატერული ლიტერატურა თემატურად მხოლოდ ფაქტობრივ მონაცემებს უნდა ემყარებოდეს – სინამდვილეში მომხდარ ინციდენტებს, რეალურ ადგილებსა და ადამიანებს. არამხატერული ლიტერატურის ავტორებს აინტერესებთ არა გამოგონილი, მხატვრული სამყაროს შექმნა, არამედ მისი შეფასება, ნამდვილი, რეალური გარემოს აღწერა. ამიტომ მწერლობის ამ უანრში შედის ბიოგრაფია, ავტობიოგრაფია და ესე.

ავტობიოგრაფიებსა და ბიოგრაფიებში შექმნილია ინდივიდთა სიტყვიერი და არამხატერული პორტრეტები. ამგვარი თხზულებების პერსონაჟები, როგორც წესი, პოპულარულები არიან: საზოგადოებისათვის ან მათი ცხოვრებაა საინტერესო, ან ის ეპოქა, რომელშიც ისინი მოღვაწეობდნენ. ავტობიოგრაფიაში აღწერილია ავტორის საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება, შემთხვევები, შთაბეჭდილებები. მწერლობის ეს ქვეჟანრი გადმოცემს სუბიექტის ემოციებსა და ხასიათს. რადგანაც ავტობიოგრაფია ინდივიდუალურადაა დაწერილი, ამდენად, ის სუბიექტური ნაშრომია. ბიოგრაფიაც ინდივიდის ხასიათს წარმოაჩენს, მაგრამ ის სხვა პიროვნების მიერაა აღწერილი. ზოგიერთი ბიოგრაფი ფაქტების წარმოდგენას ობიექტური რეალობის ჩვენებით ცდილობს და მკითხველს სუბიექტის ხასიათისა და ცხოვრების ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს, მაგრამ ავტორთა უმეტესობა მკითხველს საკუთარ თვალსაზრისს, ხედვას სთავაზობს. არამხატერული ლიტერატურის ეს ორი ქვეჟანრი რეალური ყოფისა და გარემოს ისტორიული და ინფორმაციული შეფასების ფორმად შეიძლება განვიხილოთ.

რაც შეეხება ესეს: ტერმინი წარმოიშვა ფრანგული სიტყვიდან „ესაი“, რაც „მოსინჯვებს“, „ცდებს“ ნიშნავს. ესაა ერთ-ერთი მოკნილი ლიტერატურული ფორმა. იგი მკითხველს გარკვეული თემის შესახებ ლიტერატურულ-ესთეტიკურ ხედვას სთავაზობს. ესე შეიძლება იყოს თავშესაქცევი, დამარწმუნებელი, განმარტებით-ანალიტიკური ან დამრიგებლური ხასიათისა, და, ასევე, მსჯელობის ოთხი მთავარი ფორმის გათვალისწინებით დაიწეროს: ახსნა-განმარტებით, აღწერით, თხრობითად ან დამარწმუნებელი მსჯელობით. თემა შეიძლება სერიოზული ან იუმორისტული იყოს

მართალია, არამხატვრული ლიტერატურა ფაქტებს ემყარება, მას ე. წ. გამოგონილ ლიტერატურასთან მაინც მრავალი საერთო ელემენტი აკავშირებს. კერძოდ: ხასიათი შეიძლება განვითარდეს, გარემო ჩამოყალიბდეს, შეიქმნას განწყობილება და თემა ან მიზანი განისაზღვროს. მასში, მსგავსად გამოგონილი ლიტერატურისა, წარმოდგენილია ხოლმე მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენები, მათი შეფასება, აგრეთვე, ავტორისეული გამოცდილება და რაიმე საკითხზე დაკვირვებით გაკეთებული ანალიზი.

არამხატვრული ლიტერატურის, კერძოდ, ესეების კითხვისას მთავარია დავუკვირდეთ, თუ როგორ ახერხებს ავტორი გამონაგონის ან წარმოსახვისა და ფაქტობრივი მონაცემების სინთეზირებას.

დავალება: განსაზღვრეთ, როგორი ხასიათის ესეებია წარმოდგენილი სახელმძღვანელოში.

ბიოგრაფია

კონსტანტინე გამსახურდია



(1891-1975 წ.წ.)



კონსტანტინე გამსახურდია დაიბადა სოფელ აბა'შაში. გამსახურდიები აზნაურები იყვნენ. მე-19 საუკუნის ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, მათი ფუძე ქართლში ყოფილა (გამსახურდი'შვილები) და ქართლიდან გადასულან სამეგრელოში. მ'შობლებს, სეიმონსა და ელისაბედს, ცხრა შვილი ჰყოლიათ. პირველდაწყებითი განათლება კონსტანტინემ სოფლის სამრევლო სკოლა'ში მიიღო. „მთელი ჩემი სიყრმის მანძილზე ეოცნებობდი, დიდი გენერალი გავმხდარიყავი, დიდი ლა'შქარი 'შემედგინა და საქართველოს მტრები შემემუსრა“, – იგონებდა მწერალი.

სამწუხაროდ, გამსახურდიების ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს – სულ მოკლე ხანში ერთიმეორის მიყოლებით კონსტანტინეს ორი ძმა გარდაიცვალა. ამას ისიც დაემატა, რომ სხვა ორ ძმას ცხოვრების გზა აერია, სახელმწიფოს დაუპირისპირდა, რის გამოც მოხუცი სეიმონ გამსახურდია დაიჭირეს და ქუთაისის ციხე'ში გამოკეტეს, საიდანაც ჯანგატეხილი და ავადმყოფი დაუბრუნდა ოჯახს.

კონსტანტინე და მასზე 3 წლით უფროსი ვანო მამამ ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში მიაბარა, რომელიც ილია ჭავჭავაძის მიერ იყო დაარსებული. ძმებმა გარკვეულ მიზეზთა გამო იქ დიდხანს ვერ გაძლეს და მამამ ვანო ბაქოში გაგზავნა სასწავლებლად, ხოლო კონსტანტინე კი ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიაში მიაბარა. იმ დროისათვის საქართველოში ორი ყველაზე პრესტიჟული სასწავლებელი არსებობდა – თბილისის კლასიკური გიმნაზია და ქუთაისის სააზნაურო გიმნაზია. მაშინდელი ქართული ინტელიგენციის უდიდეს ნაწილს სწორედ ეს სასწავლებლები აქვს დამთავრებული. ფაქტობრივად, ქუთაისის გიმნაზიაში ჩაეყარა კონსტანტინეს

დიდ ერუდიციას საფუძველი, სრულყოფილად დაეუფლა რუსულ, ლათინურ და გერმანულ ენებს,გადაიკითხა მსოფლიო ლიტერატურის შედევრები.

ქუთაისში სწავლისას მომავალმა მწერალმა თანამოაზრეებთან ერთად დააარსა საიდუმლო პოლიტიკური ორგანიზაცია „ცხრა მ'უხა". თანამზრახველები თბილისშიაც ჰყოლიათ. ახალგაზრდებმა საფიჩხიის ეკლესიაში ღმერთს შეჰფიცეს, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებდნენ საქართველოს გასათავისუფლებლად. ამას მალე მოჰყვა კონსტანტინეს პირველი დაპატიმრება, რასაც ავტორი თავისი ცხოვრების უბედნიერეს ეპიზოდად აფასებს.

1911 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და იმპერიის დედაქალაქს მიაშურა. პეტერბურგში მას განსრახული ჰქონდა, საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერს, ნიკო მარს დამოწაფებოდა, მაგრამ ლექციაზე ნიკო მარისაგან სათაყვანებელი ილია ჭავჭავაძის აუგად ხსენება ვერ აიტანა და უნივერსიტეტიდან გამოსვლაც განიზრახა.

ფილოსოფიით გატაცებული ახალგაზრდა გამსახ'ურდია კენიგსბერგში ჩავიდა, რომელიც გერმანული ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი კერა იყო. აქედან ლაიფციგის უნივერსიტეტში გადაეიდა, სადაც სწავლობდა დიდი გერმანელი მწერლებისა და მოაზროვნეების შემოქმედებას. ლაიფციგელმა ქართველმა სტუდენტებმა კონსტანტინე თაყაიანთი სათვისტომოს თავმჯდომარედაც კი აირჩიეს. განსწავლის წლებში, 1911-1923 წწ.-ში, კონსტანტინემ არაერთხელ იმოგზაურა ინგლისში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, სკანდინავიაში, ესპანეთში, უნგრეთსა და ბალკა-



პარიზი, სორბონის უნივერსიტეტი

ნეთ'ში. ევროპული ენების ცოდნა მწერალს საშუალებას აძლევდა, შემოეღო ევროპა და გასცნობოდა დასავლურ ცივილიზაციას.

1914 წელს იგი მიუნხენის უნივერსიტეტში შევიდა, მაგრამ სწორედ ამ წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და კონსტანტინე მეორედ დააპატიმრეს. იგი გერმანელებმა საკონცენტრაციო ბანაკში გამოამწყვდიეს, როგორც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი. დიდი გერმანელი მწერლის, თომას მანის რეკომენდაციით გაათავისუფლეს და სტუდენტური უფლებები აღუდგინეს.

კონსტანტინე გამსახურდია ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით საქართველოს 1921 წელს დაუბრუნდა, სწორედ მა'შინ, როდესაც ყველაზე მეტად უჭირდა რუსთაგან იავარქმნილ ქვეყანას. დააარსა ჟურნალი „პრომეთე". მისწერა წერილი ულიანოვ-ლენინს, მამხილებელი და პირუთვნელი. 1922 წელს, ამჯერად რუსეთის ჩეკამ, მესამედ დააპატიმრა კონსტანტინე, თუმცა მწერლების თხოვნით გაათავისუფლეს.

1924 წელსაც აღმოჩნდა კონსტანტინე გამსახურდია ციხე'ში, თუმცა მა'შინაც ბედმა გაუღიმა. გამოუ'შვეს. ალექსანდრე აბა'შელთან, პაველ ინ-ცკროფეასთან, იოსებ გრი'შა'შვილთან ერთად დააარსა აკადემიური ასოციაცია, რომელიც ყველაზე რადიკალურად უპირისპირდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. 1921-1926 წლებში რედაქტორობდა ჟურნალებს: „ილიონს", „ლომისს", „ქართულ სიტყვას". კონსტანტინეს სამწერლობო და საზოგადოებრივ საქმიანობას მოჰყვა უკვე სამწლიანი პატიმრობა – ჯერ თბილისის ჩეკას ჯურღმულებში ჰყავდათ. შემდეგ მოსკოვის დილეგში და იქიდან ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანისკენ გაუყენეს საკონცენტრაციო ბანაკის გზას.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ 1929 წელს გამოვიდა მისი სქელტანიანი რომანი „დიონისოს ღიმილი". 1931 წელს გარიცხეს მწერალთა კავ'შირიდან, თუმცა ერთი წლის თავზე აღადგინეს იმ პირობით, რომ „მომავალში გააცხოველებდა მუშაობას მ'შრომელი მასისა და საბჭოთა კავ'შირის ნდობის დასამსახურებლად".

ამ მოვლენების შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა მწერალმა და არაერთხელ აღიმაღლა ხმა საბჭოთა იდეოლოგიის წინააღმეგ; არ უღალატია იმ ფიცისთვის, რომელიც ქუთაისში, საფიჩხიას ეკლესიაში დადო – საქართველო უნდა გავათავისუფლოო. ამ ფიცის აღსრულებას იგი ვერ მოესწრო. 1975 წელს გარდაიცვალა და, ანდერძისამებრ, დაკრძალეს საკუთარ ეზოში, კოლხური კოშკის ბაღში.

კონსტანტინე გამსახურდია
როგორ ვწერ?

ძნელია იმის აწერა, როგორ ვწერ. შემოქმედების ამბავი ჯერაც უაღრესის იდუმალებითაა მოცული, მეცნიერება დიდ მუშაობას ეწევა შემოქმედების პროცესის შესაცნობად. თეორიები მრავალია, მაგრამ რა?..

ამ ამბის განცხადება რომ შეიძლებოდეს, მაშინ ყოველი მკითხველი წერას ისწავლიდა (და შეუძლებელი საქმე შეიქმნებოდა ყოველიეე ხელოვნება.) არ მინდა, იმ ევროპელ მოგვებს დამადარონ, მწიგნობრობას კასტის საუფლოდ რომ აცხადებდნენ. მწიგნობრობა, ლიტერატურა სხვაა. პოეზია კიდევ სულ სხვა...

ვეცდები, ნაწილობრივად მაინც გიპასუხოთ. შემიძლია, შემოქმედებითი მუშაობის გარეგნულ ვითარებათა შესახებ მოგითხროთ ზოგი რამ (ვინ იცის, ეგებ ვინმეს გამოადგეს ჩემი დაკვირვებანი). თუ ის ბალღები, ახლა რომ ქართველი დედების კალთაში ან აკვნებში წვანან, ჩემზე უკეთ დაეუფლებიან ქართულ სიტყვას, ეს ფრიადაც გამახარებდა.

საერთოდ, ქვეშეცნეულად ვწერ. მეტწილად სათაურიდან გამოვდივარ: ვერ გეტყვით, თუ როგორ ხდება ეს, როგორ გამოუდგება ერთს ან ორ სიტყვას, სათაურში გახმაურებულს, ათასი და ათი ათასი (როგორც ახლად გაჩენილ დედას — ნაყარი ფუტკარი). სათაურის დაწერიდან უკანასკნელ წერტილის დასმამდის შემდეგი პროცესებიც უნდა ვიგულისხმოთ. სამჯერ, ოთხჯერ, ხან მეათეჯერაც გადაწერა, მერმე მანქანაზე გადაბეჭდვა, გადანაბეჭდის კორექტურა, შემდეგ ანაწყობის მრავალკეცი შესწორება და შემოწმება. ჩემი ნაწერების კორექტურა უდიდეს სიხარულს მგვრის. წერის და გადაწერის დროს დიდის სიყვარულით ვეთამაშები ქართულ ასოებს, გაოცებული შევსცქერი მათ. ანი ნამგლისათვის მიუმსგავსებია ქართველ ხალხს, ბანი ყელმოღერებულ ქართულ სურებს, დოქებს და ჭინჭილებს, განი ლაგვინებს [1] და ქვევრებს ჰგავს. კბილიანი ასოები ღ, ჟ, ლ, დ, რაღაც ქვეწარმავალებს მაგონებს, ზოგიც ხერხებს, სათლელ, სახლეჩ ან სატეხ ხელსაწყოებს. ძალიან მახარებენ ღერიანი ასოები, ისინი ხან ლელივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით წამოველენ. განების, ყარების, დონების, ენების, ვინების ფეხები ხრმლებს, წერაქცულებს და წათებს [2] მიაგვანან. ინები ცხენის ნალებს. ვინ იცის, ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი მესოპოტამიის ხრიოკებიდან ომითა და ზათქით წამოსულს.

ყოველი ქართული ასო რაღაც უცნაური სიმბოლიკის აღმძვრელია ჩემს წარმოდგენაში. და მე დიდის სიამოვნებით დაესწერდი ანბანთ ქებას.

---

[1] ლაგვინი — პირფართო დოქი

[2] წათი — საბრძოლო კეტი.

როცა წერით დავიღლები, თვალს შევაველებ ხოლმე ამ ასოებს, გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნეების სა'შო'ში უთარიღოდ წარმო'შობილ ფანტასტიურ იეროგლიფებს. თანაც მო'შაინესაეით[3] მიხარია, რომ ლინგვისტები და ფილოლოგები ვერაჟამს ჩასწვდებიან მათთვის ჩათქმულ საიდუმლოებას.

ვწუხვარ: მწერლობა პროფესიად რომ გადამექცა. ერთადერთ კარიერაზე ვოცნებობდი მთელი ჩემი სიჭაბუკის მანძილზე, ეს იყო სამხედრო. 1918-19 წლებ'ში უნივერსიტეტი მინდოდა დამეგდო და პრუსიის გენ'შტაბის აკადემია დამესრულებინა, მაგრამ, ეს მაგრამ ძალიან ძლიერი იყო...

მერმე ის იყო, ისევ მწერლობას დავუბრუნდი. „დიონისოს ღიმილის" ტიპები, სახეები და პასსაჟები მრავალი წლის განმავლობა'ში თან მიტარებია. ცალკეული ფრაგმენტები სხვადასხვა დროს დამიწერია, მაგრამ ჩემი აბობოქრებული ახალგაზრდული ცხოვრების კორიანტელ'ში დაეკარგე.

1924 წ. ძლიერად მომაწვა შემოქმედების დარდი. ერთი თავი ჟურნალ „კაეკასიონ'ში"[4] გამოვაქვეყნე. იმავე თვე'ში ჟურნალი შესწყდა. არც გამომცემელი მყავდა, არცა მქონდა ფული. საქართველოს პოლიგრაფტრესტი მენდო. მთელი რომანი 9 თვის განმავლობაში ვუკარნახე სტამბას. ხანდახან სადილის ფულიც არა მქონდა. ღამეებს ვათევდი, ზოგიერთი თავი მონოლიტურად ჩამოისხმებოდა ხოლმე, ამან გამათამამა...

იაკობ ნიკოლაძემ[5] მითხრა ერთხელ: ეჰ, რა გი'შავთ პოეტებს, არც ატელიე გჭირიათ, არც მოლბერტი, ფანქარი და ქაღალდი თუ გექნათ, ხეზედაც რომ ჩამოჯდეთ, კარგად დასწერთ.

საქმე არც ისე მარტივია. მე შუშის ნატეხით წანათალი ფანქრითაც მიწერია, მაგრამ კომფორტი აადვილებს შრომას.

წერის დროს უთუოდ კარგი თუთუნი უნდა მექნეს (განუზომელად ბევრსა ვწევ). კარგ სავარძელ'ში, ჩემს სავარძელ'ში უნდა ვიჯდე. ფანქრით მოკითხვის ბარათსაც ვერ დავწერ.

რამდენიმე ავტოკალამი მაქვს საუკეთესო ფირმისა. ესენია ჩემი მეწინავე ალამდარები[6]. ფოლადის კალმების მთელი ლაშქარი მაქვს სამარქაფოდ შემონახული. ისეთი მაგარი ხელი მაქვს, ფოლადის კალმები სულ იოლად „შემომაკვდებიან" ხოლმე. ზოგი უცებ დაკოჭლდება,

---

[3] მო'შაინე — ეერაგი, ეერაგ'ულად.

[4] ჟურნალი „კაეკასიონი" — ყოველთვიური ჟურნალი. გამოდიოდა 1924 წელს (სულ 4 ნომერი.)

[5] იაკობ ნიკოლაძე — 1843–1928 წწ. საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, კრიტიკოსი.

[6] ალამდარი — მედროშე

ზოგიერთი კარგად მომერგება ხელზე, ზოგიც რეგვენია, წრიპინა, ჩხიკინა, ჯიუტი და გაურანდავი. ზოგიც გამაგულისებს და მივლეწავ. სხვამ თუ ჩემი სამუშაო კალამი იხმარა, მე იმას ხელს არ ვახლებ.

ქაღალდიდან ამდგარი ბეწვი თუ მოადგა კალამს, მომკალით. ცუდი ქაღალდი ხელშესახებადაც მძაგს, ამიტომაც წიგნების და გაზეთების ხელით ტარება არ შემიძლია, გადანაწერს კონტროლს ვუკეთებ მრავალგზის, თუ ხელს ლაღად უნაყარდნია და ასოებიც ვაკუაცურად მოჯარულან, კარგია.

კიდევ ერთი დეტალიც: ნაწერი, გადანაწერი, გადანაბეჭდი სხვადასხვა რიგად მეჩვენება. ამიტომაც, როცა რომელიმე სტამბაში ჩემი წიგნი იწყობა, ან იბეჭდება, იქ ყოფნას არაფერი მირჩევნია.

პოლიგრაფიული წამლების სუნი განუზომლად მიყვარს. ასოთამწყობებში ძველი ძმაკაცები მყავს. რაც 16 წლის გავხდი, სულ სტამბებში დავდივარ. კორექტურაში ძლიერ ეჭირვეულობ. ახლები ხანდახან ამეშლებიან. ძველებმა იციან, „ცოდვილი კაცი" ვარ და მუდამ ამხანაგურის თავაზით მშველიან.

მუდამ დიდად ვაფასებდი ასოთამწყობისა და სტამბის სხვა მუშაკის ამაგს, ამიტომაც ეს მე შემოვიღე პირველად 1917 წ. (ჟურნ. „პრომეთეში")[1] სტამბის მუშების სახელისა და გვარის წიგნის გარეკანზე მოხსენიება. წიგნს რომ დაებეჭდავ, უთუოდ პური უნდა ვჭამო მათთან.

დედანს საშინელის სისწრაფით ვწერ. შავში სასვენ ნიშნებს უნდა გადავახტე... არც ერთ ჩემს ნოველას მეორე ვარიანტი არა ჰქონია. სწრაფად ვწერ, მაგრამ დიდხანს ვინახავ ხელნაწერს, გამოხდება ხანი, წავიკითხავ, გაკქლიბავ და ისევ შევინახავ.

უმეტესად ნაშუაღამევს ვწერ, ნაწერს დილაობით გადავიკითხავ ხოლმე. ხანდადან ფული მჭირია, მაგრამ ნაადრევად დაბეჭდეას თარგმნას ვარჩევ, თუმცა თარგმნამ თავი მომაბეზრა.

დიდი პოეტური შედევრების ფრაგმენტების თარგმნა დიაღაც სასარგებლოა, მაგრამ დიდი ქმნილების მთლიანად თარგმნა ერთგვარი თვითმკვლელობაა მწერლისათვის.

ენერგიის გარდა უამრავი ახალი სიტყვა იხარჯება, მაგრამ რას იზამ, წყალწყალა სალტურის ბეჭდვას შედევრების თარგმნა სჯობია.

ადრე დავრწმუნდი: ვერავითარი პირობები ვერ შეისყიდის იმ დროს, რომელიც დიდის გემოვნებით შესრულებულ ნაწარმოებს დასჭირდება.

ვინც სისტემატურად კითხულობს, იგი სულ მალე წერას იწყებს და მერმე არც მკითხველად ვარგა და არც მწერლად.

ხანდახან მაქვს, ხელი შემიჩერდება, წერაზე გული ამეყრება, წავალ, ცხენზე შეეჯდები,ვინადირებ,ან სპორტით გავერთობი. ხანაც ლამაზმანებს ავიყოლიებ და კონცერტს მოვისმენ სადმე.

---

[1] ჟურნალი „პრომეთე" — ყოველთვიური ჟურნალი. გამოდიოდა 1918 წელს.

მომიგროვდება ენერგია. შეწყვეტილ ხელნაწერს ისევ გადმოვიღებ, მივადგები კატასტროფის ადგილს და სამშვიდობოს გავალ. როცა შემოქმედებითი მუშაობით გართული ვარ, ქალთა სიახლოვეს გავურბივარ (გავეოცდი, როცა სვანმა მონადირეებმა მიამბეს ერთხელ: ჯიხვზე სანადიროდ წასვლის წინ მთელი კვირა ქალს არ მივეკარებითო). ამ დროს ეცდილობ, საზოგადოებაში ყოფნას და ღვინის სმას თავი ავარიდო.

ახალგაზრდებს ეურჩევ: კალამსა და ჭკუას ძალას ნუ დაატანენ მაინც და მაინც.

თამაშით სწერონ, თამაშითა და ბრძოლით. ეს ნათქვამი ირიბულად უნდა გაიგონ. ამ ქვეყნად არავის ისე არ ესაჭიროება სრულყოფისათვის ბრძოლა და შრომა, როგორც მწერალს.

ამიტომაც ადრე იღუპებიან სიტყვის დიდოსტატები. კამეჩის ენერგია სჭირია მწერალს. ამ სათუთ კალმიდან ქაღალდზე მოხდენილი წნეების გაზომვა რომ მოხერხდეს, ალბათ, რამდენიმე ათასი ცხენის ძალა გამოვა. ლევ ტოლსტოი[8] და ფლობერი[9] ვაჟა და ჰიუგო[10], რუსთაველი და გოეტე[11], ალბათ, სატანური ნებისკაცები უნდა ყოფილიყვნენ.

ჩვენს საუკუნეში ისეთი ბლიერი დოღია გამართული, თუ მთელი შენი ენერგია და მოცალეობა არ შეალიე მწერლობას, არარა შეგრჩება ხელში. ის ქმნილება, რომელიც შენს სისხლსა და ხორცს ვერ შეისხამს, უთუოდ ვერ წამოდგება ქაღალდიდან.

პირად მაგალითებს უნდა დავუბრუნდე.

1914—23 წლებში საგანგებოდ მიმგზავრია საფრანგეთსა, იტალიასა და გერმანიაში, რადგანაც ისეთი რომანი მინდოდა დამეწერა, რომლის არენად, საქართველოს გარდა, ეს სამი დიდი კულტურის ქვეყანა უნდა ყოფილიყო.

არა მწამს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ფანტაზიისაგან გამოკეთებილი ხელოვნება. ან ისეთი, მარტოოდენ იმაჟინირებულ ტიპაჟს და სახეებს რომ ემყარება. მუდამ სინამდვილისაგან ამიღია ჩემი შემოქმედების პოეტური ანდაზა, არც ერთი ლანდშაფტი, არც ერთი ტიპი, არც ერთი სახე მხოლოდ ფანტაზიით არ მომიგონია. პოეტური გამოგონება ყოველთვის უსისხლო და უსხეულო გამოვა, თუ მას მიწიერების ნელსურნელება არ გადაჰკრავს (მხოლოდ ესა: ქეისკნელში ჯერაც არ ვყოფილვარ, მაგრამ საავარსამიძის[12] ჯოჯოხეთად ჩასელა მაინც აღვწერე).

ახლა ტიპაჟის შესახებაც მოგახსენებთ. ჯენეტ ხანუმისა და საავარსამიძის პროტოტიპები ევროპაში შემხვედრია 1914—16 წ., ასევე ბრაჰ-

---

[8] ლევ ტოლსტოი — 1828—1910 წწ. რუსი მწერალი.

[9] გუსტავ ფლობერი — 1821—1830 წწ. ფრანგი მწერალი.

[10] ვიქტორ ჰიუგო — 1802—1885 წწ. ფრანგი მწერალი.

[11] გოეტე — იოჰან ვოლფგანგ გოეთე. გერმანელი მწერალი. 1749—1832 წწ.

[12] საავარსამიძე — კ. გამსახურდიას რომანის „დიონისოს ღიმილის" მთავარი გმირი.

მინის, აბსენტუნგისა, თადა ლანდიასი, დოქტორ ფატენპურის, ნოიჰაუზის, ხალიღ ბეის, ფარვიზის, საქართველოში კი ტაია შელიას, ქოსა გახუს, ექიმ შარუხიას და ლილის, ტაგუ სამუგიასი[13] და სხვათა (რა თქმა უნდა, სახელსა და გვარს ეცვლიდი მუდამ).

„დიონისოში" ძველი რომაული სახლის აღწერა დამჭირდა, სპეციალურად შემისწავლია რომაული სახლების გეგმები, მუზეუმებსა და ფილოლოგიურ ნაშრომებში. რომაული ლარესის კულტს[14] ძველი რომიდან ინდოეთამდის მიესდიე. ტაია შელიას გველების ამბავი ზოგი ჩემს ბაეშვობაში გამიგონია, ზოგიც ქართული მითოლოგიიდან ამოეკრიფე. ასევე პატიოსანი თვლების მნიშვნელოვანი სახელები ძველი ქართული წყაროებიდან ვისესხე.

ბრაჰმანის, აბსენტუნგისა და სავარსამიძის დიალოგებისათვის ძველი ჰინდური მითოლოგიისა და სიბრძნის გადათვალიერება დამჭირდა. დიონისოს კოლლექციები თავათ მაქვს ნახული: ათინაში, რომში, პარიზში, ლონდონში, დრეზდენში, მიუნხენსა და ბერლინში.

ენისა და სტილის ამბავიც ერთგვარი ალქიმიაა, აქაც დიდი შრომის გაწევა დამჭირვებია.

მას შემდეგ, რაც განსწავლისა და მოგზაურობის წლები მოვათავე, მთელი ჩემი ენერგია ძველი და ხალხური ქართულის შესწავლისაკენ მივმართე. ცხადია, რომ არც ერთ დიდოსტატს ენისას ჩვეულებრივი მოქალაქისა და თუნდაც ლიტერატორის ლექსიკა, არც უკვე ცნობილი სიტყვების მარაგი არ ეყოფა.

ამ შეგნებამ ძველქართულსა და ხალხურ ზეპირსიტყვაობაში გადამაგდო. ამის შემდეგ საჭიროდ დავინახე, ქართული ენის ალოგიური ბუნებიდანაც ამეღო ხარკი. ბუნებრივად ძველი კარაბადინებისა[15] და შელოცვების შესწავლა დამჭირდა (ზოგიერთებს ეგონათ: მე თავათ მრწამდა თითქოს ეს შელოცვები).

სიტყვებიც ისევე სცვდებიან, როგორც ფოლადის რელსები, მანქანების ფირფიტები, მაქოები და რიკები. სცვდებიან პოეტური სახეებიც, ამიტომ მუდამ ვერიდები ათასგზის ნახმარ სიტყვათა კომბინაციებისა და სახეების გამოყენებას.

ჩემი ნოველა „ტაბუ" ასე დავწერე:

ერთ საღამოს მეგობრისას შევიარე. ჩემი მასპინძელი ფრიად საამური მოუბარი იყო და ძველი საქართველოს ყოფის კარგი მცოდნე.

---

[13] ყველა ეს პერსონაჟი ამავე რომანიდანაა.

[14] ლარესის კულტი — ოჯახის მფარველი რომაული ღვთაება.

[15] კარაბადინი — ძველებური წიგნი. შეიცავს სხვადასხვა ავადმყოფობათა აღწერილობას, ცნობებს მათი მკურნალობისა და საკურნალო საშუალებათა შესახებ.

ბერიკაცს საუბრის დროს სიტყვა „ზანდაროზი“[16] წამოსცდა. ამ სიტყვას მე საბასგანაც ვიცნობდი, მაგრამ წინათ ყურადღებაც არ მიმიქცევია მისთვის. იმ ხანებში ერთი ინგლისელი მოგზაურის დღიურს ვკითხულობდი და მე მას ვუამბე: აფრიკელ ველურებს ზოგიერთი ცხოველის სახელის ხსენება ეკრძალებათ და ისევე როგორც ჩვენში, მათაც ტაბუ ჰქონიათ-მეთქი...

იმავე ღამეს შინ მოსულმა ელექტრო ავანთე და ანაზდეულად ხელში მოხვედრილ ქაღალდის ნაჭერზე დავწერე: „ტაბუ. ზანდაროზ ალებული მიმინო“...

გავიდა ორიოდე კვირა.

აქ ერთი ამბავი ფრიად საგულისხმოა: როცა ხელოვნებაში რაიმე სერიოზულის თქმას ლამობთ, არასოდეს სერიოზული ტონით არ უნდა დაიწყოთ, არამედ თქვენი იდუმალი ტენდენცია და ზრახვა თამაშისა და სიცელქის საფარველით უნდა შებურღოთ, თორემ იცოდეთ, ხელოვნური ქმნილების ნაცვლად მშრალი ქადაგება გამოგივათ, ან მოსაწყენი ტრაქტატი.

რუსთაველი ნადირობით იწყებს თავისი პოემის უდიდეს დრამას და შექსპირს ოხუნჯების და ტაკიმასხარების ლეგიონი იმისათვის სჭირია, რომ ტრაგიული გმირების პირიდან გადმონთხეული სატირა და სიბრძნე შეამსუბუქოს.

მეც ისე მოვიქეცი: ჯერ ცალყბა ხუმრობით და შელოცვებით მიმინოს ამბები მოვყევი და მხოლოდ შემდეგ გავხსენი ბნელი საუკუნის ღამეული სახე. ზოგიერთნი აღშფოთდნენ, მიმინოს წასწვდნენ და ლამის არ იყო, მთელი ქვეყანა არ დააჯერეს, რომ მიმინოები შინა მყავდეს თითქოს.

აჰ, ისინი ძლიერ მაგონებენ იმ ბალღებს, პარიზში ჩასვლისას ცხენჯოხიან ჭრელ კარუსელებს რომ შენიშნავენ მყისვე და ლუერსა[17] და სორბონს[18] რომ ვეღარ ამჩნევენ.

არ ემალაე, სხვა მწერლების დარად, მეც განსაკუთრებული ყურადღება და სიყვარული გამომიმჟღავნებია ზოგიერთი ცხოველის ან ფრინველის მიმართ. მერმე რა არის აქ გასაკირდავი?.. მე ბაყაყებსაც ვუმღერე „ტაბუში“.

---

[16] ზანდაროზი — ფრინველი რომ კურტუმიდან ზეთიით ამოიღებს და ფრთებზედა ყოელგან წაისვამს (საბა.)

[17] ლუვრი — არქიტექტურული ძეგლი პარიზში. თავდაპირველად სამეფო სასახლე. შემდგომში მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმი. აგებულია XIII-XIV სს.-ში.

[18] სორბონი — საფრანგეთის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი სასწავლებელი. მისი ისტორია იწყება 1215 წლიდან, როცა დაარსდა ევროპის პირველი საერო უნივერსიტეტი 4 ფაკულტეტით.

ძველი საბერძნეთის, რომის და ევროპის პოეტებიც უმღეროდნენ ბაყაყებს. განა ბაყაყი არ შეიძლება პოეზიის თემა იყოს, ისე როგორც თუნდაც ბულბული? ცხოველთა სამეფოდან მე ორი სულიერი მყავს სიმბოლოდ აღებული — მიმინო და გველი (არც ერთი მათგანი შინ არა მყავს). მაგრამ პირველი აღმაფრენის ფარეშია ჩემი, ხოლო მეორე სიბრძნისა.

ხელს რა მიშლიდა? უმეცართა სულმოკლეობა და მეშურნეთა სისინი. ზოგიერთ მწერლებსა და ლამაზ ქალებს ერთნაირი უბედურება სჭირთ: ეინც მათ ვერ მისწვდება, ყველა აგინებს.

ერთმა გონებამახვილმა ფრანგმა კარგად იხუმრა: როცა ადამიანი რაიმე დიდსა და შესანიშნავს შექმნის, სხვანი უთუოდ ეცდებიან, მან ეს „მზაკვრული საქციელი“ არაოდეს გაიმეოროსო...

მწუხარებამ ბევრჯერ ამაღებინა ხელში კალამი. დედაჩემის გარდაცვალებამ „დამსხვრეული ჩონგური“ დამაწერინა. 1924 წ. ჩემი საყვარელი ძმა — ალექსანდრე მიკვდებოდა, საავადმყოფოში ვუთევდი ღამეებს. ერთხელ მომეწყინა, დარდი შემომენთო გულზე. სწორედ იმ საშინელ ღამეს დავწერე „ზარები გრიგალში“. ვწერდი და ვტიროდი. ჩვენში ბევრსა ჰგონია: პატარა ნოველლა ადვილი დასაწერიაო. რადგან ზოგმა ლიტერატორმაც არ იცის, რომ ნოველლა პროზაში იგივეა, რაც ლექსთა შორის სონეტი.

თითქმის ორი წლის განმავლობაში ვწერდი ნოველლას „დიდი იოსები“. ამ ნოველლის პროტოტიპად მყავდა ჩვენს ეზოში მცხოვრები მეკურტნე, შემდეგ კი მეეზოვე იოსებ სხირტლაძე. ეს მოხუცი ფრიად გულალალი, უთვისტომო და ლოთობისაგან სულიერად დაავადებული კაცი იყო. ლაპარაკში არ ბორძიკობდა, მაგრამ ენაარეულად მეტყველებდა. ხანდახან ჰალიუცინაციებიცა ჰქონდა. ელანდებოდა: თითქოს ვიღაცები ხმალში შემოაკვდა, სადღაც დიდი განძი იპოვა, ხანაც „ბოლშევიკობდა“.

როცა დარწმუნდა, რომ ბოლშევიკობა სახელმწიფო ქონების დატაცებას არ ნიშნავს, „ოპოზიციაში ჩაუდგა“ ბოლშევიკებს თავის ჭკუაში და „მენშევიკობა“ დაიწყო.

ასეთივე იდეაფიქსიც ჰქონდა აჩემებული: თითქოს ის სახლი, რომელშიაც ვცხოვრობდი იმ დროს, მისთვის ეჩუქნოს საბჭოთა ხელისუფლებას.

უდიდესი ბედნიერებაა შემოქმედება, ამავე დროს, უდიდესი სიმძიმილის მომგვრელიც. რომანის წერის პროცესში შემოქმედს პერმანენტული აღტყინების გადატანა უხდება, ამ ხანგრძლივი ჭვრეტის პროცესში ცხოვრების ამბები მირაჟებად გეჩვენებიან.

ენერგიის უდიდესი დაძაბვაა საჭირო, ზმანებული, ხილული, ნანახი და განაგონი რომ არსებულ ხელსახებ და დინამიურ სამყაროდ აქციო, იქმენ — უბრძანო არყოფილსა და არარსებულს, ადექ და იარეო, რომ შესძახო ლანდს და სული ჩაუდგა მას.

თავისთავად ყოველი ადამიანი მშეენიერად და იოლად გრძნობს, ოცნებობს და ფიქრობს. მაგრამ ნაგრძნობის, ნაოცნებარის და ზმანებულის ფიქსირებას სატანური ნებისყოფა სჭირია და ეს მოითხოვს საშინელ ბრძოლას ენის ინსტრუმენტთან.

საუკუნეების განმავლობაში ყოველი საგნისთვის, ცხოველისა და არსებისათვის საკუთარი სახელი მიუნიჭებია ერს. ყოველი დიდი კულტურული ტრადიციების მატარებელი ენის ფორმაცია ხომ მრავალი ათასი წლის მანძილზეა მომხდარი და ამიტომაც მარტოოდენ ენის შესწავლას არ ყოფნის ერთი სიცოცხლე.

აქ ისევ ალქიმია იწყება და მეშინია, სიტყვა გამიგრძელდეს.

ახლა ცოტა რამ სიტყვიერი მასალის მოხვეჭისათვის.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მრავალგზის შევადარე ქართული ბიბლია, ოთხივე სახარება და ფსალმუნი გერმანულს, ინგლისურსა და ფრანგულს გამოცემებს. ეს შრომა გაწეული მაქვს მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი მასალის ძებნაში.

პარალელურად ემგზავრობდი მთელს საქართველოში, ენადირობდი და ვთვეზაობდი, რათა უშუალოდ გავცნობოდი ხალხის მეტყველებას. ამგვარად, შედგენილი მაქვს საკუთარი „იშვიათ სიტყვათა ლექსიკონი". დიალექტებიდან ნასესხები სიტყვის ხმარებას ვერიდები (თუ გმირს არ ვალაპარაკებ), ვიდრე რომელიმე სარწმუნო ძეგლთან არ შევაწამებ. ცუდი ქართულით მოუბართ შეძლებისამებრ ყურს ვარიდებ. ცუდი ქართულით დაწერილ ლიტერატურას არ ან ვერ ვკითხულობ...

მარტოობის ჟამს ხმამაღლა ვკითხულობ რომელიმე შერჩეულ ძეგლს ძველი ქართული მწერლობისას. დაძინებისას ძველ ქართულ შედევრებს ვათვალიერებ, რათა ქვეშეცნებაში განმიმკვიდრდეს თავისთავადი ენის კულტურის ნელსურნელება.

1933 წელი

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. რას აქცევს ავტორი წერის დროს დიდ ყურადღებას?

2. რა კარიერაზე ოცნებობდა მწერალი ჭაბუკობისას?

3. რა ბედი ეწია კ. გამსახურდიას რომანის „დიონისოს ღიმილის“ თავდაპირველ ფრაგმენტებს?

4. რა უთხრა იაკობ ნიკოლაძემ კ. გამსახურდიას პოეტების შესახებ?

5. როგორი დამოკიდებულება აქვს მწერალს საწერ-კალმისა და ქაღალდის მიმართ?

6. რას ამბობს ავტორი მათზე, ვინც სისტემატური მკითხველია?

7. როგორ იქცევა წერით გადაქანცული შემოქმედი?

8. რას ურჩევს კ. გამსახურდია ახალგაზრდებს წერისას?

9. როგორ შექმნა მწერალმა თავისი ნოველა „ტაბუ“?

10. რომელ ორ ცხოველს ანიჭებს ავტორი სიმბოლურ მნიშვნელობას და რატომ?

11. რა გარემოებებმა დააწერინა შემოქმედს „დამსხვრეული ჩონგური“ და „ზარები გრიგალში“?

12. რა უშლიდა ხელს კ. გამსახურდიას შემოქმედებით მუშაობაში?

13. როგორ შეიქმნა მისი ნოველა „დიდი იოსები“?

14. როგორ აგროვებდა მწერალი „სიტყვიერ მასალას“ საკუთარი შემოქმედების გასამდიდრებლად?

გააანალიზეთ

15. როგორ ცდილობს მწერალი მკითხველის წარმოსახვის შექმნას ქართული ასოების მოხაზულობასთან დაკავშირებით?

16. არის თუ არა მწიგნობრობა, მწერლობა რომელიმე განსაზღვრული ჯგუფის კუთვნილება?

17. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ჭეშმარიტი შემოქმედისათვის აუცილებელია კომფორტი, რათა მან მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნას?

18. კ. გამსახურდიას აზრით, რატომ არის რომელიმე შედევრის თარგმნა მწერლისათვის ერთგვარი თვითმკელელობა?

19. როგორი დამოკიდებულება აქვს მწერალს შემოქმედებითი ფანტაზიის მიმართ?

20. როგორ აგროვებდა მწერალი მასალას თავისი რომანის „დიონისოს ღიმილის“ შესაქმნელად?

21. ავტორის შეფასებით, რა ბედი ელით „ათასგზის სიტყვათა კომბინაციებსა და სახეების გამოყენებას?“ ეთანხმებით თუ არა ამ აზრს?

22. მწერლის თვალსაზრისით, რატომაა შემოქმედება, ერთი მხრივ, უდიდესი ბედნიერება და, მეორე მხრივ, უდიდესი სიმძიმილის მომგერელიც?

განაზოგადეთ

23. ეთანხმებით თუ არა ავტორს, რომ შემოქმედების იდუმალების შეცნობით ყოველი მკითხველი წერას ისწავლიდა?

24. რას გაგონებთ ქართული მხედრული ანბანის ასო-ნიშნების მოხაზულობა?

25. უნდა ჰქონდეთ თუ არა დიდ შემოქმედებს „სატანური“ ნებისყოფა? რატომ?

26. ავტორი წერს: „როცა ხელოვნებაში რაიმე სერიოზულის თქმას ლამობთ, არასოდეს სერიოზული ტონით არ უნდა დაიწყოთ, არამედ თქვენი იდუმალი ტენდენცია და ზრახვა თამაშისა და სიცელქის საფარველით უნდა შებურეოთ, თორემ იცოდეთ, ხელოვნური ქმნილების ნაცვლად მშრალი ქადაგება გამოგივათ, ან მოსაწყენი ტრაქტატი“. როგორ გესმით კ. გამსახურდიას ეს რჩევა და რომელ საყურადღებო ნაწარმოებებს დაასახელებდით, ასე რომ იწყება?

27. რა მოელენებმა შეიძლება მისცეს ბიძგი შემოქმედებით შთაგონებას?

28. რა არის თქვენთვის მისაღები და გასათვალისწინებელი კ. გამსახურდიას თვალსაზრისიდან და რჩევებიდან და რა – მიუღებელი? თქვენი პოზიცია დაასაბუთეთ.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

გამოცდილებითი ესეს გააზრება

გამოცდილებითი ესეს მიზანია, დამაჯერებლად გაუზიაროს მკითხველს ავტორის თვალსაზრისის საფუძვლიანობა. მასში მწერლის თვალთახედვის გამამყარებელი ფაქტები და მოსაზრებები წარმოდგენილი უნდა იყოს რეალური, დამარწმუნებელი, პირადი გამოცდილების სურათის ჩვენებით:

1. რა ფაქტები და მოსაზრებებია კ. გამსახურდიას ესეში თქვენს დასარწმუნებლად წარმოდგენილი?

2. დამაჯერებელია თუ არა თქვენთვის შემოქმედებითი ძიების ის პროცესი, რომელზეც ავტორი საუბრობს? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.

ესეს კრიტიკული შეფასება

გამოცდილებითი ესეს ავტორები სხვადასხვა ხერხს იყენებენ, რათა შეძლებისდაგვარად დამაჯერებლად წარმოადგინონ თავიანთი თვალსაზრისი. ერთ-ერთი ასეთი ხერხია ზეგავლენა მკითხველის ემოციებსა და საკითხის ჩაწვდომის სურვილზე. პირადი ისტორიისა და გამოცდილების გაზიარებით მწერალს სურს, გააღვივოს მკითხველში ემოციური მუხტი, რომელიც მიგახვედრებთ და დაგარწმუნებთ, თუ რამდენად რთული და საპასუხისმგებლო პროცესია შემოქმედებითი ძიება, ფასეული ლიტერატურული ნაშრომის შექმნა.

1. რა ემოციურ ეპიზოდებს გთავაზობთ კ. გამსახურდიას ესე?
2. შეარჩიეთ ორი ყველაზე შთამბეჭდავი მოგონება. განმარტეთ, რატომაა ისინი თქვენთვის ემოციურად საგულისხმო?

საუბარი და მოსმენა
დებატები

დებატები კამათის, პაექრობის ფორმაა, რომელშიც ორი ჯგუფი ცდილობს, რაიმე საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთის საპირისპირო თვალსაზრისი არგუმენტირებულად დაასაბუთოს.

განიხილეთ კ. გამსახურდიას ესეში წარმოდგენილი შემდეგი თვალსაზრისი: „უდიდესი ბედნიერებაა შემოქმედება, ამავე დროს, უდიდესი სიმძიმილის მომგვრელიც“. კლასი დაყავით ორ ჯგუფად, რომლიდანაც ერთი დაიცავს მოცემული თვალთახედვის პირველ მოსაზრებას („უდიდესი ბედნიერებაა შემოქმედება“), ხოლო მეორე – მომდევნოს („უდიდესი სიმძიმილის მომგვრელიც“). ორიეე ჯგუფმა გარკვეული დროის განავლობაში მოამზადოს თავისი დაკვირვების გამამყარებელი არგუმენტები, გამოყოს სპიკერები, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ წარმოადგენენ საკუთარ ჯგუფებთან შეთანმებულ იდეებს და იკამათებენ. ამ პაექრობის შემფასებლის მოვალეობა ეკისრებათ მასწავლებელსა და რამდენიმე მოსწავლეს. მათ უნდა განსაჯონ, თუ რომელმა ჯგუფმა მოიყვანა უკეთესი არგუმენტები.

ფიქრი და წერა
ესეს ძირითადი დებულებების შეჯამება

შეაჯამეთ კ. გამსახურდიას ესედან მთავარი დებულებები, რომლებსაც ავტორი აყალიბებს საკუთარი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ. წერა დაიწყეთ მონახაზით, შეძლებისდაგვარად არ გამოტოვოთ უმთავრესი თვალთახედვანი. შემდეგ მოამზადეთ პროექტის მონახაზი. წერისას

გაითვალისწინეთ, რომ თითოეული მთავარი დებულება ესეს დასკვნით ნაწილთან მართებულად უნდა იყოს დაკავშირებული.

ენობრივი უნარები

უცხო სიტყვები

ესეს წერისას ავტორები ტერმინოლოგიური მიზნით ხშირად იყენებენ უცხო სიტყვებს. თუ ამ ტერმინთა ზუსტი შესაბამისი სიტყვები ქართულ ენაში არ მოიპოვება, ბუნებრივია, ისინი უნდა გამოვიყენოთ და დავნერგოთ კიდეც; მაგრამ თუ ამის აუცილებლობა არაა, მაშინ მათი ქართული შესატყვისები უნდა ვიხმაროთ.

კონსტანტინე გამსახურდია თავის ესეში მრავალ უცხოენოვან ტერმინს იყენებს. ზოგიერთი მათგანი დამკვიდრებულია ქართულ სიტყვათხმარებაში, ზოგმაც ვერ მოიკიდა ფეხი. ამ ესეში ოთხმოცზე მეტი უცხო სიტყვაა ნახმარი. ტექსტში მოძებნეთ ასეთი ტერმინები და უცხო სიტყვათა ლექსიკონის გამოყენებით მიუწერეთ მათ წარმომავლობა და მნიშვნელობა; მიუთითეთ, თქვენი აზრით, არიან თუ არა ისინი დამკვიდრებული ქართულ ლექსიკაში და რომელ მათგანს იხმარებდით მხოლოდ მისი ქართული შესატყვისით.

ბიოგრაფია



აკაკი ბაქრაძე

(1928–1999 წწ.)



მწერალი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე დაიბადა 1928 წელს ქალაქ ოზურგეთში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (დაამთავრა 1953 წელს). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორი, შემდეგ კი მთავარი რედაქტორი. მუშაობდა გამომცემლობა „განათლებასა“ და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. 1973 წლიდან იყო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორი.

აკაკი ბაქრაძის მრავალი ნაშრომი თუ გამოკვლევა დღესაც იპყრობს მკითხველის ყურადღებას და ინარჩუნებს აქტუალობას.

აკაკი ბაქრაძე

არსებობის მარადისობის რღვევა ანუ შვილის მკვლელი მამა

(ესე წიგნიდან „რწმენა“)

დანაშაული მოხდა.

პატიოსნებას გულისთქმამ სძლია და საფარ-ბეგმა („გამზრდელი“) ძიძიშვილის ცოლი გააუპატიურა.

სიყვარულის თავდავიწყებამ წაიღო და ონისემ („ხევისბერი გოჩა“) გუშაგის მოვალეობა დაივიწყა. მტერი შემოეპარა.

უცხო ტომის ქალი შეუყვარდა და ანდრი („ტარას ბულბა“) დუშმანის მხარეს გადავიდა. ესეც არ იკმარა: თავისიანებს მედგარი ბრძოლა გაუმართა.

ბავშვურ სულწასულობას ვერ მოერია და ფორტუნატომ („მატეო ფალკონე“) ბანდიტი ჯანეტო სანპიერო გასცა.

არც ხევისბერმა გოჩამ, არც ტარას ბულბამ, არც მატეო ფალკონემ შეილებს დანაშაული არ შეუნდეს და სიკვდილით დასაჯეს. მხოლოდ პაჯი-უსუბი („გამსრდელი") მოიქცა სხვანაირად: საფარ-ბეგის დანაშაული თავად ზღო – თავი მოიკლა.

თითოეულმა მათგანმა – საფარ-ბეგმა, ონისემ, ანდრიმ, ფორტუნატომ – მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მკითხველი მაინც არ არის მათ მიმართ უარყოფითად განწყობილი, ებრალება ისინი და მათდამი თანაგრძნობის ნაპერწკალიც ულევეის გულში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი ბუნებით პატიოსანი, კეთილი, გულწრფელი ადამიანები არიან. ისინი მზად არიან, სიცოცხლის დათმობით გამოისყიდონ დანაშაული, მხოლოდ პატარა ფორტუნატო შედრკება სიკვდილის წინ. მამას შეეედრება, ნუ მომკლაო, მაგრამ ეს სრულიად გასაგებია – ფორტუნატო ათი წლის ბიჭი იყო.

საფარ-ბეგი, როგორც კი გონს მოეგო, მაშინვე მიხვდა დანაშაულის მთელ სისაძაგლეს. რაცა დილით მძინარე საფარ-ბეგი ბათუმ გააღვიძა, პირველი, რამაც ბოროტმოქმედს გაუელვა თავში, იყო:

არ უთქვამს ქალს, რაც შეეცოდე,
ჩანს, ნამუსი შეუნახავს.
ჩემს საქციელს სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?

ნაადრევი გამოდგა საფარ-ბეგის ცოდვილი სიხარული. ბათუმ ყველაფერი იცოდა. თუმცა ძუძუმტე სასიკვდილოდ არ გაიმეტა:

– არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია,
დედისჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია...

ერთი შეხედვით, უმაღლესი ზნეობით აღჭურვილმა ბათუმ დაჯაბნა საფარ-ბეგი, მორალურად გაანადგურა იგი. მაგრამ აკაკი წერეთელი გვიამბობს არა სინდისიანისა და უნამუსოს ბრძოლაზე, არამედ ადამიანში აღორძინებული პატიოსნების ტრაგედიას. საფარ-ბეგი ტოლს არ უდებს ბათუს:

...მართალი ხარ!
აღარა მაქვს მე სათქმელი...
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვის ხელი!..
შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,
იარაღი დამიყრია...
სასიკვდილოდ ჩემი ნებით

შენ წინ თავი დამიხრია...
ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმთელე!

აქ ერთმანეთის პირისპირ ორი თანაბარი მშვინვიერი ღირსების კაცი დგას, თუმცა ერთს დანაშაული აქვს ჩადენილი და მეორეს – არა. საფარ-ბეგმა გააცნობიერა თავისი დანაშაული და თავადვე გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი: მან არა მარტო ბათუს, არამედ გამზრდელის წინაშეც დახარა თავი მორჩილად. საფარმა ჰაჯი-ʻუსუბს ალალად უამბო ყველაფერი, დაუმალავად და შეულამაზებლად.

მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს
საფარ, მისი გამოზრდილი...

ასევე თავად აღიარა ონისემაც დანაʻშაული თემის სასამართლოს წინაშე. თუ ონისე გაჩუმდებოდა, სიმართლეს არ იტყოდა, დაისჯებოდა უდანაʻშაულო გუგუა. ამით კიდევ უფრო ცოდვილი გახდებოდა ონისეს სინდისი. იგი გამოუტყდა როგორც მამას, ისე საზოგადოებას.

„– შესდექ, ხევისბერო. გუგუა მართალია! – დაიძახა ონისემ.

– სთქვი, რას ამბობდი?

– გუგუა მართალია-მეთქი, ტყუილად ნუ დასჯით... გუგუას და მე მიზეზი გვაქვს, ერთმანეთის მოსისხლენი შეექმნილიყავით... ეგ მოიდუან რომ მოდიოდა, ბილიკებზედ იმად დაეშვა, რომ მე მოვეკალ... მაგრამ გზაში მტერს შეხვდა და მოღალატობას ტყუილად სწამობთ... მოძმეთ ცოდო მე მაძევს კისერზედა, ჩემი ბრალია მათი გაწყეტა...“

ონისემ იცის, რაც ელის დანაშაულისათვის, მაგრამ მისთვის ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია, ვიდრე საკუთარი სიცოცხლე.



ონისე და ძიძია. კადრი ფილმიდან „ხევისბერი გორა“

არსებითად განსხვავდება ანდრი ბუღლბას საქციელი საფარ-ბეგისა და ონისეს ქმედებისაგან.

ანდრი ბუღლბა ბრძოლის დროს შეიპყრო მამამ. ანდრი პოლონელ ჰუსართა პოლკში იყო და კაზაკებს ებრძოდა. როცა ტარასმა შეამჩნია იგი, თავისიანებს სთხოვა, ტყეში შემოიტყუეთო. კაზაკმა გოლოკოპიტენკომ შეასრულა ტარასის თხოვნა. ის-ის იყო, ანდრი გოლოკოპიტენკოს უნდა დასწეოდა, რომ ცხენის აღვირში უტაცა მამამ შვილს ხელი და გააჩერა. მამის დანახვაზე

ანდრი გაფითრდა და აცახცახდა. ტარასმა ცხენიდან ჩამოსელა უბრძანა. როგორც ბავშვი, მორჩილად ჩამოხტა იგი ცხენიდან და მკვდარ-ცოცხალი გაჩერდა ტარასის წინ. „იდექ, არ გაინძრე. მე გშობე, მევე უნდა მოგკლა!“ – თქვა ტარასმა, გადადგა ერთი ნაბიჯი უკან და მხრიდან თოფი გადმოიღო. ანდრის ნაცრისფერი დასდებოდა, ეტყობოდა, ჩუმად ტუჩებს ამოძრავებდა, ყიღაცის სახელს ახსენებდა, მაგრამ არ იყო იგი არც სამშობლოს, არც დედის, არც ძმების სახელი – არამედ ტურფა პოლონელი ქალისა. დასცალა თოფი ტარასმა“ (ა და ი. ახალშენიშვილების თარგმანი).

ანდრიმ უღრტყინველად მიიღო სასჯელი, მაგრამ არ განუცდია ღალატის გამო სინდისის ქენჯნა. დანაშაულის გაცნობიერება არ მომხდარა. ისევე როგორც ანდრის პოლონელი ქალი, ონისესაც თავდავიწყებით უყვარდა ძიძია. მაგრამ ხეისბერის შვილმა მაინც მოახერხა სიყვარულის ბანგისაგან გათავისუფლება. ანდრიმ ეს ვერ შეძლო. სიკვდილის წინ იგი მაინც მიჯნურობის მონა იყო.

სამიეე პროტაგონისტი[1] – საფარ-ბეგი, ონისე, ანდრი – პატიოსანი ადამიანია, მაგრამ ეს პატიოსნება სხვადასხვაგვარია.

საფარ-ბეგისა და ონისეს პატიოსნებას, მართალია, დანაშაულის თავიდან აცილება არ შეუძლია, მაგრამ, სამაგიეროდ, ძალუძს დანაშაულის გაცნობიერება, მონანიება და სასჯელის მიღებაც, თუნდ იგი სიკვდილიც იყოს.

ანდრი ბულბას პატიოსნება სხვაგვარად ფიქრობს: სიყვარულის ერთგულება უფრო მაღალ მოვალეობად მიაჩნია, ვიდრე – თანამოძმეებისა და თანამემამულეებისა. ანდრი არ ინანიებს თავის დანაშაულს. არც სასჯელს იღებს ნებაყოფლობით. ანდრი ბულბასთვის მამის სასჯელი გარდაუვალი აუცილებლობაა, რომლისგან თავის დაღწევა გამორიცხულია.

როცა აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, გოგოლისა და პროსპერ მერიმეს პერსონაჟებს ვაკვირდებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დანაშაული არ უნდა მომხდარიყო, რამეთუ არც ერთს არ აკლია არც პატიოსნება, არც ნებისყოფა, არც ვაჟკაცობა. მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილებაა. მათი ხასიათის ღრმად შეცნობის დროს თანდათან გამოიკვეთება და გამომჟღავნდება მათი სულიერი სამყაროს ხარვეზი. ეს გახლავთ მორჩილება ენებისადმი. საფარ-ბეგიც, ონისეც, ანდრიც ენების მორჩილნი არიან, ფორტუნატო კი ბავშვური სიხარბის, უფრო სწორად, სულწასულობის მსხვერპლია.

აკაკი წერეთელი მაშინვე მიუთითებს და აღნიშნავს საფარ-ბეგის ხასიათის სუსტ მხარეს. საფარ-ბეგი მოსვლისთანავე ატყობინებს ბათუს,

[1] პროტაგონისტი – ძველ ბერძნულ ტრაგედიაში: მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი,მთავარი გმირი.

რა მიზნით ეწვია ძიძიშვილს სტუმრად და რატომ გადაწყვიტა მოიპაროს ალმასხიტ ინალიფას ცხენი. საფარ-ბეგს მზეთუნახაჲი ზია-ხანუმი შეჰყვარებია. მართალია, საფარი იცნობს ამ ქალის მზაკვარ ბუნებას, მაგრამ მის სილამაზეს ეერსად გაქცეია. საფარ-ბეგი ნანობს კიდეც ზია-ხანუმთან ურთიერთობას, მაგრამ სინანულს უკვე აღარ აქეს მნიშვნელობა, რადგან ვაჟი მთლიანად ემორჩილება ქალის ნება-სურვილს:

მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა!..
და, თუ ქალი მაჯობებდა,
არ ეფიქრობდი, არ მეგონა...

ამ შემთხვევაში საფარი მთლად მართალს არ ამბობს. შეიძლება ეს გამოწვეულია იმით, რომ მან ზუსტად და მტკიცედ არ იცის, მართლა უყვარს თუ არა ზია-ხანუმი. საფარ-ბეგი საერთოდ ვერ არის გულგრილი ქალის მშვენიერებისადმი; ამიტომ ენება და სიყვარული ვერ განუსხვავებია ერთმანეთისაგან. სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მარტო დარჩენილიყო ნაზიბროლასთან, რომ დაეწყებოდა სიყვარულიცა და მორდუობის[2] ადათიც. ენებით დაბრმავებულმა და ცნობაწართმეულმა არ დაინდო ძიძიშვილის ცოლი და ნამუსი ახადა მას.

საფარ-ბეგის საქციელს წარმართავს დაუოკებელი ენება და არა სიყვარული.

ონისესა და ანდრის საქციელს კი აპირობებს სიყვარული, თუმცა ტრფობისადმი მათი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია.

ონისემ კარგად იცის, რომ არა აქვს ძიძიას სიყვარულის უფლება. ჯერ ერთი, ძიძია სხვისი ცოლია და, მეორეც, ონისე გუგუას ხელისმომკიდია. ონისე ებრძვის გულში დაბუდებულ ტრფობას, ცდილობს გაექცეს, დაემალოს მას, მაგრამ ამაოდ. იგი ვერ ამართლებს მამის დარიგებასაც — „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი... ვინძლო ქვეყანა არ გააცინო...“

ძიძიას სიყვარული ყველაფერზე ძლიერი აღმოჩნდა და ონისემ დანაშაული ჩაიდინა.

ასეთივე ყოყლეისმომცველი და ძლიერია ანდრის სიყვარულიც. მასაც თავდაიწყებით უყვარს პოლონელი ვოევოდას ასული. როცა ანდრი ალყაშემორტყმულ დუბნოში შეიპარა და საყვარელი ქალის ოჯახს საზრდელი მიუტანა, უარი თქვა, უკან, კახაკთა ბანაკში დაბრუნებულიყო. „სამშობლო ის არის, რასაც სული დაეძებს, რაც ყველაზე მეტად შეგყვარებია. ჩემი სამშობლო შენ ხარ“, — უთხრა ანდრიმ ნანდაურს[3]. საერ-

[2] მორდუობა — ძიძიშვილობა.

[3] ნანდაური — სასურველი, საყვარელი ადამიანი.

თით, რომანის კონცეფციით, სიყვარული უძლეველ ძალად არის მიჩნეული. ერთ-ერთი პერსონაჟი, ებრაელი იანკელი, ტარას ბულბას ეუბნება – როცა კაცს ქალი შეუყვარდება, იგი დაემსგავსება წყალში დამბალ ლანჩას, როგორც გინდა, ისე მოღუნავ. ანდრის დანაშაულიც ამით არის გამოწვეული.

თუ ამ სამ პროტაგონისტს ერთმანეთს შევადარებთ, მკაფიოდ დაინახავთ, რომ მათ შორის ყველაზე ტრაგიკულია ონისე.

იგი საფარ-ბეგზე უფრო ღრმა პიროვნებაა იმით, რომ მას გულწრფელად და ალალად უყვარს ძიძია. ონისეს სიყვარული ნამდვილია. ამიტომაც ვერ დააღწია თავი ამ ტრფობას.

საფარ-ბეგს კი ბრმა ვნება წარმართავდა მაშინ, როცა ნაზიბროლა გააუპატიურა.

ონისე ანდრი ბულბაზე ღრმა პიროვნებაა იმით, რომ მოვალეობას უფრო მეტად აფასებს, ვიდრე პირად გრძნობას, თანამემამულეთა მიმართ ჩადენილ დანაშაულს მძაფრად განიცდის და მზად არის ყოველგვარი სასჯელის მისაღებად. ანდრი ბულბა კი პირად გრძნობას ამჯობინებს სამშობლოს. სრულიად არ განიცდის თანამემამულეთა წინაშე ჩადენილ დანაშაულს. თუ, ბოლოს და ბოლოს, ონისეში მოყვასის სიყვარული იმარჯვებს, ანდრი სიკვდილამდე სიყვარულით გამოწვეული ეგოიზმის ერთპიროვნული რჩება.



კადრი ფილმიდან „მატეო ფალკონე"

რა თქმა უნდა, პატარა ფორტუნატო ენებათა ამ სიმძაფრემდე ვერ მიდის. იგი ბავშვური სულწასულობის მსხვერპლი ხდება. როცა მას სერჟანტი გამბა საათის ჩუქებას შეჰპირდა – თუ იგი იტყოდა, სად იმალებოდა ჯანეტო – ბიჭმა ცდუნებას ვერ გაუძლო და თივის ბულულში დამალული ბანდიტი გაყიდა. ამ დანაშაულის საფუძველი სიხარბეა. ფორტუნატოს სიხარბე გაუცნობიერებელია და, ამდენად, მისი დანაშაულიც უნებლიეა. სამაგიეროდ ასე არ არის „გამზრდელში“. ზია-ხანუმის სიხარბე გაცნობიერებულია. იგი გადამდებია და შეიძლება სხვასაც უბიძგოს ბოროტებისაკენ. ასე დაემართა საფარ-ბეგს. ალმასხიტ ინალიფას ცხენის მოპარვა ნაკარნახევია ზია-ხანუმის სიხარბით. ქალის სიხარბეს საფარმა ვერაფერი დაუპირისპირა. პირიქით, ზია-ხანუმის გულის მოგება სცადა არა ქალის სიხარბის უარყოფით, არამედ მისი დაკმაყოფილებით. გაჩნდა დანაშაული. ჯერ შედარებით უბრალო – ცხენის მოპარვა და შემდეგ უკვე უპატიებელი – ძუძუმტის ცოლის გაბახება.

სიხარბეა „ხევისბერ გოჩაშიც“ ბოროტმოქმედების საფუძველი. ამჯერად ფეოდალის გაუმაძღრობით ელინდება იგი. ნუგზარ ერისთავს არ ჰყოფნის უკიდეგანო მამული და თავისუფალი ხევის დაპყრობაც სურს. მზად არის, ძმა ძმას გადაჰკიდოს და მეზობელს მეზობლის სისხლი აღერეინოს, რათა სიხარბე დაიკმაყოფილოს, მტერ-მოყვარე დააშინოს და ყველა დაიმორჩილოს. მართალია, ნუგზარ ერისთავის მასშტაბისა არ არის, მაგრამ ზია-ხანუმსაც ძალაუფლებისმოყვარეობა აწამებს. ამ ქალს იმიტომ არ მოსწონს ალმასხიტ ინალიფა, რომ იცის, „სხვებსავით ის იმას ვერ იმსახურებს“. რაკი ალმასხიტი არ გახდება ზია-ხანუმის სიხარბის მსახური, ამიტომ, ქალი სხვებს აქეზებს მის წინააღმდეგ. ცხადად ჩანს, რომ ზია-ხანუმის სიხარბე ადამიანთა ურთიერთობის იმ სახეობას ცნობს, რომელსაც მორჩილება ეწოდება. ასევეა ნუგზარ ერისთავიც. ოღონდ მისი სიხარბე გაცილებით დიდია და ვრცელი. მას ვერ დააკმაყოფილებს ცალკეულ პირთა მორჩილება, ნუგზარის მადა მთელი ხალხის მორჩილებას ითხოვს.

ნუგზარის უსაზღვრო სიხარბემ გამოიწვია ძმათამკელელი ომი. ომმა კი გაამჟღავნა ყველა დამალული ტკივილი.

„ტარას ბულბაშიც“ სიხარბე ამოქმედებს კაზაკთა სპასაც. „აქ მუდამ ჰპოვებდნენ საქმეს ომის, ოქროს თასების, ძვირფასი ფარჩების, ბაჯაღლო ოქროებისა და სხვა დიდების მოყვარულნი. – ყველა, გარდა ქალის თაყვანისმცემლებისა, რადგანაც ქალი სეჩის გარეუბანშიც კი ვერ გაბედავდა გამოჩენას“, – წერს გოგოლი. მართალია, ნათქვამია ისიც, რომ მართლმადიდებლობას იცავდნენ, ურჯულოებს – თურქებსა და თათრებს – ებრძოდნენო, მაგრამ ეს რომანში რიტორიკული განცხადებაა. საქმით კი ომის დამწყები კაზაკები არიან, ტარას ბულბას თავკაცობით.

მშვიდობიანობაა, კაზაკებს არავინ ემუქრება. ასე არ მოსწონდა ტარასს. „ამიტომაც მუდამ იმის ფიქრში იყო, როგორმე სეჩი სალაშქროდ აღეძრა, სადაც ყველას შეეძლებოდა თაეისი რაინდობა დაემტკიცებინა, საომარი ნიჭი გამოეჩინა. ბოლოს, ერთ დღეს მივიდა ტარასი კოშევოისთან და უთხრა პირდაპირ:

— რაო, კოშევოი, განა დრო არ არის, გაინავარდონ საითმე ზაპოროჟიელებმა?

— საით მერე? — მიუგო კოშევოიმ, პირიდან პატარა ჩიბუხი გამოიღო და გვერდზე გააფურთხა.

— როგორ თუ საით? შეიძლება თურქებზე ან თათრებზე გავილაშქროთ.

— არ შეიძლება არც თურქებზე, არც თათრებზე, — უპასუხა კოშევოიმ და ისევ გულგრილად ჩაიდო პირში ჩიბუხი.

— როგორ თუ არ შეიძლება?

— ისე, სულთანს მშვიდობიანობის პირობა მივეცით.

— მერე ის ხომ ბუსურმანია: ღმერთიც და საღმრთო წერილიც გვიბრძანებს მათ ამოწყვეტას.

— უფლება არა გვაქვს. სარწმუნოებაზე რომ არ შეგვეფიცნა, იქნებ კიდევ მოხერხდებოდა, მაგრამ ახლა არ შეიძლება.

— როგორ თუ არ შეიძლება? როგორ ამბობ, უფლება არა გვაქვსო? აი, მე ორი შვილი მყავს, ორივე ახალგაზრდა. არც ერთი ჯერ ომში არ ყოფილა. შენ კი ამბობ: ვერსად წავალთ ზაპოროჟიელებიო.

— ჰოდა, ასე არ შეიძლება.

— მაშ აგრე უქმად უნდა იყოს კაზაკის ძალ-ღონე მინებებული, რომ ძალლივით გადიღრძოს კაცი და ერთი კეთილი საქმე არ გააკეთოს, სამშობლოსა და საქრისტიანოს არაფერი სარგებლობა არ მოუტანოს? (რბევა-აწიოკება ჰგონია ტარას ბულბას სამშობლოსა და ქრისტიანობის სამსახური — ა.ბ.). მაშ, თუ აგრეა, მითხარი, რაღადა ეცოცხლობთ, სიცოცხლეს რა ეშმაკად ვაქნევთ?“

ამ კითხვას კოშევოიმ არ უპასუხა, მაგრამ ომის გაჩაღებაზე კი მტკიცე უარი მოახსენა. გაბოროტებულმა ტარასმა კაზაკები წააქეზა, ძველი კოშევოი გადაეყენოთ და ახალი დაესვათო. ასეც გააკეთეს.

„მეორე დღეს ტარას ბულბა უკვე მოელაპარაკა ახლადამორჩეულ კოშევოის, ზაპოროჟიელნი როგორ უნდა ამხედრებულიყვნენ და ვის წინააღმდეგ. კოშევოი ჭკვიანი და ეშმაკი კაზაკი იყო, მასთან ზაპოროჟიელთა ზნე-ხასიათის მეტად კარგად მცოდნე: „არა, ფიცის დარღვევა არ შეიძლებაო“, უპასუხა პირველად ბულბას, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დასძინა: „არა უშავს რა, ეინძლო ფიცს არ დავარღვევთ, ისე რასმე მოვიმიზეზებთ; ოღონდ ხალხი შეიკრიბოს, მაგრამ ჩემი ბრძანებით კი არა,

თავისით, – ეს თქვენ უკეთ იცით, როგორ მოახერხოთ, – მაშინ ჩვენც სტარშინებთან ერთად უცბად იქ გავჩნდებით მოედანზე, ვითომ არა ვიცით რა“.

კაზაკობა მოედანზე შეიკრიბა. დაიწყო სჯა-ბაასი. მზაკერულად ხლართავდა საქმის ვითარებას კოშევოი. თან ხალხს მშვიდობისაკენ მოუწოდებდა, თან ომისაკენ აქეზებდა. ამ დროს ტანსაცმელშემოფლეთილ კაზაკთა ერთი ჯგუფი გამოჩნდა. ამბავი მოიტანეს – შავ დღეში ჩაცვივდნენო გეტმანშჩინაში კაზაკები.

თურმე ურიებს იჯარით აუღიათ საყდრები და თუ წინასწარ ქრისტიანი ფულს არ გადაიხდის, წირვა-ლოცვას ვერ ჩაატარებს.

თურმე თუ ურია პასქას ნიშანს არ დაასვამს, მისი კურთხევა არ შეიძლება.

თურმე ქსენძები ტარატაიკებით დადიან უკრაინაში და, ცხენების მაგიერ, შიგ მართლმადიდებელ ქრისტიანებს აბამენ.

თურმე ურიის ქალები ქვედა კაბებს მღვდლის ფილონებისაგან იკერავენ.

თურმე გეტმანი სპილენძის ქვაბში მოუხრაკავთ და პოლკოვნიკებს მისი ხელ-ფეხი ბაზრობაზე დააქვთ.

ეს მტკნარი სიცრუეა ბრბოს ასაღელვებლად გამოგონილი. მაგრამ რაც ეშმაკურად მოიფიქრეს, ეშმაკურად განახორციელეს. კაზაკთა სპა ქალაქ დუბნოს შეესია.

როგორც ვხედავთ, თუ „ხევისბერ გოჩაში“ მოხევეები თავს იცავენ მოძალადისაგან, „ტარას ბულბაში“ კაზაკები თავად პირველნი ესხმიან თავს მშვიდობიან ქალაქს.

თუ ნუგზარ ერისთაეის სიხარბე სამფლობელოს გაფართოების სურვილით ვლინდება, ტარას ბულბასა და მისი ამხანაგების სიხარბე დავლის, ალაფის შოვნით გამოიხატება, რაც გარეგნულად ეაჭკაცობის სახელით არის შენიღბული.

როგორც ცნობილია, სიხარბე მხოლოდ ადამიანის თვისებაა. ბუნება ამ გრძნობას არ იცნობს, მან იცის მხოლოდ აუცილებელი. ადამიანი კი ყოველთვის ცდილობს, აუცილებელს მიუმატოს სიხარბე და სწორედ აქ ჩნდება დანაშაული.

ყოველი ადამიანის მშვინიერ სამყაროში არსებობს კონფლიქტი აუცილებელსა და სიხარბეს შორის. თუ ადამიანმა მოახერხა და სძლია სიხარბეს, დაკმაყოფილდა აუცილებლით, მაშინ იგი იძენს სულიერ წონასწორობას, ერწყმის ბუნების ჰარმონიას და მონოლითურად მთლიანია. მან ამ გზით უკვე მოკვეთა ბოროტი და, ბუნებრივია, გაემიჯნა დანაშაულს. თუ აუცილებლისა და სიხარბის კონფლიქტის დროს ადამიანმა

დაუთმო სიხარბეს, ვერ დაჯაბნა იგი, მაშინ ბოროტი იმარჯვებს და დანაშაულიც გარდაუვალია.

აკაკის „გამზრდელის“ პერსონაჟს ბათუს იმიტომ აქვს შენდობის უნარი, რომ თავისუფალია სიხარბისა და ამაოების გრძნობისაგან. აკაკი წერეთელი ასე ახასიათებს მას:

ერთი ვინმე ახალგაზრდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარმყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი.
კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას, ამის მეტს,
კაცი მისებრ დანაბადი?

როცა შინმობრუნებულმა ბათუმ შერცხვენილი და გაბახებული ცოლი ნახა, თავზარი დაეცა, მაგრამ ეყო სულის სიმტკიცე, ნუგეში ეცა გაუბედურებული ქალისათვის:

ყოველგვარი მოსავალი
კაცის თავზე უნებური
ღვთის რისხვაა და ტყვილად ბედს
რას უჩივი, რათ ემდური?
გადააგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი.

შეიძლება ვინმემ გაიფიქროს (ყოველგვარი ზნეობის კაცი არსებობს ამქვეყნად), რომ ბათუ წინდაუხედავად მოიქცა, როცა მარტო დატოვა ნაზიბროლა და საფარ-ბეგი. ეს ფიქრი უსამართლო შეურაცხყოფა იქნება ბათუსი. ბათუმ ადამიანის უკეთილშობილესი თვისება გამოამჟღავნა — ნდობა. აქ უპრიანი იქნება, გავიხსენოთ თქმულება, რომელიც სწორედ იმ კუთხეშია შექმნილი, საიდანაც ნაზიბროლა იყო.

ერთ ჭაბუკს ბედაური ჰყოლია. მეორეს შესშურებია ეს და დაუკვეხნია — ცხენი ჩემი იქნებაო. რანაირად — გაოცებულან ტრაბახის გამგონენი — იმ ბედაურს ვერც იყიდი და ვერც მოპარვას მოახერხებო. მაშინ შურიანს ხრიკი მოუგონია. შემოუხვევია ტანზე, დაუხოკავს სახე, ნაცემნაგვემის გამომეტყველება მიუღია და იმ გზაზე გაწოლილა, სადაც ცხენის პატრონს უნდა გაევლო. მართლაც გამოუვლია ჭაბუკს. დაუნახავს უბედურ დღეში ჩავარდნილი კაცი და მისაშველებლად გადმომხტარა ცხენიდან. შურიანს მოუსაწყლებია თავი: ვიგინდარები დამესხნენ, გამძარცვეს, მცემეს, ძლივს გადავრჩი. ვაგდიეარ ასე უპატრონოდ, მშიერ-

მწყურვალი, იქნებ მიშველო და მახლობელ სოფელში მიმიყვანოო. აუცვანია ყმაწვილს, მატყუარა ცხენზე შეუსვამს და თავად ფეხით გაძღოლია წინ. სწორედ ეს უნდოდა ცრუსაც. ჰკრა თურმე ცხენს დეზი და გაქუსლა. თან ნიშნის მოგებით შემოჰყიელა თურმე ჭაბუკს — ხომ წაგართვიო ცხენი. გაოგნებული ყმაწვილი ერთხანს ჩუმად მდგარა და მერე მატყუარასთვის უთხოვნია: გემუდარები, არავის უამბო, როგორ მომტაცე ცხენი, თორემ ადამიანი ნდობას დაკარგავს, ყველა ყველას ეჭვის თვალით შეხედავს და უნდობლობა ქვეყანას დააქცევსო.

ადამიანთა ურთიერთობა ნდობის თვინიერ წარმოუდგენელია. თუ ადამიანი ძუძუმტესაც არ ენდო, როგორღა იცხოვროს მან? ან საზოგადოება როგორღა იარსებებს უნდობლად? ნდობის თვინიერ ადამიანთა საზოგადოება ბაკში შერეკილ ჯოგს დაემსგავსება და თუ არ იფანტება, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალტა მაღალი მესრით არის შემორაგული.

ლამპარივით წმინდა სიყვარულმა და სიხარბისაგან თავისუფლებამ დაბადა ბათუს დიდბუნებოვანი საქციელი, მისი სულდიდობა...

ბათუს ადამიანური ბუნების სიღრმე განსაკუთრებით დასაფასებელია. ეს სიღრმე მოჩვენებითი და ცრუ კი არ არის, არამედ ნამდვილი, რადგან ბათუმ საფარ-ბეგის დანაშაულიც ასევე ბოლომდე შეიცნო. ბათუმ გამოძებნა სულიერი ძალა და არც საფარ-ბეგი დასაჯა, რაკი დაინახა, რომ დამნაშავე ალალად ნანობს დანაშაულს და ესმის მისი საქციელის არსი. საყურადღებოა ის, რომ ბათუ დანაშაულს არ ურიგდება. მას შეუძლია, დააფასოს დამნაშავის მონანიება, შეუძლია შეუნდოს, რაკი იგი თავად მიხვდა, რაც გააკეთა. დანაშაულთან შეურიგებლობამ გამოიწვია ის, რომ ბათუმ საფარ-ბეგი გამზრდელთან გაგზავნა.

დანაშაული შეგნებულია. შენდობის აქტიც აღსრულებულია, მაგრამ საფარ-ბეგის ბედი მაინც არ არის გადაწყვეტილი. იგი მოვალეა, ეახლოს გამზრდელს და შეულამაზებლად უამბოს ყველაფერი. ასეც მოიქცა საფარ-ბეგი.

როცა ჰაჯი-უსუბმა ნაამბობი მოისმინა, ნათლად დაინახა, რომ დაირღვა მყვასის მყვასისადმი სიყვარულის ჰარმონია. იგი ისევ რომ აღდგეს, აუცილებელია სასჯელი, რაც დაუვიწყარ გაკვეთილად დარჩება არა მარტო საფარ-ბეგს, არამედ ყოველ ადამიანს. ამიტომ სასჯელი სამაგიეროს მიზღვა კი არ უნდა იყოს, არამედ ზნეობრიობის დემონსტრაცია. ცხადია, ჰაჯი-უსუბს შეეძლო დაესაჯა საფარი, მოეკლა იგი, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ სამაგიეროს გადახდა, ერთი დანაშაულის შეცვლა მეორეთი, ბოროტების მოკვეთა ბოროტებით. სასჯელი მაშინ გახდებოდა ზნეობრივი აქტი, როცა იგი გამოიხატებოდა არა ახალი დანაშაულით, არა ძალდატანებით, არა ბოროტებით, არამედ იმის მაგალითის ჩვენებით, როგორი უნდა იყოს პატიოსანი ადამიანის დამოკიდებულება დანაშაული-

სადმი. ჭეშმარიტად პატიოსანია მხოლოდ ის ადამიანი, ვისაც მიაჩნია, რომ თავადაც აგებს პასუხს სხვისგან ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო.

ჩვეულებრივ, როცა ერთი ადამიანი სჩადის სიკეთეს, მას სხვებიც ეტმასნებიან და ყოველგვარად ცდილობენ ამა თუ იმ დოზით იყვნენ მისი თანაზიარნი. კეთილის თანაზიარობაზე არავინ ამბობს უარს, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი კეთილის ქმედებას წარმოადგენს კოლექტიურად, ერთიან საზოგადოებრივ აქტად. ბოროტის, დანაშაულის მიმართ ეს გრძნობა არ არსებობს. ბოროტი და დანაშაული ყოველთვის გვინდა წარმოვიდგინოთ, როგორც ინდივიდუალური ქმედება, გაველმიჯნოთ მას. ჩავთვალოთ, რომ დანაშაულს სჩადის ერთი, ინდივიდი, სხვა ყველა კი უმწიკვლო ვართ. მთლად ასე არ არის. როგორც კეთილს ვერ მოიმოქმედებს ადამიანი მარტოდმარტო და მას მოყვასის თანადგომა სჭირდება, ასევეა ბოროტიც. ვერც მას ჩაიდენს ინდივიდი მარტოდმარტო. მასაც სხვათა მხარდაჭერა სჭირდება. ამიტომ ბოროტების ქმედების თანაზიარი ყოველთვის არის საზოგადოება. მართალია, იურიდიულად სამართლის წინაშე ბოროტმოქმედი მარტო დგას, მაგრამ ზნეობრივი გასამართლების დროს, ინდივიდის გვერდით, საზოგადოებაც იგულისხმება. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ეს პიროვნების პასუხისმგებლობას ამცირებს და შეღავათს აძლევს...

საფარ-ბეგის მონანიების დროს ჰაჯი-უსუბმა თაეის თავი გაზრდილის დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნია და, ერთი შეხედვით, უცნაური და მოულოდნელი განაჩენი გამოიტანა:

შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!

და ჰაჯი-უსუბმა თავი მოიკლა. როგორც კი გაეითვალისწინებთ, რომ ჰაჯი-უსუბს გამოჰქონდა არა იურიდიული, არამედ ზნეობრივი განაჩენი, გასაგები გახდება მისი საქციელის სიმართლე და სისწორე. როგორც ვნახეთ, საფარ-ბეგის დანაშაულის საფუძველი ჯაჰი-უსუბმა თაეის თავში მოძებნა. ეს განაპირობა არა მარტო იმან, რომ ჰაჯი-უსუბი საფარის გამზრდელი იყო, არამედ უფრო მეტად იმის შეგნებამ, რომ ადამიანები მისტიკური ერთიანობით არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი. ერთის კეთილი მეორის კეთილიც არის და ერთის ბოროტი მეორის ბოროტიც არის.

ამრიგად, ჰაჯი-უსუბის პატიოსნება არის პატიოსნება, რომელსაც უნარი აქვს სხვისი დანაშაულის საფუძველი თაეისთავში იპოვოს და თავად აგოს პასუხი.

არც ხევისბერ გოჩას, არც ტარას ბულბას, არც მატეო ფალკონეს ეს უნარი არ გააჩნია.

ხეისბერმა დააყვედრა კიდეც შვილს – „მაშ ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასაგან მოძულებული, დედ-მამის საფლავიდგან ამომგდებო!..“ ვერც თემის თხოვნამ – „შენს შვილს ხეები არ გაუყიდია. მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუგდია..“ – შეანელა გოჩას მძინვარება. მამამ შვილი სატყეროთ გაანაწირა.

სრულიად გულგრილად, ისე, რომ ხელიც არ აკანკალებია, მოკლა შვილი ტარას ბულბამ. იგი დაჟურებს მკედარ შვილს ანდრის და ამბობს: „რით არ იქნებოდა კაზაკი?.. ტანი მაღალი, შავი წარბები, სახე ნაზი, კეთილშობილი, მკლავი მაგარი ბრძოლაში – და დაიღუპა! ძაღლივით უსახელოდ დაიღუპა!..“ ასე შვილზე კი არა, მტერზეც ვერ ილაპარაკებ. როცა ოსტაპმა ანდრის დამარხვა სთხოვა მამას, ტარასმა უპასუხა: „ცხენოდაც დამარხავენ. ჭირისუფლები და ნუგეშისმცემელნი გამოუნინდებიან!..“ მართალია, მერე ორიოდე წუთით კი დაფიქრდა – დაემარხა თუ არა შვილი, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ვეღარ მოასწრო, რადგან მტერი უტევდა და იძულებული გახდა, გაქცეულიყო.

როცა ანდრის ეადანაშაულებთ, ერთი რამ უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ: იგი შეაძრწუნა და შეძრა კაზაკების მიერ ალყაშემორტყმულ დუბნოში ნახულმა სურათმა...

ერთი მხრივ, ამ მძიმე მდგომარეობამ და მეორე მხრივ, პოლონელი ქალის სიყვარულმა ანდრი დააბნია. თავგზააბნეულმა ჭაბუკმა საბედისწერო ნაბიჯი გადადგა: თავისიანების წინააღმდეგ აღმართა მახვილი.

ტარას ბულბას კი არაფრის მხედველობაში მიღება არ სურს – არც იმის, რომ კაზაკები თავად იყვნენ თავდამსხმელენი, არც იმის, რომ ქალაქი საშიმშილოდ გაწირეს და იქ ჯოჯოხეთური პირობები შექმნეს, არც იმისა, რომ ანდრიმ დამშეული ადამიანები იხსნა.

ანდრი თავისი საქციელით უფრო კეთილშობილია, ვიდრე ტარასი. ტარასისათვის სრულიად უცნობია ადამიანის სამშვინველის რთული



კადრი ფილმიდან „ტარას ბულბა“

მოძრაობა. იგი კაზაკობის ბრმა ერთგულია და სხვისგანაც ამას მოითხოვს. ტარასის სჯერა, რომ, ვინც ამ ერთგულებას უღალატებს, იგი სიკედილის ღირსია. შვილსაც ამიტომ კლავს.

არც მატეო ფალკონე უწევს ანგარიშს გარემოებას. მისთვის არაეითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ფორტუნატო ბავშვია, რომ ბალღი იოლად გააბრიყვა გამოცდილმა და გაქნილმა ჯანდარმმა. არც შვილის ვედრებამ იმოქმედა მატეო ფალკონეზე. მან სრულიად მშვიდად მოკლა ფორტუნატო და ასევე აუღელვებლად უთხრა ცოლს – „...ახლავე დავასაფლავებ, მოკვდა, როგორც ქრისტიანი, მღვდელს ვაწირვინებ. ჩვენს სიძეს ტეოდორო ბიანკის უნდა შეეუთვალოთ, ჩვენთან გადმოვიდეს საცხ- ოვრებლად“.

შვილის მოკვლა მამის მიერ, რა პირობებშიც უნდა მოხდეს ეს, ანტიბუნებრივი მოვლენაა. ამგვარი პათოლოგიური შემთხვევა აღწერეს გოგოლმა, პროსპერ მერიმემ, ალ.ქაზბეგმა. თუმცა ქაზბეგი უფრო დამაჯერებლად ხატავს მამის მიერ შვილის მკვლელობის სურათს. ჯერ ერთი, ხვისბერი აფექტის დროს კლავს ონისეს. ე. ი. გოჩას საქციელი არაცნობიერია. ტარას ბულბასა და მატეო ფალკონეს ქმედება კი ცნობიერია. ისინი ამას წინასწარ მოფიქრებულად აკეთებენ, მეორეც, როგორც კი ხვისბერმა გააცნობიერა, რაც ჩაიდინა, იგი გაგიჟდა. ბუნებრივია, ჩადენილი აქტის სიეელურე თავზარდამცემია და ვერც ერთი ნორმალური გონება ვერ გაუძლებს მას.

თუ ზნეობრიობის თვალსაზრისით შევხედავთ ალ. ქაზბეგის, გოგოლის, პროსპერ მერიმეს აღწერილ შემთხვევებს, უნდა ვთქვათ, რომ არ არსებობს უფრო დიდი უზნეობა, ვიდრე მამის მიერ შვილის მოკვლაა (ან შვილის მიერ მამის მოკვლა). მაგრამ ხვისბერმა გოჩამ ზღო ეს დანაშაული, გამოწვეული ელდის დაცემით. მან გონება დაკარგა, თავადვე შეიქმნა თავისივე საქციელის მსხვერპლი. ტარას ბულბასა და მატეო ფალკონეს სულიერ სამყაროში შვილებისადმი თანაგრძნობის მისხალიც კი არ აღმოჩნდა.

ძველი აღთქმის დაბადების წიგნში (თავი 22) ნაამბობია: აბრაამს გამოეცხადა ღმერთი და უთხრა: – წაიყვანე შვილი შენი ისააკი მაღალ ქვეყანას და შესწირე მსხვერპლად უფალს. ადგა ადრე დილით აბრაამი, დააპო შეშა, შეკაზმა სახედარი, იახლა ორი მონა და, ისააკთან ერთად, გაემართა ღმერთის მითითებულ ადგილისაკენ. მესამე დღეს დაინახა აბრაამმა ადგილი, რომელიც უჩვენეს. იქვე დატოვა მონები და ვირი. დაუბარა მათ: წავალთ მე და ისააკი, თაყვანს ვცემთ და დავბრუნდებით. წაიღეს შეშა, ცეცხლი და დანა. ბიჭმა იკითხა – გვაქვს შეშა და ცეცხლი, მაგრამ სად არის სამსხვერპლო ცხვარი? მამამ უპასუხა: ღმერთმა თავად უწყის, რომელია ტარიგი. მივიდნენ მინიშნებულ ადგილას. აბრაამმა გააკეთა საკურთხეველი, დააწყო ზედ შეშა, შეკრა ისააკი და დააწვინა

სამსხვერპლოდ. აღმართა დანა შვილის დასაკლავად, მაგრამ უფლის ანგელოსმა მოუწოდა აბრაამს – ნუ მოკლავ ჭაბუკს, ვხედავ, როგორ გშინებია ღმერთის, რაკი არ შეიბრალე ერთადერთი ძეც. აღაპყრო თვალნი აბრაამმა და უკან დაინახა ვერძი, ჯაგნარში რქებით გაბმული. დაიჭირა იგი, შესწირა ღმერთს შვილის მაგიერ და უწოდა იმ ადგილს იეჰოვა-ირე, რაც ნიშნავს „უფალმა იხილა“.

ანდა ბერძნულ მითს დავაკვირდეთ.

ამბავი მაშინ მოხდა, როცა ბერძნები ტროაში მიდიოდნენ საომრად. ელინთა სარდალმა აგამემნონმა შველს ისარი ესროლა. შველი თურმე ქალღმერთ არტემიდეს ეკუთვნოდა. ატრეუსის ძის თავხედობამ განარისხა ქალღმერთი. მან პირქარი მოუვლინა ბერძენთა ხომალდებს და ტროასკენ წასვლის საშუალება მოუსპო. აგამემნონი იძულებული გახდა, შეევედრებოდა არტემიდეს და საშინელი ფიცი მიეცა. თუ ზურგქარს მოგვიელენ და ომშიაც დაგვეხმარები, ღვიძლ ქალიშვილს იფიგენიას შემოგწირავო ზვარაკად. მამამ ჩამოიტყუა შვილი დაპირებით – აქილევსს უნდა გაგაყოლოო ცოლად. გათხოვების მაგიერ, აგამემნონმა არტემიდეს ბაგინზე გაგზავნა შვილი მსხვერპლად, მაგრამ ქალღმერთს შეებრალა უმანკო ასული და საკურთხეველზე შველით შეცვალა იგი. მერე იფიგენია ტაერიდში წაიყვანა ქალღმერთმა და ქურუში გახადა.

სხვათა შორის, პომპეიში არსებობდა ანტიკური ფრესკა (ამჟამად ნეაპოლის ეროვნულ მუზეუმშია გადატანილი), რომელზეც ასახულია იფიგენიას ზვარაკად მიყვანა. იფიგენია ორ მონას უჭირავს ხელში და ბაგინისაკენ მიჰყავთ. მოშორებით, შვილისაკენ ზურგშექცეული დგას აგამემნონი. მას ხელი აქვს თვალზე აფარებული და სახე არ უჩანს. სპეციალისტები ამბობენ, რომ აგამემნონის ამგვარი გამოსახვა მხატვრის დიდ ნიჭიერებას მეტყველებსო. არავის ძალუძს გეითვენოს დამაჯერებლად მამის ტანჯვა, როცა იგი შვილის სიკვდილს უყურებს (მით უმეტეს, მკვლელობას). ამიტომ, როგორც უნდა დაეხატა მხატვარს აგამემნონის სახე, მაინც უკმარობის გრძნობას დაუტოვებდაო მაყურებელს. ახლა კი, როცა მის სახესა და თვალებს ვერ ხედავს, თავად შეძლებისამებრ შეუძლია წარმოიდგინოს მამის ტანჯვა.

ალბათ, ამიტომ არის, რომ ყაზბეგმაც, გოგოლმაც, მერიმემაც მამების საქციელი აღწერეს, მაგრამ არ გადმოუცია მათი სულის მოძრაობა შვილის მკვლელობის დროს. არც ერთი მათგანი არ შეეჭიდა შეუძლებელს.

დღესაც ით ნათელია ორივე მითის აზრი: მამის მიერ შვილის მოკვლა ღმერთისათვის არასასურველი საქციელია. არაფერს ცელის ის გარემოება, რომ ისააკი და იფიგენია უდანაშაულონი იყვნენ. მართალია, ეს თითქოს აძლიერებს მამების ულმობელობას, მაგრამ ახლა ხომ იმის გამო არ ვმსჯელობთ – რომელი მამა უფრო შეუბრალებელია, ის, ვინც უდან-

აშაულო შვილს იმეტებს მსხვერპლად, თუ ის, ვინც დამნაშავე შვილს ჰკლავს. უმთავრესად ის მიმაჩნია, რომ შვილის მოკვლით მამა არსებითად თვითმკვლელობას სჩადის, რამეთუ ანადგურებს საკუთარ მომავალს. ეს ნათლად იხატება ალ.ყაზბეგის მოთხრობაში, როცა ონისეს მოკვლის შემდეგ გოჩა გიჟდება. მართალია, „ტარას ბულბასა“ და „მატეო ფალკონე“ში“ მომავლის განადგურების მოტივი უშუალოდ არ ელინდება, მაგრამ თავისთავად იგულისხმება. ტარას ბულბა მტრებს რომ არ დაეწვათ, სულერთია, მაინც ძირამოგდებული, უმომავლო კაცია. იგი ქვეცნობიერად გრძნობს ამას, როცა ყველა ღონეს ხმარობს, იხსნას მეორე შვილი. ასევეა დაქცეული მატეო ფალკონეს მომავალი. იგი იძულებულია, სხვას მოუხმოს, ოჯახი რომ ჩააბაროს.

ამრიგად, მამამ, რომელმაც შვილი მოკლა, არსებითად ჩაიდინა თვითმკვლელობა (ე. ი. გაიმეორა პაჯი-ესუბის საქციელი), მოისპო მომავალი, დაარღვია ბუნების კანონი (მამა უნდა მოკვდეს, შვილი დარჩეს) და გაწყვიტა დროთა კავშირი.

ლიტერატურაში ამ პრობლემას ეწოდება ანტიდაბადება ან არსებობის მარადისობის რღვევა.

აკაკი წერეთლის გამზრდელი სჯის დანაშაულს, მაგრამ არ არღვევს არსებობის მარადისობის კანონს. წარსულის სახელით არ კლავს მომავალს.

თუ შვილების მიმართ ასე დაუნდობელნი არიან ტარას ბულბა და მატეო ფალკონე, როგორიღა იქნება მათი დამოკიდებულება საერთოდ მოყვასისადმი?

მათ ქმედებას შეუბრალებლობა და დაუნდობლობა წარმართავს და არა სიყვარული. ორივე სრული უარყოფაა ზნეობრივი პრინციპისა –



კადრი ფილმიდან „აკაკის აკეანი“. საფარ-ბეგის როლში მსახიობი ედიშერ მაღალაშვილი

„უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმა მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი“. უცოდველი კაცი კი ამქვეყნად არ არსებობს. გაიხსენეთ სახარების იგავი. ხალხს ერთი დედაკაცი შეეპყრო. ამ ქალს მრუშობა ედებოდა ბრალად. იგი იესოს მიჰგვარეს და უთხრეს: მოძღვარო, ეს ქალი მეძავია. მოსეს სჯულის თანახმად, იგი ქვით უნდა ჩაიქოლოს. რას იტყვით? იესომ თავი ჩაქინდრა. იგი თითით მიწაზე რაღაცას წერდა და დუმდა. მერე თავი ასწია და ხალხს უთხრა: თქვენ შორის ვინც უცოდველია, პირველად მან ესროლოს ამ დედაკაცს ქვა. და ისევ ჩაღუნა თავი. არავინ აღმოჩნდა უცოდველი. ყველა ჩუმად გაიპარა. დარჩნენ მარტონი ქრისტე და ქალი იგი. როცა იესომ ისევ ასწია თავი, მიმოიხედა და ვერავინ იხილა, ჰკითხა მან მეძავს: „სადა არიან შემასმენელნი შენნი? არავინ განგიკითხა შენ? დედაკაცმა მიუგო: არავინ, უფალო. მაშინ იესომ ეს თქვა: არც მე განგიკითხავ შენ. წარედ და ამიერიდან ნუღარა სცოდავ“ (იოანე, VIII, 3–11).

თუ უფალიც კი ცდილობს, არ განიკითხოს ცოდვილი, კაცს ვინ მისცა ამის უფლება? მაგრამ უსაზღეროა ადამიანის ამპარტავნება და მუდამ ცდილობს, სხვათა მსაჯულის როლი იკისროს. ეს კი ხშირად ხდება დანაშაულის საფუძველი.

როგორც ონისეს მოკლა არის ხეისბერის დასჯაც, ასევე იქნებოდა ჰაჯი-უსუბის დასჯაც საფარ-ბეგის მოკლა. ამიტომაც ამჯობინა გამზრდელმა თვითმკვლელობა. აკაკი წერეთელი აქ ქრისტიანული მითის მოდელს იმეორებს. ადამიანთა ცოდვის გამოსყიდვის მიზნით ძე ღმერთმა თავი გაწირა – ჯვარს ეცვა. საკუთარი სისხლითა და ხორცით ზღო სხვათა დანაშაული. ასევე საკუთარი სიცოცხლით გამოისყიდა ჰაჯი-უსუბმა საფარ-ბეგის დანაშაული. შეცდომა იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობა აორკეცებს საფარ-ბეგის დანაშაულს. ეს თვითმკვლელობა საფარ-ბეგის სამშვინველის განწმენდას იწვევს. კაცი, რომელსაც დანაშაულის გაცნობიერება შეუძლია, ვერ დარჩება გულგრილი ჰაჯი-უსუბის საქციელისადმი. საფარ-ბეგს კი დანაშაულის გაცნობიერება ძალუძს. ამას მოწმობს ისიც, რომ იგი სასიკვდილოდ გამზადებული, თავდახრილი იდგა ბათუს წინაშე და ისიც, რომ გამოცხადდა გამზრდელთან და თავად უამბო ყველაფერი. ასეთი ადამიანი ჰაჯი-უსუბის სიკვდილის მერე სხვანაირად და სხვა ზნეობით იცხოვრებს. ჰაჯი-უსუბი მარტო სიცოცხლეში კი არ იყო საფარ-ბეგის მოძღვარი, არამედ – სიკვდილშიაც. მან სიკვდილით გაცილებით მეტი ასწავლა საფარ-ბეგს, ვიდრე, ალბათ, ცხოვრებით. წარსულმა (ჰაჯი-უსუბმა) მომავალს (საფარ-ბეგს) პატიოსანი არსებობის უკვდავი გაკვეთილი მისცა.

ამ მოდელს დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ვლინდება, რა პრინციპით ცხოვრობს ადამიანი – დანაშაულის გამოსყიდვისა თუ შურისგების?

ცალკეული პიროვნება იქნება თუ მთელი საზოგადოება, არ შეიძლება ცხოვრობდეს შურისგების პრინციპით. ასეთი პიროვნება და საზოგადოება უმომავლოა. დანაშაულის შენდობა-პატიებისა და გამოსყიდვის პრინციპი კი მეტყველებს მოყვასის სიყვარულზე. სიყვარულით შედუღაბებული საზოგადოება კი მტკიცეა და მომავლიანი.

„გამზრდელის“ პერსონაჟებისათვის პრინციპია შენდობა და დანაშაულის გამოსყიდვა. აკაკის აზრით, დანაშაულის ზნეობრივი გამოსყიდვა ადამიანს შეუძლია მონანიებითაც (საფარ-ბეგი), პატიებითაც (ბათუ) და თვითდასჯითაც (ჰაჯი-უსუბი). შურისძიებით კი დანაშაული არ გამოისყიდება. როგორც ზემოთ ითქვა, მხოლოდ დანაშაულის ერთი სახეობა შეიცელება მეორეთი. ამიტომ ჰაჯი-უსუბის ზნეობრივი პრინციპი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ხევისბერის, ტარას ბულბასა და მატეო ფალკონესი.

ფიქრი და დისკუსია

გაიაზრეთ

1. ვინ არიან ავტორები იმ ნაწარმოებებისა, რომელთა გმირების ხასიათზეც მსჯელობს აკაკი ბაქრაძე?

2. ეთანხმებით თუ არა ავტორს, რომ ჩამოთვლილი პერსონაჟების მიმართ მკითხველი არ არის უარყოფითად განწყობილი? რატომ?

3. როგორ ფიქრობთ, მიხვდა თუ არა საფარ-ბეგი დანაშაულის მთელ სისაძაგლეს, როცა დილით ბათუმ გააღვიძა?

4. შეიძლება თუ არა საფარ-ბეგში აღორძინებული პატიოსნების ტრაგედიის შესახებ მსჯელობა?

5. რის გამო აღიარა ონისემ თემის წინაშე თავისი დანაშაული?

6. რატომ არ განიცადა ანდრი ბულბამ ღალატის გამო სინდისის ქენჯნა?

7. რა ხარვეზები აქვს განხილული პერსონაჟების სულიერ სამყაროს?

8. რა ეერ განუსხვავებია ერთიმეორისაგან საფარ-ბეგს? რა შეცდომას უშვებს სიყვარულის გზაზე ონისე? რას ადარებს ანდრი ბულბა ქალის ტრფობას?

9. სამშობლოს სიყვარულის გარდა, რა გრძნობა იღვიძებს ონისეში?

10. რისი მსხვერპლი ხდება პატარა ბიჭი ფორტუნატო?

11. რა სურვილი ამოძრავებთ და რატომ ნუგზარ ერისთავსა და ტარას ბულბას? როგორ შეძლეს მათ ომის პროვოცირება?

12. რატომაა მოვალე საფარ-ბეგი, ეახლოს გამზრდელს?

13. როგორ იქცევა, ხევისბერი გოჩასა და მეტეო ფალკონესგან განსხვავებით, ჰაჯი-უსუბი?

გააანალიზეთ

14. რამდენად ემსგავსება ერთმანეთს საფარ-ბეგსა და ონისეში აღორძინებული პატიოსნების ტრაგედია? არის თუ არა მათთვის ჭეშმარიტება უფრო ძვირფასი, ვიდრე – საკუთარი სიცოცხლე?

15. როგორი დამოკიდებულება აქვთ თავიანთი სამშობლოს მიმართ ონისესა და ანდრი ბულბას?

16. შეიძლება თუ არა ფორტუნატოსა და ზია-ხანუმის სიხარბის ერთიმეორესთან შედარება? რამდენად მსგავსი საფუძველი აქვს, ერთი მხრივ, ნუგზარ ერისთავის და, მეორე მხრივ, ტარას ბულბას დაპყრობის, მოხვეჭისაკენ სწრაფვას?

17. რატომ შეძლო ბათუმ ძიძიშვილისთვის დანა'შაულის შენდობა? რას გვასწავლის აეტორის მიერ მოთხრობილი მეგრული თქმ'ულება?

18. რა დაირღვა, ჰაჯი-უსუბის აზრით, ადამიანურ ურთიერთობა'ში?

19. რა ასპექტით აქვს განხილული აეტორს სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება და როგორია მასში ადამიანის პიროვნული პასუხისმგებლობა?

20. რატომ იკლავს თავს ჰაჯი-უსუბი, ხევისბერ გოჩასა და მატეო ფალკონესგან განსხვავებით? რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ მათი საქციელი?

21. რატომ არის ანტიბუნებრივი მამის მიერ შვილის მოკვლა? რა გრძნობა წარმართავს ამგვარ საქციელს?

22. ჩამოთვლილი დაწყვილებული პერსონაჟების ურთიერთმიმართებიდან რომელია ზნეობრივად უფრო გამართლებული.

ჰაჯი-უსუბი – საფარ-ბეგი
ხევისბერი გოჩა – ონისე
ტარას ბულბა – ანდრი
მატეო ფალკონე – ფორტუნატო

განაზოგადეთ

23. იმსჯელეთ, შეიძლებოდა თუ არა, დასახელებულ პერსონაჟებს თავიდან აეცილებინათ დანა'შაული? თუ არ შეიძლებოდა, ახსენით – რატომ?

24. როგორაა გამოვლენილი ადამიანის უარყოფითი თვისებები ჩამოთვლილ პერსონაჟებში: ფორტუნატო'ში, ზია-ხანუმ'ში, ნუგზარ ერისთავსა და ტარას ბულბაში? როგორ შეიძლება განვრიდოს ადამიანი დანა'შაულს?

25. აკაკი ბაქრაძე წერს: „ადამიანები მისტიკური ერთიანობით არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი“. გავიხსენოთ გურამ დოჩანა'შვილის რო-

მანიდან „სამოსელი პირველი“ მიჩინიოს ეტლით მგზავრობის ეპიზოდი. იმსჯელეთ, რამდენად ეხმაურება მიჩინიოს მიერ დომენიკოსთან საუბრისას გამოთქმული მოსაზრება ზემომოყვანილ თვალსაზრისს.

26. იმსჯელეთ ესეში დასახელებული თხზულებებიდან, ბიბლიიდან და ბერძნული მითოლოგიიდან მოყვანილ მაგალითებზე და ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი, თუ რას გვასწავლიან ისინი. შეგიძლიათ დამატებითაც მოიყვანოთ თქვენთვის ცნობილი სხვა პარალელური ისტორიები.

27. რატომ არ შეიძლება განიკითხოს ერთმა ადამიანმა მეორე? აქვს თუ არა ამის უფლება სახელმწიფოს და რა ზღვარამდე?

კრიტიკული ფიქრი და აზროვნება

ავტორის მიზნის გააზრება ესეს წერისას

როდესაც ავტორი ესეს წერას იწყებს, მას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული თავისი მიზანი. მაგალითად, იგი შეიძლება იყოს გარკვეული ინფორმაციის მიწოდების, მკითხველის ლიტერატურული ანალიზით დარწმუნების ან სხვადასხვა დეტალზე ყურადღების გამახვილების სურვილით განპირობებული. როგორ ფიქრობთ, რა არის აკაკი ბაქრაძის მიზანი ამ ესეს წერისას? სურს თუ არა ავტორს,რომ სხვადასხვა ლიტერატურულ პრობლემაზე მაინცდამაინც ისე იფიქროთ, როგორც ეს ესეშია ჩამოყალიბებული? რა შთაბეჭდილებას ახდენს აკაკი ბაქრაძის ესე თქვენზე?

მთავარი აზრის განმტკიცება

მთავარი აზრის გასამყარებლად ავტორი თავის ნაშრომში ხშირად სხვადასხვა ლიტერატურულ,ფოლკლორულ თუ ისტორიულ პარალელს იყენებს, რომლებიც გარკვეულ აღწერას, ფრაზებს, მაგალითებს ან გადმოცემებს შეიცავენ, მთავარ იდეას გამოკვეთენ და ცხადყოფენ. აკაკი ბაქრაძის ესეში, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, მთავარი იდეა სათაურშიცაა წარმოდგენილი.

მოიყვანეთ ორი მაგალითი ამ კრიტიკული ესედან, რომლებიც მთავარ იდეას განამტკიცებენ.

წერა და ფიქრი

დავუშვათ, რომ ხვეისბერი გოჩა, ტარას ბულბა და მატეო ფალკონე ისე არ მოიქცნენ, როგორც ნაწარმოებებშია აღწერილი. თქვენვე წარმოიდგინეთ მათ მიერ გამონახული სხვაგვარი გამოსავალი და ჩამოაყალიბეთ საკუთარი აზრი ამგვარი გაგრძელებიდან გამომდინარე.

ქვემოთ წარმოდგენილია არგენტინელი მწერლის, ველმირო აიალა გაუნას (1905-1967 წ.წ.) მოთხრობა „ბებია“. წაიკითხეთ ნაწარმოები, რის შემდეგაც უპასუხეთ მოცემულ კითხვებს.

ბებია

(თარგმნა ლამარა თურმანიძემ)

მაიდანას რანჩო ლოს-პათოსის ხეობის განაპირას იდგა, სოფელთან ახლოც იყო და არც იყო ახლოს. იმდენად ახლოს კი იყო, რომ მეპატრონეები სოფლის საქმეებში ჩარეულიყვნენ, დავასა და კამათში გადამწყვეტი სიტყვა ეთქვათ და თანასოფლელთა ლხინიც გაეზიარებინათ. მაგრამ იმდენად შორსაც იყვნენ, რომ დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ და, ტროპიკულ ტყესა და მდინარეს შეფარებულებს, არც ხელისუფალთა შიში ჰქონოდათ და არც მტრისა.

რანჩო და მისი შემოგარენი ძველთაგანვე მაიდანას ეკუთვნოდა. მრავალი წლის მანძილზე მათი გვარი ოლქის სრულუფლებიან მბრძანებლად ითვლებოდა. იქ ერთადერთი კანონი მაიდანას კანონი იყო, რომელსაც იარაღით ატარებდნენ და იარაღით იცავდნენ.

თუმცა ის დრო დიდი ხანია წავიდა. საგვარეულოს მამაკაცები ბრძოლებსა და შეტაკებებში იღუპებოდნენ, მაგრამ ოდითგან მოსდგამდათ, სიკუდილის წინაშე წარბი არ შეეხარათ, როგორც „ჭეშმარიტ ვაჟკაცებს“, როგორც „ნამდვილ მაიდანებს“. ბაბუა კრისანტო მაიდანა ბერონ დე ასტრადასთან ერთად პაგო-ლარგოსთან ბრძოლაში დაეცა. უბედურების მეორე დღეს შვილებმა მამის უთავო ტანი იპოვეს და ტოტებგაშლილი მიმოზის ქვეშ დაასაფლავეს.

ვენსესში მძიმედ დაჭრილი რიტო მაიდანა სისხლისგან დაიცალა სახლისკენ მიმავალ გზაზე და უნაგირზე მოკვდა. როცა უსულო პატრონი ძირს ჩამოვარდა, ცხენი გაჩერდა და მთელ ღამეს ყარაულობდა. სეგუნდო მაიდანა კურუპაიტის სანგრებში ნაღმის შრაპნელებმა ნაფლეთებად აქცია, ხოლო უმცროსი, ანდრესი, ცეკვების შემდეგ ქალის გამო ამტყდარ ჩხუბში დაიღუპა.

ერთხელ, როცა პარაგვაელები გენერალ რობლესის მეთაურობით კორიენტესის მხრიდან ლოს-პათოსის ხეობაში გამოჩნდნენ, სამი მზეერავი ჯარისკაცი ღამით მაიდანას რანჩოს მიადგა. შინ მხოლოდ სეგუნდოს მეუღლე დონა ემეტერია იყო. თვითონ სეგუნდო კი დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძოდა და მთებში იმალებოდა. ჯარისკაცებმა დაინახეს, რომ ქალი მარტო იყო და მისი ნამუსის ახდა მოინდომეს. ქალბატონმა ემეტერიამ კედლიდან ქმრის დანატოვარი მახვილი ჩამოხსნა და ვაჟკაცურად იცავდა თავს. ერთი მათგანი მძიმედ დაჭრა კიდეც. ჯარისკაცები შეაშინა მისმა სიმამაცემ და დაჭრილიც წაიყვანეს, ოღონდ სახლის გადაწვა მოასწრეს, ოთხივე მხრიდან შეუნთეს ცეცხლი და სახლიც აბრიალდა.

მეზობლების დახმარებით ქალმა სამასიოდე მეტრის დაშორებით ახალი სახლი ააშენა, მთებთან არცთუ მოშორებით, რათა ქმრის სამალავთან ახლოს ყოფილიყო. დღესაც მისი გმირობის უტყუე მოწმეებად დგანან რანჩოს დამწვარი კედლები.

ახალ სახლში ცხოვრობდნენ დონა ემეტერია, რომელიც, მიუხედავად ორმოცდაათი წლისა, საკმაოდ ჯანმაგარი ქალი იყო და მისი შვილიშვილები — ბიჭი და გოგო. ისინი მისმა ერთადერთმა ვაჟმა, სანტოსმა, დედაქალაქიდან ჩამოუყვანა, „ჭეშმარიტ მაიდანებად" აღზარდეო. სანტოსს სიტყვაც არ დასცდენია, თუ ვინ იყო ბავშვების დედა და რა ბედი ეწია მას. რამდენიმე თვის შემდეგ პოლიციის ინსპექტორმა მოხუცს უთხრა, შენმა სანტოსმა კაცი და ქალი დახოცა და ჩაკოში გაიქცაო.

როცა ინსპექტორი მოვიდა, დონა ემეტერია როდინ'ში სიმინდს ნაყაყედა. ქალმა გულგრილად მოუსმინა და საქმე განაგრძო.

დონა ემეტერიას შვილიშვილი, როზა სანდომიანი და მუყაითი ქალიშვილი დადგა. იგი ბებიას მარჯვენა ხელი იყო. მისი ზრუნვისა და შრომის წყალობით შეინარჩუნეს ის მცირედი, რაც ოდესღაც დიდი მეურნეობიდან შემორჩათ. აი, მეორე შვილიშვილი სანტიტო კი ადარდებდა მოხუცს. მოხდენილი ყმაწვილი იყო და ბებიაც უყვარდა, მაგრამ მუშაობას ვერ გააგონებდით, უხრუნველი ცხოვრება ერჩია. ვერ იტანდა ცხენოსნობას და მსგავს მამაკაცურ საქმიანობას. ჭაბუკი ძმა-ბიჭების საუბარს თავს არიდებდა და დაცინვასა და გესლიან ხუმრობაზე ყურს იყრუებდა. აგერ უკვე თერამეტისა გახდა, მაგრამ იშვიათად თუ შეიხედავდა სამიკიტნოში და დანასაც არ ატარებდა. არც ქალიშვილები იზიდავდნენ.

„ნებიერ ქალიშვილს უფრო ჰგავს, — გაიფიქრებდა ხანდახან ბებია, მაგრამ ასეთ ფიქრებს ახლოს არ იკარებდა,—არა, არ შეიძლება, ის ხომ წმინდა სისხლის მაიდანაა.. ახალგაზრდაა, დაუდუღარია... მოვა დრო და დავაჟკაცდება..."

ბოთლის ყელში ჩარჭობილი ქონის სანთელი ოთახს ანათებდა. დონა ემეტერია მაგიდასთან იჯდა და სოფელში ცეკვებზე წასული შვილიშვილების მოლოდინში დროის მოსაკლავად პაპიროსს პაპიროსზე ახვევდა. სანტიტოს წასვლა არ უნდოდა, მაგრამ დამ ისე დაჟინებით სთხოვა, რომ უარი ვეღარ უთხრა. ბებიამაც დაარიგა:

- უნდა წახვიდე. უკვე დროა, მაგან საქმრო ი'შოყოს, თორემ სულაც გაუთხოვარი დაარჩება...

- ბებია... - შეესიტყვა როზა.

- რა იყო! ასეა დაწესებული, ჩემო გოგონა...

- თავს ნუ იკატუნებ! - ჩაერია ძმა, - რეიესების ზეიმზე ზენონთან სეირნობდა, ბიჭი ბებიას მიმართავდა. ტკიპი რომ მიეკერება, ისე ჰყავდა ჭაბუკი კალთაზე მიკრული.

- თავი დამანებე ერთი. ის ისეთი გაუთლელია... როგორც— შერცხვა ქალიშვილს და მეორე ოთახში გავარდა.

მოხუცს ეღიმებოდა, ეს ამბავი რომ ახსენდებოდა. უცბათ კარი გაიღო და ზღურბლიდან როზამ დაიყვირა, სულს ძლივს ითქვამდა.

- ბებია!.. ბებია!.. გადამწვარ რანჩოსთან ზენონი მდარაჯობდა და გაუპატიურება მომინდომა...

- მართლა? მერე?

- სანტიტო მომეშველა და აგერ იქ ჩხუბობენ...

მოხუცმა შვებით ამოისუნთქა.

- ჩხუბობს? ბოლოს და ბოლოს ბიჭი დაამტკიცებს, რომ მაიდანას სისხლი უდღეს!.. უცებ გაახსენდა, - ჩხუბობენ? რითი? სანტიტოს ხომ დანა არ აქვს?

არც დაფიქრებულა, განსვენებული ქმრის მახვილი კედლიდან ჩამოგლიჯა და შვილი'შვილის მისახმარებლად გაეარდა.

ქალი ბორძიკობდა, ეცემოდა, მაგრამ მახვილის ტარი ჩაებღუჯა და მინდორზე გარბოდა. გადამწვარი რანჩოს ნანგრევებთან დონა ემეტერიამ სიცილი და კვნესა გაიგონა...

ში'შისგან გული შეეკუმშა.

- ხომ არ მომიკლეს ის საწყალი!

მოხუცი დანგრეულ სახლში შეეიდა. დაინახა, რომ მისი შვილი'შვილი შუაოთახ'ში მუხლებზე იდგა და სლუკუნებდა. ზენონი მას უმოწყალოდ სცემდა.

ქალი რომ დაინახა, გაჩერდა.

მოხუცი შვილი'შვილთან მივიდა და მახვილი გაუწოდა.

- აიღე, შვილო, თავი დაიცავი!

მაგრამ სანტიტო მუხლებზე მოეხვია და აწ'ეწ'უნდა:

- არა, ბებია, არა, მომკლავს...

ბიჭი კრაყვით კანკალებდა და კაბის კალთაზე ეკვროდა.

- ჰაჰაჰა!.. განა ამ ქალაჩ'უნას თავის დაცვა შეუძლია! გადაიხარხარა ზენონმა და ზიზღით გადააფურთხა.

დონა ემეტერია, თითქოს სილა გააწნესო, შეურაცხყოფისაგან შეკრთა. მის მეხსიერებაში ეაჟკაცური სიკედილით დაცემული ყველა მაიდანა აღსდგა. როგორი ზიზღით შეხედავდნენ ისინი ახლა თავიანთ 'შთამომავალს, რომელმაც ოჯახის სიწმინდის დაცვა ვერ შეძლო!

მოხუცმა შემართა მახვილი, რომლითაც ოდესღაც მისი ნამუსის შებღალვის მოსურნე სამი ჯარისკაცი უკუაქცია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შვილი'შვილს თავში სიბრტყით დაარტყა.

სანტიტო იატაკზე ჩაიკეცა და გონება დაკარგა.

შემდეგ როკაპივით საზარელი დონა ემეტერია ზენონს მიუბრ'უნდა.

- ახლა კი თავი დაიცავი, ავაზაკო!

- ჰმ!.. ესღა მაკლია, ქალებს შევებრძოლო, -- უპასუხა ზენონმა და კარისაკენ გაემართა.

მაგრამ დონა ემეტერიამ ხმალი მოიმარჯვა და გზა გადაუღობა.

- გადარეულო მოხუცო, აბა, გამატარე!

მაგრამ დარტყმამ იგი კედელს მიანარცხა. განრისხებულმა ზენონმა მახვილი იძრო და დამწვარი ქოხის ბინდბ'უნდ'ში, რომელსაც მხოლოდ მთვარის მოყვითალო შუქი ანათებდა, არაჩვეულებრივი ბრძოლა გაიმართა.

დონა ემეტერია, თითქოს გაახალგაზრდავდაო, მკვირცხლად და მოხერხებულად იქნევდა იარაღს და შეურაცხმყოფლის სახეზე სისხლის კვლებს ტოვებდა.

დასაწყისში ზენონი მხოლოდ თავს იცავდა. მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ მისი სოცოცხლე საფრთხეში იყო, დრო იხელთა და მოხუცს ეტაკა, რათა სასიკვდილოდ ეძგერებინა ხმალი.

დონა ემეტერია მიუხედა, მარჯვედ აიცდინა დარტყმა, თვითონ შეუტია და მტერს შიგ მკერდში დაუმიზნა. ზენონმა თაიი ვერ შეიმაგრა და თვითონ წამოეგო მახვილს. იარაღი სხეულში ღრმად შევიდა. ზენონს პირიდან სისხლის ნაკადი წასკდა და უსულოდ ჩაიკეცა სანტიტოს გვერდით. დონა ემეტერიამ შეურაცხმყოფელს მკერდიდან მახვილი ამოაძრო და შვილი'შვილთან მუხლი მოიყარა. დასახმარებლად წამოსული ხალხის ხმამ მის ყურამდე მიაღწია. მან დაკოჟრებული ხელებით სანტიტოს გული მოუსინჯა და შვილიშვილს მკერდში იარაღი ტარამდე უყოყმანოდ ჩაასო, შემდეგ ამოგლიჯა და გვამებს შორის დააგდო.


როზას მოყვანილ მეზობლებს დონა ემეტერია ქოხის კარებში შეხვდა.

-აქ არიან, ორიეე მკედარია... - თქვა მან.

- მკვდარი! - ამოიგმინა როზამ და აქვითინდა. -საწყალი სანტიტო!..

საწყალი? რატომ საწყალი? - დაიჭექა მოხუცმა. - იგი ჩვენებური კანონით მოკვდა, როგორც ნამდვილი ვაჟკაცი, როგორც ნამდვილი მაიდანა.

გლეხებმა სანტიტოს გვამი ლაბადაზე დადეს და რანჩოში წაიღეს. მათ წინ პირქუშად და გულგრილად მიაბიჯებდა ბებია.



გაიაზრეთ, გაანალიზეთ, განაზოგადეთ

1. როგორ დაახასიათებთ მაიდანას გვარს?
2. რომორი თვისებებით გამოირჩეოდა სანტიტო?
3. რისი იმედი ჰქონდა სანტიტოს შემყურე დონა ემეტერიას?
4. ამართლებთ თუ არა ბებიის საქციელს?

დავალება

ოთხ-ხუთაბზაციან ესეში ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი დონა ემეტერიას მსგაესება-განსხვაებაზე ხვეისბერ გონასთან, მატეო ფალკონესა და ტარას ბულბასთან.

ბიოგრაფია



რევაზ სირაძე

(1936-2012 წ.წ.)



მეცნიერი, მწერალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ სირაძე დაიბადა 1936 წლის 3 ივნისს ო'სურგეთში. დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. იგი მასწავლებელი და აღმზრდელია მრავალი თაობისა. იყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი (1991-1992 წწ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი. ავტორია მრავალი მონოგრაფიული გამოკვლევისა, სამეცნიერო ნაშრომის და კრიტიკული წერილის.

რევაზ სირაძე

ქართული ჩუქურთმა და მზე

(თავი წიგნიდან „სახისმეტყველება“)

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“.

გალაკტიონი

მითოსური ესთეტიკა საუკუნეთა მანძილზე კვებავდა ქართულ ხელოვნებას. ამას ნათელყოფს ქართული ჩუქურთმა.

ჩვენი ტაძრების თაღებს და სარკმელებს ამშვენებს ჩუქურთმა. განსაკუთრებით ცნობილია სამთავროს ტაძარი, ნიკორწმინდის, ფიტარეთისა და წულრუღაშენის ჩუქურთმები. ბექა და ბეშქენ ოპიზარებმა წიგნების ყდები შეამკეს ჭედური ჩუქურთმებით. მათი ხელუსები განუმეორებელია. ყველგან იგრძნობა ქართული ხასიათი. სულ სხვაგვარი ხაზებითაა მოწნული ბერძნული ან რუსული ჩუქურთმები.

ქართულ ჩუქურთმაში არის ერთი მთავარი ხაზი, რომელიც ვაზის მიმოხრას გეაგონებს. ასეთი ხაზები ისე ეხვევიან ერთმანეთს, როგორც ვაზი ჭიგოს. ის თითქოსდა ჰგავს ასო ზ-ს მოხაზულობას,ანდა ლათინურ S-ს. ქართული ჩუქურთმის ხვეული ხაზი ვაზის მიმოხრას ასახავს. ხშირად ქართულ ორნამენტში ვაზის ფოთლები ან მტევნებია ჩახატული. ასეა მოხატული დავით აღმაშენებლის სამეფო სამოსი გელათის ფრესკაზე, ვაზის მტევნებია სვეტიცხოველის დასავლეთის ფასადზე. ის კი არადა, სულ უძველეს ძეგლებზეც ასეთი ხაზი ჩანს. სწორედ ასეთი მოხაზულობაა უძველესი ხანის თრიალეთის თასზე, უძველეს ბალთებზე, სვეტისთაების ორნამენტებზე, ქართულ ნაქარგობაზე, ძველ ხელნაწერებში ჩართულ ნახატებზე, ტრადიციული ქართული ოდის ორნამენტებზე.

ქართულ ჩუქურთმაში ჩანს ქართული სილამაზე. მასში მარტო ხაზების სილამაზე არაა, არამედ ვაზის სილამაზეცაა, ვაზის მიმოხრის სილამაზე. ესაა გეომეტრიული, ხაზოვანი გამოხატულება ვაზის რტოთა მოძრაობისა.

რით შთააგონებდა ქართული ჩუქურთმის მჭრელებს ვაზი? რატომ მიუწნევიათ ვაზის მიმოხრა ასე მიმზიდველად?

ამას შორეული ისტორია აქვს.

მითოსის ხანაში ვაზი ღეთაებრივ მცენარედ ითელებოდა. ქართველოა წარმოდგენით, ის იყო „სიცოცხლის ხე“. მას თაყვანსა სცემდნენ (რუსეთში ღეთაებრივ ხედ ითელებოდა ნაძვი, ამიტომაც ნაძვის ხეს საახალწლოდ მორთავდნენ ხოლმე. რუსულ ორნამენტებშიც კარგად ჩანს ნაძვის ფორმები).

როცა უმთავრესი ღმერთი გახდა მზე, მცენარეთაგან მზისთვის ყველაზე ახლობლად ვაზი მიუწნევიათ, იმიტომ რომ ვაზი ყველაზე მეტად შეიწოვსო მზის ძალას, მზის ძალა ვაზიდან ღვინოში გადადის და ეს ძალა ათრობს ადამიანსო. მაშინდელი რწმენით, მზის ძალას შეიწოვდა არა მხოლოდ ვაზის მტევანი და ფოთლები, მისი ტანიც. ეს იყო სიყვარულის ძალა, მზისგან მოცემული სიყვარულისა. მტევანი და ტანი ვაზისა ქალური სიყვარულით განიცდიდნენ მზის ძალას,რომელსაც ცხოველთაგან განასახოვნებდა ლომი. ამ ძალით იყო დაგრეხილი ვაზის ტანი, ამავე ძალით ეტმასნება იგი ჭიგოს. ამაშიეე იყო მისი სილამაზე, თუ გნებავთ, მზიური სილამაზე. ამით იყო მიმზიდველი ვაზის მიმოხრა და ამიტომაც დაამსგავსეს მას ქართული ჩუქურთმა. ჩუქურთმაში ვაზის სილამაზე ჩააწნეს. ვაზს კი სილამაზეს მზე ანიჭებდა. ასე დაუკავშირდა ქართული ჩუქურთმა მზის ესთეტიკას.

შემდეგ, როცა თანდათან დაიკარგა მითოსური რწმენა ვაზის მზიური ესთეტიკისა, ვაზი და ჩუქურთმა იქცა სიმბოლოდ, სილამაზის ნიშნად. და სადღა არ უჩენია თავი ამ სილამაზეს?!

წმინდა ნინო მოდიოდა საქართველოში და თან მოჰქონდა ვაზის ჯვარი. ამ ჯვრით უნდა დაელოცა ხალხი, უნდა დაენერგა ახალი რწმენა. თითქოს-

და, მოულოდნელია ჯვრის ვაზისგან გაკეთება. მაგრამ ნინოს უნდა სცოდნოდა, რომ ვაზს ქართველები ოდითგან აღმერთებდნენ. ისინი არ იცნობდნენ ქრისტიანობას, მაგრამ ცნობდნენ ვაზის ძალას. ამიტომ ქართველები ვაზის ჯვარს უფრო ირწმუნებდნენ. ჯვარი ვაზისა ნინოს თავისი თმებით შეუკრავს. თმები, ძველთაძველი წარმოდგენით, მზის სხივის სიმბოლო იყო. კელავ გავიხსენოთ, რომ ქალღმერთი დალი თავისი ოქროს თმებით მსიურ ძალასთან იყო წილნაყარი. ვაზის თმებით შეკვრა მზისა და ვაზის ერთიანობას მოასწავებდა. ამგვარი ჯვრით ნინოს ხალხი უნდა მოენათლა. ეს სიტყვაც ნიშნავს, რომ ნათელი უნდა შეეტანა ადამიანებში.

ქრისტიანობამ მზისა და ვაზის სიმბოლიკა გამოიყენა. ძველი რწმენა თავის ესთეტიკას შეურწყა. ქრისტიანობა არ ცნობდა არც მზისა და არც ვაზის თაყვანისცემას. მაგრამ ქართველებს არ შეეძლოთ ვაზისა და მზის სილამაზე არ განეცადათ. ამიტომაც ჩააწნეს ჩუქურთმაში ვაზი. ვაზის და მზის ესთეტიკა საბოლოოდ დაამკვიდრეს. საცა ვაზი იყო, იგულისხმებოდა მზეც. ხშირად ვაზით მოწნული ქართული ჩუქურთმა მზის თვალსა ჰგავდა. თავდაპირველად ჯვარს, რომელიც ნათლის სიმბოლო იყო, მზესავით გამოხატავდნენ. მას წრეში ჩახაზავდნენ ხოლმე. წრეში ჩახატული ტოლფერდა ჯვარი ბორჯღალს ემსგავსებოდა. ამისი მსგავსი იყო ქართული ასომთავრული Ⴆ (დ). აქაც შეეროებული იყო ჯვარი და მზე.

ვაზისა და მზის ერთიანობა ღვთისმშობლის ჰიმნშიაც შესულა.

ყველას მოგეისმენია „ავე მარიას“ ციკლის ცნობილი ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“.

ლექსი იწყება ვენახით და მთავრდება მზით. მისი პირველი სტრიქონია „შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული“, ხოლო სულ ბოლო სტრიქონი – „და თავით თვისით მზე ხარ განბრწყინებული“. „შენ ხარ ვენახი“ და „შენ ხარ მზე“ ერთ პირს გულისხმობს. იგია აყვავებული ვენახი და მზე გაბრწყინებული. ვენახი ყვავის მზის ბრწყინვალებით. ასე ადიდებდნენ ღვთისმშობელს მითოსური სახეებით, არა გვგონია, რომ ეს შემთხვევითი იყოს, როცა ვიხსენებთ იმას, რაც ზემოთ ითქვა.



მარტვილის ტაძრის ჩუქურთმა

ამგვარადაც შემორჩა მხატვრულ აზროვნებას მითოსური ესთეტიკა. ეს ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ სასულიერო პოეზია ანუ ჰიმნოგრაფია როგორ იოჯისებდა სილამაზის წარმართულ სიმბოლოებს – ვენახსა და მზეს.

მითოსური ესთეტიკა

მითოსი უძველესი სალხური რწმენაა. იგი ბერძნული სიტყვაა და გადმოცემას, თქმულებას, ანდრეზს ნიშნავს. მითოსზე შორს ადამიანის თვალი ვერ სწვდება. დღემდე შემორჩენილია უძველესი თქმულებანი, რომლებიც ქრისტეს შობამდე რამდენიმე ასეული წლის წინ შეიქმნა. მითოსი ბუნებისა და ადამიანის ფანტასტიკური გააზრებაცაა, რომელშიც გარკვეული ადგილი მშვენიერების აღქმას უკავია. მშვენიერების ასახვას ხელოვნებაში, თუნდაც პრიმიტიული ფორმით, ესთეტიკა შეისწავლის.

ესთეტიკა მოძღვრებაა მშვენიერებასა და ამაღლებულზე. იგი გვაგებინებს ხელოვნების ზოგად კანონებს. არაფერია ისე ზოგადი და საყოველთაო და, იმავდროულად, ისეთი ეროვნული და პიროვნული, როგორც სილამაზე. ყოველგვარი სილამაზე სადღაც კონკრეტულად არსებობს, მაგრამ იგი ზედროულიცაა, მარადიულიც და იდუმალიც. სწორედ ამაზე ფიქრია ესთეტიკა. იგი ზოგჯერ არღვევს თავის საზღვრებს, აფართოებს თვალსაწიერს და ხელოვნებისა თუ ბუნების მშვენიერების მრავალ საკითხს მოიცავს, ცდილობს სილამაზის კანონების დადგენას.

ქართული მითოსური ესთეტიკის ნიმუშია „ამირანიანი", რომელშიც შერწყმულია ფანტასტიკა და სინამდვილე. მიმზიდველია მასში მოთხრობილი ამირანის ამბავი, მაგრამ მხატერული სიტყვა მას მეტი ძალით შეგვაგრძნობინებს.

ასევე ესთეტიკურადაა გააზრებული მზე ქართული მითოსში.

უხსოვარ დროში ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ყველაფერს მზე განაგებდა და მას აღმერთებდნენ. მზის პიმნებს აღავლენდნენ, მზისგან ხსნასა და შეწევნას ელოდნენ. მზეს გამოსახავდნენ დარბაზთა დედაბოძებზე, მზის ძალას ხედავდნენ ვაზის მტევნებშიც, ადამიანის სულში. მშვენიერებაც იქ იყო, სადაც სხივი სწვდებოდა. მზე სიკეთეც იყო და სილამაზეც.

ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ

1. რა ასაზრდოებდა ქართულ ხელოვნებას და როგორი ფორმით გამომჟღავნდა იგი ყველაზე თვალსაჩინოდ?

2. რა საგნის მთავარი ხაზია ქართულ ჩუქურთმაში გამოხატული?

3. რომელ კულტურულ ძეგლებშია ასახული ვაზის ფოთლები ან მტევნები?

4. რატომ სცემდნენ ვაზს თაყვანს მითოსური ხანის საქართველოში?

5. როგორი ჯვარი შემოიტანა წმიდა ნინომ საქართველოში?

6. რას ნიშნავს „ავე მარიას“ ციკლი? ეის ეკუთვნის ამ ციკლის ცნობილი ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“?

7. რისი სიმბოლოა ბორჯღალი?

გააანალიზეთ

8. როგორ გაიაზრა ქრისტიანობამ უხსოვარი დროიდან შემორჩენილი მზისა და ვაზის კულტი?

9. რატომ უნდა შემოეტანა წმიდა ნინოს საქართველოში მაინცდამაინც ჯვარი ვაზისა და როგორ უკავშირდება იგი თმის მითოსურ წარმოდგენას – მზიურ ძალას?

10. როგორ მიემართებიან ერთმანეთს, ერთი მხრივ, მზე-ვაზი-ღვინო-ლომი-თმა-ბორჯღალი, და მეორე მხრივ, ჩუქურთმა-ჯვარი-საგალობელი-ღვთისმშობელი.

განაზოგადეთ

11. გალაქტიონის ერთი ცნობილი ლექსი ასე იწყება: „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ...“ როგორ მიემართება ეს სტრიქონი რევაზ სირაძის ესეში მოცემულ დაკვირვებას მზის ქართული მითოსური წარმოდგენისა და ქრისტიანული გააზრების შესახებ?

12. მრავალი შედგენილი საკუთარი სახელის ნაწილია სიტყვა „მზე“. ასევე ბევრ არსებით სახელს ქმნის სიტყვა „დედას“ დამატება. გაიხსენეთ ასეთი სახელები და იმსჯელეთ, რატომ შეიქმნა ქართულ ლექსიკაში ამგვარი ერთეულები, რა ურთიერთმიმართება შეიძლება იყოს მათ შორის და რაზე მიანიშნებენ ისინი? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

კრიტიკული ფიქრი და აზროვნება

კონტრასტის ხერხის გამოყენება

რ. სირაძე რამდენჯერმე იყენებს კონტრასტის ხერხს იმისათვის, რათა ხაზი გაუსვას ერთ-ერთ ძირითად სათქმელს, თუ როგორ განსხვავდება მითოსური წარმოდგენა მომდევნო კულტურული აღქმისაგან, ან ქართული ტრადიცია — სხვა რომელიმე ერის წეს-ჩვეულებისაგან. მაგალითად, ავტორი ამბობს: ქართულ ჩუქურთმაში ჩანს ქართული სილამაზე, მასში მარტო ხაზების სილამაზე კი არაა, არამედ ეაზის სილამაზეცაა, ეაზის მიმოხრის სილამაზე.

სხვაგან იგი წერს: ყველგან იგრძნობა ქართული ხასიათი. სულ სხვაგვარი ხაზებითაა მოწნული ბერძნული ან რუსული ჩუქურთმები.

ესეში მოძებნეთ კონტრასტის ხერხის გამოყენების სხვა მაგალითებიც. გამოთქვით თქვენი თვალსაზრისი, თუ რატომ იყენებს ავტორი კონკრეტულ შემთხვევებში კონტრასტის ხერხს.

სწავლისა და კვლევის უნარების განვითარება

ინტერპრეტაციის გააზრება

ტექსტის გასაანალიზებლად და შესასწავლად ქვემოთ წარმოდგენილი მეთოდური დავალებები დაგეხმარებათ.

კვლევა. თვალი გადააგლეთ ტექსტს იმ მიზნით, რათა გამოყოთ მთავარი იდეა. გაითვალისწინეთ ილუსტრაციაც. წაიკითხეთ დასაწყისი და ბოლო აბზაცები.

კითხვის დასმა. ტექსტის კითხვის თანადროულად ჩაიწერეთ კითხვები, რომლებსაც ესეს წაკითხვის შემდეგ უპასუხებთ. დამატებითი კითხვა დასვით სათაურთან მიმართებით. კითხვის დასასმელად ილუსტრაციაც და ეპიგრაფიც შეიძლება იქნეს გამოყენებული.

კითხვა. ხელახლა წაიკითხეთ ნაშრომი, რათა იპოვოთ პასუხები თქვენ მიერ ჩამოწერილ კითხვებზე. მოძებნეთ ტექსტის დედააზრი და მისი გამამყარებელი დეტალები. ყურადღება მიაქციეთ სიზუსტეს, თემატურ წინადადებებს, სათაურსა და ეპიგრაფს.

გადმოცემა. წაკითხვის შემდეგ უპასუხეთ თქვენ მიერ დასმული კითხვებს. ჩაიწერეთ ისინი შენიშვნების სახით.

მიმოხილვა. შეეცადეთ, უპასუხოთ ზოგიერთ თქვენ მიერ დასმულ ორიგინალურ კითხვას ჩაწერილი შენიშვნების თვალშეუვლებლად. ეს დაგეხმარებათ, მოგვიანებითაც გაიხსენოთ ესეში გადმოცემული ინფორმაცია.

თვალსაზრისის განმტკიცება

რევაზ სირაძე გადმოცემს თავის თვალთახედვას მითოსურ ესთეტიკაზე, ქართულ ჩუქურთმაზე, მზის ქრისტიანობამდელ გააზრებაზე და სხვ. ტექსტიდან შეარჩიეთ ისეთი წინადადება, რომელსაც მტკიცედ ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით. დაწერეთ თხზულება, რომელიც განამტკიცებს თქვენს თვალსაზრისს შერჩეულ საკითხზე. ჩართეთ კონკრეტული არგუმენტები თქვენი შეხედულების გასამყარებლად.

პირადი დაკვირვების გადმოცემა

1. რევაზ სირაძის ესეში ერთგან ვკითხულობთ: როცა უმთავრესი ღმერთი გახდა მზე, მცენარეთაგან მზისთვის ყველაზე ახლობლად ვაზი მიუჩნევიათ, იმიტომ, რომ ვაზი ყველაზე მეტად შეიწოვსო მზის ძალას.

რატომ უნდა გამხდარიყო მზე ადამიანისათვის უმთავრესი ღვთაება? გადმოეცით, რა გრძნობებს ბადებს მზე, სინათლე და სითბო თქვენში და როგორ გესმით მნათობის მნიშვნელობა დედამიწისა და ადამიანებისათვის?

2. ვაზი თავისი მიმოხვრით ქალს, ქალურობას, ხოლო მზე, რომლისგანაც ის ძალას იწოვს, ქართველთა უძველესი წარმოდგენით, ქალურ საწყისს განასახიერებს („მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი“...). როგორ უკავშირდება ქართველთა უძველესი წარმოდგენები ქალზე, დედაზე და ვაზზე ერთმანეთს? გააგრძელეთ მსჯელობა ამ მიმართულებით და დაწერეთ ესე: ის, რაც რევაზ სირაძეს უთქმელი დარჩა.

საუბრისა და მოსმენის უნარების განვითარება

შეპირისპირებითი დისკუსია

შეპირისპირებითი დისკუსია ესაა საუბრის ფორმის კამათი მოსწავლეთა მცირე ჯგუფებს შორის. ამგვარი დისკუსია გულისხმობს ინფორმაციის ურთიერთგაზიარებას, პრობლემათა გადაჭრას და შემდგომი მოქმედების დაგეგმვას.

გამოიყენეთ თქვენს კლასში შეპირისპირებითი დისკუსია და გაუზიარეთ ერთმანეთს მოსაზრებები ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან ერთ-ერთ მათგანზე:

1. ქართულ ჩუქურთმაში არის ერთი მთავარი ხაზი, რომელიც ვაზის მიმოხვრას გვაგონებს. ასეთი ხაზები ისე ეხვევიან ერთმანეთს, როგორც ვაზი ჭიგოს.

2. წმინდა ნინო მოდიოდა საქართველოში და თან მოჰქონდა ვაზის ჯვარი. ამ ჯვრით უნდა დაელოცა ხალხი, უნდა დაენერგა ახალი რწმენა.

3. ქრისტიანობამ მზისა და ვაზის სიმბოლიკა გამოიყენა. ძველი ესთეტიკა თავის ესთეტიკას შეურწყა.

ერთმანეთის პირისპირ მსხდომმა მოსწავლეებმა თავდაპირველად უნდა განმარტონ, თუ როგორ ესმით შერჩეული წინადადების შინაარსი. მათ, აგრეთვე, უნდა ჩამოაყალიბონ, თუ როგორია ამ წინადადებაში ავტორის თვალსაზრისი. როდესაც სხვები საუბრობენ, იყავით თავაზიანი და მოუსმინეთ. შეეცადეთ, გაიაზროთ მათი თვალსაზრისი. როდესაც მოინდომებთ დისკუსიაში მონაწილეობის მიღებას, თქვენი თვალთახედვა მოკლედ და ნათლად გადმოეცით.

დავალება

ენციკლოპედიებსა და სპეციალურ ლიტერატურაში მოიძიეთ ინფორმაცია რ.სირაძის ესეში მოხსენიებული სვეტიცხოველის, სამთაეროს, ნიკორწმინდის, ფიტარეთის, გელათისა და წუღრუღაშენის ტაძრების, თრიალეთის თასის, ბექა და ბეშქენ ოპიზარების შესახებ. ამოირჩიეთ ერთ-ერთი მათგანი და წარმოადგინეთ მცირე მოცულობის მოხსენება.

შინაარსობრივი შეჯამება

დახარისხება

1. რა მიზნითაა შექმნილი სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თითოეული ესე?

2. რა ხერხებს მიმართავენ ავტორები თავიანთი ნაშრომების მთავარი იდეის გასამყარებლად?

განზოგადება

3. არის თუ არა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სამი ესე გამოცდილებითი ესეს ნიშნების მატარებელი? რატომ? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

სინთეზირება

4. რა საერთო სათაურს მოუძებნიდით კ. გამსახურდიას, ა. ბაქრაძისა და რ. სირაძის ესეებს?

5. ქართული ანბანის ასოები წარმოდგენილი ორი ავტორის წარმოსახვაში სხვადასხვა საგანთან მსგავსების ასოციაციას იწვევს. ჩამოწერეთ ანბანი, მიუწერეთ ამ ავტორების მიერ მოცემული პარალელები. რომელ ასოებზეც არ ამახვილებენ ისინი ყურადღებას, მოუძებნეთ თქვენეული შედარება. შეგიძლიათ, ავტორის ხედვას თქვენი საკუთარიც დაუმატოთ.

კომპოზიციური შეჯამება

კამათი

კლასი დაყავით სამ ჯგუფად და დაინაწილეთ თითო-თითო ესე. ჯგუფში იმსჯელეთ თითოეულის შესახებ, გამოყავით სპიკერები, რომლებიც დებატებში წარმოაჩენენ ამ ესეების ღირსებებსა და მათ აქტუალურობას, იმ მიზეზებს, თუ არჩევანისას რატომ მიანიჭა უპირატესობა მისმა ჯგუფმა კონკრეტულ ესეს, რა უკმარისობის გრძნობა გაუჩნდათ და როგორი პასუხგაუცემელი კითხვები დარჩათ დებატებში მონაწილე ორი ჯგუფის მიერ შერჩეულ ესეებთან მიმართებით.

კომპილაცია

კომპილაცია ესაა ნაშრომი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ავტორის თხზულებიდან, კელევიდან, ესედან და ა. შ. ნასესხებ, ამოკრებილ მასალას. წაკითხული სამი ესეს მიხედვით დაწერეთ ხუთაბზაციანი თხზულება. გაითვალისწინეთ შემდეგი მითითებები:

1. როგორ წერს შემოქმედი;
2. რა პრობლემები შეიძლება იყოს მისთვის მნიშვნელოვანი;
3. როგორ შეიძლება აისახოს მის მიერ შექმნილი მხატერული სახეები ხელოვნებაში.

თქვენ ხართ მწერალი

1. დაწერეთ სამი ესეს შესავალი ქვემოთ მოცემული სამი სხვადასხვა თემის მიხედვით:

ა) საინტერესო პიროვნება, რომელსაც შეეხედი;
ბ) მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც შეესწარი;
გ) ხელოვნების ან მეცნიერების თემა.

წინასწარი მონახაზი. კარგად გაიაზრეთ შინაარსობრივად თითოეული ესე. შეიძლება დაგჭირდეთ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ესეების – „როგორ ეწერ“. „არსებობის მარადისობის რღვევა“ და „ქართული ჩუქურთმა და მზე“ – დასაწყისის გადაკითხვა.

წერა. დაწერეთ სამი შესავალი წინადადება. დარწმუნდით, რომ თითოეული მათგანი შესაბამის თემას გადმოცემს. შეეცადეთ, ისე დაწეროთ ეს წინადადებები, რომ მკითხველს მათი გაგრძელების წაკითხვის სურვილი გაუჩნდეს.

შემოწმება. რამდენჯერმე გადაიკითხეთ თქვენი ჩანაწერები, რათა გაასწოროთ შესაძლო სტილისტური, გრამატიკული და პუნქტუაციური შეცდომები. დარწმუნდით, რომ თითოეული წინადადება ნათლად გამოხატავს შესაბამის თემას.

2. გადმოეცით თქვენს თავს გადამხდარი რაიმე იუმორისტული შემთხვევა. აღწერეთ მისი დეტალები და აღწერეთ თქვენი ფიქრები იმის შესახებ, თუ რა მოხდა.

წინასწარი მონახაზი. დაწერეთ თქვენი თვალსაზრისი ამ თემაზე. შემდეგ ჩამოწერეთ შენიშვნები, რომლებშიც აისახება პასუხები კითხვებზე: რატომ, სად, როდის, ვინ, რა და როგორ. შეიძლება დაგჭირდეთ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ესეების სტრუქტურის გათვალისწინება.

წერა. დაწერეთ თქვენი მონათხრობის პირველი მონახაზი. შეიტანეთ ამ შემთხვევის დეტალები. მოვლენები დაალაგეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

შემოწმება. დარწმუნდით, რომ თქვენი თხრობა საინტერესო თანმიმდევრობით გადმოცემს თავს გადამხდარ შემთხვევას. გაასწორეთ ჩანაწერები, რათა არ გაიპაროს სტილისტური, გრამატიკული და პუნქტუაციური შეცდომები.

თქვენ ხართ კრიტიკოსი

1. შეადარეთ ესე მოთხრობას. ჩამოწერეთ სამი თვალსაზრისი, რომელშიც განმარტავთ, თუ რით ემსგავსება პირველი მეორეს, და სამიც – რით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

წინასწარი მონახაზი. ჩახედეთ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სამ-სამ მოთხრობასა და ესეს. ჩაინიშნეთ თითოეული მათგანის წერის პრინციპების მნიშვნელოვანი ელემენტები.

წერა. ორ სვეტად ჩამოწერეთ ესეს და მოთხრობის მსგავსება-განსხვავებანი. საფუძვლად გამოიყენეთ წინასწარ მონახაზში გაკეთებული შენიშვნები.

შემოწმება. დარწმუნდით, რომ თითოეული სვეტი ამ ორი ლიტერატურული ჟანრის მსგავსება-განსხვავებებს შეიცავს და წარმოაჩენს.

2. არის თუ არა ესე ლიტერატურული ნაწარმოები? თქვენი თვალთახედვა დაასაბუთეთ დადებითი თუ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში. თქვენს ანალიზში დასმული კითხვის ნათელი პასუხი უნდა ჩანდეს, აგრეთვე, არგუმენტირებული პოზიცია და თქვენი ხედვის განმამტკიცებელი მიზეზებიც.

წინასწარი მონახაზი. დასმული კითხვა ჩაიწერეთ ფურცელზე. შემდეგ სვეტებად ჩამოწერეთ მხარდამჭერი ან საპირისპირო არგუმენტები.

წერა. დაწერეთ საკითხის თქვენეული ანალიზი. დაიწყეთ შესავლით, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას. წაკითხული ესეებიდან გადმოეცით მიზეზები და მაგალითები, რომლებიც განამტკიცებენ თქვენს თვალსაზრისს. მსჯელობა დაასრულეთ მტკიცე დასკვნით.

შემოწმება. დარწმუნდით, რომ თქვენი ხედვა და მისი გამამყარებელი არგუმენტები ნათლადაა გადმოცემული. გადაიკითხეთ ჩანაწერი, რათა გაასწოროთ შესაძლო გრამატიკული, სტილისტური, პუნქტუაციური და მექანიკური შეცდომები.

ბიოგრაფია

უმბერტო ეკო

(დაიბადა 1932 წ.)





იტალიელი მეცნიერი, ისტორიკოს-მედიევისტი და ფილოსოფოსი უმბერტო ეკო დაიბადა მილანის მახლობლად ქალაქ ალესანდრია'ში. 1954 წელს ტურინის ხელოვნებათა უნივერსიტეტი დაამთავრა. მუშაობდა ტელევიზიაში, მსხვილი გაზეთის „ესპრესოს" მიმომხილველად, ასწავლიდა ესთეტიკასა და კულტურის თეორიას მილანის, ტურინისა და ფლორენციის უნივერსიტეტებში. მისი პირველი წიგნი „თომა აქვინელის ესთეტიკის პრობლემები" 1956 წელს გამოიცა. ამ დროიდან ეკო აქტიურად მონაწილეობს ახალ წამოწყებებსა და პროექტებში; მაგალითად, ჩართულია ინტერნეტფორუმებისა და ბაროკოს კულტურისადმი მიძღვნილი სიდიროშის შექმნაში, კითხულობს საჯარო ლექციებს. ერთადერთ კომუნიკაციის საშუალებას, რომელსაც არ ცნობს, ტელევიზიაა. ის ამ დრომდე მხოლოდ ორჯერ გამოვიდა ტელევიზიით. სამეცნიერო მუშაობის პარალელურად მწერალმა ბევრი რამ ვააკეთა პოსტმოდერნიზმისა და მასობრივი კულტურის რაობის გაცნობიერების საქმეში, თუმცა მსოფლიო აღიარება არა როგორც მეცნიერმა, არამედ როგორც პროზაიკოსმა მოიპოვა. მისი პირველი რომანი „ვარდის სახელი" გამოცემისთანავე მოხვდა ბესტსელერების სიაში. ამ დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებში მწერალი ორი ტიპის კულტურას აპირისპირებს, თუმცა ეს ბრძოლა რომანში, ისევე როგორც რეალურ ცხოვრებაში, არ მთავრდება. არ მთავრდება, სანამ სამყარო არსებობას განაგრძობს. რომანის მთავარ სიტყვებს — ბიბლიოთეკა, ხელნაწერი, ლაბირინთი, — არგენტინელი მწერლის ხორხე ლუის ბორხესის შემოქმედებასთან მივყავართ. ამ მწერალს უმბერტო ეკო განსაკუთრებულად სცემს პატივს.

„ვარდის სახელის“ გარდა უმბერტო ეკოს შემდეგმა ნაწარმოებებმაც არანაკლები პოპულარობა მოიპოვა. როგორც ამბობენ, ეს მისი კარგად დაგეგმილი პიარის დამსახურებაცაა.

უმბერტო ეკო: „მე არც მწერალი ვარ, არც ჟურნალისტი და არც მეცნიერი. ჩემი ძირითადი პროფესია ფლეიტაზე დაკვრაა!“

კომენტარი მკითხველს

უმბერტო ეკოს წერილში „როგორ დავწეროთ სადიპლომო შრომა“ არ იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ სადიპლომო ნაშრომის შექმნისას გასათვალისწინებელი აუცილებელი რჩევები. იგი უფრო განზოგადებულადაა წარმოსადგენი, რადგან მასში მოცემული მითითებები სავსებით წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული სასწავლო პროექტის, მცირე მოცულობის სამეცნიერო ნაშრომის, ნარკვევის, ესეს ან სასწავლო რეფერატის ტექსტებზე მუშაობისას.

უმბერტო ეკო

როგორ დავწეროთ სადიპლომო შრომა

(თარგმნა ივანე ამირხანაშვილმა)

(ადაპტირებული ტექსტი)

---

1. რატომ წერენ სადიპლომო შრომას და რას წარმოადგენს იგი

სადიპლომო შრომა წარმოადგენს ასიდან ოთხას გვერდამდე დაწერილ ტექსტს, რომელშიც სტუდენტი იკვლევს თავისი სპეციალობიდან შერჩეულ რომელიმე პრობლემას. კანონით, სადიპლომო შრომა აუცილებელია უმაღლესი განათლების მოწმობის მისაღებად. სავალდებულო გამოცდების ჩაბარების შემდეგ სტუდენტი წერს სადიპლომო შრომას და წარადგენს მას სადიპლომო კომისიის წინაშე. კომისია ისმენს დიპლომანტის ხელმძღვანელის აზრსა და ოპონენტების[1] გამოხმაურებებს. ოპონენტები შეკითხვებს უსვამენ დიპლომანტს. განხილვის (დაცვის) დროს თავიანთ აზრს გამოთქვამენ კომისიის წევრებიც. ხელმძღვანელი და ოპონენტები აფიქსირებენ წარმოდგენილი შრომის დადებით (და უარყოფით) მხარეებს. კომისიას კი შეფასება იმისდა მიხედვით გამოაქვს, თუ რამდენად წარმატებით შეძლებს დიპლომანტი თავისი ტექსტის დაცვას. კომისია ითვალისწინებს აგრეთვე დიპლომანტის მიერ მანამდე ჩაბარებული გამოცდების შედეგებს და წყვეტს საკითხს, შეაფასოს თუ არა დიპლომი „წარჩინებით“ და მისცეს თუ არა რეკომენდაცია „დასაბეჭდად“. ეს სისტემა მოქმედებს თითქმის ყველა ჰუმანიტარულ უმაღლეს სასწავლებელში.

ჩვეულებრივ სადიპლომო ნაშრომს წერენ ოცდაოთხი წლის ასაკში, როცა უნივერსიტეტის სტუდენტებს გამოსაშვები გამოცდების პერიოდი უდგათ. ნაშრომი არ წარმოადგენს ხანგრძლივი გონებრივი შრომის ნაყოფს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ საუკეთესო სტუდენტის ნაშრომი დისერტაციას არაფრით ჩამოუვარდება. მაგრამ, როგორც წესი, სადიპლომო ნამუშევარს დიდ მოთხოვნებს არ უყენებენ. უნივერსიტეტი არ ითხოვს რაღაც განსაკუთრებულ ნოვატორობას[2]. მას დიპლომი-კომპილაციაც[3] საკმაოდ აკმაყოფილებს.

---

[1] ოპონენტი — პირი, რომელიც წინასწარაა დანიშნული ნაშრომის პრეზენტაციაზე კამათში გამოსასვლელად.

[2] ნოვატორობა — სიახლის ძიება, კვლევა.

[3] კომპილაცია — ნაშრომი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ავტორისგან ნასესხებ მასალას. მასში არაა დაუმოკიდებელი კვლევა და დასკვნები.

კომპილაციური სადიპლომო შრომით სტუდენტმა უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია არჩეულ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის, სტატიებისა და წიგნების კრიტიკული დამუშავება, წაკითხულიდან გადმოცემა, სხვადასხვა თვალსაზრისის შეჯერება და მიმოხილვა...

აქედან გამომდინარეობს პირველი რჩევა: წინასწარ განსაზღვრეთ, რა ტიპის შრომის დაწერას აპირებთ – კომპილაციურის თუ კვლევითის. კვლევითი შრომა საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადია, ნაკლებ ოფლისღერას არც კომპილაციური შრომა მოითხოვს...

როგორ შეეარჩიოთ თემა?

ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა ოთხი უმარტივესი პირობის დაცვა:

1) თემა უნდა პასუხობდეს კონკრეტული სტუდენტის მისწრაფებებს (ან უნდა უახლოვდებოდეს მის მიერ ჩაბარებული გამოცდებისა და წაკითხული წიგნების თემატიკას, მის პოლიტიკურ, იდეურ, სულიერ კულტურას).

2) ძირითადი ტექსტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს (ანუ კონკრეტულ სტუდენტს არ უნდა გაუჭირდეს მათი მოძიება).

3) ძირითადი ტექსტები გასაგები უნდა იყოს (ანუ უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული სტუდენტის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს).

4) არჩეული მეთოდოლოგია რეალურად უნდა შეესატყვისებოდეს კონკრეტული სტუდენტის შესაძლებლობებს.

II. სადიპლომო თემა
მონოგრაფიული[4] თუ მიმოხილვითი?

ნებისმიერი სტუდენტის სურვილია დაწეროს ისეთი სადიპლომო ნაშრომი, რომელშიც ერთბაშად მრავალ საკითხზე იქნება მსჯელობა.

ასეთი მიდგომა დამღუპველია. ფართო მასშტაბები გამოცდილ მეცნიერებსაც კი აშინებს. ოცი წლის ახალგაზრდა კაცი ამ საჯილდაო ქვას ვერ მოერევა, ამაოდ დაშვრება: შეადგენს სახელთა ბანალურ[5] სიას და დაურთავს საყველპურო ციტატების გროვას, ან წამოისვრის რაღაც ნოვატორულს და პასუხად მოიმკის კომისიის წევრთა საყვედურებს მიუტევებელი ხარვეზების გამო.

[4] მონოგრაფია – ერცელი მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც დამუშავებულია ერთი რომელიმე თემა ან საკითხი.

[5] ბანალური – სიახლეს, თავისთავადობას, ორიგინალურობას მოკლებული, გაცვეთილი.

გლობალური[6] გაქანების დიპლომისტები ყოველთვის ემდურიან კომისიას, რომელსაც, თურმე არაფერი ესმის, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ კომისია მართლაც ვერაფერს გაუგებდა მათ ამბიციურ[7] მიმოხილვებს. რა უნდა იყოს მიმოხილვითი დიპლომი, თუ არა ამპარტავნობის დემონსტრაცია? თუმცა რას ვერჩით, ინტელექტუალური[8] ამპარტავნობა, დიპლომთან მიმართებით, არავის აუკრძალავს. დაამტკიცეთ, რომ დანტე[9] ცუდი პოეტია. მაგრამ ინებეთ და გააკეთეთ ეს დანტეს ტექსტის სამასგვერდიანი განხილვის საშუალებით...

პირიქით, თუ დიპლომანტი სერიოზულად დაამუშავებს ვიწრო თემას, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თითქმის მთელი კომისია არაკომპეტენტური აღმოჩნდება მოცემულ საკითხ'ში, იაფფასიანი ტრიუკი გგონიათ? დიახ, ეს ტრიუკია, ოღონდ არა იაფფასიანი, ღირს თავის შეწუხებად. წინდაწინვე მომგებიან პოზიციაში დგები. დარწმუნებული ხარ, რომ დაცვაზე ეს საკითხი შენზე უკეთ არავის ეცოდინება. რა არის ამაში ცუდი, თუ საკუთარი ოფლის ფასად გაინაღდებ გამარჯვებას?

მასალა – თანამედროვე თუ კლასიკური?

დაიმახსოვრეთ, თანამედროვე საგნის შესწავლა უფრო ძნელია, ვიდრე კლასიკურის. მიმდინარე პროცესების შესახებ არსებული ლიტერატურის სია მოკლეა, სამაგიეროდ ტექსტების უმრავლესობა იოლი მოსაძებნია...

ძველი ავტორები მყარ საინტერპრეტაციო სქემებში არიან მოქცეულნი, ახლებზე კი კრიტიკოსებს ჯერ ვერაფერი გაურკვევიათ, ყველაფერი ბუნდოვანი და ამორფულია, ვერც საკუთარ შესაძლებლობებს ენდობი და იძულებული ხდები აღიარო, რომ დასკვნების გამოტანა ჯოჯოხეთური საქმეა.

რასაკვირველია, ძველი ავტორი მძიმედ იკითხება, მაგრამ, ბიბლიოგრაფიას რაც შეეხება, შეგიძლიათ თვალდახუჭული ენდოთ და ისარგებლოთ მზამზარეული ნუსხებით.

ამასთანავე, თუ სადიპლომოს განვიხილავთ როგორც სამეცნიერო შრომისთვის მოსამზადებელ ეტაპს, მაშინ ძველი მასალა საუკეთესო საწვრთნელ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ. დიპლომისტი თუ მომავალში თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკოსობას აპირებს, მაშინ შეიძლება სად-

---

[6] გლობალური – საერთო, მთლიანი, ერთიანი; რაც მთელ მსოფლიოს მოიცავს.

[7] ამბიციური – პატივმოყვარული, გადაჭარბებულად თავმოყვარეობითი.

[8] ინტელექტუალური – ინტელექტი ადამიანის აზროვნების უნარს, გონებრივი განვითარების დონეს ნიშნავს, ხოლო ინტელექტუალური – გონებრივს, აზრობრივს.

[9] დანტე – იტალიელი პოეტი (1265–1321 წწ.)

იპლომო მისთვის იქცეს ძველ ლიტერატურასთან შეხების უკანასკნელ შესაძლებლობად, რაც საშუალებას მისცემდა გამოემუშავებინა გემოვნება და ანალიტიკური მიდგომის ჩვევები. ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. თანამედროვე, ყველაზე ავანგარდული[10] მწერლების უმრავლესობას სადიპლომოები დაცული აქვთ.. დანტესა და შექსპირის[11] შემოქმედებაზე.

რამდენი ხანი სჭირდება სადიპლომოს დაწერას? პირდაპირ ვიტყვი: არაუმეტეს სამი წლისა – ვინაიდან, თუ ამ დროის განმავლობაში თემა ვერ დაძლიეთ და ვერ შეკრიბეთ მასალები, ეს იმას ნიშნავს, რომ:

1) თემა თქვენს ძალებს აღემატება;

ან

2) შეპყრობილი ხართ სრულყოფილების იდეით, ცდილობთ ნაშრომში ყველაფერი ჩადოთ. თუ ასე განაგრძეთ, ოცი წელიწადიც არ გეყოფათ. მარჯვე მეცნიერს არ უნდა გაუჭირდეს თავისი თუნდაც მოკრძალებული შესაძლებლობების განსაზღვრა და ამ ფარგლებში რაღაც დასრულებული კონსტრუქციის აგება.

ან:

3) სადიპლომო ნეეროზი გჭირთ, წაიმუშავებთ, გაჩერდებით... წაიმუშავებთ, გაჩერდებით. დამარცხების გრძნობა მტანჯველია, დაფანტული ხართ, სადიპლომოს მეტი აღარაფერი გახსოვთ. ასე ვერასოდეს დაიცავთ.

დაგჭირდებათ არანაკლებ ექვსი თვისა – ვინაიდან იმისათვის, რათა დაახლოებით სამოცგვერდიანი საკურნალო სტატია მაინც გამოგივიდეთ, ექვსი თვე დაგჭირდებათ მასალის შესწავლის, ბიბლიოგრაფიის შედგენის, კონსპექტის დამუშავებისა და ტექსტის დაწერისათვის...

როცა ლაპარაკია „სამ წელიწადზე“ ან „ექვს თვეზე“, რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება წერის დრო. შეიძლება სადიპლომო ერთ თვეშიც დაიწეროს და ორ-სამ კვირაშიც. გააჩნია, რა მეთოდით ვმუშაობთ. ეგულისხმობ მთლიან პერიოდს – ნაშრომის იდეის მონიშნიდან აკინძული ტექსტის დეკანატში ჩაბარებამდე. შესაბამისად, კურსდამთავრებულს შეუძლია ტექსტზე წელიწადის განმავლობაშიც იმუშაოს, ოღონდ უნდა გამოიყენოს ის ცოდნა და იდეები, რაც წინა ორი კურსის გაელისას დაუგროვებია.

ჩემი აზრით, იდეალური ვარიანტი იქნებოდა, თუკი სტუდენტი თემის მოფიქრებას (და სამეცნიერო ხელმძღვანელის გამოძებნას) მეორე კურსის დასრულებამდე მოახერხებდა.

---

[10] ავანგარდული – მოწინავე.

[11] შექსპირი – ინგლისელი დრამატურგი და პოეტი (1564–1616 წწ.)

საჭიროა თუ არა უცხო ენების ცოდნა?

უნდა მოგახსენოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარი არ არის იმ სტუდენტებზე, რომლებიც უცხო ენებსა და უცხოურ ლიტერატურაში სპეციალიზდებიან. საუბარია იმათზე, რომლებიც ფილოსოფიის, სოციოლოგიის, იურისპრუდენციის, პოლიტოლოგიის, ისტორიისა თუ საბუნებისმეტყველო სპეციალობებს ეუფლებიან. ღღის წესრიგში ყოველთვის დგას უცხო ენაზე დაწერილი წიგნის გამოყენების აუცილებლობა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა სამამულო მეცნიერებასთან დაკავშირებულ თემაზე მუშაობ: ამ დარგის ცნობილი სპეციალისტები გერმანელებშიც მოიძებნებიან და ინგლისელებშიც...


მთავარი ის გახლავთ, რომ ხელი არ უნდა მოჰკიდოთ თემას, რომელიც თქვენთვის უცნობი ენის ცოდნას მოითხოვს. ხშირად სტუდენტები არ ითვალისწინებენ არჩეულ თემასთან დაკავშირებულ რისკის ფაქტორებს, ამიტომ თავს უფლებას მივცემ, სამოგითვალოთ ზოგიერთი სახელმძღვანელო კანონი:

1) არ აიღოთ თემა უცხოელი ავტორის შესახებ, თუ არ შეგიძლიათ მისი წაკითხვა დედანში;

2) ახლოს არ გაიკაროთ თემა, რომლის შესახებ არსებული ძირითადი ლიტერატურა თქვენთვის უცნობ ენაზეა დაწერილი;

3) არც ერთ ავტორსა და არც ერთ თემაზე ნორმალური სადიპლომო შრომა არ გამოგივა, თუ მხარტო იმ წიგნებს გაითვალისწინებ, რომლებიც შენთვის ხელმისაწვდომ ენებზეა დაწერილი.

დაბოლოს, რჩევა: სანამ თემას დასამტკიცებლად წარადგენდე, მანამ ყურადღებით გადახედე ბიბლიოგრაფიას, რათა თავიდან აიცილო გაუთვალისწინებელი ენობრივი ბარიერები.



უმბერტო ეკოს ერთ-ერთი წიგნის ილუსტრაცია

რა გემართებს იმისათვის, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელი კისერზე არ დაეისვათ? მომავალი დიპლომანტი ან თვითონ არჩევს თემას, ან ამ საქმეს პროფესორს ანდობს. პროფესორი კი, როცა სტუდენტს თემას სთავაზობს, ორიდან ერთ კრიტერიუმს იყენებს: ან საკუთარი რეპერტუარიდან იღებს რაიმეს, რაც საშუალებას მისცემს, დაუძაბველად გასწიოს კურატორობა, ან არჩევს ისეთ თემას, რომელსაც

კარგად არ იცნობს და სურს სტუდენტთან ერთად შეისწავლოს იგი.

პირდაპირ ვიტყვი, მიუხედავად ყველაფრისა, მეორე ვარიანტი უფრო პატიოსან და კეთილშობილურ გადაწყვეტილებად მიმაჩნია. მასწავლებელს სურს, დიპლომზე მუშაობის პროცესში გაიფართოვოს ჰორიზონტი და სტუდენტს მისცეს პატიოსანი რჩევები – ერთდროულად, კიდეც ეხმარება და სწავლობს კიდეც. ამ ვარიანტს ხელმძღვანელი მაშინ ირჩევს, როცა ბოლომდე დარწმუნებულია დიპლომანტის შესაძლებლობებში.

არსებობს შემთხვევა, როცა ხელმძღვანელს ჩაფიქრებული აქვს რაღაც მასშტაბური სამუშაო. ამისთვის ეძებს საჭირო ინფორმაციას და ცდილობს გამოიყენოს დიპლომისტები, როგორც ერთგვარი საძიებო ჯგუფი. ასეთი მიდგომა სამართლიანიც არის და სასარგებლოც.

მაგრამ შეიძლება საქმემ არასწორი გაგრძელება მიიღოს, თუ:

1) მასწავლებელი ისეა მოჯადოებული თავისი თემით, რომ უნებლიეთ ჩაგრავს დიპლომანტს, რომელსაც არ სურდა ამ თემაზე მუშაობა;

2) მასწავლებელი უწესო ადამიანია და საკუთარი მიზნებისათვის იყენებს სტუდენტებს.

როგორ ავიცილოთ მსგავსი გაუგებრობები? სწავლის პერიოდში სტუდენტი თვალყურს ადევნებს კათედრის ამა თუ იმ თანამშრომელს, კითხულობს მათ სტატიებსა და წიგნებს. იცის, ვინ რას წარმოადგენს, ამიტომ არ უნდა გაუჭირდეს მოუხელთებელი ფაქტორების – ნდობისა და მეგობრულ გრძნობათა გარჩევა.

ყველა შემთხვევაში უნდა გაარკვიოთ, ხომ არ შედის თქვენი თემატიკა ვისიმე კოლექტიურ გეგმებში; თუ შედის, მაშინ იმაზეც იფიქრეთ, თქვენთვის ეს რამდენად მისაღები იქნება.

III. მასალის შეკრება

რას წარმოადგენს სამეცნიერო შრომის წყარო?

სადიპლომო შრომის მიზანია შეისწავლოს საგანი იარაღის მეშვეობით. ბევრ შემთხვევაში საგანს წარმოადგენს წიგნი, იარაღებს – სხვა წიგნები. მაგალითად, ასეთი თემა „ადამ სმიტის[2]" ეკონომიკური განაზრებანი" გულისხმობს, რომ საგანი არის ადამ სმიტის წიგნები, იარაღები – წიგნები ადამ სმიტის შესახებ. აქედან გამომდინარე, ადამ სმიტის წიგნებს შეიძლება ეუწოდოთ პირველადი წყაროები, ხოლო ადამ სმიტის შესახებ დაწერილ წიგნებს – მეორადი წყაროები ანუ კრიტიკული ლიტერატურა.

მუდამ გახსოვდეთ, თუ რა განსხვავება არსებობს წყაროებსა და კრიტიკულ ლიტერატურას შორის. მხედველობაში იქონიეთ: მართალია,

[2] ადამ სმიტი – შოტლანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი. (1723–1790 წწ.)

გამოკვლევებში ძალზე ხშირად შეხვდებით წყაროებიდან ამოღებულ ნაწყვეტებს, მაგრამ თქვენთვის ეს უკვე მეორადი წყაროებია.

პირველადი და მეორადი წყაროები

წიგნებზე მუშაობისას პირველწყაროდ ითვლება ტექსტის პირველი ან აკადემიური გამოცემა. თარგმანი წყაროდ არ გამოდგება, რადგან თარგმანი იგივეა, რაც პროთეზი, ჩასადგმელი ყბა ან სათვალეები, ის არის მიზნის მიღწევის უკანასკნელი საშუალება.

ვერც ანთოლოგიას მივიჩნევთ წყაროდ. ანთოლოგია არის წყაროებისგან შემზადებული ვინეგრეტი, რომელიც მხოლოდ იმისთვის თუ გამოგვადგება, რომ საგანთან პირველი მიახლოება დავაფიქსიროთ.

წყაროდ არ ითვლება სხვა ავტორების მიერ დაწერილი გარდათქმანი, თუნდაც გრძელ-გრძელი ციტატებით დამშვენებული. უკეთეს შემთხვევაში მათი გამოყენება შეიძლება მეორად წყაროებად.

ბიბლიოგრაფიის[13] შედგენა.

საორიენტაციო ბიბლიოგრაფიული სია ბიბლიოთეკაში უნდა შეგადგინოთ. თუ უკვე იცით, რომელი ავტორები გჭირდებათ, მიადგებით ბიბლიოთეკის კატალოგებს[14] და იქ ნახავთ, თუ ამ ავტორების რა წიგნებია საცავში. შემდეგ წახვალთ მეორე ბიბლიოთეკაში, შემდეგ მესამეში და ა. შ. სანამ არ შეავსებთ საორიენტაციო ნუსხას.

თუ წიგნებს ეძებთ პრინციპით „ის – არ ვიცი,რა“,პირველად სისტემატურ კატალოგს უნდა მიაკითხოთ. ანბანური კატალოგი ესაჭიროება იმას, ვინც იცის, რა უნდა. ნორმალური ბიბლიოთეკის სისტემატურ კატალოგში უცებ მოიძებნება თქვენთვის საჭირო ლიტერატურის ძირითადი ნაწილი.

მაგრამ კატალოგები მაშინვე არ იძლევიან ამომწურავ ინფორმაციას. ამიტომ აუცილებელი ხდება პრიმიტიული ნაბიჯების გადადგმა. ყველა ბიბლიოთეკას აქვს განყოფილება ან დარბაზი, რომელსაც „საცნობაროს“ უწოდებენ. აქ აწყვია ენციკლოპედიები, ლექსიკონები და ბიბლიოგრაფიები. თქვენთვის საინტერესო თემას მოძებნით ენციკლოპედიაში, ამოიწერთ შესაბამისი სტატიის ბოლოში დაბეჭდილ ბიბლიოგრაფიას, დაბრუნდებით საკატალოგო განყოფილებაში და ამ ავტორებს მოძებნით ანბანურ ბარათებში.

ბიბლიოგრაფიის შედგენაში დაგეხმარებათ ელექტრონული კონსულტაციები, კომპიუტერული კატალოგები და ბიბლიოთეკათშორისი გაცვლა. ბიბლიოთეკები აქვეყნებენ ახლად მიღებული წიგნების ჩამონათვალს. ზოგიერთი სპეციალიზებული ბიბლიოთეკა კომპიუტერული ქსელის მეშ-

---

[13] ბიბლიოგრაფია – წიგნებისა და სხვა გამოცემების მეცნიერულად მოწესრიგებული, სისტემატიზებული აღწუსხვა და აღწერა.

[14] კატალოგი – სია წიგნებისა, რომელიც გარკვეული წესითაა შედგენილი.

ვეობით უკავშირდება ცენტრალურ მეხსიერებას და შეუძლია თვალის დახამხამებაში მოგაწოდოთ ინფორმაცია.

IV. სამუშაო გეგმა, მონიშვნები და კონსპექტირება

სადიპლომოზე მუშაობას რომ დაიწყებთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა ჩამოწეროთ: 1) სათაური, 2) შესავალი, 3) შინაარსი... დასახეთ სამუშაო გეგმა, რომელსაც საცნობარო საძიებლის ფორმას მისცემთ. კარგად მიგნებული სათაური საქმის ნახევარია. მასში შეიძლება მთელი კონცეფცია ჩაეტიოს. მხედველობაში მაქვს არა ის სათაური, რომელიც დეკანატში იგზავნება დაცვამდე რამდენიმე თვით ადრე, არამედ ჭეშმარიტი სათაური, რომელიც, როგორც წესი, ქვესათაურად გადის ხოლმე.

პრობლემური გეგმა შემდეგი რეცეპტით უნდა აიგოს:

1. საკითხის დაყენება;
2. წინამორბედთა გამოცდილება;
3. ჩვენი ჰიპოთეზა;
4. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები;
5. ამ მონაცემების ანალიზი;
6. ჰიპოთეზის დამტკიცება;
7. დასკვნები. გამოკვლევის შემდგომი გაგრძელების პერსპექტიები.

მუშაობის დროს დაგჭირდებათ მცირე კარტოთეკის[15] შედგენა. კარტოთეკაში შეიტანთ სხვადასხვა სახის ჩანაწერებს:

ა) ბარათები წიგნებისა და სტატიების შინაარსებით;

ბ) თემატური ბარათები;

გ) სახელობითი ბარათები;

დ) ბარათები ციტატებისათვის;

ე) სამუშაო ბარათები.

აუცილებელი არ არის მთელი ამ მაკულატურის დახვავება, წყაროთა შინაარსების პატარა კარტოთეკითაც იოლად გახვალთ, დანარჩენს კი საერთო რვეულში შეიტანთ, ერთადერთი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, – კარტოთეკა უნდა იყოს უნიფიცირებული[16] და სრული. ერიდეთ ქსეროკოპირების სინდრომს. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ წყაროების კონსპექტირებას.

---

[15] კარტოთეკა – გარკვეული სისტემით დალაგებული ბარათები, რომლებიც შეიცავენ რაიმე სახის ცნობებს.

[16] უნიფიცირება – გაერთიანება, საერთო ნორმაზე დაყვანა, გათანაბრება.

V. როგორ დაეწეროთ ტექსტი

ვის მიემართება თქვენი ტექსტი?

ხელმძღვანელს, მეცნიერს, რიგით მოუმზადებელ მკითხველს, ფართო აუდიტორიას თუ სამეცნიერო საბჭოს წევრებს?

ამ შეკითხვების სერიოზული გააზრება დაგეხმარებათ თხრობის ფორმისა და ლოგიკური გამომსახველობის მოძებნაში.

სადიპლომო არის თხზულება, რომელიც თავისი სტატუსით მიმართულია ხელმძღვანელისა და ოპონენტისადმი, მაგრამ, ამავე დროს, შეიძლება მან სხვა მკითხველებიც დააინტერესოს, მათ შორის მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებიც. ამიტომ აუცილებელი არ არის ფილოსოფიის საკითხებზე დაწერილი ნაშრომი იწყებოდეს იმის ახსნით, თუ რა არის ფილოსოფია; ასევე, ეულკანოლოგიურ შრომაში ზედმეტია ეულკანის განმარტება და ა. შ. მაგრამ სხვა დონეებს რაც შეეხება, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ინტონაცია[17]

მას შემდეგ, რაც გადაწყვეტ, თუ ვის მიმართავ (არა მარტო ოპონენტს, არამედ მთელ კაცობრიობას!), მოძებნე ინტონაცია. თუმცა ეს ძალიან დელიკატური[18] საქმეა. ქვეყანაზე უნივერსალური კანონები რომ არსებობდეს, ყველა მწერალი გენიოსი იქნებოდა. შეიძლია მხოლოდ ის გირჩიოთ, რომ რამდენიმეჯერ გადაწეროთ სადიპლომო ან შრომის დაწყებამდე წერაში წაივარჯიშოთ...

დაწერეთ, როგორც გეწერებათ, ოღონდ მერე დაანაწევრეთ. ტრაგედიად ნუ მიიჩნევთ ქვემდებარის ორჯერ გამეორებას. ერიდეთ ნაცვალსახელებსა და დამოკიდებულ წინადადებებს.

ხშირად გამოიყენეთ აბზაცი. დაიწყეთ აბზაცით წინადადება, როცა იცვლება თემა, როცა იცვლება რიტმი და, საერთოდ, რაც შეიძლება ხშირად.

დაწერეთ ყველაფერი, რაც თავში მოგივათ, ოღონდ — შავ ხელნაწერში. საშიში არაფერია, შემდეგ გამოხშირავთ, ამოიღებთ გადახვევებს, ფრჩხილებში მოთავსებულ პასაჟებს[19]. ზოგიერთ რამეს მითითებებსა და დამატებებში გადაიტანთ. დიპლომის მიზანია წინასწყვაობაში წამოყენებული ჰიპოთეზის[20] დამტკიცება და არა იმის ჩვენება, რომ ამქვეყნად ყველაფერი იცი.

---

[17] ინტონაცია — წარმოთქმის მანერა, სტილი, რომელიც ავტორის დამოკიდებულებას გამოხატავს.

[18] დელიკატური — თავაზიანი, ზრდილობიანი, წინდახედული.

[19] პასაჟი — წიგნის, სტატიის, პროექტის და სხვ. ცალკეული მონაკვეთი.

[20] ჰიპოთეზა — რაიმე საკითხის ან მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი, რომლის უეჭველობაც არაა დამტკიცებული.

VI. დასკვნები

დავასრულოთ ჩვენი საუბარი ორი მთავარი დასკვნით:

1) დიპლომი უნდა ეწეროთ სიამოვნებით და 2) დიპლომი... ნარჩენებს არ უნდა ტოვებდეს.

იმუშავეთ ხალისით. თუ მიაგენით თქვენთვის საინტერესო თემას, თუ გადაწყვიტეთ, სადიპლომოს დაუთმოთ გარკვეული დრო (როგორც გახსოვთ, ჩვენი გამოთვლებით, მინიმალური პერიოდი ნახევარ წელიწადს არ აღემატება). უმალ იგრძნობთ, რომ თქვენი შრომა იქცევა სანაძლეოს ან საგანძურის მაძიებელთა თამაშის მსგავს სახალისო კონსტრუირებად.


არის რაღაც სპორტული აზარტი მოუხელთებელი ტექსტების ძიებაში. არის კროსვორდის ამოხსნის სიხარული, როცა ხანგრძლივი გონებრივი წვალების შემდეგ იპოვი პასუხს შეკითხვაზე, რომელიც თავიდან უროულეს გამოცანად გეჩვენებოდა.

ვიმეორებ: დიპლომი არის სანაძლეო, ნიძლავი, დადებული საკუთარ თავთან.

თუ სპორტულ აზარტს ავყვებით, სადიპლომო კარგი გამოგვეცა, ხოლო, თუ შრომას რიტუალურ მოქმედებად ვაქცევთ, ჩათვალეთ, რომ პარტია წაგებულია...

რა ადგილიც არ უნდა ეკავოს ძიებებს თქვენს ცხოვრებაში, აღმოაჩენთ, რომ კეთილსინდისიერად დაწერილი დიპლომი სასარგებლოა უკანასკნელ ხრტილამდე. მისგან შეიძლება ერთი ან რამდენიმე სამეცნიერო სტატია და სულაც წიგნი (თუ, რა თქმა უნდა, გააფართოვებ) გამოიჭრეს...

შეიძლება დიპლომი ათი, ოცი, ოცდაათი წლის შემდეგაც გამოგადგეთ იმიტომ, რომ პირველი სიყვარული არ ხუნდება, როგორც მოგეხსენებათ.



ფიქრი და დისკუსია
გაიაზრეთ და გაანალიზეთ

1. რატომ იქმნება სადიპლომო შრომა და ვის წარუდგენს მას დიპლომანტი?

2. ვინ გამოთქვამს აზრს ნაშრომთან დაკავშირებით და როგორ ფასდება იგი? რა მიიღება მხედველობაში?

3. რა მოეთხოვება დიპლომანტს თავისი პროექტის შექმნისას? რა უნდა გაითვალისწინოს თემის შერჩევისას?

4. რატომ არის წამგებიანი სადიპლომო ნაშრომში ერთბაშად მრავალ საკითხზე მსჯელობა?

5. რა უპირატესობა აქვს პროექტში ვიწრო თემის დამუშავებას?

6. რატომაა თანამედროვე მასალის კვლევა უფრო ძნელი, ვიდრე – ძველის, კლასიკურის? რის გამომუშავებას უწყობს ხელს ძველ ლიტერატურაზე დაკვირვება?

7. თემის დაუძლეველობის რა მიზეზებზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას?

8. ამოიწერეთ, თემაზე მუშაობისას კვლევის რა ეტაპები უნდა გაიაროს სტუდენტმა.

9. როგორ ფიქრობთ, პროექტის წერისას აუცილებელია თუ არა უცხო ენის ცოდნა? რატომ?

10. როგორი ტიპის სამეცნიერო ხელმძღვანელები არიან და, უმბერტო ეკოს რჩევით, რა გარემოებები უნდა გაითვალისწინოს სტუდენტმა თემის ხელმძღვანლის შერჩევისას?

11. რა არის სამეცნიერო შრომის საგანი და იარაღები? საკვლევი თემის რომელი ტექსტი ითვლება პირველწყაროდ და რა უპირატესობა აქვს მას თარგმანთან, ანთოლოგიასთან და სხვა ავტორების გარდათქმებთან შედარებით?

12. რა ფუნქცია აქვს ბიბლიოგრაფიას და როგორ უნდა შევადგინოთ იგი? რა ხასიათის კატალოგები შეგიძლიათ გამოიყენოთ?

13. როგორ უნდა დაიწყოთ პროექტზე მუშაობა და რა დეტალებისგან შედგება მისი პრობლემური გეგმა?

14. ვისთვის იწერება სტუდენტის ნაშრომი და როგორი უნდა იყოს ტექსტის ინტონაცია, სტილი?

15. როგორ უნდა დაიწეროს თემა და რა განწყობილება უნდა ახლდეს შემოქმედებით პროცესს?

როგორ შევარჩიოთ, დავგეგმოთ, დავწეროთ, გავაფორმოთ და წარმოვადგინოთ სასწავლო პროექტი

(გამოკვლევა ანუ მცირე მოცულობის

სამეცნიერო ნაშრომი, სასწავლო რეფერატი)

1. მასწავლებელთან ან სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად გულდასმით შეარჩიეთ ისეთი თემა (თანამედროვე ან კლასიკური), რომელიც თქვენთვის იქნება საინტერესო და პედაგოგიც კომპეტენტურ დახმარებას გაგიწევთ.

2. ყურადღებით მოუძებნეთ თემას სათაური, რათა ერთმანეთს ზუსტად შეესაბამებოდეს საკვლევი საკითხი და პროექტის დასათაურება. მიზანშეწონილია, თემა ეხებოდეს კონკრეტულ, თუნდაც ვიწრო პრობლემას.

3. პედაგოგთან შეთანხმებით გამოყავით ოპონენტი, რომელიც პრეზენტაციაზე თქვენი ნაშრომის ღირსებასა და ნაკლს გააანალიზებს.

4. სასწავლო პროექტის მოცულობას შერჩეული თემის აქტუალობა და მოსწავლის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება განსაზღვრავს. სასურველია, იგი დაახლოებით 10 გვერდი იყოს (შეიძლება მეტიც). ნუ ითაკილებთ კომპილაციას.

5. თემაზე მუშაობისას გამოიყენეთ არანაკლებ ხუთი ნაშრომისა (ტექსტი, სპეციალური ლიტერატურა, აგრეთვე, ენციკლოპედიები, სხვადასხვა ხასიათის ლექსიკონები და ა. შ.), რომლის დროსაც გაითვალისწინებთ, რომ ძირითადი ტექსტები ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს, ხოლო არჩეული მეთოდოლოგია შეესატყვისებოდეს თქვენს შესაძლებლობებს.

6. სჯობს, თემა შეარჩიოთ სასწავლო წლის დაწყებისთანავე (შეიძლება მანამდეც, ზაფხულის არდადეგების დადგომამდე), რათა მშვიდად და გეგმაზომიერად იფიქროთ პროექტის პრობლემაზე. უცხო ტექსტის შერჩევის შემთხვევაში მიზანშეწონილია იცოდეთ დედნის ენა. საკვლევ ტექსტად აუცილებლად მისი აკადემიური გამოცემა გამოიყენეთ.

7. გულდასმით შეადგინეთ ბიბლიოგრაფია, რომლის დროსაც ისარგებლებთ თქვენთვის ხელმისაწვდომი ყველა რესურსით: ბიბლიოთეკით, ელექტრონული კონსულტაციებით, კომპიუტერული კატალოგებით, ინტერნეტით და ა. შ.

8. ვიდრე თემის წერას შეუდგებოდეთ, კიდევ ერთხელ გაიაზრეთ სათაური, პროექტის შესავალი ნაწილი და გააკეთეთ შინაარსის მონახაზი, კერძოდ: 1) დააყენეთ საკვლევი საკითხი; 2) მხედველობაში იქონიეთ წინამორბედთა გამოცდილება; 3) წამოჭერით ჰიპოთეზა; 4) კონსპექტურად მოუყარეთ თავი თქვენს ხელთ არსებულ მონაცემებს და გააანა-

ლიზეთ ისინი; 5) შეეცადეთ თქვენი ჰიპოთეზის დამტკიცებას; 6) გამოიტანეთ დასკვნები.

9. ტექსტის წერისას გაითვალისწინეთ აუდიტორია, ამიტომ შეარჩიეთ ნათელი, სადა და გასაგები სტილი. ხშირად გამოიყენეთ აბზაცები. შავ ხელნაწერში დაწერეთ, რაც კი თავში მოგივათ. გადათეთრებისას გამოხშირეთ, დატოვეთ მხოლოდ თქვენთვის მნიშვნელოვანი მოსაზრებები და ციტატები.

10. დაიმახსოვრეთ ლიტერატურის მითითებებისა და სქოლიოს გადმოცემის წესი: ავტორი, ნაშრომის დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, გვერდის მითითება. მაგალითად: ილია ჭაჭავაძე, თხზულებანი, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1983, გვ. 55.

11. პროექტზე იმუშაეთ ხელმძღვანელთან მუდმივი კონტაქტის პირობებში, რათა გაითვალისწინოთ და შეიტანოთ პედაგოგის მიერ გამოთქმული მითითებები და შენიშვნები. დაახლოებით ერთი თვით ადრე გადაეცით დასრულებული ნაშრომი ოპონენტს, რათა იგი გულისყურით გაეცნოს მას და დაგიბრუნოთ რეცენზიასთან ერთად პრეზენტაციამდე ერთი კვირით ადრე მაინც.

12. თემის საპრეზენტაციო ტექსტი ჩამოაყალიბეთ მოკლე, 2-3-წუთიანი ანგარიშის სახით, წერილობით. ასევე დაწერეთ პასუხები ოპონენტის მიერ გამოთ ქმულ რჩევებსა და შენიშვნებზე. აღნიშნეთ, თუ რა არის თქვენთვის მისაღები, გასაზიარებელი, გასათვალისწინებელი და რა – შეუწყნარებელი, რასაც პრეზენტაციის დღეს არგუმენტირებულად დაასაბუთებთ აუდიტორიის წინაშე.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიული ნარიმანიძე

მხატვრული გაფორმება: † გიორგი ჩიქვანაია



გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge